

**განმარტავითი  
იურიდიული  
ლექსიკონი**

*JURISTISCHES FACHLEXIKON*

*2012*

**ავტორები:** ლევან თოთლაძე, გაგა გაბრიჩიძე, გიორგი თუმანიშვილი, პაატა ტურავა, ეთერ ჩაჩანიძე.

**რედაქტორები:** გიორგი ხუბუა, ლევან თოთლაძე.

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ისა (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) და გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოების (IRZ) მხარდაჭერით.

გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

გამომცემელი | BERLINER WISSENSCHAFTS-VERLAG  
დიზაინი, დაკაბადონება | შპს „ბატამ დიზაინი“  
© GIZ, IRZ, 2012

გამომცემლობა

ISBN 978-3-8305-3154-8

BWV • BERLINER  
WISSENSCHAFTS-VERLAG



Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან:

[www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus)

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოება (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია არის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სტაბილური სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-გამყარების და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა და იმავდროულად გარანტი. სწორედ განვითარების ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ასევე შესაბამისი პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. ამასთან, თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის საართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH ist ein weltweit tätiges Bundesunternehmen. Sie unterstützt die Bundesregierung in der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung und in der internationalen Bildungsarbeit. Die GIZ trägt dazu bei, dass Menschen und Gesellschaften eigene Perspektiven entwickeln und ihre Lebensbedingungen verbessern.

Seit 1993 unterstützt die GIZ die Rechts- und Justizreformen in den Ländern des südlichen Kaukasus. Damit sollen ein länderübergreifender Rechtsstaatsdialog etabliert und verfassungskonforme Rechtswesen gefestigt werden. In enger Zusammenarbeit von lokalen und deutschen Lang- und Kurzzeitexperten werden unter anderem Gesetze beraten, Fortbildungen durchgeführt und Erfahrungen ausgetauscht. Weiter werden Fachpublikationen und Rechtspopularisierungsmaßnahmen unterstützt.

Elektronische Fassungen vieler Publikationen des GIZ-Vorhabens sind auf der Webseite [www.giz.de/law-caucasus](http://www.giz.de/law-caucasus) kostenfrei abrufbar.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung und Garant, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit der IRZ mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwendern.

## წინათქმა

გარდატეხის პროცესმა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, რომელიც დაახლოებით ოცი წლის წინ დაიწყო, სამართლებრივ ტერმინოლოგიაშიც იჩინა თავი. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, რასაც მოჰყვა ქართული სამართლებრივი სისტემის გამოყოფა საბჭოურისაგან, ქვეყანაში დამკვიდრდა და ევროპული კონტინენტური სამართლის სივრციდან შემოღებულ იქნა სამართლის ახალი ინსტიტუტები, ასევე ახალი ტერმინოლოგია, რამაც იმავდროულად გამოიწვია ამ სიახლეების ერთიანი სამართლებრივ ჩარჩოში ინტერგრაციის აუცილებლობა. თუმცა, ერთი მხრივ, საბჭოთა სამართლებრივი სისტემის განგრძობადი და მრავალწლიანი გავლენისა და მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის სამართლებრივ ტრადიციებზე შემდგომი ორიენტაციის შედეგად, არის შემთხვევები, როდესაც რთულდება ამა თუ იმ ახალი თუ ძველი სამართლებრივი ტერმინის გამოყენება სწორედ მათი სხვადასხვაგვარი წარმომავლობის გამო. ის, რომ აღნიშნული გარკვეულ გაუგებრობას იწვევს ტერმინოლოგიის ერთგვაროვანი გამოყენების კუთხით, ლოგიკური და ბუნებრივია.

რამდენად ზუსტად და მკაფიოდ არის შესაძლებელი სამართლებრივი ტერმინების ურთიერთგამიჯვნა? მაგალითად, ემთხვევა ერთმანეთს სიტყვა „ნივთის“ მნიშვნელობა სამოქალაქოსა და სისხლის სამართალში? ვრცელდება თუ არა სამოქალაქო-სამართლებრივი შეფასება, მაგალითად, გაუფრთხილებლობის ასევე სისხლის სამართალზე? ბუნებრივია, ამ შეკითხვებზე პასუხს ნაწილობრივ ქართულ დარგობრივ ლიტერატურაშიც ვპოულობთ, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე იზრდება და ვითარდება. თუმცა, პრაქტიკოსი იურისტი ჯერ კიდევ განიცდის კომპაქტური, მარტივად ხელმისაწვდომი პრაქტიკული სამაგიდო ნიგნების ნაკლებობას. ამ მხრივ, წინამდებარე განმარტებითი ლექსიკონი სთავაზობს მას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ტერმინოლოგიის შინაარსობრივად მოცულობით, თუმცა, იმავდროულად კომპაქტურ განმარტებებს.

წინამდებარე განმარტებითი ლექსიკონი მრავალწლიანი და წარმატებული ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროდუქტია.

პროექტის იდეა 2009 წელს გაახმოვანა ბატონმა ლევან თოთლაძემ, რომელიც გახლავთ ბადენ-ვიუტენბერგის (მხარე გერმანიაში) სამართლის ასესორი და მონოდებით სამართალმცოდნე. მისი ჩანაფიქრი იყო სამართლის სხვადასხვა სფეროს ცნებების თავმოყრა, განმარტება და ამ კუთხით სტუდენტებისა თუ პრაქტიკოსი იურისტებისათვის ყოველდღიური საქმიანობის გამარტივება.

აქედან დაიბადა ქართული „Creifelds“-ის იდეა. „Creifelds“-ი - გერმანული განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, რომელიც პირველად 1968 წელს და მას შემდეგ განახლებული სახით უკვე ოცჯერ გამოიცა, გახლავთ პირველი გამოცემის ავტორი და რედაქტორის Carl Creifelds-ი

გვარი. მისი ლექსიკონი, რომლის დიზაინიც უცვლელია (შავი და წითელი ფერი), ზუსტად იგივე მიზნებს ემსახურება, რასაც წინამდებარე ნაშრომი, კერძოდ: კონკრეტული სამართლებრივი ცნების მნიშვნელობის სწრაფი ხელმისაწვდომობა, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული ცნებების არაზუსტი გამოყენება ან გამარტივდეს სამართლის ამა თუ იმ სფეროში სისტემური მიმართებების გააზრება. ამდენად, წარმოუდგენელია გერმანიაში იურიდიული ბიბლიოთეკა „Creifelds“-ის გარეშე. ის დროთა განმავლობაში ერთგვარ ინსტიტუტურად ჩამოყალიბდა, რომელიც მუდმივად განიცდის განახლებას და ინარჩუნებს აქტუალურობას სასამართლო პრაქტიკისა და სამართალგანვითარების თვალსაზრისით.

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს გასულ წლებში როგორც ძველი, ისევე ახალი სამართლებრივი ცნებების კონტექსტური გააზრებისა და დიფერენცირებული განვითარების კუთხით დაგროვილი გამოცდილებების თავმოყრასა და წარმოდგენას. წიგნი, ერთი მხრივ, მოიცავს დაახლოებით 6000 ტერმინის განმარტებას ქართული და ნაწილობრივ გერმანული დოქტრინისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც ამარტივებს მათ ურთიერთგამიჯვნას და იმავდროულად წარმოგვიდგენს სისტემურ სტრუქტურებსა და ურთიერთმიმართებებს, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ ცნებას გარკვეული დატვირთვა აკისრია. ასევე დაზუსტებულია ცნებების პროცესუალური მნიშვნელობაც, რითაც იკვეთება კავშირი მატერიალურ-სამართლებრივ უფლებასა და მის განხორციელებას შორის. შესაბამისი მითითებებით უზრუნველყოფილია დეფინიციების სწორი და ზუსტი გაგება, რითაც ლექსიკონი არ განსხვავდება სხვა ქვეყნების მსგავსი პუბლიკაციებისგან.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ უნდა შექმნილიყო სრულიად ახალი, ქართული წიგნი, ვინაიდან უცხო ქვეყნების პუბლიკაციების, თუნდაც „Creifelds“-ის გადმოთარგმნა არ იქნებოდა ქართულ სამართლებრივ სისტემაში მიმდინარე პროცესების და მისი რეალობის ამსახველი. ქართული მართლწესრიგის წიაღში შექმნილი ნაშრომი ასევე ამაღლებს მისი მკითხველისა მომხმარებლის იდენტიფიკაციას საკუთარ სამართლებრივ სისტემასთან, რომელმაც გაიარა და გადის განვითარების საინტერესო ეტაპებს. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ავტორთა ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტდა ლევან თოთლაძის (სამოქალაქო სამართალი, პროექტის მთლიანი კოორდინაცია) გარშემო და რომლის წევრებიც არიან: დოქტორი ვაგა გაბრიჩიძე (საერთაშორისო და ევროპული სამართალი), ასოცირებული პროფესორი დოქტორი გიორგი თუმანიშვილი (სისხლის სამართალი), პროფესორი დოქტორი პაატა ტურავა (ადმინისტრაციული სამართალი) და GIZ-ის სამართლის პროგრამის თანამშრომელი ეთერ ჩაჩანიძე (სახელმწიფო სამართალი, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები). წინამდებარე ნაშრომით მათ მოახერხეს გზა გაეკვალათ სამართლებრივ ტერმინთა ბუნდოვან სამყაროში და პრაქტიკული, ხელმოსაჭიდი ფორმები მიეცათ ზოგადი, აბსრაქტული ცნებებისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წინამდებარე პუბლიკაცია გამოირჩევა ასევე იმით, რომ წარმოადგენს გერმანიის ფედერალური მთავრობის ეგიდით საქართველოში მოღვაწე ორი გერმანული ორგანიზაციის, კერძოდ, IRZ-ისა და GIZ-ის ერთობლივ პროექტს, რომელიც კიდევ ერთი მაგალითი და დასტურია იმისა, თუ რამდენად წარმატებული და

გამართლებულია შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა და ერთიანი ძალისხმევა. გამოვთქვამთ იმედსა და სურვილს, რომ ნინამდებარე განმარტებითი ლექსიკონი ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მის მომხმარებლებს და ასევე ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პუბლიკაციაც, გერმანულის მსგავსად, განახლდება და განვითარდება ქართველი სამართალმცოდნეების მიერ და ამით იქცევა ქართული სამართლებრივი ლიტერატურის აუცილებელ ატრიბუტად.

**დირკ მიროვი**

გერმანიის საერთაშორისო  
სამართლებრივი  
თანამშრომლობის  
ფონდის დირექტორი

**ცენო რაიჰენბეჰერი**

GIZ-ის პროგრამის  
„სამართლისა და იუსტიციის  
რეფორმების კონსულტაცია  
სამხრეთ კავკასიაში“  
ხელმძღვანელი

## Vorwort

Der Umbruch im georgischen Rechtssystem, der vor über zwanzig Jahren seinen Anfang genommen hat und immer noch andauert, ist auch am juristischen Sprachgebrauch erkennbar. Nach der Unabhängigkeit Georgiens 1992 und der damit einhergehenden Entkoppelung der Rechtsordnung vom sowjetischen Rechtssystem wurden in Georgien zahlreiche Rechtsinstitute und -begrifflichkeiten, die zum großen Teil vom kontinental-europäischen Rechtsraum übernommen wurden, neu eingeführt und müssen nun im Sinne einer einheitlichen Rechtsanwendung integriert werden. Angesichts des langjährigen Einflusses des sowjetischen Rechtssystems und der darauffolgenden Orientierung an westeuropäischen Rechtstraditionen bestehen häufig Unsicherheiten in der Verwendung alter wie neuer rechtlicher Begriffe, da diese unterschiedlichen Ursprungs sind. Dass dies zu fehlerhaften Verwendungen durch Rechtsanwender führt, liegt auf der Hand.

Wie genau also lassen sich manche Rechtsbegriffe voneinander abgrenzen? Ist die „Sache“ im strafrechtlichen Sinne die gleiche „Sache“ wie im Zivilrecht? Handelt man fahrlässig im Sinne des georgischen Strafgesetzes, nur weil dies nach Beurteilung anhand des Zivilgesetzbuchs der Fall wäre? Natürlich lassen sich diese Fragen zum Teil auch mit Hilfe der einschlägigen georgischen Fachliteratur beantworten. Diese ist in den letzten Jahren auch immer umfangreicher geworden, so dass sie in der Regel als fundierte Grundlage herangezogen werden kann. Doch hat der durchschnittliche Rechtspraktiker hierauf keinen ständigen Zugriff und in der Regel auch nicht die Zeit für langwierige Recherchen. Daher sollte ein Wörterbuch begründet werden, um eine möglichst umfassende, aber dennoch kompakte Zusammenstellung von relevanten Begriffen zu liefern.

Mit diesem georgischen Rechtswörterbuch können wir Ihnen, sehr geehrte Leser, das Ergebnis eines langfristig angelegten und gelungenen deutsch-georgischen Kooperationsprojekts vorlegen.

Angestoßen wurde das Projekt im Jahr 2009 durch Herrn Levan Totladze (Rechtsassessor Baden-Württemberg) – Rechtswissenschaftler aus Leiden-schaft. Seine Idee war es, ein handliches Nachschlagewerk georgischer Rechtsbegriffe aus allen wichtigen Rechtsgebieten zu schaffen, das Juristen in der Ausbildung für ihr Studium und Rechtspraktikern für die tägliche Auseinandersetzung mit juristischen Fragen dienen soll.

Die Idee des georgischen „Creifelds“ war geboren. Der „Creifelds“ – ein deutsches Rechtswörterbuch, das im Jahre 1968 erstmals erschien und inzwischen über zwanzig Mal neu aufgelegt wurde – ist benannt nach seinem Hauptautor und Redakteur der ersten Stunde, Carl Creifelds. Dieser rot-schwarze Band dient deutschen Juristen für genau diese Zwecke: das schnelle Nachschlagen nach der genauen Bedeutung eines Rechtsbegriffs, um eine falsche Verwendung zu vermeiden, oder auch um sich innerhalb einer fremden Rechtsmaterie einen systematischen Zusammenhang zu vergegenwärtigen. Daher ist er aus keiner juristischen Bibliothek in Deutschland mehr wegzudenken. Er ist zu einer Institution geworden und wird selbstverständlich



ständig auf dem neuesten Stand von Rechtsprechung und Rechtsentwicklung gehalten.

Die vorliegende Publikation versucht, die in den vergangenen Jahren akkumulierten Erfahrungen bei der rechtlichen Aufarbeitung und Ausdifferenzierung der neuen wie auch der alten Rechtsbegriffe zu präsentieren. Sie enthält daher zum einen klare Definitionen von insgesamt ca. 6000 Begriffen mit Bezugnahme auf georgische und mitunter auch deutsche Fachliteratur und Rechtsprechung. Damit lassen sich Begriffe schnell voneinander abgrenzen. Zugleich erläutert sie systematische Strukturen und Zusammenhänge, in denen das jeweilige Wort eine Rolle spielt. Ebenso wird die Verwendung mancher Begriffe im Prozessrecht geklärt, um auch den Bogen zur Durchsetzung des Rechts zu schlagen. Mithilfe von Querverweisen wird dafür gesorgt, dass die jeweilige Definition genau verstanden wird, insofern unterscheidet sie sich nicht von vergleichbaren Werken anderer Länder.

Klar war von Beginn an, dass hier ein vollständig neues Werk geschaffen werden musste. Auch wenn ausländische Werke wie der „Creifelds“ als Vorbild für das georgische Rechtswörterbuch dienten, würde etwa eine bloße Übersetzung eines solchen Werks der georgischen Rechtsrealität und Sprache nicht gerecht werden. Auch ist die Identifikation der Verwender mit dem eigenen Rechtssystem, auch wenn es noch im Werden begriffen ist, nur über ein rein georgisches Werk möglich. Das Autorenteam, das sich schließlich um Levan Totladze (Zivilrecht, Gesamtkoordination) sammelte, besteht aus Dr. Gaga Gabrichidze, (Völker- und Europarecht), Assoziierter Prof. Dr. Giorgi Tumanishvili (Strafrecht), Prof. Dr. Paata Turava (Verwaltungsrecht) und Eteri Chachanidze, Mitarbeiterin der GIZ in Georgien (Staatsorganisationsrecht, Grundrechte und Grundfreiheiten). Ihnen ist es gelungen, mit diesem Werk einen Weg durch den Urwald der juristischen Fachbegriffe aufzuzeigen und diese praktisch greifbar zu machen.

Von besonderer Bedeutung ist dieses Werk für die IRZ und die GIZ als Ergebnis eines gemeinsamen Projekts der beiden deutschen Institutionen, die im Auftrag der Deutschen Bundesregierung in Georgien die Rechtsreformen begleiten und unterstützen. Einmal mehr hat sich dabei gezeigt, dass ergebnisorientierte Kooperationen sich in jeder Hinsicht lohnen. Umso mehr hoffen wir nun, Ihnen mit diesem Wörterbuch eine praxistaugliche Hilfe an die Hand zu geben. Ebenso sehr wünschen wir uns, dass dieses Werk von georgischer Seite weitergeführt und aktualisiert wird und somit eines Tages als Standardwerk für georgische Juristen unverzichtbar wird.

**Dirk Mirow**  
Geschäftsführer  
der Deutschen Stiftung für  
Internationale rechtliche  
Zusammenarbeit e.V.

**Zeno Reichenbecher**  
Leiter des GIZ Programms  
„Rechts- und Justizreformberatung  
im Südkaukasus“



**aberratio ictus**

→ შეცდომა.

**acquis communautaire**

ტერმინი *acquis communautaire* („გაერთიანების მონაპოვარი“) გამოიყენება მთლიანობაში → **ევროპული კავშირის სამართლის** აღსანიშნავად. იგი სამართლის პირველად და მეორად წყაროებთან ერთად მოიცავს ასევე ევროპული კავშირის ორგანოების სხვა აქტებსაც და პრაქტიკას. *acquis communautaire*-ის იმპლემენტაცია ევროპულ კავშირში განეწესება ერთ-ერთ ნინაპირობას წარმოადგენს.

**ad referendum**

საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერისას გაკეთებული დათქმა (ხელშეკრულების *ad referendum* დადება), რომლის მიხედვითაც ხელმოწერა არ წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების საფუძველს და საჭიროებს მთავრობის მხრიდან თანხმობას.

**cif**

→ ფასი, დაზღვევა, ფრახტი.

**clausula rebus sic stantibus**

1. ("გარემოებათა ძირეული შეცვლა") წარმოადგენს → **საერთაშორისო ხელშეკრულების** გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს. მისი გამოყენების ნინაპირობები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 62-ე მუხლში. კერძოდ, გარემოებათა

ძირეული შეცვლის არგუმენტი საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუკი: ა) შეიცვალა ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადებისას არსებობდნენ, ბ) ცვლილება საფუძვლიანია, გ) ცვლილება არ შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო მხარეთა მიერ, დ) თავდაპირველი ფორმით გარემოებები ხელშეკრულებაში მხარის მონაწილეობის არსებით საფუძველს წარმოადგენდნენ და ე) ცვლილება ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების მოცულობას ძირეულად ცვლის. გარემოებათა ძირეული შეცვლის არგუმენტის გამოყენება ხელშეკრულების გაუქმების საფუძველად დაუშვებელია, თუ ხელშეკრულება ეხება საზღვარს ან გარემოებების ცვლილება მოცემული სახელმწიფოს ქმედების შედეგს წარმოადგენს.

2. სამოქალაქო სამართალში → **გარიგების საფუძველი.**

**conditio sine qua non**

→ მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში. → მიზეზობრივი კავშირი სამოქალაქო სამართალში.

**dolus antecedens**

→ ბრალი.

**dolus directus**

→ ბრალი.

**dolus eventualis**

→ ბრალი.

**dolus subsequens**

**dolus subsequens**

→ ბრალი.

**erga omnes**

ვალდებულება, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს გააჩნია საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ და შესაბამისად, რომლის დარღვევისთვისაც იგი პასუხს აგებს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე. გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე "Barcelona Traction Case" erga omnes ნორმებს განსაზღვრავს, როგორც სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც ისეთ მნიშვნელოვან უფლებებს ადგენენ, რომ ყველა სახელმწიფოს გააჩნია მათი დაცვის სამართლებრივი ინტერესი. სასამართლო ამ კონტექსტში ასახელებს აგრესიის აკრძალვას, გენოციდის აკრძალვას, პრინციპებს და ნორმებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, მონობისა და რასობრივი დისკრიმინაციისგან დაცვის ჩათვლით. → **იმპერატიული ნორმებიდან** გამომდინარე ვალდებულებები erga omnes ვალდებულებები არიან. თუმცა, ამასთან ყველა erga omnes ვალდებულება იმპერატიულ ნორმას არ წარმოადგენს.

**error in persona**

→ შეცდომა.

**exceptio**

→ შესაგებელი.

**exceptio ex iure tertii**

ნიშნავს იმ შესაგებლის წარდგენას, რომელიც მესამე პირის უფლება არის. როგორც წესი, ასეთი შესაგებლის წარდგენა დაუშვებელია, თუ პირს კანონით ან ხელშეკ-

რულებით არა აქვს ამის უფლება მინიჭებული.

**ex nunc**

ნიშნავს ამ მომენტიდან. მაგალითად, აღმჭურველი უფლება სამართლებრივად ძალას იძენს მისი განხორციელების მომენტიდან (მაგალითად, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**).

**ex tunc**

ნიშნავს უკუქმედების ძალას. მაგალითად, თუ ნების ნაკლის გამო დადებული გარიგება შეცილებულ იქნა, მაშინ იგი ბათილია მისი დადების მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

**FOB**

→ თავისუფლად ბორტზე.

**in dubio pro reo**

("ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ") წარმოადგენს კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ბრალის დამტკიცების გარეშე არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი. ბრალდებულს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დარწმუნდება მის ბრალეულობაში. ეჭვის არსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი. in dubio pro reo-ს პრინ-

ცივი მოქმედებს მაშინ, როდესაც სასამართლო ვარაუდობს და დარწმუნებული არ არის ბრალდებულის დამნაშავეობაში. აღნიშნული პრინციპის შინაარსი არ უნდა იყოს იმგვარად გაგებულ, თითქოს ბრალდებული ყოველთვის უნდა გამართლდეს, როცა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს მის ბრალეულობასთან დაკავშირებით ეჭვი უნდა გასჩენოდა. ეს ვალდებულება სასამართლოს მაშინ უჩნდება, თუკი მას შესაბამისი ეჭვი ფაქტობრივად გააჩნია.

**invitatio ad offerendum**

→ ხელშეკრულება.

**ius cogens**

→ იმპერატიული ნორმები.

**ius sanguinis**

→ „სისხლის“ პრინციპი.

**ius soli**

→ „ნიადაგის“ პრინციპი.

**Ne (eat iudex) ultra petita partium**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მამასადაამე, სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები განისაზღვრება მხარეთა მიერ დაყენებული მოთხოვნების საფუძველზე. მაგალითად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი მხარეს დააკისროს ზიანის ანაზღაურება, თუ ამას არ მოითხოვს მოწინააღმდეგე მხარე, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს იმაზე ნაკლები დააკისროს, ვიდრე ეს მოსარჩელის მოთხოვნა არის.

ეს პროცესუალური წესი გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი → **დისპოზიციურობის პრინციპიდან** და მოქმედებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაშიც. კერძოდ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლი). აღნიშნული წესი მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი, მე-3 მუხლი).

**negotiorum gestio**

→ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.

**Nemo plus iuris in alium transferre potest quam ipse habet**

„არავის შეუძლია იმაზე მეტი უფლებების გადაცემა, ვიდრე მას თვითონ აქვს“ - რომის სამართლიდან (Corpus iuris civilis) მომდინარე პრინციპი, რომელიც დღესაც მოქმედებს სამოქალაქო სამართალში, მაგალითად, → **მოთხოვნის დათმობისას**. ამ პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირისაგან მოძრავ ნივთზე → **საკუთრების კეთილსინდისიერი შექენა**.

**Nemo pro parte testatus pro parte intestatus decedere potest**

რომის სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვით მამკვიდრებელს უფლება არ ჰქონდა ანდერძით თავისი ქონების მხოლოდ

## Obligatio ex contractu

ნაწილი განეკარგა. დღეს მოქმედი → **მემკვიდრეობის სამართალი** ასეთ პრინციპს არ იცნობს.

### non liquet

("არსებობს ბუნდოვანება") იმ შემთხვევაში, თუ ვერ დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით, საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებებზე მტკიცებულებების ან საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოდგენა, მაშინ სასამართლო სამოქალაქო საქმეზე დავას წყვეტს მტკიცების ტვირთის წესების თანახმად იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ამ გარემოების მიმართ ეკისრება → **მტკიცების ტვირთი**. სისხლის სამართალში, ამ გაგებით, არ არსებობს მტკიცების ტვირთი. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დასაშვებია, თუ სასამართლო თავისუფალი, შინაგანი რწმენის და ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე დარწმუნებულია პირის ბრალეულობაში. სხვა შემთხვევაში, ეჭვი უნდა გადაწყდეს დამნაშავეს სასარგებლოდ, → **in dubio pro reo**.

## Obligatio ex contractu

ნიშნავს გარიგების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობას.

## Obligatio ex delicto

ნიშნავს დელიქტური ქმედების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობას.

## Obligatio ex lege

ნიშნავს კანონის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობას, მაგალითად, → **უსაფუძვლო გამდიდრება** ან

→ **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება**.

## Obligation

→ **ვალდებულებითი ურთიერთობა**.

## pacta sunt servanda

1. ("ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს") რომის სამართლიდან მომდინარე ეს პრინციპი დღესაც მნიშვნელოვანია სამოქალაქო ურთიერთობისათვის და აღნიშნავს მხარეთა კეთილსინდისიერებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისადმი. იგი მნიშვნელოვანია ჩვეულებით სამართალშიც და სხვადასხვა თეორიების სადავოდ იქცა, თუ რამდენად სავალდებულოა → **ჩვეულებითი სამართალი**. (→ **კეთილსინდისიერების პრინციპი**; → **გარიგების საფუძველი**).

2. მოცემული პრინციპი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას წარმოადგენს, რომელიც კოდიფიცირებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციით. კერძოდ, კონვენციის 26-ე მუხლის მიხედვით, ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებები მხარეების მიერ კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. ამასთან მხარეებს უფლება არ აქვთ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობა გაამართლონ ეროვნული სამართლის ნორმებით. საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970 წლის დეკლარაცია აზუსტებს საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს. კერძოდ, სახელმწიფოები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ ვალ-

დებულებები, რომლებიც მათ აღებული აქვთ გაეროს წესებიდან გამომდინარე, ასევე ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან და პრინციპებიდან და ამ ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან (→ **საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპი**). საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ვალდებულება შეიძლება იგნორირებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმების საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციით დადგენილი საფუძვლები.

**pactum de non cedendo**

→ მოთხოვნის დათმობა.

**pactum de non licitando**

→ იძულებითი აღსრულება.

**pactum de non petendo**

ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ ხელშეკრულებას, როდესაც კრედიტორი იღებს ვალდებულებას, რომ იგი თავის მოთხოვნას არ წარუდგენს მოვალეს. ასეთი ხელშეკრულება არ არის → **ვალის პატიება**, არამედ იგი მოვალეს ანიჭებს მხოლოდ → **შესაგებელს**.

**prima-facie**

→ **აშკარა მტკიცებულება**.

**აბიტურიენტი**

სრული → **ზოგადი განათლების** მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი საშუალო განათლების დამატებული დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს → **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.**

**აბსოლუტიზმი**

აბსოლუტიზმს უწოდებენ მმართველობის ისეთ ფორმას, როცა ხელისუფალის მიერ ძალაუფლება ხორციელდება აბსოლუტურად, მაშასადამე, სხვა ავტონომიური ძალაუფლებებისგან დამოუკიდებლად. ისტორიულად აბსოლუტიზმი დაკავშირებულია → **მონარქიასთან.** ცნებითი თვალსაზრისით, აბსოლუტური ძალაუფლების მმართველი შესაძლებელია იყოს აგრეთვე, რაიმე ჯგუფი (→ **ოლიგარქია**). აბსოლუტური ძალაუფლების მმართველი ერთპიროვნულად ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. განმანათლებლობის ხანის აბსოლუტიზმს უწოდებენ მმართველის მიერ ძალაუფლების ნებაყოფლობით შეზღუდვას, განსაკუთრებით, დამოუკიდებელი სასამართლოების მეშვეობით. ევროპაში აბსოლუტური მონარქიის მნიშვნელოვანი ხანა იყო XVII-XVIII საუკუნეები (“L’Etat c’est moi”). საფრანგეთში იგი დამთავრდა 1789 წელს. თანამედროვე სახელმწიფოში აბსოლუტიზმის გამოვლინებას უწოდებენ, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება პარ-

ლამენტისა და სასამართლოს მიერ არ კონტროლდება.

**აბსოლუტური უფლება**  
→ **უფლება.**

**აბსტრაქციის პრინციპი**  
→ **სანივთო (ქონებრივი) სამართალი.**

**აგრემანი**

წარმოადგენს მიმღები სახელმწიფოს თანხმობას წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად კონკრეტული პირის დასახელებაზე. მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას თანხმობის გაცემაზე. ამასთან, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის მე-4 მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, იგი ვალდებული არ არის ამცნოს წარმგზავნ სახელმწიფოს თანხმობაზე უარის თქმის მიზეზი. თანხმობაზე უარის შემთხვევაში, წარმგზავნი სახელმწიფო დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად ახალ კანდიდატურას ასახელებს. როგორც ნესი, იგივე შედეგი დგება, თუ მიმღები სახელმწიფო გარკვეული დროის განმავლობაში აყოვნებს თანხმობის მიცემას, ვინაიდან აღნიშნული გარემოება დასახელებული პირის მიმღები სახელმწიფოსათვის მიუღებლობის ნიშნად ჩაითვლება.

**აგრესია**

→ **საერთაშორისო დანაშაული.**  
→ **გაეროს** წესდების მე-2 მუხლის მეოთხე აბზაცის მიხედვით, ყველა



ნევრი სახელმწიფო თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისგან (→ **ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა**), რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს → **ტერიტორიული მთლიანობის** ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან არ იქნება შესაბამისობაში გაეროს მიზნებთან. აგრესია ძალის გამოყენების ყველაზე სერიოზულ და სახიფათო ფორმას წარმოადგენს. გაეროს გენერალურმა ასამბლეის 1974 წლის N3314 რეზოლუციამო მიცემულია აგრესიის ცნების განსაზღვრება. კერძოდ, აგრესიად ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება მეორე სახელმწიფოს → **სუვერენიტეტის**, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სახით. აგრესია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით: ა) ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე, ნებისმიერი სახის სამხედრო → **ოკუპაცია**, მიუხედავად იმისა, დროებითი ხასიათის არის იგი თუ არა, თუკი ოკუპაცია თავდასხმის შედეგია; მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის → **ანექსია** ძალის გამოყენებით; ბ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის მიმართ ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენება; გ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს პორტებისა და სანაპიროების → **ბლოკადა**;

დ) სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ მეორე სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე, საზღვაო და საჰაერო ფლოტზე თავდასხმა; ე) ერთი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებიც ამ უკანასკნელთან შეთანხმებით იმყოფებიან მის ტერიტორიაზე; ასევე შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ მათი არგაყვანა; ვ) სახელმწიფოს ისეთი ქმედება, რომელიც მეორე სახელმწიფოს საშუალებას აძლევს გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის აქტის ჩასადენად; ზ) სახელმწიფოს მიერ, მისი არსებითი მონაწილეობით ან მისი სახელით შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, მოხალისეების ან დაქირავებული მეომრების შეგზავნა, რომლებიც შეიარაღებულ ძალას იყენებენ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ისინი აგრესიის აქტად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის სრული. → **გაეროს უშიშროების საბჭოს** შეუძლია სხვა ქმედებებსაც აგრესიის კვალი იფიკაცია მისცეს. სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას, ჩაითვლება აგრესორად, თუ გაეროს უშიშროების საბჭო სხვაგვარად არ შეაფასებს მის ქმედებას. სახელმწიფოს, მის მიმართ განხორციელებული აგრესიის საპასუხოდ, ინდივიდუალური და კოლექტიური → **თავდაცვის უფლება** გააჩნია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დადგენილი აგრესიული ომის მომზადებისა და წარმოებისთვის (404-ე მუხლი)

და აგრეთვე აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ მონოდებისათვის (405-ე მუხლი).

**აგრესორი**  
→ აგრესია.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**

→ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 მაისს. შემდგომ პერიოდში კონვენციაში ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი დამატებითი ოქმების საშუალებით, რომელთა რაოდენობა 14-ს აღწევს. კონვენცია შემუშავებულ იქნა → **ევროპის საბჭოს** ფარგლებში. იგი მოიცავს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კატალოგს, რომელთა პატივისცემა და დაცვა კონვენციის მხარე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა. ვინაიდან კონვენცია ღია ხელმოსაწერად მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრებისათვის, კონვენციის მხარე სახელმწიფოთა რაოდენობა ევროპის საბჭოს წევრთა რაოდენობის იდენტურია. კერძოდ, დღეისათვის კონვენციის მხარეს წარმოადგენს 47 სახელმწიფო. საქართველო კონვენციას შეუერთდა 1999 წელს. კონვენცია შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი მოიცავს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მეორე ნაწილი არეგულირებს → **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** შემადგენლობისა და პროცედურების განხორციელების წესებს და მესამე ნაწილი კი მოიცავს დასკვნით დებულებებს.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

საერთაშორისო სასამართლო, რომელიც დაფუძნებულია → **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის** ფარგლებში (კონვენციის მე-19-51 მუხლები). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი). სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოთა რაოდენობის ტოლია და დღეისათვის წარმოადგენს 47-ს. მოსამართლეებს, თითოეული სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატიდან, ექვსწლიანი ვადით ირჩევენ → **ევროპის საბჭოს** საპარლამენტო ასამბლეა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა კანდიდატურები სახელმწიფოების მიერ არის წარმოდგენილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეები არ წარმოადგენენ სახელმწიფოებს და სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევათა განხილვაზე. იგი უფლებამოსილია განიხილოს ორი სახის განაცხადი: ინდივიდუალური განაცხადი, რომლის შეტანა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, პირთა ჯგუფს, ან არასამთავრობო ორგანიზაციას და სახელმწიფოს მიერ შეტანილი განაცხადი. განაცხადის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს/სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მხარეები არიან. სასამართლო არ-

სებიტად განსახილველად იღებს მხოლოდ იმ განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებს კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვა მხოლოდ შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის შემდეგ არის შესაძლებელი; განმცხადებლის საჩივრები უნდა შეეხებოდეს კონვენციით უზრუნველყოფილი ერთი ან მეტი უფლების დარღვევას; განაცხადის შეტანა უნდა მოხდეს ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან; განმცხადებელი პირადად და უშუალოდ უნდა იყოს დაზარალებული კონვენციის დარღვევის შედეგად; განაცხადი არ უნდა იყოს ანონიმური; განაცხადი არ უნდა იყოს უკვე განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ან სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურის მიერ და ასევე არ უნდა იყოს სახზე განაცხადის შეტანის უფლების ბოროტად გამოყენება. განაცხადის მისაღებობის საკითხს ნყვეტს სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც გადაწყვეტილება განაცხადის მიუღებლად ცნობის შესახებ ერთხმად უნდა მიიღოს. თუ განაცხადი მისაღებად იქნა მიჩნეული, იგი განსახილველად წარედგინება შვიდი მოსამართლისგან შემდგარ პალატას, რომელიც ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დაშვებადობისა და საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. პალატას საქმესთან დაკავშირებით გამოაქვს განჩინება, რომელიც საბოლოო ხდება მხოლოდ სამი თვის შემდგომ, რომლის გან-

მავლობაში, განმცხადებელსა/ მთავრობას შეუძლიათ, მოითხოვონ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა მისი ხელახალი განხილვისთვის. 17 მოსამართლით დაკომპლექტებული დიდი პალატა განაცხადებს განხილავს გამოწვევის შემთხვევებში, როდესაც პალატა მას გადააბარებს თავის იურისდიქციას, ან როდესაც დაკმაყოფილება მხარეთა მოთხოვნა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ. განჩინებები, რომლებიც დასტურდება კონვენციის დარღვევის ფაქტი, სავალდებულოა აღსასრულებლად შესაბამისი სახელმწიფოებისათვის. განჩინების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გააჩნია სამდივნო, რომლის პერსონალიც სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სასამართლოს მართლმსაჯულებას.

**ადამიანის უფლებათა კომიტეტი** წარმოადგენს გაეროს ფარგლებში არსებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მხარეთა მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ფარგლებში (→ **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ**) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. იგი შედგება 18 წევრისგან. კომიტეტი იკრიბება სამ წელიწადში ერთხელ ყენევაში (შვეიცარია) ან ნიუ იორკში (აშშ). პაქტის მხარე ყველა სახელმწიფო ვალდებულია, რომ რეგულარულად წარუდგინოს კომიტეტს პაქტიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების

შესახებ მოხსენება. თავდაპირველად, სახელმწიფომ მოხსენება უნდა წარადგინოს პაქტთან შეერთებიდან 1 წლის შემდეგ, ხოლო შემდგომ, კომიტეტის მოთხოვნისამებრ (როგორც წესი, 4 წელიწადში ერთხელ). კომიტეტი განიხილავს თითოეულ მოხსენებას და იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ. გარდ ამისა, კომიტეტს გააჩნია უფლებამოსილება განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური საჩივრები პაქტის დარღვევების შესახებ. კომიტეტი თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ მოხსენებას წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

### ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კატალოგს, არეგულირებენ მათი დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს და ასევე, აყალიბებენ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში მათი დაცვის სტანდარტებს (→ **ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**; → **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**).

### ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. დეკლარაციის მიღების დღე - 10 დეკემბერი - ყოველწლიურად აღინიშნება როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის უფლებების დაც-

ვის დარგში საბაზისო დოკუმენტს წარმოადგენს. სწორედ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ ჩაუყარა საფუძველი ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, როგორცაა → **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ**, → **საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ**, ასევე → **ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**. დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან, რომლებშიც მოცემულია ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და თავისუფლებები. მიუხედავად იმისა, რომ იგი სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს არ წარმოადგენს, მისი დებულებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებად არიან აღიარებული.

**ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა** საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. გაეროს წესდების პრეამბულაში წევრი სახელმწიფოები გამოხატავენ რწმენას ადამიანის ძირითადი უფლებების მიმართ. წესდების პირველ მუხლში კი გაეროს ერთ-ერთ მიზნად ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის ხელშეწყობისა და გამყარების საკითხში თანამშრომლობა სახელდება. ადამიანის უფლებების დაცვის დარგში გაეროს ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებს შორის უნდა გამოიყოს → **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**, რომლის დებუ-



ლებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებად არიან აღიარებული; ასევე → **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ**, → **საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ**.

**ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები**  
→ **ძირითადი უფლებები და თავისუფლებები**.

**ადგილობრივი თვითმმართველობა**

საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად (ე.წ. ლეგალური დეფინიცია, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ადგილობრივი თვითმმართველობა არის შიდა კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ) და კონსტიტუციით (თავი 71) აღიარებული და გარანტირებული, მოსახლეობის თვითორგანიზაციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა, მმართველობის დეცენტრალიზირებული ფორმა, სადაც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული (საქართველოს) მოქალაქეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სახელმწიფო სუვერე-

ნიტეტის შეუღალხავად თავად აწესრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, რომელსაც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ირჩევენ პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ორგანული კანონი აწესრიგებს და განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საფუძველს, შესაბამის სახელმწიფო გარანტიებს; ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესს, მათ უფლებამოსილებებს და ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოებთან.

**ადვოკატი**

1. სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს → **ბრალდებულის**, → **მსჯავრდებულის**, → **გამართლებულის** ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას. ა) ბრალდებულს (ან ბრალდებულის ახლო ნათესავს ან სხვა პირებს) უფლება აქვს აირჩიოს ან აიყვანოს ადვოკატი, ხოლო თუ ის უქონელია აქვს უფლება დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 41-ე მუხლი). ბრალდებულს არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი). სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვო-

კატი: თუ არასრულწლოვანია; თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას; თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება → **საპროცესო შეთანხმების** დადების თაობაზე; თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას; თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან; თუ არაიდენტიფიცირებული პირია; ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში, ადვოკატის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილი). ბ) ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილი). იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. ადვოკატს უფლება აქვს, გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, დამოუკიდებლად მოიპოვოს მტკიცებულებები, აგრეთვე ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი, → **ბრალდებული**). სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ადვოკატს უფლება აქვს, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, დაკითხოს დაცვის და ბრალდების მონაწილეები, წარადგინოს დასკვნითი სიტყვა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე, 246-ე, 249-ე მუხლები). ადვოკატს მონაწილეობა დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განეცასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი). გ) ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ: ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი; იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს; ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

2. სამოქალაქო სამართალში → **სასამართლო წარმომადგენლობა.**

### ადიუდიკაცია

აღნიშნავს საერთაშორისო სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ ორ სახელმწიფოს შორის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, ადიუდიკაციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება მხარეებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად. ადიუდიკაციის ფორმით შეიძლება, მაგალითად, განხორციელდეს სადავო ტერიტორიის საკითხის გადაჭრა (მაგ. → **საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს** 1992 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება ხალვადორსა და ჰონდურასს შორის დავის თაობაზე).

### ადმინისტრაციული ორგანო

არის საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** ტერმინი, რომელსაც აქვს სპე-

ციალური დატვირთვა კოდექსის მიზნებისთვის. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან → **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო** ან დაწესებულება, → **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ეს ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისაგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას: სახელმწიფო მმართველობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს და ამ მიზნით გამოსცემენ → **ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს**. „ნებისმიერი სხვა პირი“ გულისხმობს იმ კერძო პირებს, რომელთა საქმიანობა კანონით განსაზღვრულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებათა ტოლფასად მიიჩნევა. მმართველობითი უფლებამოსილებებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხ-

ორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იგივე ხარისხით და, ამასთან, ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ (მაგ., ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება).

### ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება

გარანტირებულია → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-12 მუხლით. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს → **ადმინისტრაციულ ორგანოს** ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი → **განცხადება** და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამარ-

თლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცუვლად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

### ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება

საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-9 მუხლის თანახმად, → **ადმინისტრაციული ორგანოს** დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს → **დაინტერესებული მხარის** → **კანონიერი ნდობის საფუძველი**. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ: მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაღი ნაალმდეგო დაპირება; შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს; მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გასცეს დაპირება → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** გამოცემის თაობაზე მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილო-



ბთი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია დაპირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული დაპირების მიმართ გამოიყენება → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** გასაჩივრებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა**  
→ **ზიანის ანაზღაურება.**

**ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები**

ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯარო სამართლებრივი ფორმებია: → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**, → **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**, → **რეალაქტი**, → **ადმინისტრაციული ხელშეკრულება.**

**ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა**

1. ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება → **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის** ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები: ა) გა-

ფრთხილება; ბ) → **ჯარიმა**; გ) იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან → **საქართველოს საგადასახადო კოდექსით** დადგენილი, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; დ) იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო; ე) მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების (სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება) ჩამორთმევა; ვ) გამასწორებელი სამუშაოები; ზ) → **ადმინისტრაციული პატიმრობა.**

საქართველოს კანონებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ფარგლებიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის იმ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ადმინისტრაციული გაძევება, რომლებიც უხემად არღვევენ მართლწესრიგს.

2. საგნების სასყიდლით ჩამორთმევა და კონფისკაცია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით. გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლების ჩამორთმევა, გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა შეი-

ძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეიძლება დადებულ იქნეს ძირითადი ან ძირითადი და დამატებითი სახდელი.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე ითვლება: ა) ბრალეულის გულწრფელი მონანიება; ბ) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებლი ზიანის გამოსწორება; გ) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი ალელეების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; დ) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიერ; ე) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათ-

ვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირის), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებზე ითვლება: ა) მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად; ბ) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; სამართალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ; გ) არასრულწლოვანის ჩაბმა სამართალდარღვევაში; დ) სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ; ე) სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში ან სხვა საგანგებო გარემოებათა დროს. ვ) სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში. ადმინისტრაციული სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე შეუძლია არ ცნოს ეს გარემოება დამამძიმებლად.

6. ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმი-

ნისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში ძირითად სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი სახლდელთაგანი, რომლებსაც ითვალისწინებენ რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები.

### ადმინისტრაციული პატიმრობა

დადგინდება და გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეულ სახეობათა სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისათვის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის 90 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდება შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის წესის დარღვევისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში საქმეს ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების თაობაზე სასამართლო განიხილავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის წარდგინების საფუძველზე. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობის შე-

ფარდების თაობაზე სასამართლოს მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.

### ადმინისტრაციული სამართალდარღვევა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია → **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა**. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირებს.

### ადმინისტრაციული სამართალი

არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი. ის, როგორც საჯარო მმართველობის სპეციალური სამართალი, აერთიანებს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მონყოფის საკითხებს, მათ მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და → **ადმინისტრაციულ წარმოებას**. ადმინისტრაციული სამართალი იყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ადმინისტრაცი-

ულ სამართლად. ეს დაყოფა უკავშირდება რეგულირების ობიექტს. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი მოიცავს იმ პრინციპებს, ცნებებსა და სამართლის ინსტიტუტებს, რომლებიც საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსათვის. ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი აერთიანებს მმართველობითი საქმიანობის ცალკეულ სფეროებს. შესაბამისად, შეგვიძლია გამოვყოთ მუნიციპალური სამართალი, სამშენებლო სამართალი, სოციალური სამართალი, საგადასახადო სამართალი, საპოლიციო სამართალი, საბაჟო სამართალი, ეკოლოგიური სამართალი და ა.შ.

**ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი**

განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. თუ კი აღნიშნული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) → **ადმინისტრაციული ხელშეკრულების** დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) → **ადმინისტრაციული ორგანოს** ვალდებულება → **ზიანის ანაზღაურების**, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურიერ-

თობის არსებობა-არარსებობის დადგენა. სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე. აღნიშნული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს → **სარჩელი** იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გადაწყვეტაც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა → **ადმინისტრაციული საჩივრის** ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.

**ადმინისტრაციული საჩივარი**

1. არის → **დაინტერესებული მხარის** მიერ უფლებამოსილ → **ადმინისტრაციულ ორგანოში** საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით** დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორ-



ციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** გამოცემას;

2. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს სამი ძირითადი ფუნქცია:

1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა; 3. სასამართლოების განტვირთვა. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებელია ის, რომ დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სზაკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული საჩივარი ასევე შესაძლებელია ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით. ადმინისტრაციულ საჩივარი არის → **სარჩელის** დასაშვებობის ნინაპირობა. სასკ-ის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ → **მოსარჩელემ** სზაკ-ით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ის უპირატესობა, რომ ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწმდება გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და კანონიერება; ადმინისტრაციულ საჩივართან

დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დებულებანი.

3. ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, ე.ი. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია მხოლოდ დაინტერესებული მხარის ინიციატივა, მის მიერ წერილობითი ფორმით წარდგენილი საჩივარი. თუკი ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი ინიციატივით ახდენს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების გადამოწმებას, ეს ხორციელდება არა სზაკ-ის XIII თავის საფუძველზე, არამედ – სზაკ-ის მე-60-62-ე მუხლებზე დაყრდნობით. რამდენადაც ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია ადმინისტრაციული საჩივარი, კანონმდებელი განსაზღვრავს მის რეკვიზიტებს. სზაკ-ის 181-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარში უნდა აღინიშნოს: ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, სადაც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება; დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება; ე) მოთხოვნა; ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა; ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დაერთული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუ იქ არსებობს მისი გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო თუ აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ – ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული რეალაქტი საჩივრდება ერთი თვის ვადაში - იმ დღიდან, როდესაც დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედების განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნით. ასევე, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

4. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელთა დაკავშირებითაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. მაგ., ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის უფლება აქვს პირს, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის (მშენებლობის აკრძალვის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების) ადრესატი. ასევე საჩივრის შეტანის უფლება აქვს იმ პირს, რომელიც არ არის ადმინისტრაციული ღონისძიების უშუალო ადრესატი, არამედ არის იმ პირის მეზობელი, რომლის მიმართაც გამოიცა მშენებლობის ნებართვა, რამდენადაც ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის კანონიერ ინტერესზე.

5. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა წარმოშობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით განხორციელებული წარმოების გაგრძელებას, რომლის მიზანია ახალი გადაწყვეტილების ანუ დაინტერესებული მხარისათვის მისაღები ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. სზაკ-ის 184-ე მუხლი ადგენს საჩივრის სუსპენსიურ ეფექტს, რაც გულისხმობს გასაჩივრებული აქტის მოქმედების ავტომატურ შეჩერებას და ეს არ არის დამოკიდებ-



ული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას; ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით; ც) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე; დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას. აღნიშნული საფუძველებით აქტის მოქმედების გაგრძელება დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი საფუძველი გვაქვს სახეზე, რაც ვახდა გასაჩივრებული აქტის მოქმედების გაგრძელების საფუძველი.

6. თუ კანონით ან კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია მეტი დრო, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ. ად-

მინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის სხვაკით დადგენილ მოთხოვნებს.

**ადმინისტრაციული სახდელი**  
**→ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.**

**ადმინისტრაციული წარმოება**  
 1. განმარტებულია საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული წარმოება არის → **ადმინისტრაციული ორგანოს** საქმიანობა, რომელიც მიმართულია → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** მომზადების, გამოცემის და აღსრულებისაკენ, ან → **ადმინისტრაციული ხელშეკრულების** მომზადების, დადების ან გაუქმებისაკენ, ან → **ადმინისტრაციული საჩივრის** გადაწყვეტისაკენ. წარმოების მიზნები განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების

ინსტიტუტის არსს და მოცულობას. ადმინისტრაციული წარმოების სახეებია: მარტივი, ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2.1 თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო → **ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს** ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ნორმები თავმოყრილია სზაკ-ის მე-6 თავში.

2.2 ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

2.3 საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. შეგვიძლია გამოვყოთ სამი შემთხვევა, როდესაც კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის გამოყენების შესაძლებლობას: პირველ რიგში, თვით სზაკ-ი განსაზღვრავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, რომელიც განსაზღვრულია კოდექსით. ასევე შესაძლებელია, ცალკეულ კანონებში გაკეთდეს დათქმა გადაწყვეტილების საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შედეგად მიღების შესახებ.

მესამე შემთხვევა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

3. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით. სზაკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციული საჩივარი ასევე შესაძლებელია ადმინისტრაციული რეალაქტის განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით. ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერება და მიზანშეწონილობა.

**ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება**

უზრუნველყოფილია → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით**. → **ადმინისტრაციულ წარმოებაში** მონაწილე → **დაინტერესებულ მხარეს** უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუნებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებ-



ში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის მასალებიც, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ → **ადმინისტრაციულ ორგანოში**, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დანესებულებაში. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით. არ შეიძლება დანესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

**ადმინისტრაციული ხელშეკრულება**

როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი საჯარო-სამართლებრივი ფორ-

მა განმარტებულია საქართველოს → **ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში**. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში და მისი მომწესრიგებელი ნორმები თავმოყრილია კოდექსის მე-5 თავში (მუხლები 65-71). → **ადმინისტრაციული ორგანოს** მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას ასევე გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით დადგენილი მარტივი წარმოების დაბულებები და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

1. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება. ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

2. გამოჯვანა სამოქალაქო-სამართლებრივი → **ხელშეკრულები-საგან**. ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. არ არის არსებითი ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივი სტატუსი. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ის მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად. შესაძლებელია, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად

ელემენტს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი.

3. გამიჯვნა → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან**. ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ისევე როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აწესებს, ცვლის ან წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მათი საერთო მახასიათებელია ის, რომ ორივე ადმინისტრაციული ნარმოების პროდუქტს წარმოადგენს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების განმასხვავებელი ნიშანია შემდეგი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს ცალმხრივი ნების გამოხატვის შედეგია, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულება კი ორმხრივი ნების გამოვლენის აქტია.

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**

განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს → **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას**, რომელი → **ადმინისტრაციული სახდელი**, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. ტერმინი მოიცავს → **ადმინისტრაციული ორგანოს** საქმიანობის

ორ სამართლებრივ ფორმას: → **ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს** და → **ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს**.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება**

→ **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**.

**ავტონომია**

ზოგადად ნიშნავს სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილებას, სახელმწიფოს სტატუსის დამკვირდების გარეშე, თვითმმართველობის გზით თავად მოანესრიგოს გარკვეული საკითხები, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სახელმწიფო კანონმდებლობის ხელყოფის გარეშე შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილებას. ერთმანეთისაგან განასხვავებენ სრულ და ნაწილობრივ ავტონომიას. სრულ ავტონომიად ითვლება მხარე (ტერიტორიული ერთეული), რომელიც საგარეო ურთიერთობებში წარმოდგენილია „სხვა“ სახელმწიფოს მიერ, ხოლო შიდა ურთიერთობებსა და საქმიანობას უძღვება და განაგებს სრული დამოუკიდებლობით. ნაწილობრივი ავტონომია ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულად განსაზღვრულ სფეროებში შემავალი საკითხების ნორმატიული მონესრიგების უფლებამოსილებას, როგორცაა, მაგალითად, ენა, საშუალო განათლება, ეკლესია, რის გამოც ასევე საუბრობენ ე.წ. კულტურულ ავტონომიაზე. საერთაშორისო სამართლის ქრილში ავტონომიის მინიჭება უმთავრესად ხდება ეროვნულ (ეთნიკურ) უმ-

ცირესობათა უფლებების დაცვის მიზნით. შიდასახელმწიფოებრივ ქრილში ავტონომია ნიშნავს ამა თუ იმ პირის (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ორგანოს (მათ შორის კოლეგიის), ორგანიზაციის, დაწესებულების, სანარმოს, ტერიტორიული ერთეულის უფლებას, თავიანთი საქმიანობის სფეროში ისარგებლონ განსაზღვრული ხარისხის დამოუკიდებლობით, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მათ შიდა საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების ნორმატიული აქტებით მონესრიგების უფლებამოსილებას.

### ავტორიზაცია

სასწავლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; ავტორიზაციის სტანდარტებია: ა) საგანმანათლებლო პროგრამები; ბ) მატერიალური რესურსი; გ) ადამიანური რესურსი. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. ავტორიზაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ქმნის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით. ავტორიზაციის თაო-

ბაზე გადანყვეტილებას იღებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომლის წევრებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ავტორიზაციის საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე. ავტორიზაციის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით, რომლითაც გარანტირებულია მისი ფუნქციური დამოუკიდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისაგან.

### აკადემიური თავისუფლება

→ **აკადემიური პერსონალისა და**  
→ **სტუდენტთა** უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა.

### აკადემიური თანამდებობა

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტი-პროფესორი (→ **აკადემიური პერსონალი**). პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

### აკადემიური პერსონალი

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** აკადემიური პერ-

## აკადემიური უმაღლესი განათლება

სონალი შედგება პროფესორები-საგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება → **სრული პროფესორი**, → **ასოცირებული პროფესორი** და → **ასისტენტ-პროფესორი**. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებს.

**აკადემიური უმაღლესი განათლება** უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს → **ბაკალავრიატის**, → **მაგისტრატურისა** და → **დოქტორანტიურის** → **საგანმანათლებლო პროგრამებს**.

### აკადემიური წოდება

წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;

### აკადემიური ხარისხი

კვალიფიკაცია, რომელსაც პირს → **აკადემიური უმაღლესი განათლების** შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს → **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**.

### აკლამაცია

საერთაშორისო ორგანიზაციებში გადანყვეტილების მიღების ერთ-ერთი წესი, რომლის მიხედვითაც გადანყვეტილების მიღება/უარყოფა ხდება არა კენჭისყრით, არამედ გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე პირთა რეაქციის საფუძველზე, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს აპლოდისმენტებში, რეპლიკებში და ა.შ.

## აკრედიტაცია

1. აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია სახელმწიფო დაფინანსების მიღება, ასევე უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება; აკრედიტაციის ჩატარებას უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აკრედიტაციის თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად იქმნება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, რომლის წევრებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აკრედიტაციის საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე. აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით, რომლითაც გარანტირებულია მისი ფუნქციური დამოუკიდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფო ორგანოებისაგან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აკონტროლებს აკრედიტაციის პირობების შესრულებას. მათი დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიმართოს აკრედიტა-

ციის საბჭოს აკრედიტაციის გაუქმების მოთხოვნით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, უფლება აქვთ, ხარისხის კონტროლის მიზნით ერთობლივად დააფუძნონ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის შეფასებები შესაძლებელია განიხილოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მსვლელობისას. აკრედიტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ქმნის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, რომლის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით. აკრედიტაციის ჩატარების პირველი საფეხურია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციის მაძიებლისთვის წინასწარ მიწოდებული ფორმების მიხედვით აკრედიტაციის მაძიებლის მიერ განხორციელებული თვითშეფასება.

2. აკრედიტაცია წარმოადგენს წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ პირისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პირი უფლებამოსილია, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, წარმომადგენლის წარმგზავნი სახელმწიფო მიმღებ სახელმწიფოში. ამ მიზნით გაცემული რწმუნების სიგელი აკრედიტაციის პროცესის დასასრულებლად გადაეცემა მიმღები სახელმწიფოს მეთაურს ან სხვა უფლებამოსილ წარმო-

მადგენელს. მხოლოდ აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ შეუძლია დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს ოფიციალურად შეუდგეს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებას.

### აკრედიტივი

1. აკრედიტივის ძალით, საბანკო დაწესებულება კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტების სანაცვლოდ უზღის რემიტენტს ფულად თანხას ან გაანაღდებს რემიტენტისაგან გადმოპირებულ თამასუქს, მოახდენს აქცეპტს, ან დაავალებს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელებას, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები (სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლი). აკრედიტივს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ვაჭრობაში. დოკუმენტალური აკრედიტივის შეთანხმება ხდება მყიდველსა და გამყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენს აკრედიტივის სამართლებრივ საფუძველს. აკრედიტივის საფუძველზე რემიტენტი იღებს მოთხოვნის უფლებას თანხის გადახდაზე საბანკო დაწესებულების მიმართ. რემიტენტის ეს უფლება არსებობს საბანკო დაწესებულებასა და კლიენტს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობისგან დამოუკიდებლად და გამომდინარე აქედან, კლიენტი ან ბანკი ვერ წარუდგენს რემიტენტს შესაგებელს ამ მოთხოვნის უფლების საპირისპიროდ, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. როგორც წესი, შესაძლებელია აკრედიტივის სხვა პირზე გადაცემა.

2. დიპლომატიურ ურთიერთო-

ბებში აკრედიტივი წარმოადგენს წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ გაცემულ რწმუნების სიგელს, რომელიც ადასტურებს დიპლომატიისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

**ალბათობის მაღალი ხარისხი**

სისხლის სამართლის პროცესში არის სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის სავალდებულო მტკიცებულებითი სტანდარტი. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ → **წინასასამართლო სხდომის** მოსამართლე დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

**ალიმენტის გადახდვინების წესი → სარჩოს გადახდის ვალდებულება.**

**ალმის სახელმწიფო**

სახელმწიფო, რომლის გემების სახელმწიფო რეესტრში არის დარეგისტრირებული შესაბამისი გემი და რომლის სახელმწიფო დროშის ქვეშაც აღნიშნული გემი ახორციელებს ნაოსნობას. თითოეული სახელმწიფო თვითონ ადგენს გემების რეგისტრაციისა და თავისი სახელმწიფო დროშის ქვეშ ცურვის უფლების მინიჭებისათვის საჭირო პირობებს. გემს აქვს იმ სახელმწიფოს ეროვნება, რომლის დროშის ქვეშ ცურვის უფლებაც მას აქვს მინიჭებული. უნდა არსებობდეს რეალური კავშირი სახელმწიფოსა და გემს

შორის. კერძოდ, სახელმწიფომ მისი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეფექტიანად უნდა განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია და კონტროლი ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და სოციალურ საკითხებთან მიმართებაში. ღია ზღვაში მცურავ გემზე განსაკუთრებული იურისდიქცია აქვს იმ სახელმწიფოს, რომლის ალმითაც დაცურავს მოცემული გემი. საქართველოს საზღვაო კოდექსის 28-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ალმით ნაოსნობის უფლება აქვს გემს, რომელიც წარმოადგენს: ა) საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებას; ბ) საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებას; გ) უცხოელ გემთმფლობელთა საკუთრებას, რომელთაც საქართველოში ჰყავთ თავიანთი უფლებამოსილი წარმომადგენლები; დ) უეკიპაჟოდ გემის დაქირავების ხელშეკრულებით ექსპლუატაციაში მყოფ გემს.

**ალტერნატივის პრინციპი**

ალტერნატივის პრინციპის მიხედვით, → **საერთაშორისო ხელშეკრულების** კონკრეტულ ეგზემპლარში ის მხარე არის პირველ ადგილზე ნახსენები, რომლისთვისაც არის განკუთვნილი აღნიშნული ეგზემპლარი. იგივე წესი მოქმედებს ხელშეკრულების ხელმოწერის რიგითობასთან მიმართებაში. ალტერნატივის პრინციპი არის სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპის გამოხატულება (შეად. → **სუვერენული თანასწორობა**), რომელიც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ხელმოწერის რიგითობა მხარეების სახელწოდებების მიხედ-

ვით განისაზღვრება, რომელიც დაფუძნებულია, უმეტესწილად, ინგლისურ ანბანზე.

### ამნისტია

ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტიის აქტით, რომელიც ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს და გამოიყენება როგორც ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიება, ბრალდებული და განსასჯელი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტია ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულებში (აღნიშნული დანაშაულები განისაზღვრება ცალკეულ ამნისტიის აქტებში) ბრალდებული, განსასჯელი და მსჯავრდებული პირებისათვის. სასჯელმოხდის ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლი). ამნისტია ცხადდება საქართველოს კანონით “ამნისტიის შესახებ”.

### ამოსაცნობად წარდგენა

წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს, რომელიც ტარდება პირის, საგნის ან გვამის ამოსაცნობად ამომცნობის თანხმობით. ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობი უნდა გამოიკითხოს ამოსაცნობი ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისე-

ბების თაობაზე და იმ გარემოების შესახებ, რომელშიც მას შეხება ჰქონდა ამოსაცნობი ობიექტთან. ამომცნობისას ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო ამოსაცნობი ობიექტი. ამომცნობს ამოსაცნობი წარედგინება იმავე სქესის არანაკლებ 2 ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. ამომცნობს ამოსაცნობი ობიექტი წარედგინება არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი ობიექტის ამომცნობისას, რომლის ანალოგის შერჩევაც შეუძლებელია, ამომცნობა ტარდება მხოლოდ ერთი ამოსაცნობი ობიექტის მიხედვით. ამომცნობს სთავაზობენ, მიუთითოს ობიექტი, რომლის ამომცნობაც შეუძლია და განმარტოს, რა ნიშან-თვისებებით ამოიცნო იგი. ამომცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამომცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიანიშნებს ამოსაცნობი ობიექტზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი).

### ამოლება

წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს. ამოლება როგორც წესი ტარდება სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი

ნანილი). საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს → **დასაბუთებული ვარაუდი**, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გამოძიებელს უფლება აქვს, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში. განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების წარდგენის შემდეგ გამოძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-4 ნაწილი). დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება დასაშვებია მხოლოდ ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით (სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი). თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად

არ წარადგინა, იგი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იქნა ამოღებული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**ამოცნობა**

→ **ამოსაცნობად წარდგენა.**

**ამსრულებელი**

დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული - ე.წ. ერთპიროვნული ამსრულებელი, აგრეთვე ის, ვინც სხვა პირთან ან პირებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში - ე.წ. → **თანაამსრულებლობა**. იმ შემთხვევაში, თუ პირი დანაშაულს ჩაიდენ ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოებების გამო), იგი წარმოადგენს → **შუალობით ამსრულებელს** (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი). ამსრულებლობისგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულში → **თანამონაწილეობა**, რომლის სახეებია → **ორგანიზატორი**, → **ნამკეზებელი** და → **დამხმარე**.

**ამსრულებლის ექსცესი**

ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა. მაგალითად, ამსრულებელი გასცდა საერთო დანაშაულებრივი ჩანაფიქრის ფარგლებს და მან განახორციელა უფრო მძიმე ან სულ სხვა დანაშაულის შემადგენლობა. ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ



დაეკისრება, (სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი) თუ ისინი მიზნობრივი კავშირითა და თუნდაც არაპირდაპირი განზრახვით დაკავშირებული არ არიან ამსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან.

### ამხანაგობა

არის ორი ან რამდენიმე პირის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად შექმნილი გაერთიანება (სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლი). ამხანაგობა არ არის → **იურიდიული პირი**. დღეს გაბატონებული შეხედულების თანახმად, რამდენადაც ამხანაგობა განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელია და იგი ამ სახით გამოდის სამოქალაქო ურთიერთობებაში, მას აქვს → **საპროცესო უფლებათუნარიანობა** და → **საპროცესო ქმედუნარიანობა**. მაშასადამე, ამხანაგობა შეიძლება იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე. ამხანაგობის შექმნა ხშირად ხდება სამოქალაქო ურთიერთობებში და ხშირ შემთხვევაში მონაწილენი ვერ აცნობიერებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული გარიგებების შედეგად, მათ ამხანაგობა შექმნეს (მაგალითად, რამდენიმე პირის მიერ ექსკურსიისათვის ავტობუსის ქირავნობა).

1. ხელშეკრულება ამხანაგობის დაფუძნების შესახებ არის → **ორმხრივი ხელშეკრულება**, რომელიც ვალდებულებით სამართალს განეკუთვნება. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნერილობით ან ზეპირად. ამხანაგობის მონაწილეებს აქვთ შემდეგი ვალდებულებები: ისინი ვალდებული არიან განახორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანეები. შესატანი შესაძლებელია განხ-

ორციელდეს როგორც ქონებით, ისე მომსახურების განწევით. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას (სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლი). ამხანაგობის მონაწილეთა მიერ ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება გულისხმობს თითოეული მათგანის მიერ ამხანაგობის ინტერესების გათვალისწინებით იმ მოქმედებებისაგან თავის შეკავებას, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს ამხანაგობას. ამხანაგობის მონაწილის მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს → **მოთხოვნის უფლება** ამხანაგობის მიერ მიღებულ შემოსავალზე მისი წილის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლი). გარდა ამისა, ამხანაგობის თითოეულ წევრს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ამხანაგობის საქმიანობის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 935-ე მუხლი).

2. ამხანაგობის საქმიანობას მონაწილეები უძღვევიან ერთობლივად. შესაბამისად, გარიგების დადებისას საჭიროა ყველა მონაწილის თანხმობა (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი). ამხანაგობის ხელშეკრულებით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა უმრავლესობა, ასევე, ამხანაგობის საქმეების გაძლოლა დავალოს ერთ ან რამდენიმე მონაწილეს. თუ ხელშეკრულებით ამხანაგობის საქმეების გაძლოლა დაკისრებული აქვს ერთ მონაწილეს, საეჭვოობისას ის წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია. იმ შემთხვევაში, როცა საქმეების გაძლოლა დავალებული

აქვს რამდენიმე მონაწილეს ერთ-მანეთისაგან დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია შეედავოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედეგების შემთხვევაში გარიგება არ დაიდება (სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი). მესამე პირებთან ურთიერთობაში მონაწილეები წარმოადგენენ ამხანაგობას იმ სახით, რა მოცულობითაც მათ დავალებული აქვთ ამხანაგობის საქმეების გაძღოლა.

3. ამხანაგობის ქონება წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. ქონება მოიცავს როგორც მონაწილეების მიერ განხორციელებულ შესატანებს, ისე ამხანაგობის საქმეების გაძღოლის შედეგად მიღებულ ქონებას (ნივთი და უფლება). კრედიტორების წინაშე ამხანაგობის მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად (**→ სოლიდარული ვალდებულება**) თავიანთი პირადი ქონებით. თუ აღსრულება ხორციელდება ამხანაგობის მონაწილეთა პირად ქონებაზე, აუცილებელია, რომ სააღსრულებო ფურცელი გაცემულ იქნეს მათ მიმართ. კრედიტორებთან შეთანხმებით შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობა შეზღუდულ იქნეს მხოლოდ ამხანაგობის ქონებაზე.

4. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთერთი მონაწილის გასვლა იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე პატივსაცემი მიზეზის გამო ამხანაგობის მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, ამხანა-

გობის შეწყვეტის საფუძვლებია: ა) ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა; ბ) მონაწილეთა გადაწყვეტილება; გ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა; დ) ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ამხანაგობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალებისა და ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლი). ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას ამხანაგობა გადადის ლიკვიდაციის პროცესში, რომლის დროსაც უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებული არიან გაისტუმრონ ვალები თავიანთი წილის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლი).

**ანაზღაურების რისკი**  
**→ რისკზე პასუხისმგებლობა.**

**ანალოგია**  
ნიშნავს სამართლებრივი წესის გამოყენებას იმ შემთხვევებზე, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის მონესრიგებული. როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული სამართლის არც ერთ ნორმაში, ადგილი

აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში. განასხვავებენ კანონისა და სამართლის ანალოგიას. სამართლის ანალოგიის დროს, ნორმის მოქმედება ვრცელდება სამართლით მოუწესრიგებელ, მაგრამ მსგავს ურთიერთობებზე. თუ მსგავსი ურთიერთობის გადაწყვეტა ხდება ერთეული ნორმიდან გამომდინარე, მაშინ სახეზეა კანონის ანალოგია (*analogia legis*); თუ ერთდროულად რამდენიმე ნორმიდან ან სამართლის სისტემიდან, მაშინ \_ სამართლის ანალოგია (*analogia juris*). თუ სამართლის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად, ვერ "პოულობს" კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, მან უნდა გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა. ანალოგიის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა საკანონმდებლო ხარვეზის შევსება. საკანონმდებლო ხარვეზი შეიძლება იყოს ღია ან ფარული. ფარული ხარვეზი კანონმდებლისთვის ცნობილია, მაგრამ იგი შეგნებულად არ ასწორებს ამ ხარვეზს. ფარულ ხარვეზს ხშირად უწოდებენ კანონის წინასწარ გამიზნულ არასრულყოფილებას (კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი). წინასწარ გამიზნული ხარვეზის შემთხვევაში ანალოგია არ დაიშვება. სამართლის შემფარდებელი არაა უფლებამოსილი იმოქმედოს კანონმდებლის ნების სანინაღმდეგოდ. კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის უფლება სამართლის შემფარდებელს არ აქვს. სამართლის ანალოგია არ დაიშვება, თუ კანონის ინტერპრეტაციის შედეგად დადგინდება, რომ კანონისმიერი მოწესრიგება აღნიშნულ ურთიერ-

ობას მოიცავს, ასევე, თუ კანონი ცალსახად ადგენს სამართლებრივი შედეგის მხოლოდ კონკრეტულ საკანონმდებლო შემადგენლობაზე გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შეზღუდვებს ანალოგიის პროცესში. კერძოდ, ანალოგიით არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები). ასევე, როგორც წესი, სამართლის ნორმის ან პრინციპის ანალოგიურად გამოყენება, დაშვებულია. მატერიალურ სისხლის სამართალში პრინციპი, რომ სასჯელის დაწესება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა მისი ჩადენის დროს კანონით იყო განსაზღვრული, კრძალავს ანალოგიის გამოყენებას დამნაშავეის სანინაღმდეგოდ („*nullum crimen/nulla poena sine lege*“ - „არ არსებობს დანაშაული/სასჯელი კანონის გარეშე“; საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი). აკრძალულია, ზოგადად, კანონის ანალოგია, მაგრამ არა კანონის განმარტება, თუმცა მათი გამოიჯენა ხშირად რთულია. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაშვებია ანალოგიის გამოყენება დამნაშავეის სასარგებლოდ და სისხლის სამართლის პროცესში.

### ანგარია

მეომარი სახელმწიფოს უფლება გამოიყენოს, ან საჭიროების შემთხვევაში, გაანადგუროს ნეიტრალური სახელმწიფოს ქონება (შეად. → **ნეიტრალიტეტი**). ამასთან, მან ამ ქმედებით გამოწვეული ზიანისთვის სრული კომპენსაცია უნდა გადაიხადოს.

## ანდერძი

1. ანდერძი არის მამკვიდრებლის ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად იგი განსაზღვრავს გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების გადასვლას მემკვიდრეებზე და ამ შემთხვევაში, ანდერძით მემკვიდრეობა ცვლის კანონით მემკვიდრეობას (სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1344-ე მუხლები). მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით ჩამოართვას კანონით მემკვიდრეობა ისე, რომ არ განსაზღვროს მემკვიდრე, ასევე, განსაზღვროს → **საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)**, სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლი). მამკვიდრებელმა ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად და არ დაიშვება → **წარმომადგენლის** მემკვიდრეობით ანდერძის შედგენა; დასაშვებია ანდერძის შედგენის დროს სხვა პირის დახმარება ან კონსულტაცია; ანდერძის ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს მოანდერძის → **ქმედუნარიანობა**; ანდერძის შინაარსის განსაზღვრაში, მოანდერძე თავისუფალია (სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლი).

2. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ანდერძის რამდენიმე ფორმას, რომელიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორდინალურ და სანოტარო ფორმის ანდერძებად: ა) ორდინალური ანდერძი ეწოდება მოანდერძის მიერ საკუთარი ხელით შედგენილ ანდერძს (სამოქალაქო კოდექსის 1346-ე, მუხლები). მოანდერძემ ანდერძი თავისი ხელით უნდა დაწეროს და ხელი მოაწეროს მას. ტექნიკური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მოანდერძემ ხელი მოაწეროს და მისი ხელმოწერა ორი მოწმის თანდასწრებით მოხდეს (სამო-

ქალაქო კოდექსის 1364-ე, 1366-ე მუხლები). მოანდერძის ხელმოწერა შესრულებულ უნდა იქნას სახელისა და გვარის აღნიშვნით, თუმცა დასაშვებია ისეთი ხელმოწერა, რომელიც არ იწვევს ეჭვს, რომ ხელმოწერა შესრულებულია მოანდერძის მიერ; თავისი ხელით შედგენილი ანდერძი მოანდერძეს შეუძლია გადასცეს ნოტარიუსს სამი მოწმის თანდასწრებით ნოტარიუსთან დეპონირებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 1365-ე მუხლი); ბ) სანოტარო ფორმით დამოწმებული ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იქნას მოანდერძის მიერ და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლი). შესაძლებელია, რომ ანდერძი მოანდერძის სიტყვებით ჩაიწეროს ნოტარიუსმა. ამ ფორმით შედგენილ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მოანდერძემ ნოტარიუსისა და ორი მოწმის თანდასწრებით; ანდერძის შედგენისას დასაშვებია ტექნიკური საშუალებების გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 1365-ე, 1366-ე მუხლები). თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია ან ყრუ-მუნჯი წერა-კითხვის უცოდინარია, მას შეუძლია საანდერძო განკარგულება გააკეთოს ნოტარიუსთან ორი მოწმისა და იმ პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია მას გააგებინოს საქმის არსი და ხელმოწერით დაადასტუროს, რომ ანდერძის შინაარსი შეესაბამება მოანდერძის ნებას; ბრმა პირის ან ბრმა წერა-კითხვის უცოდინარი პირის საანდერძო განკარგულება შეიძლება გაკეთდეს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით და ამის თაობაზე უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი (სამოქალაქო კოდექსის 1361-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუ-

ხლი შეიცავს იმ პირთა ჩამონათვალს, რომლებიც გათანაბრებული არიან ნოტარიუსთან. თავისი ხელით შედგენილ და სანოტარო წესით დამონმბებულ ანდერძს შორის არ არსებობს განსაზღვრული რანგი, მაგრამ რამდენიმე ანდერძის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს (სამოქალაქო კოდექსის 1401-ე მუხლი).

3. მონდერძეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი. მონდერძის მიერ ასეთი ქმედების განხორციელება ც მოითხოვს მის → **ქმედუნარიანობას**. ანდერძის შეცვლა ან მოშლა ხდება ახალი ანდერძის შედგენით, რომელიც აუქმებს წინა ანდერძს ან მის ნაწილს, სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით, ან მონდერძის მიერ ანდერძის ყველა ეგზემპლარის განადგურებით (სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლი). თუ რამდენად ხდება წინა ანდერძის ან მისი ნაწილის გაუქმება, ან რამდენიმე შედგენილი ანდერძი რამდენად ავსებენ ან ცვლიან ერთმანეთს, განმარტებულ უნდა იქნას → **ინტერპრეტაციის** საფუძველზე (იხ. აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 1400-ე მუხლი). თავის მხრივ, შესაძლებელია იმ ანდერძის გაუქმებაც, რომლის საფუძველზეც გაუქმებულ იქნა წინა ანდერძი. ამ შემთხვევაში, არ დაიშვება წინა ანდერძის აღდგენა (სამოქალაქო კოდექსის 1399-ე მუხლი).

4. ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ინვევენ გარიგების ბათილობას, მაგალითად, მამკვიდრებლის მიერ დაშვებული შეცდომის ან მოტყუების გამო (→ **შეცილება**). ანდერძი ბათილ-

ია იმ შემთხვევაშიც, როდესაც საანდერძო განკარგულება ეწინააღმდეგება კანონს ან საზოგადოებრივ ინტერესს, ან საანდერძო განკარგულებები გაუგებარია ან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს (სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლი). ანდერძის ბათილობა სამემკვიდრეო სამართალში დაკავშირებულია ზოგადად სამოქალაქო სამართალში არსებული გარიგების ბათილობის გარემოებებთან და, გარდა ამისა, შეიცავს კიდევ დამატებით გარემოებებს, რომლებიც ინვევენ ანდერძის ბათილობის სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, ანდერძის ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს ის, რომ მამკვიდრებელს ანდერძის შედგენის მომენტში არა აქვს მოქმედების ნება, ან ნების გამოვლენის სურვილი, ან ანდერძის შედგენამ გამოიწვიოს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი. ასევე, ბათილია ის საანდერძო განკარგულება, რომელიც შეეხება იმ ნივთს ან ფულად თანხას, რომელიც არ განეკუთვნება სამკვიდრო ქონებას; ბათილია, ასევე, საანდერძო განკარგულება, რომელიც განსაზღვრავს, რომ მემკვიდრე სამკვიდროს შეიძენს მხოლოდ განსაზღვრული დროით და არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, ან იმ პირზე მითითებით, რომელზეც უნდა გადავიდეს ქონება მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 1404-ე მუხლი). ერთ-ერთი საანდერძო განკარგულების ბათილობა არ ინვევს სხვა საანდერძო განკარგულებების ბათილობას. ანდერძის ნამდვილობა შეუძლიათ სადავო გახადონ მემკვიდრეებმა ან სხვა დაინტერესებულმა პირებმა იმ გარემოებათა გამო, რომლებიც გარიგების ბათილობას ინვევენ, სამკვიდროს

## ანდერძის აღმსრულებელი

გახსნის დღიდან ორი წლის განმავლობაში, სასამართლოში სარჩელის წარდგენით (სამოქალაქო კოდექსის 1408-ე, 1409-ე მუხლები).

## ანდერძის აღმსრულებელი

→ ანდერძის აღსრულება.

## ანდერძის აღსრულება

საანდერძო განკარგულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების მიზნით მამკვიდრებელს შეუძლია განსაზღვროს ანდერძის ერთი ან რამდენიმე აღმსრულებელი → **მემკვიდრეთა** წრიდან ან სხვა პირი, რომელიც არ არის მემკვიდრე ან დაავალოს მესამე პირს ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა (სამოქალაქო კოდექსის 1411-ე, 1413-ე მუხლები). თუ ანდერძის აღმსრულებელი საანდერძო განკარგულებით არ არის განსაზღვრული, მაშინ ანდერძის აღსრულება ევალებათ მემკვიდრეებს. ანდერძის აღმსრულებლის ვალდებულებას წარმოადგენს დაიცვას და მართოს → **სამკვიდრო ქონება** და განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭიროა ანდერძის აღსრულებისათვის, მაგალითად, მფლობელობაში მიიღოს სამკვიდრო ქონება, განკარგოს ნივთები და სამკვიდროს დაცვის მიზნით განახორციელოს შესაბამისი → **უფლებები**. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში მემკვიდრეები კარგავენ სამკვიდროს მართვის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 1415-ე მუხლი). ასევე, ანდერძის აღმსრულებელი ვალდებულია მემკვიდრეების მოთხოვნით წარუდგინოს მათ ანგარიში განეული საქმიანობის შესახებ. თუ ანდერძის აღმსრულებლად დანიშნულია რამდენიმე პირია, ერთპიროვნული მოქმედება დაიშვება მხოლოდ სამკვიდროს

დაცვის მიზნით, სხვა შემთხვევებში საჭიროა მათ შორის შეთანხმება. ანდერძის აღმსრულებელი მოვალეობას ასრულებს უსასყიდლოდ, თუმცა შეიძლება გასამრჯელოც მიიღოს, თუ ეს ანდერძითაა გათვალისწინებული; ამასთან მას აქვს სამკვიდროდან იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების უფლება, რაც მან გასწია სამკვიდროს დაცვასა და მართვაზე (სამოქალაქო კოდექსის 1417-ე მუხლი). ანდერძის აღმსრულებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ანდერძით დაკისრებული მოვალეობების განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის გამო; ანდერძის აღმსრულებლის მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისას დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ანდერძის აღმსრულებლის გადაყენების მოთხოვნით (სამოქალაქო კოდექსის 1419-ე, 1420-ე მუხლები).

## ანდერძის განმარტება

→ ანდერძი.

## ანდერძის შედგენა

→ ანდერძი.

## ანექსია

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება ძალის გამოყენებით. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ანექსია ტერიტორიის შექმნის ლეგალურ ფორმას წარმოადგენდა. ომში გამარჯვებულ სახელმწიფოს დამარცხებული სახელმწიფოს ტერიტორიის ან მის ნაწილის მიერთების უფლება გააჩნდა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლით კი ანექსია აკრძალულია, ვინაიდან იგი ხელ-

ყოფს → ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის, → ტერიტორიული მთლიანობისა და → საზღვრების ურღვევობის პრინციპებს. აგრესიის განსაზღვრების შესახებ → გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის მიხედვით, ანექსია → აგრესიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

### ანკლავი

სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს, რომელიც გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით, საკუთარი სახელმწიფოს პოზიციიდან ექსკლავი, ხოლო იმ სახელმწიფოს პოზიციიდან, რომლის ტერიტორიითაც არის აღნიშნული ტერიტორია გარშემორტყმული, ანკლავი ეწოდება. ნახევრად ანკლავს ან შესაბამისად ნახევრად ექსკლავს უწოდებენ სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილს, რომელსაც მართალია სახმელეთო კავშირი არ აქვს საკუთარი სახელმწიფოს დანარჩენ ტერიტორიასთან, მაგრამ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გარშემორტყმულია რამდენიმე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით, საკუთარი სახელმწიფოსათვის ექსკლავს წარმოადგენს, მაგრამ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა ტერიტორიებითაც ის არის გარშემორტყმული, იგი ანკლავს არ წარმოადგენს. მაგ. რუსეთის ფედერაციისათვის ნახევრად ექსკლავს წარმოადგენს კალინინგრადის ოლქი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ნაწილია, თუმცა იგი მასთან ანკლავს არ წარმოადგენს ლიტვასა და პოლონეთისათვის. ანკლავის მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნეს ბიუზინგენი, რომელიც გერ-

მანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაა, მაგრამ მთლიანად შვეიცარიის კონფედერაციის ტერიტორიით არის გარშემორტყმული. ბიუზინგენი გერმანიისათვის ექსკლავს, ხოლო შვეიცარიისათვის ანკლავს წარმოადგენს. ანკლავების/ექსკლავების სპეციფიურობიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიებთან დაკავშირებული ცალკეული რეგლვანტური საკითხები (ტრანზიტი, ვალუტა, საბაჟო კანონმდებლობა) შესაბამის სახელმწიფოებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირდება.

### ანტარქტიკა

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით წარმოადგენს საერთაშორისო ტერიტორიას, რომლის სამართლებრივი რეჟიმი დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულებების მიერ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1959 წლის 1 დეკემბერს ხელმოწერილი ე.წ. ანტარქტიკის ხელშეკრულება, რომლის მხარეს, აქტუალური მდგომარეობით, 48 სახელმწიფო წარმოადგენს. ანტარქტიკის სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება სამხრეთ განედის 60 გრადუსის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული რეჟიმის მიხედვით, ანტარქტიკის ტერიტორიის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ხელშეკრულება უშვებს სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და ამ მიზნით ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი ასევე კრძალავს ანტარქტიკის ეკოლოგიურ დაბინძურებას. ანტარქტიკის ხელშეკრულებაში ამასთან ღიად არის დატოვებული ცალკეული

სახელმწიფოების მხრიდან (არგენტინა, ავსტრალია, საფრანგეთი, ჩილე, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია და ნორვეგია) ანტარქტიკაზე ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი და დადგენილია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღნიშნული პრეტენზიები ნამოყენებული არ იქნება.

**აპართეიდი**

→ **საერთაშორისო დანაშაული.** თავიდან აპართეიდის ცნება გამოიყენებოდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანი მოსახლეობის მიერ ფერადკანიანი მოსახლეობის მიმართ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკის აღსანიშნავად. დღეისათვის იგი, ზოგადად, ანალოგიური სახის ქმედებების აღსანიშნავად გამოიყენება. აპართეიდის საერთაშორისოსამართლებრივი განსაზღვრება პირველად მოცემულ იქნა აპართეიდის დანაშაულის აქტითა და მისი ჩადენისთვის დასჯის შესახებ კონვენციაში, რომელიც 1973 წლის 30 ნოემბერს იქნა მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. აღნიშნული კონვენცია ძალაში შევიდა 1976 წელს. კონვენციით აპართეიდი განმარტებულია, როგორც არაადამიანური აქტი, რომელიც ჩადენილია ერთი რასის პირთა ჯგუფის სხვა რასის პირთა ჯგუფზე ძალაუფლების მოპოვების ან შენარჩუნების და მათი სისტემატიური ჩაგვრის მიზნით. აპართეიდი ასევე არის გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩამონათვალში, რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში არის მოცემული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ადამიანურობის წინააღმ-

დეგ მიმართულ სხვა დანაშაულებთან ერთად, აპართეიდის დანაშაულის ჩადენისათვისაც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლი).

**აპატრიდი**

მოქალაქეობის არმქონე პირი. პირი მოქალაქეობის არმქონე ხდება იმ შემთხვევაში, თუკი იგი დაკარგავს ერთი ქვეყნის → **მოქალაქეობას** და ამასთან არ/ვერ შეიტყენს მეორე ქვეყნის მოქალაქეობას, ასევე მოქალაქეობის სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის სხვადასხვა სისტემების გადაკვეთის შედეგად. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუკი ბავშვი დაიბადა ქვეყანაში, რომელიც დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების ფორმად → „სისხლის“ **პრინციპს** ცნობს და ამასთან ბავშვის მშობლების მოქალაქეობის სახელმწიფო/სახელმწიფოები → „**ნიადაგის**“ **პრინციპს** აღიარებს. ბავშვი დაბადებით მოქალაქეობის არმქონე პირი შეიძლება გახდეს ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მშობლები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან და იმ ქვეყანაში სადაც იგი დაიბადა, „სისხლის“ პრინციპი მოქმედებს. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, უმეტესწილად, ქვეყნის კანონმდებლობა გამონაკლისს ითვალისწინებს. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მთავარი პრობლემა, საერთაშორისოსამართლებრივი თვალსაზრისით, აპა-



ტრიდებთან დაკავშირებით მდგომარეობს იმაში, რომ მათი → **დიპლომატიური დაცვა** არცერთი სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება და უფლებები სერიოზულად შეზღუდულია. აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით, 1954 წელს, გაეროს ფარგლებში მიღებულ იქნა კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის შესახებ, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს მიანიჭონ მოქალაქეობის არმქონე პირებს უცხოელის მსგავსი სტატუსი. 1961 წლის კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირების შესახებ კი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას მიანიჭონ მოქალაქეობა იმ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაიბადნენ. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

## აპელანტი → აპელაცია.

### აპელაცია

1. სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საშუალებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მი-

აჩნია. აპელანტი სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელსაც სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს. აპელანტი შეიძლება იყოს ბრალმდებელი, ზემდგომი პროკურორი, მსჯავრდებული. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია. სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა. სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში. აპელანტს უფლება აქვს, შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლი). თუ სააპელაციო სხდომაზე აპელანტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხად-

დება, სააპელაციო სასამართლო განჩინებით მის სააპელაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია განაჩინოს მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი გადაწყვეტილება: გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი; გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი; ცვლილება შეიტანოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; უცვლელად დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და უარი თქვას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალ-

დების მხარეს საჩივარი არ შეუტანია, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს საქმე შეაბრუნოს აპელანტის საუარესოდ, კერძოდ, გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო საჩივარი:

- ა) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე; ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე; გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავაზე; დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავაზე; ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საიჯარო ურთიერთობის თაობაზე; ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე; ზ) კერძო საჩივარზე; თ) ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის 21<sup>23</sup> მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ი) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე.

3. ა) სამოქალაქო სამართალწარმოებაში სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეების ან მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ქონებრივ-სამართლებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე, 365-ე მუხლები). ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს არ მიიღებს სააპელაციო სასამართლო, თუ მხარეს შეიძლო იგი წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არ წარადგინა არასაპატიო მიზეზით; დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გადიდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-382-ე მუხლები). სააპელაციო საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ განმეორებითი დაუშნრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუშნრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი წანამძღვრები; სააპელაციო საჩივრის შეტანილ უნდა იქნას 14 დღის ვადაში იმ სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება სააპელაციო წესით და მასში მითითებულ უნდა იქნას, თუ რა ნაწილში საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და რაში მდგო-

მარეობს ამ გადაწყვეტილების უსწორობა; სააპელაციო საჩივრის სავალდებულო შინაარსი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლში. სააპელაციო სასამართლოს საჩივრის დასაშვებობის შესახებ გამოაქვს განჩინება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი). ბ) სააპელაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და დაუშვებელია გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნება (non reformatio in peius; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე, 384-ე მუხლები). სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, თუ მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, აგრეთვე, გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუშნრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი სარჩელის დაშვებაზე; გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუშნრებელი გადაწყვეტილება. თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. თავისი განჩინებით იგი უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებულ გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას

(სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე, 386-ე მუხლები).

**არაერთგზისი დანაშაული**

წარმოადგენს → **დანაშაულის სიმრავლის** ერთ-ერთ სახეს. არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს ნასამართლევი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს ქურდობის არაერთგზისობის დასჯადობას. არაერთგზისია ასევე სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 შენიშვნის თანახმად, 177-ე–186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისი ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა. არაერთგზისობას ადგილი არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილი წესით წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა (სისხლის სამართლის კოდექსის 15-ე მუხლი).

**არაკომბატანტი**

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, პირი, რომელიც მართალია შედის შეიარაღებული ძალების შემადგენლობა-

ში, მაგრამ აქტიურად არ მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში. არაკომბატანტად შეიძლება ჩაითვალოს შეიარაღებული ძალების სამედიცინო და მომსახურე პერსონალი, სასულიერო პირები, ასევე პირები, რომლებიც უშუალოდ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ არიან, თუმცა მათ თან ახლავთ, მაგრეპორტიორები.

**არამომარი სახელმწიფო**

სახელმწიფო, რომელიც ომში უშუალოდ მონაწილეობას არ იღებს. თუმცა ნეიტრალური სახელმწიფოსგან განსხვავდება იმით, რომ მას შეუძლია აქტიური დახმარება გაუწიოს კონფლიქტის რომელიმე მხარეს (შეად. → **ნეიტრალიტეტი**).

**არაპირდაპირი განზრახვა**

→ **ბრალი**.

**არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი**

არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად მიიჩნევა შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ძალებს ან სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელსაც სათავეში უდგას პასუხისმგებელი სარდლობა და ახორციელებს ეფექტიან კონტროლს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის მიმართ. ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლი ითვალისწინებს ნორმებს, რომელიც ეხება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს. კერძოდ, აღნიშნული მუხლი მოითხოვს ჰუმანურ მოპყრობას მონინალმდევის მიმართ;



აკრძალულია მკვლელობა, დასახიჩრება, წამება, სასტიკი, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა, მძევლების აყვანა, სათანადო სასამართლო განხილვის გარეშე პირების დასჯა. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი მოუწოდებს მხარეებს, რომ სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე აღიარონ ჟენევის კონვენციების ყველა დებულების ან მათი ნაწილის მოქმედება მოცემული კონფლიქტის მიმართ. ამასთან, ჟენევის კონვენციების გამოყენება ზეგავლენას არ ახდენს კონფლიქტის მხარეების სტატუსზე. ჟენევის კონვენციების 1977 წლის II დამატებითი ოქმი მთლიანად ეხება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს. იგი აკონკრეტებს ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლის დებულების საფუძველზე კონფლიქტის მხარეების ვალდებულებებს კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვასთან მიმართებაში.

**არასათანადო მხარე**

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სარჩელის აღძვრით მოსარჩელე სასამართლოსგან მოითხოვს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე სადავო უფლების დაცვას ან დარღვეული უფლების აღდგენას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს არა აქვს მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წამოყენების უფლება მოპასუხის მიმართ, მაშინ იგი წარმოადგენს არასათანადო მოსარჩელეს, ხოლო თუ მოპასუხე არ შეიძლება იყოს სადავო უფლების დამრღვევი, მაშინ მას უწოდებენ არასათანადო მოპასუხეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს არასათანადო მოსარჩელისა და არასათანადო მოპასუხის შეცვლის წესს.

1. თუ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოსარჩელის მიერ, მაშასადამე, იგი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე არ არის სადავო უფლების მატარებელი, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის მოთხოვნით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი). თუ სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე და გააგრძელოს სასარჩელო წარმოება, მაშინ სასამართლოს წყვეტს საქმის წარმოებას იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე. იმ შემთხვევაში, თუ არასათანადო მოსარჩელე უარს იტყვის რომ იგი შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, მაშინ სათანადო მოსარჩელეს შეუძლია საქმეში ჩაებას როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლი).

2. თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არასათანადო მოპასუხის მიმართ, მაშასადამე, პროცესში მოპასუხეს წარმოადგენს პირი, რომელსაც არ დაურღვევია მოსარჩელის უფლება, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მოსარჩელის თანხმობით თავდაპირველი მოპასუხე შეიცვალოს სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა ამ ცვლილებაზე, მაშინ მისი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი).

**არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია**  
 → საერთაშორისო ორგანიზაცია.

**არასრულწლოვანი**

სისხლის სამართალში არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი (სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლი). → **შეურაცხაობა**.

**არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა**

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიებას, რომლის დროსაც მშობელი, მეურვე, მზრუნველი ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაცია კისრულობს წერილობით ვალდებულებას არასრულწლოვანი ბრალდებულის გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის შესახებ. არასრულწლოვნის გადაცემა მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა პირის მეთვალყურეობაში შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულისა და ამ პირის თანხმობით. მშობელს, მეურვეს, მზრუნველს ან სხვა პირს უფლება აქვს, ნებისმიერ მომენტში თქვას უარი არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე, თუ ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანი ბრალდებულის სათანადო ქცევას. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პირი, რომელიც მეთვალყურეობდა არასრულწლოვანს, მხარის შუამდგომლობით დააჯარიმოს 100 ლარიდან 5000 ლარამდე ოდენობით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი).

**არასწორი თარგმანი**

→ **ცრუ ჩვენება**.

**არაფორმალური პროფესიული განათლება**

პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო → **პროფესიული** საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად.

**არბიტრაჟი**

→ **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება**, რომლის საფუძველზეც მიღებული გადაწყვეტილება მოდავე მხარეებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად. საერთაშორისო არბიტრაჟი შეიძლება იყოს როგორც მუდმივმოქმედი, ასევე ad hoc შექმნილი. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს წარმოადგენს → **საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო**. რაც შეეხება შემადგენლობას, არბიტრაჟი შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისაგანაც, თუმცა, როგორც წესი, იგი კოლეგიური ორგანოა, სადაც წარმოდგენილი არიან როგორც მოდავე მხარეების წარმომადგენლები, ასევე მოდავე მხარეების მიერ კონსენსუსის საფუძველზე არჩეული მესამე სახელმწიფოების წარმომადგენლები.

**არისტოკრატია**

(ბერძნ: „საუკეთესოს ძალაუფლება“) არისტოტელეს მიხედვით (სწავლება სახელმწიფოს შესახებ) → **ოლიგარქიისგან** განსხვავებით, მიზნად აქვთ საერთო კეთილდღეობა და დაკავშირებულია ისეთ დადებით ნიშან-თვისებებთან, როგორიცაა სიქველე და სათნოებები. არისტოკრატია გულისხმობს მმართველი კლასის, ძირითადად დიდგვაროვნების, პრივილეგირებულ ფენას. ამასთან, ხელისუფლების განხორციელება ხდება შთამომავლობის, საზოგადოებაში დამკვიდრებული პოლი-

ტიკური თუ სხვა მაღალი სტატუსის საფუძველზე. არისტოკრატის ელემენტები დღემდე შემორჩენილი ზოგიერთ თანამედროვე სახელმწიფოში. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის (პარლამენტის) ლორდთა პალატის წევრების არჩევა დღემდე მათი არისტოკრატული წარმომავლობის საფუძველზე მიმდინარეობს.

### არქიპელაგი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, არქიპელაგი წარმოადგენს კუნძულთა ჯგუფს, მათი ნაწილების ჩათვლით, მათ დამაკავშირებელ წყლებს და სხვა ბუნებრივ წარმონაქმნებს (მაგ. კლდეებს), რომლებიც იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ეს კუნძულები, წყლები და ბუნებრივი წარმონაქმნები ნამდვილ გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ერთიანობას ქმნიან ან ასეთად ისტორიულად ითვლებიან.

### არქიპელაგური სახელმწიფო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, არქიპელაგურად ჩაითვლება სახელმწიფო, რომლის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე → **არქიპელაგისგან** შედგება. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს სხვა კუნძულებსაც. არქიპელაგური სახელმწიფოს მაგალითია ინდონეზია, ფილიპინები, ტონგა, ფიჯი და ა.შ. ამავე კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, არქიპელაგური სახელმწიფოების → **სუვერენიტეტი** ვრცელდება → **არქიპელაგური წყლების** მოსაზღვრე ზღვის სარტყელზე,

რომელიც არქიპელაგური სახელმწიფოს → **ტერიტორიულ ზღვას** წარმოადგენს.

### არქიპელაგური წყლები

→ **არქიპელაგური სახელმწიფოს** არქიპელაგური წყლები სანაპირო სახელმწიფოს → **შიდა წყლების** ანალოგს წარმოადგენს, თუმცა საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია არქიპელაგური წყლების საზღვრების - არქიპელაგური სანაპიროს ხაზების - განსაზღვრის სპეციალურ წესს ითვალისწინებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არქიპელაგური წყლები არქიპელაგური სახელმწიფოს კუნძულებს შორის მდებარე სივრცეს წარმოადგენს. არქიპელაგური სანაპიროს ხაზები წარმოადგენენ სწორ ხაზებს, რომლებიც აერთებენ არქიპელაგის უკიდურესი კუნძულების უკიდურეს წერტილებს ისე, რომ შეესაბამებოდნენ არქიპელაგის ბუნებრივ კონფიგურაციას და ამასთან სანაპიროს ხაზებს შიგნით მოქცეული საზღვაო სივრცე არქიპელაგის სახმელეთო სივრცესთან 1:1 და 9:1 შორის თანაფარდობაში იმყოფება. ამასთან თითოეული სანაპიროს ხაზის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 100 საზღვაო მილს, მხოლოდ სანაპიროს ხაზები, რომელთა რაოდენობა სანაპიროს ხაზების სრული რაოდენობის 3 პროცენტს არ აღემატება, შეიძლება იყოს 125 საზღვაო მილამდე სიგრძის. არქიპელაგური წყლებში მესამე სახელმწიფოს გემებს → „**მშვიდობიანი გავლის**“ უფლება აქვთ.

### არჩევნები

→ **საარჩევნო სისტემა**.

**არჩევნებში მონაწილეობის უფლება**

არის ე.წ. აქტიური საარჩევნო უფლება, „ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტი). იგი იმავროულად წარმოადგენს დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს. თავისუფალ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლება არის ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს სუვერენიტეტის გარანტი. აღნიშნული პოლიტიკური უფლება, როგორც წესი, დაკავშირებულია ქვეყნის მოქალაქეობასთან (“საქართველოს ყველა მოქალაქე” - კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი), მის ასაკთან (“18 წლის ასაკიდან” - კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი), ქმედუნარიანობასთან (მოქალაქე, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო” - კონსტიტუციის 28-ე მუხლის მეორე ნაწილი) და/ან პირის სისხლის-სამართლებრივ სტატუსთან (მოქალაქე, რომელიც „სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში” - კონსტიტუციის 28-ე მუხლის მეორე ნაწილი - ეს ის შემთხვევებია, როდესაც მოქალაქე აღნიშნული უფლება ერთმევა სასამართლო განაჩენით). აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლება ნიშნავს პირის უფლებას, „კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორ-

განოში ასარჩევად და/ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი). აღნიშნულიც ასევე მჭიდრო კავშირშია პირის მოქალაქეობასთან, ასაკთან, ქმედუნარიანობასთან და სისხლის-სამართლებრივ სტატუსთან.

**ასისტენტ პროფესორი**

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების → აკადემიური თანამდებობა**, რომელზედაც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის → **დოქტორი** ან → **დოქტორანტი** და თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მეცადინეობებში; ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

**ასოცირებული პროფესორი**

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების → აკადემიური თანამდებობა**. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**ატამე**

წარმოადგენს უმცროს → **დიპლომატიურ რანგსა** და → **თანამდებობას** (დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 და 35-ე მუხლები). ატამეს პირველადი დიპლომატიური რანგის მინიჭების ვადად





განსაზღვრულია დიპლომატიური სამსახურის გავლის 1 წელი (დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი). ატაშეს თანამდებობისგან განსხვავებულ ინსტიტუტს წარმოადგენს თავდაცვის ატაშე. საქართველოს კანონმდებლობით თავდაცვის ატაშე წარმოადგენს უფროს დიპლომატიურ თანამდებობას (დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი). იგი არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში აკრედიტებული სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო ხასიათის ურთიერთობებში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს საქართველოს. იგი იმყოფება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ოპერატიულ და საქართველოს თავდაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში (დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი).

**ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება**

ატომური ენერჯის დარგში ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1957 წლის 25 მარტს რომში და ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს. ატომური ენერჯის ევროპულ გაერთიანებას ხშირად შემოკლებით „ევრატომს“ უწოდებენ. იგი, სამართლებრივი ბუნებით, → **საერთაშორისო ორგანიზაცია**ს წარმოადგენს. ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება → **ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებასა** და → **ევროპულ გაერთიანებასთან**

ერთად „ევროპული გაერთიანებების“ ცნების ქვეშ მოიაზრებოდა. 2009 წლის 1 დეკემბერს, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება ერთადერთი ევროპული გაერთიანებაა, რომელიც → **ევროპული კავშირის** პარალელურად აგრძელებს არსებობას. ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების შექმნის მიზანს წარმოადგენდა ბირთვული ენერჯის სფეროს განვითარება და მშვიდობიანი მიზნით კვლევა, რადიოაქტიური ნივთიერებების საერთო ბაზრის შექმნა, ასევე ატომური ინდუსტრიის კონტროლი ჯვანმრთელობის დაცვისა და უკანონო გამოყენების თავიდან არიდების მიზნით.

**აუქციონი**  
→ **სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება.**

**აუცილებელი გზა**  
→ **სამეზობლო სამართალი.**

**აუცილებელი მოგერიება**

1. აუცილებელი მოგერიება არის → **მართლწინააღმდეგობის** გამომორიცხველი ერთ-ერთი გარემოება. მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც მართლწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმოყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად (სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი). განსხვავებულად არის დეფინირებული სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი, რომლის თანახმად

აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

1.1 აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების წინაპირობებია: ა) თავდასხმა, რომელიც ხელყოფს პირის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, მაგალითად, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს და სხვა. სამართლებრივად უმნიშვნელოა ის გარემოება, თუ ვისი სამართლებრივი სიკეთეს წინააღმდეგ არის მიმართული თავდაცვითი ქმედება - მომგერიებლის თუ მესამე პირის; ბ) ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი, მაშასადამე, იგი უნდა იყოს უშუალოდ დანყების პროცესში, უკვე დანყებული ან ჯერ კიდევ მიმდინარე (შურისძიების ნიადაგზე ან პრევენციისთვის განხორციელებული ქმედება არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას!); ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა (სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი); გ) ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების უფლება მაშინაც არსებობს, როდესაც ხელმყოფი არაბრალეულად მოქმედებს; დ) თავდაცვითი ქმედება უნდა იყოს აუცილებელი, ანუ დაცვის საშუალება უნდა იყოს მონოდებ-

ული ხელყოფის მყისიერად და საბოლოოდ აღსაკვეთავად ან მინიმუმ მის შესასუსტებლად. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ დაიშვება სამართლებრივ სიკეთეთა ურთიერთშეფარდება, მაგრამ აუცილებელი მოგერიების უფლება ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. მაშასადამე, დაუშვებელია ხელმყოფის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა მცირე მნიშვნელობის მქონე ქონებრივი სიკეთის დასაცავად. თავდამცველი უფლებამოსილია, აირჩიოს დაცვის ეფექტური საშუალება, რომელიც წარმოადგენს მისთვის საიმედო და ამავე დროს, ყველაზე ნაკლებად საშიშ საშუალებას. მოგერიების ეფექტურობასთან დაკავშირებით ობიექტური ეჭვის წარმოქმნის შემთხვევაში ნებადართულია უფრო მკაცრი საშუალების გამოყენება, რადგან მომგერიებელს არ ევალება რისკზე წასვლა თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის მართლზომიერი დაცვისას. სადავო საკითხია, გამოირიცხავს თუ არა თავდამცველის მიერ პროვოცირებული თავდასხმა აუცილებელი მოგერიების უფლებას.

1.2 აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის ასკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან (სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი). თუ მომგერიებელი დაბნეულობით, შიშით ან სხვა ექსტრემალურ გარემოებებში ხელყოფისაგან თავდაცვის დროს თანაბრად ეფექტური საშუალებებიდან შეგნებულად აირჩევს არა შედარებით მსუბუქ, არამედ საშიშ საშუალებას, რომელიც აუცილებელზე ზედმეტი ზიანის მომტანია, ად-

გილი ექნება აუცილებელი მოგერიების ინტენსიურ ექსცესს. აუცილებელი მოგერიების ექსტენსიურ ექსცესს, ანუ თავდამცველის შეცდომას აუცილებელი მოგერიების წინაპირობების არსებობის შესახებ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მომგერიებელი მოქმედებს ისეთი თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც საერთოდ არ განხორციელებულა ან ჯერ არ დაწყებულა ან უკვე დამთავრებულია. აღნიშნულ შემთხვევაში მომგერიებლის ქმედება ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ.

**2. → ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** არ ეკისრება პირს, რომელმაც თუმცა ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ეუ იგი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვისას ხელმყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლი).

**3. აუცილებელი მოგერიების სისხლისსამართლებრივი ცნება** მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალშიც. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღ-

აურდება (სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი). აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისა (ინტენსიური ექსცესი) და აუცილებელი მოგერიების წინაპირობების არსებობის შესახებ პირის შეცდომის (ექსტენსიური ექსცესი) სისხლისსამართლებრივი გაგება შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო სამართალშიც. აღნიშნულ შემთხვევებში, „თავდაცვითი“ ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო და გამოიწვევს → **ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნას, თუ პირი მოქმედებდა → **ბრალეულად**.

### აქცეპტი

→ **ხელშეკრულება**.

### აქცესორულობა

**1. ნიშნავს მიერთებას, დამატებითს, დამოკიდებულებას.** აქცესორულობა სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ დანაშაულები თანამონაწილის (ორგანიზატორი, ნამქეზებელი და დამხმარე) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ განხორციელებულ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ძირითად ქმედებაზე. თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისია, რომ ძირითადი ქმედება არაბრალეულად მოქმედი ამსრულებლის მიერ იყოს ჩადენილი. მთავარია, რომ ძირითადი ქმედება იყოს განზრახი და მართლსაწინააღმდეგო (ლიმიტირებული აქცესორულობა).

**2. სამოქალაქო სამართალში, საწინეთო უფლების, მაგალითად, იპოთეკის აქცესორულობა** ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა, გადაცემა და სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე,

რომ ფაქტობრივად არსებობდეს ძირითადი მოთხოვნა. უზრუნველყოფილი მოთხოვნისა (ეს არის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნა) და სანივთო უფლების (გირავნობა, იპოთეკა, სამოქალაქო კოდექსის 270-ე და 295-ე მუხლები) განცალკევება შეუძლებელია. მოთხოვნის გაუქმება, მაგალითად, მისი შესრულებით, იწვევს სანივთო უფლების გაუქმებას.

**აქცია**

აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს აქციონერის მიმართ და მის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი). აქციები შეიძლება უყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული; ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს აქციონერის ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. სააქციო საზოგადოებას დადგენილი წესით შეუძლია გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქალაქები. დომინანტ აქციონერად ითვლება ის აქციონერი ან აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქციების რაოდენობისა და კლასის მიხედვით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებაზე. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერის საკუთრებაში აღმოჩნდა აქციათა 95%, მაშინ მას უფლება აქვს სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები (“მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 53<sup>4</sup>-ე მუხლი).  
→ **გამარტივებული წარმოება.**

**ალიარება**

1. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მხარის ალიარებას უკავშირდება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი, რომელიც რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე-133-ე მუხლებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის ალიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ ალიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული ალიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარის ალიარება შესაძლებელია სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. ალიარება, როგორც → **საპროცესო მოქმედება**, შესაძლებელია გაქარწყლებული იყოს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ დაამტკიცებს, რომ ეს ალიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის ალიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლი). ალიარებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით არ წარმოადგენს მხარის განცხადება გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომელიც მან სხვა სასამართლო საქმის წარ-



მოების დროს გააკეთა, მაგრამ ასეთი განცხადება შესაძლებელია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პროცესში შინაგანი რწმენის საფუძველზე შეფასებულ იქნეს როგორც არაპირდაპირი მტკიცებულება.  
**2. სისხლის სამართალში → დანაშაულის აღიარება.**

**ალიარებითი სარჩელი  
 → სარჩელი.**

**აღკვეთის ღონისძიება**  
 სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყ-

ენების მიზანშეწონილობა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი). აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს. მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე). აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა ან ბრალდებულმა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების სახეებია:  
 → გირაო, → არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, → შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, → პირადი თავდებობა, → სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და → პატიმრობა.

**აღმასრულებელი ხელისუფლება**  
 ხელისუფლების დანაწილების

პრინციპის შედეგად კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე ახორციელებს ქვეყნის მართვას. აღმასრულებელი ხელისუფლება მოიცავს ყველა იმ უფლებამოსილებას, რაც არ წარმოადგენს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციასა და საქმიანობის სფეროს. იგი ხშირად გაიგივებულია საჯარო მმართველობასთან. აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მთავრობას, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ „მმართველ რგოლს“ და პარლამენტის მიერ გამოცემული კანონების უშუალო განმახორციელებელ რგოლს - საჯარო მმართველობას, ანუ ადმინისტრაციას მთელი თავისი ორგანული აპარატით. აღმასრულებელი ხელისუფლება სხვადასხვა სახისაა, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. საპარლამენტო დემოკრატიებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური აირჩევა პარლამენტის მიერ, სადაც მთავრობაც ასევე დამოკიდებულია პარლამენტის ნდობაზე და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. აქ აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორც წესი, სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი, რომელიც მინისტრთა კაბინეტთან ერთად უძღვება მის საქმიანობას. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში მთავრობის სათავეში დგას პრეზიდენტი. აღმასრულებელი ხელისუფლება შედგება მინისტრებისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო მოხელეებისაგან, რომელთაც ნიშნავს და ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. პრეზიდენტი ასევე განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკურ

კურსს (საშინაო და საგარეო პოლიტიკას), რომელსაც ახორციელებს მთავრობა და ადმინისტრაცია. საქართველოს კონსტიტუციის ჯერ კიდევ მოქმედი რედაქცია საპრეზიდენტო წყობილების განმსაზღვრელია. ახალი რედაქციით (ძალაში შედის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებიდან) მკვიდრდება შერეული (საპარლამენტო-საპრეზიდენტო) მოდელი, სადაც მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ანგარიშვალდებულია პარლამენტის და რიგ შემთხვევებში ასევე პრეზიდენტის წინაშე (საქართველოს კონსტიტუციის 73-ე, 731, 78-ე და 79-ე მუხლები).

**აღმზრდელითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება**

არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება → **არასრულწლოვნის** მიმართ. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან აღმზრდელითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, რისთვისაც საჭიროა შემდეგი პირობების არსებობა: ა) დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს არასრულწლოვანის მიერ; ბ) პირმა დანაშაული უნდა ჩაიდინოს პირველად; გ) ჩადენილი დანაშაული უნდა იყოს ნაკლებად მძიმე; დ) სასამართლომ არასრულწლოვანის გამოწინააღმდეგობა მიზანშეწონილად უნდა მიიჩნიოს აღმზრდელითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით (სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლი). სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს დაუნიშნოს შემ-



დეგი სახის აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებები: ა) → **გაფრთხილება**; ბ) → **საზედამხედველოდ გადაცემა**; გ) → **ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება**; დ) → **ქცევის შეზღუდვა**; ე) → **სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება**. სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვანს ერთდროულად დაუნიშნოს აღმზრდელობითი ზემოქმედების რამდენიმე იძულებითი ღონისძიება. თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით გაუქმდება და მასალები გადაიგზავნება არასრულწლოვანის სისხლის-სამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად (სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლი).

**აღმოსავლეთ პარტნიორობა**  
წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** პროექტს, რომლის შექმნის შესახებ, პოლონეთის და შვედეთის მთავრობების ინიციატივის საფუძველზე, → **ევროპულმა საბჭომ 2009 წლის მარტში** მიიღო გადაწყვეტილება. ფორმალურად კი, აღმოსავლეთ პარტნიორობა დაფუძნდა 2009 წლის 7 მაისს. აღმოსავლეთ პარტნიორობა ვრცელდება ევროპული კავშირის აღმოსავლეთ მეზობლებზე, კერძოდ, აზერბაიჯანზე, უკრაინაზე, ბელორუსზე, მოლდოვაზე, საქართველოსა და სომხეთზე. იგი წარმოადგენს → ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში არსებული თანამშრომლობის გაძლიერებულ ვარიანტს. აღმოსა-

ვლეთ პარტნიორობა ორ განზომილებას ფარავს: ორმხრივ ურთიერთობებსა და მრავალმხრივ ურთიერთობებს. გაღრმავებული ორმხრივი თანამშრომლობის განზომილება პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს უფრო გაფართოებულ სახელმწიფოებო საფუძველს, რაც ნიშნავს ასოცირების შეთანხმებების გაფორმებას ევროპულ კავშირსა და იმ პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სურთ და ძალუძთ, იკისრონ უფრო ფართო ვალდებულებები ევროპული კავშირის წინაშე. ორმხრივი ურთიერთობების განზომილების ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ევროკავშირსა და აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნა, რომლებიც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს; სავიზო რეჟიმის თანდათანობითი ლიბერალიზაცია; უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ენერგოუსაფრთხოების საკითხებში; ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მხარდაჭერა. მრავალმხრივი თანამშრომლობის განზომილება ხორციელდება თემატური პლატფორმების ფარგლებში შემდეგი თემების განხილვის გზით: დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ევროპულ კავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია და დაახლოების პოლიტიკა; ენერგოუსაფრთხოება; ხალხთა შორის კონტაქტები.

**აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**  
არის → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**, რომელიც → და-

**ინტერესებულ მხარეს** ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს; დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

**აღმჭურველი უფლება**

არის → **უფლება**, რომლის განხორციელებითაც ცალმხრივად და უშუალოდ ხდება არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედება და ცვლილება. იმპერატიული უფლებისაგან (მაგალითად, → **საკუთრება**) განსხვავებით, აღმჭურველი უფლებისაგან არ გამომდინარეობს → **მოთხოვნის უფლება**. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ დამოუკიდებელ (მაგალითად, გამოსყიდვის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლი) და დამოკიდებულ (მაგალითად, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**, → **შეცილება**) აღმჭურველ უფლებებს. დამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება გამომდინარეობს უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან და შესაძლებელია ამ უფლების სხვა პირზე გადაცემა (→ **მოთხოვნის დათმობა**). დამოკიდებული აღმჭურველი უფლების სამართალი ძირითად მოთხოვნაზე (ასე, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გადაცემა არ შეიძლე-

ბა ძირითადი მოთხოვნის გარეშე). როგორც წესი, აღმჭურველი უფლების განხორციელება ხდება → **ნების გამოვლენით**. განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს აღმჭურველი უფლების გადაცემისათვის განსაკუთრებული ფორმის დაცვას. თუ პირის მიერ აღმჭურველი უფლება განხორციელებულ იქნა, დაუშვებელია განხორციელების შედეგად წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების შებრუნება.

**აღნაგობა**

აღნაგობა არის სანივთო უფლება, რომლის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა ნებადართულია. აღნაგობის უფლებით, სხვა პირს გადაეცემა მიწის ნაკვეთი სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ მიწის ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლი). აღნაგობის უფლების წარმოშობისათვის საჭიროა მხარეთა შორის → **ხელშეკრულება** და მისი რეგისტრაცია → **საჯარო რეესტრში**. აღნაგობის უფლების წარმოშობისათვის გამოიყენება უძრავი ნივთების შეძენის წესები (სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლი). შესაბამისად, აღნაგობის ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება საჭიროებს წერილობით ფორმას. აღნაგობის უფლება საჯარო რეესტრში შეიტანება მიწის ნაკვეთზე არამესაკუთრეთა სანივთო უფლებებს შორის მხოლოდ პირველი რიგის უფლებად (სამოქალაქო კოდექსის 237-ე მუხლი). ვინაიდან აღნაგობა მიწაზე სანივთო უფლებას წარმოადგენს, დაშვებულია მისი გადაცემა ან სხვა სანივთო უფლებით, მაგალითად,





იპოთეკით, დატვირთვა. სანივ-  
თო უფლებით იტვირთება არა მი-  
ნის ნაკვეთი, არამედ აღნაგობის  
უფლება. აღნაგობის უფლების ში-  
ნაარსის განსაზღვრა ექვემდებარე-  
ბა მხარეთა დისპოზიციას, განსა-  
კუთრებით, ასაშენებელი შენო-  
ბის შესახებ, აგრეთვე, აღნაგობის  
უფლების გასხვისებისა და გაქი-  
რავეების თაობაზე. აღნაგობის სა-  
ნივთო ბუნებიდან გამომდინარე,  
მის საფუძველზე აშენებული ნა-  
გებობა ითვლება აღნაგობის უფ-  
ლების და არა მიწის ნაკვეთის  
არსებით შემადგენელ ნაწილად  
(სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხ-  
ლი). ე.ი. სანამ არსებობს აღნა-  
გობის უფლება, შენობა წარმოა-  
დგენს არა მიწის მესაკუთრის, არ-  
ამედ აღნაგობის უფლების მქონე  
პირის საკუთრებას. აღნაგობის  
უფლების შეწყვეტით, აღნაგობის  
უფლების საფუძველზე აღმართუ-  
ლი შენობა ავტომატურად გადა-  
დის მიწის მესაკუთრის საკუთრე-  
ბაში, მაგრამ მიწის მესაკუთრემ  
აღნაგობის უფლების მქონეს უნ-  
და მისცეს სათანადო ანაზღაურე-  
ბა ნაკვეთზე აღმართული ნაგებო-  
ბისათვის (სამოქალაქო კოდექსის  
239-ე მუხლი). აღნაგობა შეიძლე-  
ბა შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით,  
ხოლო მიწის ნაკვეთის მესაკუ-  
თრის მიერ ცალმხრივად უფლების  
მქონე პირის მხრიდან ორი წლის  
გადასახადის გადაუხდელობის  
შემთხვევაში.

**აღსრულება**

1. → **ინდივიდუალური ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის**  
აღსრულება არის → **ადმინის-  
ტრაციული წარმოების** მნიშ-  
ვნელოვანი ეტაპი. ადმინისტრა-  
ციული წარმოების საფუძველ-  
ზე მიღებული გადაწყვეტილების  
შედეგები ვლინდება მის აღსრუ-

ლებაში. აღსრულების ცნებაში  
მოიაზრება მოქალაქის ან სხვა  
სამართლის სუბიექტების საჯა-  
რო-სამართლებრივი ვალდებუ-  
ლებების იძულების წესით განხორ-  
ციელების შესაძლებლობა.

2. ინდივიდუალურ ადმინისტრა-  
ციულ-სამართლებრივ აქტს აღს-  
რულებს მისი გამომცემი → **ადმი-  
ნისტრაციული ორგანო**. სზაქ-ის  
მე-19 მუხლით გათვალისწინებუ-  
ლი სამართლებრივი ურთიერთ-  
დახმარების ფარგლებში, ინდი-  
ვიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტი შესაძლე-  
ბელია აღსრულოს სხვა ადმინი-  
სტრაციულმა ორგანომ. ამ შემ-  
თხვევაში აღსრულების უფლე-  
ბამოსილების გადაცემა ერთჯერა-  
დი ან განსაზღვრული ვადით დე-  
ლეგირების საფუძველზე უნდა  
მოხდეს. აღსრულების უფლების  
დელეგირების აქტში უნდა გან-  
ისაზღვროს, თუ რა სახის და  
უშუალოდ რომელი ინდივიდუა-  
ლური ადმინისტრაციულ-სამართ-  
ლებრივი აქტის აღსრულება უნდა  
გადაეცეს სხვა ადმინისტრაციულ  
ორგანოს; ხოლო თუ ინდივიდუა-  
ლური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის აღსრულების  
უფლებამოსილების დელეგირე-  
ბა ხდება განსაზღვრული ვადით,  
აქტში მიეთითება აგრეთვე დელე-  
გირების ვადა. ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლე-  
ბრივი აქტის აღსრულების უფლე-  
ბა აქვს მხოლოდ იმ თანამდებო-  
ბის პირს, რომელსაც სამსახურე-  
ბრივი მოვალეობის შედეგად ან  
დელეგირების შესახებ ინდივიდუ-  
ალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტით აქვს ინდივიდუ-  
ალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის აღსრულების  
უფლებამოსილება. აღსრულება-  
ზე პასუხისმგებელი თანამდებო-

ბის პირი ვალდებულია, იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და წარადგინოს იგი იმ პირების მოთხოვნით, რომელთა მიმართაც ხორციელდება აღსრულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაში დახმარების აღმოჩენის თხოვნით წერილობით მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, თუ აქტის აღმსრულებელ ორგანოს: ა) არ შეუძლია, თვითონ განახორციელოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო; ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო; გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში; დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საკუთარი საშუალებით აღსრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის გასაწევ ხარჯებს. ყველა ვალდებულია, შეასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი მოთხოვნა. მესამე პირი, რომელსაც ეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, უფლებამოსილ-

ია, უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საინდივიდუალური გამყვანებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც კანონით მას აკისრია. პირს, რომლის მიმართაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია გამოცემული, არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო ვალდებულია, კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს იმ ზომით, რაც აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს უფლებამოსილების გადამეტებად ჩაითვლება ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებლად თუნდაც კანონით გათვალისწინებული საშუალების გამოყენება, თუ ეს არ წარმოადგენს აუცილებლობას. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ან პირის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. აღსრულების პროცესის დაწყების საფუძველია გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაცი-

ციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. გადანყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ შესაძლებელია გამოიცეს როგორც დამოუკიდებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით, ასევე მის შესახებ განისაზღვროს შესასრულებელ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ უნდა გამოიცეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, დაინტერესებული მხარის მონაწილეობისა და აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობის გარეშე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ყოველი გადანყვეტილება უნდა შეიცავდეს: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს; უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელს და ხელმოწერას; გამოცემის დროსა და ადგილს; ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის აღსრულება უნდა მოხდეს; აღსრულების უზრუნველყოფისათვის გამოსაყენებელ საშუალებას; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ამ ვადის გასვლამდე. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ამ ვადის გასვლამდე, თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, მასში უნდა მიეთითოს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვა-

ბას, რომელშიც შეიძლება ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის (სარჩელის) წარდგენის ვადა; აღსრულების ხარჯების ოდენობასა და მისი განაწილების წესს. აკრძალულია გადანყვეტილებაში აღსრულების ერთზე მეტი საშუალების განსაზღვრა. გადაუდებელ შემთხვევაში, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება გამოიცეს ზეპირად. ამ შემთხვევაში, ორგანო ვალდებულია, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება გამოსცეს წერილობით, აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, განახორციელოს სხვა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით მხოლოდ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილების გამოცემის შემდეგ. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლის შემდეგ ან ამ ვადის გასვლამდე. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადანყვეტილება გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის გასვლამდე, მასში უნდა მიეთითოს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვა-

დის გასვლის შემდეგ, თუ შეუძლებელია აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენება, უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება არ არის შესაძლებელი მხოლოდ იმ პირის ნების გამოვლენით, რომლის მიმართაც ადმინისტრაციული აქტია გამოცემული, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მესამე პირის მიმართაც. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით. დაინტერესებული მხარის განცხადება უნდა შეიცავდეს: იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს; მოთხოვნას; განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას; განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, მისცეს ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათ-

ვის. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის უნდა იყოს რეალური და საკმარისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ზუსტად განსაზღვროს, თუ რა ქმედების განხორციელება ევალება პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის. პირი უფლებამოსილია, შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება ავტომატურად შეწყვეტილი მოქმედებს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ მიიღოს ზომები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებლად. ასეთ შემთხვევაში, ორგანოს შეუძლია, გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემდეგი საშუალება: სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება; ჯარიმა; უშუალო იძულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის სა-

შუალეზა, რომელიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებაში აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები გამოიყენება ერთი-მეორის შემდგომ, სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, აირჩიოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ნაკლებ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისთანავე.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება სხვა პირისათვის. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, სხვა პირს დაავალოს აღსრულება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ ორგანოსა და იმ პირს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც დაევალა აქტის აღსრულება. დაუშვებელია პირის იძულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებაზე. გამოაკლისია შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვაგვარად აღსრულება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დროულად აღსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგა-

დობრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ამ შემთხვევაში, პირს, რომელმაც აღასრულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აუნაზღაურდება მის მიერ აქტის იძულებით აღსრულების გამო მიყენებული ზიანი. სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ აქტის შესრულებაზე ვალდებული პირი არ ასრულებს ამ აქტით დადგენილ მოთხოვნას. პირს, რომელიც აღასრულებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამისთვის განუღოს ხარჯებს აუნაზღაურებს ორგანო. აღნიშნული ხარჯი რეგრესის წესით ამოღებულ იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისაგან.

5. ა) ჯარიმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით. დაუშვებელია პირის დაჯარიმება იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება მხოლოდ ამ პირის ნებაზე არ არის დამოკიდებული. ჯარიმა, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა. დაჯა-

რიმება არ ათავისუფლებს პირს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების ვალდებულებისაგან. ჯარიმის თანხის ოდენობა განისაზღვრება გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ჯარიმის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ან თანხით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის. საერთო თანხით განსაზღვრული ჯარიმა გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთჯერადი დარღვევის დროს, როდესაც მისი განმეორებით დარღვევა შეუძლებელია. საერთო თანხით განსაზღვრული ჯარიმის შეფარდება შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თვლის, რომ პირის ერთჯერადი დაჯარიმება საკმარისი ფაქტორია იმისათვის, რომ მან აღასრულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საერთო თანხით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს - ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს - იურიდიული პირისათვის. ჯარიმა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის პირს შეიძლება დაეკისროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადის დამთავრების დღიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებამდე. ჯარიმა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებამდე.

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის გამოიყენება ამკრძალავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული აკრძალული ქმედების განხორციელებისას. ჯარიმის თანხა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს 50 ლარს - ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს - იურიდიული პირისათვის. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი.

ბ) უშუალო იძულება. ადმინისტრაციული ორგანო უფლება მოსილია, გამოიყენოს უშუალო იძულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტი არ აღსრულდა სხვა პირისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალებისა და ჯარიმის გამოყენების მიუხედავად. უშუალო იძულება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს გადაუდებელ შემთხვევაში გამოცემული აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ზეპირი გადაწყვეტილებისას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოიყენოს უშუალო იძულების ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით (პოლიციის შესახებ კანონი) ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით. უშუალო იძულება გამოიყენება ისე, რომ არ იქნეს გამოყენებული სხვა პირისთვის ინდივიდუალური



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება და ჯარიმა, შესაძლებელია ფორს-მაჟორულ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა.

გ) ფულადი მოთხოვნების აღსრულება. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების მიმართ არ გამოიყენება სხვა პირისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა ან უშუალო იძულების საშუალებები. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. თანხის ნებაცყოფლობით გადახდაზე უარის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით დააკისროს პირს ვალდებულება, ჩარიცხოს თანხა ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე. პირისაგან თანხის იძულებით ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

→ **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.**

**ამკარა მტკიცებულება**

ამკარა მტკიცებულება (prima facie) მოცემულია, როდესაც, საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებები კონკრეტულად განსაზღვრულ მიზეზზე ან მოვლენათა განვითარებაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში, დადგენილი გარემოებიდან შესაძლებელია კონკრეტული შედეგის განსაზღვრა და, შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოება მიიჩნევა დამტკიცებულად. მონინალმდევე მხარეს შეუძლია გააბათილოს ამკარა მტკიცებულება, თუ იგი დაამტკიცებს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, საიდანაც მოვლენათა ატიპიური განვითარების შესაძლებლობა გამომდინარეობს. ეს საკითხი განეკუთვნება → **მტკიცებულებათა შეფასების** სფეროს და წარმოადგენს არა მტკიცების ტვირთის შებრუნებას, არამედ → **მტკიცების ტვირთის** შემსუბუქებას. ამკარა მტკიცებულების შემთხვევები გვხვდება → **ვალდებულებით სამართალში** და დელიქტურ ვალდებულებებში. სამართლებრივად იგი დასაშვებია → **მიზეზობრივი კავშირისა** და → **ბრალეულობის** დასადგენად.

**აცილება**

შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცესში განხორციელდეს მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მიმართ, თუ ისინი კანონით დადგენილი წესით არ იყვნენ თანამდებობაზე დანიშნულები ან არჩეულები; საქმეში მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მონმე; არიან ბრალდე

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

ბულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავები; ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მათ ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მონმე ან ექსპერტი; იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს, ან თუ ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში (სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსის 50-ე მუხლი). თარჯიმანს უფლება არა აქვს, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როცა არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე ან/და ნათესაური ურთიერთობა აქვს მასთან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი). თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში ზემოხსენებული პირების მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მათ დაუყოვნებლივ უნდა განაცხადონ თვითაცხადება, ხოლო, თუ ისინი არ განაცხადებენ თვითაცხადებას მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ აცხადების შუამდგომლობა. აცხადების შუამდგომლობა უფლებამოსილმა პირმა უნდა დააყენოს დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აცხადების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუამდგომლობა არ განიხილება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე და 63-ე მუხლები).

## ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება → საქმის წარმოების განახლება.

### ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯოს, თუ: სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯვ განაჩენს; არსებობს





გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მმართველმა სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული; არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი; არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება; ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო; წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაუ-

ლის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისთვის ვადები არ არის დადგენილი. განაჩენი შეიძლება გადასინჯვოს ნებისმიერ დროს, თუ გამოვლინდება ზემოაღნიშნული გარემოებები. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვთ პროკურორს და მსჯავრდებულს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის კანონიერ მემკვიდრეს. ადვოკატს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წერილობით შეაქვთ სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.

**2. სამოქალაქო სამართალში  
→ საქმის წარმოების განახლება.**

**ახლო ნათესავი**

სისხლის სამართალში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული) (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პენიშვნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი).

**აჯანყებულები**

აჯანყებულებს წარმოადგენს პირთა ჯგუფი, რომელიც რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში ძალის-

მიერი მეთოდებით იბრძვის არსებული მთავრობის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ან სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ჩაიდოს ძალაუფლება ხელში, ან სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა შეძლოს, რომ ამ ნაწილზე განახორციელოს ძალაუფლება. თუკი მსგავსი ქმედების ფარგლები შედარებით მცირეა, იყენებენ ტერმინს „ინსურგენტები“.

აჯანყებულები და ინსურგენტები მხოლოდ იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, რომლებმაც იგი მეომარ მხარედ ან შესაბამისად ინსურგენტებად ცნეს (→ **მეომარ მხარედ ცნობა**). შესაბამისად, მათ ნაწილობრივი → **საერთაშორისო სამართალ-სუბიექტობა** გააჩნიათ.

## ბ

**ბათილობა**

→ **გარიგების ბათილობა.**

**ბაკალავრი**

მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს → **აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის** პირველი საფეხურისათვის → **ბაკალავრიატისათვის** დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

**ბაკალავრიატი**

→ **აკადემიური უმაღლესი განათლების** პირველი საფეხურის → **საგანმანათლებლო პროგრამა**, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და → **მაგისტრატურაში** შემდგომი სწავლისათვის.

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევით ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

**ბანდიტიზმი**

გულისხმობს პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნას ან ხელმძღვანელობას, რაც სისხლის სამართლის კოდექსი 224-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე. დასჯადია ასევე აღნიშნულ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. ბანდა არის მყარი შეიარაღებული ჯგუფი. ჯგუფის სიმყარე გულისხმობს შემდეგი ნიშან-თვისებების არსებობას: ჯგუფიდან არ ხდება წევრთა თავისუფალი დენადობა; ჯგუფისთვის დამახასიათებელია მტკიცე შინაგანი წესრიგი, ხელმძღვანელის ბრძანების უსიტყვო შესრულება; ჯგუფი იქმნება ხანგრძლივი დროით სამოქმედოდ და არა ერთჯერადი თავდასხმის განსახორციელებლად. ბანდა აუცილებლად უნდა იყოს შეიარაღებული. იარაღად შეიძლება იყოს გამოყენებული ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი. ამასთან, აუცილებელი არაა ბანდის ყველა წევრი იყოს შეიარაღებული. მთავარია, მან იცოდეს, რომ ბანდის სხვა წევრები შეიარაღებულნი არიან. ბანდის შექმნა გულისხმობს მაგ., ბანდის წევრების გამოძებნას და გადმოზირებას, იარაღის გამოძებნას და ბანდის შეიარაღებას, ბანდის „წესდების“ შექმნას და გაცნობას ბანდის წევრებისათვის და ა.შ. ბანდის ხელმძღვანელობა ნიშნავს ბანდის წევრებისათვის

კონკრეტული დავალებების მიცემას, მის შესრულებაზე კონტროლს და ა.შ. ბანდაში მონაწილეობა ნიშნავს პირის განქვეითებას ბანდაში, მონაწილეობის მიღებას იარაღის მოძიებაში, თავდასხმის ობიექტის გამოძებნაში, თავდასხმის მომზადებაში და ა.შ. ბანდიტიზმი დამთავრებულად ითვლება ბანდის შექმნის მომენტიდან, თუნდაც მას ჯერ არ ჰქონდეს ჩადენილი არც ერთი თავდასხმა.

## ბე

→ ხელშეკრულება.

## ბენილუქსი

წარმოადგენს ბელგიის სამეფოს, ნიდერლანდების სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მიერ შექმნილი ეკონომიკური კავშირის აბრევიატურას. აღნიშნული კავშირი შეიქმნა 1958 წლის 3 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 1960 წელს შევიდა ძალაში. → ევროპული გაერთიანების ფარგლებში → საერთო ბაზრის განხორციელების შედეგად, ბენილუქსის კავშირის ეკონომიკური მნიშვნელობა უკანა პლანზე გადავიდა.

## ბიომრავალფეროვნება

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არის ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში.

## ბიპატრიზმი

→ მრავალმოქალაქეობა.

## ბიუჯეტი

(სახელმწიფო) ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია სახელმწიფო სამსახურების, სამთავრობო პროგრამების, ყველა უწყების სრული ფინანსური ინფორმაცია. აქვე მითითებულია სახელმწიფო ხაზინაში ყველა მოსალოდნელი შემოსავლის წყარო და მოცულობა. ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან, ფორმირებასთან, წარდგენა-განხილვასთან, დამტკიცებასთან ასევე დაზუსტებასთან, ბიუჯეტის შესრულებასთან, ანგარიშგებასთან და კონტროლთან დაკავშირებულ შესაბამის პროცედურებს ეწოდება საბიუჯეტო პროცესი. საქართველოს ცენტრალური საბიუჯეტო სისტემა მოიცავს შემდეგ საბიუჯეტო ერთეულებს: სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსავალი და გასავალი სრულდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსავალი აჭარბებს გასავალს, მაშინ სახეზეა საბიუჯეტო პროფიციტი (ე.წ. დადებითი მთლიანი სალდო), ხოლო თუ ბიუჯეტის დაგეგმილი გასავალი აჭარბებს შემოსავალს, სახეზეა საბიუჯეტო დეფიციტი (ე.წ. უარყოფითი მთლიანი სალდო). იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის შესრულებისას დეფიციტის მაჩვენებელი აჭარბებს დადგენილ ზღვარს, როდესაც ბიუჯეტის შესრულებისას, დეფიციტის დონე აჭარბებს ბიუჯეტის დამტკიცებისას დადგენილ ზღვარს, ანუ თუ სახეზეა მოსალოდნელი შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირ-

რება, მაშინ მცირდება გასავლის მოცულობა. ასეთ შემცირებას ეწოდება სეკვესტრი.

**ბრალდების მხარე**  
→ მხარე.

**ბრალდებული**

არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს → **დასაბუთებული ვარაუდი**, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, რის შემდეგაც პირს წაეყენება ბრალი. დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლი). ბრალდებული წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც წარმოებს სისხლის სამართლის პროცესი.

**ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება**

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, → **ბრალდებულია** (მსჯავრდებულია) და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშ-

ნული პასპორტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლი). საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რომლის მოქმედებაც შეჩერდა, არ შეიძლება გამოყენებულ (მიღებულ) იქნეს, როგორც საქართველოდან გასვლისათვის ან საზღვარგარეთ გადაადგილებისათვის საკმარისი (საჭირო) დოკუმენტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედება შეჩერდება განაჩენის აღსრულებამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე. პროკურორს უფლება აქვს ნები-სმიერ დროს გამოიტანოს დადგენილება საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

**ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება**

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ ამ



თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით ბრალდებულმა ხელი არ შეუშალოს გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან არ განაგრძოს დანაშაულებრივი საქმიანობა. აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. მოსამართლეს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება საქმეზე შემჯავამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ. აღნიშნული განჩინება სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, რომელმაც სასამართლოს განჩინება შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა აღასრულოს და ეს შეატყობინოს სასამართლოს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე და 160-ე მუხლები). ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავარ პროკურორს. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი).

### **ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკუ-

რორი დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე ნიშნავს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომას, რომელიც მიმდინარეობს უწყვეტად. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლე არკვევს ბრალდებულის ვინაობას; არკვევს, ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა; ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისათვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას; ბრალდებულს აცნობებს ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახეს და ზომას; არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას; ბრალდებულისგან არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მაგისტრატი მოსამართლე განსაზღვრავს აგრეთვე წინასასამართლო სხდომის თარიღს, თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება არ არის დადებული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**ბრალდებულის საბოლოო სიტყვა**  
→ საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

**ბრალდებულის ჩვენება**

არის ბრალდებულის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ბრალდებულის ჩვენება სისხლის სამართლის პრცესში წარმოადგენს → **მტკიცებულების** ერთ-ერთ სახეს. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება. ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, რაც არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. აგრეთვე არ შეიძლება ბრალდებულის საზიანოდ შეფასდეს ამ უკანასკნელის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი). → **დაკითხვა**.

**ბრალეულობა**

1.1 ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (ვალდებულების დარღვევა, შეუძლებლობა, მოვალის მიერ ვადის გადაცილება, ზიანის ანაზღაურება) მოვალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამოქალაქო კოდექსის ბრალეულობის პრინციპის თანახმად, დამოკიდებულია, მართლწინააღმდეგობასთან ერთად, მოვალის ბრალეულობაზე ან იმ პირების ბრალეულობაზე, რომლებზეც მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა. ბრალეულობის წინაპირობა არის პირის შერაცხადობა. პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ იგი მოქმედებს ქუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის მდგომარეობაში; შეურაცხადად მიიჩნევა ათ წლამდე ასაკის ბავშვი. ათიდან თვრა-

მეტ წლამდე ასაკის პირის შერაცხადობა დამოკიდებულია პირის უნარზე გააცნობიეროს თავისი ქმედების არამართლობიერი ბუნება (სამოქალაქო კოდექსის 994-ე და 995-ე მუხლები); → **დელიქტუნარიანობა**). 1.2 მოვალეს, → **ვალდებულებით ურთიერთობაში**, პასუხისმგებლობა ეკისრება განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი), თუ უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა კანონით, ხელშეკრულებით ან ვალდებულებითი ურთიერთობის არსით განსაზღვრული არ არის, განსაკუთრებით, მოვალეს გარანტიით. ა) განზრახვა არის მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის ცოდნა და სურვილი. სამოქალაქო-სამართლებრივი განზრახვის ცნება შეესაბამება სისხლის სამართალში არსებულ განზრახვის ცნებას (→ **ბრალი**). როგორც სისხლის სამართალში, ისე სამოქალაქო სამართალშიც საკმარისია პირობითი განზრახვა (*dolus eventualis*). განზრახვა მოცემული არ არის, როდესაც პირი ცდებდა (განზრახვის თეორია) თავისი ქმედების წინაპირობების ან მართლწინააღმდეგობის თაობაზე (არა სამართლებრივ შედეგებზე). მაგრამ სამართლებრივი შეცდომის შემთხვევაში მოცემულია პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ბ) გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრებას



არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. გავრცელებული დეფინიციით, გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ წინდახედულობას. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე პირთა მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული ობიექტური მასშტაბი. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო შედეგს აცნობიერებს, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას (ე.წ. უხეში გაუფრთხილებლობა; *luxuria*). გაუფრთხილებლად მოქმედებს აგრეთვე ის პირიც, რომელიც მართალია ვერ აცნობიერებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას, მაგრამ სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში, იგი ქმედების შედეგს გააცნობიერება (მარტივი გაუფრთხილებლობა; *negligentia*). გ) განსაკუთრებულ შემთხვევებში სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას ქმედების მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებისას. ამ შემთხვევაში, პირის ბრალეულობის წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მის მიერ სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი წინდახედულობა განსაკუთრებით უხეშად არის დარღვეული. პირის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება უხეში გაუფრთხილებლობის ზღვრამდე მოცემულია ასევე მაშინ, როდესაც კანონი განსაზღვრავს, რომ პირი პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში,

როდესაც ის ისეთ გულისხმიერებას არ გამოიჩინებს, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა (სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლი).

2. სისხლის სამართალში → ბრალი.

**ბრალი**

1. წარმოადგენს სისხლის სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ბრალის ცნება არ დგინდება ფსიქოლოგიური მასშტაბებით, იგი არ წარმოადგენს პირის ფსიქიურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი, არამედ ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურსამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის (ბრალის ნორმატიული ცნება). ამრიგად, სისხლისსამართლებრივი გაგებით ბრალი ინდივიდის გასაკიცხაობას წარმოადგენს. ბრალეული ქმედება შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი. ა) ქმედება (პირველი ხარისხის) პირდაპირი განზრახვითაა (→ **dolus directus**) ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ინტენსიურია ვოლუნტატიური (ნებელობის) ელემენტი. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს კი პირს გამიზნულად არ სურდა, მაგრამ გარდაუვლად მიიჩნეოდა შედეგის დადგომას. ამრიგად, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ინტენსიურია კოგნიტიური (ცოდნის) ელემენტი (სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი). ქმედება არაპირდა-



პირი (ევენტუალური) განზრახვითაა ჩადენილი (→ **dolus eventualis**), თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი). პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, არაპირდაპირი განზრახვა ხასიათდება როგორც ცოდნის, ასევე ნებულობის დაბალი ხარისხით. განზრახი ქმედების დასჯადობის აუცილებელი პირობაა, რომ პირს განზრახვა ქმედების ჩადენის დროს ჰქონდეს, ამრიგად, საკმარისი არ არის ისეთი განზრახვა, რომელიც ქმედების ჩადენას წინ უსწრებს (წინმსწრები განზრახვა → **dolus antecedens**) ან რომელიც პირს ქმედების ჩადენის შემდეგ გაუჩნდა (შემდგომი განზრახვა → **dolus subsequens**). ბ) გაუფრთხილებლობა წარმოადგენს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერებულად (თვითიმედოვნებით) ან გაუცნობიერებლად (დაუდევრობით) დარღვევას. წინდაუხედაობა ნიშნავს იმას, რომ პირი თავისი საზოგადოებრივი ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან პროფესიული საქმიანობისას, ანდა ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იცავს წინდახედულობის ნორმებს, რომლებიც გამომდინარეობს წერილობითი ან დაუნერეელი, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიდან. აღნიშნული ნორმები მოითხოვენ პირისაგან, რომ თავიდან აიცილოს მართლწინააღმდეგო შედეგი. თვითიმედოვნების დროს პირს

## ბრალის გამომრიცხველი გარემოებები

გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება და ითვალისწინებს მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იმედოვნებს შედეგის თავიდან აცილებას. (ხშირად პრობლემატურია თვითიმედოვნების არაპირდაპირი განზრახვისაგან გამიჯვნა; მაგალითად, მონადირემ ცუდი ხილვადობის მიუხედავად, მაინც გაისროლა და ტყვია ადამიანს მოარტყა). დაუდევრობის შემთხვევაში პირს გაცნობიერებული არ აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებს მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში (სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი).

2. სამოქალაქო სამართალში  
→ **ბრალეულობა**.

## ბრალის გამომრიცხველი გარემოებები

სისხლის სამართალში აღნიშნულ გარემოებებს მიეკუთვნება:  
→ **შეურაცხაობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლები), → **შეცდომა** (სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი)  
→ **ბრძანების ან განკარგულების შესრულება** (სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი), → **ტრაგიკული კოლიზია** (სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლი), საპატიებელი → **უკიდურესი აუცილებლობა** (სისხლის სამართ-

## ბრალუნარიანობა

თლის კოდექსის 38-ე მუხლი). ბრალის გამომრიცხველი გარემოებები გამორიცხავენ მხოლოდ იმ პირის ბრალს, რომლის მხარეზეც არსებობს ეს გარემოებები. ამავდროულად არ გამომრიცხება თანამსრულებლის და თანამონაწილის ბრალი, ასევე არ გამომრიცხება ქმედების მართლწინააღმდეგობა. ბრალის გამომრიცხველი გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ნიშნავს მის მიერ ჩადენილი მართლწინააღმდეგო ქმედების პატიებას.

## ბრალუნარიანობა

პირის ბრალუნარიანობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს. პირი ბრალუნარიანია 14 წლის ასაკიდან, ანუ მას ამ ასაკიდან შეიძლება ბრალად შეერაცხოს მის მიერ ჩადენილი მართლწინააღმდეგო ქმედება. ბრალუნარიანობის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ → **შეურაცხაობა**, → **შეზღუდული შერაცხადობა**.

## ბრძანების ან განკარგულების შესრულება

არის ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება (→ **ბრალის გამომრიცხველი გარემოებები**). აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ადამიანი ასრულებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ ეს ქმედება მას ბრალად არ შეერაცხება, რადგან იგი ასრულებდა უფროსის სავალდებულო ბრძანებას ან განკარგულებას. ამ დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბა დაეკისრება იმ პირს, ვინც გაცა მართლწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება (სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). ბრძანება ან განკარგულება სავალდებულოა მაშინ, როდესაც: ა) იგი გაცემულია უფროსის მიერ; ბ) გაცემულია უფლებამოსილების ფარგლებში; გ) გაცემულია სათანადო ფორმის დაცვით (მაგალითად, წერილობით), თუ ამას კანონი მოითხოვს; დ) იგი არაა აშკარად დანაშაულებრივი ხასიათის; ე) ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელმა არ იცის მისი უკანონობის შესახებ. ბრძანების ან განკარგულების შემსრულებელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მან შეასრულა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანება ან განკარგულება (სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ე.ი. მან იცის, რომ გაცემული ბრძანება ან განკარგულება დანაშაულებრივი ხასიათისაა და მაინც ასრულებს მას.

## ბუნებითი სამართალი

სამართლის ფილოსოფიის გაგებით აღნიშნავს სამართალს, რომელიც ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, გონებით შეცნობადია და რომელიც ყველა ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებს და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური სამართალი. ამიტომ, ბუნებით სამართალს ხშირად ზეპოზიტიურ სამართალსაც უწოდებენ. ბუნებითი სამართალი, არსებითად, მორალისა და სამარ-

თლიანობის იდენტურია - ისინი ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები. ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი. გავრცელებული შეხედულების თანახმად, ბუნებითი სამართლის ქმედითობა საჭიროებს ხალხის ნების საფუძველზე სამართლის ნორმების მიღებას. ბუნებითი სამართლის საპირისპიროს წარმოადგენს პოზიტიური სამართლის მოძღვრება. იურიდიული პოზიტივიზმისაგან განსხვავებით, ბუნებითი სამართალი ერთმანეთისაგან არ გამიჯნავს მორალსა და სამართალს. პოზიტიური ნორმების გარდა სამართალი მოიცავს მორალის განსაზღვრულ პრინციპებს, რომელიც აფუძნებს და, ამავე დროს, გარკვეულ ფარგლებში აქცევს პოზიტიურ სამართალს. მორალის განსაზღვრულ პრინციპებს აქვთ იურიდიული მოქმედების პრეტენზია. სამართალი გაგებულია როგორც ნორმათა ნესრიგი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მორალის პრინციპებს. ანტიკური ბუნებითი სამართლის მიმდევრები იყვნენ პლატო-

ნი და არისტოტელე, ხოლო ქრისტიანული ბუნებითი სამართლის წარმომადგენელი - თომა აქვინელი. შემდგომში, გროციუსისა და, უპირველეს ყოვლისა, პუფენდორფის მიერ ბუნებითი სამართლის მოღვრება განიხილებოდა თეოლოგიური საფუძვლების გარეშე. ბუნებითი სამართლის მოძღვრება მეცხრამეტე საუკუნეში უარყოფილ იქნა → **სამართლის ისტორიული სკოლის** (სავინი) მიერ, რომელიც არსებულ სამართალს სამართლის სისტემის წყაროდ განიხილავდა. პირველი და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომების შემდეგ, ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის გამო, ბუნებითი სამართლის მოძღვრება ისევ წინა პლანზე გადმოვიდა. ბუნებითი სამართლის წარმოშობის წყაროდ მიიჩნევა სამართლის იდეის ზნეობრივი შინაარსი, საიდანაც გამომდინარეობს საზოგადოებებისა და ადამიანთა თანაცხოვრების განსაზღვრული წესები, განსაკუთრებით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

## გადაზიდვა

1. გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად, გადაზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე (სამოქალაქო კოდექსის 668-ე მუხლი). ხელშეკრულების ფორმა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების სახით სამ ცალად, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები და უნდა შეიცავდეს სამოქალაქო კოდექსის 674-ე მუხლით დადგენილ აუცილებელ რაკვიზიტებს, მაგალითად, გაცემის დღესა და ადგილს; გამგზავნის სახელსა და მისამართს; ტვირთის გაცემის დღესა და ადგილს, ასევე, ტვირთის მიტანის ადგილს და ასე შემდეგ. ზედნადები (კონოსამენტი ან გადაზიდველში მიღებული სხვა ფორმები) არის მტკიცებულება იმისა, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადაზიდველს მიღებული აქვს (გადაზიდვის ხელშეკრულების დადების პრეზუმფცია; სამოქალაქო კოდექსის 677-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. გადაზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე მიტანის ვადის გადაცილებისათვის. იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის

დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადაზიდველი პასუხს არ აგებს; გადაზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებობისაგან იმ შემთხვევაშიც, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადაზიდველს არ შეეძლო. ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან მიტანის ვადის დარღვევის შესახებ → **მტკიცების ტვირთი** ეკისრება გადაზიდველს და მას არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამქირავებლის ან დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე (სამოქალაქო კოდექსის 687-ე მუხლი). უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ მოქმედებს ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია, თუ ტვირთი გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადაზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 689-ე მუხლი). 3. ტვირთის გამგზავნი ვალდებულია შეფუთოს ტვირთი ხარისხიანად და ზედნადებს დაურთოს ყველა ის საბუთი და მიაწოდოს გადაზიდველს ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საქართველოს ეკო-

ნომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 679-ე, 680-ე მუხლები).

4. ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად, როდესაც გადაშვიდველი ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთს მიიტანს და გადასცემს ზედნადებს მიმღებს. თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი, ან ტვირთი არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიტანილი, მიმღებს შეუძლია გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით გამოიყენოს გადაშვიდველის წინააღმდეგ (სამოქალაქო კოდექსის 681-ე მუხლი).

5. ტვირთის დაზიანების, მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, ასევე, ტვირთის ვადის გადაცილებით მიტანის შემთხვევაში გადაშვიდველს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 692-ე, 693-ე მუხლები).

6. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების → **ხანდაზმულობის** ვადა შეადგენს ერთ წელიწადს, ხოლო განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას სამ წელიწადს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას - მისი გამოგზავნის დღიდან, ტვირთის მთლიანად დაკარგვისას - ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა

გადაშვიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს. თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, ხანდაზმულობის ვადა რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის კვლავ გრძელდება. რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა. სხვა რეკლამაციები, რომლებიც იმავე საგანს ეხებიან, ვერ შეაჩერებენ ხანდაზმულობის ვადის დენას (სამოქალაქო კოდექსის 699-ე, 700-ე მუხლები).

### გადასახადი

არის საქართველოს → **საგადასახადო კოდექსის** მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის → **გადასახადის გადაშვიდველი**, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის სახეები საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი გადასახადია საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე. საერთო-

## გადასახადის გადამხდელი

სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება: ა) საშემოსავლო გადასახადი; ბ) მოგების გადასახადი; გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); დ) აქციზი; ე) იმპორტის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი), რომელიც დგინდება მინოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და განუყოფელი მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება.

## გადასახადის გადამხდელი

არის პირი, რომელსაც აქვს საქართველოს → **საგადასახადო კოდექსით** დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტი გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან.

## გადახდის ბრძანება

→ **გამარტივებული წარმოება.**

## გაერთიანების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებული ძირითადი უფლება. უფლების შინაარსის მიხედვით იგი უფლებამოსილებას ანიჭებს სხვადასხვა ადრესატს. თუ საზოგადოებრივი თუ პროფესიული გაერთიანებების შემთხვევაში უფლებამოსილია „ყველა“ (პირველი ნაწილი), პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანების უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს (მე-2 ნაწილი). აღნიშნული უფლება ცალკეულ პირს ანიჭებს როგორც უკვე არსებულ გაერთიანებაში განევრიანების, ასევე ახალი გაერთიანების შექმნის უფლებას. გარდა ამისა, გარანტირებულია გაერთიანების არსი და მისი თავისუფალი ფუნქციონირება. აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებას მინიჭებული აქვს თავისუფლება, თვითონ განკარგოს საკუთარი ორგანიზაციის, საქმიანობის წარმოებისა თუ გადანყვეტილების მიღების საკითხები და პროცედურები. ამ კუთხით გაერთიანების ავტონომიაზეც საუბრობენ, რომელიც ისევ და ისევ სახელმწიფოს ფუნდამენტალური პრინციპებითა და სიკეთებით (კონსტიტუციური ნყობილება, ქვეყნის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ა.შ.) და სხვა პირების უფლებებით არის შეზღუდული (მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილი). ამასთან, გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით (მე-6 ნაწილი). გაერთიანების უფლება არა მხოლოდ გაერთიანებაში განევრიანების ან ახალი

გაერთიანების შექმნის უფლებაა, არამედ ასევე მოიცავს გაერთიანებაში განწევრიანებაზე უარის თქმის უფლებას.

### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

→ გაერო.

#### გაერო

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გაერო წარმოადგენს → უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც სან ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წლის 26 ივნისს დაფუძნდა. გაეროს წესდება 1945 წლის 24 ოქტომბერს შევიდა ძალაში. დღეისათვის, გაეროს წევრია 193 სახელმწიფო. საქართველო გაეროს წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს. ითვალისწინებდნენ რა ორი მსოფლიო ომის კატასტროფულ შედეგებს და → ერთა ლიგის წარუმატებელი ფუნქციონირების გამოცდილებას, გაეროს დამფუძნებლებს მიზნად ჰქონდათ შეექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარებას და მოახერხებდა მომავალში ომების თავიდან აცილებას. გაეროს მთავარი მიზნების ჩამონათვალი გაეროს წესდების პირველ თავში არის მოცემული: მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა; ძალით დამუქრებასა და ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; სახელმწიფოების თანასწორობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა; მშვიდობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა; ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრის მიზნით თანამშრომლობის ხელ-

### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

შეწყობა; ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა. გაეროს მთავარი ორგანოები არიან: გენერალური ასამბლეა (→ გაეროს გენერალური ასამბლეა), უშიშროების საბჭო (→ გაეროს უშიშროების საბჭო), ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო (→ გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭო), → მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, სამეურვეო საბჭო და გენერალური სამდივნო (→ გაეროს გენერალური სამდივნო). სასამართლოს გარდა, რომლის ადგილსამყოფელია ჰააგა (ნიდერლანდები), ყველა სხვა მთავარი ორგანო ნიუ იორკში მდებარეობს.

### გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ

დეკლარაციის სრული სახელწოდებაა: დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად. დეკლარაცია 1970 წლის 24 ოქტომბერს იქნა მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. იგი აკონკრეტებს გაეროს წესდებაში მოცემულ პრინციპებს (ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენებისგან თავის შეკავება, სუვერენული თანასწორობა, გაეროს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარება, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, საერთაშორისო თანამშრომლობა) და აფართოებს მათ. კერძოდ, დეკლარაციაში ასევე მოცემულია

## გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია

საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპები.

## გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია

→ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო.

## გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ შეცვალა 1946 წელს, გაეროს წესდების საფუძველზე, შექმნილი გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, რომელიც → გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანოს წარმოადგენდა. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო დაფუძნდა 2006 წელს → გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის საფუძველზე. იგი გენერალური ასამბლეის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოს წარმოადგენს. მისი ადგილსამყოფელია ჟენევა (შვეიცარია). საბჭო შედგება 47 წევრისგან, რომელთა არჩევა ხდება გენერალური ასამბლეის მიერ 3 წლის ვადით შემდეგი რეგიონალური კვოტის მიხედვით: 13 წევრი აირჩევა აფრიკიდან, 13 - აზიიდან, 6 - აღმოსავლეთ ევროპიდან, 8 - ლათინური ამერიკიდან და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან, ხოლო 7 წევრი - დასავლეთ ევროპიდან და სხვა სახელმწიფოებიდან. ადამიანის უფლებათა საბჭო ყოველწლიურად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას მოხსენებას. მას გააჩნია დამხმარე ორგანო - მრჩეველთა კომიტეტი, რომელიც 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება. საბჭოს, ისევე როგორც ადრე ადამიანის უფლებათა კომისიას, შეუძლია

დაადგინოს და გააუქმოს ე.წ. სპეციალური პროცედურები, რაც გულისხმობს მომხსენებლებისა და ექსპერტების დანიშვნას თემატურად ან კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში. საბჭო 4 წელიწადში ერთხელ უნივერსალური პერიოდული გადახედვის მექანიზმის ფარგლებში მიმოიხილავს გაეროს ყველა წევრი ქვეყნის მდგომარეობას ადამიანის უფლებების თვალსაზრისით.

## გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი

გაეროს ფარგლებში შექმნილი დანესებულება, რომლის მიზანია საერთაშორისო სამართლით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა. იგი შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წლის 20 დეკემბრის 48/141 რეზოლუციით. მისი მანდატი ეფუძნება გაეროს წესდების პირველ, მე-13 და 55-ე მუხლებს. ოფისს ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის ამოცანებში შედის: ადამიანის უფლებების დაცვა და ყველა ერის მხარდაჭერა მათი უფლებების განხორციელების მიზნით; მსოფლიოში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევების შედეგად გამოწვეულ ისეთ მწვავე პრობლემებზე რეაგირება, როგორცაა: სიღარიბე, დისკრიმინაცია, კონფლიქტები, დაუსჯელობა, დემოკრატიის დეფიციტი და ინსტიტუციონალური სისუსტეები.

## გაეროს გენერალური ასამბლეა

→ გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც შედგება გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან. ასამ-



ბლეა იკრიბება წელიწადში ერთხელ, სექტემბრის თვეში, ნიუ-იორკში (აშშ). შესაძლებელია ასევე სპეციალური სესიის მოწვევა, რისთვისაც საჭიროა მიღებულ იქნას გაეროს წევრთა უმრავლესობისგან თანხმობა ან არსებობდეს გაეროს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნა სპეციალური სესიის მოწვევასთან დაკავშირებით. წევრი სახელმწიფოები გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად აგზავნიან დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც მაქსიმუმ 5 პირი შეიძლება შედიოდეს. ამასთან, გენერალური ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა წევრ სახელმწიფოს თითო ხმა აქვს. გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში შედის გაეროს ბიუჯეტის დამტკიცება, → **გაეროს უშიშროების საბჭოსა** და გაეროს სხვა ორგანოების ანგარიშების განხილვა, უშიშროების საბჭოს მიერ წარმოდგენილი → **გაეროს გენერალური მდივნის** კანდიდატურის დამტკიცება და სარეკომენდაციო ხასიათის რეზოლუციების მიღება. გენერალურ ასამბლესა შეუძლია განიხილოს საერთაშორისო მნიშვნელობის ნებისმიერი საკითხი, რომელიც იმავდროულად არ განიხილება უშიშროების საბჭოს მიერ. მნიშვნელოვან საკითხებზე ასამბლეა გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. მნიშვნელოვან საკითხებს მიეკუთვნება: მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნების საკითხებზე რეკომენდაციების მიღება, უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევნები, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს არჩევნები, ახალი წევრების მიღე-

ბა, ორგანიზაციის წევრისათვის უფლებისა და პრივილეგიების შეჩერება, ორგანიზაციიდან წევრის გარიცხვა, სამეურვეო საბჭოს არჩევნები და მეურვეობის სისტემის დაფინანსების საკითხები, ასევე საბიუჯეტო საკითხები. სხვა საკითხებზე გადაწყვეტილებები კენჭისყრაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით მიიღება. გენერალური ასამბლეისთვის მხარდასაჭერად შექმნილია 6 ძირითადი კომიტეტი: პირველი კომიტეტი (განიარალებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები); მეორე კომიტეტი (ეკონომიკური და ფინანსური საკითხები); მესამე კომიტეტი (სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურის საკითხები); მეოთხე კომიტეტი (სპეციალური პოლიტიკური და დეკოლონიზაციის საკითხები); მეხუთე კომიტეტი (საბიუჯეტო და ადმინისტრაციული საკითხები); მეექვსე კომიტეტი (სამართლებრივი საკითხები). გარდა ამისა, აღსანიშნავია გენერალური კომიტეტი, რომლის კომპეტენციაში სესიის ფარგლებში მუშაობის ორგანიზაციის საკითხები შედის და რწმუნებათა კომიტეტი, რომელსაც წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა უფლებამოსილებების შემოწმების უფლებამოსილება გააჩნია.

**გაეროს გენერალური მდივანი** არის → **გაეროს** უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. იგი ხელმძღვანელობს → **გაეროს სამდივნოს**, რომელიც გაეროს ერთ-ერთ მთავარ ორგანოს წარმოადგენს. გაეროს გენერალურ მდივანს 5 წლის ვადით ნიშნავს → **გაეროს გენერალური ასამბლეა** → **გაეროს უშიშროების საბჭოს** რეკომენდაციის საფუძველზე.

ამასთან ახალი ვადით ხელახლა არჩევა ასევე არის შესაძლებელი. 2007 წლიდან არსებობს გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობა. გაეროს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს გაეროს ყოველდღიურ საქმიანობას. იგი ადგენს ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტს და მონაწილეობას იღებს გაეროს მთავარი ორგანოების (საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს გარდა) სხდომებში. გენერალური მდივანი ამზადებს მოხსენებას გაეროს საქმიანობის შესახებ, რომლებსაც მთავარ ორგანოებს წარუდგენს. გარდა ამისა, გენერალური მდივანი გაეროს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე. გენერალური მდივანი უფლებამოსილია, გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება გაამახვილოს ისეთ მოვლენებზე, რომლებიც მშვიდობას ემუქრება. მას შეუძლია ასევე კონფლიქტის მოგვარების პროცესში შუამავლის როლი შეასრულოს. ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი. სპეციალური წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ სამშვიდობო ოპერაციებს, მონაწილეობას იღებენ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების პროცესში, კოორდინაციას უწევენ გაეროს საქმიანობას წევრ სახელმწიფოებში.

### გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო

წარმოადგენს → გაეროს ერთ-ერთ ძირითად ორგანოს. მის მთავარ მიზნებს წარმოადგენს: ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; მსოფლიოში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობე-

სების ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება. საბჭო შედგება 54 წევრიდან, რომლებსაც რეგიონალური პრინციპის საფუძველზე (14 წევრი აფრიკიდან, 11- აზიიდან, 10 - ლათინური ამერიკიდან, 6 - აღმოსავლეთ ევროპიდან, 13 - დასავლეთ ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან) ირჩევენ გაეროს გენერალური ასამბლეა 3 წლის ვადით. გაეროს სისტემაში ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, ძირითადად, საზედამხედველო და მაკოორდინირებელი ფუნქციები გააჩნია. ამ მიზნით, მას შეუძლია თავისი კომპეტენციის სფეროებში მოხსენებების შედგენა და რეკომენდაციების მიღება, ასევე საერთაშორისო კონვენციების პროექტების შემუშავება და საერთაშორისო კონფერენციების მოწვევა. საბჭოსთან შექმნილია მთელი რიგი დამხმარე ორგანოები: მაგ. რეგიონალური ეკონომიკური კომისიები.

### გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი

წარმოადგენს → გაეროს ფარგლებში შექმნილ დანესებულებას. გადამწყვეტილება მისი დაფუძნების შესახებ მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1949 წელს, 319 (IV) რეზოლუციის საფუძველზე. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია). გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის საქმიანობის ძირითადი საფუძველი არის მისი წესდება და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და აღნიშნული კონვენციის 1967 წლის ოქმი. იგი მოიცავს: ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვას; მატერიალური და

სოციალური დახმარების განევას; უსაფრთხო და ნებაყოფლობითი რეპატრიაციისთვის პირობების შექმნას; რეპატრიაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ადგილსამყოფელ ქვეყანაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

**გაეროს მეურვეობის სისტემა**

→ **გაეროს** წესდების 75-91 მუხლების საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შეიქმნა ე.წ. საერთაშორისო მეურვეობის სისტემა, რომლის ამოცანასაც – ცალკეული ტერიტორიების (მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების) მართვა და მათი განვითარების მხარდაჭერა თვითმმართველობის ან დამოუკიდებლობის მიღწევის მიმართულებით – მეურვეობის სისტემის წინამორბედს → **ერთა ლიგის სამანდატო სისტემა** წარმოადგენდა. მეურვეობის სისტემაში მოექცა ის ტერიტორიები, რომლებიც ადრე ერთა ლიგის მანდატის ქვეშ იმყოფებოდნენ, ასევე მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული სახელმწიფოებისათვის ჩამორთმეული ის ტერიტორიები, რომლებიც გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ არ იქნენ ანექსირებული. მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მმართველ ხელისუფლებაზე ზედამხედველობას ახორციელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, რომლის მხარდამჭერ ფუნქციას ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შექმნილი ორგანო – სამეურვეო საბჭო. მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მართვას შეიძლება ახორციელებდეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, ან თვით გაერთიან-

ებული ერების ორგანიზაცია. სამეურვეო საბჭოში შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებიც მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მართვას ახორციელებს და ასევე გენერალური ასამბლეის მიერ არჩეული წევრები. იმის გათვალისწინებით, რომ 1994 წელს მეურვეობის ქვეშ მყოფმა უკანასკნელმა ტერიტორიამ (პალაუ) მოიპოვა დამოუკიდებლობა, სამეურვეო საბჭომ თავისი საქმიანობა ამავე წელს დროებით შეაჩერა.

**გაეროს სამდივნო**

→ **გაეროს** ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს გაეროს სხვა ორგანოების ორგანიზატორული მხარდაჭერა (მაგ. კონფერენციების მომზადება, კვლევების განხორციელება, ბიუჯეტის პროექტის შედგენა და ა.შ.) და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ზედამხედველობა. სამდივნოს ხელმძღვანელობს → **გაეროს გენერალური მდივანი**. სამდივნოს შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუ იორკში (აშშ). გარდა ამისა, მას გააჩნია ოფისები ვენაში (ავსტრია), ჟენევაში (შვეიცარია) და ნაირობიში (კენია).

**გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები**

გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ მთავრობათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე შექმნილი სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომლებსაც ფართო უფლებამოსილებები გააჩნიათ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და

## გაეროს უშიშროების საბჭო

სხვა მსგავსი სახის სფეროებში (შეად. გაეროს წესდების 57-ე მუხლი). ეს ორგანიზაციები სამართლებრივად და ფინანსურად დამოუკიდებელი წარმონაქმნები არიან და გაეროსთან დაკავშირებული არიან შეთანხმებებით. აღნიშნული შეთანხმებები გაეროს მხრიდან იღება ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ და ძალაში შედიან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ. გაერო უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაციები სპეციალიზებული ორგანიზაციების პოლიტიკისა და საქმიანობის კოორდინაციის შესახებ. გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ: მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU); შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO); ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირი (ITU); სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO); გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO); ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO); მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია (WMO); მსოფლიო საზღვაო ორგანიზაცია (IMCO); ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO); გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO); სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO); რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD); განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA); საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC); საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD).

## გაეროს უშიშროების საბჭო

→ გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელსაც აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. შესაბამისად, იგი, პოლიტიკური თვალსაზრისით, გაეროს ყველაზე მნიშვნელოვან ორგანოს წარმოადგენს. საბჭო შედგება 5 მუდმივი წევრისგან (აშშ, ჩინეთი, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) და 10 არამუდმივი წევრისგან, რომლებსაც 2 წლის ვადით, რეგიონალური პრინციპის საფუძველზე (5 წევრი - აფრიკიდან და აზიიდან, 2 - ლათინური ამერიკიდან, 1 - აღმოსავლეთ ევროპიდან, 2 - დასავლეთ ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან), ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა. უშიშროების საბჭოს კონკრეტული უფლებამოსილებები მოცემულია გაეროს წესდების VI და VII თავებში. მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. უშიშროების საბჭოს თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს. პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა 9 წევრის თანხმობა. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ასევე 9 წევრის თანხმობა, თუმცა მათ შორის აუცილებლად უნდა იყოს ხუთივე მუდმივი წევრის თანხმობაც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მუდმივ წევრს ყოველთვის შეუძლია ვეტოს უფლება გამოიყენოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ. უშიშროების საბჭოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, თავის შეკავება ან კენჭისყრაში არმონაწილეობა ვეტოს უფლების გამოყენებად

არ ჩაითვლება. ვეტოს უფლება არ გააჩნიათ მუდმივ წევრებს გაეროს მართლმსაჯულების სამართლოს მოსამართლეების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. უშიშროების საბჭოს წევრმა, რომელიც იმ დავის მხარეა, რომლის განხილვაც უშიშროების საბჭოში მიმდინარეობს, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების კენჭისყრის ფარგლებში თავი უნდა შეიკავოს. საკითხის კვალიფიკაცია პროცედურულ თუ „სხვა“ საკითხად შეიძლება მოხდეს საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც თავისი ბუნებით „სხვა“ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, მუდმივ წევრს უფლება აქვს გამოიყენოს ვეტოს უფლება და დაბლოკოს აღნიშნული საკითხის „პროცედურულად“ კვალიფიცილება. შემდგომ კი, ამავე საკითხის უკვე არსებითად განხილვის პერიოდში ასევე გამოიყენოს ვეტოს უფლება. მოცემულ პრაქტიკას ორმავე ვეტოს უწოდებენ. უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის საფრთხის არსებობის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მას სიტუაციაზე რეაგირების სხვადასხვა შესაძლებლობები გააჩნია. როგორც წესი, პირველ რიგში, იგი მხარეებს მოუწოდებს დავის მშვიდობიანად გადაწყვეტისკენ. მას ასევე შეუძლია საგამოძიებო, საშუამავლო ან სამომრიგებლო ღონისძიებები განახორციელოს. აღნიშნული ღონისძიებების წარუმატებლობის შემთხვევაში, საბჭოს, გაეროს წესდების VII თავში მოცემული უფლებამოსილებების გამოყენებით, შეუძლია მიმართოს როგორც ეკონომიკურ, ასევე სამხედრო ხასიათის სანქციებს. ეკონომიკური სანქციების მაგალითია სავაჭრო

ურთიერთობების განწყვეტა, სამხედრო სანქცია კი მოიცავს, როგორც საზღვაო ბლოკადას, ასევე საჰაერო დარტყმების მიყენებას და სახმელეთო ნაწილების გაგზავნას. მართალია გაეროს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან შეასრულონ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები, თუმცა პრაქტიკაში, უშიშროების საბჭოს მიერ დადგენილი სამხედრო ხასიათის სანქციის შესრულება ცალკეული სახელმწიფოების მოხალისეობაზე და მათ მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულების მიზნით სამხედრო კოალიციის შექმნაზე არის დამოკიდებული.

### გამართლებული

სისხლის სამართალში პირი ითვლება გამათლებულად, თუ მის მიმართ გამოტანილია სამართლო გამამართლებელი → განაჩენი.

### გამარტივებული სამართალწარმოება

1. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა დაუსწრებლად.
2. სამოქალაქო სამართალში → გამარტივებული წარმოება.

### გამარტივებული წარმოება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 292-309<sup>21</sup> მუხლები განსაზღვრავს სასამართლოში საქმის წარმოების გამარტივებულ წესს. გამარტივებული წესით სასამართლოში განიხილება: ა) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრუ-

## გამარტივებული წარმოება

ლი სარჩელები; ბ) საქმეები ფულადი თანხის დავალიანების გადახდევის შესახებ; გ) საქმეები ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე; დ) განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ; ე) სარჩელები ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანი ანაზღაურების შესახებ. გამარტივებული წესით საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დასაბუთებულია თანდართული დოკუმენტაციით, რაც ადასტურებს ამ მოთხოვნის უდავოობას, ხოლო მონინალმდებელ მხარეს არ შეუძლია სარჩელის წინააღმდეგ წამოაყენოს → **შესაგებელი**.

**2.1 → თამასუქიდან** გამომდინარე სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ წინაპირობას, რაც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ორი სპეციალური წინაპირობით: სარჩელი აღძრული უნდა იქნეს თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მოსარჩელე უნდა მოითხოვდეს საქმის განხილვას გამარტივებული წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, ასევე, განსჯადობის, მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარებისა და მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე. კერძოდ, მოსარჩელემ თამასუქის ასლი უნდა დაურთოს სარჩელს, ხოლო საქმის სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს წარმოადგინოს იგი დედნის სახით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლი). ა) საერთო სასარჩელო საქმის წარმოებისას დაშვებული → **მტკიცებულებებისაგან** განსხვავებით, თამასუქის თაობაზე სარჩელის

წარმოებისას მტკიცებულებებად დაიშვება მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები. დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელის საქმის წარმოებისას დაუშვებელია საქმის გარემოებათა სხვა სახის მტკიცებულებებით დადასტურება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლში მითითებული მტკიცებულებებისა; ბ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლი სპეციალურად არეგულირებს გამარტივებული წესით თამასუქის თაობაზე აღძრული სასამართლო დავების განსჯადობას. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს ალტერნატიულ განსჯადობას, რომლის მიხედვითაც სარჩელი თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე, იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქვალდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადახდის ადგილი მითითებული უნდა იყოს თამასუქში („თამასუქის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი); გ) თამასუქის თაობაზე საქმის წარმოე-

ბისას განსაზღვრულია უწყების ჩაბარების განსხვავებული ვადები, ვიდრე ეს მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-71-ე მუხლებით. თუ განსჯადობის მიხედვით სასამართლო განიხილავს თამასუქის შესახებ სარჩელს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაშინ უწყება ჩაბარებულ უნდა იქნას სასამართლოს სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე, ხოლო თუ უწყება ბარდება სხვა ადგილას, მაშინ მისი ჩაბარების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 დღით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 295-ე მუხლი);

2.2 მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ თამასუქის თაობაზე სარჩელის აღძვრის ერთერთ წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნა, რომ საქმის წარმოება განხორციელდეს გამარტივებული წარმოების წესით, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხის თანხმობის გარეშე უარი თქვას საქმის განხილვის დამთავრებამდე გამარტივებული წესით წარმოებაზე. ამ შემთხვევაში საქმე განიხილება საერთო წესით;

2.3 თამასუქის თაობაზე გამარტივებული წესით საქმის წარმოების კიდევ ერთი თავისებურება მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლში. კერძოდ, თუ მოპასუხე აღიარებს თამასუქიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სარჩელი დაკმაყოფილდება. ხოლო თუ მოპასუხე არ აღიარებს სასარჩელო მოთხოვნას და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების

საფუძველზე სასამართლო დააკმაყოფილებს მას, ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს დათქმით, რომ მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. მიუხედავად ასეთი დათქმისა, სასამართლოს გადაწყვეტილება ითვლება საბოლოო გადაწყვეტილებად გასაჩივრებისა და იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლი). საქმის დამატებითი წარმოების დათქმით მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, დავა რჩება სასამართლო წარმოების სფეროში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის თანახმად, თამასუქის თაობაზე გამარტივებული საქმის წარმოებისას დაუშვებელია სარჩელების შეერთება და → **შეგებულ სარჩელის** აღძვრა.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის თანახმად, გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს მოთხოვნები გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ. ა) განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების მიღების (გადახდის ბრძანება) თაობაზე არ დაიშვება, თუ იგი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-303-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. მხარეებისა და სასამართლოს აღნიშვნისთან ერთად, განცხადება აუცილებლად მიმართული უნდა იყოს ფულად თანხაზე და უნდა შეიცავდეს მოთხოვნას გადახდის ბრძანების მიღების თაობაზე. გარდა ამისა, აღძრული მოთხოვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული განმცხადე-

ბლის მხრივ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხორციელდა; მამასადამე, განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ მოვალის მიმართ არ გააჩნია სამაგიერო ვალდებულება, რომელზეც დამოკიდებული იქნება მისი მოთხოვნის შესრულება, ე.ი. მოვალემ წინასწარ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება ან კრედიტორმა თავისი ვალდებულება უკვე შეასრულა; ბ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის თანახმად, სასამართლო თავისი განჩინებით უარს ეტყვის განმცხადებელს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების მიღებაზე, თუ იგი არ პასუხობს განცხადების დასაშვებობისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან განცხადებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნის საფუძველი (განცხადებას თანდართული მტკიცებულებები) იურიდიულად ვერ ასაბუთებს ამ მოთხოვნას; გ) განცხადების აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გაცემს გადახდის ბრძანებას, სადაც აღინიშნება, რომ სასამართლოს არ შეუმონწმებია აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება და მოპასუხემ გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად, თუკი მოპასუხე აღძრულ პრეტენზიას მართებულად (დასაბუთებულად) მიიჩნევს, ანდა შეიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი, თუ მოპასუხე მის მიმართ აღძრულ მოთხოვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 306-307-ე მუხლები);

თუ მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგენს შესაგებელს, მოსამართლე გააუქმებს გადახდის ბრძანებას და განიხილავს საქმეს საერთო წესით, ანუ გამარტივებული წარმოება გადაიზრდება საერთო სასარჩელო წარმოებაში. სადავო საკითხია, თუ გადახდის ბრძანება გამოცემული იქნა სოლიდარული მოვალეების მიმართ და დადგენილ ვადაში შესაგებელი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა სოლიდარულმა მოვალემ. გაბატონებული შეხედულების თანახმად, გადახდის ბრძანება უნდა გაუქმდეს ყველა სოლიდარული მოვალის და არა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელმაც წარადგინა შესაგებელი. გადახდის ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა → **სააღსრულებო ფურცელი** და მისი აღსრულება განხორციელდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309-ე მუხლი).

4. სასამართლოს მიერ გამარტივებული წესით განიხილება განცხადება, რომლის თანახმად პირი მოითხოვს ბრძანების მიღებას ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>1</sup>-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>2</sup>-ე მუხლით დადგენილია განცხადების შინაარსი და აუცილებელი რეკვიზიტები. გარდა ამისა, განცხადება უნდა შეიცავდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილ მონაცემებს. ისევე როგორც ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ



ბრძანების მიღებისას, ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს გამოაქვს ბრძანება. განცხადების განხილვის ვადა შეადგენს სამ დღეს. ა) თუ განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე არ აკმაყოფილებს 309<sup>2</sup>-ე მუხლის მოთხოვნებს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ განმცხადებელი განსაზღვრულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მოთხოვნილ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს და განმცხადებელს დაუბრუნებს. განცხადების უმოძრაოდ დატოვების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (სამოქალაქო კოდექსის 309<sup>4</sup>-ე მუხლი); ბ) თუ განმცხადებელი ვერ წარადგენს დამადასტურებელ მტკიცებულებებს და შესაბამისად, იგი ვერ ასაბუთებს თავის მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაშიც უსაძლებელია განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>5</sup>-ე მუხლი); გ) თუ განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წინაპირობებს, სასამართლო გამოიტანს ბრძანებას ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ

აღსრულებას. ბრძანებაში აღნიშნება მისი გასაჩივრების წესი და ვადა და შესაძლებელია მასზე კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ აყოფნებს სააღსრულებო პროცესს. 5. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53<sup>4</sup>-ე მუხლის თანახმად, თუ აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ მას უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის სპეციალურ წესს. ა) მყიდველის განცხადების განმხილველი უფლებამოსილი სასამართლო განისაზღვრება მყიდველის იურიდიული მისამართის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>10</sup>-ე მუხლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მყიდველის განცხადება წარედგინება სასამართლოს განცხადების ოფიციალურ ბუქდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: სასამართლოს დასახელება; მყიდველის და მისი წარმომადგენლის დასახელებები; განმცხადებლის მოთხოვნა; მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბუქდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე მინც; რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართი; თარიღი (სამუშაო დღის

ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი) (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>9</sup>-ე მუხლი). ბ) სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას, რომელმაც უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. სასამართლო განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი). სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ამ აქციების ღირებულებას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლებსა და საზოგადოების აქტივებსა (მათ შორის, სანარმოს რეზერვებს, სანარმოს საქმიანი რეპუტაციას, გამოცდილებას, პერსპექტივებს და საქმიანი კავშირებს)

და პასივებს. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>13</sup>-309<sup>15</sup>-ე მუხლები).

6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>16</sup>-ე მუხლის თანახმად, გამარტივებული წესით შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. → **ზიანის ანაზღაურების** შესახებ სარჩელს სასამართლო განიხილავს წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება სააპელაციო წესით გასაჩივრდეს გამოტანიდან 7 დღის ვადაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-309<sup>21</sup>-ე მუხლები).

### გამასწორებელი სამუშაო

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე. იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. გამასწორებელი სამუშაო ინიშნება 1 თვიდან 2 წლამდე ვადით. მისი მოხდა ხდება მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე და მდგომარეობს მისთვის 5-დან 20%-მდე ხელფასის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაქვითვაში. თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, იგი შეიცვლება

თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე (სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლი). გამასწორებელი სამუშაოთი მსჯავრდებულს შეიძლება შეეცვალოს ჯარიმა, თუ იგი თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი უთანაბრდება გამასწორებელი სამუშაოს ერთ დღეს.

### გამოკითხვა

წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. → **მხარეს** უფლება არ აქვს გამოსაკითხი პირი აიძულოს, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე.

### გამომძიებელი

არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის → **გამოძიება** (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი). იგი გამოძიებას აწარმოებს პროკურორის მითითებების შესაბამისად. ამავდროულად, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (მაგალითად, უნდა გადაამოწმოს ყველა საგამოძიებო ვერსია, მოიპოვოს სრულყოფილად მტკიცებულებები, მოიპოვოს როგორც პირის დანაშაულში მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები). სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი).

### გამოსაცდელი ვადა

არის → **პირობითი მსჯავრის** დროს სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა შეადგენს არანაკლებ ერთ და არა უმეტეს სამ წელს, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას იგი დგინდება არანაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლით (სისხლის სამართლის კოდექსის

64-ე მუხლი). გამოსაცდელი ვადა სასამართლოს მიერ შეიძლება არა უმეტეს ერთი წლით გაგრძელდეს, თუ პირობით მსჯავრდებულმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი (სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

**გამოძალვა**

გულისხმობს სხვისი → **ნივთის** ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნას, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი → **ახლო ნათესავის** მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის განმარტების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დაზიანოს მათი უფლებები (ის ცნობები, რომელთა გავრცელებითაც პირი იმუქრება, შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს და გამოგონილი იყოს, მაგრამ ამით შესაძლებელი იყოს დაზარალებულისთვის ან მისი ახლო ნათესავისთვის ზიანის მიყენება). აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. ქმედების გამოძალვად კვალიფიკაციისთვის მუქარის გამოხატვის ფორმას მნიშვნელობა არ აქვს. იგი შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ტელეფონით და სხვა; როგორც უშუალოდ დაზარალებულისათვის, ისე სხვათა მეშვეობით; პირდაპირ ან შენიღბუ-

ლი ფორმით. ყველა შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაზარალებულის მიერ მუქარის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად იყოს აღქმული. ასევე მნიშვნელობა არ აქვს, დამნაშავე რეალურად აპირებდა მუქარის განხორციელებას თუ არა. გამოძალვა დამთავრებულ დანაშაულად გვევლინება პირისათვის მოთხოვნის წაყენების მომენტიდან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: **ჯგუფურად** (→ **ჯგუფური დანაშაული**); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა); დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით (დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე გამოძალვა ჩადენილი: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძალვისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ ზემოთ აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებში ქმედებას ჩაიდენს → **რეკეტირი**. ამ შემთხვევაში პირი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

**გამოძიება**

არის სისხლის სამართლის პროცესის საწყისი სტადია, რომლის დროსაც ხდება დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. გამოძიების დანაშაულის საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღება, რომელიც გამოძიებელს ან პროკურორს მიაწოდებს. აღნიშნული ინფორმაციის მიღება გამოძიებელსა და პროკურორს ავალდებულებს გამოძიების დანაშაულს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100-ე მუხლი). გამოძიებას აწარმოებენ → **გამოძიების ორგანოების** გამოძიებლები. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურატურა. გამოძიება შედგება → **საგამოძიებო მოქმედებებისგან**, რომლის მეშვეობითაც მხარეები მოიპოვებენ საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს. მხარეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად აწარმოონ გამოძიება, მაგრამ ცალკეული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისათვის მათ ესაჭიროებათ მოსამართლის თანხმობა. საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სამართლის განჩინებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი). გამოძიება მთავრდება, როდესაც გამოძიებისთვის დადგენილ გონივრულ ვადაში მხარეები შეკრებენ საჭირო მტკიცებულებებს სასამართლოში საკუთარი პოზიციების მხარდასაჭერად. გამოძიება შეიძლება შეწყვიტოს პროკურორმა დადგენილ-

ბით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე. ეს დადგენილება სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება დაზარალებულის მიერ გასაჩივრდეს ერთჯერადად ზემდგომ პროკურორთან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი).

**გამოძიების ორგანოები**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას აწარმოებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამოძიებლები. საგამოძიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. → **გამომძიებელი**, → **გამოძიება**.

**განმწესრიგებელი სხდომა**

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით წყვეტს სარჩელის დასაშვებობის საკითხს. თუ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა საეჭვოა ან მოსამართლე მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, სასამართლო სარჩელის მიღებიდან 2 კვირის ვადაში ნიშნავს განმწესრიგებელ სხდომას. მხარეთა გამოუცხადე-

## განათლების უფლება

ბლობა არ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო იღებს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებას, რომელიც საჩივრდება კერძო საჩივრით. საქმის საკასაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, რომელიც არ საჩივრდება.

## განათლების უფლება

არის ადამიანის სოციალური უფლება, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. აღნიშნული მოიცავს სკოლამდელ აღზრდას, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ამასთან, განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლების უფლება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით (35-ე მუხლი). განათლების უფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის, როგორცაა, სახელმწიფო თანამდებობის და-

კავების უფლება (კონსტიტუციის 29-ე მუხლი), გაერთიანების უფლება (კონსტიტუციის 26-ე მუხლი), ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება (კონსტიტუციის 23-ე მუხლი). განათლების უფლება გამომდინარეობს ადამიანის ღირსებიდან, რომელთანაც შეუთავსებელი იქნებოდა ადამიანებისთვის განათლების უფლების თვითნებური ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომელიც მისი ღირსეული ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. თანასწორობის პრინციპი კი კრძალავს ადამიანთა ნაწილის პრივილეგირებას ან შეზღუდვას განათლების მიღების კუთხით მათი წარმომავლობის, კანის ფერის, სქესის, მრწამსისა თუ მსოფლმხედველობის მიხედვით. აქედან გამომდინარეობს უფლების საყოველთაო ბუნება. განათლების უფლება აღიარებულია საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მე-13 მუხლი), ევროპის ქარტიით (მე-10 მუხლი), ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის №1 დამატებითი ოქმით (მე-2 მუხლი), ბავშვთა უფლებების კონვენციით (28-ე მუხლი) და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით.

## განაჩენი

სისხლის სამართალში არის პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას. შესაბამისად, განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. განაჩენს გააჩნია წერილობითი ფორმა და შედგება შესავალი, აღწერილობით-სამო-

ტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის პირველი ნაწილი). განაჩენს ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე, განსხვავებული აზრის მქონის გარდა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განაჩენი დგინდება საქართველოს სახელით და იგი ცხადდება სხდომის თავმჯდომარის მიერ საჯაროდ სხდომის დარბაზში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის პირველი ნაწილი). განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილი). განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო და საკასაციო წესით.  
→ ვერდიქტი.

**განგრძობადი დანაშაული**

არის → ერთიანი დანაშაულის ერთ-ერთი სახე. განგრძობადი დანაშაული, როგორც ერთიანი დანაშაულის რეალიზაციის განსაკუთრებული ფორმა, წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას. აღნიშნულ ქმედებათა შორის უნდა იყოს დროის გარკვეული შუალედი, მაგრამ, მათ შორის არ უნდა იყოს დროის ისეთი ხანგრძლივი შუალედები, რომ ძნელი იყოს ნამოქმედარის ერთიან დანაშაულად განხილვა (მაგალითად, მალაზიის მოლარემ, რომელმაც განიზრახა სალაროდან 1000

ლარის მოპარვა, ერთი კვირის მანძილზე ნაწილ-ნაწილ დაეუფლა აღნიშნულ ქონებას). განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა განხორციელდება მისი შემადგენელი უკანასკნელი აქტი (სისხლის სამართლის კოდექსის 14-ე მუხლი). ამრიგად, თუ შეიძვალა განგრძობადი დანაშაულის განხორციელებისას შესაბამისი სისხლის სამართლის კანონი, მაშინ გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი შემადგენელი უკანასკნელი აქტის ჩადენისას. განგრძობადი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება უკანასკნელი ქმედების ჩადენის დღიდან.

**განზრახვა**

→ ბრალი; → ბრალეულობა.

**განკარგვა**

1. სამართლებრივი თვალსაზრისით განკარგვა ნიშნავს უშუალო ზემოქმედებას → უფლებებზე, რომელიც გამოიწვევს ამ უფლების გადაცემას, გაუქმებას, დატვირთვას ან ცვლილებას. განკარგვა არის → გარიგება, რომელიც უფლების სამართლებრივ მდგომარეობას ცვლის (მაგალითად, → საკუთრების გადაცემა, → მოთხოვნის დათმობა) და ვალდებულებით გარიგებასთან ერთად იწვევს სამართლებრივი შედეგის დადგომას (მაგალითად, გაყიდულ ნივთზე საკუთრების გადაცემა). განკარგვის ნინაპირობას წარმოადგენს პირის → ქმედუნარიანობა და ამ პირისათვის მინიჭებული განკარგვის უფლებამოსილება.

2. განკარგვის უფლებამოსილება ნიშნავს პირის უნარს განსაზღვრულ საგანზე განხორციელოს

ქმედითი განკარგვა და იგი ამ ნიშნით განსხვავდება პირის ქმედუნარიანობისაგან. როგორც წესი, განკარგვის უფლებამოსილება აქვს უფლების მქონე პირს. შესაძლებელია, რომ უფლების მქონე პირს კანონის ძალით შეზღუდული ჰქონდეს განკარგვის უფლებამოსილება. ასე მაგალითად, → **ანდერძის აღმასრულებლის** მიერ ნივთების განკარგვის და სამკიდრო ქონების დაცვის მიზნით განხორციელებული უფლებამოსილებების ფარგლებში მემკვიდრეები კარგავენ სამკვიდროს მართვის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 1415-ე მუხლი). თუ განკარგვა განხორციელდა მესამე პირის მიერ, მაშინ, როგორც წესი, საჭიროა უფლებამოსილი პირის თანხმობა. თუ განკარგვა განხორციელა არაუფლებამოსილმა პირმა და იგი სამართლებრივად ძალაშია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს მიყენებული ზიანი. → **საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა.**

**განრიდება**

არის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლის-სამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი. განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანების მიმართ. განრიდების მექანიზმი პროკურორს შესაძლებლობას აძლევს განარიდოს არასრულწლოვანი სისხლის სამართლის სისტემასა და ნასამართლობას, ამასთან, ხელი შეუწყოს რეკვიდის თავიდან აცილებას, არასრულწლოვანის

გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან უკვე დანყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო და არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან → **მედიაციის** შესახებ. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი შეხვედბა არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს (დამცველს) და ესაუბრება ჩადენილი დანაშაულის შესახებ. პროკურორი არასრულწლოვანს მისთვის გასაგებ ენაზე დეტალურად გააცნობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამას, განრიდებისა და მედიაციის სავარაუდო პირობებსა და შესაძლო შედეგებს. პროკურორი ასევე ხვდება დაზარალებულს, განუმარტავს მას არასრულწლოვანის განრიდების საფუძველსა და მიზეზებს, ისმენს მის მოსაზრებასა და მოთხოვნებს. დაზარალებულის უარი განრიდებაზე ან მედიაციაში მონაწილეობაზე არ აბრკოლებს განრიდების პროცესს. განრიდებასთან დაკავშირებით იდება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი, რომე-



ლიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს. დაუშვებელია ხელშეკრულებით არასრულწლოვანისთვის იმაზე უფრო მკაცრი ვალდებულების დაკისრება, ვიდრე სასამართლო შეუფარდება არასრულწლოვანს ჩადენილი ქმედებისათვის. ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდამწყობის ან უკვე დანაშაული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსი 168<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორს შეუძლია ასევე არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა სრულწლოვანი პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ განრიდების სუბიექტი ნებაყოფლობით შეასრულებს გარკვეულ პირობებს. ეს პირობები შეიძლება იყოს: - უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ზრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; სახელმწიფო ბიუჯე-

ტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი; საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 140-დან 800 საათამდე. თუკი განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს/განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა. განრიდების გადაწყვეტილების მიღებამდე, პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

**განსაკუთრებით მძიმე დანაშაული**

არის ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლისსამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა (სისხლისსამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილი).

**განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის 1982 წლის კონვენციის 56-ე მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცის რაიონი, რომელიც მდებარეობას სანაპირო სახელმწიფოს → ტერიტორიული ზღვის მიღმა და ემიჯნება მას. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიგანე არ შეიძლება აღემატებოდეს 200 საზღვაო მილს. სიგანე აითვლება → სანყისი საზღვიდან. განსა-

## განსჯადობა

კუთრებულ ეკონომიკურ ზონაში სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია სუვერენული უფლებები ანარმოს ზღვის ფსკერის ზემოთ არსებული ნყლის სივრცის, ზღვის ფსკერისა და მისი ნიალის ბუნების ყველა რესურსის დაზვერვა, დამუშავება, შენარჩუნება და მართვა. ამასთან, ეს ეხება, როგორც ცოცხალ, ასევე არაცოცხალ ბუნებრივ რესურსებს. სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული უფლებები მოიცავენ ასევე აღნიშნულ რაიონში ნყლის, დინებისა და ქარის გამოყენებით ენერჯის მიღებას. სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში გააჩნია იურისდიქცია ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების შექმნასთან, საზღვაო-სამეცნიერო კვლევასთან, ზღვის გარემოს დაცვასთან და შენარჩუნებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში აქვს თევზჭერის ექსკლუზიური უფლება. თუმცა, თუკი სანაპირო სახელმწიფოს არ გააჩნია თევზჭერის საკმარისი შესაძლებლობები, იგი ვალდებულია მისცეს სხვა სახელმწიფოებს მის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში თევზჭერის საშუალება. ასევე, სანაპირო სახელმწიფოს ნებართვაა საჭირო ამ ზონაში სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად. ნაოსნობა, ფრენა, საკომუნიკაციო კაბელებისა და მილადენების გაყვანა კი მის ნებართვას არ საჭიროებს. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის რეჟიმი დარეგულირებულია საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 და 30-37-ე მუხლებით. აღნიშნული კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, სა-

ქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარე საზღვარი ან მისი შემცველი გეოგრაფიული კოორდინატები დგინდება საქართველოსა და სხვა შავი ზღვისპირა ქვეყნების საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

## განსჯადობა

→ **სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა.**

## განჩინება

→ **სასამართლო განჩინება.**

## განცხადება

არის უფლების მოპოვებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა.

## გარანტია

→ **მოვალის გარანტია;** → **საბანკო გარანტია.**

## გარდაქმნითი სარჩელი

→ **სარჩელი.**

## გარემო

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს; „ბუნებრივი გარემო“ - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებუ-

ლებში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს; „ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო“ - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

### გარემოს დაცვა

ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას. საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, გარემოს დაცვის შესახებ კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. კანონი გარემოს დაცვის შესახებ არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

### გარემოსდაცვითი აუდიტი

წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის ნორმების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილი ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ სანარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და ნარჩენების მინიმიზაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით. გარემოსდაცვითი აუდიტი ტარდება საქმიანობის სუბიექტის ინიციატივით ან გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში. გარემოსდაცვით აუდიტთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სამინისტრო, თუ გარემოსდაცვითი აუდიტი ტარდება მისი გადაწყვეტილების საფუძველზე. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მოითხოვონ გარემოსდაცვითი აუდიტის შედეგების გაცნობა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან სანარმოო საიდუმლოებას. გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

### გარემოს დაცვის პრინციპები

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებია: ა) „რისკის შემცირების პრინციპი“ - საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და

განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად; ბ) „მდგრადობის პრინციპი“ - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან; გ) „პრიორიტეტულობის პრინციპი“ - ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობის პრინციპი“ - საქმიანობის სუბიექტისათვის მინის, წყლის, ტყის, ფლორისა და ფაუნის ნიაღის და ნიაღისეულის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ფასიანია; ე) პრინციპი „დამაბინძურებელი იხდის“ - საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულება აანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზარალი; ვ) „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი“ - საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შექცევად დეგრადაციას; ზ) „ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი“ - საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ

ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას; თ) „რეციკლირების პრინციპი“ - საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადაუშუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს; ი) რესტიტუციის პრინციპი“ - საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვანდელ (restoration in integrum) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით; კ) „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“ - საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით; ლ) „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ - უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი; მ) „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“ - ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.

### გარიგება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გარიგება არის

სამართლებრივი ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე ნების გამოვლენისაგან, აგრეთვე, სხვა პირობებისაგან, რომელიც აუცილებელია, რომ მიღწეულ იქნეს სამართლებრივი შედეგი. გარიგება არ არის ნების გამოვლენის იდენტური. ნების გამოვლენა არის გარიგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ იშვიათად ერთადერთი შემადგენელი ნაწილი (მაგალითად, ანდერძის შედგენა ან მინდობილობის გაცემა არის როგორც გარიგება, ასევე, ნების გამოვლენა). როგორც წესი, გარიგების შემადგენელი ნაწილებია რამდენიმე ნების გამოვლენა, განსაკუთრებით, ხელშეკრულების შემთხვევაში, და სხვა გარემოებები, მაგალითად, გარიგების → **ფორმის დაცვა**, მესამე პირების თანხმობა, კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა არაქმედუნარობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა და ა.შ. მასასადამე, გარიგების ცნება უფრო მეტის მომცველია, ვიდრე ნების გამოვლენა. გარიგების სამართლებრივი შედეგი მოიცავს არა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან, არამედ, კანონიდან გამომდინარე შედეგებს, (მაგალითად, გამყიდველის მოვალეობანი → **ნაკლული ნივთის გაყიდვისას**).

2. განასხვავებენ ცალმხრივი და მრავალმხრივი გარიგების სახეებს. ცალმხრივი გარიგებების პირველ ჯგუფს განეკუთვნება ის გარიგებები, რომელთა სამართლებრივი შედეგი მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღებით მიიღწევა (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი), მაგალითად, ხელშეკრულების შეწყვეტა, → **შეცილება** და ა.შ. ცალმხრივ გა-

რიგებათა მეორე ჯგუფისათვის დამახასიათებელია, რომ ისინი იურიდიულ ძალას იძენენ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად, მაგალითად, ანდერძის შედგენა ან ჯილდოს საჯაროდ დაპირება. მრავალმხრივი გარიგებების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ხელშეკრულება. ამას გარდა, არის საერთო ქმედება, რომლის დროსაც რამდენიმე ნების გამოვლენა ხდება არა ურთიერთმიმართებაში, არამედ მათ აქვეთ საერთო მიზანი, მაგალითად, გაერთიანების დაფუძნება ან საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო გადაწყვეტილება; ბ) სასყიდლიანი და უსასყიდლო გარიგებები → **ჩუქება**; გ) ვალდებულებითი, სანივთო, საოჯახო, მემკვიდრეობითი გარიგებები → **ვალდებულებითი სამართალი**; დ) მავალდებულებელი და განკარგვითი გარიგებები. მავალდებულებელი გარიგების საფუძველზე წარმოიშობა პირის ვალდებულება შესარულოს განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან. ამ შემთხვევაში არ ხდება უშუალო სამართლებრივი სტატუსის ცვლილება. ამის საპირისპიროდ, განკარგვითი გარიგების შედეგად - ხშირად მავალდებულებელი გარიგების შესარულებლად - ხდება სამართლებრივი სტატუსის ცვლილება (მაგალითად, საკუთრების გადაცემა). განკარგვითი გარიგებები ყველაზე მეტად დამახასიათებელია → **სანივთო სამართლისათვის**, მაგრამ გვხვდება, აგრეთვე, ვალდებულებით სამართალში (მაგალითად, → **მოთხოვნის დათმობა**, → **ვალის პატიება**). თუ განკარგვითი ვალდებულების შესარულებლად არ არსებობს ვალდებულება, მაშინ, როგორც წესი, წარმოიშობა მოთხოვნა → **უსაფუ-**

**ძვლო გამდიდრების** წესების მიხედვით; ე) კაუზალური და აბსტრაქტული გარიგებები. როგორც წესი, ყოველ გარიგებას აქვს საფუძველი (causa) და არა მხოლოდ, ხშირად, სამართლებრივად უმნიშვნელო, ეკონომიკური ინტერესი. სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი“. გამომდინარე აქედან, ქართული სამოქალაქო სამართალი არ იცნობს → **აბსტრაქციის პრინციპს**, რომელსაც უკავშირდება გარიგებების დაყოფა კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებად. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია აბსტრაქტული გარიგებები, მაგალითად, → **მოთხოვნის დათმობა**, → **ვალის პატიება** და → **ვალის არსებობის აღიარება**.

3. გარიგება შეიძლება იყოს განსაზღვრული ნაკლის მატარებელი, რომელიც განზრახულ სამართლებრივ შედეგის დადგომას, მთლიანად ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად, შეუძლებელს ხდის. ნაკლის არსიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს გარიგებების ბათილობის სხვადასხვა ფორმებს: ა) უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება. ასეთი გარიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან და არ წარმოიშობს სამართლებრივ შედეგს (მაგალითად, პირის ქმედუუნარობა, კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების, აგრეთვე, საჯარო წესრიგისა ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება, მოჩვე-

ნებითი და თვალთმაქცური გარიგება); ბ) მერყევად ბათილი გარიგება. ასეთი გარიგებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ კანონი ითვალისწინებს გარიგების დადების დროს არსებული ნაკლის ან შეცდომის გამოსწორებას და ამ გზით გარიგების ნამდვილად ქცევას (მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენელის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება; გარიგებები, რომლებიც ნამდვილობისათვის საჭიროებენ მესამე პირების თანხმობას; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება); გ) საცილო გარიგება. საცილო გარიგებები ნამდვილია მისი დადების მომენტში, მაგრამ მისი ბედი დამოკიდებულია გარიგების მეორე მხარის ან უფლებამოსილი პირის → **შეცილებაზე** (მაგალითად, შეცდომითი, მოტყუებითი ან იძულებით დადებული გარიგებები). → **გარიგების ბათილობა**; → **ნების გამოვლენა**. → **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება**; → **საკუთარ თვითან გარიგების დადების დაუშვებლობა**.

**გარიგების ბათილობა**

1.1 → **გარიგება** არის უცილოდ (არარა) ბათილი, თუ იგი იმდენად მძიმე ნაკლის მატარებელია, რომ მას კანონი არანაირ სამართლებრივ შედეგს არ უკავშირებს. მნიშვნელოვან შემთხვევებს წარმოადგენს ნების გამომვლენის ქმედუუნარობა (→ **ქმედუნარიანობა**), გარიგებისათვის აუცილებელი ფორმის დაუცველობა, მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი, ასევე, → **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი**. უცილოდ ბათილი (არა-

რა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან (განსხვავებით ნების გამოვლენის შეცვლისაგან) და იგი არავის მიმართ არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. გარიგების უცილოდ ბათილობა, როგორც წესი, მოქმედებს უწყვეტად და შეუძლებელია „დადასტურებით“ მისი გამოსწორება. თუ პირი დაადასტურებს უცილოდ ბათილ გარიგებას, მაშინ ეს მოქმედება განხილულ უნდა იქნეს როგორც გარიგების ხელახლა დადება და, შესაბამისად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობებს, განსაკუთრებით, მოცემული უნდა იყოს პირის → **ქმედუნარიანობა**, ასეთი ტიპის გარიგებისათვის დამახასიათებელი ფორმის დაცვა და ა.შ. აქედან გამომდინარე, უცილოდ ბათილი გარიგება „დასტურის“ მომენტიდან ითვლება ახალ გარიგებად (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ მხარეები ადასტურებენ უცილოდ ბათილ გარიგებას, მაშინ ისინი საექსპოზიციას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-4 ნაწილი). გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან, თუ იგი მეორე მხარის მიერ შეცილებულ იქნა (სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ასევე, მერყევად ბათილი გარიგება, თუ საბოლოოდ არ მოხდა შესაბამისი თანხმობის მიცემა. უცილოდ ბათილი გარიგება განსხვავდება გარიგების → **შეცილებისაგან**, რომლის დრო-

საც გარიგება დადების მომენტიდან სამართლებრივად ნამდვილად ითვლება, მაგრამ შესაძლებელია იგი ბათილად იქნას ცნობილი მხარის განცხადების საფუძველზე.

1.2 გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც (სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი). გარიგების ნაწილის ბათილობა შეიძლება შეეხებოდეს ხელშეკრულების ცალკეულ პუნქტებს, ასევე, მხარეებს, მაგალითად, მათ ქმედუნარიანობას. ამ მუხლის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ერთიანი გარიგება შეიძლება ნაწილებად ისე დაიყოს, რომ სავარაუდო იყოს, რომ იგი დაიდებოდა ბათილი ნაწილის გარეშეც. ორმხრივი ხელშეკრულებებისას, სასამართლო პრაქტიკა უშვებს მხარეების სავარაუდო ნებას, რომ ხელშეკრულების ერთი პუნქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, შენარჩუნებულ იქნეს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი მნიშვნელოვანი დებულებებით (განსაკუთრებით, როდესაც ხელშეკრულება შეიცავს ე.წ. სალვატორულ კლაუზელს.)

2. გარიგების კონვერსია. თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა (სამოქალაქო კოდექსის მე-60 მუხლი). ასე, მაგალითად, შესაძლებელია, რომ → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა** დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე, კონვერსირებულ იქნეს ხელშეკრულებაზე უარის თქმით დამატებითი

## გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

ვადის დაწესებით. თუ გარიგება მერყევად ბათილია ან შესაძლებელია გარიგების შეცილება, ასეთ შემთხვევაში, გარიგების კონვერსია დასაშვებია, თუ, მაგალითად, გარიგება შეცილებით საბოლოოდ ბათილად იქნა ცნობილი.

3. მერყევად ბათილი გარიგება. ხშირ შემთხვევაში, როდესაც პირს არ აქვს → **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** ან განკარგვის უფლება, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის გადანყვევტილებაზე. მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ორმხრივი გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი), → **გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე** (სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი), საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ყველა ის შემთხვევა, როდესაც გარიგება მისი ნამდვილობისათვის საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას, მაგალითად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ. გარიგება თანხმობის გაცემამდე (ანუ მერყევ მდგომარეობაში) არ წარმოშობს გარიგების მხარეებისათვის სამართლებრივ ვალდებულებებს (განსხვავებით პირობითი გარიგებებისაგან), მაგრამ მხარეები ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ გარიგების ნამდვილობის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ აღმოფხვრილ იქნა დამაბრკოლებელი გარემოება, მაშინ, გარიგება ძალაშია მისი დადების მომენტიდან, ე.ი. თანხმობას აქვს უკუქმედებითი ძალა (ex tunc). წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში, მაგალითად, თანხმობის უარყოფის, შესაბამის ვადაში არ მიცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საბოლოოდ უარის თქმის შემთხვევაში, გარიგება საბოლოოდ არის ბათილი და იგი უთანაბრდება უცილოდ ბათილ გარიგებას.

4. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, ბათილია მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. მოჩვენებითი გარიგების დადება ხშირია იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს განზრახული აქვთ კრედიტორის მოტყუება და ამით შესაბამისი სარგებლის მიღება. მოჩვენებითი გარიგება არ არის მოცემული, მაგალითად, როცა პირი სხვა პირს საკუთრებაში გადასცემს ნივთებს, რომ ის კრედიტორის აღსრულებისაგან დაიცვას (→ **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება**).

## გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

მოცემულია, როდესაც წარმომადგენელს → საერთოდ არ გააჩნია → **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** ან იგი ასეთ უფლებამოსილებას გადააჭარბებს. მის → **ბრალულობას** არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება მერყევად ბათილია (→ **გარიგების ბათილობა**) და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე (სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი). თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლე-



ბა აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ხელშეკრულების დადების დროს არ იცოდა. თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ ამ თანხმობის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თუ თანხმობა მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში არ გაცივმა, მაშინ ითვლება, რომ თანხმობაზე მოთხოვნა უარყოფილია (სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი). წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენელი (*falsus procurator*) ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს (→ **შესრულება**) ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი (→ **ზიანის ანაზღაურება**), თუკი წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს (სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას (სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილი). წარმომადგენელის პასუხისმგებლობა დაუშვებელია, თუ იგი არის ქმედუუნარო ან მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარე ურთიერთობაში მოქმედი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე გარიგების დადება უნდა განვასხვავოთ წარმოდგენილ პირსა და წარმომადგენელს შორის შიდა ურთიერთობაში მოქმედი

→ **დავალების** ხელშეკრულებისგან. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე არ არის მოცემული, თუ წარმომადგენელს გარე ურთიერთობაში აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მაგრამ შიდა ურთიერთობაში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე არ არის უფლებამოსილი განახორციელოს იგი. სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებს განიხილავს როგორც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და იყენებს წარმომადგენლობით უფლებამოსილების გარეშე გარიგების დადების შესაბამის ნორმებს, განსაკუთრებით, წარმომადგენლის პასუხისმგებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენელმა შეგნებულად გადააჭარბა უფლებამოსილებას და მეორე მხარეს გაცნობიერებული ჰქონდა ან გულმოდგინების საფუძველზე უნდა გაეცნობიერებინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი. თუ ორივე მხარის ქმედებამ გამოიწვია ზიანის მიყენება წარმომადგენლისათვის, ასეთი გარიგება → **ბათილია** როგორც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი). → **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება**.

### გარიგების საფუძველი

1. გარიგების საფუძველი არის მხარეთა წარმოდგენით ხელშეკრულების დადების ყველა არსებითი გარემოება, რომელიც შესაძლებელია არ აყალიბებდეს ხელშეკრულების შინაარსს, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო მეტია, ვიდრე ხელშეკრულების დადების უბრალო მოტივი. მოლოდინი, რომ დადებულია ხელსაყრელი გარიგება არის მხოლოდ მოქმე-

დების მოტივი (გაცნობიერებული რისკი). ამის საპირისპიროდ, გარიგების საფუძველს ქმნიან ისეთი გარემოებები, რომელსაც ხელშეკრულების განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით, მხარეთა მოლოდინი, რომ ვალდებულების შესრულებასა და სამაგიერო შესრულებას შორის ურთიერთშეფარდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ძირეულად არ შეიცვლება (ე. წ. *clausula rebus sic stantibus*).

2. როგორც წესი, ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მისაღებია მათი შინაარსი. ხელშეკრულების მხარეები ეწევიან ხელშეკრულების განხორციელების რისკს (→ **acta sunt servanda**). თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა, მაგალითად, მხარეთა ორმხრივი შეცდომა ხელშეკრულების არსებით გარემოებებზე (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი). შეცვლილი გარემოებები-სადმი ხელშეკრულების მისადაგებით გადალახულ უნდა იქნეს დაბრკოლება და ვალდებულების შესრულებასა და სამაგიერო შესრულებას შორის მიღწეულ იქნეს სამართლიანი ურთიერთშეფარ-

დება. თუ შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (→ **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**).

**გარიგების ფორმა**

როგორც წესი, ნება გამოვლენილ შეიძლება იქნას ნებისმიერი ფორმით, მაგრამ გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა (სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, სავალდებულოა გარიგების ფორმის დაცვა იმისათვის, რომ მას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი ან წერილობითი ფორმით. გარიგების წერილობითი ფორმის დაცვის მიზანს წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის დადგენა, ასევე, მისი შინაარსის ზუსტად განსაზღვრა და ამისათვის მტკიცებულების უზრუნველყოფა.

1. გარიგების მარტივი წერილობითი ფორმით დადებისას საკმარისია გარიგების მხარეთა ხელმოწერა. მაშასადამე, აუცილებელი არ არის, რომ გარიგების მთლიანი ტექსტი ხელწერით იქნას შედგენილი. გვარისა და სახელის შემოკლებით დაწერა ან ფსევდონიმის გამოყენება საკმარისია მხოლოდ გამოწერილობის შემთხვევებში. ხელმოწერა უნდა ასახავდეს მხარეების წერის ინდივიდუალურ მანერას და არ არის აუცილებელი, რომ მისი ნაკითხვა თავისუფლად შეეძლოს ნებისმიერ ადამიანს. როგორც წესი, ხელმოწერა უნდა განხორციელდეს ტექსტის ქვემოთ; წერილობითი ფორმა დაცულია იმ შემ-

თხვევაშიც, როცა გარიგების ტექსტს თავისი სახელით ხელს აწერს წარმომადგენელი შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში. ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ერთი და იმავე გვერდზე; თუ ხელშეკრულება შედგენილია რამდენიმე ეგზეპლარად, საკმარისია, რომ თითოეული მხარე ხელს მოაწერს მეორე მხარისათვის განკუთვნილ ეგზემპლარს (სამოქალაქო კოდექსის 71-ე, 328-ე მუხლები).

2. წერილობითი ფორმით დადებული გარიგების ნამდვილობა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საჭიროებს ნოტარიუსის ან კანონით გათვალისწინებული პირის მიერ დამოწმებას. ამ შემთხვევაში, ნოტარიუსი ადასტურებს, რომ ხელმოწერა ნამდვილად შესრულებულია ხელშეკრულების მხარის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ნოტარიული დამოწმება აღინიშნება შესაბამისი ჩანაწერით. თუ გარიგების ნამდვილობისათვის განსაზღვრულია წერილობითი ფორმა, მაშინ ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას.

### გაუპატიურება

→ სქესობრივი დანაშაული.

### გაუფრთხილებლობითი დანაშაული

→ ბრალი.

### გაფლანგვა

სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, სხვისი → ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებო-

და გაფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. გაფლანგვა წარმოადგენს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში არსებული ქონების დახარჯვას, მის გაყიდვას ან სხვაგვარად გასხვისებას. დამნაშავე ქონების მართლზომიერ მფლობელობას ახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის, სახელშეკრულებო ურთიერთობისა თუ სპეციალური დავალების სახით. გაფლანგვა გულისხმობს განზრახ ქმედებას. ამ დროს პირს შეგნებული აქვს, რომ ფლანგავს სხვის ქონებას, რომელიც აქვს მას მინდობილი, ითვისების, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს ზიანის მიყენება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაფლანგვისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (ჯგუფური დანაშაული); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა), რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით); სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმე-

## გაფრთხილება

ვით ვადით სამ წლამდე, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე გაფლანგვა ჩადენილი: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); დიდი ოდენობით (დიდი ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით); პირი, რომელიც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

## გაფრთხილება

1. არის → **აღმზრდელითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების** ერთ-ერთი (ყველაზე მსუბუქი) სახე. იგი ნიშნავს არასრულწლოვნისათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის განმეორებით ჩადენას. მაშასადამე, არასრულწლოვანს განემარტება, რომ თუკი იგი განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, ამას შედეგად მოჰყვება მისი მსჯავრდება და მის მიმართ აღარ გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები.

2. გაფრთხილება, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. გაფრთხილება, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ზომა, გამოაქვთ წერილობითი ფორმით, კანონმდებლო-

ბით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაფრთხილება გაფორმდება სხვა დადგენილი წესით.

## გაქვითვა

1. თუ ორ პირს ერთმანეთის მიმართ აქვს მოთხოვნები, მაშინ ერთ-ერთ მხარეს შეუძლია ცალმხრივად თავისი მოთხოვნა მეორე მხარის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ გაქვითვოს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნების შესრულების ვადა (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი). გაქვითვის წინაპირობას წარმოადგენს მოთხოვნათა ნამდვილობა და მათი შესრულების ვადის არსებობა. ურთიერთმოთხოვნები არსებობს მხოლოდ მოვალესა და კრედიტორს შორის და გამომდინარე აქედან, მესამე პირს არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნა მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნით გაქვითვოს. კანონის წინაპირობას არ წარმოადგენს, რომ ურთიერთმოთხოვნები ერთმანეთს ფარავენ, ერთგვაროვანია, ერთი და იგივე სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობენ, ასევე, მათი დამტკიცების შესაძლებლობა. მაგრამ კანონის პრაქტიკული გამოყენება, უმეტეს შემთხვევებში, მოთხოვნათა ერთგვაროვნებაზე იქნება დამოკიდებული. გაქვითვის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს → **ზიანის ანაზღაურების განსაზღვრა დიფერენციაციის თეორიისა და → უსაფუძვლო გამდიდრების** მოცულობის განსაზღვრა სალდოს თეორიის მიხედვით.

2. სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ხელშეკრულებით გაქვით-

ვის დათქმა გამორიცხული არ არის და ხშირად ხდება პრაქტიკაში. გაქვითვა შეიძლება, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გამორიცხული იყოს, (მაგრამ არა → **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). გარდა სამოქალაქო კოდექსის 447-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია, თუ მოთხოვნას უპირისპირდება მეორე მხარის შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 443-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის → **ხანდაზმულობის** შესაგებელი არ გამორიცხავს გაქვითვის განხორციელებას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. 3. გაქვითვის სამართლებრივი შედეგი არის, რომ ურთიერთმოთხოვნები იმ მომენტში წყდება, როდესაც ისინი გასაქვითად ერთმანეთის საპირისპიროდ იდგნენ. მეორე მხარისათვის შეტყობინება იმ დროში მოქმედებს, როდესაც ყველაზე ადრე შეიძლებოდა გაქვითვის განხორციელება (ე.წ. გაქვითვის სიტუაცია). ასე, რომ ამ მომენტიდან წარმოშობილი ცვლილებები, მაგალითად, მოვალის მიერ ვადის გადაცილება ან პირგასამტეხლოს დაკისრება, უკუქცევითი ძალით ბათილდებიან. თუ პირმა გაქვითვა პროცესის მსვლელობის დროს განახორციელა, გაბატონებული აზრის თანახმად, ეს შეფასდება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი გაქვითვა სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიხედვით, ისე → **საპროცესო მოქმედება**. მართალია, გაქვითვა წარმო-

ადგენს აღმჭურველ უფლებას და მისი განხორციელება დროის ან გარემოების დადგომის პირობით დაუშვებელია, მაგრამ, გაბატონებული აზრის თანახმად, პროცესზე დასაშვებია ე.წ. ევენტუალური გაქვითვა, ე.ი. მხარის განცხადება, რომ იგი მეორე მხარის მიმართ იმ შემთხვევაში გაქვითავს მოთხოვნით, თუ სხვა შესაგებლები მეორე მხარის მოთხოვნას არ აბათილებენ.

### გაცვლა

ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, გაცვლის ხელშეკრულების შემთხვევაში, სამაგიერო შესრულების საგანი არის არა ფულადი თანხა, არამედ ქონება. გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობა მოცემულია იმ შემთხვევაშიც, როცა გასაცვლელი ქონება, მამასადამე, შესრულება და სამაგიერო შესრულება, არატოლფასოვანია და მათ შორის არსებული ღირებულებითი განსხვავება მხარეთა შეთანხმებით ფულით ანაზღაურდება (სამოქალაქო კოდექსის 522-ე მუხლი). ნასყიდობასა და გაცვლას შორის განსხვავება სამართლებრივად უმნიშვნელოა, რის გამოც გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების წესები (სამოქალაქო კოდექსის 523-ე მუხლი).

### გაძევება

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მიხედვით, → **უცხოელი** შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან, თუ: ა) იგი უკანონოდ შემოვიდა საქართველოში; ბ) აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის სა-

მართლებრივი საფუძველი; გ) მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; დ) მისი გაძეგება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა პირთა ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის; ე) იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას; ვ) მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის სამართლებრივი საფუძველი მოიპოვა ყალბი ან ძალის არმქონე საბუთების წარდგენით; ზ) მას ერთი ან რამდენიმე განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა – სასჯელის მოხდის შემდეგ, გადანყევტილებას საქართველოდან უცხოელის გაძეგვის თაობაზე ზემოთ მოცემული „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო „გ“–„ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად კი – სასამართლო. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მიხედვით, უცხოელი შეიძლება გაძეგვულ იქნეს: ა) მისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში; ბ) იმ სახელმწიფოში, საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში; გ) ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელიც თანახმაა მიიღოს იგი. უცხოელის გაძეგება დაუშვებელია იმ სახელმწიფოში, რომელიც: ა) მას დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება; ბ) მას დევნიან ადამიანის

უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისათვის; გ) მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. საქართველოდან არ შეიძლება გაძეგვულ იქნეს: ა) უცხოელი, რომელსაც აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვა და ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის გარეშე; ბ) უცხოელი, რომელიც საქართველოშია დაბადებული და რომელსაც აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვა, თუ ბოლო 1 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის გარეშე; გ) უცხოელი, რომელიც არასრულწლოვანია და რომელსაც აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვა, თუ ბოლო 1 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის გარეშე; დ) საქართველოში მყოფი უცხოელი, რომელიც იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ; ე) უცხოელი, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში; ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირი. ზემოაღნიშნული კატეგორიების პირები შეიძლება გაძეგვულ იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო უშიშროე-

ბას და საზოგადოებრივ წესრიგს განსაკუთრებული ზიანი ადგება. საქართველოდან გაქვებულ უცხოელს 1 წლის განმავლობაში არ მიეცემა საქართველოს ვიზა, საქართველოში შემოსვლის ნებართვა და ბინადრობის ნებართვა. ამასთანავე, იგი ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით საქართველოში ყოფნის წესების დარღვევისათვის დადგენილი განსაზღვრული ოდენობის ჯარიმა ქვეყნიდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ.

### განვევის სიგელი

დოკუმენტი, რომლითაც წარმგზავნი სახელმწიფო მიმღებ სახელმწიფოს ატყობინებს → **დიპლომატის** გამოწვევის შესახებ (lettre de rappel, letter of recall).

### გენერალური კლაუზულა

აღნიშნავს სამართლის ნორმას, რომლის ფაქტობრივი შემადგენლობა ფართოდ არის ჩამოყალიბებული და მოითხოვს დაკონკრეტებას სასამართლო პრაქტიკაში. კანონმდებლის მიერ მისი გამოყენება ხშირად ხდება იმისათვის, რომ სამართლის ნორმის ზოგადმა ფორმულირებამ რაც შეიძლება მეტი საკანონმდებლო შემადგენლობა მოიცვას. ამის შედეგად, შესაძლებელია კანონი გათავისუფლდეს დეტალური ნიშნების ჩამონათვალისაგან და ამავე დროს, კანონის გამოყენების სფერო არ იქნას შეზღუდული. გარდა ამისა, კანონმდებლობაში ხშირად გვხვდება შეფასებითი კატეგორიები, რომელთა შინაარსი დროში ცვალებადია (მაგალითად, ზნეობის ნორმები, კეთილსინდისიერება და სხვა).

### გენერალური კონსული

საქართველოს დიპლომატიური სამსახურის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, გენერალური კონსული ერთ-ერთ უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობას წარმოადგენს. იგი ასევე წარმოადგენს საკონსულო დაწესებულების მეთაურს ერთ-ერთ კლასს (საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი). გენერალური კონსული მეთაურობს გენერალურ საკონსულოს. გენერალურ კონსულს თანამდებობაზე ნიშნავს, გადააადგილებს ან თანამდებობიდან ანთავისუფლებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

### გენოციდი

სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლისა და → სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-6 მუხლის შესაბამისად, განიმარტება, როგორც ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობის განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორისათვის იძულებით გადაცემით. გენოციდი → **საერთაშორისო დანაშაულს** წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც

## გვარეობით განსაზღვრული ნივთი

ნლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

## გვარეობით განსაზღვრული ნივთი → გვარეობით განსაზღვრული საგანი.

## გვარეობით განსაზღვრული საგანი

თუ ვალდებულებით ურთიერთობაში შესრულება არ არის კონკრეტულად განსაზღვრული (მაგალითად, კონკრეტული ნახატის ყიდვა, ე.წ. → ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი), არამედ მხოლოდ გვარეობითი ნიშნებით (მაგალითად, 10 კგ ფორთოხალის ყიდვა), მაშინ მოცემულია გვარეობით განსაზღვრული საგანი. გვარეობით განსაზღვრულ საგანს წარმოადგენს, როგორც ნესი, შეცვლადი → ნივთი. მისი მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ნებით. თუ შესრულება უნდა განხორციელდეს შეზღუდული რაოდენობიდან, მაშინ მას უნოდებენ შეზღუდულ გვარეობით საგანს ან შესრულებას განსაზღვრული მარაგიდან (მაგალითად, სამი კასრი ღვინო განსაზღვრული სპეციფიკური ზონიდან), რომლის დროსაც ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტულ მარაგზე. თუ მოვალემ გვარეობით განსაზღვრული საგნით შესრულებისათვის თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა, მაშინ ვალდებულების შესრულების საგანი კონკრეტდება ამ საგანზე და მოცემულია ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი. რაც მოვალემ ამისათვის უნდა გააკეთოს, დამოკიდებულია მის სახელმეკრულებო ვალდებულებაზე. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკ-

რულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილი იყო, მაშინ მოცემულია დაკონკრეტება იმ მომენტში, როდესაც მან ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხიმგებელ პირს და გამომდინარე აქედან, მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლი). იგივე ნესი მოქმედებს, როდესაც მოცემულია → კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება.

## გვარეობით განსაზღვრული შესრულება

→ გვარეობით განსაზღვრული საგანი.

## გვარევნული ნივთი

→ გვარეობით განსაზღვრული საგანი.

## გირავნობა

1. გირავნობა არის კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის → აქცესორული → სანივთო უფლება, რომელიც მოგირავნეს აძლევს უფლებას, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით (სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს გირავნობის ორ ფორმას: სახელმეკრულებო და კანონისმიერ გირავნობას. სახელმეკრულებო გირავნობა, თავის მხრივ, იყოფა მფლობელობით და რეგისტრირებულ გირავნობად (სამოქალაქო კოდექსის 254-ე და 255-ე მუხლები). კანონ-



ნისმიერი გირავნობის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია მოგირავნის მფლობელობაზე. მაგალითად, მენარდეს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდეს მფლობელობაში იმყოფება (სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლი), აგრეთვე, გადამზიდველის გირავნობის უფლება ტვირთზე გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო (სამოქალაქო კოდექსის 685-ე მუხლი) და შემნახველის გირავნობის უფლება საწყობში მიბარებულ საქონელზე (სამოქალაქო კოდექსის 796-ე მუხლი). კანონისმიერი გირავნობა წარმოიშობა, ასევე, მფლობელობის გარეშე, კანონის ძალით, კრედიტორის ბატონობის სფეროში არსებულ ნივთებზე. მაგალითად, ქირავნობის ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მინის ნაკვეთის, სახლის ან ბინის გამქირავებლის გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე (სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლი) და მეიჯარის გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებული ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე (სამოქალაქო კოდექსის 596-ე მუხლი).

2. მოძრავ ნივთზე სახელშეკრულებო მფლობელობითი გირავნობის წარმოშობის საფუძველი არის შეთანხმება კრედიტორსა და ნივთის მესაკუთრეს შორის და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლი). ამდენად, კანონი უშვებს ნივთის არა მხოლოდ კრედიტორის

პირდაპირ, არამედ, არაპირდაპირ, მესამე პირის → **მფლობელობაში** გადასვლას. რეგისტრირებული გირავნობის უფლების წარმოშობა არ არის დამოკიდებული ნივთის მფლობელობაში გადასვლაზე და მისი წარმოშობისათვის საკმარისია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლი).

3. ა) გირავნობის საგნით დამგირავებული პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე უზრუნველყოფილი მოთხოვნისათვის. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, მას შეუძლია მოგირავნეს წაუყენოს ის შესაგებლები, რომლის წაყენების უფლებაც აქვს პირად მოვალეს, მათ შორის, ისეთი შესაგებლები, რომლებზედაც მოგირავნის პირადმა მოვალემ უარი თქვა გირავნობის წარმოშობის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 263-ე მუხლი). გირავნობით დატვირთული ნივთის რეალიზაციამდე მოგირავნესა და დამგირავებელს შორის არსებობს → **ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა**, რომელიც მოგირავნეს აკისრებს მის მფლობელობაში არსებულ გირავნობის საგნის სათანადოდ მოვლა-შენახვის ვალდებულებას. ბ) პირადი მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოგირავნეს უფლება აქვს განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია ან მოითხოვოს მისი საკუთრებაში გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლი). მფლობელობითი გირავნობის დროს დამგირავებლის მიერ

## გირაო

გირავნობის საგნის გასხვისების შემთხვევაში გირავნობის უფლება წყდება და შემდეგნაირად გადადის დაუტვირთავი საკუთრება, თუ მოგირავნე ან მის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირი გირავნობის საგნის მფლობელობას გადასცემს შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გამომდინარე აქედან, მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შემდეგი მოიპოვებს საკუთრებას. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია ან იმ დამგირავებლის მიერ, რომელიც არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, აქცესორულობის გამო, ახალ კრედიტორზე მოთხოვნასთან ერთად გადადის გირავნობაც (სამოქალაქო კოდექსის 269-ე მუხლი).

4. გირავნობის უფლება წყდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობს, აგრეთვე, გირავნობის საგნის ფიზიკურად შეწყვეტის ან მისი მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში და მხარეთა შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 270-273-ე მუხლები).

## გირაო

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს ალკვეთის ღონისძიებას, რომლის გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად, გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემუ-

ლი წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1 000 ლარზე ნაკლები. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა. თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც ალკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი ალკვეთის ღონისძიებით. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული ალკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი ალკვეთის ღონისძიებით.

## გონივრული ეჭვი

სისხლის სამართლის პროცესში არის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო სტანდარტი. გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დამტკიცდეს პირის ბრალეულობა კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სხვა შემთხვევაში ბრალდებული უნდა გამართლდეს.

## დ

**დადგენილება**

სისხლის სამართლის პროცესში წარმოდგენს გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმა. დადგენილება შესაძლებელია, რომ გასაჩივრდეს (მაგალითად, გამომძიებლის დადგენილება საჩივრდება პროკურორთან, პროკურორის დადგენილება ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში).

**დავალება**

1. დავალება, სამართლებრივი გაგებით, არის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი). დავალების ხელშეკრულება შეეხება მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის არსებულ შიდა სამართლებრივ ურთიერთობას. ამ ურთიერთობისაგან უნდა გავმიჯნოთ აქედან გამომდინარე რწმუნებულის → **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**, რომელიც მესამე პირებთან გარე ურთიერთობას შეეხება. დავალების შინაარსი შეიძლება საკმაოდ ფართო იყოს და იგი მოიცავდეს როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ მიზნებს, მაგალითად, ქონების მართვას, მარწმუნებლის სასამართლო პროცესზე წარმომადგენლობას და ა.შ.

2. დავალების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. იგი ავალდებუ-

ლებს რწმუნებულს შეასრულოს მარწმუნებლის მიერ დავალებული მოქმედება მისი სახელითა და ხარჯზე და მარწმუნებლის მითითებებით (სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 712-ე მუხლები → **ბრალეულობა**). რწმუნებული, ასევე, ვალდებულია მიანოდოს მარწმუნებელს ინფორმაცია დავალების შესრულების შესახებ, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე, ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით (სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლი). როგორც წესი, რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს. თუ მარწმუნებლის მიერ ნებადართულია დავალების გადანდობა მესამე პირისათვის, მაშინ რწმუნებული პასუხს აგებს მხოლოდ იმ ბრალისათვის, რომელიც მას მიუძღვის გადანდობისას და ამ პირის შერჩევაში; სხვა შემთხვევაში, შეზღუდულია რწმუნებულის პასუხისმგებლობა და იგი პასუხს აგებს დავალების შესრულებისას მხოლოდ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 711-ე და 719-ე მუხლები). თავის მხრივ, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით შეთანხმებული ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის

## დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

მოსალოდნელი; მარნმუნებლს ეკისრება, ასევე, რწმუნებულის მიერ მოქმედების შესასრულებლად განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 710-ე და 717-ე მუხლები). 3. დავალების ხელშეკრულება წყდება დავალების მიზნის მიღწევისთანავე. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს უარი თქვან ხელშეკრულებაზე. როგორც წესი, ხელშეკრულების შეწყვეტას არ ინვესტს მარნმუნებლის გარდაცვალება ან მისი ქმედუწნაროდ გახდომა. ამის საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულება წყდება რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 721-ე და 722-ე მუხლები).

### დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება მოცემულია, როდესაც პირი (შემსრულებელი) დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს (სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი). წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ სხვისი საქმეების ფაქტობრივი შესრულება, არამედ შემსრულებელ პირს აქვს ნება და გაცნობიერებული აქვს სხვისი საქმის შესრულება. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ შემსრულებელ პირს ჰქონდეს საკუთარი ინტერესიც. ობიექტურად სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, ივარაუდება, რომ შემსრულებელი პირი მოქმედებდა სხვა პირის ინტერესების მიზნით. სხვისი საქმეების შესრულება, ისევე როგორც → დავალება, არის ფართო ცნება და იგი მოიცავს წმინდა ფაქტობრივი მოქმედე-

ბების განხორციელებასაც, (მაგალითად, ავადმყოფისათვის ექიმის მოყვანა). დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია საქმე შეასრულოს მეპატრონის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც მის წამდვილ სავარაუდო ნებას შეესაბამებოდა. თუ შემსრულებლის მიერ საქმის შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესს, მაშინ შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება; სხვა შემთხვევაში, მეპატრონე ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ის ხარჯები, რომლის განევააც აუცილებლად იქნა მიწნეული (სამოქალაქო კოდექსის 973, 974 მუხლები). სამოქალაქო კოდექსის 970-ე მუხლის თანახმად, შეზღუდულია შემსრულებლის პასუხისმგებლობა საფრთხის თავიდან აცილების შემთხვევაში, რომელიც ემუქრება მეპატრონეს და იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის (→ ბრალეულობა). თუ შემსრულებელი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობდა, რომ ეს მისი საქმე იყო, მაშინ მას არ აქვს სხვისი საქმეების შესრულება გაცნობიერებული, რის გამოც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არ არის მოცემული (სამოქალაქო კოდექსის 975-ე მუხლი). იგივე ითქმის იმ შემთხვევაშიც, როდესაც შემსრულებელი ასრულებს სხვის საქმეს როგორც საკუთარს, მაგრამ მან იცის, რომ იგი ამისათვის არ არის უფლებამოსილი.

### დავის საგანი

სამოქალაქო საპროცესო სამართალში დავის საგანი არის პრო-

ცესუალური მოთხოვნის უფლება. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დავის საგნის ცნება არის წმინდა პროცესუალური ცნება და განისაზღვრება სასარჩელო მოთხოვნისა და → **სარჩელის საფუძვლის** მიხედვით. დავის საგანი განსაზღვრავს, თუ რა არის სარჩელის მოთხოვნა, რომელი სასამართლო არის განსჯადი და უპირველეს ყოვლისა, რა მოცულობით უნდა შევიდეს სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში. დავის საგანი განსხვავდება იმ მატერიალური ობიექტისაგან, რომელზეც მხარეები დავობენ (მაგალითად, ნივთი, რომლის გადაცემასაც მოსარჩელე მოითხოვს). → **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა**.

### დაზავება

დაზავებისას საომარი მოქმედებები დროებით წყდება მეომარ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. თუკი ზავი დროის კონკრეტული ხანგრძლივობით არ არის განსაზღვრული, მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაახლონ საომარი მოქმედებები იმ პირობით, რომ ამის შესახებ წინასწარ შეატყობინებენ მეორე მხარეს. დაზავება შეიძლება ატარებდეს როგორც საყოველთაო ხასიათს, ანუ როდესაც საომარი მოქმედებები შეჩერდება და პირისპირების მთელ პერიოდზე, ასევე ლოკალურ ხასიათს, ანუ როდესაც დაზავება ხდება დაპირისპირების რომელიმე კონკრეტულ მონაკვეთზე.

### დაზარალებული

სისხლის სამართლის პროცესში არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც

მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი). იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით. დაზარალებულს ენიჭება → **მონმის** ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. განსხვავებით მონმისაგან, დაზარალებულს კანონი ანიჭებს მთელ რიგ ინფორმაციისა და განმარტებების მიღების უფლებას, კერძოდ, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო: ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან; წინასასამართლო სხდომა; სასამართლოს მთავარი სხდომა; სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ; სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა; ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი). გარდა ამისა, დაზარალებულს უფლება აქვს უფასოდ მიიღოს პროკურორის და სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები (სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სა-

## დაზარალებულის (სავარაუდო) თანხმობა

სამართლო გადაწყვეტილების აღსრულების (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლი).

### დაზარალებულის (სავარაუდო) თანხმობა

არის → **მართლწინააღმდეგობის** გამომრიცხველი ზეკანონური (დაუწერელი) გარემოება, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობასთან ერთად ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასაც გამორიცხავს (მაგალითად, მესაკუთრის თანხმობით მისი ქონების განადგურებისას გამოირიცხება ქმედების მართლწინააღმდეგობა). მისი აუცილებელი პირობაა, რომ თანხმობის მიმცემი თავად უნდა იყოს დასაზიანებელი სამართლებრივი სიკეთის მატარებელი, მას უნდა ჰქონდეს ნების გამოვლენის უნარი და ნების გამოვლენის თავისუფლება, ამასთან ერთად თანხმობა მიღებული უნდა იყოს ქმედების ჩადენამდე. ისეთ დელიქტებში, რომლებშიც დაცვის ობიექტი არა ინდივიდუალური, არამედ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეა პირს უფლება არა აქვს თანხმობა განაცხადოს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაზე. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი) დროს, განსასჯელისგან, რომლის საზიანოთაც იქნა ცრუ ჩვენება მიცემული, თანხმობა ცრუ ჩვენების მიცემამზე არ შეიძლება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება იყოს, რადგან ამ დანაშაულის დაცვის ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესები. მსგავსად ამისა, მსხვერპლის თანხმობა საკუთარი სიცოცხლის მოსპობა-

ზე არ ნიშნავს, რომ ვინმეს აქვს უფლება მოუსპოს მას სიცოცხლე. ნების გამოვლენის უნარი გულისხმობს თანხმობის მიმცემის უნარს, გააცნობიეროს ხელმყოფის მოქმედების ხასიათი და იმოქმედოს მის შესაბამისად; როგორც ნესი, აღნიშნულ უნარს მოკლებულები არიან არასრულწლოვანები (მაგალითად, სქესობრივი დანაშაულების დროს). დაზარალებულის სავარაუდო თანხმობის შემთხვევაში დაზარალებულს არ შეუძლია გამოსხატოს თავისი ნება, მაგრამ არსებობს იმის დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი თანხმობას გამოთქვამდა, თუკი ამის შესაძლებლობა ექნებოდა; (მაგალითად, საავადმყოფოში მიიყვანეს ავტოავარიის შედეგად მძიმედ დაშავებული, გონებადაკარგული პაციენტი, რომელსაც ესაჭიროებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. პაციენტის მიმართ ჩატარებული ოპერაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი ნება არ გამოუხატავს, იქნება მართლზომიერი, თუ დაცული იქნება ოპერაციის ჩატარების მართლზომიერების პირობები).

### დათვალიერება

წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს, რომელიც მხარის ინიციატივით ტარდება დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით. მხარეს უფლება აქვს, დათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრე-

ბას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლი).

### დათქმა

ცალმხრივი განცხადება, რომელიც კეთდება საერთაშორისო ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისას ან ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის სხვა სტადიაზე და რომლითაც იგი გამორიცხავს ან ცვლის ხელშეკრულების ცალკეული დებულებების სამართლებრივ მოქმედებას ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში მათი გამოყენებისას. დათქმის გაკეთება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ხელშეკრულებით არ იკრძალება. გარდა ამისა, დათქმის გაკეთება დაუშვებელია, თუკი იგი შეუთავსებელია ხელშეკრულების ობიექტთან და მიზანთან. დათქმა, რომლის გაკეთება ცალსახად არის დაშვებული ხელშეკრულებით, არ საჭიროებს სხვა მხარეების თანხმობას, თუკი თვით ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ასეთი თანხმობის საჭიროებას. სხვა შემთხვევებში, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების სხვა რომელიმე მხარის ან მხარეების მიერ დათქმასთან დაკავშირებული გამოხატული პროტესტის შედეგს წარმოადგენს ის, რომ დათქმა კონკრეტულად მათთან მიმართებაში არ მოქმედებს. თუკი პროტესტი ერთსულოვანია, დათქმა იურიდიულ ძალას საერთოდ არ იძენს.

### დაინტერესებული მხარე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, → **ადმინისტრაციული ორგანო**, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია → **ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი**, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარე სარგებლობს მთელი რიგი უფლებებით.

→ **ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი** შეიძლება იყოს დაინტერესებული მხარის განცხადება. დაინტერესებულ მხარეს აქვს → **საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება**, → **ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება** და ა.შ. → **ადმინისტრაციული საჩივრის** და → **სარჩელის** დასაშვებობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ის წარდგენილი უნდა იქნას დაინტერესებული მხარის მიერ. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, სავალდებულო მოწვევის სტატუსით საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

2. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუნეებრივი ხასიათის დოკუმენტაციას. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დანესებულებაში. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით. არ შეიძლება დანესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათ-

ვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

3. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 98-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ: ა) უარი ეფუძნება ინფორ-



მაცის განმცხადებლის შესახებ; ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან. აღნიშნული მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს. აღნიშნული უფლება არ გამოიყენება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ.

4. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება გარანტირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-12 მუხლით. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალ-

დებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

### დაკავება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულია ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში გამოძიების ადგილის მიხედვით სასა-

## დაკავების უფლება

მართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე, რომელიც არ გასაჩივრდება. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; პირზე, მასთან ან მის ტანსაცემელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო; პირი შესაძლოა მიიმალოს; პირი ძებნილია. დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. დაუშვებელია დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის და მისი ოჯახის წევრების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, საქართველოს სახალხო დამცველის და მოსამართლის დაკავება. გამონაკლისი შემთხვევაა, თუ მათ წაასწრებენ დანაშაულის ჩადენისას (ეს გამონაკლისი არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ; (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი). დაკავებისას პირს უნდა განემარტოს,

რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული და აცნობონ, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დანესებულევაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავების ვადა ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში. დაკავებული უნდა გათავისუფლდეს, თუ: არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩადინა დანაშაული; არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ; გავიდა დაკავების ამ კოდექსით დადგენილი ვადა; არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე; დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

## დაკავების უფლება → დაკავება.

### დაკავშირებული პირი

არის ის, ვისაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი

**დაკარგულ ან განადგურებულ სანარმდგენლო ფასიან ქალაქებსა და საორდერო ფასიან ქალაქებზე უფლებების აღდგენა**

მიღებულია ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად და ამ ქონებით სარგებლობს ბრალდებული.

**დაკარგულ ან განადგურებულ სანარმდგენლო ფასიან ქალაქებსა და საორდერო ფასიან ქალაქებზე უფლებების აღდგენა**  
→ უდავო წარმოება.

**დაკითხვა**  
წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს. მონმე შეიძლება მხარეების მიერ დაიკითხოს როგორც გამოძიების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლოში. გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მონმის ადგილსამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მონმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს; იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას; გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია; ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი). როგორც გამოძი-

ების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან, ისე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მონმის ვინაობას. ფიცის დადების შემდეგ მონმეს მოსამართლე განუმარტავს უფლება-მოვალეობებს და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. მონმის დაკითხვას იწყებს დაკითხვის ინიციატორი მხარე (→ **პირდაპირი დაკითხვა**). პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მონმინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მონმის → **ჯვარედინი დაკითხვა**. მონმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მინმვნელობა აქვს საქმისათვის. მონმე უნდა დაიკითხოს სხვა მონმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მონმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ (სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე და 118-ე მუხლები). არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია. არასრულწლოვნის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებით (სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილი). ყრუ-მუნჯის დაკითხვა



## დამნაშავის შეპყრობა

ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს. მძიმედ დაავადებულის დაკითხვა ტარდება ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით (სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლი).

## დამნაშავის შეპყრობა

არის → **მართლწინააღმდეგობის** გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება. სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი თანახმად, ნებისმიერი პირისათვის ნებადართულია დამნაშავის შეპყრობა ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად. დამნაშავის შეპყრობის დროს პირმა საამისოდ აუცილებელ ზომას არ უნდა გადააცილოს. დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აპკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან. ამრიგად, დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობებია: ა) შესაპყრობი პირს ჩადენილი უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი მართლწინააღმდეგო ქმედება. ბ) დამნაშავის შესაპყრობად გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც არ წარმოადგენს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაცილებას. მაშასადამე, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმე, დანაშაულის განხორციელების დრო, ადგილი, დამნაშავის პიროვნება, მისი ფიზიკური მონაცემები და ა.შ. დამნაშავის შეპყრობის დროს ნებადართუ-

ლია მისთვის გადაადგილების შეზღუდვა, იძულება, მსუბუქი სხეულებრივი დაზიანებები, რომლებიც ადამიანში არ ტოვებენ ნარეულ დაზიანებას. გ) დამნაშავის შეპყრობისას შემპყრობს უნდა ჰქონდეს შეპყრობის გარემოებების ცოდნა და დამნაშავის ხელისუფლების ორგანოებში წარდგენის სურვილი (მიზანი).

## დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც დაარსდა 1991 წელს მინსკის შეთანხმების, ალმათის დეკლარაციისა და მინსკის შეთანხმების ოქმის საფუძველზე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიზანს, ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, წარმოადგენს: თანამშრომლობის განვითარება პოლიტიკის, ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის, მეცნიერებისა და განათლების, კულტურის, ვაჭრობისა და სხვა დარგებში, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. მისი ძირითადი ინსტიტუტებია: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო; მთავრობათა მეთაურების საბჭო; აღმასრულებელი სამდივნო; სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი; ეკონომიკური სასამართლო; საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას 1993 წლის 9 დეკემბერს შეუერთდა, ხოლო 2009 წლის 19 აგვისტოს კი ოფიციალურად დატოვა აღნიშნული კავშირი. ამასთან, საქართველო რჩება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების წევრი. დღეისათვის დამოუკიდებ-

ელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნებია: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი.

**დამცავი ორდერი**

1. არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

2. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

3. დამცავი ორდერის მოქმედება შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა შერიგებისას მოსამართლის სათანადო გადანყევტილებით, სასამართლოსათვის მხარეთა ერთობლივი მიმართვის საფუძველზე.

**დამცველი**  
→ ადვოკატი.

**დამხმარე**

არის დანაშაულის → **თანამონანილე**, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას (სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დამხმარე ამსრულებელს ფიზიკურ ან ფსიქიკურ დახმარებას უწევს განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ძირითადი განსხვავება დამხმარესა და თანამსრულებელს შორის მდგომარეობს იმაში, რომ დამხმარე სხვისი დანაშაულებრივი ქმედების ხელის შეწყობის სურვილით მოქმედებს, ხოლო თანამსრულებელი კი საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებისთვის ხელის შეწყობის სურვილით. (ე.წ სუბიექტური თეორია). ლიმიტირებული → **აქცესორულობის** პრინციპიდან გამომდინარე, დამხმარის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია, ამსრულებლის მიერ ჩადენილ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, რომელიც სავალდებულო არ არის, რომ ბრალეულად იყოს ჩადენილი. დახმარება შეიძლება როგორც აქტიური ქმედებით, ისე უმოქმედობის გზითაც (მაგალითად, სპეციალური მოვალეობის მქონე პირი ხელს არ უშლის ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენას). უმოქმედობით დახმარების შემთხვევაში პირის უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან. დახმარება შესაძლებელია ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე. ამსრულებლის ექსცესისთვის დამხმარე პასუხს არ აგებს, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამსრულებლის მხოლოდ იმ ქმედებისთვის ხელის



შენყოფის გამო, რომლის განხორციელების სურვილიც მას გააჩნდა. დამხმარისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება მისი ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე (სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**დამხმარე მოსამსახურე**  
→ **საჯარო მოსამსახურე.**

**დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება**

წარმოადგენს სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ პირმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი) (მაგალითად, პირმა აღარ გამოკრა მომარჯვებელი ცეცხლსასროლი იარაღის სასხლეტს). დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის დროს. დამთავრებული მცდელობის დროს, პირი გათავისუფლებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილებს შედეგს. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირის უმოქმედობითაც (მაგალითად, პირმა მსხვერპლს პირველი გასროლის დროს ტყვია ააცილა, მაგრამ მეორე და მომდევნო გასროლე-

ბი არ მოახდინა, თუმცა ჰქონდა ამის შესაძლებლობა, რითაც თავის მიზანს მიაღწევდა). ნებაყოფლობითია დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება, თუ პირი ფიქრობს, რომ მას დანაშაულის ბოლომდე მიყვანა შეუძლია, მაგრამ მას ეს აღარ სურს. დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება არ არის ნებაყოფლობითი, თუ პირი ფიქრობს, რომ მას დანაშაულის ბოლომდე მიყვანა არ შეუძლია, თუმცა მას ეს სურს. ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველი, გავლენას არ ახდენს თანამსრულებლის და თანამონაწილის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. დანაშაულის ორგანიზატორს, ნამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება. ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის.

**დანაშაულთა ერთობლიობა**

არის → **დანაშაულის სიმრავლის** ერთ-ერთი სახე. იგი ნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული (რეალური ერთობლიობა). დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს (იდეალური ერთობლიობა) (სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი). დანაშაულთა ერთობლიობას გააჩნია შემდეგი ნიშნები: ა) ორი ან მეტი დანაშაული უნდა იყოს განხორციელებული; ბ) ეს დანაშაულები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით უნდა იყოს გათვალისწინებული; გ) ამ დანაშაულთაგან პირი არც ერთისათვის არ უნდა იყოს მსჯავრდებული; გ) ეს დანაშაულები განხორციელებული უდა იყოს ორი ან მეტი ქმედებით (რეალური ერთობლიობა), ანდა ერთი ქმედებით (იდეალური ერთობლიობა). დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას გამოიყენება შეკრების პრინციპი, ანუ სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდება მათი შეკრება (სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**დანაშაული**

წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და

ბრალეულ ქმედებას (სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი). სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შემადგენლობების განხორციელება, ანუ მათი შესაბამისი ქმედების შესრულება წარმოადგენს → **მართლწინააღმდეგობას**. ქმედება არ არის მართლწინააღმდეგო, თუ სახეზე არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. პირის ბრალეული (→ **ბრალი**) ქმედება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცალკეულ შემადგენლობებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი; როგორც წესი, სავალდებულოა განზრახვის არსებობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი საკმარისია გაუფრთხილებლობაც. გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (ე.წ. → **ბრალის გამომრიცხველი გარემოებები**), შესაძლებელია ბრალი გამოირიცხოს.

**დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ**

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ → **საერთაშორისო დანაშაულს** წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლისა და → სისხლის **სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** წესდების მე-7 მუხლის მიხედვით, არის ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლევლობით, ადამიანთა მასო-

## დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ

ბრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტიდითა და სხვა არაპუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას. აღნიშნული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

## დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ

სისხლის სამართლის კოდექსის 287-306-ე მუხლები ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. ამ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი ქმედებები: სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე მუხლი) გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 288-ე მუხლი); მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 289-ე მუხლი); ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა (სისხლის სამართლის

კოდექსის 290-ე მუხლი); წყლით სარგებლობის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 291-ე მუხლი); წყლის დაბინძურება (სისხლის სამართლის კოდექსის 292-ე მუხლი); ზღვის დაბინძურება (სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე მუხლი); ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (სისხლის სამართლის კოდექსის 294-ე მუხლი); ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (სისხლის სამართლის კოდექსის 295-ე მუხლი); საქართველოს კონტინენტური შეღვის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 296-ე მუხლი); მიწის გაუფარავისება (სისხლის სამართლის კოდექსის 297-ე მუხლი); ნიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 298-ე მუხლი); ნიაღით უკანონოდ სარგებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე მუხლი); თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება (სისხლის სამართლის კოდექსის 300-ე მუხლი); უკანონო ნადირობა (სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლი); საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა (სისხლის სამართლის კოდექსის 302-ე მუხლი); ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლი); ტყის ან ნარგავის დაზიანება



ან განადგურება (სისხლის სამართლის კოდექსის 304-ე მუხლი); დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 305-ე მუხლი); საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლი). გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის სანინალმდეგო დანაშაულის ნორმათა უმრავლესობა ბლანკეტურია. მუხლში ზოგადად არის მითითებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის დარღვევაზე. კონკრეტული წესი კი სხვადასხვა სპეციალურ კანონში და ნორმატიულ აქტშია მოცემული. მაგალითად, გარემოს დაცვის შესახებ 1996 წლის 10 დეკემბრის საქართველოს კანონი; გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ 2007 წლის 14 დეკემბრის საქართველოს კანონი; ცხოველთა სამყაროს შესახებ 1996 წლის 26 დეკემბრის საქართველოს კანონი; წყლის შესახებ 1997 წლის 17 ოქტომბრის საქართველოს კანონი და სხვა.

**დანაშაულის ამსრულებლობა**  
→ ამსრულებელი.

**დანაშაულის აღიარება**

სისხლის სამართალში შესაძლოა გახდეს ბრალდებულთან → **საპროცესო შეთანხმების** დადების საფუძველი. დანაშაულის აღიარება შესაძლებელია ასევე ბრალდებულის წინააღმდეგ იქნეს როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება გამოყენებული, თუმცა იგი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ ბრალდებულის დამნაშავეობა არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით

(სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

**დანაშაულის დაფარვა**

სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული მხოლოდ წინასწარ შეუპირებლად მიძიმე ან/და განსაკუთრებით მიძიმე დანაშაულის (→ **დანაშაულის კატეგორიები**), აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339<sup>ა</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვისათვის. დანაშაულის დაფარვაში იგულისხმება დამნაშავის, დანაშაულის ჩადენის იარაღის და საშუალების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა. 375-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის (→ **ახლო ნათესავი**) დანაშაული, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირი (→ **ტრეფიკინგი**).



### დანაშაულის კატეგორიები

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით ითვალისწინებს დანაშაულის სამ კატეგორიას: ა) ნაკლებად მძიმე - განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული სანქციით 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით; ბ) მძიმე - განზრახი დანაშაული 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან გაუფრთხილებელი დანაშაული სანქციით 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით; გ) განსაკუთრებით მძიმე - განზრახი დანაშაული სანქციით 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის პირველი და მე-2 ნაწილები მიეკუთვნებიან ნაკლებად მძიმე, ხოლო მე-3 და მე-4 ნაწილები - მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. დანაშაულის კატეგორიას მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის აღსრულების რეჟიმის განსაზღვრისას, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების, ხანდაზმულობის ვადის გამოთვლის, ნასამართლობის გაქარწყლების და სხვა საკითხთა გადასაწყვეტად.

### დანაშაულის მიზანი

არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს დარისკენაც მიისწრაფვის დანაშაულის ჩამდენი პირი. მიზანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. იგი შეიძლება ქმედების შემადგენლობის ძირითად ნიშანს ან დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენდეს (მაგალი-

თად, განზრახ მკვლელობა ჩადენილი სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი).

### დანაშაულის მომზადება

არის → დაუმთავრებელი დანაშაულის ერთ-ერთი სახე. იგი მდგომარეობს დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნაში. მოსამზადებელი საქმიანობა სხვადასხვა ქმედებების განხორციელებაში შეიძლება გამოვლინდეს, რომლებმაც საბოლოოდ დანაშაულის განსახორციელებლად პირობები უნდა შექმნას (მაგალითად, მკვლელობის ჩასადენად იარაღის დამზადება და საფარის მოწყობა). სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისთვის. დანაშაულის მომზადებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება პირი, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სისხლის სამართლის კოდექსის 20-ე მუხლი). დანაშაულში თანამონაწილეს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს დანაშაულის მომზადებაში თანამონაწილეობისათვის, თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრე-

ბია. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად (სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). დანაშაულის მომზადებისათვის დაუშვებელია უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა (სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

**დანაშაულის მცდელობა**

არის → **დაუმთავრებელი დანაშაულის** ერთ-ერთი სახე. იგი გულისხმობს განზრახ ქმედებას, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი (სისხლის სამართლის კოდექსის 19-ე მუხლი). მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის დასჯადობის წინაპირობებია: ა) დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების (დანაშაულის ჩადენის) გადანწყვეტილება, გამოხატული განზრახვაში; ბ) დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალოდ დაწყება, რა დროსაც სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება; გ) მოსალოდნელი შედეგის არარსებობა. სამართლებრივად შეუძლებელია ზოგიერთი ტიპის დანაშაულის მცდელობა. მაგალითად, ფორმალურ შემადგენლობებს (სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი) მცდელობის სტადია არა აქვთ, რადგან აღნიშნულ ეტაპზე ქმედება უკვე დაუმთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს. დანაშაულის მცდელობა იყოფა დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობებად, რომელსაც

განსაკუთრებული ყურადღება → **დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების** დროს ენიჭება. დაუმთავრებელი მცდელობის დროს ჯერ კიდევ არ არის ყველა მოქმედება შესრულებული, რამაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გამოიწვიოს (მაგალითად, პირმა იარაღი დაუმიზნა, მაგრამ არ ესროლა მსხვერპლს). დამთავრებულია მცდელობა, როდესაც შესრულებულია ყველა ის მოქმედება, რაც დანაშაულებრივ შედეგს იწვევს, მაგრამ შედეგი არ დგება ამა თუ იმ გარემოებების გამო (მაგალითად პირმა მსხვერპლს სასმელში სანამლავი ჩაუყარა. მსხვერპლმა აღნიშნული სანამლავი დალია, მაგრამ გადაურჩა სიკვდილს). პირს (აბსოლუტურად უვარგისი) დანაშაულის მცდელობისთვის არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლება მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სისხლის სამართლის კოდექსის 20-ე მუხლი მაგალითად, რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე მყოფ თვითმფრინავს პირმა სანადირო თოფი ესროლა მისი ჩამოგდების მიზნით). დანაშაულში თანამონაწილეს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის, თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია (სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). დანაშაულის მცდელობისათვის დაუშვებელია უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა (სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი).



## დანაშაულის რეციდივი

### დანაშაულის რეციდივი

არის → **დანაშაულის სიმრავლის** ერთ-ერთი სახე და ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას (სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი). დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე თუ პირს წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს. სასჯელის დანიშვნის დროს დანაშაულის რეციდივი შეიძლება გახედეს უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის საფუძველი.

### დანაშაულის სიმრავლე

გულისხმობს პირის მიერ ერთი და იმავე ან სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის რამდენჯერმე განხორციელებას. მისი სახეებია: → **არაერთგზისი დანაშაული**, → **დანაშაულთა ერთობლიობა**, → **დანაშაულის რეციდივი**, → **რეკეტი**.

### დანაშაულის შეუტყობინებლობა

იმ პირის მიერ, ვინც წამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (→ **დანაშაულის კატეგორიები**), სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება იმ მომენტიდან, როცა პირისათვის ცნობილი გახდა, რომ წამდვილად მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მას რეალური შესაძლებლობა აქვს შეატყობინოს ამის შესახებ შესა-

ბამის ორგანოებს, მაგრამ ამას არ აკეთებს.

### დანაშაულში თანამონაწილეობა

ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში (სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი). თანამონაწილეობის სახეებია → **ორგანიზატორი**, → **წამქეზებელი** და → **დამხმარე** (ფართო გაგებით ასევე → **თანამონაწილეობა**). დანაშაულში თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია (→ **აქცესორულობა**), ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ან მისი განხორციელების მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს. თანამონაწილეობის აქცესორული ხასიათი არ გამოირიცხავს თანამონაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციას. თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დადგენისას მხედველობაში მიიღება მათი მოქმედების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური პირობები. როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეეარაცება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. პერსონალური ნიშანი, რო-

მელიც ბრალისთვის ან ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს (სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი მაგალითად, მკვლელობის შემთხვევაში თანამონაწილეები, მათ შორის ამსრულებელი, მოქმედებენ განსხვავებული მოტივებით; ნამქეზებელი - ანგარებით, დამხმარე - შურისძიებით, ხოლო ამსრულებელი - ეჭვიანობის ნადავზე; ანგარებითი ქმედება ბრალად შეერაცხება ნამქეზებელს, ხოლო დანარჩენებს შეერაცხება სხვა მოტივი). შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ერთ-ერთი თანამონაწილის ან ამსრულებლის პიროვნებას შეეხება, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ამ თანამონაწილისათვის ან ამსრულებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს (სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დანაშაულის დამთავრების შემდეგ მონაწილეობა არ წარმოადგენს დასჯად თანამონაწილეობას; ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ქონდეს მაგალითად → **დანაშაულის დაფარვას** (სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი). ზოგიერთ შემთხვევაში, თანამონაწილეობა წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს, მაგალითად, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლი).

**დასაბუთებული ვარაუდი**

სისხლის სამართლის პროცესში არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით

დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. მაგალითად, პირისათვის ბრალის წაყენება ხდება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი). ამრიგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება პირის მიმართ → სისხლის **სამართლებრივი დენის** დაწყებისათვის. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს, აგრეთვე ცალკეული → **საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და → ალკვეთის ღონისძიების** გამოყენებისთვის გათვალისწინებულ მტკიცებულებით სტანდარტს. მაგალითად, ჩხრეკა ტარდება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნი ინახება გარკვეულ ადგილზე (სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

**დაუდევრობა**

→ **ბრალი.**

**დაუმთავრებელი დანაშაული**

გულისხმობს მომზადების (→ **დანაშაულის მომზადება**) ან მცდელობის (→ **დანაშაულის მცდელობა**) ეტაპზე შეწყვეტილ განზრახ განხორციელებულ ქმედებას.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანხმად, შესაძლებელია სასამართლოს მიერ მონინალმდევე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის ან მოპასუხის წინააღმდეგ, რომე-

ლიც გაფრთხილებულ იყო კანონით დადგენილი წესით და პროცესზე არ გამოცხადდა. გამოუცხადებლად ჩაითვლება აგრეთვე ის მხარე, რომელიც, მართალია, გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, მაგრამ მონაწილეობას არ მიიღებს საქმის განხილვაში ან თვითნებურად მიატოვებს სასამართლო პროცესს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე, 229-ე, 230-ე მუხლები). ორივე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში. მოპასუხის საწინააღმდეგოდ შესაძლებელია გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგენს შესაგებელს და სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი). დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები). დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება ჩამოყალიბდეს სამოტივაციო ნაწილის გარეშე. სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი).

**დაუსწრებლობა**

→ უმოკმედობის დელიქტი.

**დაფუძნების თავისუფლება**

დაფუძნების თავისუფლება ერთერთია → **ევროპული კავშირის** → **შიდა ბაზრის** თავისუფლებებს შორის. იგი დარეგულირებულია ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 49-55-ე მუხლებში. კერძოდ, 49-ე მუხლი ითვალისწინებს იმ შეზღუდვების აკრძალვას, რომელიც ერთ წევრ სახელმწიფოს თვითდასაქმებულ მოქალაქის ან ამ სახელმწიფოში დაფუძნებული იურიდიული პირის სხვა წევრ სახელმწიფოში თავისუფალ დაფუძნებას უშლის ხელს. დაფუძნების ცნება მოიცავს ევროპული კავშირის ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე წევრ სახელმწიფოში დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განუსაზღვრელი ვადით განხორციელებას. დაფუძნების თავისუფლების შესახებ დებულებები ვრცელდება ასევე სანარმოებზე. დაფუძნების თავისუფლება არ ვრცელდება ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან. დაფუძნების თავისუფლების დისკრიმინაციული ხასიათის მქონე შეზღუდვები, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საფუძველზე. ხოლო დაფუძნების თავისუფლების არადისკრიმინაციული ხასიათის შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს → **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს** პრაქ-

ტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული საფუძვლებით.

### დაქირავებით მუშაობა

საგადასახადო კოდექსის თანახმად, დაქირავებით მუშაობად ითვლება: ა) ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით; ბ) ფიზიკური პირის მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სამართალდამცავ და მასთან გათანაბრებულ ორგანოებში მის სამსახურთან; გ) ფიზიკური პირის მიერ სანარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელად (დირექტორად) ყოფნა ან ხელმძღვანელის (დირექტორის) მოვალეობის შესრულება. დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის იწოდება დაქირავებულად. პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი ფიზიკური პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს, – დამქირავებლად, ხოლო ასეთი ანაზღაურება – ხელფასად.

### დაქირავებული მეომარი

უენვეის კონვენციების 1977 წლის I დამატებითი ოქმის 47-ე მუხლის მიხედვით, დაქირავებულ მეომარს წარმოადგენს პირი, რომელიც: ა) საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით სპეციალურად არის დაქირავებული, რათა იბრძოდეს შეიარაღებულ კონფლიქტში; ბ) ფაქტიურად უშუალო მონაწილეობას იღებს საბრძოლო მოქმედებებში; გ) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებს, უპირველეს ყოვლისა, პირადი მოგების მიღების სურვილის გა-

მო; დ) არ არის დამქირავებული მხარის მოქალაქე ან ამ მხარის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირი; ე) არ შედის დამქირავებული მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში; ვ) არ არის გაგზავნილი სახელმწიფოს მიერ, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, ოფიციალური ვალდებულებების შესასრულებლად თავისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირის სახით. დაქირავებული მემორები არ წარმოადგენენ → **კომბატანტებს** და ისინი, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, არ სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. შესაბამისად, ტყვედ ამყვან მხარეს შეუძლია მათთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. საქართველოს კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს დაქირავებული მემორების შეგროვების, განვრთნის, დაფინანსების ან სხვაგვარი მატერიალური უზრუნველყოფისათვის, ასევე მისი გამოყენებისათვის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 410-ე მუხლი).

### დაჩქარებული სამართალწარმოება

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო უფლ-

## დაცვის მხარე

ბამოსილია: ა) შეამოკლოს მოპასუხის მიერ თავისი პასუხის (შესაგებლის) ან შეგებებული სარჩელის წარდგენის ვადა; ბ) მესამე პირს არ განუსაზღვროს ვადა სარჩელზე საკუთარი მოსაზრების წარდგენისათვის; გ) არ დაადგინოს მხარეების მიერ ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა; დ) შეუამოკლოს მხარეებს ექსპერტის დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

## დაცვის მხარე

→ მხარე.

## დაცული ტერიტორია

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არის ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორია იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად. დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სა-

ხელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, ალკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. საქართველოში დასაშვებია დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიების ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის არსებობა. დაცული ტერიტორიები იქმნება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით. დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## დახურული საერთაშორისო ხელშეკრულება

→ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა წრე იზღუდება გარკვეული წინაპირობების საფუძველზე. ასეთ დახურულ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** შესახებ ხელშეკრულება, რომლის 49-ე მუხლის მიხედვით, ევროპული კავშირის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ევროპული სახელმწიფო.

## დეზერტირობა

სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. დეზერტირობა ნიშნავს სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებას სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამ-



სახურში გამოუცხადებლობა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ ქმედებისთვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია სამსახურებრივი სარგებლობისათვის მინდობილი იარაღით ან ჯგუფურად (→ **ჯგუფური დანაშაული**). აღნიშნულ შემთხვევებში დეზერტირობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლის შენიშვის თანახმად, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს დეზერტირობას, შეიძლება განთავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

### დე იურე

კანონის მიხედვით, ოფიციალურად.

### დე იურე ცნობა

→ **სახელმწიფოს და მთავრობის ცნობა.**

### დეკლარაცია

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**  
→ **ცალმხრივი აქტი.**

### დელიქტუნარიანობა

როგორც წესი, დანაშაული და ზიანის ანაზღაურების დელიქტური ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს პირის ბრალეული ქმედებით. პირის → **ბრალეულობა** არის პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობა. სამოქალაქო სამართალში ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა; ასევე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება ჭკუასუსტ ან სულით ავად-

მყოფ პირებს; ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფალია ის პირი, ვინც დელიქტურ ქმედებას დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში ჩაიდენს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, ან ბრალის გარეშე აღმოჩნდა იგი ამ მდგომარეობაში (სამოქალაქო კოდექსის 994-996-ე მუხლები). ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირის დელიქტური პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის დამოკიდებულია პირის უნარზე, თუ რამდენად შეეძლო მას თავისი მოქმედების მნიშვნელობის გაგება (სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

### დელიქტური ვალდებულება

1. დელიქტური ქმედება არის პირის მიერ სხვა პირისათვის მართლსაწინააღმდეგო განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანი. დელიქტური ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამამართლებელი ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, როგორცაა → **აუცილებელი მოგერიება**, → **უკიდურესი აუცილებლობა** და სხვა. (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი). ზიანი არის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. როგორც წესი, დელიქტური ქმედების წინაპირობას წარმოადგენს მისი განმახორციელებელი პირის → **ბრალეულობა**. დელიქტური ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, როგორც წესი, არის დამოუკიდებელი მოთხოვნა, რომელიც შესაძლებელია მოცემული იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული

## დელიქტური ვალდებულება

ვალდებულებების დარღვევასთან (ორმხრივი ხელშეკრულება) ერთად.

2. ა) დელიქტურ ქმედებას ჩადის ის პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას ან საკუთრებას მიაყენებს ზიანს. ბ) დელიქტურ ქმედებას ჩადის, ამავე დროს, ის პირიც, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომეტან ფაქტებს. პირს ეკისრება აქედან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ ეს ფაქტები ამკარად არასწორია, (სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლი). ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, პრესაში გამოქვეყნებულ არასწორ ინფორმაციას, ასევე, კონკურენტის სანინააღმდეგოდ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციას.

3. დელიქტური ქმედების განხორციელებისათვის არასრულწლოვანი პირი არის შეზღუდულად დელიქტუნარიანი. სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მაგრამ ამ პირის კანონიერ წარმომადგენლებს, მაგალითად, მშობლებს ან მეთვალყურეობაზე ვალდებულ სხვა პირებს ეკისრებათ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, თუ მათ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება (სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დელიქტუუნარო არის, ასევე, ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი პირი და ამ შემთხვევებშიც, ასეთი პირის მიერ განხორციელებული დელიქტური ქმედებისათვის ზიანის

ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ ამ პირის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, (სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი). ათიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი დელიქტური ქმედებისათვის დამოკიდებულია ამ პირის უნარზე, თუ რამდენად შეეძლო მას თავისი მოქმედების მნიშვნელობის გაცნობიერება (სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი). დელიქტუუნაროა და შესაბამისად, არ ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სრულწლოვან, მაგრამ დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით (სამოქალაქო კოდექსის 996-ე მუხლი).

4. ა) თუ ცხოველის მიერ მოხდა ადამიანისათვის ზიანის მიყენება, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ცხოველის მფლობელს და მისი პასუხისმგებლობისათვის არა აქვს მნიშვნელობა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დაკარგული იყო თუ გაქცეული. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ გამოიყენება, როცა ცხოველის მფლობელმა მიიღო აუცილებელი ზომები მესამე პირთა დასაცავად (სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლი). ამ მუხლის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს, რომ ზიანი განხორციელებულ იქნა ტიპური ცხოველური ქცევის შედეგად და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ იყო ხელშეკრულებით გამოორიცხული. ბ) თუ ზიანი



განხორციელდა შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად, მაშინ შენობის შესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს იგი, თუ ზიანი გამონწვეულია შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით (სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილი).

5. ა) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება პირს, თუ მისი მუშაკი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვლეობების შესრულებისას ზიანს მიაყენებს მესამე პირს. წინაპირობას წარმოადგენს მუშაკის ბრალეული მოქმედება (სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი). მუშაკი არის ის → **პირი**, ვინც სხვა პირთან შრომით ურთიერთობაშია და ამ პირის მითითებებს ემორჩილება. ზიანი განხორციელებულ უნდა იქნეს შრომითი ურთიერთობის შესრულების დროს და ეს ნორმა არ გამოიყენება, როდესაც ასეთი ქმედება არ დროში დაემთხვა ვალდებულადის შესრულების ქმედებას, (მაგალითად, თუ მუშაკი სამუშაოების შესრულების დროს ჩაიდენს ქურდობას, მაშინ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მუშაკის დამსაქმებელს). ბ) თუ დელიქტური ქმედების განხორციელებაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, მათ შორის ნამქმეზელი ან დამხმარე, მაშინ თითოეულ მათგანს ეკისრება პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. დელიქტური ქმედება წარმოადგენს დროში, სივრცეში და შინაარსობრივად დაკავშირებულ ერთიან პროცესს (ასეთი პროცესი არ არის მოცემული, მაგალითად, დემონსტრაციაში მონაწილეობის დროს სხვა პირების მიერ ძალადობრივი ქმედების განხორციელებისას). დელი-

ქტური ქმედების განმახორციელებელი პირები პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი). სოლიდარული მოვალეებს შორის ურთიერთმოთხოვნები განისაზღვრება წილთა თანაბრობის კვლობაზე სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის თანახმად. ნ. დელიქტური ქმედების შედეგად გამონწვეული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსის 408-ე და შემდგომი მუხლების თანახმად. დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს დელიქტური ქმედების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა. ზიანის განხორციელების ტიპიურ შემთხვევებში მის სასარგებლოდ მოქმედებს *prima-facie* მტკიცებულება (→ **მტკიცების ტვირთი**) იქამდე, სანამ ზიანის მიმყენებელი სხვა კაუზალური პროცესის განხორციელებას არ დაამტკიცებს, (მაგალითად, რომ ზიანი გამონწვეულია დაუძლეველი ძალით). თუ სადღეო გახდა ქმედების → **მართლწინააღმდეგობა**, მაშინ ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს გამამართლებელი გარემოებების, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების, არსებობა. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუ დელიქტური ქმედება ჩადენილია მხოლოდ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის სფეროში, მაშინ ეს გარემოება იწვევს → **მტკიცების ტვირთის** საპირისპიროდ შებრუნებას, (მაგალითად, ექიმმა უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანი არ არის გამონწვეული მისი ქმედებით და ასევე, ამ ქმედების მართლობიერება და არაბრალეულობა; (სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი). თუ დაზარალებულს სხეულის დაზიანებით ან

## დელიქტური ვალდებულება

ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით; ამ შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება დაზარალებულისათვის მკურნალობის ხარჯებიც (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). განსაკუთრებულად არის რეგულირებული დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. კერძოდ, ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დანესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ესადა სარჩო. სარჩოს მიმღებ პირებს შეუძლიათ სარჩოს სანაცვლოდ მოითხოვონ ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი). დელიქტური ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელიწადს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი).

7. დელიქტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ სახეს წამოადგენს პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. როგორც ნესი, პროდუქტის მწარმოებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის არ არსებობს პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა. გამომდინარე აქედან, უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის მიმართ არ გამოიყენება ნაკლები

ნივთის გამო პასუხისმგებლობის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი მაშინაც, როცა იგი სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის ნაწილს შეადგენს, ასევე - ელექტროდენი. მათ არ მიეკუთვნება ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, მეცხოველეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის, მინათმოქმედებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ნატურალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები). მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი, ასევე, ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით როგორც მწარმოებელი გამოდის. მწარმოებლად ითვლება აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გამოაქვს გაყიდვის, გაქირავების, ლიზინგის ან სხვა ფორმით სამეურნეო მიზნებით თავისი საქმიანი მოღვაწეობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით. მწარმოებლის ვინაობის დაუდგენლობის შემთხვევაში, ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად (სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლი). უხარისხო პროდუქტის მწარმოებლის დელიქტური ქმედების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელიწადს იმ განსაკუთრებული დათქმით, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა ქარწყლდება, თუ მან ზიანის გამოწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა ათწლის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 1015-ე მუხლი). ბათილია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მწარმოებლის პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათ-

ვის წინასწარ გამოირიცხულია და შეზღუდული.

**დელიქტური პასუხისმგებლობა**  
→ დელიქტუნარიანობა.

**დელიქტური ქმედება**  
→ დელიქტური ვალდებულება.

**დემარში**  
წარმოადგენს სახელმწიფოს ცალმხრივ ქმედებას სხვა სახელმწიფოს მიმართ. დემარშის ფორმებია მაგ. საპროტესტო ნოტის გაგზავნა. → **დიპლომატიური აგენტის გამოწვევა**, განცხადების გაკეთება. დემარშის მიზანია გარკვეულ საკითხთან მიმართებაში სახელმწიფოს პოზიციის დაფიქსირება და დემარშის ადრესატი სახელმწიფოს პოზიციაზე ზეგავლენის მოხდენა.

**დემილიტარიზაცია**  
ვინრო გაგებით, სახელმწიფოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში სამხედრო ობიექტების ლიკვირაცია და შეირადებული ძალების განლაგების აკრძალვა, რომელიც დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე (მაგ. ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე გერმანიაში რაინლანდის მხარის დემილიტარიზაცია). ფართო გაგებით კი, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფოს მთლიანი ან ნაწილობრივი განიარაღება (მაგ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, გარკვეული პერიოდით, გერმანიისა და იაპონიის დემილიტარიზაცია). სრულიად დემილიტარიზებულ ზონად არის გამოცხადებული ანტარქტიკა, შპიცბერგენის არქიპელაგი და ალანდის კუნძულები.

**დემოკრატია**  
(ბერძ. „ხალხის ბატონობა“) არის სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ხალხი. ამრიგად, დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხია სახელმწიფოს ნების განმსაზღვრელი და მატარებელი, რომელსაც იგი პირდაპირ გამოხატავს არჩევნებში მონაწილეობის და რეფერენდუმის, ხოლო არაპირდაპირ - სახალხო წარმომადგენლობის, კერძოდ, → **პარლამენტის** მეშვეობით. სწორედ აქედან გამომდინარე ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირდაპირ დემოკრატიას, სადაც ხალხი უშუალოდ თავისი ხმით იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და არაპირდაპირ (ანუ საპარლამენტო) დემოკრატიას, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ხალხის ნებას წარმოადგენენ პარლამენტარები. პირდაპირი (უშუალო) დემოკრატის მოდელი რეალობაში შეზღუდულია მაშინ, როდესაც საპარლამენტო დემოკრატია აპრობირებული და გავრცელებული სახეობაა დემოკრატისა. მისი წინაპირობაა სახალხო წარმომადგენლობის, ანუ → **პარლამენტის** არსებობა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უფლებებითა და კომპეტენციებით, რათა არსებითი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და პროცესებზე და ამით განახორციელოს დემოკრატის არსი, კერძოდ, ხალხის პოლიტიკური ნება. დემოკრატიაში ხალხის პოლიტიკური ნების გამოხატვა-განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს მისი პოლიტიკური ნების ფორმირების თავისუფალი პროცესი. აღნიშნული პრო-



## დენადი დანაშაული

ცესი კი ითვალისწინებს სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის პოლიტიკური თანასწორობის უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებშიც განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვს სხვადასხვა აზრს, რაც, ბუნებრივია, თავის მხრივ, მოიცავს → **ოპოზიციის** არსებობას. დემოკრატიის მახასიათებელია ასევე სხვადასხვა სიმძაფრით ერთმანეთისაგან გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და → **სასამართლო ხელისუფლების** არსებობა. საქართველომ სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმად დემოკრატია აირჩია, რაც ასახულია → **კონსტიტუციის** პირველი მუხლის მე-2 ნაწილში და ასევე მე-5 მუხლის პირველ ნაწილში.

## დენადი დანაშაული

არის → **ერთიანი დანაშაულის** ერთ-ერთი სახე. დენადი დანაშაული, როგორც ერთიანი დანაშაულის რელიზაციის განსაკუთრებული ფორმა, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ, ქმედებით დაწყებულ, უწყვეტად განხორციელებულ და ქმედების შეწყვეტის მომენტიდან დამთავრებულ დანაშაულს (სისხლის სამართლის კოდექსის 13-ე მუხლი). მაშასადამე, დენადი დანაშაულის თავისებურებაა, რომ იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე უწყვეტად ხორციელდება და დამთავრებულია ქმედების შეწყვეტის მომენტიდან. აღნიშნულ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება მაგალითად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა (სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი), ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება (სისხლის სამართლის

კოდექსის 236-ე მუხლი), დეზერტირობა (სისხლის სამართლის კოდექსის 389-ე მუხლი). → **თანამონაწილეობა** დენად დანაშაულში შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ შეწყდება. დენადი დანაშაულის მიმართ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა გამოანგარიშებული უნდა იქნეს დანაშაულის განხორციელების ფაქტობრივი შეწყვეტის მომენტიდან.

## დეპოზიტარი

სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია ან მისი მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი, რომელიც ინახავს საერთაშორისო ხელშეკრულების დედანს. ხელშეკრულების დეპოზიტარის დანიშვნა შეიძლება მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა მიერ, ან თავად ხელშეკრულებით, ან რაიმე სხვა წესით. დეპოზიტარის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: ხელშეკრულების ტექსტის დედნისა და დეპოზიტართან წარდგენილი ნებისმიერი უფლებამოსილების ტექსტის ორიგინალის შენახვა; ტექსტის ორიგინალის დამონებული ასლების და ხელშეკრულების შემდგომი სხვა ტექსტების მომზადებას იმ დამატებით ენებზე, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულებით; ხელშეკრულებაზე ნებისმიერი ხელმოწერის მიღებას და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის, შეტყობინების და კომუნიკაციების მიღებას და შენახვას; მხარეთა და ხელშეკრულების მონაწილედ გახდომის უფლების მქონე სახელმწიფოთა ინფორმირებას ხელშეკრულებას-

თან დაკავშირებულ საკითხებზე; ხელშეკრულებათა რეგისტრაცია გაეროს სამდივნოში.

### დეპონირება

1. სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდები შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. სამოქალაქო კოდექსის 436-ე მუხლის თანახმად, შესრულების საგანი უნდა წარმოადგენდეს დეპონირებაუნარიან საგანს, მაშასადამე, იგი არ უნდა იყოს მალფუჭებადი. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნებაში იგულისხმება → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება**. დეპონირების ადგილი განისაზღვრება → **ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით** (სამოქალაქო კოდექსის 437-ე მუხლი). მოვალე უფლებამოსილია შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკან მოითხოვოს ან თუ კრედიტორმა თავიდანვე უარი განაცხადა საგნის მიღებაზე. თუ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, მოვალე ისევე თავისუფლდება ვალდებულებისგან კრედიტორის წინაშე, როგორც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებით (სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის მეორე ნაწილი). შესაბამისად, დეპონირების შედეგად კრედიტორზე გადადის საგნის → **ანაზღაურების რისკი**. საგნის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება კრედიტორს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვალე უკან იბრუნებს საგანს (სამოქა-

ლაქო კოდექსის 439-ე, 440-ე მუხლები). მოვალესა და სასამართლოს ან ნოტარიატს შორის ურთიერთობა არის საჯარო-სამართლებრივი შენახვის ხელშეკრულება.

2. სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების დამადასტურებელი სიგელის ჩაბარება → **დეპოზიტარისტის** (შეად. → **სარატიფიკაციო სიგელი**).

### დეპორტაცია

სახელმწიფოს მიერ ადამიანების იძულებითი გადასახლება მათი საცხოვრებელი ადგილიდან. მისი მიზანი შეიძლება იყოს ეთნიკური უმცირესობების იზოლირება, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასჯა და ა.შ. დეპორტაციის აკრძალვას ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 და მე-12 მუხლები და შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ უენევის 1949 წლის კონვენციის 49-ე მუხლი. გარდა ამისა, დეპორტაცია ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის (→ **დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ**) ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს (სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მე-7 მუხლი).

### დექანი

წარმოადგენს → **დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურთა** ერთ-ერთ კლასს, რომელიც → **საგანგებო და სრულფლებიანი ელჩის** კლასზე დაბლა დგას. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მიხედვით, საგანგებო და სრულფლებიანი დექანი ერთ-ერთ

## დე ფაქტო

უმალეს → **დიპლომატიურ რანგს**, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, უფროს დიპლომატიურ თანამდებობას წარმოადგენს. საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის რანგს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით.

## დე ფაქტო

ფაქტობრივად, სინამდვილეში.

## დე ფაქტო ცნობა

→ **სახელმწიფოს და მთავრობის ცნობა.**

## დიპლომატი

პირი, რომელსაც უკავია → **დიპლომატიური თანამდებობა** სახელმწიფოს → **საგარეო ურთიერთობების ორგანოებში**. დიპლომატი მონაწილეობას იღებს უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან ურთიერთობების განხორციელებაში. ფართო გაგებით, დიპლომატად შეიძლება იწოდებოდეს ნებისმიერი პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილია ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა მიიღოს საგარეო-პოლიტიკური ფუნქციის განხორციელებაში. დიპლომატს მასზე სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ფუნქციის შესრულების მხარდასაჭერად → **დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები** გააჩნია.

## დიპლომატის გამონწვევა

დიპლომატის გამონწვევის საფუძველი შეიძლება გახდეს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა ან კიდევ როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვე-

ტა. დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამონწვევა, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თავდაცვის ატაშეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გარდა, საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიძლება განახორციელოს: დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ლიკვიდაციისას ან/და რეორგანიზაციისას; დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების სამტაქტო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას; მივლინებული პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ → **„პერსონა ნონ გრატად“** ან მიუღებელ პირად გამოცხადებისას; მნიშვნელოვანი საერთაშორისო გართულებისას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს დიპლომატიური ან საკონსულო თანამდებობის პირის შემდგომმა მუშაობამ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; თანამდებობის პირის თანხმობით მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანისას; თანამდებობის პირის მოთხოვნისას; თანამდებობის პირის მძიმე ავადმყოფობისას, რომელიც შეუძლებელ ხდის მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას; თანამდებობის პირის გარდაცვალებისას; თანამდებობის პირის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; პირის სამსახურიდან გათავისუფლების სხვა საფუძვლების არსებობისას.



დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თავდაცვის ატაშეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის გამოწვევა შედის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის კომპეტენციამ.

**დიპლომატიური აგენტი**

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, დიპლომატიური აგენტი არის → **დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური და წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი**. დიპლომატიური აგენტი ახორციელებს → **დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებს**. კერძოდ: წარმგზავნი სახელმწიფოს წარმომადგენლობა მიმღებ სახელმწიფოში; წარმგზავნი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების დაცვა მიმღებ სახელმწიფოში; მოლაპარაკებების წარმოება მიმღებ სახელმწიფოსთან; წარმგზავნი სახელმწიფოს ინფორმირება მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობების განვითარება. დიპლომატიური აგენტი თავისი ფუნქციების განხორციელების მხარდასაჭერად აღჭურვილია → **დიპლომატიური პრივილეგიები-თა და იმუნიტეტებით**.

**დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრი**

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია → **დიპლომატიური აგენტის**

ოჯახის წევრის ცნებას არ განმარტავს და შესაბამისად არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც ოჯახის წევრებად ჩაითვლებიან. ჩვეულებრივ, დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრის კატეგორიას მიეკუთვნებიან დიპლომატიური აგენტის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები და მის კმაყოფაზე მყოფი მშობლები. დიპლომატიურ აგენტთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრები, თუკი ისინი მიმღებ სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან, დიპლომატიური აგენტის თანაბრად სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებით და იმუნიტეტებით (→ **დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები**). დიპლომატიური აგენტის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები მათთვის მინიჭებული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით სარგებლობენ მიმღები სახელმწიფოს დასატოვებლად საჭირო გონივრული ვადის გასვლამდე.

**დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები**

→ **დიპლომატიური აგენტი** ხელშეუხებელია. შესაბამისად, არ შეიძლება მისი დაკავება ან დაპატიმრება. მიმღები სახელმწიფო ვალდებულია სათანადო პატივი სცეს მას და ყველა ღონე იხმაროს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დიპლომატიური აგენტის პიროვნების, თავისუფლებისა და ღირსების ხელყოფა. დიპლომატიური აგენტი სარგებლობს იმუნიტეტით მიმღები სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან. მას არ შეიძლება დანაშაულის ჩადენისათვის პასუხი მოეთხოვოს ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია ის



დიპლომატიური აგენტი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, → **პერსონა ნონ გრატად** გამოაცხადოს. შეზღუდული იმუნიტეტი გააჩნია დიპლომატიურ აგენტს მიმღები სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ. კერძოდ, დიპლომატიური აგენტი იმუნიტეტით არ სარგებლობს შემდეგ შემთხვევებში: ა) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას, რომელიც დიპლომატიური აგენტის კერძო საკუთრებას წარმოადგენს; ბ) აღძრულია სარჩელი, რომელიც ეხება სამემკვიდრეო ურთიერთობებს, რომელშიც დიპლომატიური აგენტი, როგორც კერძო პირი, მონაწილეობს; გ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ეწევა მიმღებ სახელმწიფოში. დიპლომატიური აგენტი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება, როგორც მონემ. დიპლომატიური აგენტი ასევე განთავისუფლებულია ყველა პირადი და ქონებრივი, სახელმწიფო, რეგიონალური და კომუნალური გადასახადისგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან. აღნიშნული პრივილეგია არ მოიცავს: ა) არაპირდაპირ გადასახადებს, რომლებიც შედიან საქონლის ან მომსახურების ფასში; ბ) მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე დიპლომატიური აგენტის კერძო საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გადასახადებს; გ) სამემკვიდრეო ურთიერთობების განხორციელებასთან დაკავშირებულ გადასახადებს; დ) მოსაკრებლები და გადასახადები, რომლებიც

დაკავშირებული არიან დიპლომატიური აგენტის მიერ მიმღებ სახელმწიფოში კერძო შემოსავლის მიღებასთან; ე) კონკრეტული სახის მომსახურების განევასთან დაკავშირებული მოსაკრებლები (მაგ. საფოსტო მომსახურება); ე) სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟი, იპოთეკური და საგერბო მოსაკრებლები იმ ქონებასთან მიმართებაში, რომლებსაც დიპლომატიური აგენტი, როგორც კერძო პირი, ფლობს. დიპლომატიური აგენტი სარგებლობს ასევე საბაჟო პრივილეგიებით. კერძოდ, მას შეუძლია, ყოველგვარი ბაჟის და მოსაკრებლის გადახდის გარეშე, შემოიტანოს ან გაიტანოს როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის საჭირო, ასევე პირადი სარგებლობის ნივთები. გამოწვევის წარმოადგენენ შენახვის, გადაზიდვისა და სხვა ამგვარი მომსახურებისთვის დადგენილი მოსაკრებლები. დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგის შემოწმება არ შეიძლება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ დიპლომატიურ აგენტს გააქვს/შემოაქვს ისეთი საგანი, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია კანონით. ამ შემთხვევაში ბარგის შემოწმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით. თუკი დიპლომატიური აგენტი მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეა ან მიმღებ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირი, მას გააჩნია იმუნიტეტი მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით. დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუვალი და დაცულია,

როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობის კარმიდამო.

**დიპლომატიური დაცვა**

სახელმწიფოს შეუძლია დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, თუკი მათ მესამე სახელმწიფოს იმ ქმედებით, რომელიც საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, ზიანი მიადგათ. ამასთან, დიპლომატიური დაცვის განხორციელების ფარგლებში სახელმწიფო მოქმედებს საკუთარი სახელით. დიპლომატიური დაცვა ითვალისწინებს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და მიმართულია მოქალაქის უფლებების მესამე სახელმწიფოს მიერ შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მისაღწევად. დიპლომატიური დაცვის განხორციელებისას სახელმწიფო თავისი სამართლის ნორმების მიხედვით მოქმედებს. ამასთან, დიპლომატიური დაცვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქემ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ყველა სხვა შესაძლებლობა ამოწურა. საკუთარი მოქალაქეების დიპლომატიური დაცვის ვალდებულება სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ აქვთ. შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს დიპლომატიური დაცვის ინსტრუმენტის გამოყენების მიზანშეწონილობა. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს, განურჩევლად მისი ადგილსაყოფელისა.

**დიპლომატიური თავშესაფარი**

დიპლომატიური წარმომადგენლობის კარმიდამოში პირის შეფარება, მიმღები სახელმწიფოსგან მისი დაცვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ → **წარმომადგენლობის მეთაურის** თანხმობის გარეშე დიპლომატიური წარმომადგენლობის კარმიდამოში მიმღები სახელმწიფოს წარმომადგენლებს შესვლის უფლება არ აქვთ (→ **დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიები და იმუნიტეტები**), პირისთვის დიპლომატიური თავშესაფრის მიცემის საშუალება დიპლომატიურ წარმომადგენლობას გააჩნია. თუმცა დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით, → **დიპლომატიური აგენტები** ვალდებული არიან პატივი სცენ მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობას და ასევე არ უნდა ერეოდნენ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ამასთან, წარმომადგენლობა არ უნდა იქნეს გამოყენებული წარმომადგენლობის ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიჩნეულია, რომ დიპლომატიური თავშესაფრის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება. ეს შეხედულება დადასტურებულია ასევე გაეროს → **მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს** პრაქტიკით. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, დიპლომატიური წარმომადგენლობები დიპლომატიურ თავშესაფარს დროებით აძლევენ პირებს ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე (მაგ. პირებს, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით დევნას განიცდიან). მიმღები სახელმწიფოების მხრიდან ასეთი ფაქტები პროტესტს იწვევს,



**დიპლომატიური თანამდებობა**

თუმცა, როგორც წესი, სიტუაცია განიმუხტება ან მიმღები სახელმწიფოს მიერ დევნილი პირისთვის ქვეყნის დატოვების უფლების მიცემით ან კიდევ დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ პირის მიმღები სახელმწიფოსათვის გადაცემით, ამ უკანასკნელის მხრიდან სამართლიანი სასამართლო განხილვის დაპირების საფუძველზე.

**დიპლომატიური თანამდებობა**

დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დიპლომატიური თანამდებობები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: ა) უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობა; ბ) უფროსი დიპლომატიური თანამდებობა; გ) უმცროსი დიპლომატიური თანამდებობა (მუხლი 11). უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილე; ბ) საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი; გ) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი; ე) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელი; ვ) გენერალური კონსული; ზ) საგანგებო დავალებათა ელჩი (მუხლი 12). უფროს დიპლომატიურ თანამდებობებს მიეკუთვნება: ა) საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი; გ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; დ) საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე; ე) საგარეო საქმეთა

მინისტრის სამდივნოს უფროსი; ვ) საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტში შემავალი სამართველოს უფროსი; ზ) უფროსი მრჩეველი; თ) კონსული; ი) მრჩეველი; კ) თავდაცვის ატამე და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (მუხლი 13). უმცროსი დიპლომატიური თანამდებობებია: ა) ვიცე-კონსული; ბ) პირველი მდივანი; გ) საკონსულო აგენტი; დ) მეორე მდივანი; ე) მესამე მდივანი; ვ) ატამე; ზ) თავდაცვის ატამეს აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის აპარატის თანამდებობის პირები (მუხლი 14).

**დიპლომატიური კლასი**

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს → **დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურები** იყოფიან სამ კლასად: ა) → **ელჩები** და → **წუნციუსები**; ბ) → **დესპანები** და → **ინტერწუნციუსები** და გ) საქმეთა რწმუნებულები. მიუხედავად იმისა, რომ ელჩები და წუნციუსები აკრედიტირებული არიან სახელმწიფოს მეთაურებთან, დესპანები და ინტერწუნციუსები - მთავრობის მეთაურებთან, ხოლო საქმეთა რწმუნებულები - საგარეო საქმეთა მინისტრებთან, სამივე კლასის წარმომადგენლობის მეთაურები თანასწორუფლებიანი არიან. კონვენცია უშვებს მხოლოდ და მხოლოდ უფროსობისა და ეტიკეტის საფუძველზე განსხვავებების დაშვებას (→ **დუაენი**). ის თუ რომელ კლასს უნდა მიეკუთვნებოდეს წარმომადგენლობის მეთაური, განისაზღვრება სახელმწიფოებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

**დიპლომატიური კორპუსი**

წარმოადგენს ვიწრო გაგებით ადგილსამყოფელ ქვეყანაში → **დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურების**, ხოლო ფართო გაგებით → **დიპლომატიური წარმომადგენლობების დიპლომატიური პერსონალის** კრებით სახელს. დიპლომატიური კორპუსის მეთაური არის → **დეუაინი**. დიპლომატიური კორპუსი მონაწილეობს იღებს ცერემონიული ხასიათის ღონისძიებებში, როგორც არის მაგ. სახელმწიფოს მეთაურის ინაუგურაცია, ალღუმები და ა.შ.

**დიპლომატიური კურიერი**

ოფიციალური პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს → **დიპლომატიური ფოსტის** ადრესატამდე მიტანა. დიპლომატიურ კურიერს თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტები მისი სტატუსისა და დიპლომატიური ფოსტის დასტების რიცხვის მითითებით. იგი ხელშეუხებელია და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება რაიმე ფორმით. წარმგზავნ სახელმწიფოს ან მის დიპლომატიურ წარმომადგენლობას შეუძლიათ ad hoc დანიშნონ სპეციალური დიპლომატიური კურიერი. ასეთ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული იმუნიტეტები წყდება მაშინვე, როგორც კი ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ ჩააბარებს ადრესატს დიპლომატიურ ფოსტას. გარდა ამისა, დიპლომატიური ფოსტა დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის შეიძლება გადაეცეს სამოქალაქო თვითმფრინავის ან გემის მეთაურს. ამ შემთხვევაში, მასაც თან უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი დიპლომატიური ფოსტის

დასტების რიცხვის მითითებით, თუმცა იგი დიპლომატიურ კურიერად არ ჩაითვლება.

**დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები**

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ფორმით მოქმედი დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები კოდიფიცირებულ იქნა დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის ფარგლებში. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭება ეფუძნება შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მათ გარეშე წარმგზავნი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანი შესრულება შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭება არა სტატუსობრივ, არამედ ფუნქციონალურ საჭიროებას წარმოადგენს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, დიპლომატიური აგენტებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის სხვა პერსონალის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. → **დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიები და იმუნიტეტები**; → **დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები**; → **დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი**; → **დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი**.

**დიპლომატიური პროტოკოლი**

არის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ხასიათის ურთიერთობების წესები. დიპლომატიური



## დიპლომატიური რანგი

პროტოკოლი მოიცავს როგორც ოფიციალური ვიზიტების ორგანიზებისა და განხორციელების, ასევე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და მიმღების სახელმწიფოს ორგანოებს შორის ურთიერთობის წესებს.

### დიპლომატიური რანგი

დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, დიპლომატიური რანგი წარმოადგენს დიპლომატიურ სამსახურში დანესებულ სპეციალურ რანგს, რომელიც ენიჭება დიპლომატიური თანამდებობის პირს. აღნიშნული კანონი აწესებს დიპლომატიური რანგების შემდეგ კატეგორიებს: უმაღლეს დიპლომატიური რანგებს მიეკუთვნებიან ა) საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ბ) საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი. უფროსი დიპლომატიური რანგებია: ა) უფროსი მრჩეველი; ბ) მრჩეველი და გ) უმცროსი მრჩეველი. ხოლო უმცროს დიპლომატიურ რანგებს წარმოადგენენ ა) პირველი მდივანი; ბ) მეორე მდივანი; გ) მესამე მდივანი; და დ) ატაშე (35-ე მუხლი). დიპლომატიური რანგების მინიჭებისათვის განსაზღვრულია დიპლომატიური სამსახურის გავლის შემდეგი ვადები: ა) „ატაშეს“ პირველადი დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 1 წელი; ბ) „მდივნის“ დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 2 წელი; გ) „მრჩეველის“ დიპლომატიური რანგის მინიჭებისათვის – დიპლომატიური სამსახურის გავლის 3 წელი (36-ე მუხლი). უმაღლესი დიპლომატიური რანგების გარდა, დიპლომატიური რანგების მინი-

ჭება ხდება საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაკავებული თანამდებობის, ნამსახურები წლების, პროფესიული მომზადებისა და დამსახურების შესაბამისად (33-ე მუხლი). უმაღლესი დიპლომატიური რანგი კი შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ, მინისტრის წარდგინებით. ამასთან, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებს, რომლებსაც უკავიათ ან ეკავათ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანამდებობა (34-ე მუხლი).

### დიპლომატიური სამართალი

დიპლომატიური სამართალი → **საერთაშორისო საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგია და წარმოადგენს ნორმების ერთობლიობას, რომელიც → საერთაშორისო სამართლის სუბიექტების → საგარეო ურთიერთობების ორგანოების** სამართლებრივ სტატუსს და ფუნქციებს არეგულირებენ. დიპლომატიური სამართლის წყაროს წარმოადგენენ → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები და → საერთაშორისო ხელშეკრულებები**, რომელთაგან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს → **დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია**, → **საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963 წლის ვენის კონვენცია**, → **სპეციალური მისიების შესახებ 1973 წლის კონვენცია** და → **უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოების წარმომადგენლობათა შესახებ 1975 წლის კონვენცია**.



**დიპლომატიური ურთიერთობები**  
 → საერთაშორისო სამართლის სუბიექტს აქვს უნარი დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან. დიპლომატიური ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფუძნება ხდება ურთიერთშეთანხმებით. შესაბამისად, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ვალდებულება არ არსებობს. სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება წარმოადგენს ამ სახელმწიფოს → ცნობის აქტს. მეორეს მხრივ, → დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა არ ნიშნავს ცნობაზე უარის თქმას. დიპლომატიური ურთიერთობები ხორციელდება → საგარეო ურთიერთობების ორგანოების საშუალებით.

**დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა**  
 წარმოადგენს ცალმხრივ დიპლომატიურ აქტს, რომლის შედეგადაც სახელმწიფოებს შორის ხდება არსებული დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა. დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, მეორე სახელმწიფოს მხრიდან არამეგობრული აქტის განხორციელება, მეორე სახელმწიფოში ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლა და ა.შ. დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა არ ნიშნავს ცნობაზე უარის თქმას (→ სახელმწიფოსა და მთავრობის

ცნობა) და არ ათავისუფლებს ამ სახელმწიფოებს მათ შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ვალდებულებისგან. გარდა ამისა, ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტის შემთხვევაში, მიმღები სახელმწიფო, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი, უნდა იცავდეს მეორე სახელმწიფოს → დიპლომატიური წარმომადგენლობის კარმიდამოს, ქონებას და არქივებს. წარმგზავნ სახელმწიფოს შეუძლია თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღები იქნება მიმღები სახელმწიფოსათვის. დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა ავტომატურად არ იწვევს საკონსულო ურთიერთობების განწყვეტას.

**დიპლომატიური ფოსტა**  
 წარმგზავნ სახელმწიფოსთან → დიპლომატიური წარმომადგენლობის კავშირის ერთ-ერთი ფორმა. ჩანთას, რომლითაც დიპლომატიური ფოსტის გადატანა ხდება, ვალიზა ეწოდება. → საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დიპლომატიური ფოსტა ხელშეუხებელია. დიპლომატიურ ფოსტას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული განმასხვავებელი ნიშანი. მასში შეიძლება იყოს მხოლოდ დიპლომატიური დოკუმენტები და საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისათვის. დიპლომატიური ფოსტის სახსნა ან დაკავება აკრძალულია. აღნიშნული დებულება ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს

## დიპლომატიური წარმომადგენლობა

ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური ფოსტის გახსნა ან დაკავება.

## დიპლომატიური წარმომადგენლობა

წარმოადგენს სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოს (→ **საგარეო ურთიერთობების ორგანოები**), რომელიც სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე ფუძნდება მიმღებ სახელმწიფოში. დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა განმარტებულია, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი საზღვარგარეთ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობებისას წარმოადგენს საქართველოს. გადანაცვებილებს დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნებისა და ლიკვიდაციის შესახებ კი იღებს საქართველოს პრეზიდენტი. დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციების ჩამონათვალი მოცემულია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მე-3 მუხლში. კერძოდ, ესენია: წარმგზავნი სახელმწიფოს წარმომადგენლობა მიმღებ სახელმწიფოში; წარმგზავნი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების დაცვა მიმღებ სახელმწიფოში; მოლაპარაკებების წარმოება მიმღებ სახელმწიფოსთან; წარმგზავნი სახელმწიფოს ინფორმირება მიმღებ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების ხელშეწყობა და

ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობების განვითარება. დიპლომატიური წარმომადგენლობა სარგებლობს → **დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიებით და იმუნიტეტებით**.

## დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევენ წარმომადგენლობას. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და ოჯახის წევრები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ პირადი ხელშეუხებლობის და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობით, საგადასახადო პრივილეგიით, სისხლის სამართლებრივი იურისდიქციისაგან იმუნიტეტით. ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ იურისდიქციისაგან ისინი იმუნიტეტით სარგებლობენ მხოლოდ იმ ქმედებებისათვის, რომლებიც მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს განახორციელეს. საბაჟო პრივილეგიით ისინი სარგებლობენ მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების საგნების შემოტანასთან მიმართებაში (→ **დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები**). ამასთან, აღნიშნული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები სარგე-



ბლობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები ან მიმღებ სახელმწიფოში მუდმივად არ ცხოვრობენ.

### დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალი

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, დიპლომატიური პერსონალის წევრები არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებსაც აქვთ → **დიპლომატიური რანგი**. დიპლომატიური პერსონალის წევრები, როგორც წესი, წარმგზავნი სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. მიმღები სახელმწიფოს მოქალაქე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წარმგზავნი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი, თუკი არსებობს შესაბამისი თანხმობა მიმღები სახელმწიფოსგან. იგივე პირობა მოქმედებს მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებთან მიმართებაშიც.

### დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური არის → **დიპლომატიური აგენტი**, რომელიც წარმგზავნა სახელმწიფომ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის უფლებამოსილებით აღჭურვა. დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურები იყო-

ფიან სამ → **დიპლომატიურ კლასად**: ა) ელჩები და ნუნციუსები; ბ) დესპანები და ინტერნუნციუსები და გ) საქმეთა რწმუნებულები. ელჩები და ნუნციუსები აკრედიტირებული არიან სახელმწიფოს მეთაურთან, დესპანები და ინტერნუნციუსები - მთავრობის მეთაურთან და საქმეთა რწმუნებულები - საგარეო საქმეთა მინისტრთან. წარმომადგენლობის მეთაური თავისი ფუნქციების შესრულებას ოფიციალურად შეუდგება აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ. წარმგზავნი სახელმწიფოს შეუძლია პირი დანიშნოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურად რამდენიმე სახელმწიფოში, თუკი ამ სახელმწიფოებიდან რომელიმე წინააღმდეგი არ იქნება. მიმღები სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში, ასევე არის შესაძლებელი, რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთი და იგივე პირის დანიშვნა წარმომადგენლობის მეთაურად. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს, დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით. დიპლომატიურ წარმომადგენლობაში როტაციის ნუსით სამუშაო მივლინების თითოეული ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურისთვის არის 4 წელი, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, როტაციის ნუსით



სამუშაო მივლინების ვადა დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს გაუგრძელოს 1 წლამდე.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი**

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები არიან წარმომადგენლობის წევრები, რომლებიც წარმომადგენლობას ემსახურებიან მომსახურე პერსონალის წევრები დიპლომატიური იმუნიტეტებით სარგებლობენ მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომლებიც მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს განახორციელებს (→ დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები). გარდა ამისა, ისინი თავისუფლდებიან ყველა გადასახადისგან მათ ხელფასებთან მიმართებაში. აღნიშნული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით მომსახურე პერსონალის წევრები სარგებლობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეები ან მიმღებ სახელმწიფოში მუდმივად არ ცხოვრობენ. მომსახურე პერსონალის წევრების ოჯახის წევრები მხოლოდ იმ უფლებებით სარგებლობენ, რომლებსაც მათ მიმღები სახელმწიფო მიანიჭებს.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი**

დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის წევრები არიან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის (→ დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალი), ადმინისტრაციულ-ტექნიკური

პერსონალისა (→ დიპლომატიური წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი) და მომსახურე პერსონალის (→ დიპლომატიური წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალი) წევრები.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიები და იმუნიტეტები**

დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციის მიხედვით, მიმღებმა სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შეუქმნას დიპლომატიურ წარმომადგენლობას მისი ფუნქციების შესასრულებლად. ამ მიზანს ემსახურება ასევე საერთაშორისო სამართლის მიერ დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მიანიჭებაც. დიპლომატიური წარმომადგენლობის კარმიდამო ხელშეუხებელია. წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობის გარეშე მიმღები სახელმწიფოს წარმომადგენლებს კარმიდამოში შესვლის უფლება არ აქვთ. მიმღებმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დიპლომატიური წარმომადგენლობის სათანადო დაცვა. დაუშვებელია არა მარტო კარმიდამოს, არამედ ასევე დიპლომატიური წარმომადგენლობის სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება, მათზე ყადაღის დადება და მათ მიმართ სააღსრულებლო მოქმედების განხორციელება. წარმგზავნი სახელმწიფო და დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადებისა და მოსაკრებლისგან, გარდა კონკრეტული სახის მომსახურების გადასახადებისა. წარმომადგენლობას შეუძლია მიმღებ სახელმწიფო-



ში ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე შემოიტანოს ოფიციალური სარგებლობისთვის საჭირო ნივთები. წარმომადგენლობის არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია ნებისმიერ დროს და მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად.

### დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1961 წლის 18 აპრილს და ძალაში შევიდა 1964 წლის 24 აპრილს. კონვენციამ მოახდინა იმ დროისათვის არსებული → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის** ნორმების კოდიფიცირება და მათი ნაწილობრივი განვითარება. აქტუალური მდგომარეობით კონვენციის მხარეს 187 სახელმწიფო წარმოადგენს. კონვენცია არეგულირებს დიპლომატიური ურთიერთობების საკითხებს, მათ შორის → **დიპლომატიური წარმომადგენლობის** და → **დიპლომატიური აგენტების** სამართლებრივ სტატუსს.

### დიპლომა

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების** მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### დიპლომის დანართი

დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს → **უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება** სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და → **უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების** მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად.

### დირექტივა

დირექტივა არის → **ევროპული კავშირის** სამართლის ერთ-ერთი აქტი. იგი ადრესატი წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა მისაღწევ მიზანთან დაკავშირებით, მაგრამ ფორმისა და საშუალების არჩევანს აკეთებს წევრი სახელმწიფო დირექტივის შესაბამისი საკანონმდებლო აქტით ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციის გზით. დირექტივაში განისაზღვრება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების მიზნები და ჩარჩოები, ხოლო წევრი სახელმწიფო დირექტივის იმპლემენტაციის ფარგლებში შიდასახელმწიფოებრივი აქტით დირექტივის მიერ დადგენილი მიზნებისა და ჩარჩოების ფარგლებში აკონკრეტებს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების მექანიზმებს. დირექტივების მიღება ხდება, როგორც წესი, → **ევროპული კავშირის საბჭოსა** და → **ევროპული პარლამენტის** მიერ ერთობლივად, → **კომისიის** წინადადების საფუძველზე. → **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს** გადაწყვეტილებების მიხედვით, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დირექტივის უშუალო გამოყენებაც შეიძლება იქნეს დაშვებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი დირექტივის იმპლემენტაციის ვადა გასულია და მისი იმპლემენტაცია საერთოდ ან ზუსტი შინაარსობრივი იმპლემენტაცია არ განხორციელებულა და ამასთან დირექტივის შესაბამისი ნორმები ნორმის უშუალო გამოყენების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ (→ **საერთაშორისო ხელშეკრულების თვითშესრულებადი და არათვითშესრულებადი ნორმები**). თუმცა, უნ-



და აღნიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც დირექტივა უშუალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ე.წ. ვერტიკალურ ურთიერთობებში (სახელმწიფო - ფიზიკური ან იურიდიული პირი). შესაბამისად, დირექტივის უშუალოდ გამოყენების პირობებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ უშუალოდ ისარგებლონ მოცემული დირექტივიდან გამომდინარე უფლებებით სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და არა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ საკომპენსაციოდ, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ვალდებულია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მათთვის მიყენებულ იქნა დირექტივის იმპლემენტაციის განუხორციელებლობის შედეგად. დირექტივები ასევე გამოიცემა კანონის ან სხვა ნორმატიული აქტების აღსასრულებლად. თავისი ბუნებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე (კანონთა აღსრულება) იგი მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოსადმი და აქვს შიდა მავალდებულებელი ხასიათი. დირექტივა, პირველ რიგში, ემსახურება სასამართლის ნორმის ერთგვაროვან განმარტებასა და გამოყენებას. დირექტივა ადმინისტრაციის შიდა ნორმატიული აქტია, რომელიც, როგორც წესი, გამოიცემა ზემდგომი ორგანოს - უმთავრესად კი სამინისტროების - მიერ. ამასთან, დირექტივის გამოცემა არ საჭიროებს კანონმდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭებას. შესაბამისად, იგი მოქალაქეებისთვის არ წარმოშობს არც უფლებებს და არც მოვალეობებს.

### დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნა

ნიშნავს იმას, რომ პროკურორი უფლებამოსილია გააკეთოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას შორის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 16-ე, 166-ე მუხლები). მას აღნიშნული არჩევანის გაკეთების უფლება იმ შემთხვევაშიც აქვს, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. პროკურორს გააჩნია შეუზღუდავი დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისას. იგი აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ინტერესიდან და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგალითად, როცა სახეზეა ნაკლები მნიშვნელობის მქონე დანაშაული, სადაც პირის ბრალეულობის ხარისხი დაბალია, ან როცა გამოძიების გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად და ა.შ. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი).

დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომე-

ლიც → ადმინისტრაციულ ორგანოს ან → თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევა. კანონის ტექსტში უშუალოდ არ არის გამოყენებული ტერმინი „დისკრეციული უფლებამოსილე-

ბა“, იგი გამოიხატება სიტყვებით – ადმინისტრაციულ ორგანოს „შეუძლია“ „უფლება აქვს“ ან „უფლებამოსილია“. მთელ რიგ შემთხვევებში, ეს გამომდინარეობს ნორმის შინაარსიდან. ამის საპირისპიროდ, როდესაც კანონმდებელი უთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო „ვალდებულია“, „უნდა განახორციელოს“, „უფლება არა აქვს“, „უნდა აიკრძალოს“ და ა.შ. ასეთ შემთხვევებში აშკარაა კანონმდებლის ნება: ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სრული თავისუფლების მინიჭებას, იგი აკისრებს გარკვეულ უფლებამოსილებას, რომ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ უნებს ანგარიშს კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფალ სივრცეს, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ღონისძიება არის უკანონო. შესაძლებელია სამი შემთხვევის გამოყოფა, როდესაც ასეთ შეცდომასთან გვაქვს საქმე: ა) როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, ის უშვებს შეცდომას და მის მიერ განხორციელებული ღონისძიება ხდება უკანონო; ბ) როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სცილდება მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს (მაგ;

## დისკრიმინაცია

ის კონკრეტული ადმინისტრაციული გადაცდომისათვის ადგენს ჯარიმას 60 ლარის ოდენობით, როდესაც კანონი ამ კონკრეტული სამართალდარღვევისათვის ითვალისწინებს დაჯარიმებას 10-დან 50 ლარამდე) და ახორციელებს ისეთ ღონისძიებას, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული, ასეთ შემთხვევაში სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და, შესაბამისად, უკანონო მმართველობითი ღონისძიება; გ) როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ანგარიშს არ უწევს კანონის ნორმის მიზნებს და არ იყენებს მისთვის მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას იმ მიზნისათვის, რაც კანონმდებელმა მასში ჩადო. ასეთ შემთხვევაში, ასევე სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და შესაბამისად, უკანონო მმართველობითი ღონისძიება.

## დისკრიმინაცია

პირის ან პირთა წრის ნებისმიერი სახის გონივრული და ობიექტური კრიტერიუმითა და საჭიროებით დაუსაბუთებელი გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება პირის უფლებების შეზღუდვა თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით. დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს პირის ან პირთა წრის რასობრივი თუ ეთნიკური კუთვნილების, ეროვნების, სქესის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულების, რელიგიური მრწამსისა და სხვა მსგავსი ნიშნებითა და მოტივით. დისკრიმინაცია წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დარღვევას და ადამიანის ღირსების ხელყოფას

და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. საქართველოში დისკრიმინაცია იკრძალება კონსტიტუციის 38-ე მუხლით.

## დისკრიმინაციის აკრძალვა

→ დისკრიმინაცია.

## დისპოზიციური ნორმები

→ იმპერატიული ნორმებისგან განსხვავებით, დისპოზიციური ხასიათის არის ნორმა, რომლისგანაც გადახვევა მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის ნორმების უდიდესი უმრავლესობა დისპოზიციურ ნორმებს წარმოადგენენ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობაში ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ ან არ გამოიყენონ ამ სახის ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმა.

## დისპოზიციურობის პრინციპი

დისპოზიციურობის პრინციპი არის საპროცესო პრინციპი, რომლის თანახმად, უფლების მფლობელის თავისუფალ გადანყვეტილებას წარმოადგენს დარღვეული უფლების აღსადგენად სასამართლოსათვის მიმართვის უფლება და ასევე სასამართლოსგან სამართლებრივი დაცვის მიღების მოცულობის განსაზღვრა. სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპი ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განსაზღვრონ → დავის საგანი და მიიღონ გადანყვეტილება სასამართლოში სარჩელის შეტანის თაობაზე. ასევე, მხარეები უფლებამოსილი არიან საქმის წარმოება დაამთავრონ მორიგებით, თქვან

უარი სარჩელზე ან ცნონ სარჩელი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი). დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც (ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი). ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე → **ადმინისტრაციული ორგანო** უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

→ **Ne (eat iudex) ultra petita partium.**

**დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი**

→ აკრედიტივი.

**დოკუმენტი**

სისხლის სამართლის პროცესში არის → **მტკიცებულების** ერთ-ერთი სახე. დოკუმენტი შეიძლება იყოს საჯარო დანესებულების მიერ გაცემული, ისე კერძო პირებისა და დანესებულებების მიერ შედგენილი და გაცემული. დოკუმენტს მაშინ ენიჭება მტკიცებულებითი ძალა, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მონმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი).

**დონორი**

ცოცხალი ადამიანი ან გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებენ ორგანოს, ორგანოთა ნაწილს, ქსოვილს სხვა ადამიანისათვის

გადანერგვის ან სხვა ადამიანის მკურნალობის მიზნით;

**დოქტორანტი**

პირი, რომელიც სწავლობს → **დოქტორანტურაში**.

**დოქტორანტურა**

→ აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით; დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

**დოქტორი**

მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურისათვის გათვალისწინებული კომპონენტების შესრულები-



სა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

**დოქტრინა**

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს ან მთავრობის, ან კიდევ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საჯაროდ და ცალმხრივად გაჟღერებული პრინციპი ან პროგრამა, რომელზედაც იქნება დაფუძნებული მისი მომავალი ქმედებები. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს ე.წ. დოქტრინა, რომელსაც აშშ-ს პრეზიდენტის ჯეიმს მონროს სახელი ეწოდა და მონროს სახელით არის ცნობილი და რომლის მიხედვითაც აშშ არ შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს ევროპულ სახელმწიფოებს შორის დავებთან მიმართებაში, მაგრამ ასევე არ დაუშვებდა ევროპული სახელმწიფოების მიერ ამერიკული ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევას ან კოლონიზაციას.

**დროებითი განჩინება**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ დროებითი განჩინების გამოცემის შესაძლებლობას. განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლებების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი

ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძველების გამო. დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმომადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

**დროშის სახელმწიფო**

სახელმწიფო, რომლის (საზღვაო) ხომალდები სახელმწიფო რეესტრშიც არის რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი (გემი) და რომლის დროშაც არის განთავსებული ამ ხომალდზე.

**დსთ**

→ **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.**

**დუაიენი**

არის ადგილსამყოფელ ქვეყანაში → **დიპლომატიური კორპუსის** მეთაური. როგორც წესი, დუაიენის უფლებამოსილებებს ასრულებს დიპლომატიური კორპუსის წევრთა შორის უზუცესი ან/და ადგილსამყოფელ ქვეყანაში ყველაზე ხანგრძლივი აკრედიტაციის მქონე დიპლომატი, რომელიც ამასთან უმაღლესი → **დიპლომატიური კლასის** მქონე უნდა იყოს. ზოგიერთ ქვეყანაში კი დიპლომატიური კორპუსის დუაიენი წმინდა საყდრის ელჩი → **წუნციუსია**, მიუხედავად ასაკისა და აკრედიტაციის ხანგრძლივობისა. დუაიენი წარმომადგენს დიპლომატიურ კორ-



პუსს ადგილსამყოფელ სახელმ-  
ნიფოსთან ურთიერთობებში.  
იგი მონიტორინგს უწევს ადგილ-  
სამყოფელ ქვეყანაში → **დიპ-  
ლომატების პრივილეგიებისა და  
იმუნიტეტების** დაცვას. დუაიე-  
ნი დიპლომატიური კორპუსის ახ-

ალ წევრებს აცნობს ადგილობრივ  
პროცედურებს და დიპლომატიურ  
კორპუსის წევრთა უფლება-მო-  
ვალეობებს. იგი ასევე ასრულებს  
დიპლომატიური კორპუსის ფარ-  
გლებში წარმოქმნილ დავებში შუა-  
მავლის როლს.

**ეგზეკვატურა**

მიმღები სახელმწიფოს თანხმობა → **საკონსულო დანესებულების** მეთაურის მიერ კონკრეტულ საკონსულო ოლქში საკონსულო ფუნქციების განხორციელებაზე. სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს ეგზეკვატურის გაცემაზე, მოვალე არ არის განუმართოს წარმდგენ სახელმწიფოს ასეთი უარის მიზეზი. ეგზეკვატურის გაცემამდე საკონსულო დანესებულების მეთაური შეიძლება დროებით დაუშვან თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

**ვეთანაზი**

უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე თხოვნით.

**ევრო**

წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** ფარგლებში არსებული ევროპული სავალუტო კავშირის სავალუტო ერთეულს. იგი 1999 წლის 1 იანვრიდან უნაღდო ანგარისნორებაში გამოიყენებოდა. 2002 წლის 1 იანვრიდან კი მანაღდ ანგარისნორებაშიც ჩანაცვლა ევროპული კავშირის იმ ნევრი სახელმწიფოების ეროვნული ვალუტები, რომლებიც სავალუტო კავშირში მონაწილეობისათვის დანესებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ და მონაწილეობის სურვილი გააჩნდათ. დღესდღეისობით ევროზონის ქვეყნებს წარმოადგენს ევროპული კავშირის 17 ნევრი სახელმწიფო: ფინეთი, გერმანია, ავსტრია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ირლან-

დია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი (2000 წლიდან), სლოვენია (2007 წლიდან), მალტა და კვიპროსი (2008 წლიდან), სლოვაკეთი (2009 წლიდან) ესტონეთი (2011 წლიდან).

**ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია**  
→ ეუთო.

**ევროპის საბჭო**

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც დაარსდა 1949 წლის 5 მაისს საფრანგეთის, დანიის, ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, შვედეთის, ნორვეგიისა და დიდი ბრიტანეთის მიერ. დღეისათვის, ევროპის საბჭოს წევრია 47 სახელმწიფო. საქართველოს ევროპის საბჭოში განუერთანდა 1999 წლის 27 აპრილს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი). ევროპის საბჭოს მიზნებს წარმოადგენს: ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; პოლიტიკური, საკანონმდებლო და კონსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერის გზით დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება; ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; იმ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რომლებიც ევროპული საზოგადოების წინაშე დგას (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა,

კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია, კიბერდანაშაული და სხვა). ევროპის საბჭოს ძირითადი ორგანოებია: მინისტრთა საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა და ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი. მინისტრთა კომიტეტი ორგანიზაციის ფარგლებში გადანყვეტილების მიღების მთავარ ორგანოს წარმოადგენს. იგი შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ან ამ სახელმწიფოების მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლებისგან. მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციაში შედის: ბიუჯეტის დამტკიცება; ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება; პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და საქმიანობების პროგრამის განსაზღვრა; წევრი სახელმწიფოების მიერ ევროპის საბჭოს ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობა; წევრი სახელმწიფოების მიმართ რეკომენდაციების შემუშავება. კომიტეტი წელიწადში ორჯერ იკრიბება. მისი თავმჯდომარეობა გარდამავალია და ყოველი 6 თვის შემდეგ იცვლება წევრი სახელმწიფოების სახელწოდებების ინგლისური ანბანის თანმიმდევრობით. საპარლამენტო ასამბლეა შედგება 315 წევრისგან, რომლებიც აირჩევიან ან ინიშნებიან წევრი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტების წევრთა რიგებიდან. ამასთან, საპარლამენტო ასამბლეაში წარმოდგენილი დელეგაციების შემადგენლობა იმგვარად არის განსაზღვრული, რომ თანასწორად იყვნენ წარმოდგენილი ეროვნული პარლამენტების პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები. საპარლამენტო

ასამბლეის პლენარული სხდომები ტარდება წელიწადში ოთხჯერ. ასამბლეა ირჩევს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ასევე → **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს** მოსამართლეებს. მისი თანხმობაა საჭირო ასევე ორგანიზაციაში ახალი წევრების მისაღებად. ასამბლეის მიზანია წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს შორის პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა. ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს და შედგება 2 პალატისგან: ადგილობრივი ხელისუფლების პალატა და რეგიონების პალატა. კონგრესის მიზანს წარმოადგენს დემოკრატიის ხელშეწყობა და ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის განვითარება. იგი უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაციები და რეზოლუციები და მოამზადოს ანგარიშები სხვადასხვა საკითხებზე. ევროპის საბჭოს სამდივნო, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს, ორგანიზაციის საქმიანობის ტექნიკურ-ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებულ იქნა 170-ზე მეტი საერთაშორისო კონვენცია, რომლებიც ეხება სოციალურ უფლებებს, წამების აკრძალვას, მონაცემთა დაცვას, რეგიონალურ ენებს, კულტურის საკითხებს, დემოკრატიზაციის საკითხებს და ა.შ. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს → **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი უფლებების კატა-

## ევროპოლი

ლოგს, რომელთა პატივისცემა და დაცვა კონვენციის მხარე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა.

### ევროპოლი

ევროპული პოლიციის სამსახური (ევროპოლი) 1995 წელს შეიქმნა → **ევროპული გაერთიანების** წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული კონვენციის საფუძველზე. ევროპული პოლიციის სამსახურის შექმნის შესახებ → **ევროპული კავშირის საბჭოს** 2009 წლის 6 აპრილის 2009/371/JHA გადაწყვეტილებით კი ევროპოლი → **ევროპული კავშირის** სამართლის სისტემის ნაწილი გახდა. შედეგად, 2010 წლის 1 იანვრიდან ევროპოლი ევროპული კავშირის სააგენტოს წარმოადგენს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ჰააგაში (ნიდერლანდები). ევროპოლის ამოცანას წარმოადგენს ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიციისა და სხვა სამართალდამცველი უწყებების საქმიანობების მხარდაჭერა და გაძლიერება, ასევე მათ შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა და გაძლიერება შემდეგ სფეროებში: ტრანსსაზღვრო განზომილების მქონე მიძიება დანაშაულის პრევენცია და ასეთი სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ტერორიზმისა და ასევე იმ დანაშაულის სახეების პრევენცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ზიანს აყენებს ევროპული კავშირის რომელიმე პოლიტიკაზე დაფუძნებულ საერთო ინტერესს. ევროპოლის მიერ ოპერატიული საქმიანობის განხორციელება მხოლოდ წევრი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით და თანამშრომლობით არის შესაძლებელი. იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გატარება კი მხოლოდ და მხოლოდ

წევრი სახელმწიფოების უწყებებს შეუძლიათ.

### ევროპული გაერთიანება

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1957 წლის 25 მარტს და ძალაში შევიდა 1958 წლის 1 იანვარს. თავდაპირველად ევროპულ გაერთიანებას ევროპული ეკონომიკური გაერთიანება ეწოდებოდა. → **ევროპული კავშირის** შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე კი მისი სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „ეკონომიკური“. ევროპული გაერთიანების, ისევე როგორც → **ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებისა** და → **ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების** დაფუძნების შემთხვევაში, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ბენილუქსის ქვეყნები იყვნენ. შემდგომში კი წევრების რაოდენობა 27-მდე გაიზარდა. ევროპული გაერთიანების მიზნებს წარმოადგენდა: ჰარმონიული და განონასწორებული ეკონომიკური პოლიტიკა; არაინფლაციური და გარემოსათვის უსაფრთხო ზრდა; დასაქმებისა და სოციალური დაცვის მაღალი დონე; ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება; ერთიანობისა და სოლიდარობის ხელშეწყობა. 2009 წლის 1 დეკემბერს, → **ლისაბონის ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შედეგად, → **ევროპულ კავშირს** სამართალსუბიექტობა მიენიჭა და იგი ევროპული გაერთიანების სამართალმემკვიდრე გახლდა. ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას კი სახელი გადაერქვა და „ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება“ ეწოდა.

**ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია**  
 → ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

**ევროპული ეკონომიკური სივრცე** ხელშეკრულება ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ ხელმოწერილ იქნა 1992 წლის 2 მაისს პორტოში (პორტუგალია) და ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვარს. აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები არიან და შესაბამისად ევროპული ეკონომიკური სივრცეში შედიან → **ევროპული კავშირის** წევრი სახელმწიფოები და → **თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის** წევრი სახელმწიფოები (შვეიცარიის გამოკლებით). ევროპული ეკონომიკური სივრცე წარმოადგენს → **თავისუფალი ვაჭრობის ზონას**. ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის მიზნით, ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ ხელშეკრულებით ევროპული კავშირის სამართლის ნორმების დიდი ნაწილი გავრცელდა ხელშეკრულების მხარე თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ სახელმწიფოებზეც. მათ შორის, დებულებები → **შიდა ბაზრის** ძირითადი თავისუფლებების შესახებ. თუმცა, ამასთან, ისეთი საკითხები, როგორცაა საბაჟო კავშირი, სავალუტო კავშირი, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა და საერთო თევზჭერის პოლიტიკა ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ ხელშეკრულებით ვათვალისწინებული არ არის. ევროპული კავშირის სამართლის თვალსაზრისით, ხელშეკრულება ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ ასოცირების შეთანხმებას წარმოადგენს.

**ევროპული კავშირი**  
 → **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის წევრი, დღეისათვის, 27 სახელმწიფოა. ევროპული კავშირის ფარგლებში ჩამოყალიბებულია → **შიდა ბაზარი**. ხოლო 17 წევრი სახელმწიფო კი მონაწილეობს სავალუტო კავშირში და გააჩნიათ საერთო ვალუტა → **ევრო**. ევროპული კავშირი შეიქმნა ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც 1992 წლის 7 თებერვალს, მასატრიხტში, მოეწერა ხელი. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. ევროპული კავშირის თავდაპირველი სისტემა შედგებოდა სამი საყრდენისაგან. კერძოდ, პირველ საყრდენს შეადგენდა 3 ევროპული გაერთიანება: → **ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება**, → **ევროპული გაერთიანება** და → **ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება**. მეორე და მესამე საყრდენი კი მოიცავდნენ სამთავრობათშორისო თანამშრომლობის ორ მიმართულებას → **საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას**, რომელიც ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებულ ფორმას წარმოადგენს და თანამშრომლობას მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში. 2009 წლის 1 დეკემბერს, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, ევროპული კავშირი ევროპული გაერთიანებებისაგან განსხვავებით არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს. ევროპულ კავშირს ჰყავდა ხელშემკვრელი მხარეები და არა წევრ-სახელმწიფოები. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ზემოაღნიშნულმა სისტემამ სახეცვლილება განიცადა. კერძოდ, ევროპულ კავშირს სამარ-



## ევროპული კავშირის კონტროლის პალატა

თალსუბიქტობა მიენიჭა და იგი ევროპული გაერთიანების სამართალმემკვიდრე გახლდა. ამჟამად, ევროპული კავშირის სამართლის სისტემა ეფუძნება 2 ძირითად ხელშეკრულებას: ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებას და ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას (ყოფილი ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება). ევროპული კავშირის ღირებულებები ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლშია მოცემული. ესენია: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლში კი მოცემულია ევროპული კავშირის მიზნები, რომელთა შორისაა ეკონომიკის ზრდა, ფასების სტაბილურობა, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, მშვიდობის ხელშეწყობა, შიდა ბაზრის შექმნა, გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, კულტურული მრავალფეროვნება და ა.შ.

### ევროპული კავშირის კონტროლის პალატა

წარმოადგენს → ევროპული კავშირის ერთ-ერთ ორგანოს. იგი შეიქმნა 1977 წელს, ხოლო 1993 წლიდან მას ევროპული გაერთიანებების ორგანოს სტატუსი მიენიჭა. ევროპული კავშირის კონტროლის პალატის ადგილსამყოფელია ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი). იგი შედგება წევრი სახელმწიფოე-

ბის თითო წარმომადგენლისაგან, რომლებიც ინიშნებიან → ევროპული კავშირის საბჭოს მიერ → ევროპულ პარლამენტთან კონსულტაციის შემდეგ - კვალიფიციური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე 6 წლის ვადით. კონტროლის პალატის წევრები ირჩევენ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით. კონტროლის პალატის კომპეტენციაში შედის ევროპული კავშირის მიერ განეული ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის, ასევე ბიუჯეტის ეკონომიურობის შემოწმება. კონტროლის პალატა ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებსაც წარუდგენს ევროპული კავშირის ორგანოებს.

### ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

წარმოადგენს → ევროპული კავშირის მართლმსაჯულების ორგანოს და მოიცავს მართლმსაჯულების სასამართლოს, საერთო სასამართლოს და საჯარო სამსახურის სასამართლოს. მართლმსაჯულების სასამართლო შედგება 27 მოსამართლისაგან და 8 გენერალური ადვოკატისაგან. მოსამართლეები ინიშნებიან 6 წლით და მათი ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელახლა დანიშნა ასევე არის შესაძლებელი. გენერალური ადვოკატები სასამართლოს სრულფასოვანი წევრები არიან და მათ მოსამართლეების იდენტური სამართლებრივი სტატუსი გააჩნიათ. მათი ფუნქციაა სასამართლოში განსახილველ საქმეზე წერილობითი ფორმით შეხედულების მომზადება. საერთო სასამართლოს შემადგენლობაში ასევე შედის თითოეული წევრი სახელმწიფოდან ერთი მოსამართლე. მისი მოსამართლეებიც 6 წლის ვა-

დით ინიშნებიან. ამ ვადის გასვლის შემდეგ მათი ხელახლა დანიშვნა ასევე არის შესაძლებელი. მართლმსაჯულების სასამართლოსგან განსხვავებით, საერთო სასამართლოს საკუთარი გენერალური ადვოკატები არ გააჩნია. საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მართლმსაჯულების სასამართლოში. თუმცა, ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის კომპეტენციაში შედის მხოლოდ და მხოლოდ საერთო სასამართლოს კომპეტენციის, მის მიერ პროცედურისა ან/და ევროპული კავშირის სამართლის დარღვევის შემოწმება. საჯარო სამსახურის სასამართლო შედგება 7 მოსამართლისგან, რომლებიც 6 წლის ვადით იქნენ დანიშნულნი. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება (იმავე სახის შეზღუდვებით, როგორც ეს ხდება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების მართლმსაჯულების სასამართლოში გასაჩივრებისას) გასაჩივრებულ იქნეს საერთო სასამართლოში. ევროპული კავშირის სასამართლო სისტემაში განიხილება შემდეგი სახის დავები: დავები ევროპული კავშირის ორგანოებს შორის; დავები ევროპული კავშირის ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებს შორის; დავები წევრ სახელმწიფოებს შორის; დავები იურიდიულ და ფიზიკურ პირთა და ევროპული კავშირის ორგანოებს შორის.

**ევროპული კავშირის საბჭო**

წარმოადგენს → **ევროპული კავშირის ერთ-ერთ ორგანოს**. საბჭო შედგება მინისტრების დონეზე წევრი სახელმწიფოების თითო-თითო წარმომადგენლისაგან, რომელსაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მთავრობის სახელით

გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია. საბჭო თავისი შეხვედრებს ატარებს სხვადასხვა შემადგენლობით იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა საკითხების განხილვა არის დღის წესრიგში. ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში უშუალოდ მოცემულია საბჭოს შემადგენლობის 2 ფორმატი. კერძოდ, „ზოგადი საქმეების საბჭო“, რომელმაც სხვადასხვა შემადგენლობით საბჭოს საქმიანობის კოჰერენტულობა უნდა უზრუნველყოს და „საგარეო საქმეთა საბჭო“, რომელიც საგარეო ურთიერთობების საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს. საბჭოს თავმჯდომარე იცვლება ყოველ 6 თვეში როტაციის საფუძველზე. გამონაკლისს წარმოადგენს „საგარეო საქმეთა საბჭო“, რომლის თავმჯდომარე მუდმივად საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენელია. როგორც წესი, საბჭოში გადაწყვეტილებები მიიღება კვალდისფერად იური უმრავლესობით. საბჭო, → **ევროპულ პარლამენტთან** ერთად, ევროპული კავშირის მთავარი საკანონმდებლო ორგანოა. იგი არის წევრი სახელმწიფოების ინტერესების დამცველი და გამტარებელი ევროპული კავშირის დონეზე. საკანონმდებლო კომპეტენციასთან ერთად მის ამოცანებში შედის ასევე პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინაცია. საბჭო ევროპულ პარლამენტთან ერთად ამტკიცებს ევროპული კავშირის ბიუჯეტის პროექტს, კოორდინაციას უწევს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მესამე სახელმწიფოებთან და საერთაშორ-

## ევროპული კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

რისო ორგანიზაციებთან შეთანხმებების დადების შესახებ, ნიშნავს → **ევროპული კავშირის კონტროლის პალატის** წევრებს, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის წევრებსა და რეგიონების კომიტეტის წევრებს. ევროპული კავშირის საბჭო მდებარეობს ბრიუსელში (ბელგია). თუმცა საბჭო თავის სხდომებს აპრილის, ივნისის და ოქტომბრის თვეებში ლუქსემბურგში (ლუქსემბურგი) ატარებს.

### ევროპული კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

წარმოადგენს საგარეო ურთიერთობების სფეროში → **ევროპული კავშირის** კომპეტენციების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებისას ევროპულმა კავშირმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით: დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების უნივერსალურობა და განუყოფლობა, თანასწორობა და სოლიდარობა, ასევე საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის პრინციპების დაცვა. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა სამთავრობათაშორისო ხასიათს ატარებს და შესაბამისად, მის ფარგლებში გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ერთხმად მიიღება. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის პასუხისმგებელი არის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფერო-

ში კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, რომლის საქმიანობის მხარდასაჭერად შექმნილია ევროპული საგარეო სამსახური.

### ევროპული კავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

ევროპული კავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს → **ევროპული კავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის** შემადგენელ ნაწილს. მის დანიშნულებას წარმოადგენს ევროპული კავშირის ოპერატიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა სამოქალაქო და სამხედრო საშუალებების გამოყენების გზით. მის ამოცანებში შედის: განიარაღების ერთობლივი ღონისძიებები, ჰუმანიტარული ხასიათის ამოცანები, სამაშველო ღონისძიებები, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანები, კრიზისული სიტუაციების მართვის ფარგლებში შეიარაღებული ძალების გამოყენება, მათ შორის მშვიდობის დამყარების ღონისძიებები და პოსტკონფლიქტური სიტუაციების მართვა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

### ევროპული კავშირის სამართალი

ევროპული კავშირის სამართალი მოიცავს როგორც თვით → **ევროპული კავშირის** სამართალს, ასევე - მათ შორის მჭიდრო ინსტიტუტიური კავშირის გათვალისწინებით → **ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების** სამართალს. განსახვავებენ ევროპული კავშირის პირველად და მეორად სამართალს. პირველადი სამართალი მოიცავს ევროპული კავშირის კონსტიტუციური ხასიათის დებულებების შემცველ ხელშეკრულებებს, რომლებშიც შედი-



ან დამფუძნებელი ხელშეკრულებები, ამ ხელშეკრულებების სარევიზიო ხელშეკრულებები და ასევე ევროპულ კავშირში განევრიანების შესახებ ხელშეკრულებები. პირველად წყაროებს მიეკუთვნება ასევე სამართლის საყოველთაო პრინციპები და ევროპული კავშირის ჩვეულებითი სამართლის ნორმები. მეორადი სამართლის ნორმებია ის ნორმები, რომლებიც პირველადი სამართლის ნორმების საფუძველზე იქნა მიღებული. მეორადი სამართლის ძირითადი აქტებია: → **რეგულაცია**, → **დირექტივა**, გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და შეხედულება. საერთაშორისო სამართალთან შედარებით, ევროპული კავშირის სამართლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი გარკვეული ნაწილი ზეეროვნული ხასიათისაა (→ **ზეეროვნული ორგანიზაცია**). მისი მოქმედება უშუალოდ ვრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე და ამასთან მას ეროვნულ სამართალთან მიმართებაში პრიმატი გააჩნია.

**ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულება**  
→ **ევროპული კავშირი.**

**ევროპული კომისია**  
წარმოადგენს → **ევროპული კავშირის ერთ-ერთ ორგანოს.** მისი ადგილსამყოფელია ბრიუსელი (ბელგია). ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლის მეოთხე აბზაცის მიხედვით, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2014 წლის 31 ოქტომბრამდე, კომისია, კომისიის პრეზიდენტისა და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ჩათვლით, შედგება იმ-

დენი წევრისაგან, რამდენი წევრი სახელმწიფოებაც ჰყავს ევროპულ კავშირს. შესაბამისად, დღეისათვის, ევროპულ კომისიას 27 წევრი ჰყავს. 2014 წლის 1 ნოემბრიდან კი კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს წევრი სახელმწიფოების საერთო რაოდენობის ორ მესამედს. კომისიის კომპეტენციაში შედის ხელშეკრულებებისა და მათ საფუძველზე ევროპული კავშირის ორგანოების მიერ მიღებული აქტების შესრულების ზედამხედველობა. გარდა ამისა, მას გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის მონოპოლია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ევროპული კავშირის საბჭოსა და ევროპულ პარლამენტს გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუკი მათთვის კომისიას უკვე წარმოდგენილი აქვს შესაბამისი წინადადება. კომისია ასრულებს აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ და მკაოროდინირებელ ფუნქციებს. მას ასევე გააჩნია საგარეო ურთიერთობებში ევროპული კავშირის წარმომადგენლობის კომპეტენცია.

**ევროპული კონსტიტუცია**  
წარმოადგენს ევროპის კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულების სახელწოდების გავრცელებულ ვარიანტს. ევროპის კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულება შემუშავებულ იქნა ლეიკენში → **ევროპული საბჭოს** მიერ 2001 წლის 15 დეკემბერს მიღებული დეკლარაციის საფუძველზე შექმნილი ევროპული კონვენტის მიერ. კონვენტმა ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობა დაასრულა 2003 წლის 20 ივნისს, ხოლო 2004 წლის 17-18 ივნისს, ბრიუსელში, ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოე-

## ევროპული პარლამენტი

ბის სახელწოდება და მთავრობის მეთაურთა სამიტზე მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების საბოლოო ტექსტზე, რომელსაც 2004 წლის 29 ოქტომბერს, რომში, მოეწერა ხელი. ევროპის კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულება ძალაში არ შესულა, რადგანაც მის წინააღმდეგ მისცა ხმა მოსახლეობის უმრავლესობამ საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ჩატარებულ რეფერენდუმებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების დებულებების დიდი ნაწილი ასევე შევიდა → **ლისაბონის ხელშეკრულებაში**, რომელიც 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა ძალაში.

### ევროპული პარლამენტი

წარმოადგენს → **ევროპული კავშირის ერთ-ერთ ორგანოს**. იგი → **ევროპული კავშირის საბჭოსთან** ერთად სრულფასოვან მონაწილეობას იღებს ევროპული კავშირის საკანონმდებლო პროცესში. 2009 წლის არჩევნების შემდეგ ევროპული პარლამენტი შედგებოდა 736 წევრისაგან. 2010 წლისთვის მათი რაოდენობა დროებით გაიზარდა 754 წევრამდე. → **ლისაბონის ხელშეკრულების** პირობების მიხედვით კი, 2014 წლის არჩევნების შემდეგ მათი რაოდენობა უნდა იყოს მაქსიმუმ 750 პლიუს ევროპული პარლამენტის პრეზიდენტი. თითოეული წევრი სახელმწიფოდან წარმოდგენილი დეპუტატების დადგენილი რაოდენობა დამოკიდებულია მოცემული წევრი სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობაზე. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება 5 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. ევროპული პარლამენტის ძირითადი კომპეტენციები

ბი განზოგადებული სახით მოცემულია ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-14 მუხლში. კერძოდ, ესენია: საკანონმდებლო ფუნქცია; ევროპული კავშირის ბიუჯეტის დამტკიცების ფუნქცია; დემოკრატიული კონტროლის ფუნქცია; საკონსულტაციო ფუნქცია და კომისიის პრეზიდენტის არჩევის კომპეტენცია. რაც შეეხება ევროპული პარლამენტის ადგილსამყოფელს, წელიწადში 12 პლენარული სხდომა სტრასბურგში (საფრანგეთი) ტარდება. გარდა ამისა, ბრიუსელში (ბელგია) ასევე იმართება წელიწადში 6 პლენარული სხდომა. პარლამენტის კომიტეტებისა და ფრაქციების სხდომები ბრიუსელში ტარდება, ხოლო პარლამენტის გენერალური სამდივნო ლუქსემბურგშია (ლუქსემბურგი) განთავსებული.

### ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო 1974 წლიდან არსებობს. 2009 წლის 1 დეკემბერს → **ლისაბონის ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ კი მას → **ევროპული კავშირის** ორგანოს სტატუსი მიენიჭა. იგი შედგება ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებისაგან, → **ევროპული საბჭოს პრეზიდენტისა** და → **ევროპული კომისიის** პრეზიდენტისაგან. ევროპული საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობის უფლება აქვს ასევე საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს. საჭიროების შემთხვევაში ევროპული საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ასევე წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისიის კიდევ ერთი

ნევრი. ევროპული საბჭოს შეხვედრები იმართება ნახევარ წელიწადში მინიმუმ ორჯერ. მას, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, თავმჯდომარეობდა იმ ნევრი სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური, რომელიც თავმჯდომარეობდა შესაბამის პერიოდში ევროპული კავშირის საბჭოს. ლისაბონის ხელშეკრულებით კი შემოღებულ იქნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც თავმჯდომარეობს ევროპულ საბჭოს. რაც შეეხება ევროპული საბჭოს ფუნქციებს, იგი ევროპული ინტეგრაციის განვითარების ზოგად პოლიტიკურ მიმართულებებს განსაზღვრავს. → **საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში ევროპული საბჭო ადგენს ევროპული კავშირის სტრატეგიულ ინტერესებს, მიზნებს და ზოგად მიმართულებებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. იგი იღებს გადაწყვეტილებს → ევროპული პარლამენტის** რაოდენობითი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში, ასევე გადაწყვეტილებებს → **ევროპული კავშირის საბჭოს** შეხვედრების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ. ევროპული საბჭო ნიშნავს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს და ადგენს კომისიაში როტაციის წესს. გარდა ამისა, ევროპული საბჭო ევროპულ პარლამენტთან და ნევრ სახელმწიფოებთან ერთად გამარტივებული პროცედურის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებებს სამართლებრივად სავალდებულო ძალა

გააჩნია. გადაწყვეტილებებს იგი, როგორც წესი, იღებს კონსენსუსის საფუძველზე.

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტი** ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ინსტიტუტი შემოღებულ იქნა → **ლისაბონის ხელშეკრულებით.** იგი → **ევროპული კავშირის** ერთ-ერთი ორგანოს, → **ევროპული საბჭოს**, მიერ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით აირჩევა ორწლიანხევრით. ამასთან, იგი შესაძლოა კიდევ ერთი ვადით იქნას არჩეული. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი იწვევს და თავმჯდომარეობს ევროპულ საბჭოს. მის კომპეტენციაში შედის ევროპული საბჭოს მუშაობის ორგანიზება, განგრძობადობის უზრუნველყოფა და კონსენსუსის მიღწევის ხელშეწყობა. იგი ევროპული საბჭოს ყოველი შეხვედრის დასრულების შემდეგ ანგარიშს წარუდგენს → **ევროპულ პარლამენტს.** გარდა ამისა, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი წარმოადგენს ევროპულ კავშირს → **საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში**, თუმცა, ამასთან არ ხელყოფს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კომპეტენციებს.

**ევროპული საზოგადოება** არის სამენარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც → **ევროპული კავშირის** სამართლით არის დარეგულირებული. აღნიშნული ფორმის შემოღების მიზანია სანარმოებისთვის ევროპული კავშირის ნევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე საქმიანობის გამარტივება. იგი დარეგულირებულია ევროპული საზოგადოების სტატუსის შესახებ



## ევროპული საინვესტიციო ბანკი

2157/2001 რეგულაციით. ევროპული საზოგადოების ფორმით დაფუძნებული კომპანიის საქმიანობაზე იმ წევრი სახელმწიფოს სამეწარმეო სამართალი ვრცელდება, სადაც მისი იურიდიული მისამართი მდებარეობს, თუმცა კომპანიის მიერ მისი წესდებით დადგენილი იურიდიული მისამართის სხვა წევრ სახელმწიფოში გადატანის შემთხვევაში, იგი ევროპული საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას შეინარჩუნებს და მას არ დაჭირდება ხელახალი დაფუძნება. ევროპული საზოგადოების დაფუძნება შესაძლებელია, მაგალითად, სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული ორი ან მეტი კომპანიის შერწყმით, ჰოლდინგური კომპანიის ან ერთობლივი შვილობილი კომპანიის დაფუძნებით, ან კიდევ სააქციო საზოგადოების ევროპულ საზოგადოებად გარდაქმნის გზით, თუკი მოცემულ სააქციო საზოგადოებას სხვა წევრ სახელმწიფოში შვილობილი კომპანია გააჩნია.

**ევროპული საინვესტიციო ბანკი** წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** ფარგლებში დაფუძნებულ, დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის მქონე ფინანსურ ინსტიტუტს. მისი ადგილსამყოფელია ლუქსემბურგი. ევროპული საინვესტიციო ბანკის მთავარ ამოცანას კრედიტებისა და გარანტიების გაცემის გზით ნაკლებად განვითარებული რეგიონებისა და ევროპული კავშირის პროექტების ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენს. ევროპული საინვესტიციო ბანკის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან და პრეზიდენტისაგან შედგე-

ბა. მმართველთა საბჭო განსაზღვრავს საკრედიტო პოლიტიკას და იძლევა ნებართვას ევროპული საინვესტიციო ბანკის მიერ ევროპული კავშირის ფარგლებს გარეთ საქმიანობების განხორციელებაზე.

**ევროპული სამეზობლო პოლიტიკა** წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** პროგრამას, რომელიც 2004 წელს შემუშავდა. მის მიზანია ევროპულ კავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და ევროპული კავშირის სამეზობლოში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაძლიერება. მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარების გზით მხარდაჭერილ უნდა იქნეს სტაბილიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესი, რაც შედეგად ევროპული კავშირის უსაფრთხოებასაც გაზრდის. ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულნი არიან შემდეგი ქვეყნები: ალჟირი, აზერბაიჯანი, სირია, ბელარუსი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, მოლდოვა, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიები, საქართველო, სომხეთი, ტუნისი და უკრაინა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ორმხრივი სამოქმედო გეგმები, რომლებიც პოლიტიკურ დოკუმენტებს წარმოადგენენ და მოიცავენ შეთანხმებებს მიზნებისა და ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. ამასთან, თითოეული სამოქმედო გეგმა შესაბამისი მეზობელი ქვეყნის საჭიროებებსა და მახასიათებლებს ითვალისწინებს. საქართველო-ევ-

როკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა 2006 წლის 14 ნოემბერს. იგი 5 წელზე არის გათვლილი. ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების რეალიზაციას, როგორებიცაა: სტანდარტებისა და წესების ჰარმონიზაცია; ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნებისათვის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების მინიჭება; ადამიანური რესურსების თავისუფალი გადაადგილებისა და კანონიერი მიგრაციის საფუძვლების შექმნა; თანამშრომლობის გაძლიერება უსაფრთხოების საკითხებში; ევროპული კავშირის უფრო აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების და კრიზისულ სიტუაციათა მართვის საკითხებში; მეტი ძალისხმევის მიმართვა ადამიანის უფლებათა დაცვისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ; ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში, ასევე სამეცნიერო კვლევათა ევროპულ სივრცეში; ინვესტიციების ხელშეწყობისა და მათი დაცვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა; ევროპული კავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ქვეყნების მოთხოვნილებებზე უკეთ ორიენტირებული დახმარების უზრუნველყოფა; დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება.

**ევროპული ცენტრალური ბანკი** წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** ერთ-ერთ ორგანოს. იგი შეიქმნა ევროპული სავალუტო კავშირის ფარგლებში 1998 წლის

1 ივლისს და წარმოადგენს ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის ნაწილს. ევროპული ცენტრალური ბანკი მდებარეობს მაინის ფრანკფურტში (გერმანია). ევროპული ცენტრალური ბანკის მთავარ ორგანოს მმართველი საბჭო წარმოადგენს, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს წევრისა და იმ წევრი სახელმწიფოების ეროვნული ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები სგან შედგება, რომლებიც სავალუტო კავშირში მონაწილეობას იღებენ. ევროპული ცენტრალური ბანკის მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. იგი კოორდინაციას უწევს ფულად და სავალუტო პოლიტიკას და იძლევა ნებართვას → **ევროს** ემისიასთან დაკავშირებით.

**ეთნიკური წმენდა** პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიიდან ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური ჯგუფის ძალადობრივ განდევნას. → **გენოციდისგან** განსხვავებით ეთნიკური წმენდა მიზნად ისახავს ჯგუფის არა განადგურებას, არამედ ტერიტორიიდან განდევნას. თუმცა ეთნიკური წმენდა შეიძლება ასევე გადაიზარდოს გენოციდში. ეთნიკური წმენდის განმარტება საერთაშორისო სამართალში დამოუკიდებლად მოცემული არ არის, თუმცა მისი განხორციელების მეთოდები, რომლებიც, მაგალითად, შეიძლება გამოიხატებოდეს გაუპატიურებაში, მკვლელობაში, დეპორტაციასა და საკუთრების განადგურებაში, აკმაყოფილებენ ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის (→ **დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ**) შემადგენლობის ნიშნებს.



**ეკომარკა**

წარმოადგენს ნიშანს, რომელიც მიენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას მომხმარებელთა უკეთ ორიენტირებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია წარმოადგენს → **საერთაშორისო ორგანიზაციას**. იგი აქტიუალური ფორმით დაფუძნდა 1961 წელს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში (საფრანგეთი). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია წარმოადგენს ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეს, რომელიც 1948 წელს შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის ეკონომიკური რეკონსტრუქციის კოორდინაციის მიზნით. აქტიუალური მდგომარეობით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას 34 წევრი ჰყავს. ორგანიზაციის წევრები წარმოადგენენ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებს, რომლებიც დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს აღიარებენ. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ოპტიმალური ეკონომიკური განვითარებისა და წევრ სახელმწიფოებში ცხოვრებისა და დასაქმების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა, განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა, მსოფლიო ვაჭრობის გაფართოება. ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც წევრი სახელმწიფოებისა და → **ევრო-**

**პული კომისიის** წარმომადგენლებისგან შედგება. საბჭო წელიწადში მინიმუმ ერთხელ იკრიბება. იგი ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამას განსაზღვრავს. გადანყვეტილებები მიიღება → **კონსენსუსის** საფუძველზე. საბჭოს თავმჯდომარეობს გენერალური მდივანი, რომელიც 5 წლის ვადით აირჩევა წევრ სახელმწიფოების მიერ ერთხმად მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე. ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციას საბჭოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების განხორციელება წარმოადგენს.

**ეკონომიკური საქმიანობა**

საგადასახადო კოდექსის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა. ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება: ა) სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების განევისა; → **საქველმოქმედო საქმიანობა**; → **რელიგიური საქმიანობა**; → **დაქირავებით მუშაობა**; ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე; – საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისა-

ზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

### ეკოციდი

სისხლის სამართლის კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მონადგვლას, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივ განადგურებას, ანდა სხვა ქმედებას, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია. ეკოციდი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე, ხოლო თუ იგი ჩადენილია შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

### ელჩი

დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი → **დიპლომატიურ წარმომადგენლობა**თა მეთაურების უმაღლეს კლასს მიეკუთვნება. დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 და 35-ე მუხლების მიხედვით, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობასა და უმაღლეს დიპლომატიურ რანგს წარმოადგენს. აღნიშნული კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრის წარდგინებით.

### ემბარგო

ცალკეული სახელმწიფოს, სახელმწიფოთა ჯგუფის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გატარებული იძულებითი ხასიათის ღონისძიება კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ითვალისწინებს ამ სახელმწიფოსთან საქონლის ცალკეული სახეობის ან სახეობების ვაჭრობის აკრძალვას. ეკონომიკური ურთიერთობების სრულად შეწყვეტას ემბარგოსგან განსხვავებით ეკონომიკური ბლოკადა ეწოდება. ემბარგო ხშირად → **რეპრესალიის** სახით გამოიყენება.

### ემიგრანტი

პირი, რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ქვეყანას ან ქვეყანას, სადაც იგი მუდმივად ცხოვრობდა და მუდმივად საცხოვრებლად გადადის სხვა ქვეყანაში. ემიგრაციის უფლება მოცემულია გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლის მეორე პუნქტში, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც. იგივე დებულება არის მოცემული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლში. თუმცა, ასევე აღინიშნება, რომ მოცემული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯამრთელობისა და ზნეობის ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

### ემიტენტი

არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გასცემს → **ფასიან ქალაქს**.

## ენუმერაციის პრინციპი

### ენუმერაციის პრინციპი

ენუმერაციის პრინციპის ქვეშ მოიაზრება ზოგადი წესი, რომ კანონი განსაზღვრულ მატერიას არა აბსტრაქტულად, არამედ ცალკეული ნორმების ჩამონათვალით არეგულირებს (ამის საპირისპირო არის → **გენერალური კლასიფიკაცია**). ადრე სამართლის მეცნიერება ენუმერაციის პრინციპის ქვეშ გულისხმობდა, რომ მხოლოდ განსაზღვრული, კანონში ჩამოთვლილი ადმინისტრაციული აქტები შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების გზით. დღეს ადმინისტრაციული სასამართლო წარმოება, როგორც წესი, განსაზღვრავს, რომ ყოველი ადმინისტრაციული აქტი ექვემდებარება სასამართლოს გზით გასაჩივრებას.

### ერთა თანამეგობრობა

სუვერენული სახელმწიფოების გაერთიანება, რომელშიც შედიან დიდი ბრიტანეთი და მისი თითქმის ყველა ყოფილი კოლონია და პროტექტორატი, ასევე რუანდა და მოზამბიკი. ერთა თანამეგობრობა, თანამედროვე ფორმით, არსებობს 1947 წლიდან. ამ პერიოდამდე მას ერთა ბრიტანული თანამეგობრობა ეწოდებოდა. ერთა თანამეგობრობის წევრთა რაოდენობა აქტუალური მდგომარეობით 54 სახელმწიფოს შეადგენს. მათგან 16 სახელმწიფო სახელმწიფოს მეთაურად აღიარებს დიდი ბრიტანეთის დედოფალს. გარდა ამისა, ბრიტანეთის დედოფალი წარმოადგენს ერთა თანამეგობრობის მეთაურს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში (დიდი ბრიტანეთი). წელიწადში ერთხელ ერთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთა-

ურები იკრიბებიან → **სამიტზე**, სადაც განიხილება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები.

### ერთა ლიგა

→ **უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაარსდა. ერთა ლიგის წესდება 1919 წლის 28 აპრილს იქნა მიღებული ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე. იგი ძალაში 1920 წლის 10 იანვარს შევიდა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობდა ჟენევაში (შვეიცარია). ერთა ლიგის მიზნებს წარმოადგენდა: განიარაღება, კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებს შორის დაპირების მშვიდობიანად გადაწყვეტა და წევრ სახელმწიფოებში ცხოვრების დონის ამაღლება. ერთა ლიგის ძირითად ორგანოებს წარმოადგენდნენ საბჭო, კრება და სამდივნო. აღნიშნული ორგანიზაციის ეგიდით ასევე შეიქმნა მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო დავების მოგვარება. ერთა ლიგამ არსებობა შეწყვიტა 1946 წლის 20 აპრილს. ცალკეული წარმატებების მიუხედავად, მან მთლიანობაში ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს და ვერ შეძლო თავიდან ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილება. ამ წარუმატებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მისი ქმედუნარიანობა შეზღუდული იყო შემდეგი გარემოებებით: ერთა ლიგის ყველა წევრს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვეტოს უფლება გააჩნდა. გარდა ამისა, ერთა ლიგის წევრი არ გამხდარა ამერიკის შეერთე-



ბული შტატები, ხოლო რამდენიმე სხვა წამყვანი სახელმწიფო მხოლოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში იყო ორგანიზაციაში გაწევრიანებული (საბჭოთა კავშირი - 1934-1939 წლებში; გერმანია 1926-1934 წლებში).

**ერთა ლიგის სამანდატო სისტემა**  
ერთა ლიგის სამანდატო სისტემა წარმოადგენდა → **გაეროს მეურვეობის სისტემის** წინამორბედს. იგი ითვალისწინებდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გერმანიის კოლონიებისა და თურქეთის ტერიტორიის ცალკეული ნაწილების ომში გამარჯვებული ქვეყნებისათვის მართვის მანდატით გადაცემას. მანდატის საფუძველზე ამ ტერიტორიების მართვას ეს სახელმწიფოები ახორციელებდნენ ერთა ლიგის სახელით და ერთა ლიგასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. მანდატის განხორციელებაზე ზედამხედველობას ახორციელებდა ერთა ლიგის საბჭო მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის მხარდაჭერით. მანდატის ქვეშ მყოფი ტერიტორიებზე მანდატის საფუძველზე მმართველი სახელმწიფოების → **სუვერენიტეტი** არ ვრცელდებოდა. მმართველ სახელმწიფოს მანდატის ქვეშ მყოფი ტერიტორია უნდა ემართა ამ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და უნდა მოემზადებინა მომავალში დამოუკიდებლობის მისაღებად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მეურვეობის სისტემის შექმნის შემდეგ, იმ დროისათვის მანდატის ქვეშ მყოფმა ტერიტორიებმა მეურვეობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების სტატუსი მიიღეს. გამონაკლისს წარმოად-

გენდა გერმანიის ყოფილი კოლონია „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა“, რომლის მართვის მანდატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას გააჩნდა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ უარი განაცხადა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის გაეროს მეურვეობის სისტემისათვის გადაცემაზე. აღნიშნული კონფლიქტის აღმოფხვრა მხოლოდ და მხოლოდ 1989 წელს მოხერხდა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მიერ - ნამიბიის სახელწოდებით - დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

**ერთიანი დანაშაული**

არის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების სპეციალური ფორმა. მისი სახეებია → **დენადი დანაშაული** და → **განგრძობადი დანაშაული**

**ერთი სარკმლის პრინციპი**

→ **ადმინისტრაციული წარმოების** წესი, როდესაც → **ლიცენზიის** ან → **ნებართვის** გამცემი თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა → **ადმინისტრაციული ორგანოს** მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურებოდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს;

**ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო**

დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ



## ეროვნული სასწავლო გეგმა

ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს.

### ეროვნული სასწავლო გეგმა

დოკუმენტი, რომელიც მოიცავს → **ზოგადი განათლების** ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას;

სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება → **ზოგადი განათლების** საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინიმალური საათების რაოდენობა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები. ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. ეროვნული სასწავლო

გეგმა მოიცავს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს: ა) ქართული (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული) ენა და ლიტერატურა; ბ) საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები; გ) მათემატიკა; დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ე) უცხოური ენები; ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებისათვის. ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალისტური.

### ეუთო

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც თავდაპირველად ჩამოყალიბდა 1975 წელს, ჰელსინკის დასკვნით აქტის საფუძველზე, როგორც ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის გაგრძელება, რომელიც, თავის მხრივ, 1973 წლიდან ტარდებოდა. ოფიციალურად კონფერენციას სახელი 1995 წლიდან შეეცვალა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია ეწოდა. აქტუალური მდგომარეობით, ეუთოს წევრია 56 სახელმწიფო. საქართველო ეუთოს წევრია 1992 წლიდან. ეუთოს გენერალური სამდივნო მდებარეობს ვენაში (ავსტრია). ეუთოს ყველაზე მნიშვნელოვან აქტებს მიეკუთვნება 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1990 წლის პარიზის ქარტია და 1999 წლის სტამბოლის ევროპული უსაფრთხოების ქარტია. იგი წა-

რმოადგენს მოლაპარაკებებისა და გადანყვეტილებების მიღების ფორუმს კონფლიქტების პრევენციის, კრიზისულ სიტუაციათა მართვის და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის სფეროებში. ეუთოს ფარგლებში გადანყვეტილებები მიიღება შემდეგი ორგანოების მიერ: სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა სამიტი; მინისტრთა საბჭო, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება; მუდმივი საბჭო, რომელიც ეუთოში წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლებისგან შედგება და რომელიც კვირაში ერთხელ მაინც იკრიბება; უშიშროების საკითხებში თანამშრომლობის ფორუმი, რომელსაც სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე გადანყვეტილებების კომპეტენცია გააჩნია. ეუთოს ფარგლებში არსებობს მთელი რიგი დაწესებულებები, რომელთა შორის არის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი და ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარია. ასევე აღსანიშნავია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც წევრი სახელმწიფოების საპარლამენტო დელეგაციების წევრებისგან შედგება.

## ექსკლავი → ანკლავი.

### ექსპატრიაცია

პირის მიერ → მოქალაქეობის დაკარგვა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ავტომატურად შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (→ მოქალაქეობის დაკარგვა), ასევე მოქალაქეობის ჩამორთმევის ან მოქალაქეობიდან (ნებაყოფლობით) გასვლის გზით. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი ცალ-

სახად კრძალავს მოქალაქეობის ჩამორთმევას.

### ექსპერტი

სისხლის სამართლის პროცესში არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია → მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში. ექსპერტი მიუკერძოებელი უნდა იყოს, იმის მიუხედავად, თუ ვინ მიიწვია იგი. მას ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. → ექსპერტიზა.

### ექსპერტიზა

1. სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, რომელიც → მხარის ინიციატივით ტარდება იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა, ასევე თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველობიდან აჩნევა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა, დაცვის მხარეს უფლება აქვს მოითხო-

## ექსპერტის დასკვნა

ვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება. საჭირო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ → **ექსპერტი** იძლევა დასკვნას. წერილობით დასკვნას იგი ადასტურებს ხელმოწერით. ექსპერტის დასკვნას დაერთვის გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას. ექსპერტის დასკვნას მიღებისთანავე ექსპერტიზის ინიციატორი მხარე გადასცემს მეორე მხარეს ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლი).

2. სამოქალაქო სამართალში → **ექსპერტის დასკვნა**.

## ექსპერტის დასკვნა

1. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულებათა ერთ-ერთ სახეს. ექსპერტის დანიშვნა ხდება როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით იმ საკითხებზე, რომელზეც მოსამართლეს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა და ეს საკითხი წარმოადგენს საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვან გარემოებას და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი). ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლო განჩინებაში უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა და რა მასალები წარედგინება ექსპერტს გამოსაკვლევად; აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს; საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა

ექსპერტის დასკვნა, ასევე, ექსპერტიზის ჩატარების ადგილს, განსაზღვრავს სასამართლო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლი). ექსპერტიზა შეიძლება ჩატარებულ იქნას როგორც სპეციალურ, ისე არასპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში; ექსპერტის დასკვნა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით და იგი უნდა შეიცავდეს წარმოებული გამოკვლევის წერილობით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე; თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, ასევე, სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, ან არსებობს რამდენიმე ექსპერტის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა, ასეთ შემთხვევებში, შესაძლებელია სასამართლოს ინიციატივით დაინიშნოს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი). სამოქალაქო პროცესში მხარეებს შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება. ექსპერტის დასკვნის გათვალისწინება სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო და მისი შეფასება წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი).

2. სისხლის სამართალში → **ექსპერტიზა**.

## ექსპროპრიატია

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და აუცილებელი

საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საკუთრების ჩამორთმევა, ჩამორთმეული ქონების სათანადო კომპენსაციით. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ კანონი განსაზღვრავს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესს. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება შემდეგი სამუშაოების წარმოების მიზნით: ა) გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობისათვის; ბ) რკინიგზის ხაზების გაყვანისათვის; გ) ნედლი ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნავთობპროდუქტების მილსადენების გაყვანისათვის; დ) ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის; ე) წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის; ვ) სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის; ზ) სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის; თ) საზოგადოებრივი საჭიროებისათ-

ვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობისათვის; ი) ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის. კ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის.

### ექსტერიტორიულობა

ექსტერიტორიულობა აღნიშნავს სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათ წარმომადგენლებთან მიმართებაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის შეზღუდვას, რომელიც გამოიხატება მათთვის დიპლომატიური იმუნიტეტების (→ **დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები**) მინიჭებაში. ექსტერიტორიულობის ხარისხი და მოცულობა გამომდინარეობს → **საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან** და → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან**. თავდაპირველად ექსტერიტორიულობა გამოიყენებოდა იმ მნიშვნელობით, რომ დიპლომატები და მისიის კარმიდამო იმყოფებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის „ტერიტორიის გარეთ“, რამაც გამოიწვია ის, რომ ცალკეულ შემთხვევებში მისიის კარმიდამო წარმგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიად განიხილებოდა და არა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიად. → **ერთა ლიგის** დაფუძნების პერიოდიდან კი, როდესაც აღიარებულ იქნა სახელმწიფოთა თანასწორობა, ექსტერიტორიულობის ცნება ცალსახად იურისდიქციის ფუნქციონალურ შეზღუდვას უკავშირდება და არ გულისხმობს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს → **სუვერენიტეტის** შეზღუდვას. ექსტერიტორიულობის თავდაპირველი მნიშვნელობა შენარჩუნებულ იქნა სამხედრო გემებთან და სამხედრო-

## ექსტერიტორიულობა

საჰაერო ხომალდებთან მიმართებაში. კერძოდ, მაგალითად, სამხედრო გემზე, რომელიც კანონიერად იმყოფება სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში ან თუნდაც პორტში, ვრცელდება → **ალმის სახელმწიფოს როგორც → იურისდიქცია**, ასევე სუვერენიტეტი. შესაბამისად, ასეთი გემი შეიძლება „ალმის სახელმწიფოს ტერიტორიად“ ჩაითვალოს.

### ექსცესი

ნიშნავს გადაცილებას, მოქმედებიდან გადახრას. მაგალითად: → **ამსრულებლის ექსცესი**, აუცილებელი მოგერიების ექსცესი (→ **აუცილებელი მოგერიება**).

### ექსჰუმაცია

ნიშნავს გვამის საფლავიდან ამოღებას. იგი წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების**

ერთ-ერთ სახეს, რომელიც ტარდება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სამართლის განჩინებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილი). ექსჰუმაცია ტარდება ექსპერტის და დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის (თუ ასეთი არსებობს) წარმომადგენლის მონაწილეობით. ამ საგამოძიებო მოქმედებაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. გარდაცვლილის ნათესავებს უფლება აქვთ, დაესწრონ ექსჰუმაციას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლი).

3

**ვადიანი თავისუფლების აღკვეთა** როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, ნიშნავს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებას. იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით. მისი მაქსიმალური ვადა დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეჯამებისას – ორმოც წელს. თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, ანდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს, თავისუფლების შეზღუდვის ან ჯარიმის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შემთხვევაში, სამართლო უფლებამოსილია პირს აღნიშნული სასჯელი დაუნიშნოს ექვს თვეზე ნაკლები ვადითაც. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია აგრეთვე განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ პირი აღიარებს დანაშაულს (თუ მას არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ამხელს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი (სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლი). დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა აულ მცირე ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას (სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი). არასრულწლოვანისათვის დაწესებულია თავისუფლების აღკვეთის შემცირებული ვადები. თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს. თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მეოთხედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს (სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლი). თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი, მოთავსდება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში (სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლი).

3

**ვალდებულება**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება; შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. ვალდებულების შინაარსი უნდა იყოს განსაზღვრული ან მინიმუმ განსაზღვრებადი. ვალდებულების შესრულებისა და სამაგიერო შესრულების შინაარსის განსაზღვრა კი წარმოადგენს მოვალისა და კრედიტორის თავისუფალ გადაწყვეტილებას და, როგორც წესი, ხორციელდება მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენითა და სამართლიანი განსჯის საფუძველზე. დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შინაარსის განსაზღვრა მესამე პირს მიანდონ. როგორც წესი, მოვალეს უფლება არა აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამაზე თანახმაა. ამის სანაღმდეგოდ, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება. თუ მოვალემ ვალდებულება პირადად არ უნდა შეასრულოს, მაშინ შესრულების უფლება აქვს მესამე პირსაც (სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ შემთხვევაში, მოვალის თანხმობა არ არის საჭირო. კრედიტორს შეუძლია უარი თქვას მესამე პირისაგან შემოთავაზებულ შესრულებაზე, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.

2. როგორც წესი, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში (სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლი). სადავო საკითხს, ფულადი ვალდებუ-

ლება გვარეობით განსაზღვრულ თუ ინდივიდუალურად განსაზღვრულ შესრულებას წარმოადგენს, არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ოდენობით. ამასთან, შესაძლებელია, რომ მხარეები ითვალისწინებდნენ ფულადი ვალდებულების შესრულებას მხოლოდ განსაზღვრული ბანკნოტების მეშვეობით. ფულის ერთეულის კურსის ცვლილებისას მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება, ხოლო ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი). თუ მოვალეს კრედიტორის წინაშე ეკისრება სხვადასხვა ვალდებულებებიდან ფულადი შესრულება და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. სხვადასხვა ვალდებულების ერთდროულად დადგომის შემთხვევაში, დაიფარება ის ფულადი ვალდებულება, რომლის შესრულებაც მოვალისათვის ყველაზე მძიმეა, ხოლო თუ რამდენიმე მოთხოვნა თანაბრად მძიმეა, ის ვალდებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი).



**ვალდებულებითი სამართალი**

ვალდებულებითი სამართალი ანეს-რიგებს რამდენიმე პირს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მისი არსებითი შინაარსი გამოიხატება ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების მოწესრიგებაში. ვალდებულებითი სამართლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პირთა ნება, თავისუფლად განსაზღვრონ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი. სამოქალაქო კოდექსში იგი მოცემულია მესამე ნივნში. ზოგადი ნებსების გარდა, სამოქალაქო კოდექსი 477-952 მუხლებში შეიცავს ვალდებულებითი ურთიერთობების ტიპიურ სახეებს (მაგალითად, ნასყიდობა, ქირავნობა, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.). ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის შემცველ ნორმებს შეიცავს, აგრეთვე, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი.

**ვალდებულებითი ურთიერთობა**

1. ვალდებულებითი ურთიერთობა არის ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გამოხატვის ფორმა (ვალდებულებითი სამართალი). ვალდებულებით სამართალში კრედიტორის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნა უპირისპირდება მოვალის ვალდებულებას. თუ აბსოლუტური უფლება, მაგალითად, საკუთრება, პირს იცავს ნებისმიერი ხელყოფისაგან და მისგან გამომდინარე მოთხოვნის უფლება შესაძლებელია მიმართული იყოს მესამე პირის საწინააღმდეგოდ, ვალდებულებითი ურთიერთობა მოცემულია მხოლოდ იმ პირებს შორის,

რომლებიც უნდა იყვნენ უფლებაუნარიანები და უფლებამოსილნი, მაგრამ არა ქმედუნარიანი. ვალდებულებითი ურთიერთობის ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება (მოთხოვნა, ვალდებულებითი მოთხოვნის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი). სამართლებრივად შესაძლებელია, რომ მოქმედების შესრულებას ჰქონდეს ნებისმიერი შინაარსი, მათ შორის, სხვა პირის უფლებებისა და ქონებისადმი გულისხმიერების გამოჩენის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, მოქმედების შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (მაგალითად, კონკურენტული მოქმედების აკრძალვა, საიდუმლოების დაცვის ვალდებულება). ასეთ შემთხვევებში რომ ვალდებულებითი ურთიერთობა დაუშვებელია, აუცილებელია, რომ → **კრედიტორი** და → **მოვალე**, ასევე, ვალდებულების შინაარსი იყოს განსაზღვრული ან მინიმუმ განსაზღვრებადი.

2. ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, ასევე, მისი შინაარსის შეცვლისათვის, აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი). ვალდებულებითი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების მომზადების სტადიაზეც (სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობა ცალმხრივი გარიგების საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (მაგალითად, ჯილდოს

საჯაროდ დაპირება, ანდერძი). ცალმხრივ, აღმჭურველ გარიგებებს შეუძლიათ შეცვალონ ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი მდგომარეობა. ვალდებულებითი ურთიერთობა შეიძლება, ასევე, წარმოიშვას დელიქტური ქმედების განხორციელების შედეგად. სხვა შემთხვევებში, ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი შესაძლებელია მოცემულ იყოს ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებაში (რეალაქტი), მაგალითად, → **მოდრაჯი ნივთების შერწყმა**, → **მასალის გადაამუშავება**. როგორც ნესი, ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა ნება, დაამყარონ ურთიერთობა სამართლებრივი ბოჭვის ფარგლებში. თუ მხარეთა ურთიერთობას აქვს მხოლოდ კეთილგანწყობითი ხასიათი, მაგალითად, სანადიროდ მიწვევა, ასეთ შემთხვევაში, არ წარმოიშობა ვალდებულებითი ურთიერთობა. მეგობრული, კეთილგანწყობითი ურთიერთობის გამიჯვნა სამართლებრივი შებოჭვით დამახასიათებელი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან ხორციელდება ინტერპრეტაციის (მხარეთა ინტერესებისა და შეთანხმების) საფუძველზე. სამართლებრივი ბოჭვის ნების არარსებობის მიუხედავად, დამკვიდრებული შეხედულება ვალდებულებით ურთიერთობად მიიჩნევს ტიპიურ სოციალურ ქმედებას. მაგალითად, თუ განსაზღვრული მომსახურების მიღება მხოლოდ საზღაურის გადახდის შემთხვევაშია დასაშვები, მაშინ პირს არ შეუძლია, ასეთი მომსახურების მიღების შემთხვევაში, სამართლებრივი ბოჭვის ნების არარსებობას დაეყრდნოს, (მაგალითად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით

მგზავრობა ან, როდესაც ავტოსადგომით სარგებლობა მხოლოდ გადასახადის გადახდის შემთხვევაშია ნებადართული).

3. ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით, ასევე, → **დებონირებით**, → **გაქვითვით**, → **ნოვაციით**. ზოგიერთ შემთხვევაში, ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი არის დროის გასვლა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის, აგრეთვე ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება ან მისი სამართლებრივი მდგომარეობა იცვლება ცალმხრივი, აღმჭურველი სამართლებრივი ქმედებების განხორციელების შედეგად (მაგალითად, → **ნების გამოვლენის შეცვლა**, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**).

**ვალდებულებით-სამართლებრივი სუროგაცია**  
→ **სუროგაცია.**

**ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა**  
→ **ვალდებულებითი ურთიერთობა.**

**ვალდებულების დარღვევა**  
აღნიშნავს ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ დაბრკოლებებს. კერძოდ, იგი ეხება → **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის** → **მოვალის მიერ ვადის გადაცისლების** → **ნაკლული ნივთით შესრულების** და, ასევე, მეორადი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევებს. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგი არის ის, რომ კრედიტორს,

როგორც წესი, შეუძლია მოითხოვოს → **ზიანის ანაზღაურება** თუ მოვალეს ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი).

### ვალდებულების შესრულების ადგილი

1. ვალდებულების შესრულების ადგილი არის ის ადგილი, სადაც, → **ვალდებულებითი ურთიერთობიდან** გამომდინარე, → **ვალდებულება** უნდა შესრულდეს. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, ექვემდებარება მხარეების შეთანხმებას. თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და იგი არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ, სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, შესრულების ადგილის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, ვალდებულების შინაარსს → **ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი**, თუ → **გვარეობით განსაზღვრული საგანი** წარმოადგენს. კანონის თანახმად, ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შესრულების ადგილი არის ვალდებულების წამოშობის მომენტისათვის საგნის მდებარეობის ადგილი; გვარეობით განსაზღვრული საგნის შესრულების ადგილი არის მოვალის საწარმო, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში - მისი საცხოვრებელი ადგილი. ვალდებულების შესრულების ადგილი უნდა განისაზღვროს თითოეული ვალდებულებისათვის ცალ-ცალკე. დამატებითი ვალდებულების შესრულების ადგილს, საექვოობისას, წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების შესრულების ადგილი.

თუ მოვალე ვალდებულების შესრულების ადგილას ვერ განახორციელებს შესრულებას, მაშინ მან დადგენილ დროში ვალდებულება ვერ შეასრულა, რაც გამოიწვევს → **მოვალის მიერ ვადის გადაცილებას** (სამოქალაქო კოდექსის 400-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორს ეკისრება საგნის მოსალოდნელი საფრთხის რისკი, თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი. აღნიშნული ძალაშია არა მხოლოდ გვარეობით განსაზღვრული საგნის, არამედ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაშიც, თუ მხარეებმა შესრულების ადგილად კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი განსაზღვრეს. (გამყიდველის მიერ ნივთის გაგზავნის შედეგი → **ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი**). ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით განისაზღვრება განსჯადი (სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი).

2. ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლი. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს მხოლოდ საინტერპრეტაციო ნორმას, რამდენადაც მხარეები ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ არ შეთანხმებულან და ეს არც კანონიდან გამომდინარეობს. ასეთ შემთხვევაში, „საექვოობისას“, შესაძლებელია, სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლის გამოყენება.

**ვალდებულების შესრულების დამხმარე**

არის პირი, რომელსაც მოვალე ვალდებულების შესრულებისათვის იყენებს. ის გარემოება, რომ დამხმარე, ამავე დროს, საკუთარ ვალდებულებას ასრულებს მოვალის წინაშე, არ ენიშნაალმდეგება ამას. (დამხმარის მიერ მიყენებული ზიანისათვის → **ბრალეულობა**). დამხმარეს მოქმედებისათვის მოვალე პასუხს აგებს ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს (სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი). მოვალეს პასუხისმგებლობა არ არის მოცემული, თუ დამხმარემ ზიანის გამომწვევი ქმედება ჩაიდინა არა ვალდებულების შესრულების მიზნისათვის, არამედ ასეთი ქმედება დროში დაემთხვა ვალდებულების შესრულების განხორციელებას, (მაგალითად, დამხმარემ ვალდებულების შესრულების დროს ჩაიდინა ქურდობა). ამის საწინააღმდეგოდ, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. კანონი გამორიცხავს მოვალეს პასუხისმგებლობას, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე (→ **დელიქტური ვალდებულება**).

**ვალდებულების შესრულების ვადა**

1. ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება კრედიტორისა და მოვალის თავისუფალი შეთანხმებით. ასევე, შესაძლებელია, რომ ვადის განსაზღვრა მინდობილი ჰქონდეს მოვალეს ან კრედიტორს. თუ ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრუ-

ლი არ არის და არც კანონიდან ან სხვა გარემოებებიდან ირკვევა, მაშინ, სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნას ეწოდება ვალდებულების შესრულების ვადა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების განხორციელებას და არა შედეგის დადგომას. ასე, რომ საკმარისია, მაგალითად, ფულის გადარიცხვის შემთხვევაში, გადარიცხვის განხორციელება.

2. თუ ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრულია დრო, მაშინ, საეჭვოობისას, ივარაუდება, რომ მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე, ხოლო კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ე. ი. ვალდებულების შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა (სამოქალაქო კოდექსის 366-ე მუხლი). ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება დამოკიდებული იყოს რაიმე → **პირობის დადგომაზე**. მაგალითად, ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების არაჯეროვნად გადახდაზე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ცალმხრივად გამოვლენილ ნებაზე ან ხელშეკრულების მოშლაზე. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადა დგება ხელშეკრულების მოშლის ვადის გასვლისთანავე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შესრულების ვადა ისეთი ვალდებულების შემთხვევაში რომლის შესრულებლობაც დათქმულ დროს ათავისუფლებს მეორე მხარეს შესრულების მიღების ვალდე-

ბულებისგან, ე.ი. არ ინვეს ვადის გადაცილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებს. შესრულების ვადა, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება გადავადებულ იქნას. ასეთ შეთანხმებაში, როგორც წესი, მოიაზრება არა ვალდებულებითი ურთიერთობის გადავადება, არამედ, მხოლოდ დაუყოვნებლივი შესრულების ანუ ვალდებულების შესრულების ვადის გადავადება (მაგალითად, კრედიტორის განცხადება, რომ იგი მოთხოვნას არ წაუყენებს მოვალეს, → **pactum de non petendo**).

**ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**

1. გარიგების ნამდვილობას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია და შეუძლებლობა მოცემული იყო გარიგების დადების დროს. მაგრამ შეუძლებლობა გამორიცხავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას, თუ ეს მოვალესთვის ან ნებისმიერი პირისათვის ხანგრძლივად შეუძლებელია (მაგალითად, კანონიერ ძალაში შესული ადმინისტრაციული ორგანოს უარი ნებართვის გაცემასზე). ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობა გამოიწვევს, თავდაპირველად, → **მოვალის მიერ ვადის გადაცილებას**. თუ რამდენად შეიძლება იგი ხანგრძლივ შეუძლებლობას გაუთანაბრდეს, დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის გარემოებებსა და კრედიტორის ინტერესზე. ვალდებულების მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლებლობა ათავისუფლებს შესრულებისაგან მოვალეს მხოლოდ შეუძლებელი ნაწილის მიმართ. იმის შესაფასებლად, თუ

რა მოქმედებების განხორციელება შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესასრულებლად, გათვალისწინებულ უნდა იქნას, ასევე, მისი ბრალეულობა.

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევისა, რომ მოვალე არ არის ბრალეული (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი). გამომდინარე აქედან, მოვალეს ეკისრება → **მტკიცების ტვირთი**, რომ ვალდებულების შეუძლებლობა არ არის გამომწვეული მისი ბრალეული მოქმედების შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი). თუ შესრულების საგანია, მაგალითად, → **გვაროვნული ნივთი**, მაშინ მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ შესაძლებელია ვალდებულების შესრულება გვაროვნული ნივთის მოცულობიდან (განსაკუთრებით, ფულადი ვალდებულების შემთხვევაში, რადგან მოვალეს ყოველთვის ეკისრება პასუხისმგებლობა). თუ აღნიშნული წინაპირობები მოცემულია, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს → **ზიანის ანაზღაურება**. თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია გარიგების დადების დროს, მოვალის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მის ბრალეულობაზე.

**ვალისა**

- **დიპლომატიური ფოსტა**
- **საკონსულო ფოსტა**.

**ვალის არსებობის აღიარება**

არის ცალმხრივი, აბსტრაქტული → **ხელშეკრულება**, რომლის ძალითაც აღიარებულია ვალდე-

ბულებითი ურთიერთობის არსებობა. მაგრამ ხშირად მოცემულია მხოლოდ მტკიცების ტვირთის შემსუბუქება ან ეგრეთწოდებული ვალის „დეკლარატორული“ აღიარება. ნების გამომვლენს შეიძლება, ასევე, განზრახული ჰქონდეს გარიგების დადებით ახალი აბსტრაქტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, რომელიც არ იკავებს არსებული ვალდებულების ადგილს, არამედ მის გვერდით დგას. ვალის არსებობის აღიარების სამართლებრივი კლასიფიკაცია დამოკიდებულია გამოვლენილი ნების ინტერპრეტაციასა და სამოქალაქო ურთიერთობაში დამკვიდრებულ წესებზე. სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული ვალის არსებობის აღიარების დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ხელშეკრულების მხარეები არსებულ ვალდებულებას სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე წყვეტენ და მას სხვა, ახალ, სამართლებრივ საფუძველზე აფუძნებენ. შესაბამისად, ვალის არსებობის აღიარება თავად არის მოთხოვნის წარდგენის საფუძველი. სწორედ ამ გარემოების გამო წარმოადგენს იგი აბსტრაქტულ, კაუზალური გარიგებისაგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. ამის საწინააღმდეგოდ, ვალის „დეკლარატორული“ აღიარება არ წარმოშობს ახალ სამართლებრივ საფუძველს, არამედ ადასტურებს უკვე არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას. ვალის არსებობის აღიარება საჭიროებს წერილობით ფორმას, თუ ვალდებულებითი ურთიერთობისათვის უფრო მკაცრი ფორმა არ არის განსაზღვრული (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი). წერილობითი ფორმის დაცვა არ არის

აუცილებელი, თუ აღიარება ან-გარიმსწორების საფუძველზე ან მორიგების გზით ხორციელდება. ვალის არსებობის (კონსტიტუტიური) აღიარების შედეგი არის ის, რომ კრედიტორმა არ უნდა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნის კაუზალური საფუძველი, ხოლო მოვალეს არ შეუძლია კაუზალური ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლების (მაგალითად, ხანდაზმულობა) წარმოდგენა. ვალის აღიარების შემთხვევაში მოქმედებენ გარიგების ზოგადი ნორმები, მაგალითად, შეცდომის გამო → **ნების შეცილება**. კაუზალური ურთიერთობის ბათილობის ან არარსებობის შემთხვევაში, პირს შეუძლია ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს გადაცემულის უკან დაბრუნება → **უსაფუძვლო გამდდრების** წესების თანახმად (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი).

**ვალის გადაკისრება**

1. ისევე როგორც → **მოთხოვნის დათმობით** ახალი კრედიტორი (მფლობელი) შემოდის → **ვალდებულებით ურთიერთობაში** და იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს, ვალის გადაკისრებით, შესაძლებელია, შეიცვალოს მოვალე. ვალის გადაკისრება არის აბსტრაქტული, ე.ი. გადაკისრების სამართლებრივი საფუძველისაგან დამოუკიდებელი, → **ხელშეკრულება**, რომლის ძალითაც მესამე პირი, როგორც ახალი მოვალე, იკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი). ვალის გადაკისრება განსხვავდება ვალის კუმულატიური გადაკისრებისაგან, როდესაც ახალი მოვალე თავის თავზე იღებს ვალდებულებას კრედიტორის წინაშე თავდაპირველ მოვალესთან ერ-

თად. ვალის გადაკისრების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი ფორმა და იგი არ საჭიროებს თავდაპირველი მოვალის თანხმობას (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი). პრაქტიკაში უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს თავდაპირველ და ახალ მოვალეს შეთანხმება ვალის გადაკისრების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება საჭიროებს მოთხოვნის მფლობელის თანხმობას. აღნიშნული თანხმობის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევა ის გარემოება, რომ მხარეები ვალის გადაკისრებით, როგორც არაუფლებამოსილი პირები, მფლობელის მოთხოვნას განკარგავენ. მფლობელის თანხმობა არ საჭიროებს ფორმას და შეიძლება კონკლუდენტურად გაიცეს. მისი დუმილი არ ნიშნავს თანხმობას. სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, ახალ მოვალეს შეუძლია მოთხოვნის მფლობელის წინააღმდეგ წამოაყენოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს მოთხოვნის მფლობელსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული ურთიერთობიდან, მაგალითად, შესრულება, გადავადება, ხანდაზმულობა, მაგრამ მას არა აქვს უფლება გაქვითოს თავდაპირველი მოვალის მოთხოვნები. ვალის გადაკისრების აბსტრაქტული ბუნებიდან გამომდინარე, ახალ მოვალეს არ შეუძლია მოთხოვნის მფლობელს წარუდგინოს ის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობენ მასსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, მაგალითად, ნების გამოვლენის გამო თავდაპირველ და ახალ მოვალეს შორის გაფორ-

მებული ხელშეკრულების → **შეცვლა**. ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული → **თავდებობა** და → **გირავნობა** (სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლი).

2. ვალის კუმულატიური გადაკისრება არ არის სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული. ახალი მოვალე იღებს თავდაპირველ მოვალესთან ერთად ვალდებულებას კრედიტორის წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალე (→ **სოლიდარული ვალდებულება**). ვალის კუმულატიური გადაკისრების საფუძველი შეიძლება იყოს მოთხოვნის მფლობელსა და ახალ მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულება ან თავდაპირველ და ახალ მოვალეებს შორის დადებული ხელშეკრულება მესამე პირის, მოთხოვნის მფლობელის, სასარგებლოდ (→ **მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება**). → **თავდებობისაგან განსხვავებით**, ვალის კუმულატიური გადაკისრება არ საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას. გარდა ამისა, თავდები მოთხოვნის მფლობელს აძლევს დამატებით უზრუნველყოფას და იგი პასუხისმგებლობას იღებს ყოველთვის სხვისი, მოვალის ვალდებულების შესრულებისათვის კრედიტორის წინაშე (→ **აქცესორულობა**), ხოლო ვალის კუმულატიური გადაკისრებით იძენს დამატებით ახალ მოვალეს. რომელი მათგანია მოცემული კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილ უნდა იქნეს → **ინტერპრეტაციის გზით**.

### ვალის პატიება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად, ვალის პატიება მხარეთა შე-

## ვარანტი

თანხმებით ინვეს ვალდებულების შეწყვეტას. ვალის პატიება არის → **ხელშეკრულება**. კრედიტორის ცალმხრივი განცხადება არ ინვეს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს. კრედიტორს შეუძლია უარი თქვას თავის მოთხოვნაზე, მაგრამ რჩება ვალდებული შეასრულოს თავისი ვალდებულება მოვალის წინაშე (სამოქალაქო კოდექსის 451-ე მუხლი).

## ვარანტი

→ მიბარება სასაქონლო საწყობში;  
→ სასაწყობო მონაშობა.

## ვასალიტეტი

→ სუვერენიტეტი.

## ვატიკანი

ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს. ვატიკანი, → **ანკლავის** სახით, მდებარეობს იტალიის დედაქალაქ რომის დასავლეთ ნაწილში და მოიცავს წმინდა პეტრეს ბაზილიკის მიმდებარე ტერიტორიას. ვატიკანი შეიქმნა 1929 წლის ლატერანის ხელშეკრულების საფუძველზე. იგი იმყოფება რომის პაპის → **სუვერენიტეტის** ქვეშ. ვატიკანისგან დამოუკიდებელ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს → **წმინდა საყდარი**. ვატიკანი წმინდა საყდრის (რომის პაპის) სუვერენული ტერიტორიაა. მიუხედავად იმისა, რომ ვატიკანი საერთაშორისო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს, სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლობები აკრედიტირებული არიან არა ვატიკანში, არამედ წმინდა საყდართან.

## ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის ფარგლებშიც რეგულირდება მსოფლიო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაფუძნდა 1995 წელს. მან ჩაანაცვლა და ამავე დროს გააფართოვა ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATT). მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია). დღეისათვის მისი წევრია 153 სახელმწიფო. საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა 2000 წლის 14 ივნისს. ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ, 1947 წელს, იქნა დადებული. მის მიზანს წარმოადგენდა საბაჟო ტარიფების შემცირება და ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმება. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ამოცანები ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების მიზნებზე ფართოა. იგი მოიცავს არამარტო საქონლით, არამედ ასევე მომსახურებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერების გაუქმებას, ასევე ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაზე შეზღუდვების გაუქმებას. კერძოდ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ შეთანხმების ნაწილია მომსახურებით ვაჭრობის გენერალური შეთანხმება (GATS) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება (TRIPS). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: უპი-



რატესი ხელშეწყობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფომ ყველა სავაჭრო პარტნიორი თანაბარ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს. შესაბამისად, თუკი წევრი სახელმწიფო რომელიმე წევრ სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობებისთვის შეღავათიან რეჟიმს ადგენს, მან ასეთივე რეჟიმში უნდა დაადგინოს ყველა სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში; თანაბარი პირობებისა და უფლებების უზრუნველყოფა იმპორტული და ადგილობრივად წარმოებული საქონლისთვის; შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად ტარიფული მეთოდების და არა რაოდენობრივი შეზღუდვებისა ან ანალოგიური მეთოდების გამოყენება. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მინისტრთა კონფერენცია, რომელიც წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან შედგება. მინისტრთა კონფერენციები იკრიბება სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ. ყოველდღიური მუშაობის ფარგლებში გადანყვეტილებების მიმღებ მთავარ ორგანოს წარმოადგენს გენერალური საბჭო. წევრ სახელმწიფოებს შორის დავების გადანყვეტის მიზნით გენერალურ საბჭოსთან შექმნილია შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმები.

## ვერდიქტი

→ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი.

## ვეტო

1. (ლათ. „გვრძალავ“) ნიშნავს ფორმალურად განსაზღვრულ ჩარჩოებში წინააღმდეგობის გამოხატვას კონკრეტული გადანყვეტილების მიმართ. ვეტოს უფლების განხორციელება მისი სამართლებრივ-პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე იწვევს გადანყვეტილების დროებით შეჩერებას ან მის დაბლოკვას. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ე.წ. სუსპენსიურ (დროებითი შემაკავებელი ხასიათის) და აბსოლუტურ ვეტოს. სახელმწიფო სამართალში ვეტოს უფლება მინიჭებული აქვს ცალკეულ სახელმწიფოებს. საერთაშორისო სამართალში კი - სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს წევრებს. ქვეყნის შიგნით ვეტოს განხორციელების უფლება ჩვეულებრივ აქვთ ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს.

2. საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გადანყვეტილების მიღების იმ პროცედურის ფარგლებში, რომელიც გადანყვეტილების ერთხმად მიღებას ითვალისწინებს, რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ გადანყვეტილების უარყოფას ვეტოს ეფექტი გააჩნია. → **გაეროს უშიშროების საბჭოში** ვეტოს უფლება გააჩნია საბჭოს მუდმივ წევრებს (ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და საფრანგეთი).

**ზეგავლენით ვაჭრობა**

სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გულისხმობს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის დაპირებას, შეთავაზებას ან მინიჭებას იმ პირისათვის, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**) გადანყვეტილების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენის ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენის სასურველი შედეგი. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით იმავე ვადით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. (მაგალითად, ბრალდებულის ნათესავი დაპირდა ადვოკატს 5 000 ლარს პროკურორზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ, რათა ამ უკანასკნელმა გააფორმოს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება ბრალდებულისთვის სასურველი პირობებით). აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც დანაშაულის ჩადენის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადებს სისხ-

ლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზეგავლენით ვაჭრობა წარმოადგენს აგრეთვე, პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადანყვეტილების მიღებაზე თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ იმ პირისაგან, რომელიც მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მოთხოვნას ან მიღებას, ასევე ასეთის თაობაზე დაპირების ან შეთავაზების მიღებას, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენა ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენით სასურველი შედეგი. ჩადენილი დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე (მაგალითად, ბრალდებულს დამცველი შეპირდა ნაცნობი პროკურორის მეშვეობით საქმის მწარმოებელ პროკურორთან სასურველი პირობებით საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში დახმარებას, რაშიც მოითხოვა და მიიღო ფულადი თანხა). დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ მას სჩადის → **ორგანიზებული ვაჭრობა**, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

**ზეეროვნული ორგანიზაციები**

ზეეროვნული ორგანიზაციები მოიცავენ სახელმწიფოთა გაერთიანებებს, რომელთა ფარგლებშიც წევრი სახელმწიფოების მხრიდან გაერთიანების სასარგებლოდ სუვერენიტეტის დათმობის იმდენად მაღალი ხარისხია, რომ ისინი მთავრობათაშორისი → **საერთაშორისო ორგანიზაციის** კლასიკურ ფორმატს სცდებიან. ზეეროვნულობის ძირითადი იდეა არის ის, რომ შესაძლებელია ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მათი თანხმობის გარეშე ან კიდევ მათი სურვილის საწინააღმდეგოდ ვალდებულებები დაეკისროთ. კერძოდ, ზეეროვნულობის ძირითად ნიშნებად მიიჩნევა: ა) ორგანიზაციის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი; ბ) ორგანიზაციის ორგანოების დამოუკიდებლობა იმ თვალსაზრისით, რომ დაშვებულია გადაწყვეტილებების ხმათა უმრავლესობით მიღება და ამასთან ორგანოები დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი პირებით; გ) ორგანიზაციის ორგანოების მიერ მიღებულ აქტებს უშუალო მოქმედების ძალა გააჩნიათ, ანუ არ არის საჭირო წევრი სახელმწიფოების მხრიდან მათი იმპლემენტაციის განხორციელება; დ) ორგანიზაციის უფლებამოსილება, დამოუკიდებლად აღასრულოს ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული აქტები; ე) ორგანიზაციის ფინანსური ავტონომია; ვ) სავალდებულო იურისდიქციის მქონე სასამართლო ხელისუფლება. ზეეროვნული ორგანიზაციის ცნება უშუალოდ უკავშირდება → **ევროპულ კავშირს**, რომელსაც ზეეროვნულობის ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი ახასიათებს და რომელიც ამასთან ზეეროვნუ-

ლი ორგანიზაციის ერთადერთი მაგალითია.

**ზეეროვნული სამართალი**

ზეეროვნული სამართლის ცნება დაკავშირებულია → **ზეეროვნული ორგანიზაციების** ცნებასთან. ზეეროვნულია სამართლის ნორმები, რომელთა მიღება ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობაზე არ არის დამოკიდებული და რომელსაც წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის მიმართ, კონსტიტუციის ჩათვლით, პრიმატი გააჩნია.

**ზეპირი სასამართლო სხდომა**

გულისხმობს იმას, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები სასამართლოში სრულფასოვნად უნდა იყოს ზეპირად გამოკვლეული. სასამართლო სხდომის ზეპირობა საქვეყნოობის პრინციპის (→ **საქვეყნო (საჯარო) სასამართლო სხდომა**) განხორციელების უმნიშვნელოვანესი ნინაპირობა და მართლმსაჯულების კონტროლის ეფექტური საშუალებაა, რადგან ამ გზით პროცესის დამსწრე საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას და მოისმინოს სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის რელევანტურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები. სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე მხარეების მიერ ზეპირად მოსამართლისა (ნაფიცი მსაჯულების) და პროცესზე დამსწრე საზოგადოების გასაგონად იყო გამოკვლეული. ზეპირობის პრინციპიდან გამომდი-



ნარე, არა მხოლოდ მონმეებმა უნდა მისცენ ჩვენება სასამართლოში ზეპირად, არამედ წერილობითი მტკიცებულებებიც საჯაროდ უნდა იქნეს ნაკითხული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ზეპირობის პრინციპი განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**ზიანი**

არის ყოველი ნაკლოვანება, რომელიც პირმა განსაზღვრული მოვლენის გამო განიცადა. ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ ზიანს, მაშასადამე, ფულად თანხაში ან ქონებრივ სიკეთეთა ხელყოფაში გამოხატულ ნაკლოვანებას, ასევე, იდეალურ ან არამატერიალურ სიკეთეთა ნაკლოვანებას (მაგალითად, პატივისა და ღირსების შელახვას). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ქონებრივ ზიანს განეკუთვნება, მაგალითად, როდესაც პირს არ შეუძლია ისარგებლოს მისი კუთვნილი ავტომობილით, ასევე, არასწორი სამედიცინო ჩარევის შედეგად დაბადებული ბავშვის სარჩო. როგორც წესი, ყოველი პირი თავად არის პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებისათვის, განსაკუთრებით, შემთხვევით წარმოშობილი ზიანისათვის (casum sentit dominus); მოთხოვნა, განხორციელდეს თუ არა სხვა პირის სასარგებლოდ → **ზიანის ანაზღაურება**, საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ საფუძველს (მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა, დელიქტური ქმედება და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მნიშ-

ვნელოვნად შეზღუდულია არამატერიალური ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ზიანის სახეობებისა და წარმოშობის შესახებ → **ზიანის ანაზღაურება**.

**ზიანის ანაზღაურება**

1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები მოცემულია, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილში. კონსტიტუციის ამ ნორმით გარანტირებული უფლების რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ის XIV თავი, რომელიც უშუალოდ ანესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს.  
2. თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ადგენს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორ-

ციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლი აწესრიგებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობას კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისათვის, თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

3. სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირთან წარმოშობილი ზიანის კომპენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებით. სხვა შემთხვევაში, იგი განისაზღვრება სამართლებრივი მოწესრიგებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების და, მეორე მხრივ, დელიქტური ვალდებულებების შედეგად წარ-

მოშობილი ზიანის ანაზღაურება. ა) კანონით განსაზღვრული ყოველი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობა არის, რომ იგი გამოწვეულია მავალდებულებელი გარემოების შედეგად (მიზეზობრიობა ან კაუზალობა). ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებასა და ზიანს შორის, ესე იგი, არსებულ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა, რომ არ განხორციელებულიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და ამ შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს, თუ დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი ამ კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (→ *conditio sine qua non*); გამოდინარე აქედან, ზიანის წარმოშობის პირობას წარმოადგენს ცხოვრებისეულ ურთიერთობაზე მოქმედი ყოველი გარემოება, რომელიც კონკრეტულ შედეგს (ზიანს) იწვევს (ე.წ. პირობითობის ან ეკვივალენტურობის თეორია). პირობითობის თეორია ეფუძნება ყოველი პირობის თანაბარმნიშვნელობას და ძირითადად გამოიყენება სისხლის სამართალში. იგი ნაკლებად მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალი იცნობს ზიანზე პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც. დღეს სამოქალაქო სამართალში გაბატონებული ადეკვატური კაუზალობის თეორიის მიხედვით, ზიანის დადგომის განსაზღვრისას გამოირიცხება ისეთი კაუზალური პირობები, რომელთა შერაცხვაც სამართლიანობის გათვალისწინებით



დაუშვებელია. ზიანი უნდა იყოს წინასწარ სავარაუდო და არა უჩვეულო და ობიექტურად გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან გამომდინარე. ზიანის წინასწარი ვარაუდის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ობიექტურად (არა მოქმედი პირის თვალთახედვიდან) და ქმედების განხორციელების მომენტის გათვალისწინებით. ის გარემოება, რომ ზიანი არაპირდაპირ დადგა, არ გამორიცხავს ადეკვატურობას. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს, მაგალითად, ავარიის შედეგად ბავშვის გარდაცვალება და დედის ნერვიული შოკი, რომელმაც გამოიწვია მისი სტაციონარული მკურნალობა და მოცემულია იმ შემთხვევაშიც, თუ დედა საავადმყოფოში ინფექციით დაავადდება; კაუზალობა უარყოფილ უნდა იქნას, თუ ბავშვის დედა საავადმყოფოში სხვა პაციენტთან მომხდარი ჩხუბის შედეგად სხეულის დაზიანებას მიიღებს (ამ შემთხვევაში ბავშვის ავარიით გარდაცვალება აღარ წარმოადგენს ადეკვატურ პირობას დედის სხეულის დაზიანებისათვის). პირობის კაუზალობას არ გამორიცხავს ის, რომ პირი ზიანის გამომწვევი გარემოების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა (მაგალითად, ბავშვის დედა სულიერად დეპრესიულია, რამაც მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა). სამართლის მეცნიერებაში ადეკვატურობის თეორია განვრცობილ იქნა ე.წ. ნორმის მიზნის თეორიით, რომლის მიხედვითაც, ზიანი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, თუ ადეკვატურად გამოწვეული შედეგი დარღვეული სამართლის ნორმის სფეროში მოიაზრება. მაგალითად, საქართველოს სამოქა-

ლაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა დადგინდეს, რომ განხორციელებული ზიანი აღნიშნული ნორმის სფეროში მოიაზრება, მაშასადამე, დარღვეული სამართლის ნორმის მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყოს სამართლებრივი სიკეთის იმგვარად დაცვა, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზიანის დადგომა ისე, როგორც ამას კონკრეტული ფორმით ჰქონდა ადგილი. თუ რამდენიმე გარემოება ერთობლივად იწვევს ზიანის დადგომას, ასეთ შემთხვევაში, ყოველი გარემოება მთელი მოცულობით არის კაუზალური ზიანისათვის (მაგალითად, სხეულის დაზიანება და მკურნალობის დროს ექიმის დაშვებული შეცდომა). გამონაკლის შემთხვევაში, პირველი კაუზალური პირობა მოქმედებას წყვეტს, როდესაც სრულიად განსხვავებული კაუზალური პირობა იწყებს მოქმედებას და რომლისთვისაც პირველ პირობას არანაირი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სადავო საკითხს წარმოადგენს ე.წ. „überholende Kausalität“. იგი მოცემულია, როდესაც ზიანი განხორციელდებოდა სხვა კაუზალური გარემოების შედეგად, მაგრამ ეს არ მოხდა შემდგომი კაუზალური პირობის გამო. ზიანის განხორციელების ჰიპოთეტური პირობა, როგორც ასეთი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირობის შედეგად ზიანის განხორციელების განსაზღვრული სიტუაცია შეიქმნა. მაგალითად, თუ არაუფლებამოსილი პირი ხილს გაყიდის, რომელიც უფლებამოსილი პირის მიერ გაყიდვამდე გაუფუჭდებოდა, ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაბამისად

შემცირდება მოსალოდნელი ზიანის ოდენობით. ბ) როგორც წესი, ანაზღაურებას ექვემდებარება ყოველი ადეკვატურად გამოწვეული, მათ შორის, არაპირდაპირი ზიანი. მაგრამ ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მესამე პირს მიადგა ზიანი და ეს არ რეგულირდება ხელშეკრულებით. თუ მესამე პირის ინტერესების განხორციელებისას (განსაკუთრებით, არაპირდაპირი → **წარმომადგენლობის** კომისიის შემთხვევებში) ხელშეკრულების მხარე თვითონ არ არის დაზარალებული, არამედ მხოლოდ მესამე პირი, ხელშეკრულების განვრცობითი ინტერპრეტაციის შედეგად, დასაშვებია, რომ ხელშეკრულების მხარემ (მაგალითად, კომისიონერმა) მოითხოვოს მესამე პირისათვის (კომიტენტისათვის) ზიანის ანაზღაურება საკუთარი სახელით (ე.წ. მესამე პირისათვის ზიანის ლიკვიდაცია). გ) ვინც ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, მან, ზოგადი წესების მიხედვით უნდა დაამტკიცოს (→ **მტკიცების ტვირთი**) ზიანის პასუხისმგებლობის საფუძველი, მიზეზობრიობა და ბრალეულობა. მტკიცების ტვირთის შემსუბუქება შესაძლებელია მხოლოდ მოვლენის ატიპიურად განვითარების შემთხვევაში (prima-facie მტკიცებულება). მაგალითად, ვინც სწორ გზაზე ავტომობილით მოძრაობს და ხეს დაეჯახება, ასეთ შემთხვევაში, სხვა შესაძლო კაუზალური კავშირის დამტკიცებამდე, დასაშვებია prima-facie მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს ავტომობილის მძღოლის მიერ ავარიის გამოწვევასა და ბრალეულობაზე. ნარდობისა და შრომით ხელშეკრულებებში სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევა მტკიცების ტვირთის შებრუნებას.

მაგალითად, რესტორნის მფლობელმა უნდა დაამტკიცოს, რომ კლიენტისათვის მიყენებულ ზიანში მას ბრალი არ მიუძღვის, თუ ეს ზიანი მისი მოქმედების სფეროში წარმოიშვა. დ) იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აუნაზღაუროს სხვა პირს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის მავალდებულებელი გარემოება (ნატურალური რესტიტუციის პრინციპი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი ხარჯები, მაშინ შესაძლებელია კრედიტორს მიეცეს ფულადი ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი). → **ზიანი**; → **ბრალეულობა**; → **გამარტივებული წარმოება**.

**ზნეობის ნორმები**

→ **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება**; → **კეთილსინდისიერების პრინციპი**.

**ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**

1. განსაზღვრავს → **ადმინისტრაციული ორგანოების** მიერ → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** გამოცემის და აღსრულების, → **ადმინისტრაციული საჩივრის** და → **განცხადების** განხილვის, → **ადმინისტრაციული გარიგების** მომზადების, დადებისა და შესრულების წესს. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.
2. კოდექსის მოქმედება ვრცელ-



## ზოგადი განათლება

დება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად. კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა (ინფორმაციის თავისუფლება), არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე: საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კოდექსის მოქმედება ვრცელდება ზემოთ აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის-სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, სასამართლოს მიერ გამოცხადებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან, სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ

ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან. კოდექსის III თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საარბიტრაჟო, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო სასამართლოებში მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე სამართალწარმოებასა და საქმეთა განხილვაში საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობასთან. სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია გაიცემა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ან/და ამ ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოების წესების შესაბამისად.

## ზოგადი განათლება

1. განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება



მოიცავს 12 წელს;

2. სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად ჩასაბარებელი მინიმალური კომპეტენციის გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას. სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად ჩასაბარებელი მინიმალური კომპეტენციის გამოცდების ჩატარების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაჩქარებული გავლა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მოსწავლის ან მისი მშობლის მოთხოვნის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გასცეს მოსწავლის მიერ საგნების გავლის დამადასტურებელი ცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით. დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევაზე. ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვთ ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურ-

ზე სწავლის დაწყების ასაკია 5 წელი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს გამოწვევის შემთხვევები.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას თავის უფლების ალკვეთის დანესებულეებში პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს, აკრედიტაციის უფლებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

### ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო

არის ეროვნული საკვალიფიკა-



## ზოგადი განათლების სისტემა

ციო ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი, რომელშიც სისტემატიზებულია ზოგადი განათლების საბაზო საფეხურისა და სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაციები. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის კვალიფიკაცია არის ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების პროგრამების დაძლევით მიღწეული სწავლის შედეგი, რაც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით. სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაცია არის ზოგადი განათლების სამივე საფეხურის პროგრამების დაძლევით მიღწეული სწავლის შედეგი, რაც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით. ზოგადი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია: ა) ზოგადი განათლების კომპეტენციებსა და ქვეყნის განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის კომპეტენციებს შორის ურთიერთკავშირის აღწერა; ბ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; გ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა განათლების მიღებისა თუ კვალიფიკაციათა აღიარების პროცესის გასამარტივებლად; დ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

### ზოგადი განათლების სისტემა

1. ეროვნული და სასკოლო → **სასწავლო გეგმების**, მათი განმარტაციულებელი → **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების**, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას;

2. საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი).

### ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობა ემსახურება ზოგად და ყოვლისმომცველ მიზნებს (მშვიდობის დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა). ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია შეიძლება იყოს როგორც უნივერსალური, ასევე რეგიონალური ხასიათის (შეად. → **უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია**; → **რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია**). უნივერსალური ხასიათის ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია → **გაერო**, რეგიონალურ ხასიათს ატარებს მაგ. არაბულ სახელმწიფოთა ლიგა.

### ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

1. სკოლა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით ავტორიზებული → **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას → **ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც**.

2. კერძო სკოლა არის კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება;

3. საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სა-

ხით დაფუძნებული ზოგადსაგან-  
მანათლებლო დაწესებულება;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. დისციპლინური კომიტეტის გადანყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სააპელაციო კომიტეტის არსებობა. იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც: ა) ახორციელებს პროფილურ სახელოვნებო განათლებასა და მომზადებას, შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის არსებობა, რომლის არჩევის/დანიშვნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და დაწესებულების წესდებით; ბ) ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, შეიძლება წესდებით გათვალისწინებული იყოს სამხედრო ხელმძღვანელის თანამდებობის არსებობა, რომლის დანიშვნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და დაწესებულების წესდებით. საჯარო სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

**ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო**

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის 1982 წლის კონვენციის საფუძველზე (156-185-ე მუხლები). მისი ადგილსამყოფელია ქ. კინგსტონი (იამაიკა). ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს წევრები არიან 1982

წლის კონვენციის წევრი სახელმწიფოები. ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს ამოცანაა სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერზე საქმიანობის ორგანიზაცია და კონტროლი რესურსების მართვის კუთხით. მოცემული ორგანიზაციის მთავარი ორგანოები არიან ასამბლეა, საბჭო და სამდივნო. ასამბლეა შედგება ყველა წევრი სახელმწიფოსგან და მისი სტატუსიდან გამომდინარე წარმოადგენს უმაღლეს ორგანოს. მის კომპეტენციაში შედის ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა. საბჭო შედგება 36 წევრისგან და ფუნქციურად წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს. იგი 1982 წლის კონვენციისა და ასამბლეის მიერ დადგენილი ზოგადი პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრავს ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ირჩევს ასამბლეა. იგი არის ორგანიზაციის ადმინისტრაციის მეთაური. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოებისა, 1982 წლის კონვენციის საფუძველზე შეიქმნა ასევე ორგანო, რომელსაც „სანარმო“ ეწოდება. სანარმო ახორციელებს სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერის სივრცეში მოპოვებული წიაღისეული სიმდიდრის ტრანსპორტირებას, გადამუშავებას და გასაღებას.

**ზღვის ყურე**

ხმელეთში ღრმად შეჭრილი საზღვაო სივრცის ნაწილი, რომელიც შეუფერხებლად უკავშირდე-



## ზღვის ყურე

ბა ძირითად წყალსატევს. → **შიდა წყლებს** მიეკუთვნებიან ყურეები, რომლის ნაპირები მთლიანად ერთ სახელმწიფოს ეკუთვნის იმ ადგილამდე, სადაც ყურის ზღვისკენ მიმართული გაფართოება 24 მილს

გადააჭარბებს; ასევე ისტორიული ყურეები, ანუ ყურეები, რომელიც ზემოთ მოცემულ წინაპირობას ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შიდა წყლებად ითვლებიან.

## თ

**თავდაცვა**

→ თავდაცვის უფლება.

**თავდაცვის უფლება**

სახელმწიფოს უფლება, გამოიყენოს ძალა მასზე მეორე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის საპასუხოდ. შეიარაღებული თავდასხმის ცნების შინაარსის დასადგენად 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია გამოიყენება, რომელიც → **აგრესიის** განსაზღვრებას ეხება. თავდაცვის უფლებას გაეროს წესდების 51-ე მუხლი სახელმწიფოს შეუვალ უფლებად მიიჩნევს. თავდაცვის უფლება წარმოადგენს ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის ერთ-ერთ გამოწვევას. სახელმწიფოს თავდაცვის უფლების განხორციელება შეუძლია მანამდე, სანამ გაეროს უშიშროების საბჭო არ მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად საჭირო ღონისძიებებს. თავდაცვის უფლების გამოყენების შესახებ სახელმწიფოს მიერ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს, სხვა შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენება თავდაცვის უფლების განხორციელებად არ ჩაითვლება. თავდაცვის უფლების გამოყენების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები პროპორციული უნდა იყოს შეიარაღებული თავდასხმასთან მიმართებაში. თავდაცვა შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური. ინდივიდუალურ თავდაცვას ახორციელებს მხო-

ლოდ ის სახელმწიფო, რომელიც უშუალოდ გახდა შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი. კოლექტიური თავდაცვისას, აღნიშნულ სახელმწიფოს დახმარებას უწევს მესამე სახელმწიფოები. კოლექტიური თავდაცვა შეიძლება განხორციელდეს რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის ან ურთიერთდახმარების შესახებ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში სახელმწიფოთა თანამშრომლობის საფუძველზე (მაგ. ასეთი სახის რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციაა → **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია**), ან კონკრეტულ შემთხვევაში თავდასხმის ობიექტი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე შექმნილი კოალიციის მიერ (მაგ. ერაყის მიერ მიერ 1991 წელს ქუვეიტის ოკუპაციის საპასუხოდ შექმნილი კოალიცია).

**თავდებობა**

1. თავდებობა არის → **ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად (სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლი). კრედიტორისა და მოვალის ძირითადი ურთიერთობის გვერდით, წარმოიშობა კრედიტორისა და თავდების სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე (→ **აქცესორულობა**). თავდებობის მონათესავე სამართლებრივი ინსტიტუტია → **საბანკო გარანტია**.

თ

2. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ვალდებულება, ამ შემთხვევაში, უნდა იყოს განსაზღვრული ან მინიმუმ განსაზღვრებადი. ფორმულარული ხასიათის დათქმა, რომ „თავდები პასუხისმგებელია მოვალის ყველა არსებული და მომავალი ვალდებულებებისათვის“ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლს (→ **ხელშეკრულების სტანდარტული პირობები**) და ბათილია, თუ ასეთი დათქმა თავდების პროფესიულ საქმიანობს არ განეკუთვნება. თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა წერილობითი ფორმის დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდების განცხადება ხორციელდება მისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში (სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლი). თავდების პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ძირითად ვალდებულების არსებობასა და ამასთან განსაზღვრული უნდა იყოს თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა. თავდების ვალდებულება არ ვრცელდება ძირითადი მოვალის მიერ თავდებობის აღების შემდეგ დადებულ გარიგებებზე. თავდებობის ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, თუ იგი კრედიტორის, მაგალითად, ბანკის, მიერ მოთხოვნილია ფინანსურად აშკარად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოვალის მეუღლის ან ოჯახის წევრისგან.

3. თავდებობა წყდება ძირითად ვალდებულებასთან ერთად, (მაგალითად, მისი → **შესრულებით**, → **გაქვითვით**, → **ვალის პატი-**

**ებით**); უფრო ადრე თავდების ვალდებულება წყდება, თუ თავდებობის ხელშეკრულება განსაზღვრული დროით არის დადებული. თავდებს უფლება აქვს ნამოყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი → **შესაგებლები**, (მაგალითად, ხანდაზმულობა, მაგრამ მას არ შეუძლია მიუთითოს → **მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე**) და იგი ამ უფლებას არ კარგავს იმის გამო, რომ ძირითადმა მოვალემ შესაგებლის წარდგენაზე უარი თქვა (სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლი). გარდა ამისა, მას შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას, (მაგალითად, → **შეცილებით** ან → **ხელშეკრულებაზე უარის თქმით**, სამოქალაქო კოდექსის 900-ე მუხლი). თავდებს არ შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ კრედიტორს შეუძლია ძირითადი მოვალის წინააღმდეგ გაქვითვით დაკმაყოფილდეს (სადავო). თუ ერთი და იმავე ვალდებულების თავდები რამდენიმე პირია, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები (→ **სოლიდარული ვალდებულება**) მაშინაც კი, თუ მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ (სამოქალაქო კოდექსის 896-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში, იმ თავდებს, რომელმაც შეასრულა ძირითადი ვალდებულება, შეუძლია უკუმოთხოვნები ნაუყენოს დანარჩენ თავდებ პირებს სილთა თანაბრობის კვალაობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით (სამოქალაქო კოდექსის 896-ე 473-ე მუხლები). სამოქალაქო კოდექსის 897-ე მუხლის თანახმად, თავდები, რომელმაც კრედიტორის

წინაშე ივალდებულა წინამორბედ თავდებთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ისევე აგებს პასუხს მათთან ერთად, როგორც, ჩვეულებრივ, - თავდები ძირითად მოვალესთან ერთად. ამასთან, მას შეუძლია უკუმოთხოვნები ნაუწყნოს წინამორბედ თავდებ პირებს.

4. თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ → **იძულებით აღსრულებას** (სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი; თავდებობის სუბსიდიარულობა). სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია, თავდებმა აიღოს ვალდებულება, რომ იგი კრედიტორის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს მის დაკმაყოფილებას და, აქედან გამომდინარე, არ გამოიყენებს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლით მინიჭებულ შესაგებელს. თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლი). ამ მოთხოვნის გარდა, როგორც წესი, წარმოიშობა მოთხოვნები თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან (მაგალითად, → **დავალების** ხელშეკრულებიდან) და სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლის შესაბამისად, ხელუხლებელი რჩება ძირითადი მოვალის ის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს მასსა და თავდებს შორის არსებული ურთიერთობიდან, ე.ი. ეს შესაგებლები შეიძლება მოვალემ გამოიყენოს კრედიტორისაგან თავდებზე გადასული მოთხოვნების წინააღმდეგ.

კრედიტორის დაკმაყოფილებაზე თავდებს უფლება აქვს ვალდებულებისაგან განთავისუფლდეს, თუ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა ან ძირითადი მოვალისაგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო. მოვალეს შეუძლია განთავისუფლების ნაცვლად მისცეს თავდებს უზრუნველყოფა (სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლი).



**თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია**

წარმოადგენს → **საერთაშორისო ორგანიზაციას**, რომელიც 1960 წლის 4 იანვარს დაფუძნებულ იქნა დიდი ბრიტანეთის, დანიის, შვედეთის, ნორვეგიის, ავსტრიის, პორტუგალიისა და შვეიცარიის მიერ. 1961 წელს მას ფინეთი, როგორც ასოცირებული წევრი (1986 წლიდან - უკვე სრულუფლებიანი წევრის სტატუსში), ხოლო 1970 წელს კი ისლანდია და 1991 წელს ლიხტენშტაინი, როგორც სრულუფლებიანი წევრები, შეუერთდნენ. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია ჩამოყალიბდა → **ევროპული გაერთიანების** ჩამოყალიბების პარალელურად. მასში ის ევროპული სახელმწიფოები გაერთიანდნენ, რომლებისთვისაც იმ დროისათვის მიუღებელი იყო ევროპული გაერთიანების ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაციის ინტენსივობა და ზეეროვნული ხასიათი. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მიზნად, ევროპული გაერთიანებისგან განსხვავებით, არა → **საბაჟო კავშირის**, არამედ → **თავისუფალი ვაჭრობის ზონის** ჩამოყალიბება იქნა დასახული. ევროპულ გაერთიანებაში განეწიანების

## თავისუფალი ვაჭრობის ზონა

შედეგად თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია დატოვეს დიდმა ბრიტანეთმა (1973), დანიამ (1973), პორტუგალიამ (1986), შვედეთმა (1995), ავსტრიამ (1995) და ფინეთმა (1995). შესაბამისად, დღეისათვის ასოციაციის წევრები არიან ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია. 1994 წელს ძალაში შევიდა ხელშეკრულება → **ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ**, რომლის საფუძველზეც ევროპული კავშირის → **შიდა ბაზრის** რეჟიმის ძირითადი ასპექტების მოქმედების ფარგლები გავრცელდა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრებზე შვეიცარიის გამოკლებით. რაც შეეხება შვეიცარიას, იგი ევროპულ კავშირთან 1972 წელს დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე არის დაკავშირებული.

## თავისუფალი ვაჭრობის ზონა

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომლის მიხედვითაც ორი ან მეტი სახელმწიფო საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულებას იღებენ ურთიერთვაჭრობაში აღმოფხვრან ვაჭრობის ბარიერები, იქნება ეს ბაჟი თუ რაოდენობითი ხასიათის შეზღუდვები. → **საბაჟო კავშირისგან** განსხვავებით, თავისუფალ სავაჭრო ზონაში შემავალი სახელმწიფოები მესამე სახელმწიფოებთან მიმართებაში ინდივიდუალურად ადგენენ საბაჟო რეჟიმს. თავისუფალი სავაჭრო ზონის მაგალითს წარმოადგენს → **თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია**.

## თავისუფლად ბორტზე

არის დათქმა, განსაკუთრებით,

სავაჭრო ურთიერთობაში, როცა გამყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით ნივთის მიწოდება გემზე (“free on board”), მასშადად, ნივთის ტრანსპორტირებისა და გემზე დატვირთვის ხარჯების ანაზღაურება და, როგორც წესი, იგი იღებს → **რისკზე პასუხისმგებლობას**.

## თავისუფლების აღკვეთა

→ **ვადიანი თავისუფლების აღკვეთა**, → **უვადო თავისუფლების აღკვეთა**.

## თავისუფლების პრეზუმფცია

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა. ამგვარი აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. → **აღკვეთის ღონისძიება**, → **პატიმრობა**, → **დაკავება**.

## თავისუფლების შეზღუდვა

როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თითხმეტ წელს მიღწეული ნასამართლობის არმქონე მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დანესებულებაში - გამასწორებელ ცენტრში, მასზე ზედამხედველობის განხორციელებით (სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლი). იგი არ შეიძლება დაენიშნოს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორ-



სულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს. გამასწორებელ ცენტრში მსჯავრდებულები არ განიცდიან საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას. მათ უფლება აქვთ შეხვდნენ ახლობლებს, იყვნენ სამოქალაქო გარიგების მონაწილეები, დაუსწრებლად მიიღონ საშუალო და უმაღლესი განათლება. ამავდროულად, მსჯავრდებულთა ქცევაზე დადგენილია მკაცრი ზედამხედველობის წესები. თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს ერთიდან ხუთ წლამდე ვადით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება დაინიშნოს ერთ წელზე მცირე ვადითაც. თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად. თუ მსჯავრდებული ჯიუტად თავს აარიდებს თავისუფლების შეზღუდვას (მაგალითად, შეხვდება საექვო რეპუტაციის პირებს, მოიხმარს ნარკოტიკურ ნივთიერებებს და ა. შ.), აღნიშნული სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით - განაჩენით დაინიშნული თავისუფლების შეზღუდვის ვადით. ამასთან, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდის ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით - თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე - თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

**თამასუქი**

თამასუქი არის → **ფასიანი ქალაქი**, დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას

გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას. თამასუქის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს თამასუქის ორ სახეს: გადასაპირებელი (ტრატა) და მარტივი (სოლო) თამასუქი.

1. გადასაპირებელი თამასუქით თამასუქის გამცემი (ტრასანტი) ავალებს სხვა პირს გადაუხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა თამასუქში მითითებულ პირს. გადასაპირებელი თამასუქი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: ა) უპირობო დავალებას მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ; ბ) გადამხდელის დასახელებას; გ) გადახდის ვადას; დ) გადახდის ადგილს; ე) იმ პირის დასახელებას, რომელსაც უნდა გადაუხადონ ან რომლის განკარგულებითაც უნდა მოხდეს გადახდა; ვ) თამასუქის შედგენის თარიღსა და ადგილს; ზ) თამასუქის გამცემის ხელმოწერას. თამასუქი შეიცავს აბსტრაქტულ მოთხოვნას, მაგრამ მას საფუძვლად უდევს განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა, მაგალითად, → **ნასყიდობა** ან → **სესხი**. კაუზალური ურთიერთობიდან და თამასუქიდან წარმოშობილი ვალდებულებები, როგორც წესი, ერთმანეთის გვერდით დგანან, სანამ არ შესრულდება მოთხოვნა. გადასაპირებელი თამასუქი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს → **ინდოსამენტის** მეშვეობით, რომელიც სრულდება თამასუქზე ან მის დამატებით ფურცელზე. თამასუქის მფლობელად ითვლება ის პირი, ვისთანაც ფაქტობრივად არის თამასუქი, თუ ის ამტკიცებს თავის უფლებას ინდოსამენტთა განუწყვეტელ რიგზე.

2. მარტივი (სოლო) თამასუქის გამცემი თავად კისრულობს ვალ-



## თანამსრულებელი

დებულებას გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა. მარტივი თამასუქის მიმართ გამოიყენება გადასაპირებელი თამასუქის დებულებები, თუ ისინი შესაბამისობაშია მარტივი თამასუქის არსთან და შეეხება: ინდოსამენტს; გადახდის ვადას; გადახდას და სხვა (თამასუქის შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი).

3. თამასუქის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თამასუქის როგორც მთელი თანხის, ისე ნაწილის გადახდა შეიძლება გარანტირებულ იქნეს მესამე პირის მიერ თავდებობის გზით. თავდებობა ფორმდება თამასუქზე ან დანართ ფურცელზე. ის გამოიხატება სიტყვით „გაცემულია თავდებობა“ ან სხვა ანალოგიური ჩანაწერით და თავდების ხელმოწერით.

4. თამასუქის მფლობელს შეუძლია წარუდგინოს სარჩელი ინდოსანტს, თამასუქის გამცემს ან სხვა პირებს (მაგალითად, ავალისტს). ყველა პირი, რომელმაც გამოწერა თამასუქი, მოახდინა მისი აქცეპტება, ინდოსირება ან იკისრა სათამასუქო თავდებობა, სოლიდარულად პასუხისმგებელია (→ **სოლიდარული ვალდებულება**) თამასუქის მფლობელის წინაშე (თამასუქის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე, 41-ე მუხლები). პირს, რომელსაც თამასუქის მიხედვით წარედგინა სარჩელი, არ შეუძლია წარუდგინოს მფლობელს არავითარი პრეტენზია, დაფუძნებული თამასუქის მფლობელთან ან წინა მფლობელთან ურთიერთობებზე, იმ შემთხვევების გარდა, როცა თამასუქის შექმნისას თამასუქის მფლობელმა ჩაიდინა ბრალეული ქმედება მოვალის საზიანოდ (თამასუ-

ქის შესახებ საქართველოს კანონის 14-ე მუხლი). თამასუქის თაობაზე სარჩელის აღძვრის შესახებ → **გამარტივებული წარმოება**.

## თანამსრულებელი

→ **თანამსრულებლობა**.

## თანამსრულებლობა

ნიშნავს ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების განხორციელებას (სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი). თანამსრულებლობისათვის სავალდებულოა, რომ თანამსრულებლებს გააჩნდეთ განზრახი დანაშაულის ერთობლივად ჩადენის ნება და სურვილი. ძირითადი განსხვავება თანამსრულებლობასა და დახმარებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ დამხმარე სხვისი დანაშაულებრივი ქმედების ხელის შეწყობის სურვილით მოქმედებს, ხოლო თანამსრულებელი კი საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებისთვის ხელის შეწყობის სურვილით (ე.წ. სუბიექტური თეორია). იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში, შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს როგორც თანამსრულებელს, თუკი იგი ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან (ე.წ. ფუნქციონალური თეორია), მაგალითად, პირთა ჯგუფმა გადაწყვიტა ჩაედინა ყაჩაღობა; ერთ-ერთი მათგანი არ შესულა ბინაში და უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ყაჩაღურ თავდასხმაში, არამედ გარეთ დაელოდა სხვებს, რათა საფრთხის შემთხვევაში მათთვის მიეწოდებინა

ნა ინფორმაცია. რადგან თანაამსრულებლობას დანაშაულებრივი ქმედების საერთო განზრახვით ჩადენა უდევს საფუძვლად, → **ამსრულებლის ექსცესისათვის** სხვა თანაამსრულებელს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დანაშაულში თანაამსრულებლობა შესაძლებელია როგორც წინასწარი შეთანხმებით, ისე წინასწარი შეთანხმების გარეშეც (ე.წ. სუკცესიური თანაამსრულებლობა), როდესაც ერთ-პიროვნული ამსრულებელი იწყებს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას, მაგრამ ამ შემადგენლობის ბოლომდე განხორციელებამდე მას შეუერთდებიან სხვა შესწრებული პირები და ეს დანაშაული საბოლოოდ ერთობლივად იქნება ჩადენილი.

**თანაზომიერების პრინციპი**

თითოეული შემზღუდველი ხასიათის ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი. თანაზომიერების პრინციპი კრძალავს მმართველობითი ღონისძიების ადრესატის შეუსაბამო შეზღუდვას. ეს პრინციპი თავის მხრივ გამომდინარეობს → **სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან**, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა იმდენად არის დასაშვები, რამდენადაც ის საჯარო ინტერესების დაცვისათვის გარდაუვალი საშუალებაა. თანაზომიერების პრინციპის შემომწმებისას მონმდება → **ადმინისტრაციული ორგანოს** მიერ გამოყენებულ საშუალებასა და მისალწვე მიზანს შორის

არსებული დამოკიდებულება. საშუალებასა და მიზანს შორის თანაზომიერების შემომწმება ხდება შემდეგი ნაბიჯების გავლით: პირველი ნაბიჯი: მიზნის დადგენა. უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ მისალწვე მიზანი. რამდენადაც მმართველობა გულისხმობს კანონის აღსრულებას, ის კანონი, რომლის აღსრულებასაც ემსახურება მმართველობითი ღონისძიება, გვაძლევს ინფორმაციას მისალწვე მიზანზე. მეორე ნაბიჯი: შესაფერისობის დადგენა. უნდა შემომწმდეს მიზნისა და საშუალების შესაფერისობა. შერჩეული საშუალება არის სათანადო, როდესაც ის, ზოგადად, მისალწვე მიზანს ემსახურება, ე.ი., როდესაც ის შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას. მესამე ნაბიჯი: აუცილებლობის დადგენა. უნდა შემომწმდეს შესაფერისი ღონისძიების აუცილებლობა. ღონისძიება არის აუცილებელი, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს სხვა საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც საზოგადოებას, ისე ღონისძიების ადრესატს. მეოთხე ნაბიჯი: პროპორციულობის დადგენა. აუცილებელი ღონისძიება არის პროპორციული, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით გამოწვეული უფლების შეზღუდვა პროპორციულ დამოკიდებულებაშია შეზღუდვის მიზანთან.

**თანამდებობა**

სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს სა-



## თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

ჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ: ა) საქართველოს პრეზიდენტი; ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი; გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი; დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი; ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

### თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე და ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო-

ებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. როგორც წესი, ეს სასჯელი გამოიყენება საჯარო მოხელეების და მასთან გათანაბრებული პირების მიმართ. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ სასამართლო განაჩენში მითითებული ვადის განმავლობაში პირს უკრძალებს გარკვეულ პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას (მაგალითად, პედაგოგიური, საექიმო საქმიანობის აკრძალვა). აღნიშნული სასჯელი შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, თუ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით არ არის სასჯელად გათვალისწინებული, მაგრამ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს პირს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება. აღნიშნული სასჯელის მოხდის ვადა გამოიანგარიშება შემდეგი წესით: ა) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გამანსოვრებელი სამუშაო, მაშინ დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან; ბ) პირობი-

თი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ასევე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან; გ) თუ ძირითად სასჯელად დანიშნულია თავისუფლების შეზღუდვა ან თავისუფლების აღკვეთა, მაშინ დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან და იგი ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

→ **არასრულწლოვანის** მიმართ გამოიყენება მხოლოდ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რომელიც შეიძლება დანიშნოს ერთიდან სამ წლამდე ვადით (სისხლის სამართლის კოდექსის 84-ე მუხლი). იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს უვადოდ ან ერთიდან ათ წლამდე ვადით საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სახის აკრძალვას. იგი შეიძლება გავრცელდეს საქმიანობაზე, რომლის განხორციელებისას ან რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით იქნა ჩადენილი დანაშაული (სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>5</sup>-ე მუხლი).

### თანამემკვიდრეები

→ მემკვიდრე.

### თანამონაწილე

→ დანაშაულში თანამონაწილეობა.

### თანამონაწილეობა

→ დანაშაულში თანამონაწილეობა.

### თანასწორობა

დასავლეთის კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია ცალკე არ მოიხსენიებს ქალთა და მამაკაცთა (ანუ გენდერულ) თანასწორობას. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს და იცავს ადამიანთა თანასწორობას კანონის წინაშე (მე-14 მუხლი). გარდა აღნიშნული ნორმისა, თანასწორობა კონსტიტუციის დონეზე გარანტირებულია მეუღლეთა უფლებების კუთხით (36-ე მუხლის პირველი ნაწილი) და საქართველოს მოქალაქეების სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კუთხით (38-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი სავალდებულოა ხელისუფლების სამივე შტოსათვის. საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის იგი ანესებს ვალდებულებას, თავისი საქმიანობისას თანაბრად გაითვალისწინოს როგორც ცხოვრებისეული, ისე ინტერესთა და საჭიროებათა მრავალფეროვნება. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კი აქედან გამომდინარეობს არათანაბარი მოპყრობის აკრძალვა, რის მიხედვითაც დაუშვებელია კანონის სხვადასხვაგვარი გამოყენება, ანუ, სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება იდენტური გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარკვეულ წილად ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას, ვინაიდან ასევე მოიაზრებს ყოველგვარი თვითნებობის ან შემთხვევითობის ელემენტების აკრძალვას გადაწყვეტილების მიღებისას. ბუნებრივია, დასაშვებია დამკვირდებული პრაქტიკიდან გადახვევა, მაგრამ აღნიშნული საჭიროებს სათანადო დასაბუთებასა და განსჯას.

თ

**თარჯიმანი**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს პროცესის მონაწილეს, რომელსაც იძახებენ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი. თარჯიმანი აგრეთვე არის პირი, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. თარჯიმნის გამოიძახების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება. ცალკეულ შემთხვევებში თარჯიმანს ენიჭება მონმის სტატუსი, თუ მას სასამართლოში გამოიძახებენ ჩვენების მისაცემად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი).

**თაღლითობა**

წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი → ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დამნაშავე ქონების დაუფლების ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებად იყენებს მოტყუებას. მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯე-

ბას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მისაკუთრის ან მფლობელის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამ დროს ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით თვით ნივთის მისაკუთრის ან მფლობელის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თაღლითობისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**) ან თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით), რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე თაღლითობა ჩადენილი: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დიდი ოდენობით (დიდი ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე–186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა), რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თაღლითობისთვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო სასამართლოში სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალ-

ვისათვის (→ გამოძალა). აღნიშნულ შემთხვევებში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

**თვითაცილება**  
→ აცილება.

**თვითდახმარება**

თვითდახმარება არის პირის მიერ უფლების დასაცავად განხორციელებული ქმედება და იგი წარმოადგენს → მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. როგორც წესი, უფლების დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მოვალეობას. შესაბამისად, თვითდახმარება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში არის დაშვებული და ასეთი ქმედება არ არის მართლწინააღმდეგო, თუ კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება. თვითდახმარების მიზნით განხორციელებულ ქმედებას წარმოადგენს ნივთის წართმევა, განადგურება ან დაზიანება ან ამავე მიზნით ვალდებული პირის შეპყრობა, რომელიც შეიძლება მიიმალოს ანდა ვალდებული პირის წინააღმდეგობის აღკვეთა იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა (სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი). თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად (თანაზომიერება). ნივთის წართმევის შემთხვევაში, აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ნივთზე ყადაღის დადების შე-

სახებ, ხოლო ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს. პირი, რომელიც თვითდახმარების ქმედებას განახორციელებს, ვალდებულია აუწინააღმდეგოს მეორე მხარეს მიყენებული → ზიანი, თუ მისი ქმედება ეფუძნება მცდარ ვარაუდს, რომ ეს აუცილებელი იყო მართლწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად (სამოქალაქო კოდექსის 120-ე მუხლი).

**თვითიმედოვნება**  
→ ბრალი.

**თვითნებობა**

სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებას, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ თვითნებობა ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით (აქ მოიაზრება, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში, ისე ასეთი საშიშროების არმქონე ძალადობა), იგი ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. ნამდვილად თავისი უფლება ისეთი უფლებაა, რომელიც პირს მინიჭებული აქვს კანონის ან კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე (მაგალითად, საცხოვრე-



## თხოვნა

ბელი ფართის დაკავების უფლება გაცემული ნებართვის საფუძველზე, მშენებლობის უფლება გაკვეთულ ტერიტორიაზე). თავისად დაგულებული უფლება ისეთი უფლებაა, როცა პირი შეცდომით ფიქრობს, რომ მას ესა თუ ის უფლება აქვს, თუმცა სინამდვილეში მას ასეთი რამ არა აქვს ანდა ეს უფლება მას შეიძლება მიენიჭოს (მაგალითად, რაიმე ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება, როცა ეს უფლება ვინმემ სადავოდ აქცია სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით).

## თხოვნა

თხოვნების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს მონათხოვრეს ქონება დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის (სამოქალაქო კოდექსის 615-ე მუხლი). თხოვნების წინაპირობას წარმოადგენს მხარეთა ნება, რომ ვალდებულება სახელშეკრულები ბოჭვით იქნეს შესრულებული. ყოველდღიურ ცხოვრებაში „თხოვნებით“ აღინიშნება პირთა ქმედება სახელშეკრულებო ბოჭვის გარეშე; ასეთ შემთხვევაში, მხარეთა პასუხ-

ისმგებლობა განისაზღვრება მესაკუთრე-მფლობელს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ან → **უსაფუძვლო გამდიდრების** წესების საფუძველზე. თუ ნივთის სარგებლობისათვის განისაზღვრება გარკვეული საზღაური, მაშინ მოცემულია → **ქირავნობის** ხელშეკრულება. გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 616-ე მუხლი). მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული ან ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მესამე პირს გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლი). მონათხოვრე მოვალეა თხოვნების ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მას ნივთის უკან დაბრუნება შეუძლია ნებისმიერ დროს (სამოქალაქო კოდექსის 621-ე მუხლი).



## O

**იმპერატიული ნორმები**

წარმოადგენენ ნორმებს, რომელთაგან გადახვევა მხარეებს შორის შეთანხმებითაც არ შეიძლება. ამით იგი განსხვავდება → **დისპოზიციური ნორმებისგან**. საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის მიხედვით, ხელშეკრულება ბათილია, თუკი დადების მომენტში იგი ეწინააღმდეგება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას. ამასთან კონვენცია იმპერატიულ ნორმას განმარტავს, როგორც ნორმას, რომელიც მიღებულია და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში, როგორც ნორმა, რომლისგანაც გადახვევა დაუშვებელია და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ამავე ხასიათის მომდევნო ნორმით. თუკი წარმოიშვება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმა, ამ შემთხვევაში ნებისმიერი არსებული ხელშეკრულება, რომელიც წინააღმდეგობაშია ამ ნორმასთან, ხდება ბათილი და წყვეტს მოქმედებას. იმპერატიულ ნორმებს მიეკუთვნება, მაგალითად: → **ძალით დამუქრების აკრძალვა**; ჩაურევლობის პრინციპი; ადამიანების ელემენტარული უფლებების დაცვა; გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის დასჯადობა; მონებით ვაჭრობის აკრძალვა და რასობრივი დისკრიმინაცია.

**იმპლემენტაცია**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულების** შესრულება ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოს მიერ. საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაციის ძირითად ფორმებს წარმოადგენენ: → **ტრანსფორმაცია**, → **ინკორპორაცია** და → **მითითება**.

**იმუნიტეტი**

იმუნიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს ან → **საერთაშორისო ორგანიზაციის** და მისი თანამშრომლების უფლებას არ დაექვემდებარონ სხვა სახელმწიფოების იურისდიქციას საკუთარი ქმედებების გამო. საერთაშორისო ჩვეულების მიხედვით, სახელმწიფოები უცხო სახელმწიფოებს ანიჭებენ იმუნიტეტს მხოლოდ სახელისუფლებო ხასიათის ქმედებებისათვის (**acte jure imperii**) და არა არასახელისუფლებო ხასიათის მქონე ქმედებებისათვის (**acte jure gestionis**; მაგ. სავაჭრო ურთიერთობები). ერთი სახელმწიფოს სამხედრო გემები და სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, არ ექვემდებარებიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს → **იურისდიქციას**. თუმცა მათი იქ ყოფნა საჭიროებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობას (გამონაკლისი: ტერიტორიულ ზღვაში → **მშვიდობიანი გავლა**). ერთი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილები მეორეს ტერიტორიაზე შეიძლება იმყოფებოდნენ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით ან ადგილსამყოფელი სახელმ-

## ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი

ნივთს თანხმობის გარეშე საოკუპაციო ჯარის სტატუსით. პირველ შემთხვევაში, მათი იმუნიტეტის საკითხი, როგორც წესი, რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებით. მეორე შემთხვევაში კი, მათ სრული იმუნიტეტი გააჩნიათ. რაც შეეხება, სახელმწიფოს მეთაურებს, მათ (და ასევე მათ ოჯახის წევრებს) ამ ამპლუაში სრული იმუნიტეტი გააჩნიათ, თუმცა თანამდებობის დატოვების შემდეგ მხოლოდ იმ ქმედებებთან მიმართებაში უნარჩუნდებათ იმუნიტეტი, რომლებიც მათ თანამდებობრივი მდგომარეობის საფუძველზე განახორციელებს (ახალი ტენდენციები: პასუხისმგებლობის დაკისრება თანამდებობრივი მდგომარეობის საფუძველზე განხორციელებული ქმედებებისთვისაც). → **საერთაშორისო ორგანიზაციებს** მათ წევრ-სახელმწიფოებში სრული იმუნიტეტი გააჩნიათ. როგორც წესი, იმუნიტეტის შესახებ წესები დარეგულირებულია ორგანიზაციის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ან სპეციალურ შეთანხმებაში იმუნიტეტებისა და პრივილეგიების შესახებ. თუმცა ეს დებულებები დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, რადგან, გავრცელებული შეხედულებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის იმუნიტეტის მინიჭება საერთაშორისო ჩვეულებით ნორმას წარმოადგენს. სახელმწიფოს იმუნიტეტსა და მისი წარმომადგენელი დიპლომატების იმუნიტეტს შორის ის განსხვავებაა, რომ დიპლომატების იმუნიტეტი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების დაცვას ემსახურება, სახელმწიფოს იმუნიტეტის დაცვის ობიექტი კი თვით სახელმწიფოა. → **დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიები და**

**იმუნიტეტები;** → **დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები;** → **დიპლომატიური აგენტის პრივილეგიები და იმუნიტეტები.**

## ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი

→ **ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი.**

## ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი

ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი მოცემულია, როდესაც მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება უნდა შეასრულოს კონკრეტულად განსაზღვრული ნივთით. კრედიტორის მოთხოვნის უფლება შეზღუდულია ამ კონკრეტული ნივთის მიღებაზე და იგი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლი). აღნიშნულის საპირისპიროს წარმოადგენს → **გვარეობით განსაზღვრული საგანი.** ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი არ არის შეუცვლადი ნივთის იდენტური (→ **ნივთი**). შეცვლადი ნივთიც შესაძლებელია გვარეობით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარეობდეს, მაგალითად, გამყიდველთან არსებული გვარეობით განსაზღვრული მარაგიდან დარჩენილი ერთადერთი ეგზემპლარი. აღნიშნული წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ტიპიურ შემთხვევას. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება კონკრეტული ნივთით და მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების ამ ნივთით

შესრულებით. ეს ნესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მოვალე ფლობს ამ ნივთის ერთგვაროვან სხვა ნივთებს. თუ კრედიტორისათვის გადაცემულ ნივთი არ არის უნაკლო, მაშინ კრედიტორს უფლება არა აქვს ვალდებულების შესრულების მიზნით მოითხოვოს სხვა უნაკლო ნივთის გადაცემა. ამ საკითხისაგან გამიჯნულ უნდა იქნას ის კითხვა, თუ რამდენად აქვს კრედიტორს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება ნივთის ნაკლის გამო. თუ ვალდებულების საგანი გაფუჭდება ან განადგურდება, ამ შემთხვევაში მოცემულია → **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა.**

**ინდივიდუალურად განსაზღვრული შესრულება**  
→ **ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი.**

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი**  
არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფორმა და ადმინისტრაციული სამართლის ცენტრალური ინსტიტუტი.

1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიცია მოცემულია → **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის → ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირ-**

თა შეზღუდული ნრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან უნდა გამიჯნოს უბრალო → **მმართველობითი საქმიანობა, → რეალაქტი,** რომელიც არ არის მიმართული სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ; შიდაორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთაც არა აქვთ გარეზემოქმედების ძალა; → **ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,** რომელიც წარმოადგენს ზოგადაბსტრაქტულ მოწესრიგებას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს: ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს; ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემე ორგანოს; გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს; დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას; ე) გამოცემის დროსა და ადგილს; ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემე ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს. წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ინდი-



ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე საკუთარი გერბის არსებობის შემთხვევაში გამოისახება საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (მაყურებლიდან მარცხენა მხარის ზედა კუთხეში) და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (მაყურებლიდან მარჯვენა მხარის ზედა კუთხეში), ხოლო საკუთარი გერბის არარსებობის შემთხვევაში – მხოლოდ საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი (ცენტრში). წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-

საცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი. წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ: ა) ის გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს; ბ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; გ) კანონი ითვალისწინებს მისი დასაბუთების გარეშე გამოცემის შესაძლებლობას. გადაუდებელი აუცილებლობით წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების გარეშე გამოცემის შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ერთი კვირის ვადაში. 2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: გამოცემის ფორმის მიხედვით გხვდება ის წერილობითი და ზეპირი ფორმით; ურთიერთობის შინაარსის მიხედვით გამოყოფენ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დამდგენი ხასიათის და პირის უფლების ან საგნის სამართლებრივად მნიშვნელოვანი თვისების დამდგენ აქტებს; ადრესატზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით გამოიყენა აღმჭურველი და შემზღვეველი (ამკრძალავი) ხასიათის

აქტები.

3. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. კანონით დადგენილ შემთხვევებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდეც, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ მიუღია. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის სახეებია: დაინტერესებული მხარისათვის აქტის გადაცემა ან ფოსტით გაგზავნა (სზაკ-ის 58-ე მუხლი), გამოქვეყნება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (სზაკ-ის 56-ე მუხლი)

და საჯაროდ გამოცხადება (სზაკ-ის 57-ე მუხლი). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისათვის გაცნობა არის ფინალი ადმინისტრაციული წარმოების და მისი პროდუქტი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ძალაში შედის მხარისათვის უფიციალური გაცნობით და იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა.

4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმებია მისი ფორმალური და მატერიალური კანონიერება: – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია მის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ ის გამოსცეს ა) უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ბ) მისი გამოცემისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და გ) შესაბამისი ფორმით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან და მოითხოვს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ უკანონო და არარა აქტები. უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან განსხვავებით, არარა აქტს მისი გამოცემის მომენტიდან არა აქვს შესას-



## ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

რულებლად სავალდებულო ძალა. უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი გამოცემის მომენტიდან იძენს შესასრულებლად სავალდებულო ძალას და უნდა მოხდეს მისი გასაჩივრება კანონით დადგენილ ვადებში. სზაკ-ის მე-60 მუხლი ადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად ცნობის საფუძვლებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ: ა) შეუძლებელია მისი გამოცემა იორგანოს დადგენა; ბ) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ; გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზების გამო; დ) მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: საჩივრის საფუძველზე განხორციელებული წარმოების ფარგლებში, სარჩელის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად და ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით. ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით აქტის გაუქმება გულისხმობს აქტის ბათილად ან

ძალადაკარგულად გამოცხადებას. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მაგრამ განსხვავება გვაქვს გაუქმებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში; ბათილად ცნობის ობიექტია უკანონო აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლი აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საკითხს. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მოშაადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოშაადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. დაუმუშავებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. გადაწყვეტილების მიღების დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონიერი ნდობის პრინციპისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ანუ უპირატესობა მიენიჭება კანონიერების პრინციპს, დაინტერესებულ მხარეს, კანონიერი ნდობის გათვალისწინებით, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონანსორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძ-

ლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა: ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან; ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან; გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლი აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ად-



მინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით. ზემოდ აღნიშნული „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, კანონიერი ნდობის პრინციპის გათვალისწინებით, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგანონასნორების საფუძველზე ადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის

შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, შესაძლებელია განისაზღვროს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ



აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

**ინდოსამენტი**

ნიშნავს ნების გამოვლენას, რომელიც კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე და რომლის ძალითაც ინდოსატარზე გადადის → **ფასიანი ქაღალდით** განსაზღვრული უფლება. დაშვებულია ტექნიკური საშუალების გამოყენებაც (სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლის მე-2 ნაწილი). → **თამასუქი**; → **ჩეკი**.

**ინდოსატარი**

→ **ინდოსამენტი**.

**ინდულტი**

ვადა, რომელიც ეძლევათ გემებს, რათა, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, დატოვონ მტრული სახელმწიფოს პორტები და → **ტერიტორიული ზღვა** და ამ გზით თავი აარიდონ კონფისკაციას.

**ინკორპორაცია**

1. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების ეროვნულ სამართალში → **იმპლემენტაციის** ერთ-ერთ ფორმას, რომელიც, ძირითად, მონისტური თეორიის მიმდევარ სახელმწიფოებში გამოიყენება (→ **საერთაშორისო სამართლის პრიმატი**). განსხვავებით → **ტრანსფორმაციისგან**, იმპლემენტაციის აღნიშნული ფორმის მიხედვით, იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები ეროვნული სამართ-

ლის სისტემაში მოქმედებდნენ, არ არის საჭირო კანონმდებლის მიერ მათი შინაარსის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა. იგი ავტომატურად ხდება ეროვნული სამართლის ნაწილი, თუმცა იგი არ კარგავს საერთაშორისო სამართლებრივ ხასიათს და კვლავინდებურად ექვემდებარება საერთაშორისო სამართლებრივ წესებს ძალაში შესვლის, განმარტებისა და ბათილობის შესახებ.

2. ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლა საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

**ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება**

→ **ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია**.

**ინტერვენცია**

→ **საშინაო საქმეებში ჩაურევლობა**; → **ჰუმანიტარული ინტერვენცია**.

**ინტერნეტრაფიკის მონაცემი**

არის კომუნიკაციებთან დაკავშირებული და → **კომპიუტერული სისტემის** მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას და ძირითადი მომსახურების ტიპს.

**ინტერნაციული**

არის → **წმინდა საყდრის** წარმომადგენელი სახელმწიფოში. ინტერნაციული სტატუსით საგანგებო და სრულუფლებიანი → **დესპანის** რანგს შეესაბამება.

## ინტერპოლი

### ინტერპოლი

კრიმინალური პოლიციის → **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს ლიონში (საფრანგეთი). ინტერპოლი დაარსდა 1923 წელს. დღეისათვის მისი წევრია 188 სახელმწიფო. ინტერპოლის ამოცანას წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების კრიმინალური პოლიციის სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა და განვითარება დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ამასთან ინტერპოლი არ ერევა პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და რასობრივი ხასიათის საკითხებში. ინტერპოლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელიც წევრი სახელმწიფოების წარმომადგებლებისგან შედგება. გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებებს ინტერპოლის სამოქმედო პროგრამების, ბიუჯეტის, მეთოდებისა და რესურსების შესახებ. გენერალური ასამბლეა ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შედგება პრეზიდენტისგან, სამი ვიცე-პრეზიდენტისგან და გენერალური ასამბლეის 9 დელეგატისგან. აღმასრულებელი კომიტეტის მთავარი ამოცანაა გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. გენერალური სამდივნო გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე არის პასუხისმგებელი. ინტერპოლის წევრ სახელმწიფოებში შექმნილია ეროვნული ცენტრალური ბიუროები, რომელთა ამოცანას წევრ სახელმწიფოსა და ინტერპოლის თანამშრომლობის კოორდინაცია წარმოადგენს. საქართველო ინტერპოლში გაწევრიანდა 1993 წელს.

### ინტერპრეტაცია

→ კანონის განმარტება.

### ინფორმაციის თავისუფლება

დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით და მოიცავს, როგორც საყოველთაო ხელმისაწვდომი წყაროების მეშვეობით ინფორმაციის მიღებას, ისე მის გავრცელებასაც. საყოველთაოდ ხელმისაწვდომია წყარო, თუ იგი განკუთვნილი და გამართლებული საშუალებაა იმისათვის, რომ საზოგადოება უზრუნველყოს ინფორმაციით. ასეთი წყაროებია, მაგალითად: წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ. როგორც ყველა (ძირითადი) უფლება, ინფორმაციის თავისუფლებაც შეზღუდულია მესამე პირთა უფლებებით. იგი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოს. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების წესები მონესრიგებულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (მესამე თავი).

### იპოთეკა

1. იპოთეკა წარმოადგენს უძრავი ნივთის კრედიტორის სასარგებლოდ დატვირთვას ისე, რომ კრედიტორს უფლება აქვს თავისი მოთხოვნა (როგორც სამომავლო, ისე პირობითი) დაიკმაყოფილოს ამ ნივთის რეალიზაციით ან საკუთრებაში გადაცემით (სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლი). იპოთეკის უფლება არ მოიცავს იპოთეკარის მიერ ნივთის ფლობის უფლებას. მოვალე ვალდებულია შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა, ხოლო იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე პასუხისმგებელია კრედი-

ტორის წინაშე ამ ნივთის ღირებულებით. იპოთეკის → **აქცესორული** ბუნება კარგად ჩანს იპოთეკის წარმოშობის (მხოლოდ კრედიტორი შეიძლება იყოს იპოთეკარი, ხოლო იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრე და მოვალე შეიძლება სხვადასხვა პირები იყვნენ; სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლი), მისი გადაცემისა და მოთხოვნის შესრულებისას.

2. იპოთეკა წარმოიშობა კრედიტორსა და უძრავი ნივთის მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულებით და იგი იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 286-ე, 289-ე მუხლები). კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ექვემდებარება ზოგად ნორმებს (მაგალითად, → **სესხის** ხელშეკრულება). მოვალის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრისგან შეუძლია მოითხოვოს არა იმ მოთხოვნის შესრულება, რომელიც მას აქვს მოვალის მიმართ, მაგალითად, თანხის გადახდა, არამედ იძულებითი აღსრულების თმენა. წინაპირობას წარმოადგენს → **აღსრულებითი საბუთის** არსებობა. იპოთეკის საგანზე იძულებითი აღსრულება ხორციელდება უძრავი ნივთის → **აუქციონზე** რეალიზაციის ან უძრავი ნივთის → **იძულებითი მართვის** გზით, (სამოქალაქო კოდექსის 301-ე, 310-ე მუხლები). იპოთეკარის მოთხოვნას შეუძლია შესაგებელი დაუპირისპიროს როგორც კრედიტორის პირადმა მოვალემ, ისე უძრავი ნივთის მესაკუთრემ. უძრავი ნივთის მესაკუთრეს შეუძლია კრედიტორის მოთხოვნას წაუყენოს აგრეთვე ის

შესაგებელი, რომლის უფლებაც მხოლოდ პირად მოვალეს აქვს, ე.ი. შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორსა და პირად მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, მათ შორის, შესაგებელი მოთხოვნის → **გაქვითვის** თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 291-ე მუხლი). უძრავ ნივთზე აღსრულების თავიდან აცილების მიზნით, უძრავი ნივთის მესაკუთრეს შეუძლია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა დამდგარია მოთხოვნის შესრულების ვადა (სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ უძრავი ნივთის მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა იგი კრედიტორს დააკმაყოფილებს (სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

3. იპოთეკა შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვა პირისათვის მხოლოდ მის საფუძვლად არსებულ მოთხოვნასთან ერთად (სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლი). იმ იპოთეკის გადასაცემად, რომელზეც გაცემულია იპოთეკის მოწმობა, საჭიროა მოთხოვნის დათმობის სანოტარო წესით დამოწმება. მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის გადაცემა ხორციელდება უძრავი ნივთების შესახებ ზოგადი ნორმების მეშვეობით.

4. იპოთეკა ექვემდებარება გაუქმებას, თუ კრედიტორი უძრავ ნივთზე აღსრულების შედეგად დაკმაყოფილებულია. საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა ის იპოთეკა და სანივთო უფლება, რომლებითაც დატვირთული იყო უძრავი ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემ-

## ირიბი ჩვენება

დეგ, (სამოქალაქო კოდექსის 306-ე მუხლი). ყველა სხვა შემთხვევაში, მაგალითად, პირადი მოვალის ან უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იპოთეკა არ უქმდება და იგი გადადის იმავე რანგით იმ პირზე, ვინც კრედიტორს დააკმაყოფილებს (სამოქალაქო კოდექსის 288-ე, 292-ე, 295-ე, 298-ე მუხლები). ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკარი და უძრავი ნივთის მესაკუთრე ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდებიან იპოთეკის გაუქმებაზე.

5. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს, აგრეთვე, იპოთეკის მონმობის გაცემას. იპოთეკის მონმობა არის → **ფასიანი ქალაქი**, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე მისი კანონიერი მფლობელის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 289-ე, 2891-ე მუხლები). კრედიტორი მოიპოვებს იპოთეკას იმ შემთხვევაში, თუ მას იპოთეკის მონმობა უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეგისტრირებულ და გადაცემულ იქნა.

## ირიბი ჩვენება

სისხლის სამართლის პროცესში არის მონმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ მონმეს არ შეუძლია მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე. ირიბ ჩვენებას გააჩნია ნაკლები მტკიცებულებითი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ინფორმაცია შეუძლებელია გადამონმდეს → **ჯვარედინი დაკითხვით**. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი

ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ მაშინ, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი).

## იუნესკო

→ **გაეროს** სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1945 წლის 11 ნოემბერს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში (საფრანგეთი). დღეისათვის, იუნესკოს წევრია 193 სახელმწიფო, ასოცირებული წევრი კი - 7 სახელმწიფო. იუნესკოს მიზნებია: წვლილი შეიტანოს მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ხალხთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა. იუნესკოს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. მასში შედიან ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. გენერალური კონფერენცია ადგენს სამუშაო პროგრამას და ამტკიცებს ბიუჯეტს. იგი ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც ორგანიზაციის სამუშაო პროგრამის განხორციელებას ზედამხედველობს. იუნესკოს სამდივნო კი პასუხისმგებელია გენერალური კონფერენციის მიერ მიღებული სამუშაო პროგრამებისა და რეზოლუციების შესრულებაზე. საქართველო იუნესკოში გაწევრიანდა 1992 წელს.

**იურიდიული პირი**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ. კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სამოქალაქო სამართალი იცნობს არასამენარმეო და სამენარმეო იურიდიულ პირებს. სამენარმეო იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო არასამენარმეო იურიდიული პირებისა - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

1.1 არასამენარმეო იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონითა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები (სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლი). არასამენარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია ხორ-

ციელდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. არასამენარმეო იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და ნყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. არასამენარმეო იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობას. სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოყენებულ უნდა იქნას იურიდიული პირის მიზნების განხორციელებისათვის და დაუშვებელი ამ მოგების განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი).

1.2 მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ → **სამენარმეო საქმიანობას** ეწევიან და იურიდიულ პირებს წარმოადგენს → **სააქციო საზოგადოება**, → **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**, → **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება**, → **კომანდიტური საზოგადოება** და → **კოოპერატივი**.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციე-

## იურიდიული ფაქტის დადგენა

ლებს პოლიტიკურ, სახელმწიფო-ბრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ქალაქ თბილისში ქალაქ თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება დაფუძნებული იყოს წევრობაზე (საჯარო სამართლის კორპორაცია), ანდა შეიქმნას საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად გარკვეული სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების განკუთვების გზით (დანესებულება). დანესებულებას არ ჰყავს წევრები. საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობისა და ორგანიზაციის წესს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონი.

## იურიდიული ფაქტის დადგენა

→ უდავო წარმოება.

### იურისდიქცია

იურისდიქცია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების აქტების მიღებისა და განხორციელების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას. სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება მის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირის, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართაც (ტერიტორიული იურისდიქცია). გარდა ამისა, საკუთარი მოქა-

ლაქეების მიმართ სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, თუმცა აღნიშნული იურისდიქციის განხორციელება მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე არის შესაძლებელი, თუკი საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (პერსონალური იურისდიქცია). → **შიდა წყლებში** სახელმწიფოს იურისდიქცია სრულად ვრცელდება, ასევე → **ტერიტორიულ ზღვაში**, ცალკეული გამოწვევის გარდა. რაც შეეხება → **განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და** → **კონტინენტურ შელფს**, მათ მიმართ სანაპირო სახელმწიფო მხოლოდ შეზღუდული, მიზნობრივი ხასიათის იურისდიქციას ახორციელებს. ტერიტორიაზე იურისდიქციის გავრცელება → **ტერიტორიული სუვერენიტეტის** განხორციელების უფლების გარეშე შესაძლოა მოხდეს ტერიტორიის სუვერენის თანხმობით (მაგ. სხვა სახელმწიფოში სამხედრო ბაზების განთავსება) ან თანხმობის გარეშე (მაგ. → **ოკუპაციის დროს**).

### იძულებითი აღსრულება

→ **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.**

### იჯარა

1. იჯარის ხელშეკრულების ძალით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების (წინააღმდეგ შემთხვევაში → **ქირავნობა**) შესაძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი). იჯარის ხელშეკრულების საგანი

შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინვეთი, როგორც ეს ქირავნობის შემთხვევაში არის, არამედ ქონება, მაშასადამე, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, როგორიცაა, მაგალითად, → **საავტორო უფლებები**. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გაცივმა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის და მასზე გადადის ინვენტარის შემთხვევითი დაღუპვისა და გაფუჭების რისკი (სამოქალაქო კოდექსის 583-ე, 584-ე მუხლები). ამასთან, მეიჯარის მიმართ ნაყენებული იმ მოთხოვნებისათვის, რომელიც შეეხება იჯარით მიღებულ ინვენტარს, მოიჯარეს აქვს გირავნობის უფლება მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარზე (სამოქალაქო კოდექსის 586-ე მუხლი). თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას არ არის განსაზღვრული იჯარის ვადა, მაშინ ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოსათვის (სამოქალაქო კოდექსის 589-ე მუხლი).

2. სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებული ნორმებით არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარას. ხელშეკრულების ამ ტიპისათვის დამახასიათებელია მოიჯარისათვის მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან

ასეთი ნაგებობის გარეშე (სამოქალაქო კოდექსის 592-ე მუხლი). სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით, სხვა შემთხვევაში იჯარაუდება, რომ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით (სამოქალაქო კოდექსის 593-ე მუხლი). მეიჯარე ვალდებულია საიჯარო ქონება მოიჯარეს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ მდგომარეობაში იჯარის მთელი ვადის მანძილზე, ხოლო მოიჯარეს ეკისრება საკუთარი ხარჯებით ქონების მიმდინარე რემონტის განხორციელება, საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების შეკეთება და ა.შ. თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია საიჯარო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს ათი დღისა განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი. განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, თუ მეურნეობის იჯარა მოიჯარის მეურნეობისათვის წარმოადგენს საარსებო საფუძველს, მოიჯარეს შეუძლია მეიჯარისგან მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება (სამოქალაქო კოდექსის 604-ე მუხლი).

3

**კავშირის მოქალაქეობა**

→ **ევროპული კავშირის** მოქალაქეობის ინსტიტუტი შემოღებულ იქნა ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებით. ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-20 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, კავშირის მოქალაქეს წარმოადგენენ პირები, რომლებსაც ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეობა გააჩნიათ. კავშირის მოქალაქეობის საფუძველზე მინიჭებული უფლებებიდან განსაკუთრებით გამოყოფილ უნდა იქნეს ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ყოფნის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებს → **მუშახელის თავისუფალი გადაადგილების**, → **დაფუძნებისა თავისუფლების** და → **მომსახურების თავისუფლების** ფარგლებშიც გააჩნიათ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ყოფნის უფლება, ამ შემთხვევაში აღნიშნული უფლების განხორციელების დაკავშირება ეკონომიკურ საქმიანობასთან არ ხდება. კავშირის მოქალაქის სტატუსიდან გამომდინარე უფლებებიდან ასევე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და → **ევროპული პარლამენტის** არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

**კაზუს ბელი**

ლათ. casus belli. სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის უშუალო ფორმალური საბაბი, რომელსაც უნდა გაემართლებინა საომარი მოქმედების დაწყება. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ერთადერთი ლეგიტიმური კაზუს ბელი არის ინდივიდუალური და კოლექტიური → **თავდაცვის უფლების** გამოყენება.

**კანონიერი ნდობა**

→ **კანონიერი ნდობის პრინციპი.**

**კანონიერი ნდობის პრინციპი**

გამომდინარეობს → **სამართლებრივი სახელმწიფოს** პრინციპიდან, რომელიც კრძალავს ისეთ მმართველობით საქმიანობას, რომელიც თავის მხრივ კანონიერია, მაგრამ ინვეს მისი აღრესატის კანონიერი ნდობის გაცრუებას. აქვე დგას მოთხოვნა, რომ მოქალაქის ნდობა მმართველობის ორგანოს ქმედებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, ვიდრე ის ინტერესი, რომელსაც იცავს ადმინისტრაციული ორგანო. → **ადმინისტრაციული სამართალში** კანონიერი ნდობის პრინციპი უკავშირდება → **ადმინისტრაციული ორგანოს** ინიციატივით → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების** ინსტიტუტს (სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლები) და → **ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას** (სზაკ-ის მე-9 მუხლი). სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დაუშვებელია აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-



თილად ცნობა, თუ → **დაინტერესებულ მხარეს** კანონიერი ნდობა აქვს → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** მიმართ. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებაზე, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, ისევე არის გარანტირებული, როგორც უკვე განხორციელებულ ქმედებაზე (გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე). საყურადღებოა სხვაობა კანონიერი ნდობის დაცვის ხარისხში უკვე განხორციელებული ქმედებისა და დაპირების შემთხვევაში, რომელიც ვლინდება კანონიერი ნდობის გამომრიცხველ გარემოებებში. უკანონო აღმჭურველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მიმართ კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოებაა დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება. ამის საპირისპიროდ, დაპირების შემთხვევაში, ეს გარემოებებია: ა) მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება; ბ) შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ველარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს; გ) მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება. როგორც ვხედავთ, კანონიერი ნდობის დაცვის გარანტია უფრო მაღალია უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის შემთხვევაში, ვიდრე დაპირების მიმართ.

### კანონიერი ქურდობა

სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ. კანონიერი ქურდი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით არის → **ქურდული სამყაროს წევრი** (→ **ქურდული სამყაროს წევრობა**), რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

### კანონიერი ძალა

1. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში → **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა**.
2. სისხლის სამართალში → **განაჩენი**.

### კანონიერი წარმომადგენელი

სისხლის სამართლის პროცესში არის → **ახლო ნათესავი**, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი, ქმედუნარიო, შეზღუდულქმედუნარიანი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილი). მაგალითად, 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით (სისხლის სა-

## კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება

მართლის საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილი), იგი ესწრება აგრეთვე სასამართლო სხდომას, სადაც არასრულწლოვანი ბრალდებული მონაწილეობს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასიდან სამას საათამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. თუ აღნიშნული ქმედება ჩადენილია არაერთგზის, პასუხისმგებლობა მძიმდება და პირი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ორასიდან ოთხას საათამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. მოხელის და მასთან გათანაბრებული პირის ცნების შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ 1997 წლის 17 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჩუქარი არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან განუვლი მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავი-

სუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს. საჩუქარი აკრძალულია, როცა საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება აღემატება მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან. ასევე, როცა საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე აღემატება 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან. ამავე კანონის მე-5<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, საჩუქრად არ ჩაითვლება სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია; დიპლომატიური საჩუქარი, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს; საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს; საჯარო მოსამსახურისათვის,

მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით განეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს; საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება; საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით. თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს.

### კანონის განმარტება

კანონის განმარტება ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას. სამართლის ნორმის (→ კონსტიტუცია, → კანონი, → კანონქვემდებარე ნორმატი-

ული აქტი) განმარტებისას შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება.

1. გრამატიკული განმარტების მიზანია, გრამატიკული წესების საფუძველზე კანონის სიტყვების შინაარსის დადგენა, კანონმდებლის მიერ გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის მიხედვით (მაგალითად, „უნდა“, „შეიძლება“, „უფლებამოსილია“ და ა.შ.). გათვალისწინებულ უნდა იქნას, ასევე, თუ რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით გამოიყენება ისინი სამართლის ნორმაში. გრამატიკულ განმარტებას თავისი საზღვრები აქვს. თუ სიტყვა ერთმნიშვნელოვანია, უნდა გავარკვიოთ დასაშვებია თუ არა მისი გრამატიკული განმარტება. ე. წ. *Sens-Clair*-ის წესის მიხედვით, სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვის განმარტება არ დაიშვება. სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვები საკმაოდ იშვიათია (მაგალითად, რიცხვითი სახელები). გრამატიკული განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ ყოფითი და იურიდიული, ანუ სპეციალური დარგობრივი ენის (*termini technici*) თავისებურებები.

2. კანონის ლოგიკური განმარტება ეძებს განსაზღვროს კანონის აზრი და მიზანი და, სამართლის ნორმების ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, დაადგინოს ცალკეული ნორმის აზრი და განსაკუთრებულობა. ეს ხორციელდება სისტემური მეთოდით, რომელიც ეფუძნება სამართლის ნორმის ადგილს კანონში და ამ კანონის ადგილს ერთიან სამართლებრივ წესრიგში. სისტემური განმარტებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ადგილი აქვს ნორმათა კო-

ლიზიას. ნორმათა კოლიზია წყდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) თუ კოლიზიურ ნორმებს აქვთ განსხვავებული იურიდიული ძალა, მაშინ იერარქიულად ზემდგომი ნორმა იმორჩილებს ქვემდგომ ნორმას - *Lex superior derogat legi inferiori*. ბ) თუ კოლიზიურ ნორმებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ, მაშინ სპეციალურ ნორმას უპირატესობა ენიჭება საერთო ნორმის მიმართ - *Lex specialis derogat legi generali*. სპეციალური ნორმა, ჩვეულებრივ, ანესრიგებს ურთიერთობათა უფრო ვიწრო წრეს, ვიდრე ზოგადი ნორმა. გ) თუ კოლიზიურ ნორმები სპეციალურია და ამავე დროს, აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა, მაშინ გვიან გამოცემულ ნორმას უპირატესობა ენიჭება ადრე გამოცემული ნორმის მიმართ: *Lex posterior derogat legi priori*. გვიან გამოცემული სამართლის ნორმა უფრო ზუსტად ასახავს კანონმდებლის ნებას. კანონი, ჩვეულებრივ, პირდაპირ უთითებს მანამდე მოქმედი ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. თუ მსგავსი მითითება კანონის ტექსტში უშუალოდ არ გვხვდება, მაშინ მოქმედებს წესი – *Lex posterior derogat legi priori*. ამ წესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური სისტემების რადიკალური ცვლილებისას, როდესაც ნორმა ენიანაღმდეგება ახალი კანონმდებლობის სულისკვეთებას. სტაბილურ სიტუაციაში ეს წესი ნაკლებად გამოიყენება რამდენადაც კანონი, როგორც წესი, ზუსტად განსაზღვრავს კოლიზიის გადაწყვეტის წესს. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, რომ გრამატიკულ განმარტებას არ მიენიჭოს გადაწყვეტი მნიშვნელობა, რადგან, მაგალითად, კანონმდებელს აზრო-

ბრივად არ უნდა გამოეყენებინა სიტყვა „შეიძლება“, არამედ სიტყვა „უნდა“. ლოგიკური მეთოდის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს კანონის ვიწრო (*extensiv*) ან ფართო (*restriktiv*) განმარტებასთან.

3. კანონის განმარტების ისტორიული მეთოდი ითვალისწინებს სამართლის ნორმის ისტორიულ განვითარებას და განსაკუთრებით, ადრე განხორციელებული მსგავსი კანონების ცვლილებებს. ისტორიული განმარტება არკვევს კანონმდებლის ისტორიულ მიზანს. ისტორიული განმარტების პროცესში, ჩვეულებრივ, ითვალისწინებენ კანონის მიღებისას მიმდინარე იურიდიულ და პოლიტიკურ დებატებს. ამ მასალების მოპოვება შესაძლებელია სტენოგრაფიული ჩანაწერების, სხდომის ანგარიშებისა და სხვა მასალების მეშვეობით.

4. ტელეოლოგიური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრას. მისი მიზანია განსაზღვროს სამართლის ნორმის განხორციელების შესაძლებლობა. კერძოდ, რამდენად შეესაბამება კანონმდებლის წარმოდგენები, რომელიც საფუძვლად დაედო ნორმის მიღებას, დღეს ამ ნორმის გამოყენებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს. ტელეოლოგიური განმარტება შეეხება სამართლის ნორმის დამოკიდებულებას სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამართლებრივ-ეთიკური პრინციპები გამყარებულია კონსტიტუციით, ტელეოლოგიური განმარტება მოიცავს სამართლის ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამის განმარტებასაც.

5. ფართო გაგებით, განმარტების

მეთოდებს განეკუთვნება სამართლის ნორმათა განვრცობა იმ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ან განზრახ არ იქნა მოწესრიგებული, ასევე, შემთხვევები, რომლებიც გარემოებათა ცვლილებამ გამოიწვია. კანონის განვრცობითი განმარტება წარმოადგენს მოსამართლის უფლებამოსილებას, რომელმაც კანონი ანალოგიის გზით სამართლებრივად ერთგვაროვან შემთხვევებზე უნდა გამოიყენოს ან, საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველზე (*Argumentum e contrario*), სამართლის ნორმის გამოყენება სხვა შემთხვევაზე გამორიცხოს, რადგან ეს შემთხვევა კანონმა არ უნდა მოიცვას. „*Argumentum e contrario*“ ანალოგიის საწინააღმდეგო ცნებაა. *Argumentum e contrario* გულისხმობს, რომ თუ რომელიმე ურთიერთობა სამართლებრივად მოწესრიგებული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შეესაბამება კანონმდებლის ნებას. თუ კანონმდებელი შეგნებულად უვლის გვერდს რომელიმე ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებას, საქმე გვაქვს კანონმდებლის „კვალიფიციურ“ დუმილთან. *Argumentum e contrario* გამორიცხავს ხარვეზს კანონმდებლობაში. შესაბამისად, მოსამართლე არაა უფლებამოსილი შეავსოს „ხარვეზი“. *Argumentum e contrario*-ს შემთხვევაშიც სამართლის შეფარდებელი შებოჭილია საკანონმდებლო შეფასებებითა და სამართლებრივი რეგულირების საერთო მიზნებით. განასხვავებენ კანონისა და სამართლის ანალოგიას. უნდა განხორციელდეს სამართლის ანალოგიის გამოყენება თუ *Argumentum e contrario*, გადაწყვეტილ უნდა იქნას კონკრეტულ შემთხ-

ვევაში. სისხლის სამართალში დასაშვებია ანალოგიის გამოყენება როგორც ქმედების დანაშაულებრიობის, ისე დასჯადობის გამო, მხოლოდ დამნაშავის სასარგებლოდ (სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლი). ტელელოგიური რედუქციის საფუძველზე ხორციელდება სამართლის ნორმის, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ, ვინროდ გამოყენება (→ **სამართლის შეფარდება**). ტელელოგიური შეზღუდვითი განმარტების (რედუქციის) დროს ნორმა არ გამოიყენება, თუ მისი შეფარდება მიგვიყვანს კანონის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე. ამ შემთხვევაში, კანონი შეზღუდულად განმარტება მისი მიზნიდან გამომდინარე.

6. განმარტებას არ წარმოადგენს ე.წ. ლეგალური დეფინიცია, როდესაც კანონის ტერმინი თვით ამ კანონში ან სხვა კანონით არის განმარტებული.

7. კონსტიტუციის განმარტება ხდება „ჰარმონიზაციის პრინციპის“ მიხედვით, როდესაც კონსტიტუციურ ნორმებს შორის წინააღმდეგობა მაქსიმალურად არის დაძლეული. დაუშვებელია კონსტიტუციით განმტკიცებული რომელიმე სამართლებრივი ღირებულების რეალიზაცია სხვა სამართლებრივი ღირებულების ხარჯზე. კონსტიტუციური ნორმების განმარტება უნდა მოხდეს ფუნქციონალური მართლზომიერების პრინციპის საფუძველზე. კონსტიტუციის განმარტება არ უნდა არღვევდეს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებს. არ დაიშვება კონსტიტუციური ნორმის ისეთი განმარტება, რომელიც შეავიწროებს (ან გააფართოებს) სახელმწიფო ორგანოს თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობის სფეროს.

8. თუ ნების გამოვლენის სამართლებრივად მნიშვნელოვანი შინაარსი ან ადამიანური ქცევა ცალსახად შეიძლება განისაზღვროს, მაშინ იგი აღარ საჭიროებს განმარტებას, აგრეთვე, თუ ხელშეკრულების მხარეებს გამოვლენილი ნება ერთი განსაზღვრული შინაარსით ესმით და მხოლოდ გარიგების საგანს აღნიშნავენ არასწორად - *falsa demonstratio*. მაგრამ, თუ გამოვლენილი ნების შინაარსი მრავალმნიშვნელოვანია, მაშინ მისი აზრი განმარტებით უნდა იქნას დადგენილი. განმარტების პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ნების გამოვლენის სურვილს. კანონი, ასეთ შემთხვევაში, ითვალისწინებს სამართლებრივი ურთიერთობის სანდოობას და უშვებს ნების შეცილებას (მაგალითად, შეცდომის გამო ან მოტყუებითი გარიგებისას). სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ ვამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. თუ ასეთი მსჯელობის შედეგად, არა შინაგანი ან უბრალოდ ჰიპოთეტური ნება დადგინდება, არამედ გამოხატული ნება, ასეთ შემთხვევაში, საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად გამოიხატა ნების გამოვლენაში ხელშეკრულების მხარის სურვილი, გათვალისწინებულ უნდა იქნას ნების გამოვლენის მიზანი. ხშირად კანონი თავად ადგენს სამართლებრივ დებულებებში განმარტების წესებს. ასე, მაგალითად, სიტყვა „საეჭვოობა“ განსაზღვრული აზრით უნდა იქნა გაგებული. თუ ასეთი წესი არ არის დადგენილი, მაშინ ცალმხრივი ან სხვადასხვა ადამიანის მიმართ გამოვლენილი ნება გაგებულ უნდა

იქნას იმ შინაარსით, როგორც ეს ფართო საზოგადოებისათვის გასაგები იქნებოდა. ისეთი ნების გამოვლენის განმარტებისას, რომელიც საჭიროებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, გათვალისწინებულ უნდა იქნას, უპირველეს ყოვლისა, ნების მიმღებისათვის ცნობილი გარემოებები (ნების გამომვლენის ჩვევები და მოთქმები, მის მიერ ენის გამოყენება). რაც უფრო მეტი ადამიანის მიმართ ხდება ნების გამოვლენა, მით უფრო ზუსტად უნდა დადგინდეს ნების გამოვლენის შინაარსი.

9. ხელშეკრულების განმარტების შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ცალკეული ნების გამოვლენის შინაარსი ზემოაღნიშნული წესების მიხედვით. თუ ეჭვქვეშ არ დგას ხელშეკრულების ნამდვილობა, მაშინ იგი განმარტებულ უნდა იქნას ისე, როგორც ამას ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები მოითხოვენ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე და 346-ე მუხლები). თავდაპირველად უნდა დადგინდეს ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთთანმხვედრი ნება, ხოლო განსხვავებული მონათქვამების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული შემთხვევის ობიექტური გარემოებები, მხარეთა ინტერესები ნების გამოვლენის დროს. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომხდარი გარემოებების ცვლილება. თუ ხელშეკრულების განმარტების წესები საკმარისი არ არის, რომ სამართლიანად განისაზღვროს მხარეთა ინტერესები, მაშინ უნდა მოხდეს ხელშეკრულების ცალკეული პირობების განვრცობითი

განმარტება. მოსამართლემ ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი საკითხები მხარეთა ნების აზრობრივი გამოვლინებით უნდა შეავსოს და ამით ურთიერთნინააღმდეგობა გადალახოს. ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების შემთხვევაშიც, მოსამართლე არ უნდა გაცდეს მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გამოხატულ ნებას. 10. ნების გამოვლენის ან ხელშეკრულების განმარტების ფაქტობრივი გარემოებები არ ექვემდებარებიან → კასაციის ნესით გადამოწმებას. საკასაციო სასამართლოს მიერ შეიძლება შემოწმებულ იქნას მხოლოდ, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ამ გარემოებების დადგენის პროცესი პრაქტიკის გამოცდილების ზოგად ნებსებს, აზროვნების კანონებსა და ზოგად სამართლებრივ პრინციპებს. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ წარმოადგენენ საკანონმდებლო დებულებებს და ისინი მხოლოდ მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ჩართვით ხდებიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ისინი ისევე ექვემდებარებიან განმარტებას, როგორც კანონები.

**კანონისმიერი დათქმის პრინციპი → უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე.**

**კანონის ნოვაცია**

ნიშნავს არსებულ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებსა და დამატებებს ისე, რომ ძირეულად არ იცვლება სამართლებრივი რეგულირება. მისი განხორციელება საჭიროებს იმავე ფორმას, რა ფორმითაც არის მიღებული მოქმედი სამართლის ნორმა. კანონის ნოვაციის

საფუძველი შეიძლება იყოს კანონის ხარვეზი (კანონის ინტერპრეტაცია) ან შეცვლილ გარემოებებთან კანონის შესაბამისობაში მოყვანა. არსებული სამართლებრივი რეგულაციების ისეთ ცვლილებას, რომელიც ძველი კანონების გაუქმებასა და ახლის ამოქმედებას ითვალისწინებს, უწოდებენ რეფორმებს.

**კანონის უზენაესობის პრინციპი → უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე.**

**კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძველის არსებობისას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული ყველა ადამიანის დაბადებით თავისუფლებისა და კა-



ნონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან. კანონის წინაშე თანასწორობის ეს ზოგადი დებულება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას; დაუშვებელია არსებითად იდენტური საქმის გარემოებების თვითნებურად არათაბრად შეფასება და პირიქით, არსებითად არათანაბარი საქმის გარემოებების თვითნებურად თანაბარი შეფასება და აქედან გამომდინარე, უკანონო გადაწყვეტილების მიღება. ამ კონსტიტუციური პრინციპის ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ასახვა ემსახურება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვას, რამდენადაც ის გულისხმობს, რომ დაუშვებელია ამ ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება, ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ამ მოთხოვნის დარღვევა გვაქვს სახეზე, როდესაც არ იკვეთება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის შეზღუდვის ან მისთვის უპირატესობის მინიჭების გონიერი, საქმის არსიდან გამომდინარე საფუძველი, არამედ ამკარაა შეუსაბამობა განხორციელებულ ღონისძიებასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის არსის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამართლის თითოეული ნორმა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს

უკავშირებს განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც სხვაგვარად წესრიგდება ვიდრე სხვა ფაქტობრივი გარემოებების შემთხვევაში. თანასწორობის პრინციპი არ შეიძლება გავიგოთ, როგორც ფაქტებისადმი დიფერენციული მიდგომის აკრძალვა. ის არ მოითხოვს, რომ ყველაფერი თანაბრად შევაფასოთ, რამდენადაც ყოველდღიური ცხოვრების ფაქტობრივი გარემოებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათი „ერთი საზომით“ გაზომვა. არ არსებობს სრულიად იდენტური ფაქტები, თითოეული კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს მისი თავისებურებების გათვალისწინებით შეფასებას. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არსებითად ერთნაირი საქმის გარემოებების შემთხვევაში მიღებულ იქნეს ერთნაირი გადაწყვეტილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში ერთი პირის მიმართ უკანონო გადაწყვეტილების მიღება არ წარმოშობს მეორე პირის უფლებას იმავე სახის გადაწყვეტილებაზე. მაგ., თუ საპატრულო პოლიციელი არ აჩერებს გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავ სამთავრობო ავტომანქანას, ეს არ წარმოშობს სხვა ავტომანქანების მძღოლთა უფლებას, იმოძრაონ გადაჭარბებული სიჩქარით, რამდენადაც „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“.

### კანონმდებლობა

არის ყველა სახის ნორმატიული აქტების კრებული. ფუნქციონალური გაგებით, კანონმდებლობა არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შედეგად → სა-



**კანონმდებლო ხელისუფლებისათვის** მიკუთვნებული სფერო. თუმცა, ისევე, როგორც კანონის შემთხვევაში, აქაც ერთმანეთისაგან განსხვავებენ კანონმდებლობას მატერიალური და ფორმალური გაგებით. პირველი მოიცავს ნებისმიერი → **ნორმატიული აქტის** გამოცემას, ხოლო მეორე - მხოლოდ იმ აქტებისა, რომლებიც გამოიცემა საკანონმდებლო უფლებამოსილების მქონე → **ორგანოს** მიერ კანონით გათვალისწინებული ფორმალური საკანონმდებლო პროცედურის გზით.

### კანონშემოქმედება

→ საკანონმდებლო პროცესი.

### კაპიტულაცია

არის საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიერ საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა და დანებება. კაპიტულაციის შედეგად, დაზავებისგან განსხვავებით, საომარი მოქმედებები წყდება არა დროებით, არამედ საბოლოოდ, ხოლო კაპიტულანტი მხარის შეარაღებული ძალები, როგორც წესი, განიარაღდება და მის შემადგენლობას → **სამხედრო ტყვის** სტატუსი მიენიჭება. კაპიტულაცია შესაძლოა იყოს როგორც პირობებზე დამყარებული, ასევე უპირობო. უპირობო კაპიტულაციის შემთხვევაში კაპიტულანტი მხარე ყოველგვარი წინაპირობების წამოყენების გარეშე ნებდება მონინააღმდეგეს.

### კასატორი

→ კასაცია.

### კასაცია

1. სისხლის სამართლის პროცეს-

ში წარმოადგენს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების საშუალებას. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც კასატორის აზრით, უკანონოა (კერძოდ, არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს; მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა; გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას. კასატორი სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელსაც საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს. კასატორი შეიძლება იყოს ბრალმძებელი, ზემდგომი პროკურორი, მსჯავრდებული. ადვოკატს უფლება აქვს, შეიტანოს საკასაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სამართლო გადაწყვეტილების გამო საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა (მე-20 მუხლის მე-5 ნაწილი). საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამოშვან

სამართლოში მისი გამოცხადებ-  
ბიდან 1 თვის ვადაში. სისხლის  
სამართლის საპროცესო კოდექსის  
303-ე მუხლი მე-3 ნაწილის თანახ-  
მად, საკასაციო საჩივარი დასაშ-  
ვებია, თუ: საქმე მნიშვნელოვა-  
ნია სამართლის განვითარები-  
სა და ერთგვაროვანი სასამართ-  
ლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათ-  
ვის; სააპელაციო სასამართლოს  
გადანყვეტილება განსხვავდება ამ  
კატეგორიის საქმეებზე საქართ-  
ველოს უზენაესი სასამართლოს  
მანამდე არსებული პრაქტიკისა-  
გან; სააპელაციო სასამართლომ  
საქმე განიხილა მნიშვნელოვანი  
სამართლებრივი ან საპროცესო  
დარღვევით, რასაც შეეძლო არსე-  
ბითად ემოქმედა საქმის განხილ-  
ვის შედეგზე. საკასაციო სასამართ-  
ლოში საკასაციო საჩივარზე შემა-  
ჯამებელი გადანყვეტილება მი-  
იღება საკასაციო სასამართლოში  
საქმისა და საჩივრის შესვლიდან  
არა უგვიანეს 6 თვისა. თუ საკა-  
საციო სხდომაზე კასატორი არასა-  
პატიო მიზეზით არ გამოცხადდებ-  
ა, საკასაციო სასამართლო გან-  
ჩინებით მის საკასაციო საჩივარს  
განუხილველად ტოვებს. განჩინე-  
ბა საბოლოოა და არ გასაჩივრდებ-  
ა. საკასაციო საჩივარი განი-  
ხილება საჩივრისა და მისი შესაგე-  
ბლის ფარგლებში. საკასაციო სა-  
სამართლოს უფლება აქვს განა-  
ჩინოს მიიღოს ერთ-ერთ შემდეგი  
გადანყვეტილება: გააუქმოს საა-  
პელაციო სასამართლოს გამამ-  
ტყუნებელ განაჩენი და მის ნაცვ-  
ლად დაადგინოს გამამართლებე-  
ლი განაჩენი; გააუქმოს სააპელა-  
ციო სასამართლოს გამამართლე-  
ბელი განაჩენი და მის ნაცვლად  
დაადგინოს გამამტყუნებელი გა-  
ნაჩენი; ცვლილება შეიტანოს საა-  
პელაციო სასამართლოს განაჩენ-  
ში; უცვლელად დატოვოს სააპე-

ლაციო სასამართლოს განაჩენი და  
უარი თქვას საკასაციო საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე. თუ საქმე გა-  
ნიხილება მსჯავრდებულის ან  
მისი ადვოკატის საჩივრის საფუძ-  
ველზე და ბრალდების მხარეს სა-  
ჩივარი არ შეუტანია, საკასაციო  
სასამართლოს უფლება არა აქვს  
საქმე შეაბრუნოს კასატორის საუ-  
არესოდ, კერძოდ, გამოიტანოს გა-  
მამართლებელი განაჩენის ნაცვ-  
ლად გამამტყუნებელი განაჩენი,  
გამოიყენოს საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსის  
უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს  
უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს  
მსჯავრდებულისთვის არასასიკე-  
თო სხვა გადანყვეტილება (სისხ-  
ლის სამართლის საპროცესო კო-  
დექსის 308-ე მუხლი).

2. ადმინისტრაციულ სამართალ-  
წარმოებაში სააპელაციო სა-  
სამართლოს გადანყვეტილებე-  
ბი მხარეებმა და ადმინისტრაცი-  
ული საპროცესო კოდექსის მე-  
16 მუხლის მე-2 ნაწილით განსა-  
ზღვრული წესით საქმეში ჩაბმუ-  
ლმა მესამე პირებმა შეიძლება კა-  
ნონით დადგენილ ვადებში გაასა-  
ჩივრონ საკასაციო სასამართლო-  
ში. საქართველოს უზენაესი სა-  
სამართლოს მიერ საკასაციო საჩი-  
ვარი დაიშვება, თუ: ა) საქმე მნიშ-  
ვნელოვანია სამართლის განვი-  
თარებისა და ერთგვაროვანი სა-  
სამართლო პრაქტიკის ჩამოყა-  
ლიბებისათვის; ბ) სააპელაციო სა-  
სამართლოს გადანყვეტილება გან-  
სხვავდება ამ კატეგორიის საქმე-  
ებზე საქართველოს უზენაესი სა-  
სამართლოს მანამდე არსებული  
პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო  
სასამართლოს მიერ საქმე გან-  
ხილულია მნიშვნელოვანი საპ-  
როცესო დარღვევით და არსე-  
ბობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო  
არსებითად ემოქმედა საქმის გან-

ხილვის შედეგზე. კასაციის დასაშვებობის შემონიშნების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადანყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები მხოლოდ იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძვლითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლომ. საკასაციო სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

3. ა) სამოქალაქო სამართალწარმოებაში სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება შეიძლება ერთი თვის ვადაში გასაჩივრდეს საკასაციო სასამართლოში მხარეების ან მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. საკასაციო საჩივარი სამოქალაქო სამართალწარმოებაში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე

დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე; საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლის ნორმების დარღვევას, თუ: ა) სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი და აღნიშნული დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა მიღებული (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 393-ე მუხლები). ბ) საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში და დაუშვებელია გადანყვეტილების საუარესოდ შებრუნება (*non reformatio in peius*). ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში, დაუშვებელია საკასაციო სასამართლოს მიერ დავის საგნის შეცვლა ან გადიდება. როგორც წესი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე, 406-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს საქმეს, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე მიღებულ იქნა არასწორი გადანყვეტილება და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „გ“ და „ე“

## კაუზალობის პრინციპი

ქვეუქმებისა. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი).

## კაუზალობის პრინციპი

→ **სანივთო (ქონებრივი) სამართალი.**

### კეთილი სამსახური

→ **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის** ერთ-ერთი საშუალება, რომელიც გულისხმობს მესამე მხარის ძალისხმევას საერთაშორისო დავის მხარეებს შორის დავის მოგვარების ხელშეწყობის კუთხით, რომელიც, მაგალითად, შეიძლება გამოიხატებოდეს მოდავე მხარეებს შორის კონტაქტის დამყარებაში ან მათ შორის მოლაპარაკებების გასამართად შესაბამისი პირობების შეთავაზებაში. კეთილი სამსახურის განვიცხადების თანხმობა მოდავე მხარეების თანხმობა. კეთილი სამსახური → **შუამავლობისგან** განსხვავდება იმით, რომ შუამავლისგან განსხვავებით კეთილი სამსახურის გამწევი მხარე მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებებში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს.

### კეთილსინდისიერების პრინციპი

კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების განმსაზღვრელ ძირითად პრინციპს. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება სამოქალაქო სამართალში კანონის → **ანალოგიის** გამოყენებას (სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი). გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრუ-

ლების მხარეების მიერ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია არა მხოლოდ ის, რომ ვალდებულების შესრულება ხდება მიუღებელი ქმედებით, არამედ იგი იცავს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ნდობას სამოქალაქო ბრუნვის შესახებ, რომ არ მოხდება სამართლებრივი უფლებების ბოროტად გამოყენება. კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობა არ განიხილება როგორც → **შესაგებელი** (ადრე წინასწარ განზრახული დუმილის შესაგებელი, *exceptio doli*), არამედ მას შედეგად მოაქვს მოთხოვნის შინაარსის შეზღუდვა, რომელიც სხვა სამართლებრივი ნორმებით დაცვას, მაგალითად, ზნეობრივი ნორმების სანაღმდეგო გარიგებების აკრძალვას, მნიშვნელოვნად სცილდება. ასე, მაგალითად, მოვალეს არა აქვს უფლება, ვალდებულება შეასრულოს მიუღებელი მოქმედებით; ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, მოვალეს არა აქვს უფლება შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შედეგის დადგომას. გარდა ამისა, კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება საკუთარ ქცევას (ე.წ. *venire contra factum proprium*). ასე, მაგალითად, დაუშვებელია უკვე დადებული გარიგების ფორმის დაუცველობის ან ხანდაზმულობის შესახებ განცხადება იმ პირის მიერ, ვინც მეორე მხარეს ამ გარიგებების შესახებ ბუნდოვან წარმოდგენას შეუქმ-

ნის. დაბოლოს, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება იმ შესრულების მიღება, რომელიც სხვა სამართლებრივი საფუძვლის თანახმად უკან დაბრუნებას ექვემდებარება (dolo agit, qui petit, quod statim redditurus est). სამართლებრივად განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, კეთილსინდისიერების პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ ვალდებულებით სამართალში, არამედ მოიცავს მთელ სამოქალაქო სამართალს. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოხატვის განსაკუთრებული ფორმებია → **პრეკლუზია** (უფლების დაკარგვა) და ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი (სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი).

**კეთილსინდისიერი შემძენი**  
→ **საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა.**

**კერძო სამართალი**  
კერძო სამართალი ანესრიგებს სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე. კერძოსამართლებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით, საჯარო სამართალს განეკუთვნებიან სამართლის ის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდის ან სამართლის სუბიექტის დაქვემდებარებას სახელმწიფოს ძალაუფლებისადმი. ასევე, შესაძლებელია სამართლის სუბიექტისა და სახელმწიფო ძალაუფლების თანასწორუფლებიანი ურთიერთობა (მაგალითად, → **ადმინისტრაციული ხელშეკრულება**), მაგრამ იგი თავისი არსით საჯარო სამართალს განეკუთვნება სახელმ-

წიფოს იძულებითი აღსრულების მექანიზმით. ასე, მაგალითად, საჯარო სამართალს განეკუთვნება საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული, საგადასახადო და სისხლის სამართალი და ასევე, საპროცესო სამართალი. კერძო სამართალს განეკუთვნება სამოქალაქო და მენარმეთა სამართალი. სამართლის რომელ სფეროს განეკუთვნება ესა თუ ის სამართლის ნორმა, შესაძლებელია რთული გასამიჯნო იყოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს განსჯადი სასამართლოს დასადგენად. მატერიალური კერძო სამართალი ეწოდება სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც მონაწილეთა შორის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ, ხოლო ფორმალური კერძო სამართალი იმ ნორმებს, რომელთა რეგულირების შინაარსი მატერიალური კერძო სამართლიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების განხორციელებას შეეხება.

**კერძო საჩივარი**  
კერძო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე, თუ ამას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ როგორც მხარეებს, ასევე, იმ პირებს, რომელთაც ეხებათ გასაჩივრებული განჩინება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლი). კერძო საჩივარი შედგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით და მისი შეტანის საერთო ვადა შეადგენს 12 დღეს იმ სასამართლოში, რომლის განჩინებაც საჩივრდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლი). კერძო საჩივრის განხილვის ვადა ზემდგომი სასამართლოს მიერ შეადგენს



## კვალიფიკაცია

ორ თვეს ამ სასამართლოსათვის დადგენილი წესების შესაბამისად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლები).

### კვალიფიკაცია

– სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა → **უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამის** დაძლევა და დასტურდება უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული → **დიპლომით** ან სერტიფიკატით.

### კიბერდანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლები ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კიბერდანაშაულისთვის. აღნიშნულ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა; კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული მოწყობის უკანონოდ გამოყენება; კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა. ა) კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (უნებართვო გულისხმობს უკანონოს, აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუცია უფლება ქმედების ჩამდენი პირისათვის), სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ

შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი). აღნიშნული ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**); ან თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვნად ითვლება 2000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანი). ამ შემთხვევაში პირი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. ბ) კომპიუტერული პროგრამის ან/და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის, დაშვების კოდის ან სხვა მსგავსი მონაცემის უნებართვო დამზადება, შენახვა, გაყიდვა, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა კიბერ დანაშაულის ჩადენის ან კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის მიზნით სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებისთვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ან თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ შემთხვევაში პირი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებ-

ლი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. გ) სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება, ნაშლა, შეცვლა ან დაფარვა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას. თუ ქმედებამ კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების განზრახ მნიშვნელოვანი შეფერხება გამოიწვია, იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ან თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში პირი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

**კოიმპერიუმი**

არის ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც მესამე სახელმწიფოს ეკუთვნის. კოიმპერიუმის მაგალითებია: ავსტრიისა და

თურქეთის კოიმპერიუმი ბოსნია-ჰერცეგოვინაში 1878-1908 წლებში; დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოიმპერიუმი ქალაქ ტანჟერში (მაროკო) 1923-1956 წლებში.

**კოლეგიური ორგანო**

არის საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიურად ხმათა უმრავლესობით.

**კოლეჯი**

→ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს → აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის → საგანმანათლებლო პროგრამას.

**კოლონია**

→ გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის N1541 რეზოლუციით განსაზღვრულია, როგორც ტერიტორია, რომელიც მეტროპოლიისგან გეოგრაფიულად განცალკევებულად მდებარეობს და, გარდა ამისა, მისგან ეთნიკურად ან/და კულტურულად განსხვავდება. აღნიშნული დეფინიცია დადგენილ იქნა დეკოლონიზაციის განხორციელების პროცესის კონტექსტში. დეკოლონიზაციის სამართლებრივი საფუძველი 1945 წელს გაეროს წესდებაში ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შეტანით გაჩნდა. 1946 წელს კი გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა წარმოადგინეს იმ ტერიტორიების სია, რომელიც მათზე დამოკიდებულ ტერიტორიებს და ქვეყნებს, კოლონიებს, წარმოადგენდნენ. თუმცა ის, თუ რომელი ტერიტორია და ქვეყანა

## კომანდიტური საზოგადოება

შევიდოდა სიაში, თვით სიის ნარ-მომდგენი სახელმწიფოს გადა-სანყვეტი იყო. ზემოაღნიშნულ რეზოლუციაში კოლონიის ცნების განსაზღვრა სწორედ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. უმეტესწილად, მეტროპოლია კოლონიებთან მიმართებაში ორმაგ პოლიტიკას ატარებდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ კოლონია საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით საკუთარ ტერიტორიად მიიჩნეოდა, თუმცა კოლონიის ტერიტორიაზე ეროვნული სამართლის ნორმებისგან განსხვავებული, სპეციალური ნორმები მოქმედებდა. მაგ. კოლონიებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა მეტროპოლიის მოქალაქედ არ ითვლებოდა. დეკოლონიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ, ხშირად, ყოფილი კოლონიები ყოფილ მეტროპოლიასთან სხვადასხვა ფორმით მჭიდრო კავშირს ინარჩუნებენ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც განსაკუთრებით ინტენსიური კულტურული და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებაში, ასევე, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნებაში (→ **ერთა თანამეგობრობა**).

## კომანდიტური საზოგადოება

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, კომანდიტური საზოგადოება ეწოდება ისეთ სამენარმეო იურიდიულ პირს, რომელშიც რამდენიმე პირი ერთი საფირმო სახელწოდებით ეწევა → **სამენარმეო საქმიანობას**, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით - შე-

ზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის - სრული პარტნიორები (კომპლემენტერები). კომანდიტური საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. კომპლემენტერები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (→ **სოლიდარული ვალდებულება**), მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ კომპლემენტერებს.

## კომბატანტი

კომბატანტებს მიეკუთვნებიან: ა) შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები; ბ) სახალხო რაზმები და მოხალისეები, თუკი ისინი სამხედრო სახის სარდლობას ექვემდებარებიან, ლიად ატარებენ იარაღს, აქვთ შორი მანძილიდან ამოსაცნობი განმასხვავებელი ნიშანი და იცავენ → **ომის კანონებსა და ჩვეულებებს**; გ) არაოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც მონინალმდეგის ძალებს, დროის სიმცირის გამო არაორგანიზებულად, იარაღით წინააღმდეგობას უწევს. კომბატანტს არ წარმოადგენენ ჯამშუშები, ასევე დაქირავებული მეომრები, რომლებიც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები არ არიან. კომბატანტი, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, სამხედრო ტყვის სტატუსით სარგებლობს და შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფლებით. კომბატანტის სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია ჰააგის 1899 წლისა და 1907 წლის კონვენციებით, ჟენევის კონვენ-



ციებით და დამატებითი ოქმებით.

**კომერციული საიდუმლოება**

→ **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup>** მუხლის თანახმად, არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანვად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა → **ზიანი** მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ინფორმაციის წარდგენისას პირი უთითებს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა.

→ **საჯარო დანესებულება** ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ეს ინფორმაცია. თუ საჯარო დანესებულება არ მიიჩნევის ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადანყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადანყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადანყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დანესებულებას. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ → **ადმინისტრაციულ ორგანოში** ან → **სასამართლოში** გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

**კომპიუტერული მონაცემი**

არის → **კომპიუტერულ სისტემაში** დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

**კომპიუტერული სისტემა**

არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).

**კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები**

ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესახებ სამართლებრივ ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, აგრეთვე, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს → **კომპიუტერული სისტემის** გამოყენებით.

ასეთ შემთხვევებში პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და სასამართლოს განჩინების საფუძველზე → **მომსახურების მომწოდებლისაგან** გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტი, ასევე მოხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია, → **ინტერნეტრაფიკის მონაცემები**, შინაარსობრივი მონაცემები (სისხლის სამართ-



## კონდომინიუმი

ლის საპროცესო კოდექსის 136-138 მუხლები).

### კონდომინიუმი

არის გარკვეულ ტერიტორიაზე ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ერთობლივად განხორციელება. → **კომპერტიუმისგან** განსხვავებით, როდესაც ორი ან მეტი სახელმწიფოს ხელისუფლება ერთობლივად ხორციელდება ტერიტორიაზე, რომელიც მესამე სახელმწიფოს ეკუთვნის, კონდომინიუმის შემთხვევაში, მოცემული ტერიტორია ამ სახელმწიფოების ტერიტორიად ითვლება. კონდომინიუმის მაგალითებია: საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის კონდომინიუმი ახალი ჰებრიდის კუნძულებზე 1906-1980 წლებში; დიდი ბრიტანეთისა და ეგვიპტის კონდომინიუმი სუდანზე 1899-1953 წლებში; პრუსიისა და ავსტრიის კონდომინიუმი შლეზვიგ-ჰოლშტაინში 1864-1866 წლებში.

### კონვენცია

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება.**

### კონკორდატი

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც დადებულია სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის და რომელიც არეგულირებს კათოლიკური ეკლესიის სტატუსს მოცემულ სახელმწიფოში. ხშირად კონკორდატად მოიხსენიება საქართველოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, თუმცა, ეს უკანასკნელი საერთაშორისო ხელშეკრულებას არ წარმოადგენს.

## კონსენსუსი

გადანწყვეტილების მიღების ერთი მეთოდი. კონსენსუსით გადაწყვეტილების მიღება ხდება არა კენჭისყრის საფუძველზე, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესის არცერთი მონაწილე გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ არ გამოდის. კონსენსუსით გადაწყვეტილების მიღების მეთოდი ფართოდ გამოიყენება → **საერთაშორისო ორგანიზაციებში** გადაწყვეტილებების მიღების დროს.

## კონსტიტუცია

არის ქვეყნის ძირითადი → **კანონი**, სახელმწიფოს დანერგილი და დაუნერგელი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს მის მართლწესრიგს, განსაკუთრებით კი - სახელმწიფოს წყობილებას, მის სტრუქტურას, უმაღლეს ორგანოებსა და მათ ფუნქციებს, ასევე ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად პრინციპებს და მოქალაქეების სამართლებრივ სტატუსს, განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა საქართველოს → **პარლამენტის** მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს, თუმცა, მას შემდეგ არაერთი ცვლილება განიცადა. ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება გამოიყოს უახლესი რეფორმა და ის ცვლილებები, რომლებიც შეიმუშავა 2009 წელს საქართველოს → **პრეზიდენტის** განკარგულების საფუძველზე შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ. ცვლილებები შეეხო კონსტიტუციის თითქმის ყველა ნაწილს, მათ შორის, პრეამბულასაც. ცვლი-

ლებები შევიდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციებისა და საქმიანობის განმსაზღვრელ ნორმებში. 2010 წლის 15 ოქტომბრის რეფორმით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული → **პრეზიდენტის** მიერ ფიცის დადების მომენტიდან. ამ ცვლილებებით იცვლება სახელმწიფო მმართველობის ფორმა — საქართველო ხდება ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა. ამრიგად, შეიზღუდა → **პრეზიდენტის** უფლებამოსილებები და გაიზარდა → **პრემიერ-მინისტრის** როლი.

**კონსტიტუციური შეთანხმება**

ანუ კონკორდატი არის შიდა-სახელმწიფოებრივი ნორმატიული ხელშეკრულება, რომელსაც ამტკიცებს → **პარლამენტი**. ასეთი → **ხელშეკრულების** მაგალითია საქართველოს → **სახელმწიფოსა** და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმებული კონკორდატი. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს → **პრეზიდენტი**. აღნიშნული კონსტიტუციური შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ მდგომარეობას, იურიდიულ სტატუსს, ურთიერთობას სახელმწიფოსთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტებთან. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამი-

ანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს → **კონსტიტუციას** და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა → **ნორმატიული აქტის** მიმართ.

**კონსული**

თანამდებობის პირი, რომელიც დანიშნულია წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ მიმღებ სახელმწიფოში ან მისი ტერიტორიის რომელიმე რაიონში (→ **საკონსულო ოლქი**) საკონსულო ფუნქციების განხორციელების მიზნით (→ **საკონსულო დანესებულება**). საქართველოს საკონსულო დანესებულებათა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, „კონსული“ ნიშნავს გენერალურ კონსულს, კონსულს, ვიცე-კონსულს ან საკონსულო აგენტს, რომელიც მეთაურობს საკონსულო დანესებულებას. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კონსული წარმოადგენს საკონსულო დანესებულების მეთაურს.

**კონტინენტური შეღფი**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 76-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, სანაპირო სახელმწიფოს კონტინენტური შეღფი მოიცავს წყლის ქვეშ სივრცის ზღვის ფსკერსა და ნიაღს, რომელიც სცდება სანაპირო სახელმწიფოს → **ტერიტორიულ ზღვას** სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების სახით. საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია სანაპირო სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებებს კონ-



## კონტრიბუცია

ტინენტური შეღვზე იმ ნერთილამდე, როდესაც შეღვის მკვეთრი დაქანება ოკეანის ფსკერს მიანწევს, თუმცა ამასთან შეღვის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს → **საწყისი ხაზიდან** 350 საზღვაო მილს და ასევე 100 საზღვაო მილს იმ ნერთილიდან, როდესაც წყლის სიღრმე 2500 მეტრს მიაღწევს. თუკი ამ წესებით დაანგარიშებული სიგანე 200 საზღვაო მილზე ნაკლებია, სანაპირო სახელმწიფოს უფლებები 200 საზღვაო მილზე ვრცელდება. კონტინენტური შეღვის გამოკვლევასა და შეღვში არსებულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან მიმართებაში სანაპირო სახელმწიფოებს განსაკუთრებული უფლება გააჩნიათ. სანაპირო სახელმწიფოს უფლება აქვს ააგოს ღია ზღვაში მისი კონტინენტური შეღვის წიაღისეულის დაზვერვისა და ექსპლუატაციისთვის საჭირო მოწყობილობები და ნაგებობები, სხვა მხრივ, კონტინენტური შეღვის თავზე მდებარე წყლებს → **ღია ზღვის** სტატუსიანი გამომდინარე რეჟიმი უცვლელი რჩება. საქართველოს კონტინენტური შეღვის სამართლებრივ სტატუსს, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, არეგულირებს საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 და 38-43-ე მუხლები. აღნიშნული კანონის 39-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, საქართველოს კონტინენტური შეღვის გარე საზღვარი ემთხვევა საქართველოს → **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის** გარე საზღვარს.

## კონტრიბუცია

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობიდან ფულადი სახსრების იძულებითი ამოღება. თანამედ-

როვე საერთაშორისო სამართლით კონტრიბუცია აკრძალულია (→ **რეკვიზიცია**).

## კონტროლი

→ **სამენარმეო საქმიანობაზე კონტროლი**.

## კონტროლის პალატა

→ **(ამჟამად: სახელმწიფო აუდიტის სამსახური)**.

არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური ზედამხედველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობის, კერძოდ, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ხარჯვისა და შესრულების კონტროლს. საქართველოს კონტროლის პალატა შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე (მუხლი 97). მის საქმიანობას განსაზღვრავს საქართველოს კანონი კონტროლის პალატის შესახებ, რომელის კონტროლის პალატას ანიჭებს უმაღლესი აუდიტორული ორგანოს სტატუსს და ადგენს აუდიტის საერთაშორისო სტარდარტებს საქართველოში. საქართველოს კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი ორგანო და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. საქართველოს კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტორულ საქმიანობას პალატას ახორციელებს აუდიტის დეპარტამენტების მეშვეობით, რომელთა საქმიანობა მოიცავს: ფინანსურ აუდიტს (შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან), შესაბამისობის აუდიტს (ხარჯვა-გამოყენების კანონიერ-

ბა და მიზნობრიობა) და ეფექტიანობის აუდიტს (ფინანსების მართვის ეკონომიურობა, მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა). გარდა საჯარო მმართველობისა საქართველოს კონტროლის პალატას 2012 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაეკისრა პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგიც, რომელსაც პალატა ახორციელებს მონიტორინგის სამსახურის მეშვეობით.

### კონფედერაცია

სახელმწიფოთაშორისი კავშირის ფორმა. კერძოდ, კონფედერაციას წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს, რომლებიც ინარჩუნებენ → **საერთაშორისო სამართალსუბიექტობას** და → **სუვერენიტეტს**. ამასთან ისინი საერთო ორგანოებს გადაცემენ თავიანთი უფლებამოსილებების ნაწილს ამა თუ იმ სფეროში. ფედერაციისგან კონფედერაცია იმით განსხვავდება, რომ საერთო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უშუალო ადრესატი მხოლოდ და მხოლოდ კონფედერაციაში გაერთიანებული სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ და არა ამ სახელმწიფოებში მცხოვრები პირები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კონფედერაციას ასევე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ურთიერთობებში, მონაწილეობის ფარგლები განისაზღვრება კონფედერაციის სუბიექტებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. კონფედერაციის მაგალითია → **ბენილუქსი**.

### კოოპერატივი

მენარმეთა შესახებ საქართველოს

კანონის მე-60 მუხლის თანახმად, კოოპერატივი ეწოდება წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებულ ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილ საზოგადოებას, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივი ვალდებულია გამოკრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. კოოპერატივში შენატანს ეწოდება პაი და მის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 62-ე მუხლი). კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. კოოპერატივის საქმეების გაძლოლას ახორციელებს გამგეობა, რომელიც შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლი).

### კრედიტორი

სამოქალაქო სამართალში არის პირი, რომელსაც სხვა პირის (→ **მოვალე**) მიმართ → **ვალდებულებითი ურთიერთობის** საფუძველზე წარმოემოება მოთხოვნის უფლება. აღსრულების პროცესში კრედიტორი ეწოდება პირს, რომლის განცხადების საფუძველზეც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება.

## კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

### კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის თანახმად, → **ვალდებულებითი ურთიერთობის** კრედიტორის მიერ შესაძლებელია მოხდეს ვადის გადაცილება, თუ იგი მისთვის შეთავაზებულ → **შესრულებას**, რომლის ვადაც დამდგარი, არ მიიღებს. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობას წარმოადგენს გარემოება, რომ მოვალესათვის ვალდებულების შესრულება შეუძლებელი არ არის (→ **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**). შესრულების სიტყვიერი შეთავაზება საკმარისია, თუ კრედიტორმა წინასწარ განაცხადა, რომ იგი შესრულებას არ მიიღებს ან როდესაც საჭიროა კრედიტორის მიერ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელება და იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს (მაგალითად, კრედიტორმა ნივთი მოვალის საცხოვრებელ ადგილას უნდა მიიღოს), (სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობას არ

წარმოადგენს მისი ბრალეულობა. შეთავაზებული შესრულების მიუხედავად, მოცემულია კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორივე მხარის ვალდებულებები ერთდროულად უნდა შესრულდეს. 3. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 392-ე და 393-ე მუხლების თანახმად: კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე მხოლოდ მაშინ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა მოვალის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო. გარდა ამისა, კრედიტორი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები; კრედიტორზე გადადის ნივთის შემთხვევითი გაფუჭების ან დაღუპვის რისკი და მას უფლება არა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის მოითხოვოს პროცენტის მიღება.

ლ

**ლეგატი**

→ **წმინდა საყდრის** (რომის პაპის) წარმომადგენელი სახელმწიფოებში. ლეგატი შეიძლება დროებითი, მუდმივი ან საგანგებო მისიით იქნას წარგზავნილი. სახელმწიფოში წმინდა საყდრის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურს → **ნუნციუსი** ეწოდება.

**ლიზინგი**

ლიზინგის ხელშეკრულება, სამართლებრივი თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება შეიცავდეს ნივთის გამოსყიდვის ოფციას, არის → **ქირავნობის ხელშეკრულება**. ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებს საზღაურის სანაცვლოდ სარგებლობაში გადასცემს განსაზღვრულ ქონებას (სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლი). ლიზინგის ხელშეკრულება საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას და მის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 576-579-ე მუხლებს. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების მოთხოვნა განიხილება → **გამარტივებული წარმოების წესით**.

**ლიკვიდაცია**

სისხლის სამართალში არის იურიდიული პირის სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ძირითად სასჯელად (სისხლის სამართლის კოდექსის 107 3 - ე მუხლის მე-2 ნაწილი). ლიკვიდაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დანაშაულებრივი

საქმიანობა იურიდიული პირის შექმნის ძირითად მიზანს ან მისი საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნისას სასამართლო (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ნიშნავს ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს), რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ლიკვიდაციას, იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). ლიკვიდაცია ასთან დაკავშირებული ხარჯები გადახდება მსჯავრდებულ იურიდიულ პირს (სისხლის სამართლის კოდექსის 107 4-ე მუხლი).

**ლისაბონის ხელშეკრულება**

ე.წ. „რეფორმის ხელშეკრულება“, რომელმაც ცვლილებები და დამატებები შეიტანა ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში. ლისაბონის ხელშეკრულებას, რომლის სრული სახელწოდებაცაა „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, ხელი მოეწერა 2007 წლის 13 დეკემბერს და იგი ძალაში შევიდა 2009 წლის 1-ლ დეკემბერს. მისი



## ლიცენზია

ტექსტი არსებითად შეესაბამება → **ევროპული კონსტიტუციის** ტექსტს. ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპულ კავშირს სამართალსუბიექტობა მიენიჭა. გარდა ამისა, იგი ძირითადად ითვალისწინებს ცვლილებებს ევროპული კავშირის ინსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში.

## ლიცენზია

→ **ადმინისტრაციული ორგანოს** მიერ → **ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება: სარგებლობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება. სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის ნესით და უკავშირდება ობიექტს. → **ლიცენზიის მფლობელი** უფლებამოსილია დაყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს, მათ შორის, მემკვიდრეობით; საქმიანობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მაძიებლის მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ და უკავშირდება სუბიექტს. საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია; გენერალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტი-

პის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია; სპეციალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს რომელიმე ვინაო საქმიანობა ლიცენზირებადი საქმიანობის ზოგადი სახეობიდან და ვალდებულია წარმოადგინოს მხოლოდ სპეციალური სალიცენზიო პირობების დამაკმაყოფილებელი ფაქტობრივი გარემოებები. ლიცენზიის მაძიებელს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა ისე, რომ არ მოიპოვოს საქმიანობათა უფრო ფართო წრის მარეგულირებელი ლიცენზია;

## ლიცენზიის მფლობელი

არის → **პირი**, რომელსაც → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს → **ლიცენზიით** განსაზღვრული საქმიანობა, ისარგებლოს რესურსით, ან სხვა ლიცენზიის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების უფლება;

## ლოკალური საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც → **საყოველთაო საერთაშორისო სამართლისგან** განსხვავებით, მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მხოლოდ კონკრეტული წრისათვის მოქმედებს. ლოკალურ საერთაშორისო სამართალს მიეკუთვნება, პირველ რიგში, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ მათი მხარეები-



სთვის. თუმცა ლოკალურ საერთაშორისო სამართალს ასევე მიეკუთვნება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო სამართლის კონკრეტულ სუბიექტებს შორის მოქმედებენ. ასეთი სახის არის რეგიონალური საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. ზოგადად, ლოკალური საერთაშორისო სამართალი საყოველთაო საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში სპეციალური ნორმის ფუნქციას ასრულებს. თუმცა ლოკალური საერთაშორისო სამართლის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის → **იმპერატიულ ნორმებს**.

**ლტოლვილი**

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციისა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის მიხედვით, ლტოლვილი არის პირი, რომელიც საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა

და იმყოფება რა თავისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება. ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის გასახლება ან დაბრუნება დაუშვებელია იმ ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო. კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც მოცემულ მომენტში ღებულობენ დახმარებას და მფარველობას გაეროს სხვა ორგანიზაციებიდან, გარდა → **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისა**; პირებზე, რომლებიც თავშესაფრის ქვეყანაში სარგებლობენ იმავე უფლებებით და აკისრიათ იგივე მოვალეობები, რაც მოცემული ქვეყნის მოქალაქეებს; არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, → **სამხედრო დანაშაული** ან → **დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ**, არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის ქვეყნის საზღვრებს გარეთ, სანამ შევიდოდა ამ ქვეყანაში, როგორც ლტოლვილი, ცნობილია დამნაშავედ საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს.



მ

**მაასტრიხტის ხელშეკრულება**  
→ ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულება.

**მაგისტრანტი**  
სტუდენტი, რომელიც სწავლობს  
→ მაგისტრატურაში.

**მაგისტრატი მოსამართლე**  
→ სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა.

**მაგისტრატურა**  
1. აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია: ა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება; ბ) სპეციალობის შეცვლა; გ) კვალიფიკაციის ამაღლება.

**მაგისტრი**  
მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – → **მაგისტრატურისათვის** დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

**მაკონტროლებელი ორგანო**  
სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე სხვა → **ადმინისტრაციული ორგანო**, რომელიც კანონის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს → **კონტროლი სამენარმეო საქმიანობაზე**. მენარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ → **საგადასახადო ორგანოები**, აგრეთვე → **საქართველოს კონტროლის პალატა**. გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ურთიერთობებისა → **სამენარმეო საქმიანობა** შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მენარმის სამენარმეო საქმიანობის შემონემების ნინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამენარმეო საქმიანობა (მათ შორის, შევიდეს სანარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს სანარმოს საქმიანობა, დალუქოს მენარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს სანარმო, შეამოწმოს მენარმის მიერ გამოშვებული ნანარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. მოსამართლე ბრძანებას მენარმის საქმიანობის შემონემების შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონ-



ტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას და საბუთებულები და საფუძვლიანი ეჭვით მენარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. თუ მოსამართლე არ გაცემს ბრძანებას მენარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, მენარმის შემოწმება არ განხორციელდება. თუ მენარმის შემოწმება უკვე დაწყებულია, მოსამართლის მიერ შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის უარის თქმისას იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მენარმეს უპირობოდ დაუბრუნდეს მაკონტროლებელი ორგანოსათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა ან სხვა გადაცემული ქონება თუ დოკუმენტი. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მენარმეს მიეცემა სათანადო და სრული ანაზღაურება. მენარმეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს უკანონო შემოწმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს. მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს მენარმე მხოლოდ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც არსებობს მოსამართლის ბრძანება. მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის მოსამართლის მიერ განხილვისა და გადაწყვეტის წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით.

**მამკვიდრებელი**  
→ **მემკვიდრეობა.**

**მართლზომიერი რისკი**  
არის → **მართლწინააღმდეგობის**

გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება. სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის მიხედვით, მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. (მაგალითად, აფეთქება გარდაუვალია. არსებობს ორი ლილაკი: ერთზე დაჭერისას ბომბი აღარ აფეთქდება, მეორეზე დაჭერისას - აფეთქდება. ამ გასწია რისკი და ერთ-ერთ ლილაკს დააჭირა. შენობა აფეთქდა, მაგრამ რისკი მაინც იქნება გამართლებული, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ არსებობდა).

**მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო**

წარმოადგენს → **გაეროს** ერთ-ერთ ძირითად ორგანოს. იგი დაფუძნებულია გაეროს წესდების ფარგლებში, კერძოდ 1945 წელს. სასამართლო საქმიანობას შეუდგა 1946 წელს. მისი ადგილსამყოფელია ჰააგა (ნიდერლანდები). სასამართლოს დანიშნულებას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად (შეად. → **საერთაშორისო სამართლის წყაროები**) სახელმწიფოთაშორისი დაკავების განხილვა/გადაწყვეტა და გაეროს ძირითადი ორგანოებისა და სპეციალიზებული ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე სარეკომენდაციო დასკვნების მომზადება. სასამართლო შედგება 15 მოსამართლისაგან, რომლებიც 9 წლის ვა-



დით აირჩევინ გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ. მოსამართლეების შერჩევისას ხდება გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინება. კერძოდ, 3 მოსამართლე არის წარმოდგენილი აფრიკული სახელმწიფოებიდან, 2 - ლათინური ამერიკიდან, 2 აღმოსავლეთ ევროპიდან, 3 - აზიიდან და 5 - დასავლეთ ევროპიდან და სხვა რეგიონებიდან. ერთსა და იმავე სახელმწიფოს სასამართლოში მხოლოდ ერთი მოსამართლე შეიძლება ჰყავდეს. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სამართლებრივი დავები სახელმწიფოებს შორის და გაეროს ორგანოებისა და სპეციალიზებული ორგანიზაციების თხოვნის საფუძველზე მოამზადოს სარეკომენდაციო დასკვნა. ამასთან, სასამართლო კომპეტენტურია განიხილოს სახელმწიფოთაშორისი დავები, თუ მხარეებმა აღიარეს სასამართლოს იურისდიქცია. სასამართლოს იურისდიქციის აღიარება შეიძლება მოხდეს: სპეციალური შეთანხმების დადების გზით, რომელიც ითვალისწინებს დავის განხილვას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში; იურისდიქციის შესახებ დათქმის გზით, თუ ხელშეკრულება, რომლის მონაწილეებიც არიან სახელმწიფოები ითვალისწინებს მხარეთა მიერ ხელშეკრულების განმარტებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავების ან უთანხმოების შემთხვევაში საკითხის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემას; სახელმწიფოთა მიერ გაეროს გენერალური მდივნის სახელზე დეკლარებული განცხადებების ორმხრივი ეფექტის საფუძველზე, რომ-

ლის ძალითაც ისინი აღიარებენ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას იმ სახელმწიფოებთან დავის არსებობის შემთხვევაში, რომელთაც გაკეთებული აქვთ მსგავსი შინაარსის განცხადებები. ამასთან, ზემოხსენებული განცხადებების გაკეთების დროს სახელმწიფოებს შეუძლიათ გააკეთონ დათქმა, რის საფუძველზეც ისინი არ აღიარებენ სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე. სახელმწიფოებს შორის დავებზე სასამართლოს გამოტანის გადაწყვეტილებას გააჩნია სავალდებულო ძალა საქმის მონაწილე მხარეებისათვის. გადაწყვეტილების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს გაეროს უშიშროების საბჭო. საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა 1992 წლის 31 ივლისს. 1995 წლის 20 ივნისს კი გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადების საფუძველზე საქართველომ აღიარა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია.

### მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. 1. ა) კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები, ამ მუხლის გაგებით, არის ნებისმიერი კანონი მიუხედავად იმისა, კერძო სამართალს განეკუთვნება იგი თუ საჯარო სამართალს. მნიშვნელობა ენიჭება ამკრძალავი კანონის შინა-

არსსა და მიზანს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს → **გარიგების ბათილობა**. ხშირ შემთხვევაში, თავად კანონის სიტყვასიტყვითი უღერადობა მიუთითებს კანონსაწინააღმდეგო გარიგების ბათილობაზე. სხვა შემთხვევაში, კანონის შინაარსისა და მიზნის განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს გარიგების კანონსაწინააღმდეგო შინაარსი. ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგებით ხდება ამკრძალვი კანონის გვერდის ავლა, გარიგება არ არის ბათილი, თუ ამკრძალვი კანონი გარიგების მხოლოდ განსაზღვრულ სახეებს შეეხება. კანონის გვერდის ავლით დადებული გარიგება ჩაითვლება ასევე ბათილად, თუ არ უნდა დადგეს გარიგებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი.

2. **ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება ბათილია**, თუ გარიგების შინაარსი, მოტივი ან მიზანი მიუღებელია ყველა სამართლიანად მოაზროვნე ადამიანისათვის. საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობრივი ფასეულობები განიცდიან ცვლილებას და შესაბამისად მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომელიც გარიგების დადების დროს ამ ეპოქისათვის არის დამახასიათებელი. ზნეობის ნორმების სამართლებრივი დეფინიცია უშუალო კავშირშია სამართლებრივი სისტემისათვის მნიშვნელოვან → **კეთილსინდისიერების პრინციპთან**. ზნეობის ნორმების გამო გარიგების ბათილობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ასე, მაგალითად, ბათილია გარიგება, თუ იგი შინაარსის მიხედვით მიმართულია ზნეობრივად გაუმართლებელი სამართლებრივი შედეგისკენ, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა

ან თუ გარიგების შინაარსი ისეთი ქმედებების განხორციელებას შეიცავს, რომელიც მეუღლეთა ურთიერთპატივისცემის მოვალეობას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, გარიგება შესაძლებელია ბათილი იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და სამაგიერო შესრულებას შორის არაადექვატური ურთიერთშეფარდება არსებობს ან გარიგება იწვევს ერთ-ერთი მხარის ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას. ასეთ შემთხვევად შეიძლება შეფასდეს სესხის ხელშეკრულებისას გათვალისწინებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებებია ე.წ. მევახშური და კაბალური გარიგებები, რომელიც პირის იძულებით მდგომარეობის გამოყენების, გამოუცდელიობის ან სულიერი სისუსტის საფუძველზეა დადებული. ასეთ შემთხვევებში, საჭიროა, რომ მოცემული იყოს არამხოლოდ შესრულებასა და სამაგიერო შესრულებას შორის არაადექვატური ურთიერთშეფარდება, არამედ ასეთი გარიგებით სარგებლის მიმღების შესაბამისი განზრახვაც.

3. **სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგება**. ასეთ გარიგებას წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგ მიმართული გარიგებები. მაგალითად, ამომრჩეველთა ხმების ყიდვა ან ადამიანით ვაჭრობა. საჯარო წესრიგს ეწინააღმდეგება ასევე კარტელური შეთანხმებები კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის.

**მართლსაწინააღმდეგო ქმედება**  
→ **დანაშაული**.



**მართლწინააღმდეგობა**

მართლწინააღმდეგეო არის პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მართლწინსრიგს. მართლწინააღმდეგობის ცნება სამართლის ყველა სფეროში ერთმნიშვნელოვნად არის გაგებული. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები გამომრიცხავენ ქმედების უმართლობას (ქმედების მართლწინააღმდეგობას) სამართლის ყველა დარგში. მაგალითად, სამოქალაქო სამართლებრივი → **უკიდურესი აუცილებლობა** გამომრიცხავს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების სისხლის-სამართლებრივ მართლწინააღმდეგობას. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს აგრეთვე თანამონაწილესაც. მართლწინააღმდეგობის კანონისმიერი გარემოებებია: → **აუცილებელი მოგერიება** (სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-19 მუხლი), → **დამნაშავის შეპყრობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი), → **უკიდურესი აუცილებლობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი), → **მართლზომიერი რისკი** (სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლი), → **თვითდახმარება** (სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი). სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე მუხლი ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს: დაზარალებულის თანხმობა (→ **დაზარალებულის (სავარაუდო) თანხმობა**) და → **მოვალეობათა კოლიზია**.

ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორც წესი, გამოირიცხება არა მხოლოდ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების ობიექტურად არსებობის შემთხვევაში, არამედ პირი შესაბამისი ნებითაც უნდა მოქმედებდეს (სუბიექტური ელემენტი).

**მასალის გადაშუაება**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, თუ მასალის გადაშუაების ანდა გადაკეთების შედეგად იქმნება ახალი მოძრავი ნივთი, მაშინ მწარმოებელი და მასალის მესაკუთრე ხდებიან ახალი ნივთის თანამესაკუთრენი. ახალი მოძრავი ნივთი არ იქმნება იმ შემთხვევაში, როცა მოცემულია ნივთის შეკეთება. ახალი მოძრავი ნივთის არსებობის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მისი ახალი სახელწოდება (მაგალითად, თუნუქისგან ქილის დამზადება). მწარმოებლის მიერ საკუთრების მოპოვება ხდება ორიგინალურად და არა → **გარიგების საფუძველზე** და ეს გარემოება არ არის დამოკიდებული მის არაკეთილსინდისიერებაზე (→ **საკუთრების კეთილსინდისიერი შექცნა**). მწარმოებელი ამ მუხლის მიხედვით არის პირი, რომელიც ახალ ნივთს საკუთარი პასუხისმგებლობით ამზადებს, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა იგი სხვა პირთა შრომას. აქედან გამომდინარე, საწარმოს მუშა არ არის ახალი ნივთის მწარმოებელი. ახალ ნივთზე საკუთრების შექცნით, ქარწყიდება მასალის გადაშუაებაზე არსებული ყველა → **სანივთო უფლება** (სამოქალაქო კოდექსის 195-ე მუხლი). თანამესაკუთრეთა წილი განისაზღვრება მასალის ღირებულებისა და წარმოების ხარჯების პროპორციულად, თუ



მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პირს, რომელმაც დაკარგა საკუთრება ან სხვაგვარად დაირღვა მისი უფლება მასალის გადამუშავების, → მოძრავი ნივთების შერწყმის ან → მოძრავი ნივთის მიწის ნაკვეთთან დაკავშირების შედეგად, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ პირისაგან, ვინც მესაკუთრე გახდა (სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლი). დაუშვებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა.

**მასობრივი განადგურების იარაღი** ატომური (ბირთვული), ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, რომლის აღსანიშნავადაც, ინგლისური აბრევიატურის გათვალისწინებით, ასევე გამოიყენება შემოკლებები ABC ან NBC. მასობრივი განადგურების იარაღის შექმნისა და გამოყენების საყოველთაო კონტროლის საერთაშორისო მექანიზმები დღემდე არ არსებობს. ცალკეული მიმართულებები კი რეგულირდება მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ასეთი მრავალმხრივი ხელშეკრულების მაგალითია ხელშეკრულება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომელიც 1963 წლის 10 ოქტომბერს შევიდა ძალაში (აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენენ საფრანგეთი, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა) და ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა 1996 წლის 10 სექტემბერს (ხელშეკრულება ძალაში ჯერჯერობით არ შესულა. საქარ-

თველოს პარლამენტის მიერ იგი რატიფიცირებულ იქნა 2002 წლის 4 ივლისს), ასევე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 1970 წლის 5 მარტს შევიდა, და ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენცია, რომელიც 1975 წლის 26 მარტიდან არის ძალაში. მასობრივი განადგურების იარაღის შექმნისა და გამოყენების კონტროლის ორმხრივი ინსტრუმენტის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირის შორის 1972 და 1979 წელს დადებული ხელშეკრულებები სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (ე.წ. SALT I და SALT II) და ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2010 წლის 10 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ (START).

**მასწავლებელი**  
 → **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების** მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის  
 → **ეროვნული სასწავლო გეგმით** გათვალისწინებულ საგნებს. მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სერტიფიცირებულია ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლობის მქონე პირი. მასწავლებლის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის უფლების მოპოვებასა და განახლებას. მასწავლებლობის უფლების მოპოვება მოიცავს: ა) კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას; ბ) მძიფ-



ბლობის პერიოდის წარმატებით გავლას; გ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. მასწავლებელი ვალდებულია: ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება; ბ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე; გ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე; დ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი; ე) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები; ვ) საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ზოგადი განათლების მასწავლებლის სახეობა: ა) დანყებითი საფეხურის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგანი დაწყებით საფეხურზე; ბ) საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი საბაზო და საშუალო საფეხურებზე; გ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფი-

კაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ყველა საგანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ საგნობრივ ჯგუფშია გაერთიანებული, საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე; დ) სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი; ე) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი – მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს. ვ) სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი – სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტს თითოეული სახის მასწავლებლისათვის. სამხედრო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი უნდა განისაზღვროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიას შეიძლება ასწავლიდეს პროფესიის მასწავლებელი, რომელიც არის პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.



**მდგრადი განვითარება**

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი; „მდგრადი განვითარების პრინციპები“ - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებული „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის“ „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების“ დასკვნით დოკუმენტებში.

**მედიაცია**

განიმარტება, როგორც მხარეთა შორის კონფლიქტის გადანყვეტის ნებაყოფლობითი და კონფიდენციალური პროცესი, რომელსაც წარმართავს და უძღვება ნეიტრალური მხარე-მედიატორი. ე.წ. მედიაციის პროგრამა სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

გათავისუფლების მექანიზმია. აღნიშნული პროგრამა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული გზა, საშუალებას აძლევს პროკურორს, არ დაიწყოს/შენწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადანყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანყების ან უკვე დანყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო და არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება → **განრიდების** ან მედიაციის შესახებ. მედიაციის პროგრამის ფარგლებში მედიაცია განიმარტება, როგორც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვანისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადანყვეტა. მედიაციის პროცესში აგრეთვე მონაწილეობენ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და განსაკუთრებულ შემთხვევაში სხვა პირები. მედიაციის პროცესის წარ-



## მედიის თავისუფლება

მატებით დასრულების შემთხვევაში იდება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს. დაუშვებელია ხელშეკრულებით არასრულწლოვანისთვის იმაზე უფრო მკაცრი ვალდებულების დაკისრება, ვიდრე სასამართლო შეუფარდება არასრულწლოვანს ჩადენილი ქმედებისათვის. ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი. თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდანეების ან უკვე დანეხებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

## მედიის თავისუფლება

→ **სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლება.**

### მეკობრეობა

→ **საერთაშორისო ხასიათის დანაშაული**, რომლის დეფინიცია მოცემულია ღია ზღვის შესახებ ჟენევის 1958 წლის კონვენციის მე-15 მუხლსა და საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 101-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის მიხედვით, მეკობრეობად ჩაითვლება შემდეგი ქმედებები: ნებისმიერი უკანონო ძალადობის აქტი

ან თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან ძარცვა, რომელსაც ახორციელებენ კერძო საკუთრებაში მყოფი გემის ან საფრენი აპარატის ეკიპაჟის წევრები ან მგზავრები და რომელიც მიმართულია სხვა გემის ან საფრენი აპარატის, ან მასზე არსებული საკუთრების ან მყოფი პირების წინააღმდეგ; ნებაყოფლობითი მონაწილეობა გემის ან საფრენი აპარატის ექსპლუატაციაში, როდესაც ცნობილია, რომ აღნიშნული გემი ან საფრენი აპარატი მეკობრეობით არის დაკავებული; მეკობრეობის ნაქეზება ან წინასწარ განზრახვით მეკობრეობის აქტის განხორციელების ხელშეწყობა. სახელმწიფოები ვალდებული არიან ებრძოლონ მეკობრეობას. ამ მიზნით, მათ მინიჭებული აქვთ უფლება, ღია ზღვაში დააკავონ მეკობრეების გემები ან ის გემები, რომლებიც მეკობრეებს ხელში აქვთ ჩაგდებული და ასევე ამ გემებზე მყოფი პირები. მეკობრეობისთვის პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ დამკავებელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს მეკობრეობის დასჯადობას. კერძოდ, 228-ე მუხლის მიხედვით, მეკობრეობა, ესე იგი წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის ან რომელმაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

## მემკვიდრე

1. მემკვიდრე არის პირი, რომელზეც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში (სამკვიდროს გახსნა) ანდერძით ან კანონით გადადის მამკვიდრებლის უფლებები და ვალდებულებები, რამდენადაც შესაძლებელია მათი მემკვიდრეობით გადაცემა (→ **უღირსი მემკვიდრე**). უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, მაშასადამე, იგი არ საჭიროებს მემკვიდრის მიერ ნების გამოვლენას, მაგრამ მას შეუძლია უარი თქვას მემკვიდრეობაზე (→ **სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე**). პირი ხდება მამკვიდრებლის უფლებებისა და ვალდებულებების მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც, როცა სამკვიდრო ქონება იმაზე ნაკლებია, ვიდრე მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ვალები. ამ შემთხვევაში, მემკვიდრეს შეუძლია კრედიტორთა მოთხოვნები მხოლოდ მიღებული აქტივების ფარგლებში დააკმაყოფილოს (→ **მემკვიდრის შესუღული პასუხისმგებლობა**). იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრეზე გადადის მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები, საანდერძო დანაკისრის მიმღებს წარმოეშობა მემკვიდრის მიმართ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება განსაზღვრული ნიუთების გადაცემის თაობაზე. მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია რთული იყოს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა სიტყვიერ აღნიშვნას, არამედ ინტერპრეტაციის გზით მამკვიდრებლის ნების გამოკვლევას. მემკვიდრე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, რომელიც ცოცხალი იყო მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტიდან, ისე იური-

დიული პირი, რომელიც შექმნილი იყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის (სამოქალაქო კოდექსის 1307-ე, 1308-ე მუხლები). გარდა ამისა, მემკვიდრე შეიძლება იყოს მამკვიდრებლის შვილი, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადება. ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი შეიძლება იყოს მამის მემკვიდრე, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით. მემკვიდრე შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე ფიზიკური და იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში, სამკვიდრო ქონება წარმოადგენს ყველა თანამემკვიდრის საკუთრებას. მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს სათანადო მემკვიდრეც იმ შემთხვევისათვის, თუ სამკვიდროს გახსნამდე მემკვიდრე გარდაიცვლება, სამკვიდროს არ მიიღებს ან მემკვიდრეობა ჩამოერთმევა (სამოქალაქო კოდექსის 1370-ე მუხლი). 2. თუ მამკვიდრებლის უფლებები და ვალდებულებები გადადის არა ერთ, არამედ რამდენიმე პირზე, მაშინ ისინი არიან თანამემკვიდრეები; ამ შემთხვევაში, სამკვიდროს გაყოფამდე ქონება ერთიანი სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს (სამოქალაქო კოდექსის 1334-ე მუხლი). თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია თავისი წილის განკარგვა; განკარგვის ქვეშ მოიზრება როგორც წილის გაყიდვა, ისე მისი სანიუთო უფლებებით დატვირთვა. მაგრამ თანამემკვიდრეს არ შეუძლია განკარგოს ცალკეული საგნები თავისი წილიდან (სამოქალაქო კოდექსის 1470-ე მუხლი). 3. სამკვიდროს გაყოფა ხდება მემკვიდრეებს შორის იმ წილის კვალობაზე, რაც მათ კანონით ან ანდერძით ეკუთვნით. მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით

## მემკვიდრეობა

განსაზღვროს გაყოფის წესი ან მიანდოს იგი მესამე პირს (სამოქალაქო კოდექსის 1452-ე, 1453-ე მუხლები). როგორც წესი, სამკვიდროს გაყოფა ხდება მემკვიდრეთა თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე; მათ შეუძლიათ მთელი სამკვიდროს გაყიდვა და მიღებული თანხის მათი წილის კვალობაზე განაწილება; ასევე, წილის გამოყოფა ნატურით, თუ ასეთი გამოყოფა შესაძლებელია ან კანონით დაშვებულია. ისეთი ქონება, რომლის გაყოფაც გამოიწვევს მისი სამეურნეო დანიშნულების მოშლას ან შესუსტებას, მემკვიდრეებს ეკუთვნით საერთო საკუთრებაში. სამოქალაქო კოდექსის 1460-1462-ე მუხლებით განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყოფა და წილის კომპენსაციის წესი. სამკვიდროს გაყოფისას მემკვიდრეს შეიძლება ჰქონდეს უპირატესი უფლება სხვა მემკვიდრეებთან შედარებით, მაგალითად, თუ იგი სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ან, თუ მემკვიდრეს მამკვიდრებელთან ერთად ჰქონდა საერთო საკუთრების უფლება ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 1480-ე, 1481-ე მუხლები).

## მემკვიდრეობა

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს → **ანდერძით** და კანონით მემკვიდრეობას. ა) კანონით მემკვიდრეობა ნიშნავს გარდაცვლილის ქონების (სამკვიდრო ქონება) გადასვლას კანონში მითითებულ პირებზე (სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლი). კანონით მემკვიდრეობა ხორციელდება ისე, რომ მემკვიდრეებს არ ევალებათ განსაზღვრული მოქმედების შესრულება, მაგალითად, სამკვიდ-

რო ქონებაზე მფლობელობის მოპოვება. კანონით მემკვიდრეობა არ საჭიროებს მემკვიდრეების ცოდნას მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ამ ფაქტის ცოდნას მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში (→ **სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე**). მამკვიდრებლის კანონიერი მემკვიდრეები არიან მისი შვილები, მეუღლე და ნათესავები. მამკვიდრებლის ნათესავები განსაზღვრული არიან ხუთ რიგში, მაგრამ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდეგი რიგის მემკვიდრეობას (სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლი). თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის გარდაიცვლება წინა რიგის მემკვიდრე, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, მაშინ მისი შვილები თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. ეს წესი ვრცელდება, პირველი რიგის მემკვიდრეების შვილიშვილებზე, შვილიშვილის შვილებზე და ამ უკანასკნელთა შვილებზე, აგრეთვე, მეორე რიგის მემკვიდრეების შვილებზე და შვილიშვილებზე. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები, ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მამკვიდრებლის შვილების გარდა, პირველი რიგის კანონით მემკვიდრე არის გარდაცვლილის მეუღლეც (ასევე, → **სავალდებულო წილი**). მეუღლის მემკვიდრეობის წინაპირობა არის ის, რომ სამკვიდროს გახსნის დროს მეუღლეები არ იყვნენ განქორწინებული ან მამკვიდრებ-

ლის გარდაცვალებამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი არ იყო და მეუღლეები არ ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე ან, თუ არ არსებობდა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი და მამკვიდრებლის მიერ სარჩელი არ იყო წარდგენილი (სამოქალაქო კოდექსის 1340-1342-ე მუხლები). მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ვრცელდება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის. თუ არც კანონით და არც ანდერძით არ განისაზღვრა მემკვიდრე, ამ შემთხვევაში, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე (სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი). ბ) → **ანდერძით** მემკვიდრეობა მოცემულია, როდესაც მამკვიდრებელი ანდერძით განსაზღვრავს მემკვიდრეთა წრესა და მათ მიერ სამკვიდროს მიღების მოცულობას.

**მემკვიდრეობითი ტრანსმისია**  
→ **სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე.**

**მემკვიდრეობის სამართალი**  
მემკვიდრეობის სამართალი არეგულირებს მემკვიდრის უფლებებსა და მოვალეობებს, → **მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობას** მამკვიდრებლის ვალდებულებების გამო, მამკვიდრებლის მიერ → **ანდერძის** შედგენასა და → **ანდერძის აღსრულებას** და სხვა. მემკვიდრეობის სამართლის ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნში.

**მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობა**  
კრედიტორთა წინაშე მამკვიდრებლის ვალდებულებების გამო მემკვიდრეები პასუხისმგებელი

არიან მიღებული აქტივის ფარგლებში, თითოეული თავისი წილის პროპორციულად (სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი). მაშასადამე, მემკვიდრეებზე გადასული ქონება წარმოადგენს მემკვიდრის ქონების განცალკევებულ მასას (*separatio bonorum*) და კრედიტორებს არა აქვთ შესაძლებლობა მოთხოვნები დაიკმაყოფილონ მემკვიდრეების სხვა ქონებიდან. კრედიტორთა მოთხოვნები უნდა წარედგინოთ მემკვიდრეებს ექვსი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. მოთხოვნების წარდგენა არ არის დამოკიდებული თვით ამ მოთხოვნების ვადის დადგომაზე; იმ შემთხვევაში, როცა კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მოთხოვნების წარდგენის ვადა შეადგენს ერთ წელიწადს მოთხოვნის ვადის დადგომიდან. ამ ვადების დაუცველობა წარმოშობს მემკვიდრეების → **ხანდაზმულობის** → **შესაგებელს** კრედიტორთა მოთხოვნების წინააღმდეგ (სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი). მამკვიდრებლის ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას, სახელმწიფო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს ამ ქონების ნაწილით ისე, როგორც მემკვიდრე (სამოქალაქო კოდექსის 1492-ე მუხლი).

**მემორანდუმი**  
მემორანდუმი არის დიპლომატიური დოკუმენტი, რომელშიც ცალკეულ, საერთაშორისო ხასიათის, საკითხებთან მიმართებაში დეტალური ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზი არის მოცემული და სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია არის ჩამოყალიბებული. მემორანდუმი შეიძლება თან დაერ-



## მეომარ მხარედ ცნობა

თოს → ნოტას ან წარმოადგენდეს დამოუკიდებელ დოკუმენტს. ნოტისგან განსხვავებით მემორანდუმში ხელმოწერას არ საჭიროებს.

## მეომარ მხარედ ცნობა

ცნობის ერთ-ერთი სახე. აჯანყებულების/ინსურგენტების (→ აჯანყებულები) მეომარ მხარედ ცნობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მონინალმდევე მთავრობის, ასევე მესამე სახელმწიფოების მიერ. შედეგად, მხარეებს შორის მოქმედებენ ომის წარმოების ან, შესაბამისად, → ნეიტრალიტეტის წესები. გარდა ამისა, მთავრობას ამ გზით შეუძლია პასუხისმგებლობა აიცილოს იმ ქმედებისათვის, რომელიც საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენენ და აჯანყებულების მიერ იქნა ჩადენილი.

## მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია → მფლობელობა.

## მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვის უფლება (rei vindicatio)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია არაპირდაპირი ან პირდაპირი მფლობელისაგან მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება, მაგალითად, ნათხოვარი ნიგნის უკან დაბრუნება ან გაქირავებული ბინის გამქირავებლისთვის მფლობელობაში გადაცემა. მფლობელს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნივთის უკან დაბრუნებაზე, თუ მას ან არაპირდაპირ მფლობელს (რომელთან ურთიერთობისგანაც ნივთის პირდაპირი ფლობის უფლება გამომდინარეობს, მაგალითად, ქვექირავნო-

ბის შემთხვევაში), მესაკუთრის მიმართ აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება. ეს უფლება, შესაძლებელია, გამომდინარეობდეს → სა-ნივთო უფლებიდან (მაგალითად, უზუფრუქტი, გირავნობა) ან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან (მაგალითად, ქირავნობა) ან ნივთის დაკავების უფლებიდან. პირობადებული საკუთრების შემძენს აქვს ნივთის ფლობის უფლება, სანამ გამსხვისებელი უარს არ იტყვის ხელშეკრულებაზე. ნივთის ფლობის უფლება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი ნივთის საფასურის გადახდის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობაზე მიუთითებს. თუ მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვის უფლება უშედეგოა, მაგალითად, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა ნივთის განკარგვა, რომელიც ნამდვილია მესაკუთრის მიმართ ან მოძრავი ნივთი იმგვარად არის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული, რომ იგი ვახდა ამ მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, მაშინ პირვანდელ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 197-ე, 990-ე მუხლები).

## მესამე პირები

1. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთო-

ბის მონაწილე, რომლის თაობაზე-  
დაც სასამართლოს მიერ მხოლოდ  
საერთო გადანყვეტილების გამო-  
ტანაა შესაძლებელი. თუ სამართა-  
ლურთიერთობაში მონაწილეობს  
10 პირზე მეტი, მაშინ სასამართ-  
ლო საქმეში ჩაბაბს მხოლოდ იმ  
პირებს, რომლებიც ამის სურვილს  
გამოთქვამენ.

2. საქართველოს სამოქალაქო სა-  
პროცესო კოდექსის 88-ე-91-ე მუხ-  
ლები აწესრიგებს მესამე პირების  
სასამართლო საქმის წარმოებაში  
მონაწილეობას დამოუკიდებელი  
სასარჩელო მოთხოვნითა და და-  
მოუკიდებელი სასარჩელო მოთხო-  
ვნის გარეშე. ა) მესამე პირი და-  
მოუკიდებელი სასარჩელო მო-  
თხოვნით არის პირი, რომელსაც  
დავის საგანზე ან მის ნაწილზე, რო-  
მელზეც მოსარჩელე და მოპასუ-  
ხე დავობენ, აქვს მოთხოვნის უფ-  
ლება. მესამე პირის მიერ სარჩე-  
ლის აღძვრა და მიღება წარმოებს  
იმ წესების დაცვით, რომლებითაც  
გათვალისწინებულია სარჩელების  
მიღება. სარჩელი აღძრულ უნდა  
იქნას მხარეთა პაექრობის დაწყე-  
ბამდე. მესამე პირები დამოუკიდე-  
ბელი სასარჩელო მოთხოვნით  
წარმოადგენენ ჩვეულებრივ მო-  
სარჩელებს და მათ სარჩელზე გა-  
დანყვეტილების მიღება ხდება თავ-  
დაპირველი მოსარჩელის სარ-  
ჩელთან ერთად (სამოქალაქო სა-  
პროცესო კოდექსის 88-ე მუხლი).  
ბ) მესამე პირი დამოუკიდებელი  
სასარჩელო მოთხოვნის გარეშე  
არის ის დაინტერესებული პირი,  
რომელიც არ აცხადებს დამოუ-  
კიდებელ მოთხოვნას მოსარჩელე-  
სა და მოპასუხეს შორის არსებულ  
დავის საგანზე ან მის ნაწილზე. მაგ-  
რამ მოსარჩელესა და მოპასუხეს  
შორის არსებულ დავაზე მიღებულ-  
მა სასამართლო გადანყვეტილებამ  
შესაძლებელია ზეგავლენა მოახ-

დინოს შემდგომში მის უფლებებსა  
და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხა-  
რის მიმართ. იგი საქმეში შეიძლება  
ჩაებას, როგორც თავისი, ისე ერთ-  
ერთი მხარის განცხადების საფუძ-  
ველზე. მესამე პირი დამოუკიდებე-  
ლი სასარჩელო მოთხოვნის გარე-  
შე პროცესზე სარგებლობენ მხა-  
რეთა საპროცესო უფლებებით და  
ეკისრებათ საპროცესო მოვალეო-  
ბები. შესაბამისად, მას შეუძლია  
განახორციელოს განსაზღვრული  
→ **საპროცესო მოქმედება**, გარდა  
უფლებებისა, გაადიდოს ან შეამცი-  
როს სასარჩელო მოთხოვნის ოდენ-  
ობა, შეცვალოს სარჩელის საფუძ-  
ველი ან საგანი, ცნოს სასარჩელო  
მოთხოვნა, უარი თქვას სარჩელ-  
ზე ან მორიგდეს, აღძრას შეგებებუ-  
ლი სარჩელი ან მოითხოვოს სასა-  
მართლო გადანყვეტილების იძულე-  
ბითი აღსრულება (სამოქალაქო სა-  
პროცესო კოდექსის 91-ე მუხლი).

### მესამე პირის სასარგებლოდ და- დებული ხელშეკრულება

ხელდებულებით-სამართლებრივი  
ხელშეკრულება შეიძლება იმ პირო-  
ბით დაიდოს, რომ ხელშეკრულებ-  
ის შესრულება შეიძლება მოითხო-  
ვოს როგორც კრედიტორმა, ასევე,  
მესამე პირმა (სამოქალაქო კოდე-  
ქსის 349-ე მუხლი). ასეთი დათქმის  
არარსებობისას, მოცემულია თუ  
არა მესამე პირის სასარგებლოდ  
დადებული ხელშეკრულება, უნდა  
დადგინდეს ხელშეკრულების გან-  
მარტების გზით. კერძოდ, ფაქტო-  
ბრივი გარემოებებისა და ხელშეკ-  
რულების მიზნიდან გამომდინარე,  
უნდა დადგინდეს შეიძინა თუ არა  
მესამე პირმა უფლება ან დამოუკი-  
დებულია თუ არა ამ უფლების წარ-  
მოშობა განსაზღვრული წინაპირო-  
ბების არსებობაზე და შეუძლიათ  
თუ არა მხარეებს შეცვალონ ან  
გააუქმონ ხელშეკრულება მესამე

## მეურვე

პირის თანხმობის გარეშე. როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის არ არსებობს სახელმწიკრულებო ურთიერთობა; მესამე პირი იძენს ხელმწიკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას. მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელმწიკრულება დასაშვებია მხოლოდ როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ხელმწიკრულება; ამ ტიპის ხელმწიკრულება უშუალოდ არ წარმოშობს სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას; დაუშვებელია, მაგალითად, სანივთო უფლებების, როგორც არის იპოთეკა, გირავნობა, ამ ტიპის ხელმწიკრულების საფუძველზე წარმოშობა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დაუშვებელია, აგრეთვე, მესამე პირის საზიანოდ ხელმწიკრულების დადება (→ ვალის გადაკისრება). მესამე პირი უფლებამოსილია უარი თქვას ხელმწიკრულებით შეძენილ უფლებებზე (სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლი). მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელმწიკრულების ნორმები განვრცობითი ინტერპრეტაციის საფუძველზე გამოიყენება იმ ხელმწიკრულებებზე, როცა პირი უშუალოდ ამ ხელმწიკრულებაში არ არის მესამე პირებად მოხსენიებული, მაგრამ იგი მოიზრება ხელმწიკრულების დაცვის სფეროში. მაგალითად, ქირავნობის ხელმწიკრულების საფუძველზე უფლება აქვთ დამქირავებლის ოჯახის წევრებს დამქირავებლისგან მოითხოვონ ხელმწიკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი ხელმწიკრულების მხარეს არ წარმოადგენენ.

## მეურვე

→ მეურვეობა და მზრუნველობა.

## მეურვეობა და მზრუნველობა

1. არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩნენ მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მშობლების ქმედუწნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად (სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი). ა) მეურვეობის დანესების მიზანია არასრულწლოვანის როგორც პირადი, ასევე, ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მეურვეობა წესდება შვიდ წლამდე ასაკის ბავშვზე, აგრეთვე, იმ პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო აღიარებულია ქმედუწნაროდ. ბ) მზრუნველობა წესდება შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვან პირზე, აგრეთვე, იმ ქმედუწნარიან პირზე, რომელსაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი ვალდებულებები. გ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დანესებულება. მეურვეობის ან მზრუნველობის დანესება ხდება, როცა ბავშვის მშობლების უფლებები შეზღუდულია ან ჩამორთმეული ან, გარდაცვლილია ბავშვის მშობლები ან მეურვე ან, მშობელი აღიარებულია ქმედუწნაროდ. მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს ერთი



თვისა მას შემდეგ, რაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის ცნობილი გახდა მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესებულების აუცილებლობა. პირი არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ ან მზრუნველად, თუ მას არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკისათვის ან, ცნობილია ქმედუუნაროდ ან, ჩამორთმეული ან შეზღუდული აქვს მშობლის უფლებები.

2. მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იზრუნონ სამეურვეო პირის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყონ მოვლითა და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები (სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლი). ისინი არიან სამეურვეო პირის კანონიერი წარმომადგენლები და იცავენ მის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, აგრეთვე, სასამართლოში. შესაბამისად, მეურვე და მზრუნველი სამეურვეო პირის სახელით დებს ყველა აუცილებელ გარიგებას (სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლი). მეურვისა და მზრუნველის უფლება შეზღუდულია იმ გარიგების დადებისას, თუ ეს გარიგება შეეხება ქონების გასხვისებას, დაგირავებას, ათ ნელზე მეტი ვადით გაქირავებას, სესხის აღებას და ა. შ. (სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლი); მათ არა აქვთ უფლება, სამეურვეო პირთან დადონ გარიგება ამ პირის სახელით (სამოქალაქო კოდექსის 1297-ე მუხლი) და ეკრძალებათ სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება; მეურვის ან მზრუნველის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადანყვეტილებით. გადანყვეტილება შეიძლება გასა-

ჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში (სამოქალაქო კოდექსის 1298-1305-ე მუხლები).

### მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

→ მეურვეობა და მზრუნველობა.

#### მეუღლეთა თანასაკუთრება

როგორც წესი, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). სამოქალაქო კოდექსის ნორმები მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ ძალაშია, თუ

→ **საქორწინო ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მეუღლეებს აქვთ ამ ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის თანაბარი უფლებები, რომელიც მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით უნდა განხორციელდეს (სამოქალაქო კოდექსის 1159-ე, 1160-ე მუხლები). ასეთ შეთანხმებას იურიდიული ძალა არა აქვს მესამე პირებთან ურთიერთობაში და, შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ დადებული → **გარიგება** მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ვერ იქნება მეორე მეუღლის მიერ ბათილად მოთხოვნილი იმის საფუძველზე, რომ მან არ იცოდა ან არ ეთანხმებოდა იგი ასეთ გარიგებას (სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი). მეუღლეთა თანასაკუთრებას არ წარმოადგენს ქორწინებამდე შეძენილი ქონება, ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, აგრეთვე, ის ქონება, რომელიც მათ ქორწინების განმავლობაში მიიღეს მემკვიდრეობით ან ჩუქებით. მეუღლეებს ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე წარმოეშობათ თანასაკუთრების უფლება იმ შემთხვევაშიც, როცა ერთ-



## მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

ერთ მათგანს შვილების მოვლის, საოჯახო საქმიანობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი; თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა, აგრეთვე, იმ ქონებაზე, რომელიც ქორწინებამდე ეკუთვნოდა ერთ-ერთ მეუღლეს, მაგრამ ქორწინების განმავლობაში ამ ქონებაზე განეული ხარჯების გამო, ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადაიდა (სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსი მეუღლეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ანიჭებს საერთო ქონების გაყოფის შესაძლებლობას, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგაც. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელიწადს (სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლი).

## მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

→ **სარჩოს გადახდის ვალდებულება.**

### მენარმე

სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის არის მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, აგრეთვე არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სამენარმეო საქმიანობას ამ საქმიანობის ნაწილში.  
→ **სამენარმეო საქმიანობა;**  
→ **იურიდიული პირი.**

## მთავრობა

მისი ფუნქციონალური გაგებით არის → **აღმასრულებელი ხელისუფლების** უმაღლესი → **ორგანო**. შესაბამისად, იგი მოიცავს ორ ძირითად სფეროს: კანონმდებლობის აღსრულების ზედამხედველობა (მმართველობა ვიწრო გაგებით) და მონაწილეობა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების წარმართვაში (საშინაო და საგარეო პოლიტიკა). პირველ ფუნქციას მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა განხრის უწყებების მეშვეობით, რომლებიც სტრუქტურულად შედის შესაბამისი სამინისტროს შემადგენლობაში. მთავრობა შედგება → **პრემიერ-მინისტრის**, სახელმწიფო მინისტრებისა და მინისტრებისაგან. უკანასკნელი საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, 2013 წლიდან მთავრობას უხელმძღვანელებს მხოლოდ → **პრემიერ-მინისტრი**. მთავრობა ანგარიშვალდებულია → **პარლამენტისა** და → **პრეზიდენტის** წინაშე. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება → **კონსტიტუციით** და → **პრეზიდენტთან** შეთანხმებული და → **პარლამენტის** მიერ დამტკიცებული → **კანონით**. დამატებით იხილეთ საქართველოს → **კონსტიტუციის** მეოთხე<sup>1</sup> თავი.

## მთავრობათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულება

→ **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება.**

## მიბარება

მიბარების ხელშეკრულებით შეინახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი (სა-

მოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლი). მიზარება შესაძლებელია წარმოადგენდეს სხვა ტიპის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებას (მაგალითად, ნასყიდობა). ამ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის ნორმები მიზარების შესახებ გამოიყენება როგორც განმავრცობელი დებულებები. მიზარების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს → **მიზარება სასაქონლო საწყობში**, → **დებონირება**, → **სეკვესტრი**. მიზარების ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო. თუ შემნახველი ახორციელებს შენახვას სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში, მაშინ საზღაური დუმილითაც შეთანხმებულად ჩაითვლება. თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ტარიფების არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო ტარიფების არარსებობისას - ჩვეულებრივი საზღაური (სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლი). უსასყიდლო მიზარების შემთხვევაში, შემნახველი ვალდებულია ისეთივე კეთილსინდისიერებით (გულისხმიერებით) შეინახოს ნივთი, როგორც იგი საკუთარ ნივთს შეინახავდა (სამოქალაქო კოდექსის 765-ე მუხლი). შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ მიზარებისათვის განსაზღვრული იყო დრო და ამ ვადის დადგომის შემდეგ მიმზარებელმა არ ნაილო ნივთი. მიმზარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის დაბრუნება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიზარების ვადა განსაზღვრული იყო (სამოქალაქო კოდექსის 770-ე მუხლი). მას აქვს იმ ნაყოფის მოთხოვნის უფლებაც,

რომელიც შემნახველმა მიზარების განმავლობაში მიიღო (სამოქალაქო კოდექსის 773-ე მუხლი). მიმზარებელი მოვალეა აუნაზღაუროს შემნახველს ნივთის შენახვისათვის განკუთვნილი აუცილებელი ხარჯები. განუვლი ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს აქვს მიზარებული ნივთის დაკავების უფლება (სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლი). თუ მიზარების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს → **გვაროვნული ნივთი** ისე, რომ შემნახველზე გადადის ნივთზე საკუთრება, მაგრამ შემნახველმა უნდა დაუბრუნოს მიმზარებელს იმავე გვარის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, მაშინ მიზარების ასეთ ხელშეკრულებაზე, რომელსაც *depositum irregulare* ეწოდება, გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 777-ე მუხლი).

**მიზარება სასაქონლო საწყობში**

წარმოადგენს მიზარების სასყიდლიან ხელშეკრულებას და მასზე გამოიყენება → **მიზარების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები**, თუ სამოქალაქო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი (სამოქალაქო კოდექსის 780-ე მუხლი). სასაწყობო შემნახველმა საქონლის მიზარების ვალდებულებები უნდა შეასრულოს კეთილსინდისიერი მეურნის გულისხმიერებით. სასაწყობო შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმზარებელს მიზარებული საქონლის სხვა საწყობში გადატანის თაობაზე ან თუ იგი აღმოაჩენს, რომ საქონლის თვისებები შეიცვალა ანდა არსებობს მისი შეცვლის საშიშროება. მან ეს უნდა შეატყობინოს სასაწყობო მონმობის მისთვის ცნობილ ბოლო



მფლობელს. ამასთან, შემნახველი ვალდებულია სამუშაო დროის განმავლობაში ნება დართოს მიმბარებელს დაათვალიეროს მიმბარებული საქონელი, აილოს ნიმუშები ან განახორციელოს აუცილებელი მოქმედებანი (სამოქალაქო კოდექსის 783-ე, 784-ე მუხლები). გვაროვნული ნივთების შენახვისას, მიმბარებლის ნებართვის საფუძველზე, შემნახველს შეუძლია შეურიოს მიმბარებული ნივთი იმავე სახისა და თვისების სხვა ნივთებს. შერევის შედეგად წარმოშობილ საქონელზე წარმოიშობა მიმბარებლების თანასაკუთრება ნივთების შერევამდე არსებული კუთვნილი წილის შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 786-ე, 194-ე მუხლები). საქონლის მიღებისას შემნახველი ვალდებულია მიმბარებელს გადასცეს სასაწყობო მონმობა, სადაც აღინიშნება: სასაწყობო მონმობის გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი; მხარეთა ვინაობა და მისამართი; შენახვის ადგილი; შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი და სხვა (სამოქალაქო კოდექსის 788-ე, 789-ე მუხლები). სასაწყობო მონმობის მფლობელს საგირავნო მონმობის საშუალებით შეუძლია საწყობში შესანახად მიმბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი (გარანტი, სამოქალაქო კოდექსის 790-ე მუხლი). → **სასაწყობო მონმობა** შესაძლებელია გაიცეს როგორც → **საორღერო ფასიანი ქალაქი** და იგი → **ინდოსამენტის** მეშვეობით გადაეცეს მესამე პირს (სამოქალაქო კოდექსის 791-ე მუხლი). შემნახველს შენახვის ხარჯების გამო წარმოეშობა საქონლის

გირავნობის უფლება მანამდე, სანამ იგი მის მფლობელობაშია. შემნახველის გირავნობის უფლება არსებობს ასევე სასაწყობო მონმობის ახალი მფლობელის მიმართ, თუ სასაწყობო მონმობა ინდოსამენტის მეშვეობით გადაეცა ახალ მფლობელს (სამოქალაქო კოდექსის 796-ე მუხლი).

**მიზეზობრივი კავშირი სამოქალაქო სამართალში**

→ **ზიანის ანაზღაურება.**

**მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში**

ისეთ დანაშაულებში, რამაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია, ან ასეთი შედეგის საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს, ან შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს შორის. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე შეიქმნებოდა (სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი). ამრიგად მიზეზობრივი კავშირი დგინდება ე.წ. პირობათა (ექვივალენტურობის) თეორიის მიხედვით, რომლის თანახმად, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს, თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა (→ **condicio sine qua non**). განყვეტილია მიზეზობრივი კავშირი, თუ შედეგის დადგომამდე ჩადენილ იქნა სხვა პირის მიერ ახალი მოქმე-

დება, რომელმაც შედეგი უშუალოდ გამოიწვია, (მაგალითად, მონამულე პიროვნება, სანამ სანამლავის ზემოქმედების შედეგად გარდაიცვლებოდა, მოკლული იქნა სხვა პირის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით). განსხვავებით მოქმედებისაგან, → **უმოქმედობა** მხოლოდ მაშინაა მიზეზობრივ კავშირში მართლსაწინააღმდეგო შედეგთან ან კონკრეტული საფრთხის შექმნასთან, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეცი-ალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

**მითვისება**

1. სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, სხვისი → **ნივთის** ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. მითვისება გამოიხატება მატერიალურ ფასეულობათა ამოღებაში მისი კანონიერი მესაკუთრისაგან და მის უკანონო დაუფლებაში როგორც თავის, ისე სხვა პირთა სასარგებლოდ. მითვისებისთვის დამახასიათებელია ის, რომ დამნაშავე უფლებამოსილია ჰქონდეს ქონება მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. დამნაშავე ქონების მართლზომიერ მფლობელობას ახორციელებს სამსახურებრივი მოვალეობის, სახელმეკრულებო ურთიერთობისა თუ

სპეციალური დავალების სახით. მითვისება გულისხმობს განზრახ ქმედებას. ამ დროს პირს შეგნებულ იქვს, რომ ითვისებს სხვის ქონებას, რომელიც აქვს მას მინდობილი, ივალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს და სურს ზიანის მიყენება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მითვისებისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა), რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით); სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე მითვისება ჩადენილი: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); დიდი ოდენობით (დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით); იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით



## მითითება

სამ წლამდე.

2. სამოქალაქო სამართალში მითვისება ნიშნავს, რომ პირი → **მფლობელობაში** იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს (დაკარგული ნივთის შემთხვევაში → **ნაპოვარი**) და ამით მოიპოვებს საკუთრებას ნივთზე (სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლი). მითვისება, → **საკუთრების მიტოვებისაგან** განსხვავებით, არ წარმოადგენს → **გარიგებას**, არამედ არის რეალაქტი, რის გამოც არ არის აუცილებელი, რომ პირი იყოს ქმედუნარიანი. მითვისება არ იწვევს საკუთრების მოპოვებას, თუ მითვისება კანონით აკრძალულია ან მითვისებით ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც მითვისების უფლება ჰქონდა. უპატრონო უძრავი ნივთის მითვისების უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფოს.

## მითითება

წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში → **იმპლემენტაციის** ერთ-ერთ ფორმას, რომლის მიხედვითაც კანონმდებელი აკეთებს მითითებას საერთაშორისო სამართლის ნორმებზე. → **ტრანსფორმაციისგან** განსხვავებით, მითითებითი ნორმა არ აკეთებს საერთაშორისო სამართლის ნორმის შინაარსის დუბლირებას, იგი მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმის ეროვნულ სამართალში გამოყენების მითითებას გასცემს.

**მიკუთვნებითი სარჩელი**  
→ **სარჩელი**.

## მიმდებარე ზონა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის

33-ე მუხლის მიხედვით, მიმდებარე ზონა არის → **ტერიტორიული ზღვის** მომიჯნავე ზონა, რომლის გარე საზღვარი არ უნდა იყოს 24 საზღვაო მილზე მეტად დაშორებული იმ → **სანყისი ხაზებიდან**, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე. მიმდებარე ზონა არ ექვემდებარება სანაპირო სახელმწიფოს → **სუვერენიტეტს**. თუმცა სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია მიმდებარე ზონაში განახორციელოს კონტროლი, რომელიც აუცილებელია საბაჟო, ფისკალური, საიმპერაციო და სანიტარული კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისათვის და დამრღვევთა დასჯისათვის. საქართველოს მიმდებარე ზონა დარეგულირებულია საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-4, 28-29-ე მუხლებში. აღნიშნული კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მიმდებარე ზონის გარე საზღვარი 24 საზღვაო მილით არის დაშორებული იმ სანყისი ხაზებიდან, საიდანაც აითვლება ტერიტორიული ზღვის სიგანე.

## მინისტრი

→ **მთავრობის** წევრი, არის სამინისტროს, ანუ უმაღლესი → **ადმინისტრაციული ორგანოს** მეთაური. მათი სტატუსი ნაწილობრივ მონესრიგებულია → **კონსტიტუციით**, ნაწილობრივ კი - სპეციალური ნორმატიული აქტებით. დემოკრატიულ სახელმწიფოებში უმთავრესად, მინისტრებს ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფოს მეთაური → **პარლამენტის** მიერ არჩეული მთავრობის ხელმძღვანელის (საქ. პრემიერ-მინისტრის) რეკომენდაციით. მინისტრის უფლებამოსილება სრულდება მთავრობის მეთაურის უფლება-

მოსილებასთან ერთად. სწორედ → **მთავრობის** მეთაურის ინსტრუქციებისა და დირექტივების ფარგლებში, მაგრამ საკუთარი პასუხისმგებლობით მართავს მინისტრი მისთვის დაქვემდებარებულ სამინისტროს და ასევე წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში თავისი კომპეტენციების ფარგლებში.

### მიყვანა

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მონაწილის მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე. მაგალითად, მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მონაწილის გამოძახების შესახებ. პირი, რომელსაც კანონით დადგენილ შემთხვევებში იძახებს სასამართლო, ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ. მიყვანის შესახებ გადანყვეტილებას აღასრულებს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლები).

### მკვლელობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-114-ე მუხლებით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს მკვლე-

ლობის შემდეგ შემთხვევებს: განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით. ა) განზრახ მკვლელობა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. ამგვარ ქმედებად კვალიფიცირდება მკვლელობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც არ არის ჩადენილი დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებში. მის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მკვლელობა ჩადენილი ეჭვიანობის, შურისძიების საფუძველზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი ჩხუბის დროს და სხვა. ბ) განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის თანახმად, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით (დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით). დამამძიმებელ გარემოებას ექნება ადგილი თუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია: მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (მაგ., აფეთქებით, ცეცხლის ნაკიდებით, ადამიანების თავშეყრის ადგილას სროლა და სხვა); სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაად-

## მკვლელობა

ვილებს მიზნით; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ; ხულიგნური ქვენა გრძნობით (ხულიგნური ქვენა გრძნობითაა ჩადენილი მკვლელობა, თუ იგი მცირე საბაბის საფუძველზე აღმოცენდა, მაგ., დამნაშავესათვის შენიშვნის მიცემის, სიგარეტის მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევაში და სხვა); რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; ჯგუფურად (→ **ჯგუფური დანაშაული**); ორი ან მეტი პირის მიმართ; განსაკუთრებული სისასტიკით (მაგ., ნაშვით, პირის ცოცხლად დანვით და სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც პიროვნებას აუტანელ ფიზიკურ ან სულიერ ტკივილს აყენებს); ანგარებით ან შეკვეთით (მაგ., ფულის, ქონების ან ქონებაზე უფლების მიღება და სხვა); მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით; არაერთგზის (გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა, → **არაერთგზისი დანაშაული**); მსხვერპლის ან მისი → **ახლო ნათესავის** სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგ. მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის აღკვეთა, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩადენილი დანაშაულის შეტყობინება და სხვა). გ) მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლე-

ბის აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს პრივილეგირებულ დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არათუ მკვლელობას მსხვერპლის თანხმობით, არამედ მძიმე მომაკვდავი ადამიანის დაუინებულ თხოვნას მისი ფიზიკური ტანჯვისაგან გათავისუფლების შესახებ. სავალდებულოა, რომ თხოვნა გამოხატავდეს მომაკვდავის ნამდვილ ნებას. იგი უნდა იყოს ისეთ მდგომარეობაში, რომ სრულიად შეეძლოს კონტროლი გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. სხვა შემთხვევაში ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. დ) განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. მოცემული დანაშაული წარმოადგენს პრივილეგირებულ შემადგენლობას, ვინაიდან პირი მკვლელობას ჩადის უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობაში. უეცარი, ძლიერი სულიერი ალელვების მდგომარეობა გამოწვეული უნდა იყოს დანაშაულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით,



აგრეთვე მსხვერპლის არაერთ-გზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრავმით. ე) დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. აღნიშნული ქმედება მკვლელობის პრივილეგირებულ სახედ მიიჩნევა. მისი აღიარება შემამსუბუქებელ გარემოებად იმით არის განპირობებული, რომ მშობიარე ქალი შესაძლოა იმყოფებოდეს ფსიქოტრავმირებულ მდგომარეობაში ან ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში, როდესაც მას თავისი მოქმედების მიმართ, მართალია, მთლიანად არა, მაგრამ შესუსტებული აქვს ზედამხედველობისა და კონტროლის უნარი. ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ პირმა მკვლელობა ჩაიდინოს მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. ვ) მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით წარმოადგენს ასევე მკვლელობის პრივილეგირებულ შემადგენლობას და იგი სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. → **აუცილებელი მოგერიება.** ზ) მკვლელობა დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, რომელიც მიეკუთვნება აგრეთვე მკვლელობის პრივილეგირებულ შემადგენლობათა რიცხვს, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკ-

ვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის ამკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან. → **დამნაშავეს შეპყრობა.**

**მოზილობა**

→ **სტუდენტთა და → აკადემიური პერსონალის** თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, საქართველოს კანონმდებლობითა და → **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** მიერ დადგენილი წესით, რასაც თან სდევს კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების აღიარება.

**მოგერიება**

→ **აუცილებელი მოგერიება.**

**მოვალე**

მოვალე → **ვალდებულებითი ურთიერთობაში** არის პირი, რომლის მიმართ სხვა პირს, → **კრედიტორს**, აქვს მოთხოვნა. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მოვალე ეწოდება, აგრეთვე, პირს, რომლის მიმართ მოცემულია აღსრულებადი მოთხოვნა.

**მოვალეობათა კოლიზია**

არის → **მართლწინააღმდეგობის** გამომრიცხველი ზეკანონური (დაუნერელი) გარემოება, რომლის დროსაც პირი თანაბარი მოვალეობის პირობებში, თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეთაგან გადაარჩენს ერთ-ერთს, რადგან ორივე სამართლებრივი



## მოვალის გარანტია

სიკეთის გადარჩენა შეუძლებელია, მათი გადარჩენის სურვილის მიუხედავად (მაგალითად, ექიმს, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა ადგილას მძიმე ავადმყოფთან გამოიძახეს, შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს დახმარებოდა. თუ იგი ერთ-ერთ მათგანს დაეხმარება, ხოლო მეორე კი დაიღუპება, ექიმის მოქმედება იქნება მაინც მართლზომიერი, ვინაიდან იგი იმყოფებოდა მოვალეობათა კოლიზიის მდგომარეობაში). მაშასადამე, მოვალეობათა კოლიზიას ადგილი აქვს როდესაც: ა) საფრთხე ერთდროულად ექმნება ორ ან მეტ თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეს; ბ) შესასრულებელია ორი ან მეტი თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობა.

## მოვალის გარანტია

მოვალის გარანტია ეწოდება მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე აღებულ ვალდებულებას, შესასრულოს განსაზღვრული მოქმედება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. მოვალის გარანტია ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას (სამოქალაქო კოდექსის 424-ე, 426-ე მუხლები).

## მოვალის მიერ ვადის გადაცილება

1. თუ ვალდებულების შესრულება შესაძლებელია (სხვა შემთხვევაში მოცემულია → **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**), მაგრამ მოვალე მას შესრულებისათვის დადგენილ დროში ვერ ასრულებს, მაშინ, განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, მოცემულია მოვალის მიერ ვადის გადაცილება (სამოქალაქო კოდექსის 400-401-ე მუხლები).

2. მოვალის მიერ ვადის გადაც-

ილების წინაპირობა არის, რომ დამდგარია ვალდებულების შესრულების ვადა და მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი (მაგალითად, → **ხანდაზმულობა**, → **ნივთის დაკავების უფლება**). მოვალე ვადას გადააცილებს, თუ იგი შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც არ ასრულებს ვალდებულებას (სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის მე-2 ნაწილი); ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შეთანხმებით ვალდებულების შესრულების შესახებ გაფრთხილებაზე უარის თქმა, (სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). გაფრთხილება ნიშნავს ვალდებულების შესრულების მოთხოვნას; განსაკუთრებული ფორმა ამისათვის დადგენილი არ არის. კრედიტორის მიერ მოვალისათვის ქვითრის გაგზავნა არ ნიშნავს გაფრთხილებას, არამედ გადასახდელი თანხის ოდენობის შეტყობინებას. მოვალე ვადას გადააცილებს გაფრთხილების გარეშე, თუ ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრულია, მაგალითად, განსაზღვრულია კალენდარული ვადა - *interpellat pro homine* - ან ვალდებულება უნდა შესრულდეს რაიმე მოვლენის დადგომიდან განსაზღვრულ ვადაში (მაგალითად, საქონლის მიწოდებიდან ორ კვირაში), ასევე, როდესაც მოვალე ვალდებულების შესრულებაზე უარს აცხადებს. მოვალის მიერ ვადის გადაცილებას არა აქვს ადგილი, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, ე.ი. ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რომელიც არ არის მოვალის → **ბრალით** გამოწვეული. ამ გარემოებათა შესახებ →

**მტკიცების ტვირთი** ეკისრება მოვალეს.

3. მოვალის მიერ ვადის გადაცილება ინვეს → **ვალდებულების დარღვევას**. კრედიტორს შეუძლია - ვალდებულების შესრულების მიუხედავად - მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამონვეული → **ზიანის ანაზღაურება** (სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი). ამ მოთხოვნის მოცულობა განისაზღვრება ზოგადი ნორმებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლები). გარდა ამისა, მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო და თუ მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პროცენტის გადახდა, თუ ეს მხარეთა შორის შეთანხმებულია (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი). მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც (სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლი).

**მოთხოვნა**

- ვალდებულებითი ურთიერთობა;
- მოთხოვნის უფლება;
- მოთხოვნის დათმობა.

**მოთხოვნის დათმობა**

1. კრედიტორს (ცედენტი) შეუძლია მოთხოვნა ხელშეკრულების საფუძველზე დაუთმოს მესამე პირს (ცესიონერი) და მესამე პირი ხდება მოთხოვნის უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი). მოთხოვნის დათმობა არის აბსტრაქტული → **გარიგება** და, შესაბამისად, უმნიშვნელოა მისი სამართლებრივი საფუძველი. მოთხოვნა უნდა იყოს განსაზღვრული ან მინიმუმ განსაზღვრებადი. შესაძლებელია, ასევე, მომავალი ან პირობითი მოთხოვნების დათმობაც, მაგალითად, ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად მოვალის მიერ ყველა მომავალი მოთხოვნის დათმობა, რომელიც წარმოიშობა მის სანარმოში და რამდენადაც მათი განსაზღვრა შესაძლებელია (გლობალური ცესია). შეუსაბამოდ მაღალი უზრუნველყოფის შემთხვევაში, მოვალეს წარმოემოება მოთხოვნა კრედიტორის მიმართ მოთხოვნის უკან დაბრუნების თაობაზე. ზოგადად, ივარაუდება, რომ კრედიტორი შეუსაბამოდ უზრუნველყოფილია, თუ დათმობილი მოთხოვნების ნომინალური ღირებულება 150% აღემატება კრედიტორის მოთხოვნებს. (გლობალურ ცესიასა და პირობადებულ საკუთრებას შორის კონკურენციის შესახებ → **პირობადებული საკუთრება**). მოთხოვნის დათმობის ფორმა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არ არის. დაშვებულია, ასევე, ბლანკეტური ცესია, ე.ი., როდესაც ბლანკეტის მიმღები უფლებამოსილია მოთხოვნის დათმობის არასრულყოფილად შევსებული ბლანკეტით თვითონ განსაზღვროს ახალი კრედიტორი.

2. მოთხოვნის დათმობის შემთხვე



## მოთხოვნის უფლება

ვაში კრედიტორი მთელი მოცულობით ტოვებს თავის სამართლებრივ პოზიციას. უზრუნველყოფის მიზნით (ფიდუციარული) მოთხოვნის დათმობის ან ინკასაციის შემთხვევაში გარეგნულად მოცემულია მოთხოვნის სრულყოფილი დათმობა, ხოლო ცედენტსა და ცესიონერს შორის არსებულ შიდა ურთიერთობაში ახალი კრედიტორი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია მხოლოდ შეზღუდულად განკარგოს მოთხოვნა. ინკასაციის შემთხვევაში, მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავებით, ვალის ინკასირების მანდატი არ წარმოადგენს მოთხოვნის გადაცემას, არამედ მხოლოდ მოთხოვნის ამოღებას. მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში ახალი კრედიტორი მოვალეს წარუდგენს საკუთარ მოთხოვნას თავისი სახელით, ხოლო ინკასირების მანდატის შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია სხვისი უფლება - რადგან მოთხოვნის გადასვლა არ განხორციელებულა - საკუთარი სახელით წარუდგინოს მოვალეს. ასეთი წარდგენა სამართლებრივად დასაშვებია (სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი).

3. მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია, თუ ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიმართ იმ შინაარსით შეუძლებელია, როგორც ეს შეთანხმებულ იქნა თავდაპირველ კრედიტორთან, (მაგალითად, ალიმენტის გადახდა) ან იგი ეწინააღმდეგება კრედიტორისა და მოვალეს შორის შეთანხმებას (pactum de non cedendo) ან კანონს (სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი).

4. მოთხოვნის დათმობით ახალი მფლობელი სრული მოცულობით იკავებს თავდაპირველი მფლობელის ადგილს და მასზე გადადის

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებები, (მაგალითად, იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა და ა.შ.; სამოქალაქო კოდექსის 199-ე, 201-ე მუხლები). შესაბამისად, ცედენტი ვალდებულია ცესიონერს გადასცეს უზრუნველყოფის საშუალებებისა და უფლებების დამატებითურებელი საბუთები (სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მეორე ნაწილი). მოთხოვნის დათმობით არ უნდა მიადგეს ზიანი მოვალის ინტერესებს. შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს წაუყენოს ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი მფლობელის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისათვის (სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის მეორე ნაწილი). მოთხოვნის კეთილსინდისიერი შექნა, როგორც წესი, დაუშვებელია (nemo plus iuris transferre potest, quam ipse habet). სამოქალაქო კოდექსის 200-ე მუხლის თანახმად, მოვალეს, ასევე, შეუძლია შეასრულოს ვალდებულება თავდაპირველი მფლობელის წინაშე, ვიდრე მას მოთხოვნის დათმობის შესახებ ეცნობება. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, მოვალეს შეუძლია → **გაქვითოს** მოთხოვნა თავდაპირველი მფლობელის მიმართ.

## მოთხოვნის უფლება

არის უფლება მოითხოვო სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (ე. ი. ყოველი შესაძლებელი ქმედება, მაგალითად, → **ნების გამოვლენა**, → **შესრულება**, ასევე, უმოქმედობა, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოთხოვნის უფლება შეი-

ძლება გამოხატავდეს → **აბსოლუტურ უფლებას**, მაგალითად, სანივთო უფლებას, როგორცაა → **საკუთრება** (→ **მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვის უფლება**, → **საკუთრების ხელშეშლა** და ა.შ.). იგი შეიძლება წარმოიშვას, ასევე, → **ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან**. სანივთო მოთხოვნის უფლებების შესახებ გამოიყენება იგივე წესები, როგორც გამოიყენება ვალდებულებითი მოთხოვნის უფლებების შესახებ. მოთხოვნის უფლებისათვის დამახასიათებელია მისი განხორციელების შესაძლებლობა სასამართლო წარმოების გზით, კერძოდ, → **სარჩელით**. მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს → **შესაგებელი** და მასზე ვრცელდება → **ხანდაზმულობა**.

**მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია**

მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია მოცემულია, თუ ერთი და იგივე ფაქტობრივმა შემადგენლობამ გამოიწვია სხვადასხვა სამართლებრივი ნორმების გამოყენება, რომლებიც კრედიტორს ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად რამდენიმე სამოქალაქო-სამართლებრივი → **მოთხოვნის უფლების** წარდგენის საშუალებას აძლევენ. ასეთ შემთხვევაში, თითოეული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარეობს სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნა. ასე, მაგალითად, გაქირავებული ნივთის ბრალეულმა დაზიანებამ, შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის უფლებების წარმოშობა როგორც ქირავნობის → ხელშეკრულების, ისე დელიქტური ნორმების საფუძველზე. კონკურირებული სამართლებრივი ნორმების ურთიერთმიმართება

უნდა განისაზღვროს იმ ნორმების ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელთა შემადგენლობაც მოცემულია. როგორც წესი, მოთხოვნის უფლებები ერთმანეთის გვერდით დგანან და თითოეული მოთხოვნის უფლების გამოყენება მისთვის დამახასიათებელი წესების მიხედვით ხორციელდება. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სახელშეკრულებო და დელიქტურ ნორმებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე, გამონაკლის შემთხვევაა წარმოადგენს → **ხანდაზმულობა**. კერძოდ, თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებისათვის განსაზღვრულია ხანდაზმულობის მოკლე ვადა (მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა), მაშინ ეს ვადა უნდა გავრცელდეს კონკურირებულ დელიქტურ მოთხოვნის უფლებაზეც (დელიქტური ვალდებულების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადაზე), ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, ხანდაზმულობის მოკლე ვადის მიზანი – სამართლებრივი ურთიერთობის სწრაფად მონეგება – აცილებულ იქნება.

**მოლაპარაკებები**

ა) → **საერთაშორისო ხელშეკრულების დადების** სტადია, რომლის ფარგლებშიც მხარეები აღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულების ტექსტზე. ბ) → **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის** ერთ-ერთი საშუალება. მოლაპარაკებები შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი (საერთაშორისო ორგანიზაციის ან საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში). მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელია მხარეთა მოქნილობა და მზადყოფნა კომპრომისული გადაწყვეტილების



## მომსახურებით ვაჭრობის გენერალური შეთანხმება

მიღებისათვის ( → კომპრომისი).

### მომსახურებით ვაჭრობის გენერალური შეთანხმება

→ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

### მომსახურების თავისუფლება

არის → ევროპული კავშირის → შიდა ბაზრის განხორციელებისა და არსებობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. იგი დარეგულირებულია ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 56-61-ე მუხლებში. 62-ე მუხლის მიხედვით კი, → დაფუძნების თავისუფლების შესახებ დებულებების დიდი ნაწილის მოქმედება მომსახურების თავისუფლებაც ვრცელდება. მომსახურების თავისუფლება მიზნად ისახავს მომსახურების განვითარებას და მიღების პროცესში იმ წინააღმდეგობის გადალახვას, რომელიც დაკავშირებულია საზღვრის კვეთასთან. მომსახურების თავისუფლების სუბიექტები არიან ფიზიკური პირები, რომლებსაც ევროპული კავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა გააჩნიათ და რომლებიც ამასთან ერთად ერთ წევრ სახელმწიფოში არიან დაფუძნებულნი. მომსახურების თავისუფლების შესახებ დებულებები ასევე ვრცელდება სანარმოებზე. მომსახურების თავისუფლება არ ვრცელდება ისეთ საქმიანობებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებასთან. მომსახურების თავისუფლების დისკრიმინაციული ხასიათის მქონე შეზღუდვები, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 52-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივი

ნესრიგის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საფუძველზე. ხოლო მომსახურების თავისუფლების არადისკრიმინაციული ხასიათის შეზღუდვა შეიძლება გამართლდეს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული საფუძველებით.

### მომსახურების მომწოდებელი

არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომწოდებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ → კომპიუტერული სისტემის საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს → კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.

### მონარქია

ერთხელისუფლებიანობა, მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც ძალაუფლება არის ერთი ადამიანის ხელში, რომელიც დგას სახელმწიფოს სათავეში და თავის ხელისუფლებას განახორციელებს მემკვიდრეობის საფუძველზე (არსებითი განმასხვავებელი რესპუბლიკისაგან). შესაბამისად, მონარქის ხელისუფლება უყადო და სამუდამოა, იგი განთავისუფლებულია როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. თუმცა, მონარქის ძალაუფლება შეიძლება იყოს როგორც შეუზღუდავი (აბსოლუტური მონარქია - მონარქის შეუზღუდავი ძალაუფლება), ისე შეზღუდული (მაგალითად, კონსტიტუციით. → კონსტიტუციური მონარქია - მონარქის ძალაუფლების შეზღუდვა კონსტიტუციით), როდესაც ხელისუფ-

ფლების განხორციელებაში მონაწილეობს სხვა უმაღლესი ორგანოები, მაგალითად, პარლამენტი, როგორც სახალხო წარმომადგენლობა, ან როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებულია სხვადასხვა შტოებად და გადანაწილებულია შესაბამის ორგანოებზე. მონარქის ხელისუფლების შეზღუდვის ხარისხის მიხედვით კონსტიტუციურ მონარქიაში განასხვავებენ დუალისტურ მონარქიას, როდესაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, მაგრამ იგი, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის შედეგად, ინარჩუნებს რეალურ სახელისუფლებო ბერკეტებს. მთავრობა ფორმალურად პასუხისმგებელია მონარქისა და პარლამენტის წინაშე, თუმცაღა რეალურად მონარქს ემორჩილება და მონარქიის არჩევით ფორმას, რომელშიც შერწყმულია მმართველობის მონარქიული და რესპუბლიკური ფორმები.

**მონობა, მონებით ვაჭრობა**

საერთაშორისო სამართლით მონობა და მონებით ვაჭრობა აკრძალულია. 1890 წელს, ბრიუსელის კონფერენციაზე მიღებულ იქნა აქტი, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებდა შეექმნათ და განეხორციელებინათ მონობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები. 1926 წლის 25 სექტემბერს მიღებული იქნა კონვენცია მონობის შესახებ. აღნიშნული კონვენციის მიხედვით მონობა განმარტებულია, როგორც ადამიანის მდგომარეობა ან სტატუსი, რომლის მიმართაც ხორციელდება საკუთრების უფლების ყველა ატრიბუტი ან მათი ნაწილი. გაეროს 1948 წლის → **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში** კი

აღნიშნულია, რომ მონობა და მონებით ვაჭრობის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია. 1956 წელს, ჟენევის კონფერენციაზე მიღებულ იქნა დამატებითი კონვენცია მონობის, მონებით ვაჭრობის და მონობის მსგავსი ინსტიტუტების და ჩვეულებების გაუქმების შესახებ.

**მოპასუხე  
→ სარჩელი.**

**მორიგება**

1. → **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის** ერთ-ერთი საშუალება, რომელიც → **შუამავლობისა** და → **ფაქტების დადგენის** ელემენტებისგან შედგება. მორიგების საშუალების გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მოდავე მხარეების მიერ დამოუკიდებელი კომისიის შექმნა, რომლის კომპეტენციაშიც შვევა არამართო ფაქტების დადგენა, არამედ ასევე დავის მოგვარების შესახებ წინადადებების შემუშავებაც. მორიგებელი კომისია შესაძლოა შეიქმნას ad hoc, ან იგი, როგორც დავების გადაწყვეტის ფორმა, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში (მაგ.გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის 1982 წლის კონვენცია). მომრიგებელი კომისიის წინადადებებს დავის მხარეებისათვის სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია.

2. სამოქალაქო სამართალში მორიგება არის → **ორმხრივი (ნაცვალგებითი) ხელშეკრულება**, რომლის დროსაც მხარეებს შორის არსებული დავა ურთიერთდათმობის გზით შეწყდება. მორიგების წინაპირობას წარმოადგენს მხარეებს შორის არსებული დავა სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.



მორიგებას აქვს მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი ხასიათი და წარმოშობს მხარეების მხოლოდ ერთ ვალდებულებას. როგორც წესი, მორიგებისათვის განსაზღვრული ფორმის დაცვა არ არის საჭირო მიუხედავად იმისა, რომ მორიგება შეიძლება გულისხმობდეს → **ვალის არსებობის აღიარებას** (სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი). მორიგების მიუხედავად, მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი დავა, როგორც ასეთი, არ წყდება, მაგრამ მორიგების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს საქმის წარმოების შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). მორიგების ხელშეკრულება სამართლებრივად არ მოქმედებს, თუ მისი შინაარსის მიხედვით იგი არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებებს და დავა არ წარმოიშვებოდა ეს შეუსაბამობა მხარეებისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო. როგორც წესი, შესაძლებელია ნების ნაკლის გამო მორიგების → **შეცილება**. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო საქმის წარმოებისას მხარეთა შორის მორიგების დადებას. პროცესის მსვლელობისას მორიგება შეიძლება დაიდოს ნეგატიური ან პოზიტიური პირობის დათქმით, რომ რაიმე მოვლენა განსაზღვრულ ვადაში დადგება ან არ დადგება (→ **პირობითი გარიგება**). მორიგებით მხარეები ამთავრებენ დავას მთლიანად ან ნაწილობრივ. მორიგების პირობებს განწინებთ ამტკიცებს საქმის განმხილველი სასამართლო და იგი წყვეტს საქმის წარმოებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლი). გაბატონებული შეხედუ-

ლების თანახმად, სასამართლოში საქმის წარმოებისას დადებული მორიგება არის როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი → **გარიგება**, ისე → **საპროცესო მოქმედება**. ვალდებულებით-სამართლებრივი თვალსაზრისით მორიგება, როგორც წესი, გამოიწვევს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ახლებურად ჩამოყალიბებას, ხოლო იგი როგორც საპროცესო მოქმედება - დავის საგანზე საქმის წარმოების შეწყვეტას და უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმებას. მორიგება შეიძლება დამატებით ითვალისწინებდეს მხარეების მიერ სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის გამო განეული ხარჯების განაწილების წესს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი). მორიგების ორმაგი ბუნებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება ბათილი იყოს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური გარემოებების გამო. კერძოდ, მორიგება ბათილია, თუ ერთ-ერთი მხარე → **ქმედუნაროა** ან მორიგების პირობები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. მორიგება, როგორც საპროცესო მოქმედება, კარგავს იურიდიულ ძალას, თუ იგი ბათილია მატერიალურ-სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, ვინაიდან იგი კარგავს სასამართლოს მიერ საქმის დამთავრებისათვის აუცილებელ პროცესუალურ ზემოქმედებას. იგივე ითქმის იმ შემთხვევაშიც, თუ მორიგება დადებულია განსაზღვრული პირობით და დადგა ან არ დადგა ეს პირობა. თუ მორიგება სასამართლოს მიერ პროცესუალური გარემოებების გამო არ იქნა დამტკიცებული, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია იგი ინარჩუნებდეს იურიდიულ ძალას როგორც ვალ-



დებულებით-სამართლებრივი გარიგება, თუ ეს შეესაბამება მხარეების ჰიპოთეტურ ნებას.

**მოსამსახურე**

→ **სავჯარო მოსამსახურე.**

**მოსარჩელე**

→ **სარჩელი.**

**მოსარჩელის მოთხოვნა**

→ **სასარჩელო წარმოება.**

**მოქალაქეობა**

არის პირის იურიდიული და პოლიტიკური კავშირი, წევრობა კონკრეტულ → **სახელმწიფოში**, საიდანაც გამომდინარეობს მთელი რიგი უფლებები და ურთიერთ-მოვალეობები. მოქალაქეობა ეს არის ურთიერთზრუნვისა და დაცვის პაქტი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც ნამდვილია როგორც მოქალაქეობის ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს მოქალაქეობის მოპოვების და დაკარგვის წინაპირობები და კრიტერიუმები. საქართველოში შესაბამისი წესები მონესრიგებულია საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონით. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით, ნატურალიზაციით და შვილად აყვანის შედეგად. დაკარგვას კი წინ უძღვის სხვადასხვა სახის დარღვევები (კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, თავი III). ამასთან, საქართველოს → **კონსტიტუციით** გამოორიცხულია ორმაგი მოქალაქეობა, თუ სახელმწიფოს → **პრეზიდენტმა** არ დაუშვა გამონაკლისი, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეს შესაძლოა მიენიჭოს ასევე საქართველოს მოქა-

ლაქეობაც, თუკი მას ქვეყნის წინამე აქვს განსაკუთრებული დამსახურება. აღნიშნულის შეფასება და გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს პრეზიდენტის პრეროგატივა და კომპეტენციაა (კონსტიტუციის მე-12 მუხლი). მოქალაქეობა მნიშვნელოვანია → **ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების** კუთხითაც. რიგი უფლებები (მაგალითად, რეფერენდუმში და არჩევნებში მონაწილეობის უფლება - 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ინფორმაციის თავისუფლებს - 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ა.შ.) და ასევე აკრძალვები (მაგალითად, ორმაგი მოქალაქეობის აკრძალვა - მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი) განსაზღვრულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის.

**მოქალაქეობის არმქონე პირი**

→ **აპატრიდი.**

**მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან მოქალაქის გარდაცვლილად აღიარება** → **უდავო წარმოება.**

**მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება** → **უდავო წარმოება.**

**მოქმედების დელიქტი**

სისხლის სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ მოქმედების და → **უმოქმედობის დელიქტებს**, იმის მიხედვით, თუ რისთვის არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული - აქტიური მოქმედებისთვის თუ სამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობისთვის. მოქმედების დელიქტია მაგალითად, → **ქურდობა**, → **გაუპატიურება**, უმოქმედობის დელიქტებს მიეკუთვნება მაგალითად, → **გან-**



**საცდელიში მიტოვება, → დაუხმარებლობა.**

**მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა**

ე.ნ. სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია სისხლის სამართალში მნიშვნელოვანია შერეული უმოქმედობის დელიქტების დროს. პირს შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მისი მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა გამომდინარეობს კანონიდან, ხელშეკრულებიდან, წინარე მოქმედებიდან ან ახლო სოციალური ცხოვრებისეული ურთიერთობებიდან და იგი არ ასრულებს სავალდებულო მოქმედებას, რასაც კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მოყვება. უფრო დეტალურად → **უმოქმედობის დელიქტი.**

**მოძრავი ნივთების შერწყმა**

თუ მოძრავი ნივთები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ახალი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად იქცნენ ანდა მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერწყნენ, მაშინ ადრინდელი მესაკუთრენი ხდებიან ამ ახალი ნივთის თანამესაკუთრენი (სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლი). ნივთების ახალი ერთიანი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებად გადაქცევის გამიჯვნა მოძრავი ნივთების შერწყმისგან შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში, სირთულეს წარმოადგენდეს, მაგრამ მას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მოძრავი ნივთების შერწყმა ან ახალი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად გადაქცევა ნიშნავს, რომ ობიექტურად შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან გაყოფა, რაც, თა-

ვის მხრივ, გულისხმობს, რომ ნივთის გაყოფით მათი ეკონომიკური ღირებულებაც არათანაზომიერად შემცირდება. თანამესაკუთრეთა წილი განისაზღვრება იმ ღირებულების შესაბამისად, რაც ნივთებს მათ შეერთებამდე ჰქონდათ. სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ერთ-ერთი ნივთი, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, მიჩნეულია მთავარ ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრებას → **საკუთვებულზედაცისევე როგორც → მასალის გადამუშავებისას**, ამ შემთხვევაშიც, ახალ ნივთზე ქარწყლება სანივთო უფლებები და მას, ვინც საკუთრებას კარგავს ან სხვაგვარად ირღვევა მისი უფლებები, წარმოეშობა → **ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 196-ე, 197-ე მუხლები).

**მოძრავი ნივთის მიწის ნაკვეთთან დაკავშირება**

თუ მოძრავი → **ნივთი** ისეა მიწის ნაკვეთთან ან მასზე აღმართულ შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებული, რომ იგი ამ ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდა, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, იმავდროულად ხდება ამ ნივთის მესაკუთრეც (სამოქალაქო კოდექსის 193-ე მუხლი). აღნიშნული მუხლი იმპერატიულად ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლას მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე. მამასადაამე, იმ შემთხვევაშიც, როცა მოძრავი ნივთის მესაკუთრის ნება ამის საწინააღმდეგოდ არის მიმართული, მაგალითად, პირობადებული საკუთრებით გადაცემული ნივთების შემთხვევაში. მოძრავი ნივთების ერთმანეთთან შეერთების შემთხვევაში, ადრინდელი მესაკუთრე-



ები ხდებიან ახალი ნივთის თანამესაკუთრეები (სამოქალაქო კოდექსის 194-ე მუხლი; → **მოდრავი ნივთების შერწყმა**; → **მასალის გადაშუშავება**). ვინაიდან მოძრავ ნივთზე შეერთების შედეგად აღარ არსებობს საკუთრება, მასზე ქარწყლდება, აგრეთვე, სხვა სანივთო უფლებებიც (სამოქალაქო კოდექსის 196-ე მუხლი). მოძრავი ნივთის მესაკუთრეს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მინის ნაკვეთის მესაკუთრის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლი).

**მოდრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა**

→ **საკუთრების შექმნა.**

**მონმე**

1. სისხლის სამართლის პროცესში არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. მონმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს მცირელოვანებიც და სულიერად დაავადებული პირებიც, თუ მათ შეუძლიათ სწორად აღიქვან, დაიმახსოვრონ და აღიდგინონ ფაქტები. პირი ვალდებულია მონმის სახით ჩვენება მისცეს მხოლოდ სამართლოში. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მონმე იძულებით მიიყვანონ სამართლოში. გამოძიების სტადიაზე პირს არ ეკისრება გამოძიებელთან და პროკურორთან ჩვენების მიცემის ვალდებულება. სამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამოძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს (სისხ-

ლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი). პირი მონმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ფიცის დადების წინ სასამართლო მონმეს განუმარტავს ფიცის მნიშვნელობას და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას → **ცრუ ჩვენებისა** და → **ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის**. ცალკეულ პირებს არ ეკისრებათ მონმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება. მაგალითად, ჩვენების მიცემის ვალდებულება არ გააჩნია: ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაიცვის მიღებად, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განწევასთან დაკავშირებით; სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად; ბრალდებულის ახლო ნათესავს; სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს; საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს; მოსამართლეს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა; ჟურნალისტს – პროფესიული საქ-



## მონმის ჩვენება

მიანობისას მიღებულ ინფორმაცი-  
ასთან დაკავშირებით; ადამიანი  
ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერ-  
პლს – მოსაფიქრებელი ვადის გან-  
მავლობაში. სასამართლოს უფლე-  
ბა აქვს, მონმის მოვალეობის შეს-  
რულებისაგან გაათავისუფლოს  
ზოგიერთი პროფესიის წარმომად-  
გენელი, მაგალითად, სამედიცინო  
მუშაკი, თუ მას პროფესიულად  
ევალება საექიმო (სამედიცინო)  
საიდუმლოების დაცვა; ნოტარი-  
უსი, საჯარო მოსამსახურე, სამ-  
ხედრო მოსამსახურე და მასთან  
გათანაბრებული პირი, თუ მათ ნა-  
კისრი აქვთ ვალდებულება, არ გა-  
ამჟღავნონ მიღებული ინფორმა-  
ციის წყარო და შინაარსი; პირი,  
რომელიც სამუშაოზე იმ პირობით  
არის მიღებული, რომ არ გაამ-  
ჟღავნებს კომერციულ ან საბანკო  
საიდუმლოებას; კონტრტერორის-  
ტული ან/და სპეციალური ოპერა-  
ციის მონაწილე პირი (მის პროფე-  
სიულ მოვალეობასთან დაკავში-  
რებით), რომლის საქმიანობაც გა-  
საიდუმლოებულია და ამ საქმიან-  
ობის ამსახველი დოკუმენტები,  
მასალები და სხვა მონაცემები სახ-  
ელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთ-  
ვნება.

## 2. სამოქალაქო სამართალში → მო- ნმის ჩვენება.

### მონმის ჩვენება

1. სისხლის სამართლის პროცეს-  
ში წარმოადგენს → **მონმის** მიერ  
სასამართლოში მიცემულ ინფორ-  
მაციას სისხლის სამართლის სა-  
ქმის გარემოებათა შესახებ. იმისა-  
თვის, რომ მონმის ჩვენება პრო-  
ცესში დასაშვებია მტკიცებულება  
იყოს, მონმეს უნდა შეეძლოს წარ-  
მოდგენილი ინფორმაციის წყა-  
როზე მითითება, გარდა ამისა მას  
უნდა ჰქონდეს უნარი, სწორად  
აღიქვას, დაიმასხვროს და აღი-

დგინოს ფაქტები. მონმის ჩვე-  
ნებებში არსებითი წინააღმდეგო-  
ბის არსებობისას, მხარეს უფლება  
აქვს მოსამართლის წინაშე დაა-  
ყენოს შუამდგომლობა ჩვენების  
(ჩვენებების) დაუშვებელ მტკი-  
ცებულებად ცნობის თაობაზე  
(სისხლის სამართლის საპროცე-  
სო კოდექსის 75-ე მუხლის). → **და-  
კითხვა, → ირიბი ჩვენება.**

2. სამოქალაქო სამართალწარმო-  
ებაში მონმის ჩვენება წარმოად-  
გენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტ-  
კიცებულებას. მონმე შეიძლება  
იყოს ნებისმიერი ფიზიკური პი-  
რი, რომლისთვისაც ცნობილია  
რაიმე საქმის ფაქტობრივი გარე-  
მოების შესახებ. ფიზიკური ნა-  
კლის ან ფსიქიკური აშლილო-  
ბის მქონე პირი შეიძლება იყოს  
მონმე მხოლოდ იმ შემთხვევაში,  
თუ მას შეუძლია სწორად აღიქ-  
ვას ფაქტები და მისცეს მათ შე-  
სახებ სწორი ჩვენება. როგორც წე-  
სი, მონმე ვალდებულია გამოცხად-  
დეს სასამართლოში და მისცეს  
სწორი ჩვენება. მისი გამოცხადე-  
ბლობის შემთხვევაში, სასამართ-  
ლო უფლებამოსილია დაადგი-  
ნოს მონმის იძულებითი მოყვანა  
(სამოქალაქო საპროცესო კოდექ-  
სის 145-ე მუხლი). განსაზღვრულ  
შემთხვევებში, სამოქალაქო კო-  
დექსით არ დაიშვება სასულიერო  
პირის მონმედ დაკითხვა იმ გარე-  
მოებათა შესახებ, რომელიც მას  
აღსარების დროს გაანდევს. ასევე,  
დაუშვებელია სამოქალაქო საქმე-  
ებზე წარმომადგენლებისა და სისხ-  
ლის სამართლის საქმეებზე დამ-  
ცველების მონმედ დაკითხვა ისეთ  
გარემოებებთან დაკავშირებით,  
რომლებიც მათთვის ცნობილი  
გახდა მათ მიერ წარმომადგენ-  
ლის ან დამცველის მოვალეობის  
შესრულებისას და მედიატორი-  
სა ისეთ გარემოებებთან დაკავ-

შირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი ვახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლი). როგორც წესი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ მხარეთა მეუღლებს, შვილებს, მშობლებს და სხვა. მაგრამ ეს უფლება შეზღუდულია იმ შემთხვევებში, თუ მონმის ჩვენებით საჭიროა დადასტურდეს → **გარიგება**, რომლის დადებისას პირი მინვეული იყო მონმედ ან გასარკვევია ოჯახის წევრის დაზადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები და თუ მონმე ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას მოქმედებდა, როგორც ერთერთი მხარის → **წარმომადგენელი** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე, 143-ე მუხლები). ა) მონმის გამოძახება სასამართლოში ხდება სასამართლოს მეშვეობით დაინტერესებული მხარის → **შუამდგომლობის** საფუძველზე, რომელიც მხარე მიუთითებს მონმის სახელს, ვაგარს და საცხოვრებელ ადგილს. მხარე ვალდებულია მიუთითოს, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მონმეს. ბ) სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია მონმის დაკითხვის წესი. კერძოდ, ყოველი მონმე ცალკე უნდა დაიკითხოს. მონმეები, რომლებსაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ უნდა იმყოფებოდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში. დაკითხული მონმეები რჩებიან სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე. 14 წლის ასაკამდე მონმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18

წლის ასაკამდე მონმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მონვეულ იქნეს პედაგოგი ან მონმის კანონიერი წარმომადგენლები. გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, არასრულწლოვანი მონმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება რომელიმე მხარის გაყვანა. სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს მონმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებაში წინააღმდეგობათა გასარკვევად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის პირველი ნაწილი, 149-ე, 152-ე მუხლები). მონმემ, ზეპირად, თავისუფალი თბრობით უნდა გადმოსცეს ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. როგორც წესი, მონმემ უნდა გადმოსცეს ის ფაქტები, რაც მან უშუალოდ აღიქვა. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი გარემოებები მონმესთვის ცნობილია სხვა პირისაგან, იგი ვალდებულია მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე. სხვა შემთხვევაში, მონმის ჩვენება მტკიცებულებად არ იქნება გათვალისწინებული. თავისუფალი თბრობის შემდეგ შეიძლება მონმესთვის კითხვების მიცემა. მას შეუძლია ისარგებლოს ჩანაწერებით, თუ მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან. ეს ჩანაწერები მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება დაერთოს საქმეს. თუ მონმის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადანწყვეტისათვის და სასამართლო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, შესაძლებელია მოხდეს მონმის მიერ რელიგიური ან არა-



## მობელე

რელიგიური მნიშვნელობის ფიცის დადება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 150-ე, 153-ე მუხლები).

## მობელე

→ საჯარო მოსამსახურე.

## მრავალმოქალაქეობა

ერთდროულად ორი (ბიპატრიზმი) ან მეტი სახელმწიფოს → **მოქალაქეობა**. რამდენადაც საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოებს თავისი მოქალაქეების წრის განსაზღვრის რამდენიმე საშუალებას აძლევს (→ „**ნიადაგის**“ **პრინციპი**; → „**სისხლის**“ **პრინციპი**), საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე პირს რამდენიმე - უმეტესწილად, ორი - სახელმწიფო მიიჩნევს თავის მოქალაქედ. მრავალმოქალაქეობის ფაქტი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის სახელმწიფო, სადაც ბავშვი დაიბადა, დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების „**ნიადაგის**“ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ბავშვის ერთ-ერთი მშობლის მოქალაქეობის სახელმწიფო კი - „**სისხლის**“ პრინციპს. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც დაქორწინებისას ცოლი არ კარგავს თავის მოქალაქეობას, ხოლო ქმრის მოქალაქეობის სახელმწიფო კი მას თავის მოქალაქეობას ანიჭებს. გარდა ამისა, მრავალმოქალაქეობა შესაძლებელია ნატურალიზაციის გზითაც, როდესაც პირი იღებს ახალ მოქალაქეობას და ამასთან არ კარგავს თავდაპირველ მოქალაქეობას. მრავალმოქალაქეობა არასასურველად ითვლება, რადგან მასთან არის დაკავშირებული მოქალაქეობის სახელმწიფოებებთან მიმართებაში არსებული უფლებების და მოვალეობების კოლიზია. მრავალმოქა-

ლაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ჰააგის 1930 წლის კონვენცია „ზოგიერთი საკითხების შესახებ, რომლებიც ეხება მოქალაქეობის შესახებ კანონების კოლიზიას“. 1997 წელს ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ძალაში 2000 წლის 1 მარტს შევიდა (აღსანიშნავია, რომ საქართველო მოცემულ კონვენციას ჯერჯერობით არ შეერთებულა), სახელმწიფოებს ავალდებულებს დაუშვან სხვა სახელმწიფოს პარალელური მოქალაქეობა იმ შემთხვევაში, თუკი იგი ბავშვს დაბადებით ან პირს დაქორწინების საფუძველზე მიენიჭა. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. თუმცა 2004 წლის 6 თებერვალს იმავე მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტის გადანიშნულებით, საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. შესაბამისად, მოცემული ცვლილების საფუძველზე დადგინდა გამონაკლისი მრავალმოქალაქეობის აკრძალვიდან.

## მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება

→ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მხარეებს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სამი ან მეტი სუბიექტი (→ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები).

**მსოფლიო ბანკი**

მსოფლიო ბანკი გაეროს ერთ-ერთი სპეციალიზებული ორგანიზაციაა. იგი 1945 წლის 27 დეკემბერს დაფუძნდა → **საერთაშორისო სავალუტო ფონდთან** ერთად. მსოფლიო ბანკის შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ). დღეისათვის მისი წევრია 187 სახელმწიფო. მსოფლიო ბანკი შედგება 2 ძირითადი ინსტიტუტისაგან: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია. აღნიშნული ინსტიტუტები საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან, მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტოსა და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრთან ერთად ქმნიან ე.წ. მსოფლიო ბანკის ჯგუფს. საქართველო რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტოსა და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის წევრი გახდა 1992 წელს, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის წევრი - 1993 წელს, ხოლო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წევრი - 1995 წელს. მსოფლიო ბანკის ამოცანას შეადგენს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების და საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობის გზით, ასევე სიღარიბის დაძლევისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ამ მიზნით ორგანიზაცია გასცემს დაბალ პროცენტულ სესხებს, ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას განვითარების

პროექტების ფარგლებში, კოორდინაციას უწევს განვითარებისაკენ მიმართულ დახმარებას.

**მსჯავრდებული**

სისხლის სამართალში პირი ითვლება მსჯავრდებულად, თუ მის მიმართ გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი → **განაჩენი**. → **საპროცესო ხარჯები**.

**მტკიცების ტვირთი**

1. სამოქალაქო სამართლის პროცესში თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის → **მოთხოვნასა** და → **შესაგებელს** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი). გამომდინარე აქედან, მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხეს ევალება იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელთაც ეყრდნობა მისი შესაგებელი (მაგალითად, → **შესრულება**, → **გაქვითვა**, → **ხანდაზმულობა** და ა.შ.). ა) მტკიცების ტვირთის შებრუნება. მაგრამ მტკიცების ტვირთი შესაძლებელია შებრუნებულ იქნას კანონის ნორმების, მხარეთა შეთანხმების ან სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის გამონაკლისს შემთხვევებს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, 995-ე, 996-ე და 997-ე მუხლები. ამ ნორმების მიხედვით, მოპასუხეს ევალება თავისი არაბრალეულობის დამტკიცება მაშინ, როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის ძირითადი პრინციპის თანახმად მოსარჩელეს დაეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, რადგან მოპა-



## მტკიცებულება

სუხის ბრალეულობა არის მოსარჩელის მოთხოვნის ერთ-ერთი კანონისმიერი წინაპირობა. ბ) მტკიცების ტვირთის შემსუბუქება. კანონი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, საერთო ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, აღიარებული გარემოებები იმ მხარის სასარგებლოდ მეტყველებს, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი (ე.წ. → **აშკარა მტკიცებულება**). მტკიცების ტვირთის შემსუბუქება განეკუთვნება → **მტკიცებულებათა შეფასების** სფეროს. თუ მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ ვერ დადგინდება ფაქტის არსებობა ან არარსებობა, მაშინ ეს საკითხი იმ მხარის საზიანოდ გადაწყდება, ვინც ფაქტობრივი გარემოების შესახებ მტკიცების ტვირთის მატარებელი იყო.

2. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესავებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება → **ადმინისტრაციულ ორგანოს**, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

3. სისხლის სამართალში → **უდანაშაულობის პრეზუმფცია**.

## მტკიცებულება

1. სისხლის სამართლის პროცესში არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაცი-

ის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიღინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას. მტკიცებულებებს მოიპოვებენ და სასამართლოში წარადგენენ უშუალოდ მხარეები. დაუშვებელია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია კანონით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი). მოსამართლე (ნაფიცი მსაჯული) მტკიცებულებებს აფასებს შინაგანი რწმენით. ვინაიდან, მტკიცებულებებს არ გააჩნიათ წინასწარ დადგენილი



ძალა, მოსამართლეს კანონი არ ზღუდავს მათი შეფასების დროს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 13-ე მუხლის პირველი ნაწილი, 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი). გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებულებების შეფასების დროს მოქმედებს ე.წ. → **in dubio pro reo**-ს პრინციპი. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებული დაცული უნდა იყოს მოსამართლის მცდარი შეფასებებისაგან. მოსამართლის თავისუფლება მტკიცებულებების შეფასებისას არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მოსამართლის სუბიექტური შეხედულებები და შეფასებები შესაძლებელია აშკარა წინააღმდეგობაში იყოს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობასთან. კანონი ავალდებულებს სასამართლოს, რომ განაჩენში ჩამოყალიბებული მისი ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება იქნეს დასაბუთებული (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასების სისწორისა და სანდოობის ერთგვარ კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.

2. სამოქალაქო სამართლის პროცესში სასამართლო მტკიცება ხორციელდება მხარეთა მიერ მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენით (სამოქალაქო კოდექსის მე-4, 103-ე მუხლები; → **შეჯიბრობითობის პრინციპი**). მტკიცების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტობრივი გარემოებები, ემპირიული დებულებები, ასევე, სასამართლოსათვის უცნობი უცხო ქვეყნის სამართალი. სამოქალაქო სამართლის პროცესში მტკიცებულებათა სახეებია: → **მხარეთა ახსნა-განმარტება**, → **მოწმის ჩვენება**, → **წერილობითი მტკიცე-**

**ბულება**, → **ნივთიერი მტკიცებულება** და → **ექსპერტის დასკვნა**. სასამართლოს განჩინება მტკიცებულებათა შესახებ აუცილებელია, თუ სასამართლო მტკიცება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული პროცედურების დაცვით, მაგალითად, განჩინება → **მტკიცებულებათა უზრუნველყოფის** შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი).

**მტკიცებულებათა გამოკვლევა**  
→ **საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში**.

**მტკიცებულებათა უზრუნველყოფა**  
იმ მხარის განცხადების საფუძველზე, რომელსაც აქვს საფუძველი იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შესაძლებელია სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე, 113-ე მუხლები). განცხადება სასამართლოს შეიძლება წარედგინოს სარჩელის აღძვრამდეც და იგი უნდა შეიცავდეს იმ მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია; გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლად საჭიროა ეს მტკიცებულებები და მონიშნულმდეგ მხარის სახელს, გვარსა და მისამართს, თუ განცხადება შეტანილია სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი). სასამართლოში საქმის აღძვრამდე მტკიცებულებათა უზრუნველყოფას ახდენს იმ რაიონის მოსამართლე ამ მაგისტრატი მოსამართლე, რომლის ტერიტორიაზეც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის



## მტკიცებულებათა შეფასება

მიზნით; სარჩელის აღძვრის შემდეგ, მხარეთა მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით მასალები გადაეგზავნება განსჯად სასამართლოს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 110-ე, 116-ე მუხლები). სასამართლოს განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება → **კერძო საჩივრით** გასაჩივრებას მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლი).

## მტკიცებულებათა შეფასება

1. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცებულებათა შეფასება ნიშნავს სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედებს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი). მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებათა შეფასება უნდა განხორციელდეს კანონის ნორმების ან კანონით განსაზღვრული ვარაუდის საფუძველზე, ეს წესი სავალდებულოა სასამართლოსათვის. სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება ნიშნავს ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის მაღალ ალბათობას ისე, რომ არ არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი. სისხლის სამარ-

თალში მოქმედებს პრინციპი → **in dubio pro reo**. თუ მოსამართლე შინაგანი რწმენის საფუძველზე არ არის დარწმუნებული ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის გადანაწილებულ → **მტკიცების ტვირთს**. მტკიცებულებათა შეფასება, მამასადამე, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს → **სასამართლო გადაწყვეტილებაში** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი).

2. სისხლის სამართალში → **მტკიცებულება**; → **გონივრული ეჭვი**; → **ალბათობის მაღალი ხარისხი**; → **დასაბუთებული ვარაუდი**.

## მუდმივი ნეიტრალიტეტი

→ **ნეიტრალიზაცია**.

## მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც დაარსდა 1899 წელს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, კერძოდ, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოგვარების შესახებ კონვენციით. მისი ადგილსამყოფელია ჰააგა (ნიდერლანდები). მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო, კლასიკური გაგებით, სასამართლოს არ წარმოადგენს. იგი არის ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოებს დავების მშვიდობიანი მოგვარების მექანიზმებს თავაზობს არბიტრაჟის სახით. კერძოდ, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო მოდავე მხარეებს თავაზობს კვალიფიციური არბიტრების სიას, რომელშიც კონ-

ვენციის მხარე ყველა სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი პირები შედიან. მოდავე მხარეები კი ამ სიიდან ირჩევენ არბიტრებს, რომლებსაც მიანდობენ მათ შორის დავის გადაჭრის უფლებამოსილებას. დღეისათვის, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო არამართო სახელმწიფოებს შორის დავებს, არამედ ასევე ისეთ დავებს განიხილავს, რომელთა მხარეები ფიზიკური და იურიდიული პირები არიან.

**მუშახელი**

მუშახელის ცნება აქტუალურია → **ევროპული კავშირის** სამართლით დადგენილი ერთ-ერთი ძირითადი თავისუფლების → **მუშახელის თავისუფალი გადაადგილების** - ფარგლებში. მისი შინაარსი დადგენილია → **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს** გადაწყვეტილებების საფუძველზე. კერძოდ, მუშახელის ცნება მოიცავს ყველა იმ პირს, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში სხვა პირისთვის - ამ პირის მითითების საფუძველზე - ასრულებს სამუშაოს, რომლისთვისაც იგი ანაზღაურებას იღებს. ამასთან მუშახელის თავისუფალი გადაადგილების შესახებ დებულებები არ ვრცელდება საჯარო სამსახურზე, რომლის ცნებაც ისევე როგორც მუშახელის ცნება არა ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, არამედ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ფარგლებში განისაზღვრება.

**მუშახელის თავისუფალი გადაადგილება**

მუშახელის თავისუფალი გადაადგილება, სხვა ძირითად თავისუფლებებთან ერთად, → **ევროპული კავშირის** → **შიდა ბაზრის** გან-

ხორციელების და არსებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. მუშახელის თავისუფალი გადაადგილება რეგულირდება ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 45-48-ე მუხლებით. იგი მოიცავს ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეობის მქონე → **მუშახელის** მოქალაქეობრივ კუთვნილებაზე დაფუძნებული დისკრიმინაციის აკრძალვას დასაქმებასთან, შრომის ანაზღაურებასა და სხვა შრომის პირობებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში მოცემული დებულებები მხოლოდ მოქალაქეობრივი კუთვნილების საფუძველზე დისკრიმინაციას კრძალავს, ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მუშახელის თავისუფალი გადაადგილება ასევე მოიცავს მუშახელის თავისუფალი გადაადგილებიდან გამომდინარე უფლებების ნებისმიერ შეზღუდვას. მუშახელის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა შესაძლებელია შემდეგი საფუძველებით: საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა. გარდა ამისა, არადისკრიმინაციული ხასიათის შეზღუდვის გამართლება შესაძლებელია ასევე ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული საფუძველებით.

**მფლობელობა**

1. მფლობელობა არის პირის ფაქტობრივი ნებითი ბატონობა → **ნივთზე**. → **საკუთრებისაგან** განსხვავებით, მფლობელობა არ წარმოადგენს ნივთზე სამართლებრივ კუთვნილებას, არამედ



მხოლოდ მფლობელის ფაქტობრივ ურთიერთობას ნივთზე (მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების შედეგად, ქურდი მოიპოვებს მფლობელობას, მაგრამ არა საკუთრებას). მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციის თანახმად, ნივთის მფლობელის სასარგებლოდ → **ივარაუდება**, რომ იგი არის ნივთის მესაკუთრე, თუმცა შესაძლებელია ამ ვარაუდის უარყოფა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ნივთზე საკუთრება ვლინდება საჯარო რეესტრიდან, აგრეთვე, ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან (სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი). სადავოა, წარმოადგენს თუ არა მფლობელობა უფლებას, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად მისი დაცვა ხორციელდება უკანონო ხელშეშლისა და ნივთის უკანონო მფლობელობაში ყოფნის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლი). მფლობელობა შეიძლება იყოს როგორც → **უსაფუძვლო გამდგრების**, ისე → **ფელიქტური ვალდებულებების** დაცვის საგანი. მფლობელობა წარმოადგენს სხვადასხვა → **სანივთო უფლებების** მაგალითად, → **საკუთრების შექმნის**, → **იპოთეკის** და → **გირავნობის** წარმოშობისა და გადაცემის წინაპირობას. მფლობელობის მოპოვება ხდება ნივთზე ფაქტობრივი ნებითი ბატონობის მოპოვებით, რომელიც განისაზღვრება სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვაუნარიანობით. მფლობელობა არის წმინდა ფაქტობრივი პროცესი და ამის გამო იგი → **წარმომადგენლის** მიერ ვერ განხორციელდება, მაგრამ შესაძლებელია სხვა პირის სასარგებლოდ მფლობელობის განხორციელება (სამოქალაქო კო-

დექსის 155-ე მუხლი). მფლობელობის წინაპირობას არ წარმოადგენს → **ქმედუნარიანობა**. თუ მფლობელობის მიმღებს შეუძლია მოიპოვოს ფაქტობრივი ბატონობა (მაგალითად, ტყეში მოჭრილი ხეები), მფლობელობის გადასაცემად საკმარისია მფლობელობის მიმნიჭებელისა და მიმღების შეთანხმება. მფლობელობის შეწყვეტა ხდება, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. თუ მფლობელი დროებით შეზღუდულია ნივთზე ბატონობაში, მაშინ მფლობელობა შეწყვეტილად არ ითვლება. ფაქტობრივი ბატონობის გარეშე შესაძლებელია მფლობელობის გადასვლა მემკვიდრეებზე (სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლი). თუ ერთ ნივთს რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს, მაშინ ისინი ითვლებიან თანამფლობელებად (სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

2. პირდაპირი ფაქტობრივი ბატონობის გარდა, მფლობელად (არაპირდაპირ) ითვლება, აგრეთვე ის, ვინც სხვა პირს ნივთზე მფლობელობის უფლებას განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ანიჭებს, მაგალითად, ქირავნობის, უზუფრუქტის ხელშეკრულება საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასეთი სამართლებრივი ურთიერთობების ჯაჭვი წარმოშობს მრავალსაფეხურიან მფლობელობას, მაგალითად, სახლის მესაკუთრე-დამქირავებელი-ქვემოქირავნი. აღსრულების პროცესში „მფლობელობა“ ნიშნავს მოვალის პირდაპირ მფლობელობას.

3. სისხლის სამართალში მფლობელობა (მითვისება ან გაფლან-

გვა, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი) განისაზღვრება ფაქტობრივი ზემოქმედების შესაძლებლობის მიხედვით და არ არის დამოკიდებული სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაუნარიანობაზე. ასე, რომ სხვა პირის სასარგებლოდ მფლობელობის განმახორციელებელ პირს არ აქვს მფლობელობა, ხოლო, ამის საპირისპიროდ, მემკვიდრე ითვლება მფლობელად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას არ ახორციელებს.

### მშვიდობა

მშვიდობის დაცვა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. → **გაეროს** წესდების მე-2 მუხლი, რომელშიც ის პრინციპებია დადგენილი, რომლითაც გაერო და მისი წევრი სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ, მშვიდობის დაცვა მთავარ მიზნად ფიგურირებს. ამ მხრივ, იმ ძირითადი პრინციპებიდან, რომელზედაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არის დაფუძნებული (→ **საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები**), განსაკუთრებით უნდა გამოიყოს → **ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა**.

“**მშვიდობიანი გავლის**“ უფლება როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო გემები, მიუხედავად მათი შეიარაღებისა და ძრავის ტიპისა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სარგებლობს სანაპირო სახელმწიფოს → **ტერიტორიულ ზღვაში** მშვიდობიანი გავლის უფლებით, წინასწარი შეტყობინების ან ნებართვის გარეშე. წყალქვეშა ნაევს „მშვიდობიანი გავლის“ უფლება გააჩნიათ იმ შემთხვევა-

ში, თუკი ისინი წყლის ზედაპირზე გადაადგილდებიან. საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გავლა მანამდე არის მშვიდობიანი, სანამ იგი არ ხელყოფს სანაპირო სახელმწიფოს მშვიდობას, წესრიგსა და უსაფრთხოებას. 1982 წლის კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ჩამონათვალი ქმედებებისა, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიანად. მაგალითად, მათ შორისაა როგორც სამხედრო მანევრები ან ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებით სწავლება, ასევე ზღვის გარემოს განზრახ და სერიოზული დაბინძურება და თევზჭერა. მშვიდობიანი გავლის რეჟიმი მოიცავს გემის გავლას ტერიტორიულ ზღვაში → **შიდა წყლებსა** და პორტებში შეუსვლელად, ან შიდა წყლებიდან და პორტებიდან გამოსვლა და მათში შესვლა. ამავე დროს, გავლა უნდა განხორციელდეს სწრაფად და შეუჩერებლად. მშვიდობიანი გავლა მოიცავს არა მარტო აქტიურ გავლას, არამედ გაჩერებასა და ლუზაზე დადგომას, რამდენადაც ეს გამოწვეულია ჩვეულებრივი ნაოსნობით ან დაუძლეველი ძალის გარემოებებით ან უბედურ შემთხვევასთან, ან საფრთხეში მყოფი ადამიანების სიცოცხლის, გემებისთვის ან საფრენი აპარატებისთვის დახმარების აღმოჩენის აუცილებლობით. მშვიდობიანი გავლის დროს ყველა გემი, მათ შორის სამხედრო ხომალდი, ვალდებულია, პატივი სცეს სანაპირო სახელმწიფოს კანონებსა და წესებს. მშვიდობიანი გავლის უფლება არსებობს მხოლოდ ტერიტორიულ ზღვასთან და არა ტერიტორიული ზღვის თავზე მდებარე საჰაერო სივრცესთან მიმარ-

## მშვიდობის დამცველი ოპერაციები

თებაში. სანაპირო სახელმწიფოს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუკი ეს აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების დაცვისათვის ან იარაღის გამოცდის დროს, შეუძლია დროებით შეაჩეროს „მშვიდობიანი გავლის“ უფლება თავისი ტერიტორიული ზღვის განსაზღვრულ ზონაში. მაგრამ ასეთი შეჩერება ძალაში შედის სათანადოდ გამოცხადების შემდეგ. საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, სამხედრო სწავლებისა და მანევრების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლება აქვს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან შეთანხმებით, არადისკრიმინაციული ფორმითა და შინაარსით დროებით შეაჩეროს ნაოსნობა საქართველოს ტერიტორიული ზღვისა და შიდა საზღვაო წყლების გარკვეულ რაიონებში. გადანყვეტილება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის დროებითი შეჩერების შესახებ ძალაში შედის მისი „ზღვაოსანთა უწყებებში“ გამოქვეყნებისთანავე.

**მშვიდობის დამცველი ოპერაციები** (ინგლ. peacekeeping) → **მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციებისგან** განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის ფარგლებში მიმდინარე ბრძოლების უშუალოდ შეწყვეტას, მშვიდობის დამცველი ოპერაციები ხორციელდება, როგორც წესი, კონფლიქტის ზონაში მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების განთავსებით, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული ძალები

უზრუნველყოფენ დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორებას და მათ შორის მიღწეული შეთანხმებების შესრულების მონიტორინგს.

**მშვიდობის იძულებით შენარჩუნების ან აღდგენის ოპერაციები** (ინგლ. peaceenforcement) გაეროს ნესდების VII თავის შესაბამისად უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული იძულებითი ზომები მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად (→ გაეროს უშიშროების საბჭო).

**მშვიდობის მშენებლობის ოპერაციები**

(ინგლ. peacebuilding) მშვიდობის მშენებლობის ოპერაციების მიზანია სამოქალაქო ომების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგების დაძლევა და კონფლიქტის სტრუქტურული მიზეზების (მაგ. დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე; ეკონომიკური ხასიათის პრობლემები) გამოკვლევა და ადეკვატური ღონისძიებების განხორციელება.

**მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციები**

(ინგლ. peacemaking) მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციების მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო და სამხედრო ხასიათის ზემოქმედების საშუალებებით (მაგ. შუამავლობა, სანქციები, სამხედრო ინტერვენცია) დაპირისპირებულ მხარეებს შორის საომარი მოქმედებების დასრულება.

**მიმე დანაშაული**

არის ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით (სისხლის სამართლის კოდექსის 12-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

### მხარე

1. სისხლის სამართლის პროცესში არის → **ბრალდებული**, → **მსჯავრდებული**, → **გამართლებული**, მათი → **ადვოკატი**, → **გამომძიებელი**, → **პროკურორი**. აქედან ბრალდების მხარეს წარმოადგენს გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაცვის მხარეს – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი. → **შეჯიბრებითი პროცესი**. → **დაინტერესებული მხარე**.

2. ადმინისტრაციულ პროცესში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, მონაწილეობს ის → **ადმინისტრაციული ორგანო**, რომელმაც გამოსცა → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი** ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.

### მხარეთა ახსნა-განმარტება

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მხარეთა ახსნა-განმარტება წარმოადგენს მტკიცებულებათა ერთ-ერთ სახეს. სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მხარის ნაცვლად შეიძლება ახსნა-განმარ-

ტება მისცეს მხარის კანონიერმა წარმომადგენელმა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 127-ე მუხლები). მტკიცებულებად ჩათვლება მხარის ის ახსნა-განმარტება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს; მოსამართლეს შეუძლია მოხსნას მხოლოდ ის შეკითხვა, რომელიც უადგილოა ან შეუფერებელი და არ ემსახურება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. სასამართლოს შეუძლია მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას მხარის მიერ იმ გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს. ასეთი აღიარების გაქარწყლება დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული ისეთი გარემოებებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღიარების შემდეგ, ანდა მასზე განხორციელდა ფსიქიკური ან ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე, 133-ე მუხლები).

### მხარეთა დასკვნითი სიტყვები

→ **საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში**.

**ნათესავი**

→ **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება: ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი; ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი; გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა; დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

**ნაკლებად მძიმე დანაშაული**

არის ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას (სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი).

**ნაკლული ნივთი**

→ **უნაკლო ნივთი.**

**ნაპოვარი**

ნაპოვარი არის მოძრავი დაკარგული ნივთი (მაგრამ არა → **უპატრონო მოძრავი ნივთი**). პოვნა არის რეალაქტი და მისი განხორციელების წინაპირობას არ წარმოადგენს მპოვნელის ქმედუნარიანობა. მპოვნელმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დამკარგავს, მესაკუთრეს, უფლებამოსილ პირს, ან, თუ მათი ვინაობა უცნობია, \_ პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს და გადასცეს ეს ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე, თუ ერთი წლის განმავლობაში მისთვის ცნო-

ბილი არ გახდა მესაკუთრე ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციამი უკვე გაცხადებული არ იყო. უფლებამოსილი პირის მიერ ნივთის დაბრუნების შემთხვევაში, მპოვნელს შეუძლია მოითხოვოს ჯილდო ნივთის ღირებულების ხუთ პროცენტამდე, ასევე ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლი).

**ნარდობა**

1. **ნარდობა** არის → **ორმხრივი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც მენარდე კისრულობს განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ვალდებულებას, ხოლო შემკვეთი შეთანხმებული საზღაურის გადახდას (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი). → **შრომითი ხელშეკრულებისაგან** განსხვავებით, ხელშეკრულების საგანი არის არა მხოლოდ სამუშაოს შესრულება, არამედ, ასევე შედეგი; მენარდე, როგორც წესი, არ არის დამოკიდებულ ურთიერთობაში შემკვეთთან. **ნარდობის ტიპური ხელშეკრულება** არის მშენებელთან ან ხელოსანთან დადებული ხელშეკრულებები, ასევე, განსაზღვრული ხელოვნების ნამუშევრების, ნახატის, ექსპერტიზის, შექმნა.

2. მხარეთა ვალდებულებები. მენარდე ვალდებულია შეასრულოს სამუშაო შეთანხმებულ დროში და, თუ მომსახურება მოიცავს ნაკეთობის დამზადებას, გადასცეს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 639-ე მუხლები). შემკვეთის ვალდებულებას წარმოადგენს შესრულებული





სამუშაოს საზღაურის გადახდა და მისი მიღება; ნაკეთობის გადაცემით წარმოიშობა შემკვეთის ვალდებულება ანაზღაურების თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 633-ე, 649-ე მუხლები). თუ შემკვეთი სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას არ შეასრულებს (მაგალითად, პორტრეტის დახატვა, ოპერაცია), მაშინ მენარდეს შეუძლია, → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების გამო**, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესრულების გადაცემამდე მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, ხოლო შემკვეთის მიერ მიცემული მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი - შემკვეთს (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი). შემკვეთზე გადადის რისკი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იგი სამუშაოს მიღების ვადას გადააცილებს.

3. შემკვეთის მოთხოვნები ნაკლული ნივთის გამო. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, მაშასადამე, აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული არსებითი თვისებები. თუ მხარეებს შორის არ არის შეთანხმებული პირობები, მაშინ ნაკეთობა უნაკლოდ ითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის, ე.ი. აქვს ის თვისებები, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი სახეობის ნაკეთობებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება შეკვეთილისაგან განსხვავებული (*aliud*) ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობის დამზადება (სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლი). ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ (სამოქალაქო კოდექსის 640-ე მუხლი). ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლის პირველი ნაწილი). მენარდეს აქვს არჩევანი საკუთარი ხარჯებით (მასალის, ტრანსპორტის ხარჯები) აღმოფხვრას ნაკლი ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა და მოითხოვოს ნაკლული ნაკეთობის უკან დაბრუნება.

**ნარკოტიკული დანაშაული**

1. სისხლის სამართლის კოდექსის 260 – 274-ე მუხლები ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული დანაშაულებისათვის. აღნიშნული მუხლების თანახმად, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაზავნა ან გასაღება, მათი საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა; აღნიშნული ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა; ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება; ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისათვის ფარული ლაბორატორიის მოწყობა ან შენახვა; აღნიშნული ნივთიერე-

ბების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით ან გასაღება; მათი დამზადების, წარმოების, მიღების, აღრიცხვის, გაცემის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან შემოტანის წესის დარღვევა; მათი უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობა; მათ მოხმარებაზე დაყოლიება; პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება და აგრეთვე იძულებითი მკურნალობისათვის თავის არიდება. ზემოაღნიშნული ქმედებები მაშინ არის უკანონო, თუ ისინი ხორციელდება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება წარმოადგენს ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერებას, ამ ნივთიერების შემცველ მცენარეს ან პრეპარატს, რომელიც გაეროს კონვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების სიაში; ხოლო პრეკურსორი არის ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ დამზადებისას და გაეროს კონ-

ვენციების შესაბამისად შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული პრეკურსორების სიაში; სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ასეთი ქმედებისათვის უკვე ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი შეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის იყო ნასამართლევი. ასეთ შემთხვევაში, ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ითვალისწინებს დამატებით ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირისათვის ცალკეული უფლებების ჩამორთმევას. მაგალითად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებელს 3 წლით ჩამოერთმევა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საქმიანო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება და

სხვა. ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის პირი, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას და იგი გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამოაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩათვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებისთვის დგება მისი განმეორებით ჩადენის შემთხვევაში. პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დანესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვე-

ვათა კოდექსის 100<sup>2</sup>-ე მუხლი პასუხისმგებლობას აკისრებს პირს მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანისა ან კულტივირებისათვის, რაც გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამოაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს აგრეთვე ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვა, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის (გარდა პირისა, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

### ნასამართლობა

არის სასამართლოს განაჩენით დამნაშავეის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის ზოგიერთი უფლების შეზღუდვაში გამოიხატება (მაგალითად, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების

უფლების შეზღუდვა). პირი ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას (სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილი); სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მთელ რიგ ნორმებში ნასამართლობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. შეუძლებელია ნასამართლობის მქონე პირებისთვის სასჯელის ისეთი სახის გამოყენება, როგორც არის თავისუფლების შეზღუდვა (სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნასამართლობა წარმოადგენს ქმედითი მონაწილების და დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემზღუდველ გარემოებას (სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე და 69-ე მუხლები). ნასამართლობა გამორიცხავს არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით (სისხლის სამართლის კოდექსის 90-ე მუხლი). ნასამართლობის გაქარწყლებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია შემდეგი ვადები: ა) პირობით მსჯავრდებულისა - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო

მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა - სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ. ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შემცირებულია თვრამეტი წლის ასაკამდე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. მათი ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება: ა) პირობით მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმნიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე. ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადის გასვლამდე ნასამართლობა შეიძლება მოიხსნას ასევე ამინისტიისა და შეწყალების აქტის

საფუძველზე. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადანყვეტისას.

### ნასყიდობა

1. არის → **ორმხრივი (ნაცვალგებითი) ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა ქონების გაცვლის ვალდებულება ფულის სამაგიეროდ (წინააღმდეგ შემთხვევაში, → **გაცვლა**). ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, ე.ი. მიანიჭოს მას → **მესაკუთრის პოზიცია**, მიაწოდოს საქონელი, მაშასადამე, გადასცეს მას → **მფლობელობა**, და მასთან დაკავშირებული საბუთები (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი). → **პირობადებული საკუთრებისაგან განსხვავებით**, ნასყიდობის ხელშეკრულებით არ ხორციელდება სამართლებრივი სტატუსის ცვლილება, არამედ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა, ასევე, ნივთის გადაცემა (→ **აბსტრაქციის პრინციპი**). ნასყიდობის ხელშეკრულება ავალდებულებს გამყიდველს მიანიჭოს მყიდველს საკუთრება (→ **საკუთრების გადაცემა**) და გადასცეს მას ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი). ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება, ასევე, დადებულ იქნას განსაზღვრული → **პირობით**, მაგალითად, გამყიდველმა ნასყიდობის საგანი ჯერ თვითონ უნდა შეიძინოს. გამყიდველის ვალდებულებას

წარმოადგენს, ასევე, მყიდველის ინფორმირება ნასყიდობის საგნის სამართლებრივი გარემოებების შესახებ და მას ეკისრება ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლი; განსხვავებულად, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან → **ფასი, დაზღვევა, ფრანტი (cif) ან → თავისუფლად ბორტზე (fob)**). ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს როგორც → **ინვიდუალურად განსაზღვრული საგანი**, ისე → **გვარეობით განსაზღვრული ნივთი**.

2. მყიდველის მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს შეთანხმებული ფასის გადახდა, რომელიც მხარეთა თავისუფალ განსაზღვრას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დამატებითი ღირებულების გადასახადი მოიაზრება შეთანხმებულ ფასში, თუ სხვა გარემოებებიდან განსაზღვრული მითითება არ გამომდინარეობს. გამყიდველის ვალდებულება, გადაიხადოს შეთანხმებული ფასი, არის → **ფულადი ვალდებულება**, რომლის შესრულებაც შესაძლებელია → **გაქვითვით** ან → **სხვა შესრულების განხორციელებით**. საბანკო ანგარიშის მითითება წარმოადგენს მყიდველისათვის უფლებამოსილების მინიჭებას, შეასრულოს ვალდებულება გადარიცხვით. მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს, ასევე, ნასყიდობის საგნის მიღება (სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ეს ვალდებულება არის ძირითადი ვალდებულება, რომლის დარღვევაც გამოიწვევს არა მხოლოდ → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას**, არამედ → **მოვალის მიერ ვადის გადაცილებასაც**. მყიდველს, როგორც წესი, ეკისრება ხელშეკრულების შესრულებ

ბის ადგილიდან საქონლის გადაგზავნის ხარჯები სხვა ადგილზე.

3. ნასყიდობის ხელშეკრულება არ საჭიროებს ნებართვას ან განსაზღვრული ფორმის დაცვას. გამოწვევისა მხოლოდ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები ორმხრივი ხალხურულებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული წესებით. თუ ნასყიდობის საგანი ნივთობრივად ან უფლებრივად ნაკლებია, მაშინ მოქმედებენ სამოქალაქო კოდექსის ნორმები → **ნაკლები ნივთის** გაყიდვის შესახებ. ნივთის მყიდველზე გადაცემით მასზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, ამის მიუხედავად, იგი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული ფასი. განსაკუთრებული წესები მოქმედებენ მყიდველის მოთხოვნით ნივთის სხვა ადგილას გაგზავნისას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული (სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის მეორე ნაწილი). ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები გამოიყენება, ასევე, უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობის მიმართაც (სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლი), მაგალითად, უძრავი ნივთის → **იპოთეკით** დატვირთვისას. ასევე, მნიშვნელოვან შემთხვევებს წარმოადგენს ნივთზე საკუთრების მოპოვება → **აუქციონის** დროს და პრაქტიკაში ძალზედ გავრცელებული → **პირობადებული საკუთრების** მოპოვება.

**ნატო**

→ **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.**

**ნაფიცი მსაჯული**

→ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.**

**ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი**

წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ბრალდებულის უდანაშაულობის ან ბრალეულობის შესახებ. ნაფიცი მსაჯულები თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე წყვეტენ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი). შესაბამისად, არსებობს ვერდიქტის ორი ფორმა, გამამართლებელი ვერდიქტი და გამამტყუნებელი ვერდიქტი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს წერილობით ფორმაში. ნაფიცი მსაჯულები, როგორც წესი, ვერდიქტს იღებენ ერთხმად. გომონაკლისის სახით, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6



ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი ამკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარის მიერ გამოტანილი განაჩენი ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლი).

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**

შედგება 12 მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან. ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე – რვაზე ნაკლები და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებზე – ათზე ნაკლები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გულისხმობს ფუნქციათა მკაცრ გამიჯვნას მოსამართლესა და ნაფიც მსაჯულებს შორის. ამ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი ბრალდებულის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობასთან დაკავშირებით, ხოლო მოსამართლე დამნაშავედ ცნობილ პირს უფარდებს სასჯელს და წყვეტს სხვადასხვა პროცესუალურს საკითხებს. ნაფიც მსაჯულად გვევლინებიან საქართველოს

სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული 18 წელს გადაცილებული პირები, რომლებმაც იციან სისხლის სამართლის პროცესის ენა და ცხოვრობენ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი). ნაფიც მსაჯულად პროცესში მონაწილეობა წარმოადგენს მოქალაქის ვალდებულებას და მას უფლება არ აქვს უარი განაცხადოს აღნიშნული მოვალეობის შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ: იგი უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული; ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს; ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ; 70 წელს გადაცილებულია; ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს ამის საშუალებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენს მუდმივმოქმედ სასამართლოს. ნაფიცი მსაჯულები იკრიბებიან პერიოდულად, როდესაც წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე საქმე მათ განსჯადობას მიეკუთვნება და სისხლის სამართლის საქმეს განიხილავენ პირველი ინსტანციით. პოტენციური ნაფიცი მსაჯულები 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან შეირჩევიან მხარეთა მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. აღნიშნულ სხდომაზე შერჩეულ მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომის გახსნისას

## ნებართვა

ნაფიცი მსაჯულები დებენ ფიცს და იღებენ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობათა შესახებ განმარტებებს სხდომის თავმჯდომარესგან. საქმის განხილვის შემდეგ სათათბირო ოთახში გასვლამდე ნაფიცი მსაჯულები სასამართლო სხდომის თავმჯდომარისგან იღებენ განმარტებებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული განმარტებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ფაქტებთან დაკავშირებით და გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი → **ვერდიქტი**.

## ნებართვა

არის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა პირისათვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან.

## ნებართვის მფლობელი

არის → **პირი**, რომელსაც → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის** საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება, განახორციელოს → **ნებართვით** განსაზღვრული ქმედება, ან სხვა ნებართვის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება;

## ნების გამოვლენა

1. ნების გამოვლენა ნიშნავს სა-

მართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოხატვას, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი შედეგის მიღწევას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოდის ამ არაზუსტად დეფინირებული ცნებიდან და შეიცავს ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობებს, მაგალითად, → **უფლება-უნარიანობას**. ნების გამოვლენა არის → **გარიგების საფუძველი** და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. მას აქვს ორი წინაპირობა: ა) უპირველეს ყოვლისა, მოცემულ უნდა იქნეს მოქმედების ნება, მაშასადამე, ნება, რომ საერთოდ განხორციელებულ იქნეს ნების გამოვლენის მოქმედება. მოქმედების ნება არ არის მოცემული, მაგალითად, როდესაც პირზე ფიზიკური ძალის გამოყენებით განხორციელებულ იქნა ამ პირის მიერ ხელმოწერა (მუქარის შემთხვევაში → **შეცილება**).

ბ) შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოვლენის სურვილი, ე.ი. პირის ცნობიერება, მოქმედების შესრულებას შედეგად მოჰყვეს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოვლენა. მაგალითად, თუ პირმა აუქციონის მიმდინარეობისას ხელის აწევით მეგობარს ანიშნა ისე, რომ არ იცოდა, რომ აუქციონის პირობების თანახმად, ხელის აწევა ნიშნავს წინადადების წარმოდგენას, ასეთ შემთხვევაში, მოცემულია მოქმედების ნება, მაგრამ არა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოვლენის სურვილი. სადავო არის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ნების გამოვლენის სურვილის შედეგები. ერთი შეხედულების მიხედვით, რომელიც ნებას მნიშვნელოვან საფუძვლად განიხილავს, უარყო-



ფილია ზემოხსენებულ შემთხვევაში ნების გამოვლენა. სხვა შეხედულება ეფუძნება ნების გამოვლენის მხოლოდ გარეგნულ გამოხატვას და, ასეთ შემთხვევაში, მიიჩნევენ, რომ სახეზეა ნების გამოვლენა. მაშასადამე, მოცემულია ნების გამოვლენა, რომელიც შეცდომის გამო შეიძლება შეცილებულ იქნას. გ) დაბოლოს, გამოვლენილი ნება მიმართულ უნდა იქნას განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ. იმ შემთხვევაში, თუ პირს ასეთი განზრახვა არა აქვს, მაგალითად, არასერიოზულად გაკეთებული ნების გამოვლენისას, მაშინ მოცემულია გარიგების ბათილობა.

2. ნება გამოვლენილ უნდა იქნას, მაშასადამე, იგი გარეგნულად აღქმადი უნდა იყოს. წერილობითი გამოვლენა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არის დაშვებული. მნიშვნელოვანია, რომ ნება არ იყოს მხოლოდ შინაგანი სურვილი, არამედ გამოხატულ იქნეს გარეგნულადაც. ნება შეიძლება გამოვლენილ იქნას უშუალოდ, მაგალითად, როდესაც პირი აცხადებს, რომ მას სურს 1კგ ვაშლის ყიდვა. მაგრამ, როგორც წესი, საკმარისია, რომ ნება გამოვლენილ იქნა პირის მიერ განხორციელებული მოქმედებიდან, ე.წ. კონკლუდენტური მოქმედებით, და დუმილით. მაგალითად, პირი სალაროსთან იხდის ალებული ნივთის საფასურს. კონკლუდენტური მოქმედებისაგან უნდა განვასხვავოთ ნების გამოვლენა დუმილით. როგორც წესი, დუმილი არ გამოხატავს ნებას და მაშასადამე, იგი არ არის ნების გამოვლენა. თუ პირს გარიგების მეორე მხარე მოუწოდებს ან მას კანონის საფუძველზე შეუძლია გამოხატოს ნება და იგი დუმს (მაგალი-

თად, არასრულწლოვანის მიერ დადებული ორმხრივი გარიგებაზე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, → **ქმედუნარიანობა**; წარმოდგენილი პირის თანხმობა პირის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებულ გარიგებაზე), ასეთ შემთხვევაში, დუმილი ნიშნავს უარს გარიგების დადებაზე. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება დუმილი ჩაითვალოს ნების გამოვლენად პოზიტიური გაგებით (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, თუ მენარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად).

3. ნების გამოვლენა შეიძლება მოითხოვდეს მეორე მხარის მიერ მის მიღებას ან არ მოითხოვდეს ასეთ მიღებას (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაძლებელია, რომ ნების გამოვლენა შეზღუდულ იქნეს განსაზღვრული დათქმით (protestacio). ასეთი შემთხვევა მოცემულია, მაგალითად, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ არ დადგება განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი ან არ მოხდება კონკლუდენტური მოქმედების განსაზღვრული გაგებით ინტერპრეტაცია. ზოგადად, ასეთი დათქმა დასაშვებია, მაგრამ იგი განსაზღვრულ უნდა იყოს ნების გამოვლენის წესების თანახმად. მოჩვენებითი ნების გამოვლენა, რომ პირს არ სურს სამართლებრივი შედეგის დადგომა უმნიშ-

## ნების გამოვლენა

ვნელოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნების მიმღებიც მოჩვენებით მოქმედებს (ასეთ შემთხვევაში, მოცემულია გარიგების ბათილობა, სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასევე, უმნიშვნელოა მხარეებს შორის გაკეთებული დათქმა, როდესაც იგი წინააღმდეგობაში მოდის ფაქტობრივ გარემოებებთან (*protestacio facto contraria*; მაგალითად, პირი მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მაგრამ უარყოფს გადაყვანის ხელშეკრულების დადებას).

4. ნების გამოვლენისგან უნდა განვასხვავოთ მისი იურიდიული ძალა: მკაცრად ცალმხრივი ნების გამოვლენა ნამდვილია და იურიდიულ ძალას იძენს მისი წინაპირობების შესრულების მომენტისთანავე (მაგალითად, ანდერძის შინაარსი ქვემოთ მამკვიდრებლის ხელმოწერით). ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა მეორე მხარე მას მიიღებს (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი). სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს თანმყოფი და არათანმყოფი პირის მიმართ გამოვლენილ ნებას: თანმყოფი პირის (იგივე ითქმის ტელეფონით გამოვლენილი ნებაზე) მიმართ გამოვლენილი ნება, აღქმულ და გაგებულ უნდა იქნეს ამ პირის მიერ (ეს წესი არ ვრცელდება ყრუ-მუნჯ ადამიანებზე, ასევე, იმ პირებზე, რომლებიც არ ფლობენ ენას); არათანმყოფი პირის მიმართ ნების გამოვლენა ნამდვილია ამ პირის მიერ მისი მიღებიდან. ნება მიღებულად ჩაითვლება არა იმ მომენტში, როდესაც მეორე მხარემ ამის თაობაზე შეიტყო, არამედ, როდესაც

მას, კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გარემოებების გათვალისწინებით, შეეძლო ნების გაგება. გამოვლენილი ნება მიღებულად ჩაითვლება, თუ პირი გონივრული მიზეზის არარსებობის საფუძველზე არ იღებს მას. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ნების გამოვლენა მიღებულად ჩაითვლება ამანათის საფოსტო ყუთში ჩაგდებით. ნების გამოვლენა არ არის მიღებული, თუ პირს ფოსტის მიერ ეცნობა, რომ ფოსტაში მის სახელზე არის ამანათი. 5. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე გავლენას არ მოახდენს პირის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა, თუ ეს მოვლენები ნების გამოვლენის შემდეგ დადგა (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასევე, როდესაც მეორე მხარე წინასწარ განაცხადებს უარს (სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ ნება გამოვლენილი იქნა შეზღუდულად ქმედუნარიანი პირის (არასრულწლოვანის) მიმართ, მაშინ მისი ნამდვილობა დამოკიდებულია არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის მოწონებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არასრულწლოვანი იღებს სარგებელს (სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

6. თუ გამოვლენილი ნების შინაარსი ბუნდოვანია, მაშინ იგი განმარტებულ უნდა იქნას გონივრული განსჯის შედეგად (→ **კანონის განმარტება**). გამოვლენილი ნება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ან თუ დაცული არ არის კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმა, არის ბათილი. იმ შემ-

თხვევში, როცა ნების გამოვლენის ნაკლი გამოწვეულია არსებითი შეცდომით ან პირის იძულებით განხორციელებული ქმედებით, მაშინ ნების გამოვლენა ნამდვილია, მაგრამ იგი ექვემდებარება → **შეცილებას**. ასევე, ბათილია ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა (*falsa demonstratio non nocet*).

7. ნების გამოვლენას სასამართლო პროცესზე შეესაბამება → **საპროცესო მოქმედება**. საპროცესო მოქმედების წინაპირობები განსაკუთრებულად არის მოწესრიგებული საპროცესო სამართალში, რის გამოც ნების გამოვლენის მატერიალურ-სამართლებრივი განსაზღვრებები საპროცესო სამართალში არ გამოიყენება. მაგრამ, ხშირად, საპროცესო მოქმედება შეიძლება შეიცავდეს მატერიალურ-სამართლებრივ ნების გამოვლენას (მაგალითად, → **გაქვითვა** სასამართლო დავის მიმდინარეობისას, → **მორიგება**). ასეთ შემთხვევებში, საპროცესო მოქმედების მატერიალურ-სამართლებრივი ნაწილი, პროცესუალური შედეგის მიუხედავად, იქნეს იურიდიულ ძალას და პირიქით, ნების გამოვლენა ყოველთვის ნამდვილია, თუ მასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედება საპროცესო სამართლის ნორმებს შეესაბამება. საჯარო სამართალში ნების გამოვლენის ნამდვილობის წესები გამოიყენება მხოლოდ შეზღუდულად (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი; → **ადმინისტრაციული ხელშეკრულება**).

**ნების გამოვლენის ნაკლი**

ნების გამოვლენა შესაძლებელია შეიცავდეს სხვადასხვა ნაკლს, რაც მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი → **გარიგების** ნამდვილობას ექვემდებარება. თუ არ არსებობს მოქმედების ნება, მაშინ ნების გამოვლენა საერთოდ არ არის მოცემული. იმ შემთხვევაში, როცა ნების გამოვლენა გაცნობიერებულად არის გაკეთებული, მაგრამ იგი არ არის მიმართული განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ (მაგალითად, მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგება), ნების გამოვლენა ბათილია. თუ ნების გამოვლენა განხორციელებულ იქნა არსებითი შეცდომის ან იძულების საფუძველზე, მაშინ იგი ჩაითვლება ნამდვილად, მაგრამ შესაძლებელია მისი → **შეცილება**. სამოქალაქო სამართლებრივი ნების გამოვლენის გამოყენების შესახებ საჯარო სამართალში, → **ნების გამოვლენა**.

**ნების გამოვლენის შეცილება**  
→ **შეცილება**.

**ნეიტრალიზაცია**

→ **ნეიტრალიტეტისგან** განსხვავებით, რომელიც ერთი კონკრეტული შეირალებული კონფლიქტის მხარეებთან მიმართებაში სახელმწიფოს ნეიტრალური დამოკიდებულების აღსანიშნავად გამოიყენება, ნეიტრალიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას იყოს ნეიტრალური ყველა შეირალებულ კონფლიქტთან მიმართებაში. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან (მაგ. გარკვეულ წილად შვეიცარიისა და ავსტრიის ნეიტრალიტეტი) ან ეფუძნება ამ სახელ-



## ნეიტრალიტეტი

მნიფოს მიერ ცალმხრივად გაკეთებულ განცხადებას (მაგ. შვედეთი, მოლდოვა; თურქმენეთი). ხშირად ნეიტრალიზაციის აღსანიშნავად „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ ტერმინს იყენებენ. მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოები ვალდებული არიან არამარტო მონაწილეობა არ მიიღონ შეირაღებულ კონფლიქტებში, არამედ ასევე მშვიდობიან დროსაც მათ თავი უნდა შეიკავონ სამხედრო აღიანსებში და სამხედრო მიზნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობისგან.

### ნეიტრალიტეტი

აღნიშნავს სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ შეირაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის არმიღებას. იმისათვის, რომ კონკრეტულ კონფლიქტთან მიმართებაში სახელმწიფო ნეიტრალურ სახელმწიფოდ ჩაითვალოს, საჭირო არ არის მის მიერ ამის შესახებ მეომარი მხარეებისათვის შეტყობინება. თუმცა პრაქტიკაში ხშირად ასეთი შეტყობინებები კეთდება. ნეიტრალიტეტის სტატუსი მოიცავს უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობას. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები ნეიტრალიტეტის შესახებ კოდიფიცირებულ იქნა ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციებით სახმელეთო ომის შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფოებისა და პირების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ და საზღვაო ომის შემთხვევაში ნეიტრალური სახელმწიფოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ. ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორია ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი გამოყენება სამხედრო მოქმე-

დებისა ან სხვა დამხმარე ოპერაციების განხორციელებისათვის. თუმცა ნეიტრალურ სახელმწიფოს შეუძლია თავის ტერიტორიაზე ტრანზიტის უფლება მისცეს მეომარი მხარეების დაჭრილთა და ავადმყოფთა ტრანსპორტს, თუკი მათ თან არ ახლავთ შეირაღებული ძალები და საბრძოლო მასალა. რაც შეეხება ნეიტრალური სახელმწიფოს ვალდებულებებს, მათი მთავარი ვალდებულებაა რომელიმე მეომარი სახელმწიფოს მხარეზე კონფლიქტში ჩაურევლობა. კერძოდ, არ უნდა მიანოდოს რომელიმე მეომარ მხარეს საბრძოლო მასალები და არ გაუწიოს ომის წარმოებისათვის საჭირო ფინანსური დახმარება. მეომარი სახელმწიფოების სამხედრო გემების ყოფნის დრო ნეიტრალური სახელმწიფოს პორტებში და ტერიტორიულ ზღვაში არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავარიან არახელსაყრელი ამინდის პირობები ხელს შეუშლის მათ ამ პირობის შესრულებაში. არ შეიძლება ნეიტრალური სახელმწიფოს პორტების გამოყენება საბრძოლო მასალის მარაგის შევსებისათვის. ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი წყდება სახელმწიფოს მიერ შეირაღებულ კონფლიქტში ჩართვის მომენტიდანვე.

### ნეიტრალური სახელმწიფო → ნეიტრალიტეტი.

#### “ნიადაგის“ პრინციპი

(ლათ. ius soli) დაბადებით → მოქალაქეობის მოპოვების ერთერთი ფორმა, რომლის მიხედვითაც ბავშვს ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც იგი დაიბადა და

მხედველობაში არ მიიღება მშობლების მოქალაქეობა. მის საპირისპირო ფორმას → „სისხლის“ პრინციპი წარმოადგენს.

### ნივთი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის ვაგებით, ნივთი არის ფიზიკური (ასევე თხევადი ან აირადი) საგანი. მაშასადამე, ნივთი არის გრძნობით აღქმადი და ფიზიკურად ფლობადი (მაგრამ არა თავისუფალი ჰაერი ან ზღვის წყალი. ამის სანიწაღმდეგოდ, ნივთი არის, მაგალითად, ბოთლში მოთავსებული აირი). საგანთა ერთობლიობა არ არის ერთი ნივთი, არამედ რამდენიმე ნივთის სიმრავლე. → **სანივთო სამართალში** მოქმედი სპეციალურობის პრინციპის მიხედვით, შესაძლებელია მისი არა ერთიანად, არამედ თითოეული მათგანის ცალ-ცალკე განკარგვა. სამართლებრივად ერთ ნივთს წარმოადგენს საგანთა ისეთი ერთობლიობა, როგორცაა, მაგალითად, ავტომანქანა, სახლი და ა.შ. ვაბატონებული შეხედულების თანახმად, ადამიანის ცხედარი, მიუხედავად მისი „პიროვნული უფლების დარჩენილი ნაწილისა“, რომელიც განსაკუთრებით ცხედრის სისხლისსამართლებრივ დაცვაში გამოიხატება, წარმოადგენს → **უპატრონო მოძრავ ნივთს**, რომელიც ექვემდებარება არა მითვისებას, არამედ მხოლოდ ახლო ნათესავების მიერ შეზღუდულად განკარგვას. ამის საპირისპიროდ, ცოცხალი ადამიანის სხეული არ წარმოადგენს ნივთს, არამედ არის მისი პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილი. წესისამებრ, ყველა ნივთი, სამართლებრივი თვალსაზრისით, არის ბრუნვაუნარიანი, ე.ი. ის წარმოადგენს სანივთო

უფლებებისა და განკარგვის საგანს. ზოგადი ბრუნვაუნარიანობიდან (*res extra commercium*) გამოინაკლის წარმოადგენს ადამიანის ცხედარი, საეკლესიო და დაკრძალვის მიზნით გამოყენებული ნივთები (*res sacrae*), მაგალითად, სასაფლაო და ა.შ. ასეთი ნივთი, მართალია, არის უფლებამოსილი პირის საკუთრება, მაგრამ მისი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, შეზღუდულია მისი განკარგვაუნარიანობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, უპირველეს ყოვლისა, განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებს (148-ე მუხლი), მაგრამ იძლევა მხოლოდ უძრავი ნივთების დეფინიციას (სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლი) და ამით გვამცნობს, რომ მოძრავ ნივთს წარმოადგენს ყველა ის ნივთი, რომელიც არ არის უძრავი. ეს განსხვავება სანივთო სამართალში ფუნდამენტურ მნიშვნელობას წარმოადგენს, მაგალითად, საკუთრების შექმნისათვის (→ **საკუთრების შექმნა**). მოძრავი და უძრავი ნივთების ამორჯვნის შემთხვევაში განმასხვავებელი კრიტერიუმებია: ა) გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები. გაყოფადია ისეთი ნივთები, რომელიც ნივთის ცალკეულ ნაწილებად დაყოფის შემთხვევაში თითოეული მათგანი შეინარჩუნებს ამ ნივთისათვის გაყოფამდე დამახასიათებელ ფუნქციას (მაგალითად, მინის ნაკვეთი, მაგრამ არა სახლი ან ცხოველი). ამ საკითხს მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, მემკვიდრეობის გაყოფის ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში. ბ) შეცვლადი და შეუცვლადი ნივთები. შეცვლადი არის ისეთი ნივთი, რომელიც, სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციის მიხედ-

## ნივთიერი მტკიცებულება

ვით, განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით. მაგალითად, ფული, ფასიანი ქაღალდები ან სერიულად წარმოებული ავტომობილები და ა.შ. გ) გვაროვნული ნივთი. თუ რა შეიძლება იყოს ვალდებულების → **გვაროვნული ნივთით** შესრულების საგანი, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, რომელიც ადგენს ვალდებულების მოცულობას და შეიძლება ამ ვალდებულების შეუცვლადი ნივთით შესრულებაც (ამის სანიანა აღმდგომი არის → **ინდივიდუალურად განსაზღვრული საგანი**). დ) მოხმარებადი ნივთი არის ისეთი ნივთი, რომლის მოხმარებაც მის ფიზიკურ მოსპობაში გამოიხატება ან მცირდება მისი ღირებულება, მაგალითად, საკვები პროდუქტები, ფული. მოხმარებად ნივთად მიიჩნევა, ასევე, ის ნივთები, რომლებიც საგანთა ერთობლიობას მიეკუთვნებიან და მათი გამოყენება ნიშნავს მათ გასხვისებას. ყოველი შეცვლადი ნივთი არ არის მოხმარებადი ნივთი და პირიქით. მოხმარებადი ნივთის სამართლებრივი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ნივთის გამოყენების შემთხვევაში არა იგივე ნივთის უკან დაბრუნება ხდება, არამედ შესაბამისი ნივთის, მაგალითად, სესხის ხელშეკრულებით გადაცემული ფულადი თანხა.

## ნივთიერი მტკიცებულება

1. სისხლის სამართლის პროცესში არის საგანი, → **დოკუმენტი**, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშანთვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის,

დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს. ნივთიერი მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა, შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი).

2. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნივთიერი მტკიცებულებას განეკუთვნება ის ნივთი, რომელიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლი). ამით იგი არსებითად განსხვავდება → **წერილობითი მტკიცებულებისაგან**, რომელიც მასზე არსებული ნიშნებით იძლევა მისი წაკითხვის საშუალებას და შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. გამომდინარე აქედან, წერილობითი დოკუმენტი შეიძლება ამავე დროს წარმოადგენდეს ნივთიერი მტკიცებულებას, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება არა მხოლოდ ამ დოკუმენტის შინაარსით, არამედ მისი ხარისხით ან თვისებით უნდა დადგინდეს. სამოქალაქო პროცესში ნივთიერი მტკიცებულებები წარედგინება სასამართლოს მხარეების მიერ. თუ მხარემ ვერ შეძლო ნივთიერი მტკიცებულების წარმოდგენა იმის გამო, რომ ნივთიერი მტკიცებულება აქვს სხვა პირს, იგი მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით ამ პირისაგან მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე. იმ შემთხვევაში, როცა მხარე უარს ამბობს ნივთიერი

მტკიცებულების წარდგენაზე და არ უარყოფს ამ მტკიცებულების მის ხელთ არსებობას, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისგან, რომელიც უნდა დადასტურებულიყო ამ ნივთიერი მტკიცებულებით და ეს ტვირთი გადააკისროს მეორე მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული მტკიცებულების წარდგენაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლი). პროცესის მხარეებს შეუძლიათ გაცენონ წარმოდგენილ ნივთიერ მტკიცებულებებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ნივთიერ მტკიცებულებათა შემონეების მიზნით წარმოდგენილ იქნეს ექსპერტის დასკვნები. ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით ექსპერტის დანიშნვა შეუძლია სასამართლოს თავისი ინიციატივითაც (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლი). სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით შესაძლებელია განხორციელდეს იმ ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლი).

**ნივთის განადგურება**

ნისხლის სამართლის კოდექსი 187-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი-

დან სამ წლამდე, თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზევით) ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ პირმა განზრახ განადგუროს სხვისი ნივთი. ნივთის განადგურება გულისხმობს მასზე იმგვარ ზემოქმედებას, რის შედეგადაც წყდება მისი ფიზიკური არსებობა ან იგი გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. თუ მოცემულ გარემოებებში ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს (სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ან განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნივთის განადგურება), ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე. ხოლო, თუ ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე. სხვისი ნივთის განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სისხლის სამართლის კოდექსი 188-ე მუხლის მიხედვით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე. თუ პირი ქმედებას ჩაი-



## ნივთის დაზიანება

დენს ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ მოცემულ გარემოებებში ქმედება გამოიწვევს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, რის გამოც პირს შესაძლოა დაეკისროს თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

## ნივთის დაზიანება

სისხლის სამართლის კოდექსი 187-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თუ ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზევით). ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ პირმა განზრახ დააზიანოს სხვისი ნივთი. ნივთის დაზიანება გულისხმობს მისი თვისობრიობის ისეთ შეცვლას, რომლის დროს არსებითად უარესდება მისი მდგომარეობა, ხდება მისი სამეურნეო ღირებულების არსებითი შემცირება, იკარგება სასარგებლო თვისებათა მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად ან ნაწილობრივ გამოუსადეგარია მიზნობრივი გამოყენებისათვის. სისხლისსამართლებრი-

ვი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლის ნაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. თუ მოცემულ გარემოებებში ადგილი ჰქონდა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს (სხვა მძიმე შედეგში იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება ან განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნივთის დაზიანება), ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე. ხოლო, თუ ქმედებამ გაუფრთხილებლობით გამოიწვია ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე. სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე. თუ პირი ქმედებას ჩაიდენს ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ მოცემულ გარემოებებში ქმედება გამოიწვევს ადამიანის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, რის გამოც პირს შესაძლოა დაეკისროს თავისუფ-



ლების აღკვეთა ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

**ნივთის დაკავების უფლება**  
→ უარი ვალდებულების შესრულებაზე.

**ნივთის იძულებითი მართვა**  
იძულებითი აღსრულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ნივთის იძულებითი მართვა. ნივთის იძულებითი მართვისას მმართველი იღებს ნივთისგან ნაყოფს და ანაწილებს მას განაწილების გეგმის მიხედვით კრედიტორებს შორის. განაწილების გეგმას ამტკიცებს სასამართლო. ნივთის იძულებითი მართვა შესაძლებელია სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი დაკმაყოფილებულია ან აშკარაა, რომ იძულებითი მართვის გზით კრედიტორის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება (სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლი). → **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.**

**ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი**  
→ რისკზე პასუხისმგებლობა.

**ნიმუშის აღება**  
სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად, ტარდება → **მხარის** მიერ. თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი. მაგალითად, შესაძლებელია ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუშის აღება. ნიმუშის აღება,

რომელიც ინვესტორი ტიპიკილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული, აგრეთვე მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია, ან სასამართლოს განჩინებით. თუ ნიმუშის ნებაყოფლობით აღება შეუძლებელია, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

**ნიურნბერგის კანონები**  
უნოდებენ რაიხის ყრილობაზე 15.09.1935 წელს ნიურნბერგში მიღებულ კანონებს. „რაიხის მოქალაქეთა კანონი“ და „კანონი გერმანული სისხლისა და გერმანული პატივის დასაცავად“ ართმევდა სამოქალაქო და ძირითად უფლებებს იმ პირებს, რომლებიც არ იყვნენ „გერმანული ან მონათესავე სახეობის სისხლის“, (მაგალითად, გერმანელთან ქორწინების აკრძალვა: „რასობრივი შეურაცხყოფა“).

**ნიშნობა**  
→ ქორწინება.

**ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი** არის → **ადმინისტრაციული ორგანოს** საქმიანობის ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც კანონის საფუძველზე და მისი აღსრულების მიზნით მიმართულია პირთა განუსაზღვრელ წრეზე და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ა) ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიცია მოზემუ-



ლია → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის** პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად ნებს. ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განისაზღვრება იმ კანონით, რომელიც შესაბამის ორგანოებს აღჭურავს ასეთი აქტის გამოცემის უფლებამოსილებით. კანონშემოქმედება – ეს არის ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია. დაუშვებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმა და უფლებამოსილებათა სხვა სახელმწიფო ორგანოზე გადაცემა. რამდენადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია, უზრუნველყოს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხის ნორმატიული მონესრიგება, ნორმათშემოქმედება მოითხოვს სამუშაოს დანაწილებას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. კანონმდებელი ვალდებულია, კანონის გამოცემის გზით თვითონ მოაწესრიგოს მნიშვნელოვანი საკითხების ნორმატიული სფერო და სპეციფიკური და წვრილმანი საკითხების მონესრიგების პრეროგატივა დაუტოვოს მმართველობის ორგანოებს. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მის უფლებამოსილებით მმართველობის ორგანოების აღჭურვის მიზანია, ხელი შეუწყოს საკანონმდებლო ორგანოს ეფექტურობას. სპეციფიკური და წვრილმანი საკითხების მონესრიგებისგან გამონთავისუფლება კანონმდებელს შესაძლებლობას აძლევს, სრულყოფილად მოაწესრიგოს ქვეყნის საშინაო ცხოვრების და საგარეო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი საკითხები. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები ჩადებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს კანონში ნორმატიული აქტების შესახებ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. ხოლო, ცალკეული კანონები შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ კონკრეტული მმართველობის ორგანო აღჭურვილია, ამავე კანონის საფუძველზე გამოსცეს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ თვით ამ კანონში განისაზღვროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილების „შინაარსი, მიზანი და მოცულობა“. ე.ი. თვით კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს მომავალში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განხორციელებული სამართლებრივი მონესრიგების ჩარჩოები და მიმართულებები ისე, რომ მმართველობის ორგანოს შეეძლოს კანონმდებლის ნების ფარგლებში და მის შესაბამისად მოქმედება.

**ნოტა**

ოფიციალური დიპლომატიური დოკუმენტი, რომელიც დიპლომატიური მიმონერის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. განასხვავებენ პირად და ვერბალურ ნოტას. პირადი ნოტა იბეჭდება ოფიციალურ ბლანკზე, შედგენილია პირველ პირში და მას ხელს აწერს გამგზავნი. ვერბალური ნოტა ასევე იბეჭდება ოფიციალურ ბლანკზე, თუმცა შედგენილია მესამე პირში და ხელი არ ეწერება. ხელმოწერის ნაცვლად მას დაესმება გამგზავნი უწყების ბეჭედი. რაც შეეხება ნოტის შინაარსს, იგი შეიძლება შეიცავდეს პროტესტის განცხადებას ადრესატის მიერ განხორციელებული ქმედებასთან დაკავშირებით ან ინფორმაციას გარკვეული გარემოებებისა და ფაქტების შესახებ.

**ნოტების გაცვლა**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულების** სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიხედვითაც, მხა-

რები ერთმანეთს უგზავნიან იდენტური ტექსტის მქონე ნოტებს, რომლებიც ხელშეკრულების შემადგენელ დოკუმენტებს შეიცავენ. აღმნიშნული პრაქტიკა გათვალისწინებულია ასევე საქართველოს კანონმდებლობაშიც. კერძოდ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელი დოკუმენტების (ნოტების) გაცვლა.

**ნუნციუსი**

არის → **წმინდა საყდრის** მუდმივი წარმომადგენელი სახელმწიფოში. ნუნციუსი სტატუსით სავალდებულო და სრულუფლებიანი → **ელჩის** რანგს შეესაბამება. ზოგიერთ ქვეყანაში ნუნციუსი → **დიპლომატიური კორპუსის** მუდმივი → **დუაინის** ფუნქციებს ასრულებს.



## ოკუპაცია

ა) წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის შექმნის ერთ-ერთ ფორმას. კერძოდ, სახელმწიფო იკავებს ტერიტორიას, რომელიც ამ მომენტისთვის არცერთ სხვა სახელმწიფოს არ ეკუთვნის, ანუ *terra nullius*-ს წარმოადგენს. დღეისათვის ტერიტორიის შექმნის აღნიშნული ფორმა აქტუალური აღარ არის, რადგანაც *terra nullius* ფაქტიურად აღარ არსებობს, ადრე კი იგი ტერიტორიის შექმნის მთავარ ფორმას წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა მხოლოდ ტერიტორიის დაკავება არ არის საკმარისი, საჭიროა ასევე ერთმნიშვნელოვანი ნების გამოხატვა ამ ტერიტორიის მიერთებასთან დაკავშირებით და ასევე ტერიტორიის შესაბამისი სიდიდის ადმინისტრაციის დაფუძნება და მასზე ფექტიანი კონტროლის განხორციელება. ბ) სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკავება სამხედრო ძალის გამოყენებით. იგი არ წარმოადგენს ტერიტორიის შექმნის ფორმას. სამხედრო ოკუპაციის სამართლებრივი სტატუსი რეგულირდება 1907 წლის ჰააგის კონვენციებით, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციის, ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ 1977 წლის დამატებითი ოქმისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. კერძოდ, 1907 წლის ჰააგის მეოთხე კონვენციის 42-ე პუნქტის მიხედვით ოკუპირებულად ითვლება ტერიტორია, რომელიც იმყოფება მონინალმდეგის შეიარაღებული ძალების ფაქტიური კონტროლის ქვეშ. ოკუპანტი სახელ-

მნიფო ვალდებულია მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაამყაროს წესრიგი და უზრუნველყოს მოსახლეობის უფლებების დაცვა. მართალია, ოკუპაციის განმახორციელებელ სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს რეგულაციები, რომელთა მიზანი იქნება საოკუპაციო შეიარაღებული ძალების დაცვა. თუმცა ამასთან მან, შეძლებისდაგვარად, უნდა შეინარჩუნოს არსებული კანონები. 2008 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს იმ ტერიტორიების სტატუსს, რომლებიც ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და ადგენს ამ ტერიტორიების განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს.

## ოლიგარქია

(ბერძნ: „მცირეთა ძალაუფლება“) უმცირესობის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა, რომელმაც მიითვისა ძალაუფლება და რომლის მიზანსაც პირადი გამორჩენა წარმოადგენს.

## ომი

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ არის ნებადართული გამოყენებულ იქნას ომი სახელმწიფოთა შორის დავების გადაწყვეტის საშუალებად. სამხედრო ძალის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ → თავდაცვის უფლების გამოყენებისა და გაეროს ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

(→ ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა).

**ომის კანონები და ჩვეულებები**

საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების უფლებებსა და მოვალეობებს. ისინი მოცემულია საერთაშორისო კონვენციებში (→ **ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები**; → **ჟენევის კონვენციები**) და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში.

**ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა**

არის ცალკეული სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია: დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება; იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება; იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარდგენა, რომელიც ემალება გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა მოხდას; დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედე-

გად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა; უგზოუკვლოდ დაკარგული პირის ძებნა; სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირება (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი). ზემოაღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ღიად ან კონსპირაციის წესების დაცვით გამოიყენება: პირის → **გამოკითხვა**; ცნობების შეგროვება (გულისხმობს ოპერატიული მუშაკის ან გამოძიებლის მიერ კრიმინალისტიკური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვებას) ვიზუალური კონტროლი (გულისხმობს ოპერატიულ თვალთვალს, რომელიც კონსპირაციულად ტარდება ოპერატიული მუშაკის, გამოძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ უშუალოდ ან ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით); საკონტროლო შესყიდვა (გულისხმობს ოპერატიული მუშაკის, გამოძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენას ანდა შეძენის სიტუაციის შექმნას მისი გასაღების ან მოხმარების მიზნის გარეშე); კონტროლირებადი მინორდება (გულისხმობს დანაშაულის გასახსნელად, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად, საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი



მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებად გადაადგილებას, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია); საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევა (გულისხმობს საგნებისა და დოკუმენტების გამოკვლევას ვიზუალურად ან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რაც არ ითვლება ექსპერტის დასკვნად); პიროვნების იდენტიფიკაცია (გაიგივება) (გულისხმობს შესამონმებელი პირის ან ბრალდებულის დადგენას დაქტილოსკოპიური კარტოთეკის, შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალის, სუნის ან გამონაყოფის მიხედვით); დაკავებულის, დაპატიმრებულისა და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა; მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩანერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა (გარდა დიპლომატიური ფოსტისა) კონტროლი; მოსამართლის ბრძანებით ფარული ვიდეო- და აუდიოჩანერა, კინო- და ფოტოგადაღება; ელექტრული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს; დანაშაულებრივ ჯგუფში საიდუმლო თანამშრომლის ან ოპერატიული

მუშაკის ჩართვა; კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა და ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგი – გლობალურ საინფორმაციო ქსელში (ინტერნეტში) მიმდინარე ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტურთიერთობებზე დაკვირვება და მათში მონაწილეობა, ასევე უკანონო კომპიუტერული მონაცემის მიღების სიტუაციის შექმნა, რომელიც ემსახურება დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის დადგენას (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

**ოპოზიცია**

პოლიტიკური გაგებით არის ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ძალების მონინალმდეგე მხარე პოლიტიკურ საკითხებში. ვინრო გაგებით კი ოპოზიცია არის → **პარლამენტში** სამთავრობო გუნდის მონინალმდეგე პარტია ან პარტიათა ჯგუფი (ე.წ. საპარლამენტო ოპოზიცია). ოპოზიციას, რომელიც საკუთარი წინადადებებითა და რეკომენდაციებით ხელს უწყობს → **პარლამენტის** საქმიანობას „კონსტრუქციულს“ უწოდებენ, ხოლო ოპოზიცია, რომელიც თავის მოსაზრებებს გამოხატავს მხოლოდ უარყოფით და ბლოკირების მცდელობით, მოიხსენება ობსტრუქციად. პარლამენტში ოპოზიციის შექმნისა და ფუნქციონირების უფლება წარმოადგენს დემოკრატიული წყობილების არსებით ფაქტორს.

**ოპტაცია**

ტერიტორიის ერთი სახელმწიფოს მფლობელობიდან მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში გადასვლისას ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის მიცე-



მული შესაძლებლობა გააკეთოს მოქალაქეობის არჩევანი. ამასთან, როგორც წესი, ოპტაციას უკავშირდება პირის ვალდებულება, ტერიტორიის ყოფილი მფლობელი სახელმწიფოს მოქალაქეობის შენარჩუნების შემთხვევაში გადასახლდეს აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

**ორგანიზატორი**

არის დანაშაულის → **თანამონაწილე**, რომელმაც მოახყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას (სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამრიგად, ორგანიზატორის ფუნქციაა დანაშაულებრივი გეგმის შემუშავება, დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა, დანაშაულის ჩადენაში ჯგუფის ხელმძღვანელობა. ორგანიზატორი ჯგუფის წევრის ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, აძლევს მათ შესაბამის დავალებას, იღებს ზომებს დანაშაულის ჩადენის გზაზე დაბრკოლებათა მოსახსნელად, დანაშაულის კვალის მოსასპობად და კონსპირაციის მიზნით. ლიმიტირებული → **აქცესორულობის** პრინციპიდან გამომდინარე, ორგანიზატორის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია, ამსრულებლის მიერ ჩადენილ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე, რომელიც სავალდებულო არ არის, რომ ბრალეულად იყოს ჩადენილი. ამსრულებლის ექსცესისთვის ორგანიზატორი პასუხს არ აგებს. ორგანიზატორისთვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება მისი ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონა-

წილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამოწვეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე (სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი).

**ორგანიზებული ჯგუფი**

არის → **ჯგუფური დანაშაულის** ერთ-ერთი სახე. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება (სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განანილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა (სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნა). იმის გამო, რომ ორგანიზებული ჯგუფი განსაკუთრებული საშიშროებით გამოირჩევა, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მრავალი მუხლი ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას, როგორც მკვალი-ფიცირებულ გარემოებას (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი).



## ორგანო

### ორგანო

→ ადმინისტრაციული ორგანო.

### ორგანული კანონი

სხვა კანონებისაგან განსხვავდება რანგით და გამოიყენება მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე, კერძოდ: სახელმწიფო სიმბოლიკა, არჩევნები, რეფერენდუმი, პარლამენტის წევრის სტატუსი, საკონსტიტუციო სასამართლო, იმპიჩმენტი, მოქალაქეობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, საერთო სასამართლოები და სხვ. ორგანული კანონი ნორმატიული აქტების იერარქიაში დგას კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ და სხვა კანონებთან მიმართებით სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით (ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

საქართველოს ორგანული კანონის მიღებისათვის საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერა, რაც აღემატება „ჩვეულებრივი“ კანონის მიღების პროცედურებს.

### ორმხრივი (ნაცვალგებითი) ხელშეკრულება

1. ორმხრივი (ნაცვალგებითი) ხელშეკრულება არის ისეთი ხელშეკრულება, როდესაც ორმხრივი ვალდებულებები (განსხვავებით, მაგალითად, → სესხის ხელშეკრულებისაგან, რომელიც მხოლოდ ცალმხრივ ვალდებულებას წარმოშობს) ერთმანეთის მიმართ ნაცვალგებით დამოკიდებულებაში არიან. ერთი ვალდებულება მხოლოდ სამაგიერო ვალდებულების სანაცვლოდ უნდა შესრულდეს („do ut des“). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ორმხრივი ხელშეკრულების მნიშვნელოვან

ტიპებს წარმოადგენს ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, ნარდობა. კანონი ორმხრივი ვალდებულებების მჭიდრო კავშირის გამო შეიცავს განსაკუთრებულ ნორმებს, მაგალითად, სამაგიერო შესრულების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 406-ე მუხლები). სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებულები იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შესრულებინა. ამ შესაგებლის აღძვრა შეუძლია მხოლოდ იმ პირს, რომელიც, თავის მხრივ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას კეთილსინდისიერად ასრულებს. აღნიშნული შესაგებლის არსებობა აბრკოლებს → მოვალის მიერ ვადის გადაცილებას.

2. ა) თუ მოვალე ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (→ ხელშეკრულებაზე უარის თქმა) ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი). კრედიტორს, რა თქმა უნდა, შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. ამ ნორმის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ვადის უშედეგოდ გასვლა. მოვალის → ბრალეულობა არ არის აუცილებელი. არც დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ, მაგალითად, აშკარაა, რომ მას არავითარი



შედეგი არ ექნება ან თუ კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით ნაწილის შესრულებამ მისთვის ინტერესი დაკარგა. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, როდესაც კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგალითად, ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა ან ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი.

ბ) → **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა** ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან, თუ შეუძლებლობა მისი ბრალეულობით არ არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში, იგი კარგავს სამაგიერო შესრულების მოთხოვნას (გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 406-ე მუხლიდან). თუ კრედიტორი თვითონ არის პასუხისმგებელი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობაზე, მაშინ მოვალე ინარჩუნებს სამაგიერო შესრულების მიღების უფლებას. თუ მოვალეს მიერ შესრულებულია ვალდებულება, რომელიც მას არ ეკისრებოდა, მას შეუძლია უკან მოითხოვოს შესრულების დაბრუნება → **ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნორმების**

შედეგად. → **ადმინისტრაციული ხელშეკრულება.**

**ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც დადებულია საერთაშორისო სამართლის ორ სუბიექტს შორის (→ **საერთაშორისო სამართლის სუბიექტები**).

**ოფერტი**

→ **ხელშეკრულება.**

**ოფიციალური ენა**

→ **საერთაშორისო ორგანიზაციებში** ოფიციალური ენის სტატუსი აქვს ენას, რომელზედაც უნდა მიდიოდეს საკითხების განხილვა ამ ორგანიზაციის მთავარ ორგანოებში და რომელზედაც უნდა გამოიყენოს ამ ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში. მაგ., → **გაეროს** ოფიციალური ენებია: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური, ჩინური და არაბული, ხოლო → **ევროპულ კავშირში** კი ასეთი სტატუსით 23 ენა სარგებლობს. ესენია: ფრანგული, გერმანული, იტალიური, ჰოლანდიური, დანიური, ინგლისური, ირლანდიური, პორტუგალიური, ბერძნული, ესპანური, ფინური, შვედური, ლიტვური, ლატვიური, ესტონური, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, უნგრული, მალტური, სლოვენური, ბულგარული და რუმინული.

**ოქმი**

ოფიციალური დოკუმენტი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ, რომელიც, ხშირად, თანდართულია ძირითად → **საერთაშორისო ხელშეკრულებაზე**, თუმცა იგი შეიძლება დამო-



## ოჯახის წევრი

უკიდებელ საერთაშორისო ხელშეკრულებასაც წარმოადგენდეს (მაგ., ბიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ ოქმი).

### ოჯახის წევრი

1. სისხლის სამართალში ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი).

2. ოჯახის წევრი – ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მიზნებისთვის არის - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე.

ტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე.

### ოჯახში ძალადობა

გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

## 3

**პარაფირება**

პარაფირება წარმოადგენს → **საერთაშორისო ხელშეკრულების** დადების პროცესში ხელშეკრულების საბოლოო ტექსტზე შეთანხმების დადასტურებას. ტექსტის პარაფირება ხორციელდება უფლებამოსილ პირთა მიერ ხელშეკრულების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმის გზით.

**პარლამენტი**

→ **ხელისუფლების დანაწილების პრინციპის** შედეგად საკანონმდებლო ფუნქციითა და კომპეტენციით აღჭურვილი → **ორგანო**, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ეწოდება სახალხო წარმომადგენლობას. → **დემოკრატიის** უმთავრესი კომპონენტია ხალხის მიერ პირდაპირ არჩეული პარლამენტის არსებობა. მისი არჩევის წესი, შემადგენლობა და ფუნქციები მონესრიგებულია → **კონსტიტუციით** და სხვა საპეციალური კანონებით (მაგ., საარჩევნო კოდექსი). პარლამენტის საქმიანობის შიდა რეგულაციები მონესრიგებულია დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით, როგორცაა საქმისწარმოების ინსტრუქცია და სხვა. გარდა საკანონმდებლო ფუნქციებისა პარლამენტი ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, როგორცაა საბიუჯეტო უფლებამოსილებები, → **აღმასრულებელი ხელისუფლების** საქმიანობის კონტროლი. ამისათვის იგი აღჭურვილია სათანადო უფლებამოსილებებით, მაგალითად, როგორცაა კითხვით მიმართვის უფლება, საგამოძიებო კომისიის შექმნა და სხვა. საპარლამენტო

ორგანოებია პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პარლამენტის აპარატი, ბიურო, დეპარტამენტები, სამსახურები, კომიტეტები და კომიტეტებისა და ფრაქციების აპარატები. საქართველოს პარლამენტთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ საქართველოს → **კონსტიტუციის** შესაბამე თავი.

**პარტიციპაცია**

ანუ თანამონაწილეობა გულისხმობს დემოკრატიულ წყობილებაში ხალხის მონაწილეობას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. უახლესი დისკუსიის ფარგლებში პარტიციპაციის ინსტიტუტი განიხილება საჯარო მმართველობის გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის კუთხით. მოქალაქის აქტიური პოლიტიკური და საზოგადოებრივი როლი გამომდინარეობს → **დემოკრატიისა** და → **სამართლებრივი სახელმწიფოს** პრინციპებიდან.

**პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება**

→ **ევროპული გაერთიანებისა** და მისი წევრების მიერ საქართველოსთან დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს → **ევროპულ კავშირსა** და საქართველოს შორის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს. მას ხელი მოეწერა 1996 წლის 22 აპრილს და ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნებს

## პატივი

წარმოადგენს: მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის სათანადო ჩარჩოს უზრუნველყოფა, რაც პოლიტიკური ურთიერთობების განვითარებას უწყობს ხელს; დემოკრატიის კონსოლიდაციის მიმართულებით საქართველოს ძალისხმევების ხელშეწყობა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და საბაზრო ეკონომიკაზე სრულად გადასვლის პროცესის დასრულების ხელშეწყობა; ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა, მხარეებს შორის ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა; საკანონმდებლო, ეკონომიკური, სოციალური, საფინანსო, სამოქალაქო-სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობის საფუძვლების ჩამოყალიბება.

## პატივი

ანუ აღიარება საკუთარი თავის წინაშე და დაფასება საზოგადოების მიერ, გამომდინარეობს → **პირადი თავისუფლებიდან** და დაცულია → **კონსტიტუციით**.

## პატიმრობა

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების უკიდურეს ფორმას, რომელიც შეიძლება ბრალდებულს შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმდევა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის

ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული თავისუფლდება პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ბრალდებულის პატიმრობის ვადა → **წინასასამართლო სხდომამდე** არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს, თუ მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნული ვადა გონივრულ ვადამდე არ გააგრძელა.

2. ადმინისტრაციულ სამართალში → **ადმინისტრაციული პატიმრობა**.

## პაქტი

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**.

## პერსონალური მონაცემები

→ **საჯარო ინფორმაცია**, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. → **საჯარო დანესებულება** ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება თანამდებობის პირთა, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა პერსონალური მონაცემებზე. საჯარო დანესებულება

ვალდებულია: ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად; ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობივ შეხედულებასთან; გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა; დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გაუთვალისწინებული, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით; ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში; ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ამოინურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა; ზ) პერსონა-

ლური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამონმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული; თ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს რომელზედაც გროვდება ინფორმაცია, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველები.

**პერსონა ნონ გრატა**

არის ლათინური ტერმინი და ნიშნავს არასასურველ პირს. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია, თავისი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად, ამცნოს წარმგზავნ სახელმწიფოს, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი სხვა წევრი პერსონა ნონ გრატაა. წარმგზავნი სახელმწიფო მოვალეა გაიწვიოს აღნიშნული პირი. პირი შეიძლება პერსონა ნონ გრატად გამოცხადდეს მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლამდე. თუკი წარმგზავნი სახელმწიფო უარს იტყვის პირის განვევაზე ან გონივრულ ვადაში არ გაიწვევს მას, ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შეუძლია არ ცნოს აღნიშნული პირი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

**პირადი თავდებობა**

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს ალკვეთის ღონისძიებას, რომლის დროსაც სანდო პირები კისრულობენ წერი-



## პირადი თავისუფლება

ლობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამოძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას. თავდებთა რაოდენობა კანონით არ არის განსაზღვრული. მაგისტრატი მოსამართლე თავად განსაზღვრავს თავდებთა რაოდენობას, რა დროსაც მხედველობაში იღებს აღნიშნული პირების დამოკიდებულებას ბრალდებულთან და მათ შესაძლებლობებს ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად. პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით. თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, სასამართლოს შეუძლია თითოეულ თავდებს მხარის შუამდგომლობით დააკისროს ჯარიმა 100 ლარიდან 5000 ლარამდე ოდენობით. თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლი).

## პირადი თავისუფლება

საქართველოს → კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს → პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რაც მე-14 მუხლის პირველ წინადადებასთან ერ-

თად ნიშნავს ზოგადად ადამიანის მოქმედების თავისუფლების ძირითად უფლებად აღიარებასა და დაცვას. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს საკუთარი ცხოვრების თავისუფალი განკარგვის უფლებას, საიდანაც გამომდინარეობს მთელი რიგი პირადი უფლებები, რომლებიც სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებშია დაცული, მაგალითად, როგორიცაა საავტორო უფლებები, სახელის უფლება და ა.შ. პირადი თავისუფლება, როგორც ყველა ძირითადი უფლება, გარანტირებულია იქამდე, სანამ არ არის შემხებლობა სხვა ადამიანის უფლებებთან, ან შეუთავსებლობა მართლწესრიგთან.

## პირადი საიდუმლოება

ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. → პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

## პირადი ფასიანი ქალაღი

პირადი ფასიანი ქალაღი არის განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ (სამოქალაქო კოდექსის 928-ე მუხლი). პირადი ფასიანი ქალაღიდან გამომდინარე უფლება არ შეიძლება გადაცემულ იქნას მხოლოდ დოკუმენტზე საკუთრების უფლების გადასვლით, არამედ უფლების გადაცემა ხდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზო-

გადი წესების მიხედვით, მაგრამ შესაძლებელია, რომ უფლების გადაცემისათვის საჭირო იყოს ფასიანი ქალაქის გადაცემაც. მაშასადამე, → **საორდერო ფასიანი ქალაქისაგან** განსხვავებით, პირად ფასიან ქალაქზე საკუთრების უფლება დამოკიდებულია ფასიანი ქალაქით განსაზღვრულ უფლებაზე.

**პირადი ცხოვრების უფლება**

ადამიანის პირადი ცხოვრება არის მისი ცხოვრების ავტონომიური, ანუ ინდივიდუალური განსაზღვრისა და წარმართვის უფლება; სფერო, სადაც პირი ავითარებს, ამჟღავნებს და იმავდროულად იცავს, ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას. ამასთან, აღნიშნული არ შემოიფარგლება მხოლოდ საცხოვრებელი სივრცით, არამედ ვრცელდება ყველგან, სადაც ობიექტურად მოსალოდნელი და სავარაუდოა მისი განხორციელება. პირადი ცხოვრების დაცვა, როგორც სხვა ძრავალი ძირითადი უფლება გამომდინარეობს ადამიანის ღირსების უზენაესობიდან. პირადი ცხოვრების ცნება საკმაოდ ფართოა და მოიცავს ადამიანის თვითგანკარგვის უფლებასაც. ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით. განსაკუთრებული დაცვა ვრცელდება ოჯახის პირად სფეროზე. ვინაიდან ზოგადად, პირადი ცხოვრების უფლება მისი სუბიექტის დისპოზიციური უფლებაა, დაცვა გამოირიცხება, როდესაც პირი თავად ხდის საჯაროდ ხელმისაწვდომს თავისივე პირად სფეროს განკუთვნიებულ საკითხებს. ამის მაგალითია დღეს საყოველთაოდ გავრცელებული სო-

ციალური ქსელები (მაგალითად, როგორცაა Facebook-ი და ა.შ.). პირადი ცხოვრების ე.წ. ბირთვული, აბსოლუტური და ხელშეუხებელი ნაწილია ინტიმური სფერო, რომელსაც მათ შორის განეკუთვნება ისეთი უკიდურესად პირადი ინფორმაცია, როგორცაა დღიური, პირადი ჩანაწერები და ასევე სექსუალური ცხოვრება. დანაშაულთან ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც მიმდინარეობს პირის თვალთვალი, როგორც წესი, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დაშვებულია ასეთი სახის ინფორმაციის მოპოვება (ფარული ჩანაწერის სახით), თუმცა, მისი ასეთად იდენტიფიცირების შემდეგ, დაუშვებელია მისი გამოყენება და იგი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. თუმცა, ზემოთხსენებულ ბირთვულ ნაწილზეც ვრცელდება დისპოზიციურობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უფლება დაცულია მანამ, სანამ თვითონ უფლების სუბიექტი არ გაავრცელებს შესაბამის ინფორმაციას.

**პირგასამტეხლო**

პირგასამტეხლო საჭიროებს მხარეებს შორის წერილობითი ფორმით შეთანხმებას. იგი მოცემულია, როცა მოვალე კრედიტორის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ იგი მას გადაუხდის ფულად თანხას ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (სამოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლები). თუ პირგასამტეხლოს გადახდის მიზანს წარმოადგენს მოვალის უმოქმედობა (მოქმედებისაგან თავის შეკავება), მაშინ გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ამის სანინააღმდეგო მოქმედების განხორციელებით. პირ-



## პირდაპირი განზრახვა

გასამტეხლოს გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ძირითადი ვალდებულების შესრულების გვერდით, თუ მოვალე არ ასრულების თავის ვალდებულებას ხელშეკრულებით დადგენილ დროში; სხვა შემთხვევაში, დაუშვებელია კრედიტორის მიერ პირგასამტეხლოს გადახდისა და ვალდებულების შესრულების ერთდროულად მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, კრედიტორს მოვალის მიმართ აქვს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი). საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

## პირდაპირი განზრახვა

→ ბრალი.

## პირდაპირი დაკითხვა

სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოში მოწმის დაკითხვის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი მოწმე გამოიძახა. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მოწმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამის-

ად, → **ჯვარედინი დაკითხვის** შემდეგ, მხარეს უფლება აქვს, აწარმოოს მოწმის ხელახალი პირდაპირი დაკითხვა. ხელახალი პირდაპირი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით.

## პირი

→ **სამართლის სუბიექტი.**

## პირის ბრალდებულად ცნობა

ხდება გამოძიების ეტაპზე პროკურორის დადგენილებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. პირისათვის ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს. თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. თუ იგი ამ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. პროკურორი ან მისი დავალებით გამოძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც



ჩაითვლება ბრალის წაყენებად. დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ასეთი ბრალის წაყენებისას აღნიშნული ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან.

### პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება

სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირებას, სასამართლოს მხარის (პროკურორის, ადვოკატის) შუამდგომლობით გამოაქვს პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე განჩინება. ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე, ეს ვადა შეიძლება სასამართლოს განჩინებით გაგრძელდეს კიდევ 10 დღით. ბრალდებული ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ. სტაციონარულ

ექსპერტიზაზე ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. ბრალდებულის სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში, გარდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადისა.

### პირობადებული საკუთრება

1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს განსაზღვრული პირობით. პირობადებული საკუთრების მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულება, როდესაც გამყიდველმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ. ამ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი). რამდენადაც ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია, შეიძენი უფლებამოსილია მიიღოს ნივთზე მფლობელობა და გამოიყენოს იგი. დათქმული პირობის შესრულებით, (როგორც წესი, თანხის სრულად გადახდით), შემძენზე ავტომატურად გადადის საკუთრება და საკუთრების გადასვლა მხარეებს შორის დამატებით შეთანხმებას არ საჭიროებს. პირობადებული საკუთრების ძალით, ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, განსაკუთრებით, → მოვალის მიერ ვალის გადაცილების შემთხვევაში, → უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ნივთის დაბრუნება.

2. პირობადებული საკუთრების განსაკუთრებით გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს განვადების ხელშეკრულება. შესაძლე-

## პირობითი გარიგება

ბელია, საკუთრება პირობადებულ იქნეს გამსხვიებლის მიერ ცალმხრივად, მაგალითად, გაგზავნილი საქონლის თანხლებ დოკუმენტებზე ან ქვითარზე შენიშვნით, თუ ეს დოკუმენტები შემდგომ მინიმუმ საქონელთან ერთად მიიღო. პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, შემდგომ ნივთის მიმართ არის არაუფლებამოსილი პირი და მას ნივთის განკარგვა მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით შეუძლია. შესაძლებელია, ასევე, შემდგომისგან → **საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნა**. რამდენადაც პირობადებული საკუთრება შემდგომ მესაკუთრის მსგავს სამართლებრივ პოზიციას ანიჭებს, მას შეუძლია განკარგოს პირობადებული საკუთრება როგორც უფლებამოსილმა პირმა.

3. პირობადებული საკუთრების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს გავრცობილი (კონტოკორენტული) პირობადებული საკუთრება. ამ შემთხვევაში, საკუთრების გადაცემა დამოკიდებულია შემდგომის მიერ გამსხვიებლის მიმართ არსებული ყველა ღია მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თუ ასეთი გავრცობილი პირობადებული საკუთრება მხარეებს შორის შეთანხმებულია, შემდგომ შეუძლია მიღებული საქონელი ჩვეულებრივ სანარმოო პროცესში გადაამუშაოს (→ **მასალის გადამუშვება**), განკარგოს და გადასცეს საკუთრება მესამე პირს, ხოლო გამსხვიებელი მოთხოვნის წინასწარი დათმობით იღებს ნივთის საფასურს. ამის გამო, გავრცობილი პირობადებული საკუთრება კოლიზიაში მოდის გლობალურ ცესიასთან (ყველა მოთხოვნის დათმობა), რადგან, ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს ბანკების სასარგებლოდ ყველა მომავალი მოთხოვნების დათ-

მობას მათ მიერ გაცემული კრედიტების უზრუნველსაყოფად. გავრცელებული შეხედულების თანახმად, კრედიტების უზრუნველსაყოფად შეთანხმებული გლობალური ცესია ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, თუ იგი იმ მოთხოვნებსაც მოიცავს, რომელიც მოვალემ საქონლის მომწოდებლებს გავრცობილი პირობადებული საკუთრების საფუძველზე უნდა დაუთმოს. გავრცობილ პირობადებულ საკუთრებას ენიჭება უპირატესობა გლობალურ ცესიასთან მიმართებაში. იმისათვის, რომ გლობალური ცესიის გარიგება კოლიზიის შედეგად არ იყოს ბათილი, საჭიროა, რომ იგი შეიცავდეს დათქმას, რომ გლობალური ცესია არ მოიცავს გავრცობილი პირობადებული საკუთრების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებს.

## პირობითი გარიგება

1. პირობითი გარიგება მოცემულია, როდესაც გარიგება დამოკიდებულია სამომავლო ან უცნობ პირობაზე (ლათ. *conditio*) იმგვარად, რომ გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე ან გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე (სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი). მოვლენა, ამ მუხლის გაგებით, არის, აგრეთვე, განსაზღვრული დროის დადგომა (მაგალითად, „სანამ ჩემი შვილი სრულწლოვანი გახდება“). ნამდვილ მოვლენას არ წარმოადგენს ე.წ. სამართლებრივი პირობა, რომელიც მხოლოდ კანონის პირობას მოვლენის ფორმით გამოხატავს, (მაგალითად, მეურვე არასრულწლოვანთან ქორწინების ბათილად ცნობას არ მოითხოვს). ასეთი სამართლებრივი პირობა უმნიშვნელოა. ხელშეკრულების პირობები არ წამოად-

გენენ პირობას სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის გაგებით, არამედ არის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ბათილია ისეთი პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 91-ე მუხლი; ბათილობის შესახებ → **გარიგების ბათილობა**).

2. ნამდვილი პირობა შეიძლება დამოკიდებული იყოს შემთხვევით გარემოებაზე (მაგალითად, „თუ უძრავი ქონების ფასი არ მოიმატებს“). პირობა შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური. მნიშვნელოვანია გარიგება გადადების და გაუქმების პირობით. თუ გარიგება გადადების პირობით დაიდო (მაგალითად, → **პირობადებულ საკუთრების შემთხვევაში**, საკუთრება გადადის ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში), ამ შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი წარმოიშობა პირობის დადგომისთანავე (სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი). ხოლო გაუქმების პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას (სამოქალაქო კოდექსის 97-ე მუხლი). სამართლებრივი შედეგი წარმოიშობა ამ პირობის დადგომისთანავე (→ **ex nunc**), ე.ი., პირობას არა აქვს უკუქცევითი ძალა. თუ გარიგება დადებულია გაუქმების პირობით, მაშინ იგი სამართლებრივად ნამდვილია ამ პირობის დადგომამდე, ხოლო გადადების პირობის დადგომამდე, მხარეს ხელშეკრულების საგანი (ნივთი, მოთხოვნა, უფლება) ჯერ კიდევ არ აქვს სრულად მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში, პირი მოიპოვებს

→ **პირობადებულ საკუთრებას**. ასეთი პირობადებული საკუთრების სამართლებრივი შედეგი არის, რომ პირს შეუძლია პირობის დადგომისთანავე მოითხოვოს მეორე მხარისაგან ზიანის ანაზღაურება, თუ მეორე მხარემ პირობის დადგომას ხელი შეუშალა ან თავიდან აიცილა. ნივთის ყოველი შემდგომი განკარგვა პირობის დადგომისთანავე ბათილია, რამდენადაც პირობაზე დამოკიდებულ სამართლებრივ შედეგს ხელს შეუშლის ან თავიდან აიცილებს, (მაგალითად, ნივთის მეორედ პირობადებული საკუთრებით განკარგვა). ამ შემთხვევაშიც იმ პირის სასარგებლოდ, რომელმაც მოიპოვა არაუფლებამოსილი პირისაგან უფლება, გამოიყენება შესაბამისი ნორმები, (მაგალითად, → **კეთილსინდისიერი შემძენი**, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი; არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვა, სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი). თუ გარიგების ერთ-ერთმა მხარემ არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა პირობის დადგომა, მაშინ პირობა ჩაითვლება დამდგარად (ფიქცია; სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ სასამართლო პროცესზე გარიგებას გადადების პირობით ერთ-ერთი მხარე ამტკიცებს, მაშინ მეორე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ გარიგება ასეთი პირობით არ დადებულია. თუ გარიგებას გაუქმების პირობით ამტკიცებს მხარე, მაშინ მას ეთისრება → **მტკიცების ტვირთი**.

3. როგორც წესი, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი გარიგება დაიდოს რაიმე პირობით. ასე, მაგალითად, არსებობს პირობითი მოთხოვნები, პირობითი უფლებები, მაგალითად, → **გირავნობა**.



## პირობითი მსჯავრი

პირობითი გარიგებები არ შეეხება საოჯახო-სამართლებრივ გარიგებებს, მაგალითად, → **ქორწინებას**, → **შვილად აყვანას**, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულებას უძრავი ნივთის შესახებ. გარიგების ბუნებიდან გამომდინარე, პირობითი არ შეიძლება იყოს, ასევე, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა** და → **შეცილება**, რადგან ამ შემთხვევაში საჭიროა ნათლად იყოს სამართლებრივი შედეგები განსაზღვრული. პირობითი არ შეიძლება იყოს, ამავე დროს, პროცესუალური მოქმედებები.

## პირობითი მსჯავრი

წარმოადგენს განაჩენის აღსრულების გადავადების სპეციალურ ფორმას, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნეს, თუ მხარეებს შორის დადებულია → **საპროცესო შეთანხმება**. პირობითი მსჯავრის გამოყენების შემთხვევაში პირს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი ჩაეთვლება პირობითად. თუ მსჯავრებული უღმრთესად გამოტანის მომენტიდან არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. თუ მსჯავრებული წარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახვი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია. პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი (სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი). პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს სასამართლო ადგენს → **გამოსაცდელ ვადას** და

ამასთან ერთად, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრებულს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება, მაგალითად, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტიინაზოგადობრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი და ა.შ. (სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი). პირობით მსჯავრებულის ყოფაქცევა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება ექვემდებარება სპეციალურ კონტროლს, რომელსაც ახორციელებს პრობაციის ბიურო, ხოლო პირობით მსჯავრებული სამხედრო მოსამსახურის მიმართ აღნიშნულ კონტროლს ახორციელებს სამხედრო ნაწილის ხელძღვანელობა (სისხლის სამართლის კოდექსის 66-ე მუხლი). სასამართლოს შეუძლია იმ ორგანოს წარდგინებით, რომელიც ახორციელებს კონტროლსა და დახმარებას პირობით მსჯავრებულის მიმართ, გააუქმოს პირობითი მსჯავრი და მსჯავრებულს მოუხსნას ნასამართლობა, თუ პირობით მსჯავრებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას. ამასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია კონტროლის ორგანოს წარდგინებით გააგრძელოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს ერთი წლით, თუ პირობით მსჯავრებულმა თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ან დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რის გამოც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი. თუ პირობით

მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს განაჩენთა ერთობლიობის დროს → **სასჯელის დანიშვნის** წესით. სასამართლოს მიერ ახალი განზრახი დანაშაულისათვის სასჯელის სახედ, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ხელმეორედ პირობითი მსჯავრის დანიშვნა არ შეიძლება. აღნიშნულიდან გამონაკლისი დაიშვება და პირობითი მსჯავრი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მხარეთა შორის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს მთავარ პროკურორთან ან მის მოადგილესთან (სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლი). თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადის განმავლობაში ახალი დანაშაული არ ჩაიდინა და შესაძლოა კანონის მოთხოვნა, განაჩენი, რომლითაც პირობითი მსჯავრი დაინიშნა ძალას კარგავს და პირს ნასამართლობა უქარწყლდება (სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი).

**პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება**

ამ უფლებით სრული მოცულობითა და მასშტაბით (და არა მხოლოდ ნაწილობრივ) არის დაცული და გარანტირებული ადამიანის მოქმედების თავისუფლება. პიროვნების განვითარება მოიცავს როგორც შინაგან, ისევე გარეგნულ ასპექტებს, როგორც პირად, ისე სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ

ცხოვრებას. შესაბამისად ფართო ნორმის დაცვისა და გამოყენების სფეროც. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ქცევის თავისუფლებას და ინდივიდის პირად ავტონომიას. იგი, ასევე, მოიცავს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას, უფლებას საკუთარ გარეგნობაზე, სიტყვის უფლებას, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, იცავს პიროვნების სოციალურ იდენტურობას, ინტიმურ სფეროს, ეკონომიკურ თავისუფლებას, სახელშეკრულებო თავისუფლებას. ფარგლებს ადგენს ისევე და ისევე სხვა ადამიანის უფლებები, ზნეობის ნორმები და მართლწესრიგი.

**პლებისციტი**

1. რეფენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-81 მუხლის მიხედვით, პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაგებად. პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით. მისი შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

2. საერთაშორისო სამართალში პლებისციტი ეწოდება საერთო სახალხო გამოკითხვას, რომლის შედეგების მიხედვით გადაწყდება ამა თუ იმ ტერიტორიის სახელმწიფოებრივი კუთვნილება. მაგ., ზაარის მხარეში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის → **პროტექტორატს** წარმოადგენდა, 1955 წლის 23 ოქტომბერს მოსახლეობის გამოკითხვა



## პლუტოკრატია

ჩატარდა, რომლის შედეგების საფუძველზე ზაარის მხარე 1957 წლის 1 იანვარს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუერთდა.

## პლუტოკრატია

(ბერძ. plutokratia; plutos სიმდიდრე და kratos ძალაუფლება) ეწოდება სახელმწიფოს მმართველობის ფორმას, პოლიტიკურ წყობილებას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება ხდება მოქალაქეთა მცირერიცხოვანი, მდიდარი კლასის მიერ. ამრიგად, პლუტოკრატია არის ოლიგარქიის ერთ-ერთი ფორმა.

## პოზიტიური სამართალი

→ სამართალი.

## პოლიტიკური პარტიები

საქართველოს → კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარტიები თავის მხრივ მონაწილეობას იღებენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში და გავლენას ახდენენ მასზე. შესაბამისად, მათი მიზნები და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციურ წყობილებას და → დემოკრატიის ძირითად პრინციპებს. პარტიის ფინანსური სახსრების წარმომავლობა უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა, მისი შექმნისა და საქმიანობის წესი, მის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე პარტიაში განეწესება, მისი რიგებიდან გასვლა და პარტიის საქმიანო-

ბის შეწყვეტა მოწესრიგებული საპეციალური ორგანული კანონით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.

## პოლიცია

1. არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, საპეციალური, პოლიციური და გასამხედროებელი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. პოლიცია თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს. პოლიციის სამსახურები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და მისი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით. პოლიციის ორგანიზებასა და სტრუქტურას განსაზღვრავს სამინისტროს შესახებ დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პოლიციის საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ. აღნიშნული კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამი-

ნისტროს სამხედრო პოლიციისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის საქმიანობაზე.

2. პოლიციის ამოცანებია: ა) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; ბ) პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება; გ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

3. პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს. პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

4. პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა: ა) მკაცრად დაიცვას მოქალაქის

კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას; ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს სხვა ორგანოებსა და მოქალაქეებს; გ) მოქალაქესთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები; დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობისაგან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე; ე) დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული; ვ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დაკვირვების ელექტრონული საშუალებების (ტელეფონი, მიკროფონი, რადიოკავშირის სპეციალური ტექნიკა და დაკვირვების სხვა საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც გამოიმყვანდება დაფარული კავშირები ერთ-ერთი მხარის თანხმობის გარეშე) საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანის, დაშვების და გამოყენების კონტროლი; ზ) გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს სათანადო ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე იარაღით, საბრძოლო მასალით, ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებებით, ძლიერმოქმედი ქიმიური და შხამიანი ნივთიერებებით ვაჭრობა, აგრეთვე მათი დაშვება, შექმნა, შენახვა, ტარება, გამოყენება, გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა; თ) განახორციელოს



კონტროლი ტირების, სასრო-  
ლეთების და სხვა ობიექტების  
გაცხენისა და საქმიანობის წესების  
დაცვაზე; ი) თავისი კომპეტენციის  
ფარგლებში განახორციელოს  
შებამისი ღონისძიებები საქარ-  
თველოს სახელმწიფო საზღვრის  
და განსაკუთრებული მნიშვნე-  
ლობისა და სტრატეგიული დანიშ-  
ნულების ობიექტების დაცვის, სა-  
ხელმწიფო ხელისუფლების ორ-  
განოთა უმალლესი თანამდებო-  
ბის პირების უსაფრთხოების დაც-  
ვის უზრუნველსაყოფად; კ) საქარ-  
თველოს შინაგან საქმეთა მინის-  
ტრის ნორმატიული აქტით დამ-  
ტკიცებული ნუსხის შესაბამის-  
ად განახორციელოს სახელმწიფო  
ობიექტების ფიზიკური დაცვა;  
ლ) განახორციელოს სასაზღვრო-  
პოლიციური ღონისძიებები; მ) გა-  
ნახორციელოს საკანონმდებლო,  
აღმასრულებელი და სასამართ-  
ლო ხელისუფლების ორგანოებ-  
თან ურთიერთობის სამართლე-  
ბრივი უზრუნველყოფა; ნ) კან-  
ონით დადგენილი წესით განა-  
ხორციელოს ოპერატიულ-სამძე-  
ბრო ღონისძიებები; ო) მიიღოს  
და რეგისტრაციაში გაატაროს შე-  
მოსული ინფორმაცია დანაშაუ-  
ლის და სხვა სამართალდარღვე-  
ვის შესახებ, დაუყოვნებლივ მოახ-  
დინოს მასზე რეაგირება, ანარ-  
მოს სამართალდარღვევებისა  
და მათი ჩამდენი პირების აღრი-  
ცვა; პ) სისხლის სამართლის სა-  
პროცესო კანონმდებლობით გა-  
თვალისწინებულ შემთხვევებში  
დაიხდეს გამოძიება და ამის შე-  
სახებ აცნობოს პროკურორს; ჟ)  
დაეხმაროს შესაბამის უწყებებს  
დაკარგული და გატაცებული  
იარაღის, საბრძოლო მასალისა  
და ტექნიკის, სამხედრო ქონების  
მოძებნაში, აგრეთვე იმ პირთა  
მოძებნაში, რომლებიც თავს

არიდებენ სავალდებულო სამხე-  
დრო სამსახურს; რ) შეასრულოს  
პროკურორისა და გამომძიებლის  
წერილობითი დავალებები და მი-  
თითებები საგამოძიებო და ოპე-  
რატიულ-სამძებრო საქმიანობის  
შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს  
მათ საგამოძიებო მოქმედების  
განხორციელებისას; ს) საქარ-  
თველოს კანონმდებლობით მისი  
კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ  
საქმეებზე კანონით დადგენი-  
ლი წესით ანარმოს გამოძიება,  
დანაშაულში ბრალდებულ და  
მსჯავრდებულ პირთა ძებნა და  
დაკავება, ასევე განახორციელოს  
შესაბამისი ღონისძიებები უგზო-  
უკვლოდ დაკარგულ პირთა მო-  
საძებნად; ტ) ჩაატაროს ტექნი-  
კურ-კრიმინალისტიკური გამოკვ-  
ლევები ოპერატიულ-სამძებრო  
მასალებსა და ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა საქმეებ-  
ზე; უ) აღკვეთოს ადმინისტრაცი-  
ული სამართალდარღვევები, კან-  
ონით დადგენილი წესით განიხი-  
ლოს და გადაწყვიტოს თავისი კომ-  
პეტენციას მიკუთვნებული ადმინ-  
ისტრაციულ სამართალდარღვევა-  
თა საქმეები; ფ) საგანგებო ან საო-  
მარი მდგომარეობის შემოღების  
შემთხვევაში თავისი კომპეტენციის  
ფარგლებში მონაწილეობა მი-  
იღოს დადგენილი რეჟიმის დაცვა-  
ში, ხოლო ეპიდემიებისა და ეპი-  
ზოოტიების დროს – საკრანტი-  
ნო ღონისძიებების განხორციელე-  
ბაში; ჭ) თავისი კომპეტენციის  
ფარგლებში საგანგებო ან საო-  
მარი მდგომარეობის დროს უზ-  
რუნველყოს სახელმწიფოს სამო-  
ბილიზაციო-გამწვევი პუნქტებისა  
და ოპერატიულ-მმართველობითი  
შტაბების უსაფრთხოება და მზად-  
ყოფნა, აგრეთვე უზრუნველყოს  
პირადი შემადგენლობის სრუ-  
ლი სამობილიზაციო მზადყოფნა;



უ) მიიღოს გადაუდებელი ზომები, თუ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა, აგრეთვე ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად; ფ) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულ, უმწიფო მდგომარეობაში, აგრეთვე ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ; ქ) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია და გამოკვლევის მიზნით წარადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირთან; სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაშია; თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის ალკოჰოლის მიღების ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, ადგილზე შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილზევე შეამონმოს იგი; თუ შემონმების შედეგად დასტურდება მძღოლის მიერ ალკოჰოლის მიღების ფაქტი, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ალკოჰოლ-

ური სიმთვრალის შედეგები; ლ) განახორციელოს დაზარალებულის, მონმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან/და ქონება საფრთხეშია; ყ) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას; შ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების საფუძველზე შესაბამის უწყებებთან ერთად მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლობების პირადი და ქონებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ჩ) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამოძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას; ც) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამოძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, ასევე მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ, უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; ძ) უზრუნველყოს მშვიდობიანი მიტინგების, დემონსტრაციების და მოქალაქეთა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება; ნ) განახორციელოს დანაშაულებრივი ან სხვა



მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა; ჭ) განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს ან მესაკუთრეს; ბ) უზრუნველყოს ნაპოვნი ან ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობებისა და სხვა ქონების დაცვა ან/და შენახვა, მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათ გადასაცემად ან დადგენილი წესით მათი რეალიზაციისათვის; ჯ) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ბავშვთა მანანალობის, უმთვალე ყურეობის თავიდან აცილებასა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის პრევენციულ ღონისძიებებში; ჰ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საარჩევნო პროცესისა და მასში მონაწილე პირთა უსაფრთხოება; შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

5. პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს: ა) კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევი-

დეს საცხოვრებელ ბინებსა და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიებზე და შენობა-ნაგებობებში (დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულოებისა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციების შენობა-ნაგებობათა გარდა, რომლებიც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით) დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან რომელიც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში; გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი; დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეინახოს მისი ნივთები და დოკუმენტები, რის შესახებაც ადგენს სათანადო ოქმს; ე) ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი; ვ) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე აქცია, თუ იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს; ზ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის,

ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეული ოპერატიული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით აკრძალოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე; თ) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის უფლების მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები, მიიღოს ზომები სამართალდარღვევათა აღსაკვეთად; მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, გააკონტროლოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვა; ი) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა; კ) სამინისტროს მოსახსახურებელს მისცეს იმ სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვისა და ტარების უფლება, რომელთა გამოყენებაც დაშვებულია ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით; ლ) გადაუდებელი აუცილებლობისას გამოიყენოს მოქალაქეთა, სანარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა კუთვნილი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები (გარდა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, საკონსულოთა და უცხო ქვეყნის სხვა დაწესებულებათა, საერთაშორისო ორგანიზაციათა სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებისა); ამასთან, პოლიცია ვალ-

დებულია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებების მფლობელებს აუნაზღაუროს განეული ხარჯი ან\ და მიყენებული ზარალი; მ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმარისი მონაცემების არსებობის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან ერთად ჩაატაროს მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება; ნ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით დასახლებულ პუნქტებში, საავტომობილო გზებზე და ტერიტორიულ წყლებში მოაწყოს რეიდები; რეიდის დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, კანონით დადგენილი წესით გააჩეროს და ჩხრეკისა და ამოღებისათვის დადგენილი წესების დაცვით შეამოწმოს პირი და სატრანსპორტო საშუალება (გარდა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტისა, რომლითაც სარგებლობენ დიპლომატიური ხელშეუხებლობის მქონე პირები); ო) სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთების შემოწ-

## პოლიციელი

მება და ჩხრეკა, მოქალაქის პირადი შემონმება და პირადი ჩხრეკა; პ) კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისაგან და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად; უ) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ან ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპირება, ვიდეო- და აუდიოჩანწერა, კინო- და ფოტოგადაღება, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიმუშების აღება; რ) მგზავრების პირადი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით, დადგენილი წესით, გონივრული ვადით შეაყოვნოს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა; ს) გამოიყენოს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი კონფიდენციალური დახმარება, რისთვისაც მათთან ამყარებს ღია ან ფარულ ურთიერთობას; ტ) დანაშაულის გამოვლენის, გამოძიებისა და აღკვეთის მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით; უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და დაცვის კონტროლი. ფ) პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარ-

დგენის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, გარდა სავარაუდო ხელმყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა. პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდო ხელმყოფისთვის მიცემული წერილობითი გაფრთხილების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება არ აჩერებს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ხელყოფის აღკვეთის ღონისძიებების განხორციელებასა და წერილობითი გაფრთხილების (ადმინისტრაციული აქტის) მოქმედებას. ქ) გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით გამოიყენოს შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების უფლება.

## პოლიციელი

1. არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური ნოდება და დადებული აქვს ფიცი. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი. → **პოლიციაში** სამუშაოდ მიიღებიან 18-დან 35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები: ა) რომლებსაც თავიანთი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლიათ შეასრულონ

დაკისრებული მოვალეობები; ბ) რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ენას. პოლიციაში შესაძლებელია სამუშაოდ მიღებულ იქნეს 35 წელს გადაცილებული პირი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის თანხმობით. განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე პოლიციაში სამუშაოდ მიიღებიან მალაკვალიანობის სპეციალისტები, მიუხედავად მათი ასაკისა. პოლიციაში სამუშაოდ არ მიიღება: ა) განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლევ პირი, თუ ნასამართლობა არ არის მოხსნილი; ბ) პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ან რომელიც იმყოფება პატიმრობაში; გ) პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ე) პირი, რომლის ჯანმრთელობაც, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; ვ) ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირი. სნეულებათა ჩამონათვალს ერთობლივად ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი; ზ) პირი, რომელიც თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედ-

ველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს; თ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

### პრემიუმულა

→ **საერთაშორისო ხელშეკრულების** ან დეკლარაციის შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახულია მოცემული აქტის მიღების მოტივი, მისი მიზნები და პრინციპები. პრემიუმულაში მოცემული დებულებები უშუალოდ ვალდებულებებს არ წარმოშობენ, თუმცა ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ხელშეკრულებების დებულებების განმარტების პროცესში.

### პრეზიდენტი

არის სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის და კონსტიტუციური ორგანოების ფუნქციონირების გარანტი. იგი სახელმწიფოს წარმოადგენს მის საგარეო ურთიერთობებში. 2013 წლისათვის განსაზღვრული საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლამდე იგი ასევე არის ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის განმახორციელებელი. ის ასევე არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. განმეორებითი არჩევა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. საკონსტიტუციო რეფორმის 2013 წელს ძალაში შესვლამდე, საქართველო იქნება



## პრეზიდენცია

საპრეზიდენტო → დემოკრატიის წყობილების ქვეყანა, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი იმავდროულად არის → აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. → პარლამენტის მიმართაც იგი მეტად არის უფლებამოსილი, ვიდრე საპარლამენტო დემოკრატიის მოდელის ფარგლებში. საპარლამენტო დემოკრატიისაგან განსხვავებით, საპრეზიდენტო დემოკრატიის პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის არ საჭიროებს პარლამენტის ნდობას. 2013 წელს ცვლილებების ძალაში შესვლასთან ერთად საქართველო გადადის ე.წ. შერეულ მოდელზე, სადაც სახელმწიფოს პრეზიდენტის რიგ კომპეტენციებს ინანილებს პრემიერ-მინისტრი და გარკვეულწილად პარლამენტი. საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებით დამატებით იხილეთ საქართველოს → კონსტიტუციის მეოთხე თავი.

## პრეზიდენცია

არის ის ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოება, რომელიც მტკიცებულებად მიიღება გამოკვლევის გარეშე. პრეზიდენციული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, სასამართლოს განაჩენებს ნასამართლობაზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე ნებისმიერ სხვა გარემოებას თუ ფაქტს, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

## პრეკლუზია

თუ მოთხოვნა ან სხვა უფლება (მაგალითად, საკუთრების ხელშეშლა) დიდი ხნის განმავლობაში არ იქნა განხორციელებული და არსებობს განსაკუთრებული გარე-

მოებები, რომლის საფუძველზეც მათი დაგვიანებით განხორციელება, დაუშვებელ და მიუღებელ უფლების განხორციელებად და ამით → კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ შეიძლება შეფასდეს, მაშინ პირი კარგავს ამ უფლებას. იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნა ჯერ კიდევ არ არის ხანდაზმული, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში, ის ფაქტი, რომ მოვალეს შეეძლო განსაზღვრული გარემოებებისა და კრედიტორის მოქმედებიდან გამომდინარე ევარაუდა, რომ კრედიტორს არ სურდა თავის მოთხოვნის ან უფლების განხორციელება, პრეკლუზიის გამო უფლების განხორციელება გამორიცხულ იქნეს. უფლების დაკარგვის დადგენისათვის საჭიროა მკაცრი წინაპირობების არსებობა. იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის განსაკუთრებულ შემთხვევას.

## პრემიერ-მინისტრი

არის აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირი, რომელსაც განსხვავებული უფლებები და ძალაუფლება აქვს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის შესაბამისად: ა) საპარლამენტო დემოკრატიის პრემიერ-მინისტრი არის მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) უმაღლესი თანამდებობის პირი; ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პრეზიდენტის ძალაუფლება მხოლოდ ცერემონიული და წარმომადგენლობითი ფუნქციებით შემოიფარგლება. ბ) საპრეზიდენტო დემოკრატიის პრემიერ-მინისტრი არის საქართველოში ამჟამად მოქმედი მოდელი, პრემიერ-მინისტრი არის თანამდებობის პირი, რო-

მელიც მოქმედებს პრეზიდენტის დირექტივების შესაბამისად და კოორდინაციას უწევს მინისტრების მუშაობას. 2013 წელს კონსტიტუციის ცვლილებების ძალაში შესვლამდე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო პარლამენტი ნდობას უცხადებს მას. პრემიერ-მინისტრი თავის მხრივ (თუმცა პრეზიდენტის თანხმობის საფუძველზე) ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს, თუმცა არ მეთაურობს მთავრობას. გ) კონსტიტუციის რეფორმის შედეგად საქართველოში ძლიერდება პრემიერ-მინისტრის ფიგურა. იგი ხდება მთავრობის მეთაური, მისი საქმიანობის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი და წარმმართველი, რაც აისახება როგორც მთავრობის დაკომპლექტებაში, სადაც მას აღარ სჭირდება პრეზიდენტის თანხმობა, ისე მთავრობის საქმიანობის ორგანიზებასა და მისი მიმართულებების განსაზღვრაში.

**პრიზის უფლება**

მეომარი მხარის უფლება მოახდინოს მოწინააღმდეგის სავაჭრო გემებისა და საქონელის, ასევე, მაგბლოკადის დარღვევის შემთხვევაში, ნეიტრალური სახელმწიფოების გემებისა და საქონელის დაკავება და კონფისკაცია.

**პრინციპები**

- გარემოს დაცვის პრინციპები.
- სამართლის ზოგადი პრინციპები.

**პროკურა**

პროკურა ეწოდება გენერალურ სავაჭრო მინდობილობას და იგი შეიძლება გაცემულ იქნას მხოლოდ მენარმე სუბიექტის მიერ.

პროკურისტი რეგისტრირდება მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი). კანონის ძალით პროკურისტს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განახორციელოს ყველა ის → **სამართლებრივი ქმედება**, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობასთან. მინის ნაკვეთის გასხვიების ან უფლებრივად დატვირთვის უფლებამოსილება მას აქვს იმ შემთხვევაში, როცა მას ეს უფლებამოსილება სპეციალურად აქვს მინიჭებული. დაუშვებელია მესამე პირების მიმართ პროკურის მოცულობის შეზღუდვა, რომ იგი მხოლოდ განსაზღვრული გარიგებების ან განსაზღვრული გარიგებების ტიპებისათვის გამოიყენება, ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ან განსაზღვრული დროისათვის, ანდა ცალკეულ ადგილში. ასეთი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ პროკურა შემოიფარგლება ერთი ან რამდენიმე ფილიალით, რომლებიც სხვადასხვა საფირმო სახელწოდებით იმართება. პროკურა შეიძლება იმგვარად გაიცეს, რომ ორ ან რამდენიმე პირს ჰქონდეს ერთობლივად ან თითოეულს ცალ-ცალკე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. პროკურის ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში.

**პროკურატურა**

არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდ-



## პროკურისტი

იული პირი, რომელიც ახორციელებს → **სისხლისსამართლებრივ დევნას** და → **გამოძიების** საპროცესო ხელმძღვანელობას, ცალკეულ შემთხვევებში, სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას, ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას, კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ამონებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებს, აგრეთვე სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. საპროკურორო უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს მთავარი პროკურორი, მისი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორი, რაიონული პროკურორი, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორი, უფროსი პროკურორი, პროკურორი, პროკურორ-კრიმინალისტი, პროკურორ-სტაჟიორი, აგრეთვე პროკურატურის დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილებისა და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსები და მათი მოადგილეები (პროკურატურის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი). პროკურატურა ადმინისტრაციული ორგანოა და ქვემდგომი პროკურორი დამოკიდებულია ზემდგომი პროკურორის მითითებებზე. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (დადგენილება), შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი

გადაწყვეტილებით, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი).

**პროკურისტი**  
→ პროკურა.

**პროკურორი**  
→ პროკურატურა.

## პროსტიტუცია

წარმოადგენს სისტემატიურად და გარკვეული საზღაურის ფასად სქესობრივი კავშირის დამყარებას და სექსუალური ხასიათის მოქმედებების განხორციელებას. აღნიშნული ქმედებისათვის არ არის დანესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მან შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172<sup>3</sup>-ე მუხლის შესაბამისად. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაა დადგენილი პროსტიტუციაში ჩაბმისათვის და პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემისთვის. პროსტიტუციაში ჩაბმა, რომელიც ხორციელდება ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, მანტაჟით ან მოტყუებით, სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე; ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ორგანიზებული ჯგუფი) ან წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ



ნლამდე. აღნიშნული ქმედება გულისხმობს ადამიანის იძულებას (დაყოლიებას, ჩათრევას) სხეულით ვაჭრობაზე მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით შეიძლება განხორციელდეს ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ზემოქმედებით, მაგალითად, ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და ა.შ. იგივე ქმედება ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით გულისხმობს მსხვერპლზე ფსიქიკურ ზემოქმედებას, დაშინებას, რომ გამოყენებული იქნება ფიზიკური ძალადობა მის მიმართ, ანდა მისი ახლო ნათესავის მიმართ, აგრეთვე განადგურებული იქნება მისი ქონება. შანტაჟი ამ შემთხვევაში წარმოადგენს სახელმძაგმტეხი ცნობების გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობების გავრცელების მუქარას, რამაც შეიძლება არსებითად დაზიანოს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის უფლებები. მოტყუება, როგორც აღნიშნული დანაშაულის ხერხი, გულისხმობს მსხვერპლის შეცდომაში შეყვანას სინამდვილის ფაქტების დამახინჯებით. სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს პირს პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის გამო, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

**პროტექტორატი**

ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე დაქვემდებარების ერთ-ერთი ფორმა. იგი ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. განასხვავებენ პროტექტორატის 2 სახეს: ა) სრული

პროტექტორატი - როდესაც პროტექტორი სახელმწიფოს პროტექტუე სახელმწიფო გადასცემს თავის უფლებამოსილებებს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების სფეროში; ბ) კვაზი-პროტექტორატი - როდესაც პროტექტორ სახელმწიფოს პროტექტუე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებაც აქვს. ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების გადაცემის სანაცვლოდ, პროტექტორ სახელმწიფოს პროტექტუე სახელმწიფოს მესამე სახელმწიფოებისგან დაცვა ევალება.

**პროფესიული განათლება**  
**→ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.**

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება**

პროფესიული კოლეჯი ან საზოგადოებრივი კოლეჯი; პროფესიული კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის → **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს**. საზოგადოებრივი კოლეჯი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოსაზრადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.



**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები; საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია: ა) ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ბ) ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა; დ) ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობა; ე) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა. პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდე-

ბა პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულების სტატუსი განისაზღვრება და სპეციალური პროფესიული განათლების მიღების წესი დგინდება შესაბამისი კანონით. არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემომწებას. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში. პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად: ა) I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი; ბ) II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი; გ) III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად; დ) IV საფეხურის

კვალიფიკაციის მფლობელს შეს-  
ნევს უნარი, პროფესიული ცოდ-  
ნა გამოიყენოს ცვალებად სიტუა-  
ციებში წარმოშობილი პრობლე-  
მების გადასაწყვეტად, ზედამხედ-  
ველობა გაუწიოს სხვების საქმი-  
ანობას და აილოს გარკვეული პა-  
სუხისმგებლობა შესრულებული  
სამუშაოს შეფასებასა და გაუმ-  
ჯობესებაზე; ე) V საფეხურის კვა-  
ლიფიკაციის მფლობელს შესწევს  
უნარი, შეასრულოს ისეთი სამუ-  
შაო, რომელიც მოითხოვს სხვათა  
სამუშაოს დაგეგმვასა და ხელ-  
მძღვანელობას, ასევე განხორ-  
ციელებული სამუშაოს შეფასება-  
სა და სრულყოფას. პროფესიული  
განათლების თითოეული საფეხ-  
ურის დასრულების შემდეგ გაიცე-  
მა შესაბამისი პროფესიული დიპ-  
ლომი. პროფესიული განათლე-  
ბის თითოეული საფეხურის გავ-  
ლის საფუძველია წინა საფეხურის  
საგანმანათლებლო პროგრამის  
ათვისება ან წინა საფეხურის სა-  
განმანათლებლო პროგრამით  
გათვალისწინებული ცოდნის, უნა-  
რებისა და ღირებულებების აღი-  
არება. IV საფეხურზე, ხოლო მი-  
სი არარსებობის შემთხვევაში –  
V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის  
სავალდებულო ცოდნის, უნარები-  
სა და ღირებულებების ფლობა  
დასტურდება ერთიანი ეროვნუ-  
ლი გამოცდების მხოლოდ ზოგა-  
დი უნარების ტესტის შედეგების  
საფუძველზე. კონკრეტული პრო-  
ფესიული განათლების საფეხურე-  
ბი განისაზღვრება პროფესიული  
სტანდარტით. პროფესიული განა-  
თლების თითოეული საფეხურის  
პროფესიული საგანმანათლებ-  
ლო პროგრამები გაანგარიშებ-  
ული უნდა იქნეს კრედიტებით,  
საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ  
დამტკიცებული წესით.

**პროფესიული საიდუმლოება**

ინფორმაცია, რომელიც წარმოად-  
გენს სხვის → პირად ან → კომერ-  
ციულ საიდუმლოებას და პირი-  
სათვის ცნობილი გახდა პროფე-  
სიული მოვალეობის შესრულებას-  
თან დაკავშირებით.

**პროცესი არასრულწლოვნის მიერ  
ჩადენილი დანაშაულის საქმეზე**

არასრულწლოვანისთვის სისხლის-  
სამართლებრივი პასუხის-  
მგებლობის დაკისრებისას სისხ-  
ლის სამართლის საპროცესო კო-  
დექსით დადგენილი სისხლის სა-  
მართლის საქმის წარმოების ზო-  
გადი წესის გარდა გამოიყენე-  
ბა აგრეთვე სპეციალური წესები.  
სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 315-ე მუხლის პირვე-  
ლი ნაწილის თანახმად, არასრულ-  
წლოვნის მიერ ჩადენილი დანა-  
შაულის საქმეზე პროცესის გან-  
ხორციელების წესი ვრცელდე-  
ბა იმ პირზე, რომლის მიმართაც  
სისხლისსამართლებრივი დევ-  
ნა დაიწყო 18 წლის შესრულე-  
ბამდე. 18 წლის შესრულების შემ-  
დეგ პირის მიმართ სისხლის სამარ-  
თლის პროცესი გრძელდება ამ  
კოდექსით დადგენილი ზოგადი  
წესის შესაბამისად. არასრულ-  
წლოვანს პროცესის ყველა სტა-  
დიაზე ეპყრობიან განსაკუთრე-  
ბული ყურადღებით. მხედველო-  
ბაში უნდა იქნეს მიღებული მისი  
ასაკი და რესოციალიზაციის გან-  
საკუთრებული საზოგადოებრივი  
ინტერესი, ასევე მისი ხელახალი  
აღზრდისათვის ხელის შეწყობის  
აუცილებლობა. არასრულწლოვ-  
ნის მიმართ სისხლის სამართლის  
პროცესის განმავლობაში სავალ-  
დებულოა არასრულწლოვნის  
უფლებათა საერთაშორისო გარან-  
ტიების სრული დაცვა. არასრულ-  
წლოვნის მიერ ჩადენილი დანა-



## **პროცესი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს**

შაულის საქმეზე პროცესს ახორციელებენ მხოლოდ ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს. არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს პატიმრობა, უნდა მოთავსდეს სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან (მსჯავრდებულებისაგან) და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომა, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული ესწრება, დახურულად ტარდება.

## **პროცესი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ზოგადი წესის გარდა გამოიყენება აგრეთვე სპეციალური წესები. აღნიშნულ შემთხვევაში იურიდიულ პირში მოიაზრება სამენარმეო (კომერციული) ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (მისი უფლებამონაცვლე). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოე-

ბა მის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე. იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ პროკურორი აცნობებს იურიდიული პირის ადვოკატს და განუმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს. განაჩენი ქვეყნდება მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.

## **პუტჩი**

ნიშნავს სამხედრო ძალით მთავრობის უეცარ, მოულოდნელ გადაგდებას. რევოლუციისაგან პუტჩი განსხვავდება იმით, რომ იგი უმთავრესად ხორციელდება მცირე სამხედრო გაერთიანებით და ხდება არა მთელი პოლიტიკური სისტემისა და კურსის, არამედ მხოლოდ მთავარი სახელმწიფო ფიგურების შეცვლა. როგორც წესი, პუტჩი ძალადობრივი, სისხლიანი აქტია, თუმცა, შესაძლოა უსისხლოდაც განხორციელდეს.

ჟ

**ჟენევის კონვენციები**

ჟენევის კონვენციები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს წარმოადგენენ. ისინი არეგულირებენ შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ქცევის წესებს და მათ მიზანს წარმოადგენს კონფლიქტის შედეგების მინიმიზირება. ჟენევის კონვენციებად იწოდება, კერძოდ, შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: კონვენცია მოქმედარმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (ჟენევის I კონვენცია); კონვენცია საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილებისა და ავადმყოფების და ხომალდების კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ (ჟენევის II კონვენცია); კონვენცია სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ (ჟენევის III კონვენცია) და კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ (ჟენევის IV კონ-

ვენცია); ასევე 1977 წელს მიღებული 2 დამატებითი ოქმი: ოქმი საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ; ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ და 2005 წელს მიღებული დამატებითი ოქმი დამატებითი განმასხვავებელი ემბლემის მიღების შესახებ, რომელიც არსებული განმასხვავებელი ემბლემების გარდა (წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე, წითელი ლომი და მზე), იგივე სტატუსის მქონე დამცავ მნიშვნელობას ანიჭებს ასევე ახალ შექმნილ ემბლემას, რომელიც შედგება წითელი ჩარჩოსგან, მასში თეთრ ფონზე გამოსახული ერთი წვეროთი მდგარი კვადრატით. ჟენევის კონვენციებს 1949 წლის 12 აგვისტოს მოენერა ხელი და ისინი ძალაში შევიდნენ 1950 წლის 21 ოქტომბერს. აქტუალური მდგომარეობით მის მხარეს წარმოადგენს 194 სახელმწიფო. საქართველო აღნიშნულ კონვენციებს შეუერთდა 1993 წელს.



რ

**რაიონული (საქალაქო) სასამართლო**

→ სასამართლო.

**რბილი სამართალი**

(ინგლ. soft law) რბილი სამართალი მოიცავს იმ აქტებს, რომლებსაც სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ. რბილი სამართალი ადგენს არა კონკრეტულ და მკაცრ ვალდებულებებს, არამედ განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომლებიც მომავალში უნდა იქნენ მიღებული. მას უფრო მეტად პროგრამული ხასიათი აქვს. რბილი სამართალი მოიცავს მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციების ან საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებს, რეზოლუციებს, დეკლარაციებს და დასკვნებით აქტებს. → **გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები** ასევე რბილს სამართალს მიეკუთვნებიან. ისინი, მართალია, საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ წყაროს არ წარმოადგენენ, თუმცა იძლევიან ინფორმაციას მოქმედი სამართლებრივი ნორმების, სამართლებრივი რწმენისა და საერთაშორისო სამართლის შემდგომი განვითარების ტენდენციების შესახებ. შესაბამისად, რბილი სამართალი ხშირად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელშეკრულებო ან ჩვეულებითი ხასიათის სამართლებრივი ნორმების ინდიკატორს წარმოადგენს.

**რეალაქტი**

1. რეალაქტი არის → **ადმინისტრაციული ორგანოს** საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მიმართულია არა სამართ-

ლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ – ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. რეალაქტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, საქართველოს → **ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში** ცალკე არ არის გამოყოფილი. კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას (სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სრულყოფილად ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალური მოქმედებისაგან პირის უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს (სასკ-ის 24-ე მუხლი: სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება ჩადებულია სპეციალურ კანონებში. მაგ., პოლიციის მიერ პირის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების მიზნით განხორციელებული მოქმედება წესრიგდება საპოლიციო სამართლის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით. ა) გამოვლენის ფორმები. რეალაქტი შეიძლება გამოვლინდეს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ. შიდაორგანიზაციულ რეალაქტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ფაქტობრივი შედეგები არ სცილდება ამ ორგანიზაციის ფარგლებს. ორგანიზაციის გარეთ გამოვლე-

ნილი რეალაქტი შეიძლება იყოს საინფორმაციო ხასიათის ან ფაქტობრივი ქმედებების სახით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული რეალაქტების დიდი ნაწილი მიმართულია ორგანიზაციის გარეთ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. იურიდიულ ლიტერატურაში ხდება ორგანიზაციის გარეთ გამოვლენილი რეალაქტების ორ ჯგუფად სისტემატიზაცია: საინფორმაციო ხასიათის რეალაქტები (მოქალაქეებისათვის საინფორმაციო ხასიათის ახსნა-განმარტებების მიცემა; საჯარო გაფრთხილება მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად; საჯარო წლიური მოხსენებები და ა.შ.) და ფაქტობრივი ქმედებები (ქუჩების შეკეთება, დასუფთავება; სკვერების მოწყობა; სოციალური ფულადი და მატერიალური დახმარებების გაცემა და ა.შ.). ადმინისტრაციული რეალაქტის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა საჯარო გაფრთხილება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მმართველობის ორგანო აკეთებს საჯარო განცხადებას და აფრთხილებს მოსახლეობას ბუნების მოვლენების (დიდთოვლობა, წყალდიდობა) შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თაობაზე (მენყერი, სასმელი წყლის დაბინძურება, ელექტროენერჯის მიწოდების შეფერხება და ა.შ.), ან კონკრეტული სოფლის მეურნეობის პროდუქტის, კონკრეტული წარმოშობის საკვების ვარგისიანობაზე (უხარისხო ბულგარული ქათმის ბარკლების არაღლეალური შემოტანა და ჯანმრთელობისათვის შესაძლო მავნე შედეგები). საჯარო გაფრთხილების კლასიკური მაგალითია სიგარეტის კოლოფზე გაკეთებული ჯანდაცვის

სამინისტროს გაფრთხილება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სიგარეტის მოწვევის მავნე შედეგებზე. საჯარო გაფრთხილების შედეგების ხასიათი დამოკიდებულია განცხადების გაკეთების ფორმაზე, დაცვის ობიექტის მნიშვნელობაზე, საშიშროების ხასიათზე, საინფორმაციო საშუალებებისა და მოსახლეობის რეაქციაზე და ა.შ. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილებას თამბაქოს მოწვევის მავნე შედეგებზე თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას, მაგრამ კონკრეტული კვების პროდუქტების ვარგისიანობაზე ინფორმაცია მოსახლეობის სწრაფ რეაქციას იწვევს; მცირდება ან თითქმის წყდება ამ პროდუქტის რეალიზაცია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ საწარმოს ბიზნეს-ინტერესებზე. ამ ინფორმაციით სარგებლობენ ასევე ამ ფირმის კონკურენტი მენარმეები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო გაფრთხილების (რეალაქტი) და აკრძალვის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შედარება ნათლად წარმოაჩენს საჯარო გაფრთხილების ნაკლებ სამართლებრივ მნიშვნელობას, თუმცა შესაძლებელია ორივე შემთხვევაში მსგავს შედეგებთან გვექონდეს საქმე. მაგ., როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აფრთხილებს მოსახლეობას კონკრეტული საკვები პროდუქტის მიღების ჯანმრთელობისათვის საშიშ შედეგებზე, ეს იწვევს არა მარტო ამ კონკრეტული პროდუქტის რეალიზაციის შეწყვეტას, რაც მენარმისთვის ამ პროდუქტის წარმოების აკრძალვის ტოლფასია, არამედ ეს საწარმო მოსახლეობაში კარგავს რეპუტაციას

## რეგენტთა საბჭო

და ეჭვქვეშ დგება მის მიერ სარეალიზაციოდ გამოტანილი სხვა პროდუქტებიც. შეიძლება ითქვას, რომ აკრძალვის შედეგები უფრო ვინროა, ვიდრე - საჯარო გაფრთხილების, რამდენადაც აკრძალვა ერთ კონკრეტულ პროდუქტს მოიცავს, ხოლო გაფრთხილების შემთხვევაში ის გავლენას ახდენს პროდუქციის პროცესზე მთლიანად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საჯარო გაფრთხილების კანონიერების დასადგენად უნდა შემოწმდეს ამ ღონისძიების დასაშვებობა, სამართლებრივი საფუძვლები და კონსტიტუციასთან, განსაკუთრებით, პირის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან, შესაბამისობა. ბ) სამართლებრივი საფუძვლები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს შეიძლება ქმნიდეს კონკრეტული კანონი, ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ან ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. აღმჭურველი ხასიათის რეალაქტი ასევე შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული ნორმატიული საფუძვლების გარეშეც. ღონისძიება, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და მიმართულია კონკრეტული ფაქტობრივი მიზნის მისაღწევად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებს. ადმინისტრაციული რეალაქტი ისე, როგორც ადმინისტრაციული აქტი, არის კანონსაწინააღმდეგო, როდესაც მას ახორციელებს ტერიტორიულად ან საგნობრივად არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგა-

ნო, ან როდესაც ის უკანონოდ ზღუდავს პირის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. გ) უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებით ან განუხორციელებლობით პირის სუბიექტური უფლებების ხელყოფის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია, → **საჩივრით** მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან შეიტანოს → **სარჩელი** სასამართლოში და მოითხოვოს მოქმედების განხორციელება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. 2. სამოქალაქო სამართალში → **სამართლებრივი ქმედება**.

## რეგენტთა საბჭო

→ **საქართველოს მთავრობის** მიერ შექმნილი → **კოლექტიური ორგანო**, რომელიც ახორციელებს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ ზედამხედველობით უფლებამოსილებებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის → **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** საქმიანობასთან დაკავშირებით.

## რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია

რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში, → **უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციისგან** განსხვავებით, მხოლოდ კონკრეტული რეგიონის სახელმწიფოებს შეუძლიათ განეწვიანება (მაგ., → **ევროპული კავშირი**). → **გაეროს** წესდების 52-ე მუხლი უმჯობეს ასეთი ორგანიზაციების შექმნის შესაძლებლობას იმ პირობით, რომ მათი საქმიანობა შესაბამისობაში იქნება გაეროს მიზნებ-



ან და პრინციპებთან. საერთაშორისო ორგანიზაციების რეგიონალური ხასიათი შეიძლება მკაცრ გეოგრაფიული მიდგომებს (მაგ., → **ევროპის საბჭო**) სცდებოდეს და რეგიონის ფარგლების განსაზღვრისას ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისიც თამაშობდეს როლს (მაგ., → **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია**).

**რეგიონალური საერთაშორისო სამართალი**

→ **ლოკალური საერთაშორისო სამართლის** ნორმები, რომლებიც, როგორც წესი, ცალკეული გეოგრაფიული რაიონის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში მოქმედებს და დაფუძნებულია საერთო პოლიტიკურ ან/და ეკონომიკურ ინტერესებზე, კულტურულ და ისტორიულ კავშირებზე, მსოფლმხედველობაზე ან რელიგიაზე.

**რეგულაცია**

რეგულაცია წარმოადგენს → **ევროპული კავშირის** სამართლის ერთ-ერთ აქტს. ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, რეგულაცია არის საყოველთაო მოქმედების, სრულად სავალდებულო ძალის და მოქმედებს თითოეულ წევრ სახელმწიფოში უშუალოდ. შესაბამისად, რეგულაცია შიდა სახელმწიფოებრივი კანონის მსგავსი სამართლებრივი ბუნებისაა. იგი → **დირექტივისგან** განსხვავებით, ძალაში შესასვლელად წევრი სახელმწიფოს მიერ მის იმპლემენტაციას არ საჭიროებს. ამდენად, რეგულაციის ადრესატებს წარმოადგენენ როგორც წევრი სახელმწიფოები და ევროპული კავშირის ორგანოები, ასევე უშუალოდ ფიზიკური და იურიდიული პირები. რეგულაციები მიიღება, როგორც წესი, → **ევროპული კავშირის საბჭოსა** და → **ევროპული პარლამენტის** მიერ ერთობლივად, → **ევროპული კომისიის** წინადადების საფუძველზე.

→ **ევროპული კავშირის საბჭოსა** და → **ევროპული პარლამენტის** მიერ ერთობლივად, → **ევროპული კომისიის** წინადადების საფუძველზე.

**რეგულირებადი პროფესია**

საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა.

**რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მოზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით; რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები: ა) იურიდიული; ბ) სამედიცინო; გ) პედაგოგიური. რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესსა და საფასურს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით.

**რეკეტი**

არის → **დანაშაულის სიმრავლის** ერთ-ერთი განსაკუთრებული სახე და ნიშნავს შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით



## რეკეტირი

წარმოებულ არაერთჯერად და ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია განზრახვი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის → **რეკეტორის** დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა (სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამრიგად, რეკეტის შემთხვევაში პირი უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად, რაც სულ მცირე ორჯერ მოქმედებას გულისხმობს. ამასთან ერთად, იგი უნდა მოქმედებდეს ორგანიზებულად, რაც → **ორგანიზებული ჯგუფის** მოქმედებას გულისხმობს. გარდა ამისა, იგი მიზნად უნდა ისახავდეს განზრახვი დანაშაულის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მისაღებად არაერთგზის ჩადენას, რაც უნდა განხორციელდეს ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში.

## რეკეტირი

არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს → **რეკეტული დაჯგუფების** საქმიანობას, ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დაგების გადანყვეტაში (სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ზემოაღნიშნული ქმედებებისთვის სისხლის სამართლის კო-

დექსის 224<sup>1</sup>-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა), რაც თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე ისჯება; ხოლო იურიდიული პირისთვის გათვალისწინებულია სასჯელის სახით ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და ჯარიმა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-4 ნაწილით (გამოძალვა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიძიმდება გამოძალვისთვის, თუ იგი ჩადენილია რეკეტორის მიერ.

## რეკეტული დაჯგუფება

წარმოადგენს თავისი საქმიანობით → **რეკეტთან** დაკავშირებულ იურიდიული პირს, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერ გაერთიანებას (სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## რეკვიზიცია

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისგან ნივთების ამოღება სამხედრო ძალების საქმიანობისათვის. რეკვიზიციასგან უნდა განსხვავებულ იქნეს → **კონტრიბუცია**, რომელიც ფულადი სახსრების ამოღებას მოიცავს. რეკვიზიციასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ ჰააგის 1899 წლის კონვენციით. კერძოდ, მოცემული კონვენციის 52-ე მუხლის მიხედვით, რეკვიზიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ შეიარაღებული ძალების სარდალს. გარდა ამისა, რეკვიზიცია სათანადოდ უნდა ანაზღაურდეს. იმ

შემთხვევაში, თუკი მოცემულ მომენტში ანაზღაურება შეუძლებელია, უნდა გაიცეს შესაბამისი ხელწერილი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს შემდგომში ანაზღაურება.

**რელიგიური საქმიანობა**

საგადასახადო კოდექსის თანახმად, რელიგიურ საქმიანობად ითვლება დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორცაა: ა) რელიგიური წესჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება; ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად; გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა; დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა. რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე, ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

ზიანის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი კომპენსაცია, რომლის დაზარალებული სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება გააჩნია საერთაშორისო სამართლის დამრღვევ სახელმწიფოს. რეპარაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური ფორმით. მაგ.: მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიას, ისევე როგორც მის მოკავშირეებს, ომის შედეგად დაზარალებული სახელმწიფოებისათვის რეპარაციის გადახდის ვალდებულება დაეკისრა, რომელიც როგორც ფულადი ფორმით, ასევე ქარხნების დემონტაჟისა და მათი დაზარალებული სახელმწიფოებისათვის გადაცემის გზით განხორციელდა.

**რეპარაცია**

ზიანის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი კომპენსაცია, რომლის დაზარალებული სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდის ვალდებულება გააჩნია საერთაშორისო სამართლის დამრღვევ სახელმწიფოს. რეპარაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ფინანსური, ასევე მატერიალური ფორმით. მაგ.: მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიას, ისევე როგორც მის მოკავშირეებს, ომის შედეგად დაზარალებული სახელმწიფოებისათვის რეპარაციის გადახდის ვალდებულება დაეკისრა, რომელიც როგორც ფულადი ფორმით, ასევე ქარხნების დემონტაჟისა და მათი დაზარალებული სახელმწიფოებისათვის გადაცემის გზით განხორციელდა.



## რეპატრიაცია

### რეპატრიაცია

ლტოლვილების, სამხედრო ტყვეებისა და ემიგრანტების დაბრუნება თავისი მოქალაქეობის ან წარმოშობის სახელმწიფოში.

### რეპლიკა

→ საქმის არსებითი განხილვა სამართლოში.

### რეპრესალია

სახელმწიფოს მიერ ცალმხრივად განხორციელებული იძულებითი ხასიათის ღონისძიება მეორე სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების საპასუხოდ. განსხვავებით → რეტორსიისაგან რეპრესალიის ფორმით განხორციელებული ქმედება თავისი ბუნებით, პრინციპში, არამართლზომიერ ქმედებას წარმოადგენს, თუმცა მისი განხორციელება გამართლებულია იმ გარემოებით, რომ მეორე სახელმწიფოს მიერ უფრო ადრე დაირღვა საერთაშორისო სამართლის ნორმები. ამასთან რეპრესალიად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალა ან ძალის გამოყენების მუქარა. რეპრესალია იმ არამართლზომიერი ქმედების პროპორციული უნდა იყოს, რომლის საპასუხოდაც ის ხორციელდება და მხოლოდ იმ დრომდე უნდა გაგრძელდეს, როდესაც კანონიერი მდგომარეობის აღდგენა მოხდება.

### რესტიტუცია

თავდაპირველი, უკანონო ქმედების განხორციელებამდე არსებული უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა იმ სახელმწიფოს მიერ, რომელმაც აღნიშნული უკანონო ქმედება განახორციელა (მაგ., უკანონოდ მიტაცებული ტერიტორიის ან ქონების უკან დაბრუნება).

### რეტორსია

სახელმწიფოს ცალმხრივი, მართლზომიერი სახის ქმედება, რომელიც ხორციელდება მეორე სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედების საპასუხოდ. ვინაიდან რეტორსია უკანონო ქმედებაზე რეაგირებას წარმოადგენს, იგი ამ ქმედების პროპორციული უნდა იყოს და მისი შეწყვეტისთანავე უნდა შეწყდეს. რეტორსიულ ზომად ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა დაუშვებელია. რეტორსიის მაგალითს წარმოადგენს ადრესატი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის შეზღუდვების დანესება.

### რეფერენდუმი

არის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ კონსტიტუციური, საკანონმდებლო ან შიდა- და გარეპოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა. რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინება სავალდებულოა. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით რეფერენდუმი ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით. რეფერენდუმის პირობების დარღვევის შემთხვევაში დგება რეფერენდუმის არაკონსტიტუციურობის საკითხი, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს → საკონსტიტუციო სასამართლო. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოცია-

ლური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. რეფერენდუმს საქართველოში 2013 წელს კონსტიტუციის ცვლილებების ამოქმედებამდე ნიშნავს საქართველოს → **პრეზიდენტი** → **პარლამენტის** ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან - ასევე → **მთავრობის** მოთხოვნით, რომელიც გარკვეულ საკითხებთან, მაგალითად, გადასახადებთან დაკავშირებით, იძენს რეფერენდუმის ინიცირების ექსკლუზიურ უფლებას (კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

## რეციდივი

→ **დანაშაულის რეციდივი.**

## რისკზე პასუხისმგებლობა

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით რისკზე პასუხისმგებლობა აღნიშნავს, → **ვალდებულებით ურთიერთობაში**, → **ვალდებულების** დაღუპვის ან გაფუჭების რისკს (ე.წ. ვალდებულების რისკი). ვალდებულების რისკის წესები შეეხება → **ვალდებულების შეუძლებლობას**, → **მოვალის მიერ ვადის გადაცილებას** და → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას**. გარდა ამისა, ვალდებულების რისკის ქვეშ მოიხრება საკითხი იმის თაობაზე, რომ → **ორმხრივი ხელშეკრულების** შემთხვევაში, ვალდებულების შეუძლებლობის მიუხედავად, ეკისრება თუ არა მეორე მხარეს სამაგიერო შესრულება (ე.წ. ანაზღაურების რისკი).

1. ვალდებულებისა და ანაზღაურე-

ბის რისკები ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს. ვალდებულების რისკი შეეხება მოვალის პასუხისმგებლობას. კერძოდ, თავისუფალი არის თუ არა იგი ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. მაშასადამე, სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება ვალდებულება (→ **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა**).

2. ვალდებულების რისკისაგან განსხვავებით, ანაზღაურების რისკი შეეხება კრედიტორის ვალდებულებას. კერძოდ, უნდა შეასრულოს თუ არა მან თავისი ვალდებულება მოვალის მიმართ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მოვალე ვალდებულების შესრულებისაგან თავისუფალია და კრედიტორი მოვალის შესრულებას ვერ მიიღებს. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს განსაკუთრებულ ნორმებს კრედიტორის პასუხისმგებლობის შესახებ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მაგრამ აკისრებს კრედიტორს ანაზღაურების ვალდებულებას საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის ცვლილებისა და ვადის გადაცილების შემთხვევებში: ა) სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულებამდე კრედი-

ტორის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის ცვლილება გამოიწვევს კრედიტორის მიერ გაზრდილი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას და მას ეკისრება ნივთის მოსალოდნელი საფრთხის რისკი; ბ) სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას** მას ეკისრება ნივთის შემთხვევითი გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;

3. განსაკუთრებული ნორმებით არის რეგულირებული ანაზღაურების რისკი → **ნასყიდობისა** და → **ნარდობის** ხელშეკრულების შემთხვევაში: ა) სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის თანახმად, გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი. გარდა ამისა, თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს. აღნიშნულ შემთხვევებში მყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს გამყიდველს ნივთის ღირებულება: ბ) სამოქალაქო კოდექსის 651-ე მუხლის თანახმად, შესრულებული სამუშაოს შემთხვევითი დაღუპვის ან განადგურების რისკი ეკისრება მენარდეს შემკვეთისათვის გადაცემამდე. გადაცემის მომენტიდან სამუშაოს განადგურების შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს მენარ-

დეს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

### რუანდის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი

საერთაშორისო სასამართლო, რომელიც დაარსდა → **გაეროს უშიშროების საბჭოს 1994 წლის 8 ნოემბრის N955 რეზოლუციის** საფუძველზე. ტრიბუნალის ადგილსამყოფელია არუშა (ტანზანია). ტრიბუნალი უფლებამოსილია განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომელთა მიერ 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე დროის პერიოდში რუანდის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნულ დანაშაულებს მიეკუთვნება: უენევის 1949 წლის კონვენციებისა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, წამება, მძევლად აყვანა, არაადამიანური მოპყრობა, უკანონო დეპორტაცია; ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა; გენოციდი; ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ტრიბუნალი შედგება 3 ძირითადი ორგანოსგან. ესენია: პალატები (3 სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 1 სააპელაციო პალატა), ბრალმძებელი და სამდივნო.

### რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. აღნიშ-

ნული მოიცავს როგორც საკუთარ სინდისთან თანხმიერი გადანიშნულებების მიღებისა და განხორციელების, ისე რელიგიის თავისუფლებას, რომელიც თავის მხრივ მოიზრებს რომელიმე რელიგიის მიმდევრობას, მის რიტუალებში მონაწილეობას და ა.შ. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ყველანაირი (სახელმწიფო თუ საზოგადო) ზენოლის გარეშე ჩამოაყალიბოს და გამოხატოს თავისი შეხედულება ღმერთისა და შესაბამისი ფასეულობების შესახებ. დაცულია ასევე საკუთარ რელიგიურ შეხედულებებზე თუ მსოფლმხედველობაზე დუმილის უფლება. დაუშვებელია ადამიანის იძულება, რომელიმე რელიგიურ რიტუალში მონაწილეობასთან ან რაიმე რელიგიური ღირებულებების გაზიარებასთან დაკავშირებით. რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ორგანული ზღუდე გახლავთ ისევე და ისევე სხვა ადამიანთა (ძირითადი) უფლებები და თავისუფლებები. სინდისის თავისუფლების კუთხით შესაძლოა პრობლემები წარ-

მოიშვას გარკვეული (მოქალაქეობრივი) მოვალეობების განხორციელებისას, მაგალითად, როგორცაა სამხედრო სამსახურის ვალდებულება ან ფიცის დადება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო ფიცის ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია რელიგიური ფიცის ძალა და ამრიგად ენაცვლება მას. თუმცა, დასავლეთის სახელმწიფოებში სწორედ სინდისის თავისუფლებიდან გამომდინარე ასევე არსებობს სამხედრო სამსახურის ალტერნატიული ფორმა - ე.წ. სამოქალაქო სამსახური, რომელიც, მაგალითად, გერმანიაში გულისხმობს სოციალურ რგოლებში სამსახურს (მოხუცებულთა სახლები, საბავშვო ბალები, სკოლები და ა.შ.). სხვადასხვა პროფესიული ვალდებულებების განხორციელებისას მეორეხარისხოვან როლს იძენს სინდისისმიერი ინდივიდუალური შეხედულებები. მაგალითად, მოსამართლეს მაინც ევალება გააუქმოს ქორწინება, მიუხედავად იმისა, თუ პირადად როგორ აფასებს აღნიშნულ საკითხს.



ს

**საავტორო უფლება**

საავტორო სამართალი ემსახურება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების დაცვას. იგი იცავს არა იდეას, მეთოდს ან მეცნიერულ აღმოჩენას როგორც ასეთს, არამედ ინტელექტუალურ სამუშაოს, რომელმაც გარკვეული ფორმა შეიძინა და აღქმადია საზოგადოების ცნობიერებისათვის. ტრადიციულად, საავტორო სამართლით დაცული სიკეთეები იყოფიან ორ კატეგორიად: ნაწარმოების დაცვა და მომიჯნავე უფლების დაცვა.

1. ნაწარმოებებს განეკუთვნებიან მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს. ინტელექტუალურ-შემოქმედებითი მნიშვნელობის დადგენა არსებითად ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოებში გადმოცემულია ადამიანის ინტელექტი, მისი აზრები და გრძნობები, რაც მას ინდივიდუალიზმს ანიჭებს. თუ ნაწარმოები რამდენიმე პირის ერთობლივი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, მაშინ ეს პირები ჩაითვლებიან ნაწარმოების თანავტორებად. გამოწვევის წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ფარგლებში შექმნილი ნაწარმოებები: უშუალო სამსახურებრივი დავალების შესრულების წესით შექმნილი ნაწარმოების ავტორი არის დამსაქმებელი, თუ შრომის ხელშეკრულება ამ წესისაგან განსხვავებულ რეგულირებას არ შეიცავს. ნაწარმოებზე საავტორო უფლება წარმოიშობა

მისი შექმნის მომენტისთანავე, მაშასადამე, როცა ნაწარმოები ადამიანური ცნობიერებისათვის აღქმადია და იგი რეპროდუცირების საშუალებას იძლევა (საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5, მე-6, მე-9 და მე-16 მუხლები).

2. ნაწარმოებისაგან განსხვავებით, მომიჯნავე უფლების დაცვის ობიექტია არა შემოქმედებითი საქმიანობის წარმონაქმნი, არამედ სხვა ხასიათის შესრულება, რომელიც ჰგავს შემოქმედებით საქმიანობას ან ხორციელდება მასთან მჭიდრო კავშირში, როგორცაა, მაგალითად, შემსრულებელი ხელოვანის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამების დამამზადებლის ან მანყებლის უფლებები.

**საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)**

1. საანდერძო დანაკისრი არის მოანდერძის მიერ პირის მიმართ სამკვიდროს ხარჯზე შესასრულებელი ვალდებულება. როგორც წესი, საანდერძო დანაკისრი არის ქონებრივი სარგებელი (განსაკუთრებით, ნივთი, სანივთო უფლება, მოთხოვნა), ასევე, განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, მომსახურების განწევა ისე, რომ ლეგატარი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მემკვიდრე (სამოქალაქო კოდექსის 1383-ე, 1384-ე მუხლები). მემკვიდრისაგან განსხვავებით, ლეგატარი არ არის მამკვიდრებლის სამართალმემკვიდრე და მის მიერ სარგებლის მიღება ხდება არა უშუალოდ მამკვიდრებლის გარდაცვალებით, არამედ მას მემკვიდრის მიმართ წარმოემოზა



ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მემკვიდრის გამიჯვნა ლეგატარისაგან შესაძლებელია სირთულეს წარმოადგენდეს, რაც ანდერძის ინტერპრეტაციით უნდა იქნას განმარტებული. გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს იმ გარემოებას, ლეგატარი ცალკეულ ნივთებს იღებს თუ მთლიან ქონებას. ლეგატარი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ასევე, პირი, რომელიც ჩასახულია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მემკვიდრის მიმართ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია პირის დაბადებაზე ან განსაზღვრული მოვლენის დადგომაზე. მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც გარდაცვლილი მემკვიდრის წილი მიიღეს (სამოქალაქო კოდექსის 1388-ე მუხლი). მემკვიდრე თავისუფლდება საანდერძო დანაკისრის შესრულებისაგან, თუ ლეგატარი უარს ამბობს დანაკისრის მიღებაზე; თუ საანდერძო დანაკისრის შესრულება რამდენიმე მემკვიდრეს აქვს დავალებული, თითოეული ასრულებს მას სამკვიდროში მისი წილის პროპორციულად (სამოქალაქო კოდექსის 1390-ე მუხლი). საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, რომლებიც მის მაგივრად მიიღებენ დანაკისრს (სამოქალაქო კოდექსის 1396-ე მუხლი).

2. საანდერძო დანაკისრი არის მემკვიდრეობაზე წარმოშობილი → ვალდებულება და ინვეს მემკვიდრესა და ლეგატარს შორის

ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. ამ ურთიერთობის საფუძველზე მემკვიდრეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა (მაგალითად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისათვის ან მოვალის მიერ ვადის გადაცილებისათვის), თუ მისი პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული (სამოქალაქო კოდექსის 1387-ე მუხლი). ლეგატარს უფლება აქვს უარი თქვას საანდერძო დანაკისრის მიღებაზე (სამოქალაქო კოდექსის 1394-ე მუხლი).

**სააპელაციო სასამართლო**  
→ სასამართლო.

**საარჩევნო სისტემა**

მოიცავს პრინციპებსა და წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება წარმომადგენლობითი ორგანოს (ორგანოების) არჩევა. კლასიკური ფორმებია სითითი და მაჟორიტარული სისტემები, რომლებიც უმთავრესად ერთდროულად გვხვდება → დემოკრატიული → სახელმწიფოების საარჩევნო სისტემებში. შესაბამისი პროცედურები, წესები და პირობები მოწესრიგებულია საარჩევნო → კანონმდებლობით.

**საარჩევნო უფლება**  
→ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

**სააქციო საზოგადოება**

სააქციო საზოგადოება არის სამეწარმეო → იურიდიული პირი და მისი კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის → აქციებად. სააქციო საზოგადოების დაფუძნების სარეგისტრაციო განაცხადის აუცილებელი პირობები მოცემულია მენარმეთა შესახებ საქარ-



## სააღსრულებო ფურცელი

თველოს კანონის მე-5 მუხლში. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერის ვალდებულებას წარმოადგენს წესდებით განსაზღვრული შენატანის განხორციელება აქციების მისაღებად. აქციონერის მიერ მოგების წილის მიღება განისაზღვრება აქციების კლასისა და რაოდენობის მიხედვით. სააქციო საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომლის მოწვევისა და საქმიანობის წესიც განისაზღვრება სააქციო საზოგადოების წესდებითა და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. თუ აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100, ამ შემთხვევაში, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 55-ე მუხლი).

### სააღსრულებო ფურცელი

1. სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის (დედანი) გარეშე (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 20-ე მუხლი). სააღსრულებო ფურცელი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გაცემულია გადაწყვეტილების გამომტანო ორგანოს მიერ და ამონმებს კრედიტორის მოთხოვნას და მის აღსასრულებლად მიქცევას. სააღსრულებო ფურცელზე აღნიშნულია აგრეთვე გადაწყვეტილების გამომტანის თარიღი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი და მოვალის დასახელება.

2. სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა სა-

სარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ, თუ ნათელია უფლებამონაცვლეობა. თუ უფლებამონაცვლეობის დადგენა დოკუმენტებით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორის ან მისი უფლებამონაცვლის სარჩელის საფუძველზე გადაწყვეტილებას სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე იღებს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი).

3. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, მხარეებსა და აღმასრულებელს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სააღსრულებო დოკუმენტის განმარტების მოთხოვნით. სასამართლო წარმოება მიმდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე. → **სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;** → **სასამართლო გადაწყვეტილება;** → **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.**

### საბანკო გარანტია

1. საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) მოთხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლი). საბანკო გარანტია არის გარანტიის აბსტრაქტული შეპირება ბენეფიციარისადმი იმ შემთხვევისა-

თვის, რომ პრინციპალის მიერ განსაზღვრული ვალდებულება არ შესრულდა ან არაჯეროვნად შესრულდა. გარანტიის ეს ვალდებულება წარმოიშობა პრინციპალის უფლებებისა და ვალდებულებების მიუხედავად ბენეფიციარის წინაშე (სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლი). ვინაიდან საბანკო გარანტია წარმოიშობს გარანტის აბსტრაქტულ ვალდებულებას, მას არა აქვს უფლება ბენეფიციარს წაუყენოს შესაგებელი ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის არსებული ურთიერთობიდან. ამით იგი განსხვავდება აქცესორული ბუნების → **თავდებობისაგან**. საბანკო გარანტიის აბსტრაქტული შეპირება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გარანტი არ მონაწილეობს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში და მისი ვალდებულებები მხოლოდ გარანტიის შესაბამისად წარმოიშობა.

2. საბანკო გარანტია, როგორც წესი, ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან. იგი ბენეფიციარის მიერ წერილობით ფორმით და თანდართული დოკუმენტაციით წარედგინება გარანტს იმაზე მითითებით, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საბანკო გარანტია. მისი წარდგენა უნდა განხორციელდეს იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც გაცემულია საბანკო გარანტია (სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი). გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალს ამის თაობაზე, გადაუგზავნოს დოკუმენტაცია და გონივრულ ვადაში მოითხოვოს მისგან იმის დადასტურება, შეესაბამება თუ არა ბენე-

ფიციარის მოთხოვნა საგარანტიო პირობებს. გარანტის მიერ ბენეფიციარის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რეგრესის წესით მასზე გადადის იმ თანხის მოთხოვნა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, თუ ეს გამომდინარეობს გარანტსა და პრინციპალს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან (სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლი).

### საბაჟო კავშირი

სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმა, რომელიც გამოიხატება ერთიანი საბაჟო სივრცის შექმნაში. საბაჟო კავშირი შედგება 2 ელემენტისაგან: ერთის მხრივ, ნევრ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაში უქმდება საბაჟო გადასახადები და მეორეს მხრივ, მესამე სახელმწიფოთა მიმართ წესდება ერთიანი საბაჟო ტარიფები (→ **თავისუფალი ვაჭრობის ზონა**).

### საბოტაჟი

სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ისეთ განზრახ ქმედებას (ქმედებებს), რომელსაც პირი ახორციელებს საქართველოს დასუსტების მიზნით. ასეთ ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება: სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე); საწარმოს, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალების, გზის, ნაგებობის, ტექნიკის, დოკუმენტის, დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, მასალის ან პროდუქციის, აგრე-

## საგადასახადო კოდექსი

თვე მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულებების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, საზოგადოებრივი უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთვნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. ხოლო, თუ აღნიშნული ქმედების ჩადენა ხდება აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ასევე ბირთვული ენერჯის კონტროლიდან გამოყვანა, ეპიდემიის ან ეპიზოოტიის გავრცელება, მასობრივი მონამვლა ანდა სხვა ქმედება, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით).

## საგადასახადო კოდექსი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო

კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადანყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

## საგადასახადო ომბუდსმენი

ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. საგადასახადო ომბუდსმენი განიხილავს პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს. საგადასახადო ომბუდსმენი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა კანონებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით. საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, საგადასახადო ორგანოდან მიიღოს განმარტება გადასახადის გადამხდელის განცხადებასთან ან/და საჩივართან დაკავშირებულ საკითხზე. გადასახადის გადამხდელის უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში საგადასახადო ომბუდსმენი მიმართავს შესაბამის ორგანოს და აძლევს რეკომენ-

დაცვას ამ უფლებების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. საგადასახადო ომბუდსმენს უფლება აქვს, არ გასცეს ინფორმაცია იმ ფაქტზე, რომელიც მას გაანდეს, როგორც გადასახადის გადამხდელთა უფლებების დამცველს. საგადასახადო ომბუდსმენი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. საგადასახადო ომბუდსმენის ანგარიშში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. საგადასახადო ომბუდსმენს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

### საგადასახადო ორგანოები

არიან შემოსავლების სამსახური და მის შემადგენლობაში შემავალი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები. შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და რომელსაც

შესაძლებელია ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ადგილსამყოფელი. საქართველოში საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო ორგანოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადასახადო კოდექსით ასეთი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სხვა ორგანოებს. საგადასახადო ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ: ა) შეამოწმონ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, ფინანსური სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასულობანი, გაანგარიშებები, დეკლარაციები, გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის სხვა დოკუმენტები; ბ) გადასახადის გადამხდელისაგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან მიიღონ გადასახადების გამოანგარიშებასა და გადასახადთან დაკავშირებული დოკუმენტები, აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოსემების დროს წამოჭრილ საკითხებზე; გ) გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციათა და მენარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყობო, სავაჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ინვენტარიზაციით აღრიცხონ საქონლის მარაგები, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების რაოდენობა, ჩაატარონ საგადასახადო შემოსება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო

## საგამოძიებო ექსპერიმენტი

აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები; დ) გადასახადის გადამხდელი გამოიძახონ საგადასახადო ორგანოში (მის ნაცვლად შეიძლება მივიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს საალრიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის დაბეგრასთან დაკავშირებული ინფორმაცია); ე) დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო საალრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში; ვ) გამოიყენონ სანქცია იმ გადასახადის გადამხდელის მიმართ, რომელმაც დაარღვია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა; ზ) გადასახადის გადამხდელისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციის სახით დაკისრებული თანხა; თ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის

ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახედულების დაკისრების შესახებ; ი) დასაბეგრი ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვა; კ) გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოიწვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები; ლ) სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით; მ) მოითხოვონ და მიიღონ საალრიცხვო დოკუმენტაციის ასლი (საჭიროების შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის მიერ დამონმებული ასლი); ნ) დააყენონ მრიცხველები ან/და აიღონ მათი მაჩვენებლები, აგრეთვე ამ კოდექსით დადგენილი წესით დალუქონ დოკუმენტები ან სხვა მასალები.

## საგამოძიებო ექსპერიმენტი

წარმოადგენს → საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახეს, რომელიც მხარის ინიციატივით ტარდება მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლი). საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მიიწვიონ პირი, რომლის

ინფორმაცია (ჩვენება) უნდა შემომდეს და ექსპერტი. საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან ასევე სხვა პირები. თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შესაბამებოდეს შესაბამებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას. საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლი).

### საგამოძიებო მოქმედება

არის საპროცესო ღონისძიება და იგი სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში → **მხარის** ინიციატივით ტარდება მტკიცებულებების მოპოვების ან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენის მიზნით. საგამოძიებო მოქმედებებს მიეკუთვნება: → **გამოკითხვა**, → **დაკითხვა**, → **ამოღება**, → **ჩხრეკა**, → **დათვალიერება**, → **საგამოძიებო ექსპერიმენტი**, → **ამოსაცნობად წარდგენა**, → **ექსპერტიზა**. საგამოძიებო მოქმედებას მიეკუთვნება აგრეთვე → **კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები**. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. გამოწვევის წარმოადგენს ამოღება, ჩხრეკა და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, რომლის ჩატარების თაობაზე სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს

მხოლოდ ბრალდების მხარეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. გამონაკლის შემთხვევებში, საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას (მაგალითად, დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება) შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, გამომძიებლის დადგენილებით, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით მოსამართლეს პროკურორმა უნდა აცნობოს საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას და გამოაქვს განჩინება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები). ყოველი საგამოძიებო მოქმედების

## საგანგებო ან საომარი მდგომარეობა

თაობაზე დეგრადაცია საგამოძიებო მოქმედების ოქმი, რომელიც შეიძლება დაინეროს ხელით ან შედგეს ტექნიკური საშუალებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე და 135-ე მუხლები).

## საგანგებო ან საომარი მდგომარეობა

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ორგანოების ფუნქციონირების განსაკუთრებული საკანონმდებლო რეჟიმი, რომელიც ქვეყანაში ან მის გარკვეულ ნაწილში შემოაქვთ საშინაო ან საგარეო საშიშროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოიცავს → ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. საქართველოში ამგვარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება აქვს ქვეყნის → პრეზიდენტს. საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, როგორც წესი, ცხადდება ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების შემთხვევებში. პრეზიდენტის გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ 48 საათის განმავლობაში წარედგინება → პარლამენტს დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტი იძენს საკანონმდებლო ფუნქციებსაც. იგი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს და ფარგლებში.

საგანმანათლებლო დაწესებულება → უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება; → პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

## საგანმანათლებლო პროგრამა

(კურიკულუმი) უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტრუქტურა და შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები. → პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი

→ ლისაბონის ხელშეკრულებით → ევროპული კავშირში შემოღებულ იქნა ახალი თანამდებობა, რომელსაც „საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენელი“ ეწოდა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობამ შეითავსა ლისაბონის ხელშეკრულებამდე არსებული ორი თანამდებობა: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლისა და → ევროპული კომისიაში საგარეო ურთიერთობების კომისრის თანამდებობები. შესაბამისად, განისაზღვრა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კომპეტენციები. კერძოდ, იგი თავმჯდომარეობს ევროპული კავშირის საბჭოს სხდომებს ფორმატში „საგარეო საქმეები“ და მონაწილეობს



→ ევროპული საბჭოს მუშაობაში. გარდა ამისა, იგი პარალელურად არის ევროპული კომისიის წევრი და კომისიის ვიცეპრეზიდენტი.

**საგარეო ურთიერთობების ორგანოები**

→ **საერთაშორისო სამართლის სუბიექტები** საერთაშორისო დონეზე ოპერირებენ საგარეო ურთიერთობის ორგანოების სამუშაოებით. განსხვავებულ უნდა იქნეს საგარეო ურთიერთობის ცენტრალურ და საზღვარგარეთულ ორგანოებს შორის. სახელმწიფოს ცენტრალური საგარეო ურთიერთობების ორგანოებს წარმოადგენენ სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი. საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით, სწორედ აღნიშნული პირები ითვლებიან ავტომატურად თავისი სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენლად. საგარეო ურთიერთობების საზღვარგარეთული ორგანო შეიძლება იყოს მუდმივი (→ **დიპლომატიური წარმომადგენლობა**, → **საკონსულო დაწესებულება**, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წარმომადგენლობა) ან დროებითი (→ **სპეციალური მისია**, **დელეგაცია**) ხასიათის.

**სადემარკაციო ხაზი**

1. ხაზი, რომელიც მეომარ მხარეებს ზავის მოქმედების პერიოდში ჰყოფს. იგი არ წარმოადგენს სახელმწიფო საზღვარს და მხოლოდ და მხოლოდ მხარეების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებს მიჯნავს ერთმანეთისგან.
2. ოკუპირებულ სახელმწიფოში საოკუპაციო ზონების გამმიჯნავი ხაზი.

**საერთაშორისო არხები**

ხელოვნური წყალსავალი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ნაოსნობისთვის (მაგ., პანამის და სუეცის არხები). საერთაშორისო არხებში ნაოსნობის რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით.

**საერთაშორისო დავები**

საერთაშორისო დავებს წარმოადგენენ დავები, რომლებიც წარმოიშობება → **საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს** შორის. როგორც წესი, დავის წარმოშობის მიზეზია ერთ-ერთი მხარის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა ან მხარეების მიერ ამა თუ იმ საკითხის განსხვავებული ინტერპრეტირება. → **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა** საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპს წარმოადგენს.

**საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა**

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მესამე აბზაცის მიხედვით, ყველა წევრი სახელმწიფო თავის საერთაშორისო დავებს აგვარებს მშვიდობიანი საშუალებებით იმგვარად, რომ საფრთხეს არ უქმნის საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას. წესდების 33-ე მუხლის მესამე აბზაცში კი მოცემულია საერთაშორისო დავების მოგვარების მშვიდობიანი საშუალებების ჩამონათვალი. კერძოდ, ესენია: → **მოლაპარაკებები**, → **შუამავლობა**, → **ფაქტების დადგენა**, → **მორიგება**, → **არბიტრაჟი**, → **საერთაშორისო სასამართლოები**, → **საერთაშორისო ორგანი-**



**ზაციების** ფარგლებში დავების მოგვარება და მხარეების მიერ შერჩეული სხვა მშვიდობიანი საშუალებები. აღნიშნულ ჩამონათვალში არ გვხვდება ე.წ. → **კეთილი სამსახური**, თუმცა ისიც საერთაშორისო დავის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. საერთაშორისო დავის მხარეები და ასევე ყველა სხვა სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ყველა ისეთი სახის ქმედებისგან, რომელსაც შეუძლია მდგომარეობის გაუარესება ისე, რომ საფრთხე შეექმნას საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და რომელიც, შესაბამისად, გართულებს დავის მოგვარებას.

**საერთაშორისო დანაშაული**

უმძიმესი ხასიათის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მიმართულია საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ და შესაბამისად, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის შემოფოთების საგანს წარმოადგენს. პირველად საერთაშორისო დანაშაულების ჩამონათვალი მოცემული იქნა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში. კერძოდ, წესდების მე-6 მუხლის მიხედვით საერთაშორისო დანაშაულს წარმოადგენს დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ (→ **აგრესია**), → **სამხედრო დანაშაული** და → **დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ**. გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენციით კი მათ დაემატა → **გენოციდი**. სახელმწიფოები ვალდებული არიან დასაჯონ ის პირები, რომლებსაც საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლო-

ბა ეკისრებათ (ასევე → **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო**). ამასთან, საერთაშორისო დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც უშუალო აღმსრულებელნი, ასევე დანაშაულის ორგანიზატორები, მათ შორის, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები და სხვა უმაღლესი თანამდებობის პირები.

**საერთაშორისო დელიქტი**

საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ქმედება, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას და ამასთან არ არის → **საერთაშორისო დანაშაული**. საერთაშორისო დელიქტი საერთაშორისო დანაშაულთან ერთად → **საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტის** სახეებს წარმოადგენს. მისი ჩადენა იწვევს → **საერთაშორისოსამართლებრივ პასუხისმგებლობას**.

**საერთაშორისო თავაზიანობა**

საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში ქცევის წესი, რომელიც არ არის სავალდებულო ხასიათის. საერთაშორისო ჩვეულებებისგან საერთაშორისო თავაზიანობა განსხვავდება იმით, რომ თავაზიანობის აქტს სახელმწიფოები განახორციელებენ ნებაყოფლობით და არა იმ რწმენის საფუძველზე, რომ ისინი ვალდებული არიან განახორციელონ მოცემული ქმედება. საერთაშორისო თავაზიანობის აქტის განუხორციელებლობა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს. საერთაშორისო თავაზიანობის მაგალითია → **დიპლომატიური პროტოკოლის** წესები.

ს

**საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტი**

საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ქმედება, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას. მისი ჩადენა იწვევს → **საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას**. საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტი იყოფა შემდეგ სახეებად: ა) → **საერთაშორისო დანაშაული**; ბ) → **საერთაშორისო დელიქტი**.

**საერთაშორისო მდინარე**

საერთაშორისო მდინარეს წარმოადგენს მდინარე, რომელიც კვეთს ან მიჯნავს ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიას, გამოსადგეგია ნაოსნობისათვის და ღია საერთაშორისო ნაოსნობისათვის (მაგ., დუნაი, რეინი). ასეთი სახის მდინარეებზე ნაოსნობის წესები განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

**საერთაშორისო ორგანიზაცია**

საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო ორგანიზაციად მიჩნეულია სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი ვადაზე გათვლილი გაერთიანება, თუ ამ წარმონაქმნს სულ მცირე ერთი ორგანო გააჩნია, რომელიც გამოხატავს ნებას, რომელიც არ არის სავალდებულო, რომ თითოეული წევრი სახელმწიფოს ნების იდენტური იყოს და ამასთან, თუ ამ გაერთიანებას გააჩნია მიზანი, რომელიც თავისი ბუნებით სახელმწიფოთა სუვერენული ხელისუფლების ამოცანებს მიეკუთვნება. საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ უნივერსალური (მაგ., გაერო) ან რეგიონალური (მაგ., დსთ) ხასიათის (→ **უნივერსალური საერთაშორისო ორგა-**

**ნიზაცია**; → **რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია**). მათი მიზნები შეიძლება იყოს ზოგადი (მაგ., ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, ადამიანის უფლებების დაცვა); → **ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია**) ან სპეციალური (მაგ., საფოსტო კავშირების გაადვილება); → **სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია**). საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო სამართალუნარიანობა წყდება თუკი ეს არის მისი წევრი სახელმწიფოების ერთობლივი გადაწყვეტილება. საერთაშორისო ორგანიზაციები → **საერთაშორისო სამართლის სუბიექტს** წარმოადგენენ. საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოები შეიძლება შემდეგ, ძირითად, კატეგორიებად დაიყოს:

1. ორგანიზაციის საერთო ნების გამომხატველი ორგანოები. ამ სახის ორგანოების კომპეტენციას მიეკუთვნება წევრი სახელმწიფოების საქმიანობის კოორდინაცია და, ზოგიერთ შემთხვევაში, კონტროლი (მაგ., გაეროში - → **გაეროს გენერალური მდივანი, ევროპულ კავშირში → ევროპული კომისია**).
2. სახელმწიფოების ინტერესების გამომხატველი ორგანოები. ამ სახის ორგანოებს მიეკუთვნება ის ორგანოები, რომლებშიც ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი შედის (მაგ., გაეროში → **გაეროს გენერალური ასამბლეა, ევროპულ კავშირში → ევროპული კავშირის საბჭო**).
3. დავების განხილვის ორგანოები. ორგანოები, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი დავების განხილვას და გადაწყვეტას ემსახურებიან (მაგ., ევროპულ კავშირში → **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების**

## საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ

საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ნევრ სახელმწიფოთა საწევრო შენატანები. საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენენ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. ისინი, სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, არა საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ, არამედ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არიან დაფუძნებული (მაგ., საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი; გრინპისი).

## საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ

წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც 1966 წლის 16 დეკემბერს იქნა მიღებული → **გაეროს გენერალური ასამბლეის** მიერ და ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს. დღეისათვის, პაქტის მხარეა 160 სახელმწიფო. საქართველო მას შეუერთდა 1994 წელს. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებს შრომის უფლებასა და შრომის სამართლიანი პირობების უფლებას, სოციალური უსაფრთხოების უფლებას, კულტურულ და სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლებებს, დისკრიმინაციის აკრძალვას და ა.შ.

## საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც 1966 წლის 16 დეკემბერს იქნა მიღებული → **გაეროს გენერალური**

**ასამბლეის** მიერ და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს. დღეისათვის, პაქტის მხარეა 167 სახელმწიფო. საქართველო მას შეუერთდა 1994 წელს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი მხარეებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებას აკისრებს. აქტის საფუძველზე შექმნილია → **ადამიანის უფლებათა კომიტეტი**, რომლის კომპეტენციაში შედის პაქტის მხარე სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობა. 1966 წელს მიღებულ იქნა და 1976 წელს ძალაში შევიდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის დამატებითი ოქმი, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტს ინდივიდუალური სარჩელების განხილვის უფლებამოსილებას ანიჭებს. 1989 წელს კი მიღებულ იქნა და 1991 წელს ძალაში შევიდა მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ისახავს მიზნად.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი → **გაეროს** ერთ-ერთი სპეციალიზებული ორგანიზაციაა. იგი 1945 წლის 27 დეკემბერს დაფუძნდა → **მსოფლიო ბანკთან** ერთად. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ვაშინგტონში (აშშ). დღეისათვის მისი წევრია 187 სახელმწიფო. საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი გახდა 1992 წელს. ფონდის მიზანია სავალუტო-საფინანსო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, ფინანსური სტაბილუ-

რობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, დასაქმების მაღალი დონის მიღწევა, მრავალმხრივი საანგარიშსწორებო სისტემების ჩამოყალიბება და ნევრ სახელმწიფოებზე კრედიტების გაცემა საგადამხდელო ბალანსების დეფიციტის შემთხვევაში.

### საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია დაფუძნდა 1948 წელს, ჟენევაში, გაეროს საზღვაო კონფერენციაზე მიღებული კონვენციის საფუძველზე. 1958 წლის 17 მარტს, კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ორგანიზაცია შეუდგა თავის საქმიანობას. თავდაპირველად ორგანიზაციის სახელწოდება იყო მთავრობათაშორისი საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია, 1982 წლიდან კი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სახელწოდებას ატარებს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციაა (→ გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები). მისი შტაბ-ბინის ადგილსამყოფელია ლონდონი (დიდი ბრიტანეთი). დღეისათვის, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას 169 ნევრი სახელმწიფო და 3 ასოცირებული ნევრი ჰყავს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ნაოსნობის რეგულირების სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება, ზღვის დაბინძურების პრევენცია, ნევრ სახელმწიფოებს შორის ტექნიკურ საკითხებში თანამშრომლობის მხარდაჭერა და ნაოსნობის უსაფრთხოების ხელშეწყობა. ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ასამბლეა,

რომელიც შედგება ნევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. ასამბლეა წელიწადში ორჯერ იკრიბება. იგი ადგენს ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამას და ამტკიცებს ბიუჯეტს. აღმასრულებელი ფუნქციები აქვს საბჭოს, რომელიც ასამბლეის მიერ აირჩევა და 40 ნევრისგან შედგება. ტექნიკურ სამუშაოს კი ორგანიზაციის ფარგლებში განახორციელებენ ამ მიზნით შექმნილი კომიტეტები. კერძოდ, სამართლებრივ საკითხთა, ზღვაზე უსაფრთხოების, ტექნიკური თანამშრომლობის, დაზღვის გარემოს დაცვის და საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის ხელშეწყობის კომიტეტები. ორგანიზაციის სამდივნოს, რომელსაც გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს, მიმდინარე ადმინისტრაციულ-ტექნიკური საქმიანობის განხორციელების ამოცანა აქვს დაკისრებული. საქართველო საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში 1993 წელს გაწევრიანდა.

### საერთაშორისო საზღვაო სამართალი

წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ერთ-ერთ დარგს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობებს საზღვაო სივრცეში. თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სამართალი ეფუძნება ჩვეულებითი სამართლის ნორმების კოდიფიკაციისა და განვითარების იმ მცდელობების შედეგებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჟენევაში, 1956-1958 წლებში, გამართულ საერთაშორისო საზღვაო სამართლის პირველი კონფერენციის ფარგლებში დაინ-

ს

## საერთაშორისო სამართალი

ყო. კერძოდ, კონფერენციაზე მიღებულ იქნა 4 კონვენცია: კონვენცია ღღვის შესახებ; კონვენცია ტერიტორიული ღღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ; კონვენცია კონტინენტური შეღვის შესახებ და კონვენცია თევზჭერისა და ღღა ღღვის რესურსების დაცვის შესახებ. 1960 წელს გაიმართა საერთაშორისო საზღვაო სამართლის მეორე კონფერენცია, 1973-82 წლებში კი - მესამე კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც 1982 წელს ხელმოწერილ იქნა საზღვაო სამართლის შესახებ კონვენცია (→ **საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია**). დღეისათვის აღნიშნული კონვენცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს.

### საერთაშორისო სამართალი

საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო ჩვეულებებით განსაზღვრული სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების (→ **საერთაშორისო სამართლის სუბიექტები**) უფლებებსა და მოვალეობებს ადგენს და მათ შორის ურთიერთობებს არეგულირებს. საერთაშორისო სამართალი ეფუძნება სახელმწიფოების თანასწორობისა (→ **სუვერენული თანასწორობა**) და → **სუვერენიტეტის** პრინციპს. მისი მოქმედება, ძირითადად, დამყარებულია სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონსენსუსზე. საერთაშორისო სამართლის წყაროს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებები. გაეროს მართლმსაჯულების სა-

ერთაშორისო სასამართლოს სტატუსის 38-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის წყაროს ასევე წარმოადგენს სამართლის ზოგადი პრინციპები (→ **საერთაშორისო სამართლის წყაროები**). საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან დარგებს წარმოადგენს დიპლომატიური სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართალი, საზღვაო სამართალი, ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული სამართალი და ა.შ.

### საერთაშორისო სამართალსუბიექტობა

საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობისა და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების ფლობისა და განხორციელების უნარი. მოცემული უნარი გააჩნიათ → **საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს**.

### საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობას იწვევს → **საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტის** ჩადენა. საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით ჯერჯერობით დარეგულირებული არ არის. თუმცა მათი უმრავლესობა ჩვეულებითი სამართლის ნაწილია. საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმებისა და ამ ნორმების პროგრესული განვითარების კომბინაციას წარმოადგენს, გაეროს გენერალური ასამბლეის დავალებით საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტი საერთაშორისო სამართალდარღვე-

## საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება

ვებისათვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი 2001 წელს იქნა მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იგი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხებს არეგულირებს, მისი ნორმების გამოყენება შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტებთან მიმართებაშიც. იმისათვის, რომ საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნეს დაკისრებული, აუცილებელია სახეზე იყოს შემდეგი 2 ელემენტი: ა) ქმედება საერთაშორისო სამართლის დარღვევას უნდა წარმოადგენდეს და ბ) იგი უნდა მიეკუთვნებოდეს საერთაშორისო სამართლის შესაბამის სუბიექტს. საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია: მხარეების ურთიერთშეთანხმება შესაბამისი აქტის განხორციელებაზე, თუკი ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის → **იმპერატიულ ნორმებს**; თავდაცვა; მართლსაწინააღმდეგო ქმედება საპასუხო ღონისძიებას წარმოადგენდა მეორე მხარის წინმსწრებ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე (→ **რეპრესალია**); ფორს-მაჟორი; უკიდურესი აუცილებლობა. საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმებს წარმოადგენენ: → **რესტიტუცია**, → **რეპარაცია**, → **სატისფაქცია**, → **რეპრესალია**, → **რეტორსია**, ასევე სამხედრო სანქციები.

**საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება** საერთაშორისო სამართლის

ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მისი შინაარსი განსაზღვრულია გაეროს წესდებით, გაეროს 1970 წლის დეკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ასევე ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტით. სახელმწიფოები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ ყველა ის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან და მათ მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება ეწინააღმდეგება გაეროს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, უპირატესობა ენიჭება წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. აღნიშნული პრინციპი ემყარება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპს → **pacta sunt servanda**, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებას გულისხმობს.

## საერთაშორისო სამართლის პრიმატი

თვით საერთაშორისო სამართალი არ მოიცავს ნორმებს იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაშია იგი ეროვნულ სამართალთან და თუ როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ სამართალში. თუმცა საერთაშორისო სამართალში არსებობს ნორმა, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულოა და რომელიც, საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდან, იერარქიის განსაზღვრის ელემენტს მოიცავს. კერძოდ, სა-



ხელმწიფოს არ შეუძლია საერთაშორისო სამართლის ნორმის შეუსრულებლობა შიდასახელმწიფოებრივ - მათ შორის, კონსტიტუციურ - ნორმებზე მითითებით გაამართლოს (საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 27-ე მუხლი). სახელმწიფოს ასევე არა აქვს უფლება მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ მისი თანხმობა ხელშეკრულების მისთვის სავალდებულობაზე გამოხატული იყო მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ამა თუ იმ დებულებების დარღვევით, რომელიც ეხება ხელშეკრულების დადების კომპეტენციას, და ჩათვალოს ეს გარემოება, როგორც მისი თანხმობის ბათილობის საფუძველი, თუკი ეს დარღვევა არ იყო აშკარა და არ ეხებოდა მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით 2 ძირითადი თეორია არსებობს. მონისტური თეორიის მიხედვით, ორივე სამართალი ერთი მართლწესრიგის ნაწილია, ამასთან, ამ თეორიის მიმდევართა უმრავლესობის აზრით, საერთაშორისო სამართალს უპირატესი ძალა გააჩნია ეროვნულ სამართალთან მიმართებაში. დუალისტური თეორია კი საერთაშორისო სამართალსა და ეროვნულ სამართალს ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მართლწესრიგად განიხილავს და შედეგად, ამ თეორიის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის ნორმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ სავალდებულო ძალა სახელმწიფოს ფარგლებში, თუკი ისინი იმპლემენტირებული

არიან ეროვნულ კანონმდებლობაში. პრაქტიკაში შეუძლებელია ამ ორი სისტემის როგორც სრული ურთიერგამიჯვნა, ასევე მათი გაერთიანება. ამიტომ მონიზმისა და დუალიზმის თეორიის საფუძველზე ე.წ. „ზომიერი“ თეორიები წარმოიშვა. ამ მხრივ, ალსანიშნავია ე.წ. „ზომიერი დუალისტური“ შეხედულება, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა და რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სამართალი და ეროვნული სამართალი, პრინციპში, 2 დამოუკიდებელ მართლწესრიგს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ნორმები შესაძლოა ერთმანეთთან კოლიზიაში იმყოფებოდნენ. თუკი სახელმწიფო თავისი ქმედებით, რომელიც ეროვნული სამართლის რომელიმე ნორმას ეფუძნება, საერთაშორისო სამართალს დაარღვევს, აღნიშნული დარღვევის ფაქტი ზეგავლენას არ ახდენს ეროვნული ნორმის მოქმედებაზე, თუმცა, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის დარღვევის გამო საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება. შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ადგილს მიანიჭებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს შიდასახელმწიფოებრივი ნორმების იერარქიაში. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ შეთანხმებას,



აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. თუმცა მიუხედავად კონკრეტული რანგისა, საერთაშორისო სამართლის ნორმის შესრულების ვალდებულება სახელმწიფოს კვლავინდებურად აკისრია.

**საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ძალა**

→ **საერთაშორისო სამართლის პრიმატი.**

**საერთაშორისო სამართლის სისტემა**

წარმოადგენს → **საყოველთაო საერთაშორისო სამართლისა და → ლოკალური საერთაშორისო სამართლის** ნორმების ერთობლიობას.

**საერთაშორისო სამართლის სუბიექტები**

საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები, რომლებსაც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები უშუალოდ ანიჭებენ უფლებებს ან/და აკისრებენ ვალდებულებებს. საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს მიეკუთვნებიან: ა) სახელმწიფოები, კერძოდ კი: სუვერენული სახელმწიფოები; შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე ტერიტორიები (მაგ., ფედერაციული სახელმწიფოს ფედერალური სუბიექტები); შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სახელმწიფოები (მაგ., → **პროტექტორატები**); მუდმივი → **ნეიტრალიტეტის** მქონე სუვერენული სახელმწიფოები; → **ვატიკანის** სახელმწიფო; ბ) → **წმინდა საყდარი**; გ) → **აჯანყებულები** და ინსურგენტები; დ) სახელმწიფოთა გაერ-

თიანებები (→ **საერთაშორისო ორგანიზაციები**); ე) მეურვეობის ან მანდატის ქვეშ მყოფი ტერიტორიები; ვ) → **ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი**; ზ) მალტის რაინდთა სუვერენული ორდენი; თ) ფიზიკური პირები. სუვერენული სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, რომლებსაც შეუზღუდავი უფლებაუნარიანობა გააჩნიათ. გარდა ამისა, არსებობენ შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტები, რომლებიც მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებების და დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში ხდებიან საერთაშორისო სამართლის სუბიექტები (მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციები). სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში შეიძლება არსებობდნენ ტერიტორიები, რომელთა ხელისუფლების კომპეტენცია სუვერენული სახელმწიფოს კონსტიტუციით არის შეზღუდული (მაგ., ფედერალური სუბიექტები ფედერაციულ სახელმწიფოში). თუკი ამ ტერიტორიულ წარმონაქმნებს ფედერალური კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების დადების უფლება ცალკეულ სფეროებში, ისინი შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტებს წარმოადგენენ. ე.წ. ნაწილობრივი სამართალსუბიექტობის მაგალითია მალტის რაინდთა ორდენი. ამ სახის სუბიექტები მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა ვიწრო წრეში არიან უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სუბიექტებს წარმოადგენენ მანდატის ან მეურვეობის ქვეშ



მყოფი ქვეყანა, ასევე პროტექტორატი და ოკუპირებული სახელმწიფო. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, გავრცელებული შეხედულებით, ისინი ასევე წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. პირველ რიგში, აქ გათვალისწინებულია ის, რომ ფიზიკურ პირებს ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ცალკეული კონვენციების ფარგლებში უშუალოდ ენიჭებათ უფლებები, ხოლო საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი ნორმებით კი - ვალდებულებები.

### საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები იმპერატიული ხასიათისაა (→ **იმპერატიული ნორმები**). მათთან შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის ყველა სხვა ნორმა და პრინციპი. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დიდი ნაწილი გაეროს წესდების მე-2 მუხლში არის მოცემული. კერძოდ, ესენია: ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა; გაეროს წევრების → **სუვერენული თანასწორობა**; → **ტერიტორიული მთლიანობა**; პოლიტიკური დამოუკიდებლობა; გაეროს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება (→ **საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება**); სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა; → **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა**. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრინციპები მხოლოდ გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის არის სავალდე-

ბულოდ გამოცხადებული, ისინი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსში, ასევე მოქმედებენ იმ სახელმწიფოების მიმართაც, რომლებიც გაეროს წევრები არ არიან. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1970 წლის 24 ოქტომბერს მიიღო 2625 (XXV) რეზოლუცია, რომლითაც დამტკიცებულ იქნა დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ (გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ). აღნიშნული დეკლარაცია არამარტო აკონკრეტებს გაეროს წესდებში მოცემულ პრინციპებს, არამედ აფართოებს მათ ჩამონათვალსაც. კერძოდ, დეკლარაცია ასევე ითვალისწინებს → **საშინაო საქმეებში ჩაურევლობის**, სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებს (→ **ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი**). შემდგომში ძირითადი პრინციპების ჩამონათვალი გაიზარდა ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტის საფუძველზეც, რომელშიც მოცემულია პრინციპები, რომლებითაც სახელმწიფოების უნდა ხელმძღვანელობდნენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. კერძოდ, ჩამონათვალს დაემატა → **საზღვრების ურღვევობა** და → **ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა**.

### საერთაშორისო სამართლის წყაროები

საერთაშორისო სამართლის წყაროების ჩამონათვალი მოცემულია გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის პირველ აბზაცში. კერძოდ, ესენია: ა) სა-

ერთაშორისო ხელშეკრულებები (→ საერთაშორისო ხელშეკრულება); ბ) → საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი; გ) „ცივილიზებული ხალხთა“ მიერ აღიარებული → სამართლის ზოგადი პრინციპები. გარდა ამისა, დამხმარე წყაროებს წარმოადგენენ: ა) სასამართლო გადაწყვეტილებები (კერძოდ, საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე); ბ) საერთაშორისო სამართლის სფეროში მოღვაწე ნამყვანი მეცნიერების შეხედულებები.

**საერთაშორისო სასამართლოები** → ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო; → ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; → სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო; → მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო; → ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი; → რუანდის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი; → საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი; → მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო.

**საერთაშორისო სერვიტუტი** საერთაშორისო სერვიტუტის საშუალებით ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო უფლებას იღებს განახორციელოს თავისი → **იურისდიქცია** (ცალკეულ საკითხებში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, საერთაშორისო სერვიტუტით იზღუდება ამ უკანასკნელის იურისდიქცია, თუმცა ამ ტერიტორიის მიმართ მისი → **ტერი-**

**ტორიული სუვერენიტეტის** შეზღუდვა არ ხდება. საერთაშორისო სერვიტუტი ხორციელდება → **საერთაშორისო ხელშეკრულების**, იშვიათად → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის** საფუძველზე. განასხვავებენ შემდეგი სახის საერთაშორისო სერვიტუტებს: ა) მიმოსვლის სერვიტუტი, რომელიც ითვალისწინებს სატრანზიტო მიმოსვლის უფლებას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; ბ) სასაზღვრო სერვიტუტი, რომელიც სასაზღვრო მიმოსვლის კონტროლის ფარგლებში მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საპოლიციო და საბაჟო შემოწმების განხორციელების უფლებამოსილებას ითვალისწინებს; გ) ეკონომიკური სერვიტუტი, რომლის მაგალითს წარმოადგენს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ზღვაში თევზჭერის უფლების განხორციელება; დ) სამხედრო სერვიტუტი, რომლის მაგალითია სამხედრო ბაზების შექმნა, ასევე ტერიტორიის ნაწილების → **დემილიტარიზაცია**.

**საერთაშორისო სისხლის სამართალი** იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ → **საერთაშორისო სამართლის** საფუძველზე ადგენენ ამა თუ იმ ქმედების დასჯადობას. აღნიშნული ნორმები საერთაშორისო სამართლის ნაწილს წარმოადგენენ და შესაძლებელია მათი უშუალოდ გამოყენება. ისინი ადგენენ როგორც დასჯადი ქმედების შინაარსს, ასევე აწესებენ მისი ჩადენისათვის სანქციას. საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება გარკვეულწილად შეყოვნდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას ნიურნბერგის და ტოკიოს პროცე-

ს

## საერთაშორისო სრუტეები

სებზე სამხედრო დამნაშავეების გასამართლების შემდეგ. მას ახალი იმპულსი შესძინა → ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისა და → რუანდის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნამ. ხოლო 1998 წელს → სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნამ საერთაშორისო სისხლის სამართალი განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა.

## საერთაშორისო სრუტეები

იმ სრუტეებში, რომლებიც → ლია ზღვის ან → განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ნაწილსა და ლია ზღვის ან განსაკუთრებულ ეკონომიკური ზონის სხვა ნაწილს შორის საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობისთვის გამოიყენება, მოქმედებს ე.წ. ტრანზიტული გავლის წესი. ამ წესის მიხედვით, აღნიშნულ სრუტეებში როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემების გავლა და მის ზემოთ არსებულ სივრცეში საჰაერო ხომალდების გადაფრენა თავისუფალია და სანაპირო სახელმწიფოს ნებართვას არ საჭიროებს, თუკი აღნიშნული გავლა ხორციელდება უწყვეტად და შეყოვნების გარეშე. აღნიშნული რეგულირება, რომელიც საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციაში არის მოცემული, არ ეხება იმ სრუტეებს, რომელთა სტატუსი სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის დარეგულირებული (მაგ., დარდანელის და ბოსფორის სრუტეები).

## საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, → არასაერთაშორისო შეიარაღებული კონ-

ფლიქტისგან განსახვავებით, მიზნით ორ სახელმწიფო წარმოადგენს. გარდა ამისა, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ცნება მოიცავს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ფარგლებში მიმდინარე განმათავისუფლებელ ომებს. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეუზღუდავად მოქმედებს (→ ჟენევის კონვენციები).

## საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი

საერთაშორისო სამართლებრივ ჩვეულებად მიიჩნევა ქცევის წესი, რომელიც → საერთაშორისო სამართლის სუბიექტების პრაქტიკაში გვხვდება, თუ ამასთანავე ამ პრაქტიკას ემატება იმის რწმენა, რომ არსებობს მოცემული წესის დაცვის ვალდებულება. სწორედ სამართლებრივი რწმენის არსებობის აუცილებლობით განსხვავდება საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება → საერთაშორისო თავაზიანობის წესებისგან. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს (→ საერთაშორისო სამართლის წყაროები). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მრავალი ნორმის კოდიფიკაცია განხორციელდა, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები ძირითად დისპოზიციური ხასიათის არიან და

ისინი შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნან ახალი ნორმით (→ **დისპოზიციური ნორმები**). თუმცა არსებობს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებსაც იმპერატიული ხასიათი აქვთ (→ **იმპერატიული ნორმები**). ამ ნორმებისგან გადახვევა დაუშვებელია და ისინი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი, იმპერატიული ხასიათის ნორმა ჩამოყალიბდება.

### საერთაშორისო ხასიათის დანაშაული

დანაშაული, რომელიც თავისი მნიშვნელობით და არსებითი შედეგით სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს და ამასთან არ წარმოადგენს → **საერთაშორისო დანაშაულს**. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულია მაგ.: → **მეკობრეობა**, საერთაშორისო ტერორიზმი, თვითმფრინავის გატაცება, მონებით ვაჭრობა (→ **მონობა, მონებით ვაჭრობა**), კონტრაბანდა და ა.შ.

### საერთაშორისო ხელშეკრულება

საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს → **საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს** შორის დადებულ წერილობით შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს მათ შორის ურთიერთობების ზოგად ან კონკრეტულ საკითხებს. ამასთან, ასეთი შეთანხმებები საერთაშორისო ურთიერთობებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: კონვენცია, ხელშეკრულება, შეთანხმება, პაქტი, დეკლარაცია, ოქმი. თუმცა სახელწოდება შეთანხმების სამართლებრივ ბუნებაზე ზეგავლენას არ ახდენს და საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, ძალაში შესვლისა და მოქმედების შე-

სახებ ნორმები მასზე უცვლელად ვრცელდება. საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი (→ **ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**; → **მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება**). სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, ძალაში შესვლისა და მოქმედების შესახებ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები კოდიფიცირებულ იქნა → **საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციით**. რაც შეეხება სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, ძალაში შესვლისა და მოქმედების საკითხები, ისინი რეგულირდება სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1986 წლის კონვენციით. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება განმარტებულია, როგორც საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია

**საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1969 წლის 23 მაისს და ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს. კონვენციამ მოახდინა იმ დროისათვის არსებული → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის** ნორმების კოდიფიცირება და მათი ნაწილობრივი განვითარება. დღეისათვის, კონვენცია რატიფიცირებული აქვს 111 სახელმწიფოს. კონვენცია არეგულირებს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან, ძალაში შესვლასა და მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

**საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება**

საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. იგი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ნების გამოვლენას გახდეს იმ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე, რომლის შემუშავებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება შესაძლებელია, თუკი ეს ნებადართულია თვითონ ამ ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების მხარეებს შორის მიღწეულია ამის შესახებ შეთანხმება. შეერთებას იგივე სამართლებრივი შედეგი აქვს, რაც საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის სხვა ფორმებს (რატიფიკაციას, ხელმოწერას და ა.შ.).

**საერთაშორისო ხელშეკრულების ავთენტური ტექსტი**

ავთენტურია → **საერთაშორისო**

**ხელშეკრულების ტექსტი**, რომელიც საბოლოო შეთანხმებული ფორმით არის ჩამოყალიბებული მხარეების მიერ. საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების ტექსტი ხდება ავთენტური და საბოლოო: ა) იმ პროცედურის გამოყენების შედეგად, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს მის ტექსტში, ან შეთანხმებულია სახელმწიფოთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ მის შედგენაში; ან ბ) ასეთი პროცედურის არარსებობისას, ამ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების ტექსტის ან ხელშეკრულების ტექსტის შემცველი კონფერენციის დასკვნითი აქტის ხელმოწერისას, ხელმოწერისას → **ad referendum** ან → **პარაფირებისას**. ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დადება, როგორც წესი, ხდება ორივე მხარის სახელმწიფო ენაზე. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები კი, როგორც წესი, იდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ ენებზე, რომლის ფარგლებშიც ხდება აღნიშნული ხელშეკრულების დადება. როდესაც ხელშეკრულების ტექსტის ავთენტურობა დადგენილია ორ ან რამდენიმე ენაზე, მის ტექსტს ყოველ ენაზე თანაბარი ძალა აქვს, თუკი ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული ან მისი მონაწილენი არ შეთანხმდნენ, რომ ამ ტექსტთა შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ექნება რომელიმე ერთ, განსაზღვრულ ტექსტს. ივარაუდება, რომ თითოეულ ავთენტურ ტექსტში ხელშეკრულების ტერმინებს აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა.

**საერთაშორისო ხელშეკრულების ანულირება**  
 → საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმება.

**საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილობა**

საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლები მოცემულია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 46-53-ე მუხლებში. კერძოდ, ესენია: ა) განსაკუთრებული მნიშვნელობის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ნორმების აშკარა დარღვევა სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამომხატვის პროცესში; ბ) ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე სახელმწიფოს წარმომადგენლის თანხმობის გამომხატვის უფლებამოსილების სპეციფიური შეზღუდვა; გ) შეცდომა ხელშეკრულებაში, თუკი შეცდომა ეხება ფაქტს ან სიტუაციას, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების დადებისას და წარმოადგენდნენ არსებით საფუძველს ამ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობისათვის; დ) ხელშეკრულების მოტყუებით დადება; ე) სახელმწიფოს წარმომადგენლის მოსყიდვა; ვ) სახელმწიფოს წარმომადგენლის იძულება; ზ) ხელშეკრულების დადება ძალით და მუქარებისა ან ძალის გამოყენების გზით; თ) ხელშეკრულების ნორმების საერთაშორისო სამართლის → **იმპერატიული ნორმების** დარღვევა.

**საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტება**

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969

წლის კონვენციის 31-ე მუხლი ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტების ზოგად წესს. კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ხელშეკრულების ტერმინების იმ ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, რომლებიც აქვთ მათ შესაბამის კონტექსტში და ასევე გამომდინარეობს ხელშეკრულების ობიექტიდან და მიზნებიდან. რაც შეეხება განმარტების კონკრეტულ მეთოდებს, საერთაშორისო ხელშეკრულების განმარტება იმავე მეთოდებით ხდება, როგორი მეთოდებიც გამოიყენება ეროვნული სამართლის ნორმების განმარტებისას (გრამატიკული, სისტემური, თელეოლოგიური და ა.შ.).

**საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმება**

→ საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არსებითად არღვევს ხელშეკრულების დებულებებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმების ლეგალური საფუძველია ხელშეკრულების შემდგომი შესრულების შეუძლებლობა და გარემოებათა ძირეული შეცვლა (→ **clausula rebus sic stantibus**). ხელშეკრულების არსებით დარღვევად ჩაითვლება ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმა ან ხელშეკრულების იმ დებულებების დარღვევა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნების განხორციელებისათვის. ხელშეკრულების



## საერთაშორისო ხელშეკრულების დადება

შემდგომი შესრულების შეუძლებლობა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოხატულია იმ ობიექტის გაქრობაში ან მოსპობაში, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად. თუმცა, თუ ასეთი გარემოება დროებით ხასიათს ატარებს, მაშინ იგი მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს (→ **საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება**). გარდა ამისა, ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა არ უნდა იყოს თვით ამ სახელმწიფოს უკანონო ხასიათის ქმედების შედეგი.

## საერთაშორისო ხელშეკრულების დადება

→ **საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ** → **საერთაშორისო ხელშეკრულების** მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედება, მოლაპარაკებების გამართვის, ხელშეკრულების ხელმოწერისა და მისი სავალდებულოდ აღიარების ჩათვლით.

## საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება

სახელმწიფოს მიერ მისთვის → **საერთაშორისო ხელშეკრულების** სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ასევე ადგენს, რომ საქართველოს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე შეიძლება გამოიხატოს დამტკიცებით. რაც შეეხება დამტკიცების უფლებამოსილებას, გადანყვეტილებას იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ, რომელიც

არ ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას და ძალაში შესვლისათვის საჭიროებს შიდა-სახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას, ბრძანებულებით იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

## საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაცია

→ **ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების** მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის ან → **მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან** გამოსვლის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ან შესაბამისად ხელშეკრულებიდან გამოსვლა ხდება თვით ამ ხელშეკრულებით დადგენილი პროცედურებისა და ვადების დაცვით. ხელშეკრულების დენონსაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დენონსაციის შესაძლებლობას ხელშეკრულება ითვალისწინებს ან ხელშეკრულების სხვა მხარეები ამის შესახებ თანხმობას განაცხადებენ. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, გადანყვეტილებას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ იღებს ის ორგანო, რომელმაც გამოხატა თანხმობა ამ ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ან არ არის მიღწეული რაი-



მე სხვაგვარი შეთანხმება ხელშეკრულების მხარეთა შორის, ათავისუფლებს საქართველოს ნებისმიერი ვალდებულებისაგან შემდგომში შეასრულოს ხელშეკრულება და არ ახდენს გავლენას საქართველოს უფლება-მოვალეობებსა და იურიდიულ მდგომარეობაზე, რომელიც წარმოიქმნა ხელშეკრულების შესრულების შედეგად მისი მოქმედების შეწყვეტამდე.

### საერთაშორისო ხელშეკრულების დროებით გამოყენება

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 23-ე მუხლის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ნაწილი დროებით გამოიყენება ხელშეკრულების ძალაში შესვლამდეც, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან მოლაპარაკებებში მონაწილე სახელმწიფოების სხვა ფორმით შეთანხმდნენ ამის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობით კი, საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება ხდება მხოლოდ მისი ძალაში შესვლის მომენტიდან (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი).

### საერთაშორისო ხელშეკრულების თვითშესრულებადი და არათვითშესრულებადი ნორმები

საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმა რომ უშუალოდ გამოიყენებოდეს ანუ თვითშესრულებადი იყოს, იგი უნდა იყოს: ნათლად და შინაარსობრივად უპირობოდ ფორმულირებული; მიზნად უნდა ჰქონდეს ხელშეკრულ სახელმწიფოებში იურიდიული ან ფიზიკური პირებისათვის უფლებების ან მოქმედების/უმოქმედობის მოვალეო-

ბის წარმოშობა და შესაძლებელი უნდა იყოს მისი სახელმწიფო დაწესებულებების და სასამართლოების მიერ სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარების გარეშეც გამოყენება. საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების ადრესატი თვით ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ძირითადად, მხოლოდ სახელმწიფოები არიან. ამ ნორმებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უშუალოდ უფლებები არ ენიჭებათ ან ვალდებულებები არ ეკისრებათ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უდიდესი უმრავლესობა არათვითშესრულებადი ხასიათისაა.

### საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ვადა

→ საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. უმეტეს წილად, საერთაშორისო ხელშეკრულებები იდება განსაზღვრული ვადით. ამასთან ასეთი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. როგორც წესი, მოქმედების ვადა გრძელდება ავტომატურად, თუკი მოქმედების ვადის გასვლამდე გარკვეული ვადის ფარგლებში, რომელიც თვითონ ხელშეკრულებით განისაზღვრება, ხელშეკრულების მხარე სახელმწიფო არ განაცხადებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის სურვილს (→ საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაცია).

### საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება

→ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს ხელშეკრულების ყველა



ან ცალკეულ მხარესთან მიმართებაში, თუკი ამის შესაძლებლობა არის გათვალისწინებული თვით ხელშეკრულებაში ან ამაზე არსებობს ხელშეკრულების ყველა მხარის თანხმობა. გარდა ამისა, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება შესაძლებელია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითად დარღვევის შემთხვევაში. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება იმავე საფუძვლით შესაძლებელია, როგორც წესი, მხოლოდ ხელშეკრულების დამრღვევ მხარესთან ურთიერთობებში. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილებას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების შესახებ იღებს ის ორგანო, რომელმაც გამოხატა თანხმობა ამ ხელშეკრულების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. რაც შეეხება ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების შედეგებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება, თუ ხელშეკრულებით ან მხარეებს შორის სხვაგვარი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მოქმედების შეჩერების პერიოდში ათავისუფლებს საქართველოს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებისაგან იმ მონაწილე მხარეებთან ურთიერთობაში,

რომელთა მიმართაც შეჩერებულია ხელშეკრულების მოქმედება და არ მოქმედებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საქართველოსა და სხვა მონაწილე მხარეებს შორის. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების პერიოდში საქართველო თავს იკავებს ქმედებებისაგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ხელშეკრულების მოქმედების განახლებას.

### საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია

სახელმწიფოს მიერ მისთვის → **საერთაშორისო ხელშეკრულების** სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის წინაპირობად მხარეების მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება შეიძლება თვით ამ ხელშეკრულებით იქნეს დადგენილი ან გარკვეული წინაარსის და კატეგორიის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების მოთხოვნა ხელშეკრულების ხელმომწერი მხარის შიდა კანონმდებლობით იყოს დადგენილი. რატიფიცირების კომპეტენცია, ეროვნული სამართლის შესაბამისად, შეიძლება გააჩნდეს სახელმწიფოს მეთაურს ან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. რატიფიცირების პროცედურის დასრულების შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელმოწერილი → **სარატიფიკაციო სიგელი** ეგზავნება საერთაშორისო ხელშეკრულების მეორე მხარეს ან, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შემთხვევაში, → **დეპოზიტარ** სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას.

ს

## საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების ფორმები

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას ახდენს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კონსტიტუცია ადგენს ასევე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩამონათვალს, რომლებიც რატიფიცირებას საჭიროებს. კერძოდ, ესენია: ხელშეკრულებები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საერთაშორისო შესვლას ითვალისწინებენ; სამხედრო ხასიათის ხელშეკრულებები; ხელშეკრულებები, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას; ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებული არიან სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან; ასევე ხელშეკრულებები, რომლებიც მოითხოვენ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

### საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების ფორმები

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის ვენის 1969 წლის კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს თანხმობა ხელ-

შეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე გამოიხატება მისი ხელმოწერით (→ **საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა**), მისი შემადგენელი დოკუმენტების გაცვლით, რატიფიცირებით (→ **საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია**), მიღებით, დამტკიცებით (→ **საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება**), მასთან შეერთებით (→ **საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება**) ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ.

### საერთაშორისო ხელშეკრულების უქუქცევითი ძალა

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 28-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს სხვა განზრახვა ან ასეთი განზრახვა სხვაგვარად არაა დადგენილი, ხელშეკრულების დებულებები სავალდებულო არ არის ხელშეკრულების მონაწილის ნებისმიერი მოქმედებისა და ფაქტის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მონაწილისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე, ან ნებისმიერი სიტუაციის მიმართ, რომლებმაც არსებობა შეწყვიტა ამ თარიღამდე.

### საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლა

საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 24-ე მუხლის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შედის იმ ნესით და იმ თარიღიდან, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწი-

ს

## საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა

ფოთა შორის. ხშირად მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალაში შესვლის თარიღის განმსაზღვრელი წინაპირობაა გარკვეული რაოდენობის სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების რატიფიცირება ან მასთან შეერთება და შესაბამისი დოკუმენტაციის დეპონირება (→ **სარატიფიკაციო სიგელი**). მაგალითად, თვითონ საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 84-ე მუხლი ადგენს, რომ აღნიშნული კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს იმ თარიღიდან, როდესაც დეპოზიტართან ჩაბარებული იქნება რატიფიკაციის ან შეერთების დამადასტურებელი 35 დოკუმენტი. თუ ხელშეკრულებაში ძალაში შესვლის შესახებ დებულება არ არის გათვალისწინებული და არ არსებობს ასევე ასეთი შეთანხმება მოლაპარაკებაში მონაწილე სახელმწიფოთა შორის, ხელშეკრულება ძალაში შედის, როგორც კი მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა სახელმწიფო გამოხატავს თანხმობას ამ ხელშეკრულების სავალდებულობაზე. ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც არეგულირებენ მისი ტექსტის ავთენტურობას, სახელმწიფოთა მიერ თანხმობის გამოხატვის წესს მათთვის ხელშეკრულების სავალდებულობაზე, ხელშეკრულების ძალაში შესვლის წესს ან თარიღს, დათქმებს, დეპოზიტართა ფუნქციებს და სხვა საკითხებს, რომლებიც წარმოიშვებიან ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, გამოიყენება ხელშეკრულების ტექსტის მიღების მომენტიდან. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, საერთა-

შორისო ხელშეკრულება საქართველოსათვის ძალაში შედის იმ წესითა და ვადაში, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებაში ან შეთანხმებულია მხარეებს შორის და ამ კანონის შესაბამისად. თუ საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის მოითხოვს რომელიმე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულებას, ასეთი ხელშეკრულება საქართველოსათვის ძალაში შევა მხოლოდ სათანადო პროცედურის შესრულების შემდეგ.

## საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა

→ **საერთაშორისო ხელშეკრულების დადების** სტადია, რომელიც ასევე შეიძლება წარმოადგენდეს საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის ფორმას.

## საერთო ბაზარი

→ **შიდა ბაზარი.**

## საერთო საკუთრება

ერთი ნივთი შესაძლებელია წარმოადგენდეს რამდენიმე პირის → **საკუთრებას**, თუ ამ ნივთზე მოცემული არ არის → **საზიარო უფლება**. მაშასადამე, თუ მესაკუთრებს ნივთი ერთობლივად, იდეალურ და არა რეალურ წილებად, არ ეკუთვნით. ისევე როგორც საზიარო უფლება, საერთო საკუთრებაც წარმოიშობა → **გარიგების** ან კანონის საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია თავის წილზე საკუთრება განკარგოს (საკუთრების გადაცემა) და უფლებრივად დატვირთოს. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეთა შეთანხმება ნივთის მართვისა და

სარგებლობის შესახებ მოქმედებს თანამესაკუთრის უფლებამონაცვლის მიმართ, თუ იგი რეგისტრირებულია საჯარო რეგისტრში (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წაუყენოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის შესახებ (მაგალითად, ნივთის უკანონო ხელშეშლის გამო), მაგრამ ნივთის გამოთხოვის უფლება აქვს მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ.

### სავალდებულო წილი

მამკვიდრებლის უფლება, სიკვდილის შემდეგ თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება, შეზღუდულია უახლოესი ნათესავების (შვილები, მშობლები, მეუღლე) სავალდებულო წილის მიღების უფლებით. ასე, მაგალითად, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით ყველა კანონით მემკვიდრეს ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება (სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლი), მაგრამ ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც შეადგენს იმ ქონების ნახევარს, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი; → **უღირსი მემკვიდრე**). სავალდებულო წილი არ არის კანონით მემკვიდრეობის წილი, არამედ აღნიშნული პირების პირადი მოთხოვნის უფლება. ამ მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია იმ საფუძვლების არსებობისას, რომლებიც ინვევენ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ჩამორთმევა შესაძლებ-

ბელია განხორციელდეს მამკვიდრებლის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის გზით; სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ მოქმედებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლი). სავალდებულო წილის მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო ქონებიდან და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მონვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო; ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან (სამოქალაქო კოდექსის 1373-ე, 1374-ე მუხლები). სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ეს უფლება გადადის მემკვიდრეობით (სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლი). სავალდებულო წილის მიღება ან მის მიღებაზე უარის თქმა უნდა მოხდეს ამ წილის უფლების მიმღები მემკვიდრის მიერ ორი თვის ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 1380-ე, 1450-ე მუხლები). უარის თქმის შემთხვევაში, მემკვიდრის სავალდებულო წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე. ამ მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო ვადა. სავალდებულო წილის მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ მემკვიდრე. იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრე საანდერძო დანაკისრის მიმღებიც არის, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუ იგი უარს იტყვის საანდერძო დანაკისრზე; საანდერძო დანაკისრზე უარის არ თქმის შემთხვევაში, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მცირდება საანდერძო დანაკისრის ღირებულების ოდენობით (სამო-

## საზედამხედველოდ გადაცემა

ქალაქო კოდექსის 1376-ე მუხლი). სავალდებულო წილის მიღებაში ჩაითვლება ის ქონებაც, რაც მემკვიდრემ მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიიღო იმაზე მითითებით, რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილში. ასევე, იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრემ ანდერძით მიიღო იმ ქონების ნახევარზე ნაკლები, რასაც იგი მიიღებდა კანონით მემკვიდრეობისას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული მისი წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე, რასაც იგი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა (სამოქალაქო კოდექსის 1379-ე მუხლი).

## საზედამხედველოდ გადაცემა

არის → **ალმზრდელიობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების** ერთ-ერთი სახე. იგი ნიშნავს მშობლისათვის ან მისი შემცველი პირისათვის ანდა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოსათვის მოვალეობის დაკისრებას, რომ მან ალმზრდელიობითი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიოს მის ყოფაქცევას (სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლი).

## საზიარო უფლება

თუ უფლება (მაგალითად, → **საკუთრება**, → **გირავნობა**) რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ, როგორც წესი, მოცემულია საზიარო უფლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 953-975-ე მუხლები, თუ კანონი განსაკუთრებულ დებულებებს (მაგალითად, თანასაკუთრება,) ან სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის სხვა ფორმას (მაგალითად, → **ამხანაგობა**, → **სოლიდარული ვალდებულება**),

არ შეიცავს. საზიარო უფლება შეიძლება წარმოიშვას → **გარიგების**, კანონის (მაგალითად, → **მოდრავი ნივთების შერწყმა**), ასევე, → **ანდერძის** საფუძველზე. თითოეულ მონილეს ეკუთვნის თანაბარი წილი მთავარ საგანზე და ამ წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი, ასევე, მათ თანაზომიერად ეკისრებათ საზიარო საგნის მოვლის ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 954-ე, 955-ე და 960-ე მუხლები). საზიარო საგნის მონაწილენი ერთობლივად მართავენ მას, თუმცა თითოეულს უფლება აქვს საზიარო საგნის შენახვის ღონისძიებები განახორციელოს სხვა მონილეთა თანხმობის გარეშეც. მონილეთა შეთანხმებით, შესაძლებელია საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის სხვა წესის განსაზღვრაც და ასეთი წესი გამოიყენება უფლებამონაცვლის მიმართაც (სამოქალაქო კოდექსის 956-ე, 957-ე, 958-ე მუხლები). თითოეულ მონილეს შეუძლია თავისუფლად განკარგოს (მაგალითად, გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს) თავისი წილი, მაგრამ საზიარო საგნის განკარგვა მათ მხოლოდ ერთად შეუძლიათ. თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო პატივსადები მიზეზის არსებობისას იმ შემთხვევაშიც, როცა შეთანხმებით სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით გამორიცხულია საზიარო უფლების გაუქმება (სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი).

## საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. საზოგადოები-

სათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, ხოლო თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება – სასამართლო (გამონაკლისია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით; სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი). იგი ძირითადი სასჯელის სახით იმ შემთხვევაში დაინიშნება, თუ ამ სასჯელის შესახებ პირდაპირაა მიითებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციაში. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის (სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-5 ნაწილი). საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება იყოს მოხუცის ან ინვალიდის მოვლა, ასევე ზოგიერთი სხვა სამუშაო, რომელიც ძირითადად არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. იგი ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან სისხლის სამართლის კოდექსის

73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს (სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არასრულწლოვან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება ორმოციდან სამას ოც საათამდე ვადით, რომელსაც ის მოიხდის სწავლისაგან ან ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ეს სასჯელი გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც ძალუძს არასრულწლოვანს. ამ სასჯელის ვადა თხუთმეტი წლამდე არასრულწლოვნისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ოთხ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტი წლამდე არასრულწლოვნისათვის – დღეში ექვს საათს (სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნული სასჯელი არ შეიძლება დაენიშნოთ შემდეგი კატეგორიის პირებს: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდი წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს (სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი). თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე

## საზოგადოებრივი ექსპერტი

ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდოდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხუთი საათი თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე (სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

## საზოგადოებრივი ექსპერტი

საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 21-ე მუხლის** თანახმად, საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე → **ადმინისტრაციული ორგანოს** მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საქსპერტო დანესებულების წევრი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საქსპერტო დანესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საქსპერტო დასკვნისათვის. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საქსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს → **ადმინის-**

**ტრაციულ-სამართლებრივი აქტის** გამოცემა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს → **საიდუმლო ინფორმაცია**, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაშია საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც. საზოგადოებრივ ექსპერტს აუნაზღაურდება ყველა ის აუცილებელი დანახარჯი, რომელიც მან გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ასეთი დანახარჯის განევის აუცილებლობის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს. საზოგადოებრივ ექსპერტს მოვალეობის შესრულებისაგან ვადამდე ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დანიშვნის შესახებ, თუ იგი: ა) უხეშად არღვევს დაკისრებულ მოვალეობას; ბ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკა-



ვებლად; გ) პირადი განცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიცემაზე.

**საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი**

საერთაშორისო სასამართლო, რომელიც საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის საფუძველზე შეიქმნა. მისი ადგილსამყოფელია ჰამბურგი (გერმანია). სასამართლო შედგება 21 მოსამართლისგან, რომლებიც კონვენციის მხარე სახელმწიფოების მიერ 9 წლის ვადით აირჩევა. ხელმეორედ არჩევა შესაძლებელია. საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი განიხილავს დავებს საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის დებულებების ინტერპრეტაციისა და მოქმედების შესახებ. მისთვის მიმართვა შეუძლია არამარტო კონვენციის მხარე სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, არამედ ასევე, გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც.

**საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას საზღვაო სამართლის შესახებ ხელი მოეწერა მონტეგო ბეიში (მექსიკა) 1982 წლის 10 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1994 წლის 16 ნოემბერს. იგი შემუშავებულ იქნა საერთაშორისო საზღვაო სამართლის მე-3 კონფერენციის ფარგლებში, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1973 წელს და დაამთავრა 1982 წელს. საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციამ კოდიფიცირება გაუკეთა იმ დროისთვის მოქმედი 1958 წლის ჟენევის კონვენციების (→ **საერთაშორისო საზღვაო სამართალი**) ნორმებს და განავითარა ისი-

ნი. აღნიშნული კონვენციის ფარგლებში, განსხვავებით ადრინდელი მცდელობებისგან, მოხერხდა → **ტერიტორიული ზღვის** სიგანის განსაზღვრა. კონვენციით შემოღებულ იქნა → **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის** ცნება, დარეგულირდა ღია ზღვის ფსკერის რეჟიმი, საზღვაო-სამეცნიერო კვლევის განხორციელების საკითხები, ასევე → **არქიპელაგური წყლების** რეჟიმი. საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის დებულებების საფუძველზე შეიქნა ისეთი საერთაშორისო სტრუქტურები, როგორცაა → **საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი** და → **ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო**.

**საზღვრების დელიმიტაცია**

მოსაზღვრე სახელმწიფოების შორის შეთანხმების საფუძველზე დადგენა იმისა, თუ სად გადის მათ შორის საზღვარი.

**საზღვრების ურღვევობა**

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. იგი გათვალისწინებულია ეუთოს 1975 წლის 1 ავგისტოს დასკვნითი აქტით. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოები აღიარებენ ერთმანეთის საზღვრების ურღვევობას და მათ თავი უნდა შეიკავონ საზღვრების ნებისმიერი ფორმით ხელყოფისგან, ასევე ყოველგვარი მოთხოვნისა და მოქმედებისგან, რომელიც მიმართული იქნება მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაპყრობისა და უზურპაციისკენ.

**საზღვრის დემარკაცია**

სასაზღვრო ნიშნების საშუალებით სახელმწიფო საზღვრის ხა-



## საზღვრის რედემარკაცია

ზის დადგენა ადგილზე. საზღვრების დემარკაცია ხორციელდება → **საზღვრების დელიმიტაციის** პროცესში მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე.

## საზღვრის რედემარკაცია

სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო ნიშნების აღდგენა.

## საიდუმლო ინფორმაცია

არის → **საჯარო დანესებულებაში** დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან → **მოსამსახურის** მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს → **სახელმწიფო**, → **კომერციულ** ან → **პირად საიდუმლოებას**.

## საკანონმდებლო პროცესი

გულისხმობს ფორმალური კანონის მისაღებად აუცილებელ და კონსტიტუციის ან კანონის დონეზე განერილ პროცესს. დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოებში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შედეგად საკანონმდებლო პროცესის მთავარი მონაწილე და წარმართველი - კანონმდებელი არის სახალხო წარმომადგენლობა, ანუ, პარლამენტი. თუმცა, საკანონმდებლო პროცესში სხვა მონაწილეებიც არიან ჩართულნი. ეს არის კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას და მის პარლამენტში წარდგენას, პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, პრეზიდენტის შენიშვნების უფლებას, მიღე-

ბულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის განსაზღვრავს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტებს. ესენია: თავად პარლამენტის წევრი (წევრები), საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი, მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და სულ მცირე 30000 ამომრჩეველი. 2013 წელს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებადღე საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. 2013 წლის შემდეგ მისი საკანონმდებლო ინიციატივა გაუქმებულია. ამასთან, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტს შეუძლია დაუკვეთოს კანონპროექტი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია-სა და დანესებულებას (მათ შორის, უცხო ქვეყნის დანესებულებას), ცალკეულ სპეციალისტებსა და სპეციალისტთა ჯგუფს (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს). საკანონმდებლო პროცესი იწყება საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებით და პარლამენტში წარდგენით. ამის შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც მიღებიდან 7 დღის ვადაში, პარლამენტის ბიუროს შესაბამისი გადანყვეტილების პროექტით გადასცემს ბიუროს უახლოეს სხდომას; ბიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადანყვეტილებას კანონპროექტის განხილვის

პროცედურის დანყების შესახებ, ამასთან, კანონპროექტს გადასცემს წამყვან კომიტეტს (ან სხვა კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, ან საქართველოს მთავრობას - კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში). წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს მიღებიდან 3 კვირის ვადაში განიხილავს კომიტეტის სხდომაზე; განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებით კანონით გათვალისწინებულ ვადაში გადაეცემა პარლამენტის ბიუროს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გაზიარებული შენიშვნების ასახვისა და შემდგომი პროცედურებისათვის (კომიტეტის სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით კენჭისყრა) მოსამზადებლად. წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს პირველი მოსმენით განიხილავს კომიტეტის სხდომაზე, რის შემდეგაც იგი შესაბამისი დასკვნებითა და ალტერნატიული წინადადებებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს მეორე მოსმენით კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით კენჭისყრისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად. იგი მეორე მოსმენისას გაზიარებულ შენიშვნებს ასახავს კანონპროექტში და გა-

დასცემს მას პარლამენტის ბიუროს მესამე მოსმენით განხილვისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად. მესამე მოსმენით განხილვის დასრულების შემდეგ კანონპროექტის საბოლოო რედაქტირებული ვერსია დგება კენჭისყრაზე საბოლოო რედაქციით მისაღებად. კანონპროექტი მესამე მოსმენით მიღებიდან 7 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსანერად და კანონის გამოსაქვეყნებლად. იგი გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში, თუ იმავე კანონით არ მოხდება სხვა ვადის განსაზღვრა.

**საკანონმდებლო ხელისუფლება**

არის ხელისუფლების ერთ-ერთი შტო აღმასრულებელ და → **სასამართლო ხელისუფლებასთან** ერთად. → **დემოკრატიულ** სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ან თვითონ ხალხი (მაგალითად, შვეიცარიის ზოგიერთ რეგიონში), ან სახალხო წარმომადგენლობა, კერძოდ, → **პარლამენტი**. საკანონმდებლო ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა ფორმალური გაგებით → **კანონების** გამოცემა. თუმცა, მისი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. საპარლამენტო დემოკრატიაში → **პარლამენტი** უშუალო გავლენას ახდენს → **მთავრობის** ფორმირებაზე, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდულია საპრეზიდენტო დემოკრატიაში, თუმცა, ზოგადად → **აღმასრულებელი ხელისუფლების** საქმიანობის კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, → **პარლამენტი** სხვა კუთხითაც არის აღჭურვილი აღმასრულებელი



## საკონსტიტუციო სასამართლო

ფუნქციებით, როგორცაა, მაგალითად, ბიუჯეტის დამტკიცება, რაც → **მთავრობასთან** ერთად პარლამენტის კლასიკურ კომპეტენციასაც წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია ასევე პეტციციების განხილვის და არჩევნების შედეგების გადამოწმების ფუნქციები. ამგვარი გადაკვეთა → **აღმასრულებელი ხელისუფლების** საქმიანობაშიც გვხვდება, რაც → **დემოკრატიის** სტანდარტებით არ წარმოადგენს → **ხელისუფლების დაყოფის პრინციპის** დარღვევას, თუ ძირითადი საკანონმდებლო კომპეტენცია რჩება საკანონმდებლო ხელისუფლების ხელში. აღნიშნული დაცული და უზრუნველყოფილია ასევე იმით, რომ → **აღმასრულებელი ხელისუფლების** მიერ არაფორმალური (მატერიალური გაგებით) → **კანონის** გამოცემის უფლებამოსილება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გათვალისწინებული და დაშვებული უნდა იყოს თვითონ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

## საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან (წევრისაგან). სასამართლოს 3 წევრს ნიშნავს საქართველოს → **პრეზიდენტი**, 3 წევრს ირჩევს → **პარლამენტი**, 3 წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს (კონ-

სტიტუციის 88-ე და მომდევნო მუხლები). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის სარჩელით (ან წარდგინებით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტს (1/5), საერთო სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, → **ადგილობრივი თვითმმართველობის** წარმომადგენლობით ორგანოს, → **იუსტიციის უმაღლეს საბჭოს**, სახალხო დამცველსა და მოქალაქეს. საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის საგანია კანონის ან განსახილველად წარდგენილი ნორმატიული აქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო სასამართლო წარდგინების საფუძველზე ასევე ამოწმებს საერთაშორისო აქტების შესაბამისობას საქართველოს → **კონსტიტუციასთან**. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სასამართლო იხილავს დავებს სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყევტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას შესაბამისი გადანყევტილების გამოქვეყნებისთანავე.

## საკონსულო დაცვა

→ **დიპლომატიური დაცვისგან** განსხვავებით, საკუთარი მოქალაქეების საკონსულო დაცვის განხორციელების ფარგლებში სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებები მოქმედებენ არა სახელმწიფოს, არამედ შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით. ამასთან საკონსულო დაცვა ხორციელდება ადგილსამყოფე-

ლი სახელმწიფოს სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

### საკონსულო დანესებულება

წარმომადგენლობა, რომელიც ახორციელებს საკონსულო ფუნქციებს. საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963 წლის ვენის კონვენციის მიხედვით, საკონსულო წარმომადგენლობის შემდეგი სახეები არსებობს: ა) გენერალური საკონსულო; ბ) საკონსულო; გ) ვიცე-საკონსულო; დ) საკონსულო სააგენტო. მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკონსულო წარმომადგენლობის გახსნა შეიძლება მხოლოდ ამ სახელმწიფოს თანხმობით. მის კონკრეტულ ადგილსამყოფელს და ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია საკონსულო ფუნქციების განხორციელება (→ **საკონსულო ოლქი**), განსაზღვრავს გამგზავნი სახელმწიფო მიმღებ სახელმწიფოსთან შეთანხმებით. საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963 წლის ვენის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, საკონსულო დანესებულებების ფუნქციებში შედის: მიმღებ სახელმწიფოში წარმგზავნი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების, ასევე იურიდიული პირების ინტერესების დაცვა; წარმგზავნ სახელმწიფოსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების, სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობების ხელშეწყობა; კანონიერი გზებით მიმღები სახელმწიფოს სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მისი წარმგზავნი სახელმწიფოსთვის მიწოდება; წარმგზავნი სახელმწი-

ფოს მოქალაქეებზე პასპორტების და სამგზავრო დოკუმენტების, ხოლო სხვა პირებზე წარმგზავნი სახელმწიფოს ვიზების გაცემა; წარმგზავნი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენა; ნოტარიუსის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი ფუნქციის შესრულება; წარმგზავნი სახელმწიფოს მოქალაქეების წარმომადგენლობა ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლოებში; წარმგზავნი სახელმწიფოს აღმის ქვეშ მცურავი და ან წარმგზავნ სახელმწიფოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდებისა და მათი ეკიპაჟების მიმართ ზედამხედველობისა და ინსპექტირების ფუნქციების განხორციელება და სხვ. საქართველოს საკონსულო დანესებულებათა ამოცანებს, ორგანიზაციებსა და ფუნქციებს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად არეგულირებს საქართველოს კანონი საქართველოს საკონსულო დანესებულებათა შესახებ.

### საკონსულო კორპუსი

უცხო ქვეყნების საკონსულო თანამდებობის პირთა ერთობლიობა, რომლებიც მიმღები სახელმწიფოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე (→ **საკონსულო ოლქი**) ასრულებენ საკონსულო ფუნქციებს. საკონსულო კორპუსს მეთაურობს დუაიენი. დუაიენის უფლებამოსილებას ასრულებს იმ ქვეყნის საკონსულო დანესებულების მეთაური, რომელმაც სხვა ქვეყნების საკონსულო დანესებულებების მეთაურებთან შედარებით უფრო ადრე მიიღო საკონსულო → **ეგზეკვატურა**. საკონსულო კორპუსის ფუნქციები, ძირი-

ს

## საკონსულო კურიერი

თადად, ცერემონიულ ხასიათს ატარებს.

### საკონსულო კურიერი

საკონსულო კურიერის სამართლებრივი სტატუსი თითქმის სრულად შეესაბამება → **დიპლომატიური კურიერის** სამართლებრივ სტატუსს. იგი ასევე არის ხელშეუხებელი და არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება. ამასთან, საკონსულო ურთიერთობათა შესახებ ვენის 1963 წლის კონვენციის 35-ე მუხლის მიხედვით, მიმღები სახელმწიფოს თანხმობის გარეშე საკონსულო კურიერი არ შეიძლება იყოს მიმღები სახელმწიფოს მოქალაქე ან ამ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირი წარმგზავნი სახელმწიფოს მოქალაქეა.

### საკონსულო ოლქი

რაიონი, რომელიც → **საკონსულო დანესებულებას** გამოეყოფა საკონსულო ფუნქციების შესასრულებლად. საკონსულო ოლქის ფარგლებს განსაზღვრავს წარმგზავნი სახელმწიფო და იგი მონონებულუნდა იქნეს მიმღები სახელმწიფოს მიერ. საკონსულო დანესებულების თანამდებობის პირს, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, მიმღები სახელმწიფოს თანხმობით, შეუძლია თავისი ფუნქციები შეასრულოს საკონსულო ოლქის ფარგლებს გარეთ.

### საკონსულო პატენტი

წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ საკონსულო დანესებულების მეთაურზე გაცემული დოკუმენტი, რომელშიც დადასტურებულია მისი დანიშვნა და მითითებულია მისი სახელი და გვარი, საკონსულო დანესებულების მეთაურის კლასის კუთვნილება, → **სა-**

**კონსულო ოლქი** და → **საკონსულო დანესებულების** ადგილმდებარეობა. აღნიშნული დოკუმენტი წარმგზავნი სახელმწიფოს მიერ გადაეცემა მიმღებ სახელმწიფოს. საკონსულო პატენტის საფუძველზე მიმღები სახელმწიფო გასცემს → **ეგზეკვატურას**. საქართველოს საკონსულო დანესებულებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, კონსულის თანამდებობაზე დანიშნისას საკონსულო პატენტს გასცემს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

### საკონსულო პრივილეგიები და იმუნიტეტები

საკონსულო თანამდებობის პირი სარგებლობს პირადი ხელშეუხებლობის უფლებით. კერძოდ, დაუშვებელია მისი დაკავება ან წინასწარ პატიმრობაში აყვანა. თუმცა გამოწვევის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მას ბრალი ედება მძიმე დანაშაულის ჩადენაში. საკონსულო თანამდებობის პირები და საკონსულოს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი არ ექვემდებარებიან მიმღები სახელმწიფოს სამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების იურისდიქციას საკონსულო ფუნქციების შესრულების მიზნით განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებაში. გამოწვევის წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც გამოდინარეობს საკონსულოს თანამდებობის პირის ან ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალის მიერ კერძო პირის სტატუსით დადებული ხელშეკრულებიდან; ასევე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც უკავშირდება მიმღებ სახელმწიფო-

ში საგზაო-სატრანსპორტო საშუალებების, გემის ან თვითმფრინავით გამოწვეულ უბედურ შემთხვევებს. ისევე როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობის შემთხვევაში, საკონსულო დაწესებულების კარმიდამო ხელშეუხებელია. მიმღებმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკონსულო დაწესებულების სათანადო დაცვა. საკონსულო დაწესებულების მეთაურის თანხმობის გარეშე მიმღები სახელმწიფოს წარმომადგენლებს ამ შენობებში შესვლის უფლება არ აქვთ. თუმცა ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების დროს გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით კარმიდამოში შესვლის ასეთი ნებართვის არსებობა შეიძლება ივარაუდებოდეს. საკონსულო დაწესებულების არქივები და დოკუმენტები ხელშეუხებელია (ასევე → **საკონსულო ფოსტა**). გარდა იმუნიტეტებისა, საკონსულო დაწესებულება და საკონსულო თანამდებობის პირები სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით. კერძოდ, ისინი გათავისუფლებულნი არიან ადგილობრივი გადასახადებისგან, ბაჟისგან და ა.შ.

**საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963 წლის ვენის კონვენცია**  
→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1963 წლის 24 აპრილს და ძალაში შევიდა 1967 წლის 19 მარტს. ისევე როგორც → **დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენციამ**, საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963 წლის ვენის კონვენციამ მოახდინა იმ დროისათვის არსებული → **საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების კოდიფიცირება** და მათი ნაწილობრივი განვი-

თარება. აქტუალური მდგმარეობით კონვენცია რატიფიცირებული აქვს 173 სახელმწიფოს. კონვენცია არეგულირებს სახელმწიფოებს შორის საკონსულო ურთიერთობების საკითხებს, მათ შორის საკონსულო წარმომადგენლობის და საკონსულოს თანამდებობის პირთა სამართლებრივ სტატუსს.

### საკონსულო ფოსტა

→ **დიპლომატიური ფოსტის** შესატყვისი ტერმინი, რომელიც გამოიყენება საკონსულო ურთიერთობებში. ჩანთას, რომლითაც საკონსულო ფოსტის გადატანა ხდება, საკონსულო ვალიზა ეწოდება. საკონსულო ვალიზა ხელშეუხებელია. მას უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული განმასხვავებელი ნიშანი. ვალიზაში შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური კორესპონდენცია და დოკუმენტები და საგნები, რომელიც გათვალისწინებულია ოფიციალური გამოყენებისთვის. დიპლომატიური ფოსტისგან განსხვავებით, თუკი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს ვარაუდის საფუძველი აქვთ, რომ საკონსულო ვალიზაში ზემოაღნიშნული ოფიციალური დოკუმენტებისა და საგნების გარდა, სხვა ნივთებიც არის, მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ვალიზას შემოწმება, რომელიც წარმგზავნი სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით ხორციელდება. საკონსულო ვალიზის სტატუსი, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ასახულია ასევე საქართველოს კანონმდებლობაში. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთისას აკრძალულია სხვა

ს

## საკრებულო

სახელმწიფოს საკონსულო ვალიზას გახსნა ან დაკავება. თუმცა შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს საკონსულო ვალიზას დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლებამოსილ პირთა თანდასწრებით გახსნა. საკონსულო ვალიზას გახსნაზე უარის მიღების შემთხვევაში იგი ბრუნდება.

## საკრებულო

თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც შესაბამისი ერთეულის მოსახლეობა ირჩევს პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საკრებულოს საქმიანობის მართვა-აღმინისტრირებას უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოში იქმნება ფრაქციები და ასევე დარგობრივი კომისიები, რომელთაც ხელმძღვანელობენ თავმჯდომარეები. საკრებულოს საქმიანობას ორგანიზაციულ-ტექნიკური კუთხით უზრუნველყოფს მისი აპარატი შესაბამისი განყოფილებებით და სამდივნოთი.

## საკუთარ თავთან გარიგების დანების დაუშვებლობა

ნიშნავს, რომ პირი როგორც სხვა პირის → წარმომადგენელი თავისი სახელით საკუთარ თავთან ან როგორც მესამე პირის წარმომადგენელი დებს → გარიგებას. ასეთი სახის გარიგება მნიშვნელოვან როლს ასრულებს → საკუთრების გადაცემის დროს არაპირდაპირ წარმომადგენელზე. ასეთი სახის გარიგება მოცემულია, ასევე, მაგალითად, როდესაც მეურვე მეურვეობაში მყოფი პირის საკუთრებაში არსებულ ნივთს თავის თავს მიყიდის.

გადამწყვეტი ასპექტია, რომ ერთი და იგივე პირი მოქმედების გარიგების ორივე მხარეს და არა ინტერესთა კოლიზია ამ პირის სარგებელსა და წარმოდგენილი პირის ინტერესებს შორის. მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის სამართლებრივი მიზანი. ამ მუხლის მოქმედება არ ეხება წარმომადგენლის იმ გარიგებებს, რომელთაც წარმოდგენილი პირისათვის შეუძლიათ მხოლოდ სარგებლის მოტანა. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის დარღვევა არ იწვევს გარიგების → ბათილობას, არამედ მხოლოდ პირობით ბათილობას გამომდინარე აქედან, წარმოდგენილ პირს შეუძლია გარიგების თანხმობის მიცემა. საკუთარ თავთან გარიგების დადება დასაშვებია, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად. როგორც წესი, ასეთი გარიგება გარეგნულად ნათლად უნდა ჩანდეს, მაგალითად, წარმოდგენილი პირისათვის შეძენილი საქონლის განცალკევებულად შენახვა. თუ წარმომადგენელს საკუთარ თავთან გარიგების დადების გამო ეკრძალება წარმომადგენლობა, ასეთ შემთხვევაში, საჭიროა დაინიშნოს → მეურვე.

## საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 98-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში,



თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი. დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ: ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ; ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან. აღნიშნული მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან და-

კავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს. აღნიშნული უფლება არ გამოიყენება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ.

### საკუთვნებელი

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი → ნივთი, რომელიც არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დაწინაურებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან. ასე, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთვნებლად, დამკვიდრებული შეხედულება მიიჩნევს ხელსაწყოებს, სასუქს და ყველა იმ საგანს, რომელიც საჭიროა მიწის დასამუშავებლად. ასევე, მასთან მყარად დამაგრებულ ნივთებს, რომელთა მოცილება შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე. საწარმოს საკუთვნებლად კი მიიჩნევა საწარმოს ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი დანადგარები. საკუთვნებელი, სამართლებრივი თვალსაზრისით, არის დამოუკიდებელი ნივთი, მაგრამ განსაზღვრული დებულებების თანახმად იგი იზიარებს მთავარი ნივთის სამართლებრივ ბედს.

**საკუთრება**

1. საკუთრება არის ყოვლისმომცველი → **სანივთო უფლება** საგანზე. საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება ვრცელდება ცალკეულ ფიზიკურ, მოძრავ ან უძრავ ნივთებზე, ხოლო საკუთრების საჯარო-სამართლებრივი ცნება და მისი ძირითადი უფლებრივი გარანტია (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი: „საკუთრება... აღიარებული და უზრუნველყოფილია“) მოიცავს აგრეთვე → **მოთხოვნებსა** → **უფლებებს**, აგრეთვე, ქონებრივ, საჯარო-სამართლებრივ პოზიციებს (მაგალითად, ნებართვებს), რომელთა განსაზღვრული პირობებით შეზღუდვაც შესაძლებელია. → **საკუთრების ჩამორთმევა**.

2. საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი ცნება, როგორც წესი, წარმოადგენს შეუზღუდავ ბატონობას ნივთზე და უფლებას აძლევს მესაკუთრეს თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ნივთით (მაგალითად, → **საკუთრების გადაცემა**, ნივთის უფლებრივად დატვირთვა) და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ნივთით სარგებლობა (→ **საკუთრების ხელშეშლა**, → **მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვის უფლება**). მაგრამ საკუთრება არ მოიცავს უსაზღვრო ბატონობას ნივთზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი აძლევს მესაკუთრეს ნივთით თავისუფლად სარგებლობის უფლებას სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში და იგი ვალდებულია არ შელახოს მფობლობის ან სხვა პირთა ინტერესები. ასეთ კერძო-სამართლებრივ შეზღუდვებს წარმოადგენს → **სამეზობლო სამართალი**, უკიდურესი აუცილებლობა და

შეზღუდული სანივთო უფლებები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საკუთრების დატვირთვა და მისი შინაარსის შეზღუდვა (→ **სერვიტუტი**, → **იპოთეკა**, → **გირავნობა** და ა.შ). საჯარო ინტერესებში საკუთრების უფლება ექვემდებარება განსაზღვრული ვალდებულებებით შეზღუდვას. მნიშვნელოვან საჯარო-სამართლებრივ შეზღუდვებს შეიცავს სამშენებლო სამართლის ნორმები, სასოფლო-სამეურნეო მიწის მარეგულირებელი და წყლის დაცვის სამართლებრივი ნორმები. საკუთრების შინაარსის შემზღუდველი ნორმები ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ სათანადო ანაზღაურებას, მაგრამ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

3. ერთპიროვნული საკუთრების გარდა, საკუთრების სახეებია: → **საერთო საკუთრება**, → **პირობადებული საკუთრება**. საჯარო საკუთრებაც, ე.ი. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ნივთებიც, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო-სამართლებრივი საკუთრების ობიექტად, თუმცა მათი ბრუნვაუნარიანობა შეზღუდულია საჯარო მიზნების განხორციელების ფარგლებით.

**საკუთრების არაკეთილსინდისიერი შეძენა**  
→ **საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა**.

ს

**საკუთრების გადაცემა**

→ საკუთრების შეძენა; → საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა;  
→ საკუთრების მოპოვება.

**საკუთრების კეთილსინდისიერი შემძენი**

→ საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა.

**საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა**

1. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენა იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც → **გარიგების** საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენისაგან განსხვავებით, უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ შემძენმა უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი უზუსტო იყო (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი). ამ ფაქტის ცოდნის გადამწყვეტ მომენტად ითვლება განცხადების წარდგენის დრო. უმნიშვნელოა ის გარემოება, გაცნო თუ არა შემძენი საჯარო რეესტრის ჩანაწერს. აღნიშნული მოხლის გამოყენების წინაპირობა არის უფლებების საფუძველზე ისეთი უფლების შეძენა, რომელიც საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. გარიგების საფუძველზე უფლების მოპოვება არ არის მოცემული და შესაბამისად, არ გამოიყენება → **საკუთ-**

**რების კეთილსინდისიერი შეძენის** ნორმები, როცა საკუთრების შეძენა ხორციელდება კანონის ძალით (→ **მემკვიდრეობა**) ან სახელმწიფო ორგანოს გადანყვეტილებით (მაგალითად, აუქციონი). საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენის ნორმები არ გამოიყენება, ასევე, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე (მაგალითად, რეესტრში რეგისტრირებული ვითომ-მესაკუთრე გაასხვისებს ან უფლებრივად დატვირთავს მიწის ნაკვეთს) და არაუფლებამოსილი პირისათვის განხორციელებულ შესრულებაზე (მაგალითად, → **იპოთეკის** გაუქმება).

2. მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემით, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, შემძენის კეთილსინდისიერება ვრცელდება გამსხვისებლის საკუთრების უფლებაზე. იგი არ ვრცელდება, მაგალითად, გამსხვისებლის → **ქმედუნარიანობაზე** ან განკარგვის უფლებამოსილებაზე. საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენის ნორმები გამოიყენება საკუთრების გადაცემის სხვა შემთხვევებზეც. მაგალითად, შემძენისათვის ნივთის არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საჭიროა, რომ შემძენმა მოიპოვოს პირდაპირი მფლობელობა ნივთზე, ვინაიდან, → **მესაკუთრე უფლებას არ აქვს პრეზუმფცია** ნივთზე პირდაპირ მფლობელობას მოითხოვს. შემძენი კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება და მასზე არ გადადის საკუთრება, თუ მესაკუთრემ ნივთები დაკარგა, მო-

## საკუთრების მინდობა

პარეს ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. ეს წესი არ ვრცელდება ფულსა და ფასიან ქალაქებზე (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან „სხვაგვარად გასვლის“ ქვეშ მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, მესაკუთრის პირდაპირი მფლობელობიდან გასვლა, აგრეთვე, სხვა პირის სასარგებლოდ ნივთის ფაქტობრივი მფლობელის მიერ მფლობელობის დაკარგვა, მაგრამ არა არაპირდაპირი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გასვლა, რადგან მან, როგორც წესი, პირდაპირ მფლობელს ნებაყოფლობით გადასცა მფლობელობა ნივთზე. საკუთრების კეთილსინდისიერად შექმნა არ განსხვავდება საკუთრების დადგენილი წესით შექმნისაგან და იგი შემქმნს სამართლებრივად სრულყოფილ მესაკუთრედ ხდის. საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნაც შესაძლებელია მხოლოდ გარიგების საფუძველზე განხორციელდეს. საკუთრების გადასვლით, მაშასადამე, საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნის შემთხვევაშიც, შემქმნი იძენს დაუტვირთავ საკუთრებას.

## საკუთრების მინდობა

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების თანახმად, მინდობილი იღებს და მართავს მინდობილ ქონებას საკუთრების მიმდობი პირის ინტერესების გათვალისწინებით. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით და პასუხისმგებელია მათ წინაშე, მაგრამ მას ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ იგი ქონებას მესაკუთრის ინტერესების საწინააღ-

მდეგოდ მართავს (სამოქალაქო კოდექსის 724-ე და 725-ე მუხლები). საკუთრების მინდობის ხელშეკრულება საჭიროებს წერილობით ფორმას. ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულები-საგან უნდა გაემიჯნოთ მინდობილი მესაკუთრის → **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**, თავისი სახელით მართოს მინდობილი ქონება. მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს გასამრჯელო, ხოლო ყველა ხარჯი ეკისრება და ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმდობს (სამოქალაქო კოდექსის 726-ე მუხლი).

## საკუთრების მიტოვება

თუ მესაკუთრე → **საკუთრებაზე** უარის თქმის მიზნით მიატოვებს მოძრავ ნივთზე → **მფლობელობას**, მაშინ ასეთი ნივთი ჩაითვლება უპატრონოდ (სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საკუთრების მიტოვება, მითვისები-საგან განსხვავებით, არის გარიგება და შესაბამისად, მისი განხორციელების წინაპირობაა, რომ ნივთის წინა მესაკუთრე არის ქმედუნარიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, დაშვებულია, ასევე, უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვება, თუ უფლებამოსილი პირი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრს და მოხდება ამ განცხადების რეგისტრაცია.

## საკუთრების მოპოვება

როგორც წესი, საკუთრების მოპოვება ხორციელდება → **საკუთრების შექმნით**, ასევე, → **საკუთრების არაკეთილსინდისიერი შექმნის** გზით. საკუთრების მოპოვების საწყის, ორიგინალურ სა-

ხეებს განეკუთვნება საკუთრების შექმნა უპატრონო მოძრავ ნივთზე (→ **მითვისება**), მოძრავ ნივთებზე → **საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით** და საკუთრების შექმნა მასალის გადამუშავების შედეგად შექმნილ ახალ მოძრავ ნივთზე (→ **მასალის გადამუშავება**). საკუთრების მოპოვება ხდება, ასევე მემკვიდრეობითა და → **სუროგაციის** გზით. დაბოლოს, საკუთრების შექმნის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს აუქციონი.

### საკუთრების უფლება → საკუთრება.

#### საკუთრების შექმნა

1. საკუთრების შექმნა უძრავ ნივთებზე: გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთებზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი). საჯარო რეესტრში რეგისტრაციისაგან უნდა განვასხვავოთ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება. რეესტრში რეგისტრაცია შეუძლიათ მხარეებს წარმომადგენლების მეშვეობითაც (→ **წარმომადგენლობა**).

2. საკუთრების შექმნა მოძრავ ნივთებზე: მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი, (სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი, კაუზალობის პრინციპი). მართალია, ნივთის მფლობელობაში გადაცემა უნდა განვასხვავოთ ნამდვილი უფლები-საგან (ვალდებულებით-სამართლებრივი ნაწილისაგან, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება),

მაგრამ ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ორივე კომპონენტი ერთდროულად არის მოცემული. შემძენისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა მოცემულია იმ შემთხვევაშიც, თუ შემძენს შეუძლია მესაკუთრის გარეშეც განახორციელოს ნივთზე მფლობელობა (ე. წ. *longa manu tradicio*). თუ შემძენი საკუთრების შექმნის მომენტში უკვე ფლობს ნივთს, მაშინ საკუთრების შესაძენად საკმარისია მხოლოდ ნამდვილი უფლების არსებობა (ე. წ. *brevi manu tradicio*). ნივთის გადაცემის ეს ფორმა აზრობრივად დევს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილში. თუ წინა მესაკუთრეს არ სურს ნივთზე მფლობელობის დაკარგვა, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ მან ნივთის შემძენს კონკრეტული ხელშეკრულების (მაგალითად, ქირავნობის ან თხოვების ხელშეკრულების) საფუძველზე გადასცეს ნივთზე არაპირდაპირი მფლობელობა და თვითონ დარჩეს ნივთის პირდაპირ მფლობელად. მფლობელობის გადაცემის მნიშვნელოვან შემთხვევას წარმოადგენს მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება (ე.წ. ვინდიკაციური ცესია). სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით განსაზღვრული „ნამდვილი უფლება“ ნიშნავს → **გარიგებას** და მისი განხორციელება შესაძლებელია წარმომადგენლის მეშვეობითაც. ნივთზე მფლობელობის გადაცემა კი არის რეალაქტი და, ამ შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელება დაუშვებელია. წარმოდგენილი პირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს მფლობელობას, თუ წარმომადგენელი ამავე დროს არის წარ-

## საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით

მოდგენილი პირის სასარგებლოდ ნივთის ფაქტობრივი მფლობელი. სხვა შემთხვევაში, საჭიროა წარმოდგენილმა პირმა → **მფლობელობა** გადასცეს წარმომადგენელს იმისათვის, რომ დასრულებულ იქნას ნივთის გადაცემა. → **საკუთრების მოპოვება**.

## საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით

1. სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას. ამ მუხლის საფუძველზე საკუთრების შეძენის წინაპირობა არის, რომ შემძენი ნივთს კეთილსინდისიერად ფლობდა ან მისთვის არც მოგვიანებით ყოფილა ცნობილი, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა. პირის მიერ ნივთის ფლობის უწყვეტობა ივარაუდება დროის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს. გამომდინარე აქედან, საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით ვერ მოხდება, თუ პირმა დაკარგა მფლობელობა მოძრავ ნივთზე.

2. სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას, თუ რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს. მოძრავი ნივთის მფლობელობისაგან განსხვავებით, სამართლებრივად უმნიშვნელოა

უძრავ ნივთზე კეთილსინდისიერ ფლობის უფლება. უძრავი ნივთის შეძენა ხანდაზმულობით არ დაიშვება, თუ მფლობელობა შეწყდა მესაკუთრის მიერ მფლობელისადმი პრეტენზიის წაყენების გამო (სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლი). → **მფლობელობა**; → **საკუთრების მოპოვება**.

## საკუთრების ჩამორთმევა

→ **ექსპროპრიაცია**.

## საკუთრების ხელშეშლა

თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, (მაგალითად, სახლში შეღწევა, მესაკუთრის ნებართვის გარეშე ნივთის გამოყენება), ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის (ნივთის ამოღების ან ჩამორთმევის შემთხვევაში → **მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხოვის უფლება**) გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილი; *actio negatoria*). თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით, უძრავი ნივთების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გარეშეც, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. მესაკუთრის ეს უფლება გამოორიცხულია, თუ მას აქვს ხელშეშლის თემნის ვალდებულება განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, მაგალითად, უზუფრუქტის, ან კანონის ძალით, როგორცაა სამეზობლო ნაკვეთიდან გაზის, სუნის,

ორთქლის ზემოქმედება და ა.შ. (სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი). საკუთრების ხელშეშლაში მოიაზრება მხოლოდ ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

### სამართალი

ობიექტური გაგებით სამართალი, ანუ მართლწესრიგი, არის სამართლებრივი რეგულაციების, წესების ერთიანობა, რომლებიც აწესრიგებს ადამიანთა ჯგუფების, უწყებების, ასევე იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობებს. ნორმებს, რეგულაციებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს შესაბამის საზოგადოებაში, პოზიტიურ სამართალს უწოდებენ. ეს (ყველასათვის სავალდებულო) წესები და რეგულაციები შესაძლოა დადგენილი იყოს ნორმატიულ დონეზე (კანონი ფორმალური ან მატერიალური გაგებით), ან დამკვიდრებული და აპრობირებული იყოს ჩვეულებებით (ჩვეულებითი სამართალი). სამართლის წყაროა ასევე სამართლებრივი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის სამართლებრივ წყობილებას. აქედან გამომდინარე, არსებობს დანერგილი და დაუნერგლი სამართალი. სამართალი დაყოფილია კერძო და საჯარო სფეროებად. ა) საჯარო სამართალი აწესრიგებს ფიზიკური ან კერძო პირების ურთიერთობას სახელმწიფოსთან და მის წარმომადგენლებთან ან სახელმწიფოს წარმომადგენლების ურთიერთობას ერთმანეთთან. საჯარო სამართალს განეკუთვნება: ა) სახელმწიფო, კონსტიტუციური, საერთაშორისო, ადმინისტრაციული, სისხლის, სააღსრულებო, საგადასახადო, სოციალური და (სისხლის, სამოქალაქო) საპროცესო სამართალი; ბ) კერძო სამარ-

თალი აწესრიგებს კერძო პირთა ურთიერთობებს ერთმანეთთან. კერძო სამართალს განეკუთვნება სამოქალაქო, შრომის, სამენარმეო (საკორპორაციო), სავაჭრო, საბანკო და ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. საჯარო და კერძო სამართლის ძირითადი განმასხვავებელია ურთიერთობის ბუნება. თუ საჯარო სამართალში პირი დაქვემდებარებულია სახელმწიფოს, ანუ სახეზეა სუბორდინაცია, კერძო სამართალს საფუძვლად უდევს თანასწორობის პრინციპი. თუ ნორმატიულად დადგენილი რეგულაცია ექვემდებარება ურთიერთობის მონაწილეთა მიერ შეცვლას, მაშინ საუბრობენ დისპოზიტიურ სამართალზე (უფლებაზე) - *ius dispositivum* (მაგალითად, სახელშეკრულებო სამართალი); ხოლო თუ მისი შეცვლა შეუძლებელია მაშინ იგი იმპერატიული ბუნებისაა - *ius cogens* (მაგალითად, საპროცესო სამართალი). სამართალი ხშირად მიუთითებს მორალსა და ზნეობაზე. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი (54-ე მუხლი) ბათილად აცხადებს უზნეო და ამორალურ გარიგებებს და ა.შ. თუმცა, სამართალი და მორალი (ზნეობა) ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. თუ მორალი ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე და მოწოდებაზე აკეთებს აქცენტს, სამართალი ადგენს გარეგანი ქცევის წესებსა და განსაზღვრებებს. ამასთან, მორალური ქცევა სავალდებულო ხდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი განსაზღვრულია სამართლებრივი რეგულაციებით.

### სამართლებრივი პოზიტივიზმი

სამართლებრივი პოზიტივიზმის მიხედვით, სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო

ს

ქცევის წესების ერთობლიობა. პოზიტიური თეორია ერთმანეთისაგან განასხვავებს სამართალს როგორც „ის არის“ და სამართალს როგორც „ის უნდა იყოს“. პოზიტიური ცნება მკაცრად გამიჯნავს მორალსა და სამართალს. მორალურობა არ განსაზღვრავს არც სამართლის მოქმედებას და არც მის სავალდებულოობას. პოზიტივიზმის კლასიკური წარმომადგენელი იყო ჰანს კელზენი (1881-1973). სამართლებრივი პოზიტივიზმის საპირისპიროს წარმოადგენს → **ბუნებითი სამართლის** მოძღვრება, რომელიც სამართლის წყაროდ იმ სამართლებრივ დებულებებს მიიჩნევს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან და გონებრივად შეცნობადია. ასეთი დებულებების ქმედითობა დამოკიდებული არ არის იმაზე, განხორციელებულია იგი თუ არა სამართლებრივი აქტის საფუძველზე. სამართლებრივი პოზიტივიზმის შეხედულება ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი იმ მიზეზით, რომ იგი არ ითვალისწინებს მოსამართლის მიერ სამართალშემოქმედებით პროცესს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში (რომელსაც, ტრადიციულად, მიეკუთვნება საქართველო) მოსამართლეს ეკრძალება „სამართალშემოქმედებითი“ საქმიანობა. მოსამართლე არის სამართლის შემფარდებელი და არა სამართალშემოქმედი. სამოსამართლო სამართალი საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია როგორც სამართლის წყარო. მოსამართლე ექვემდებარება მხოლოდ კანონს. სამოსამართლო სამართალი არის არა სამართლის

წყარო, არამედ სამართლის შემქმნების წყარო.

### სამართლებრივი სახელმწიფო

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არის ფუძემდებლური და არსებითი → **კონსტიტუციური** პრინციპი. აღნიშნული პრინციპი მოიაზრებს არა მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო ქმნის მართლწესრიგს და შესაბამის გარანტიებს (სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური გაგება), არამედ ასევე მოიცავს ისტორიულად სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებული პრინციპებისა და ინსტიტუტების არსებობისა და ფუნქციონირების გარანტიას სახელმწიფოს მხრიდან (სამართლებრივი სახელმწიფოს მატერიალური გაგება ანუ - „სამართლიანი სახელმწიფო“). აღნიშნული, პირველ ყოვლისა, გულისხმობს → **ხელისუფლების დანაწილების პრინციპს**, → **ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას**, → **კონსტიტუციის** უზენაესობას კანონმდებლის საქმიანობისათვის, კანონის უზენაესობას აღმასრულებელი და → **სასამართლო ხელისუფლების** საქმიანობის ფარგლებში. → **აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის** ისევე სავალდებულოა ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპი, როგორც სასამართლო ხელისუფლებისათვის - კანონი და სამართალი. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპია სამართლის მიერ ხელისუფლების შემოჭვა. ეს პრინციპი ისტორიულად უკავშირდება ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის ლიბერალურ იდეას. სახელმწიფოს ნება უნდა გამომდინარეობდეს ინდივიდების თავისუფალი ნებისაგან. ადამიანის უფლებე-



ბი ემსახურება ინდივიდუალური თავისუფლების სახელმწიფოსაგან დაცვის იდეას. თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოს თანამედროვე დოქტრინა მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლება დაცული უნდა იყოს როგორც სახელმწიფოსაგან, ასევე სახელმწიფოს მეშვეობით. თანამედროვე სამართლებრივი და კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეა აღმოცენდა ხელისუფლების შებოჭვის იდეასთან მჭიდრო კავშირში. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის თავისუფლების ისტორია არის სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვისა და კონტროლის ისტორია. სამართლის მიერ ხელისუფლების შებოჭვა მოითხოვს ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას. აუცილებელია ისეთი ინსტანცია, რომელიც გააკონტროლებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას. ასეთი ინსტანცია შეიძლება იყოს მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო. კანონისა და სამართლის მიერ სახელმწიფოს შებოჭვის პრინციპმა ერთმანეთს უნდა შეუთავსოს ნესრიგისა და თავისუფლების იდეა. მან არ უნდა დაუშვას საზოგადოების ტოტალური გასახელმწიფოებრიობა და, ამავე დროს, უზრუნველყოს სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლი. სამართლებრივი სახელმწიფო ესწრაფვის ერთგვარ კომპრომისს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას შორის. ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს იმისათვის, რომ შეძლოს ნესრიგისა და მშვიდობის დაცვა. ინდივიდუალური თავისუფლების იდეამ კი უნდა ჩამოაყალიბოს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის გარანტიები და გარკვეულ

საზღვრებში მოაქციოს სახელმწიფო ხელისუფლების ტოტალური „ზრდის“ ტენდენციები. უმრავლესობის მმართველობა, თუ ის შებოჭილი არ არის სამართლითა და თავისუფლების იდეით, შესაძლოა ტირანიად ჩამოყალიბდეს. ინდივიდუალურ თავისუფლებასთან მიმართებაში ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ ვინ ახორციელებს ტირანიას - ერთპიროვნული მმართველი თუ ხალხის უმრავლესობა. დემოკრატიის იდეა არ ამოიწურება მხოლოდ უმრავლესობის მმართველობით. დემოკრატია, ამავე დროს, მოითხოვს უმცირესობის უფლებების დაცვას. თავისუფლების იდეა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თანასწორობისა და სახალხო სუვერენიტეტის იდეა. ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზაცია ქვემარტივი დემოკრატიის მიზანია. სახელმწიფოს თვითნებობის აღკვეთა შესაძლებელია, თუ ხელისუფლება იქნება გამჭვირვალე, კონტროლირებადი და განხორციელება თამაშის გარკვეული წესების დაცვით. ხელისუფლებაზე კონტროლის ქმედითი ფორმაა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად). სამართლებრივი სახელმწიფოს შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპია სახელმწიფოს ქმედებების განჭვრეტადობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მოქმედება უნდა იყოს გარკვეულწილად გათვალადი და პროგნოზირებადი. სწორედ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს განსაზღვრულობის მოთხოვნები კანონების, განსაკუთრებით კი ამკრძალავი ნორმატიული აქტების მიმართ. აღნიშნულის გამოხატულებაა ასევე მა-

ს

## სამართლებრივი ქმედება

ვალეებელი (სანქციის განმსაზღვრელი) ნორმების უუქცევითი ძალის დაუშვებლობა (*nullum crimen sine lege*). სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებს განეკუთვნება → **თანაზომიერების პრინციპი**, რომელიც ერთნაირად ავალდებულებს ხელისუფლების სამივე შტოს და ასევე სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უზრუნველყოფის მოთხოვნა, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის გადაამონების კუთხით.

## სამართლებრივი ქმედება

1. სამართლებრივი ქმედება არის სამართლებრივად ნებადართული მოქმედება, რომელთანაც დაკავშირებულია სამართლებრივი შედეგების დადგომა. აღნიშნული არ მოიცავს დელიქტურ ქმედებებს (→ **დელიქტური ვალდებულებები**), ასევე ხელშეკრულების ფარგლებში → **ვალდებულების დარღვევის** ქმედებებს. თუ დადგა სამართლებრივი შედეგი, რადგან იგი მხარეების მიერ განზრახული იყო, მაშინ მოცემულია → **ნების გამოვლენა**, მაშასადამე, → **გარიგება**.

2. ვინრო გაგებით, სამართლებრივი ქმედების ქვეშ მოიაზრება მხოლოდ ის ქმედება, რომლის განხორციელებაზეც, ნების გამოვლენის მიუხედავად, დამოკიდებულია სამართლებრივი შედეგი. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ გარიგების მსგავს ქმედებასა და რეალურ ქმედებას (რეალაქტი): ა) გარიგების მსგავსი ქმედება ნების გამოვლენასთან ერთად მიმართულია ფაქტობრივი და არა სამართლებრივი შედეგის დადგომისკენ, (მაგა-

ლითად, გაფრთხილება, ვადის განსაზღვრა, შეტყობინება). გარიგების მსგავს ქმედებაზე ანალოგიის გზით შესაბამისად გამოიყენება სამართლებრივი ნორმები, რომელიც შეეხება ნების გამოვლენას (განსაკუთრებით, → **ქმედუნარიანობა**, → **წარმომადგენლობა**); მაგალითად, არ შეიძლება ქმედუნარო პირის გაფრთხილება, მაგრამ დასაშვებია შეზღუდულად ქმედუნარო პირის გაფრთხილება, რადგან ასეთი გაფრთხილება მისთვის სარგებლის მომტანია. მაგრამ დაუშვებელია შეუზღუდავად სამართლის ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება; ასე, მაგალითად, თანხმობის მიცემა დამოკიდებულია არა ქმედუნარიანობაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად აქვს პირს უნარი გააცნობიეროს საკუთარი ქმედება; ბ) ზემოთქმულის საწინააღმდეგოდ, რეალური ქმედება არის ისეთი ქმედება, რომელიც გარეგნულ შედეგში გამოიხატება და მას კანონი სამართლებრივ შედეგს უკავშირებს, მაგალითად, → **მასალის გადამუშვება**, → **მფლობელობა** და ა.შ. როგორც წესი, ასეთ რეალურ ქმედებაზე არ გამოიყენება სამართლის ნორმები ნების გამოვლენის თაობაზე. მაგალითად, მასალის გადამუშვების ან განძის პოვნის სამართლებრივი შედეგის დადგომა არ საჭიროებს ქმედუნარიანობას; მფლობელობა არ შეიძლება მოპოვებულ იქნეს → **წარმომადგენლის** მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის საჭიროა როგორც ნების გამოვლენა, ისე რეალური ქმედების განხორციელება (მაგალითად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების

(ნების გამოვლენა) საფუძველზე გადასცეს (რეალური ქმედება) შემძენს ნივთი), მაშინ თითოეული ნაწილი უნდა შეფასდეს ამ ნაწილისათვის მოქმედი წესების მიხედვით.

### სამართლიანი პროცესი

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირეულ მოთხოვნას სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამართლიანი პროცესის უფლება ბრალდებულს ენიჭება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილით. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. სამართლიანი პროცესის პრინციპი სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტიდან, ანუ პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციური მოთხოვნიდან. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპიდან გამომდინარეობს ის, რომ დაუშვებელია ადამიანის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობის უბრალო ობიექტამდე დეგრადირება. ადამიანის ღირსება შეილახება, თუკი პიროვნება რაიმე მიზნის მისაღწევი საშუალება გახდება. ღირსების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს განსაკუთრებით სისხლის-სამართლებრივი დევნის განხორციელებისას ეკისრება. ამიტომ, სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულს პროცესის აქტიური სუბიექტის სტატუსი უნდა გააჩნდეს, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროცესის მიმდინარეობასა და მის შედეგზე აქტიური ზემოქმედების სამართლებრივი შესაძლებლობების ქონას გულის-

ხმობს. პროცესის სამართლიანობა გულისხმობს მამასადამე, ბრალდებულისთვის შანსის მიცემას, ეფექტურად დაიცვას თავი მატერიალურად და პერსონალურად მასზე გაცილებით უკეთესად აღჭურვილი პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებებისგან. ცნება „სამართლიანი პროცესი“ ძალზედ ზოგადია და შედგება ცალკეული ელემენტებისაგან. ამ ელემენტებს მიეკუთვნებიან ბრალდებულის ცალკეული უფლებები, რომლებიც მას პროცესის აქტიურ სუბიექტად აქცევენ, მაგალითად, ბრალდებულის უფლება გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-13 ნაწილი, 83-ე მუხლი), ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 41-ე მუხლი), დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი), მონაწილეობა მიიღოს გამოძიებასა და სასამართლოში, დააყენოს შუამდგომლობები, განაცხადოს აცილება, დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება, გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი), გაასაჩივროს სასამართლოს განაჩენი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-15 ნაწილი) და ა.შ.

ს

### სამართლის ზოგადი პრინციპები

გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის პირველი აზავის მიხედვით, აღნიშნული სასამართლო, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გარდა, გადაწყვეტილებას იღებს ასევე „ცივილიზებულ ხალხთა“ მიერ აღიარებულ სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ის პრინციპები, რომელიც ასე თუ ისე საერთოა ყველა ქვეყნის ეროვნული სამართლისთვის და რომლებიც გამოსადეგია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. „ცივილიზებული ხალხის“ ტერმინი თავდაპირველად პრიმიტიული სამართლებრივი სისტემების იგნორირებას ემსახურება მიზნად, თუმცა მან დღეისათვის ეს ფუნქცია დაკარგა. სამართლის ზოგადი პრინციპების მაგალითად შეიძლება დასახელდეს: კანონის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების მოვალეობა; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; ხანდაზმულობის პრინციპი და ა.შ.

### სამართლის ისტორიული სკოლა

ენოდება სამართლის ფილოსოფიაში შეხედულებას სამართლის წარმოშობის შესახებ. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ სამართალი არ არის ბუნებრივი მოცემულობა (→ **ბუნებითი სამართალი**), არამედ იგი ხალხის სულიერი შეხედულებებისა და სამართლებრივი აზროვნებიდან ვითარდება ისტორიულ ეპოქასთან ერთად. სამართლის ისტორიული სკოლის ფუძემდებლად ითვლება გუსტავ ჰუგო (1764-1844). სამართლის ის-

ტორიული სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო კარლ ფონ სავინი (1779-1861). სამართალი, ისტორიული სკოლის მიხედვით, არის ხანგრძლივი ეროვნულ-ისტორიული და კულტურული განვითარების შედეგი. სამართალი სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილია. როგორც ამ კულტურას, სამართალსაც ახასიათებს ისტორიული უწყვეტობა. სამართალი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე, რამდენადაც იგი ისტორიის პროდუქტია. სამართალი, კულტურის მსგავსად, თანმიმდევრულად ვითარდება. სამართალს აყალიბებს „სახალხო სული“. სამართალი იქმნება არა კანონმდებლის სუბიექტური ნების საფუძველზე, არამედ ისეთი „წყნარად მოქმედი“ ფაქტორების გავლენით, როგორცაა ჩვეულება, ხალხის რწმენა, კოლექტიური ნება და, ასევე კოლექტიური ცნობიერება. „სახალხო სულიდან“ ერთად, სავინი სამართლის შემქნელ ძალად განიხილავდა იურისპრუდენციას, მაშასადამე, სამართლის მეცნიერებას. სწორედ სამართლის მეცნიერებამ და არა კანონმდებელმა, უნდა განსაზღვროს, თუ რა არის სამართალი. მეცნიერებამ თავის თავზე უნდა აიღოს კანონმდებლის ფუნქცია. შემთხვევითი არაა, რომ სავინი ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის იდეას. სამართლის ისტორიული სკოლის შეხედულებები იერიანგის მიერ განვრცობილ იქნა სამართლის სოციოლოგიური სკოლის შეხედულებებში.

### სამართლის სუბიექტი

სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი შეიძლე-

ბა იყოს როგორც ორგანიზაცია, ორგანო ან მისი სტრუქტურა, ასევე, ორგანიზაციის წევრები, → **იურიდიული** ან ფიზიკური პირი. სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების წრე ნორმატიულადაა დადგენილი. სამართლის ნორმა განსაზღვრავს იმ სუბიექტებს, რომელთა შორის შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი ურთიერთობა. სამართლის სუბიექტი თვითონ ვერ განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძვლებს. ამავე დროს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მასში მონაწილე სუბიექტების ქცევაზე. სამართლის სუბიექტი ორმაგი ბუნების მქონე ცნებაა. ერთი მხრივ, სამართლის სუბიექტი წარმოგვიდგება, როგორც მართლწესრიგის ნაწილი, მეორე მხრივ, სამართლის სუბიექტი გვევლინება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც სათანადო უფლებამოსილებით ან ვალდებულებითაა აღჭურვილი. → **უფლებაუნარიანობა** და → **ქმედუნარიანობა** სამართლის სუბიექტის აუცილებელი ნიშანია. ამავე დროს, უფლებაუნარიანობაც დაკავშირებულია სამართლის სუბიექტურობასთან. უფლებაუნარიანობასა და სამართლის სუბიექტურობას შორის არსებული ორმხრივი კავშირი ნათლად ჩანს იურიდიული პირის, როგორც ძირითადი უფლებების სუბიექტის მაგალითზე. არის თუ არა იურიდიული პირი ძირითადი უფლებების სუბიექტი, დამოკიდებულია კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაზე. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შე-

ხედულების თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობა კი არ წარმოშობს უფლებაუნარიანობას, არამედ სწორედ უფლებაუნარიანობა წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის პირობას. თუმცა, იურიდიული პირის როგორც ძირითადი უფლების სუბიექტის შემთხვევაში, პირველადია არა ძირითადი უფლებების სამართლის სუბიექტურობა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობა. იურიდიული პირი შეიძლება არ იყოს ძირითადი უფლებების სუბიექტი, მაგრამ მონაწილეობდეს მთელ რიგ სამართლებრივ ურთიერთობებში. და პირიქით, არაიურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანება შეიძლება იყოს ძირითადი უფლების სუბიექტი, მაგრამ არ იყოს სამართლის სუბიექტი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

### სამართლის შეფარდება

სამართლის შეფარდება ხორციელდება სილოგიზმის ლოგიკური ოპერაციის მსგავსად. განასხვავებენ ზოგად და იურიდიულ სილოგიზმს. ზოგადი სილოგიზმი გულისხმობს, რომ დასკვნა ეფუძნება ორ წინამძღვარს. ზოგადი სილოგიზმი მოიცავს სამ ელემენტს: პირველი წინამძღვარი: „თუ... მაშინ“; მეორე წინამძღვარი: „ეს არის“; და დასკვნა: „მაშინ... არის“. სამართლის ნორმა უნდა გამოვიყენოთ განსაზღვრული ფაქტობრივი შემადგენლობის მიმართ. პირველი წინამძღვარი, ამ შემთხვევაში, არის ნორმა. ნორმით დადგენილია, რომ ვინც იქურდებს, ის დაისჯება. მეორე წინამძღვარია ფაქტობრივი შემადგენლობა: X-მა ქურდობა ჩაიდინა. ზემოაღნიშნული ორი წა-

## სამეზობლო სამართალი

ნამძღვრიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ უნდა დადგეს იურიდიული შედეგი - X დაისჯება. იურიდიული სილოგიზმის თანახმად, სამართლის შეფარდება მოიცავს შემდეგ სტადიებს: ა) ფაქტის დადგენა; ბ) სამართლის სათანადო ნორმის მოძიება და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამება ფაქტი ნორმაში მოცემულ ქცევის წესს; გ) იურიდიული შედეგის განსაზღვრა. ფაქტი უნდა განვასხვაოთ ფაქტობრივი შემადგენლობისაგან. ფაქტი არის რეალური სინამდვილის მოვლენა. ფაქტობრივი შემადგენლობა კი არის სინამდვილის მოვლენის ნორმატიული აღწერა, რომელსაც უკავშირდება იურიდიული შედეგის დადგომა.

## სამეზობლო სამართალი

სამეზობლო სამართალი არეგულირებს მინის ნაკვეთისა და უძრავი ქონების მესაკუთრეთა ვალდებულებებს და მათი → **საკუთრების შეზღუდვებს**. აღნიშნული შეეხება მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრის უფლებას ნაყოფზე, მეზობელი ნაკვეთის გამოყენებას აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად, სასაზღვრო ნაგებობათა სარგებლობის უფლებას და სხვა.

1. მნიშვნელოვან ნორმას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მინის ნაკვეთის ან უძრავი ქონების მესაკუთრის თმენის ვალდებულებას მეზობელი ნაკვეთიდან გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედების შესახებ. მეზობელ ნაკვეთზე არსებით ზემოქმედებად ჩაითვლება ასევე, ისეთი სარგებლობა, რომელიც გამოწვეულია ნაკვეთით ან სხ-

ვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს (სამოქალაქო კოდექსის 175-ნ მუხლი). სხვა ემისიების ზეგავლენა მეზობელ ნაკვეთზე წარმოადგენს → **საკუთრების ხელშეშლას**.

2. თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად (სამოქალაქო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნული ნორმა არ შეეხება ხეზე ან ბუჩქზე არსებულ ნაყოფს, რომლის აღების უფლებაც აქვს მესაკუთრეს. გარდა ამისა, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს აქვს ხის ან ბუჩქის ფესვების და ტოტების მოჭრის უფლება, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა.

3. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კომპენსაციის გადახდით (სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი).

4. თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმა-

ნეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ ამ ნაგებობით ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მეორე მეზობელს თანასარგებლობაში. ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება (სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლი).

**სამეურვეო ტერიტორიები**  
→ გაეროს მეურვეობის სისტემა.

**სამენარმეო სამართალი**  
→ სამენარმეო საქმიანობა; → იურიდიული პირი.

**სამენარმეო საქმიანობა**  
მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამენარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირის სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები, შეიძლება დაფუძნდეს სამენარმეო → **იურიდიული პირის** ფორმით. ასეთი ტიპის სანარმოების რეგისტრაცია მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სავალდებულოა, თუ წარმოებაში დასაქმებულია მფლობელის ოჯახის ხუთი ან მეტი მანძი.

**სამენარმეო საქმიანობაზე კონტროლი**

არის საქართველოს კანონმდებლობით მონესრიგებული სახელმწიფო, → **ადგილობრივი თვითმმართველობის**, ასევე სხვა → **ადმინისტრაციულ ორგანოთა** საქმიანობა, რომლის მიზანია მენარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მენარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადება. სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისათვის კონტროლს არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის გაცემა ან ავტორიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, სავაჭრო ქსელში სერტიფიკატის მოთხოვნა და შესაბამისი აქტის შედგენა, გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემოწმების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა, აგრეთვე ნავთობისა და გაზის რესურსებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებითა და ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობა; მენარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებ

ს

## სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია

ბენ საგადასახადო ორგანოები, აგრეთვე საქართველოს კონტროლის პალატა (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ურთიერთობებისა).

### სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია → საერთაშორისო ორგანიზაცია.

### სამისდღეში ორგანიზაცია

სამისდღეში ორგანიზაციის ხელშეკრულება წარმოშობს გრძელვადიან → ვალდებულებით ურთიერთობას, რომლის განმავლობაშიც ერთიანი სამართლებრივი ურთიერთობიდან პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები გამომდინარეობს. როგორც ნესი, სამისდღეში სარჩოს გადახდა მარჩენალის მიერ სარჩენისათვის ხდება მთელი სიცოცხლის მანძილზე ფულადი ან ნატურალური სახით, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია სხვა დათქმის გაკეთებაც (სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლი). ხელშეკრულების დადება საჭიროებს ნერილობით ფორმას, ხოლო უძრავი ნივთის გადაცემის შემთხვევაში საჭიროა მისი სანოტარო წესით დამონება (სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლი). მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ვალდებულებები გადადის იმ მემკვიდრეებზე, რომელთაც სამისდღეში ორგანიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს გადაცემული ქონება (სამოქალაქო კოდექსის 950-ე მუხლი).

### სამიტი

სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა.

### სამკვიდრო მონუმბა

მემკვიდრეებზე მოწვეულ პირებზე სანოტარო ორგანოს მიერ, სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის შემდეგ, გაიცემა სამკვიდრო მონუმბა. ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მონუმბა გაიცემა, თუ სანოტარო ორგანოს მოეპოვება ცნობა, რომ სხვა მემკვიდრეები არ არიან (სამოქალაქო კოდექსის 1500-ე მუხლი).

### სამკვიდროს გაყოფა

→ სამკვიდრო ქონება; → მემკვიდრე.

### სამკვიდროს გახსნა

სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი), ხოლო მემკვიდრეობა წარმომადგენლობითი უფლებით ნიშნავს მემკვიდრის მემკვიდრეობის უფლების გადასვლას მის ნათესაებზე (სამოქალაქო კოდექსის 1314-ე მუხლი). ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირების ერთ დღეს გარდაცვალების შემთხვევაში სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის შემდეგ დამოუკიდებლად (სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლი).

### სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე

1. სამკვიდროს მიღება არის ნების გამოვლენა, რომელიც არ საჭიროებს მეორე მხარის მიერ მის მიღებას და, შესაბამისად, მისი ნამდვილობა დამოკიდებულია მიმღებების → ქმედუნარიანობაზე. ქმედუნარიანობა და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით. სამკვიდროს მიღების ვადა შეად-



გენს ექვს თვეს სამკვიდროს გახსნის დღიდან (სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი). სამკვიდრო მიღებულად ითვლება მემკვიდრის მიერ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით ან როდესაც პირი ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას როგორც მემკვიდრე. გარდა ამისა, სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გასვლისთანავე (სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი).

2. მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მან შეიტყო ან უნდა შეეცყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად (სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი). სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმაც არის ნების გამოვლენა და მისი ნამდვილობა საჭიროებს სანოტარო ორგანოში უარის თქმის ნოტარიულად გაფორმებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას რაიმე დათქმით ან პირობით და, ამ შემთხვევაში, ითვლება, რომ მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროზე. გამონაკლის წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიღებაზე უარის თქმა. უარი ამ შემთხვევაში არ ჩაითვლება, რომ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროზე (სამოქალაქო კოდექსის 1436-ე მუხლი). მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ, გარდა უღირს მემკვიდრეებად ცნობილი პირებისა. თუ მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მისი წილი ნაწილდება სხვა მემკვიდრეებზე მათი წილების პროპორციულად

(სამოქალაქო კოდექსის 1439-ე, 1440-ე მუხლები). დაუმეცხელია სახელმწიფოს უარი სამკვიდროს მიღებაზე. მემკვიდრის უარი სამკვიდროს მიღებაზე არის შეუქცევადი, მაშასადამე, გამორიცხულია მისი → **შეცილება** (სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლი). სამკვიდროზე უარის თქმის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ამასთან, თუ მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია); სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი (სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი).

### სამკვიდროს მმართველი

სამკვიდროს მმართველი არის სანოტარო ორგანოს მიერ დანიშნული პირი ადგილზე არმყოფი მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესების დასაცავად. მმართველი არ დაინიშნება, როცა თუნდაც ერთ-ერთმა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო, ან თუ დანიშნულია → **ანდერძის აღმსრულებელი** (სამოქალაქო კოდექსის 1498-ე მუხლი).

### სამკვიდრო ქონება

სამკვიდრო ქონებას შეადგენს ყველა ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადადის მემკვიდრეებზე (→ **მემკვიდრე**). სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება შეიცავს როგორც ქონებ-



რივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც ჰქონდა მამკვიდრებელ გარდაცვალების მომენტისათვის. მემკვიდრეობით შეიძლება გადაცემულ იქნას და შესაბამისად, სამკვიდროს შემადგენელი ნაწილია, უპირველეს ყოვლისა, ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, მაგალითად, → **საკუთრება**, → **სანივთო უფლება**, → **მოთხოვნა**, ასევე, → **მფლობელობა**. სამკვიდრო ქონებას არ განეკუთვნება პირადი ხასიათის უფლებები, რომელიც შეიძლება მხოლოდ მამკვიდრებელს ეკუთვნოდეს, ასევე, ისეთი ქონებრივი უფლებები, რომელიც კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ მხარეების სიცოცხლეში მოქმედებს და მათი გარდაცვალებით წყდება (სამოქალაქო კოდექსის 1330-ე მუხლი). სამკვიდრო ქონებას არ განეკუთვნება და, შესაბამისად, მემკვიდრეებს შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები, ოჯახური მემატინაე, საკულტო საგნები და სხვა და ისინი მემკვიდრეს გადაეცემა დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად. თუ მემკვიდრე რამდენიმეა, გაყოფამდე სამკვიდრო ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. მამკვიდრებლის მოვლის, უკანასკნელი ავადმყოფობის, მკურნალობის, დაკრძალვის და ა.შ. ხარჯების მოთხოვნები ანაზღაურდება სამკვიდრო ქონებიდან, უპირატესად იპოთეკითა და გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნებისა (სამოქალაქო კოდექსის 1334-ე მუხლი).

### სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს სამოქალაქო

ქო ავიაციის საქმიანობას. ორგანიზაცია დაარსდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენციის (ე.წ. ჩიკაგოს კონვენცია) საფუძველზე. 1947 წლიდან იგი წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციას (→ **გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები**). ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს მონრეალში (კანადა). დღეისათვის მისი წევრია 190 სახელმწიფო. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ მიმართულებებს წარმოადგენს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის პრინციპებისა და მეთოდების შემუშავება, ტექნიკური სტანდარტების სრულყოფა, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ორგანიზაციისა და კოორდინაციის სხვა საკითხები. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან და იკრიბება მინიმუმ სამ წელიწადში ერთხელ. ასამბლეა ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს, განიხილავს საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებებს ჩიკაგოს შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საბჭო ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოა. იგი შედგება 36 სახელმწიფოს წარმომადგენლისგან. საბჭოს წევრების არჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის სახელმწიფოები, რომლებიც საჰაერო ნაოსნობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და ასევე გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპი. საბჭო ნიშნავს გენერალურ მდივანს, რომელიც ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელობს. საქართველო სამოქალაქო ავიაციის საერთა-

ს

შორის ორგანიზაციის წევრია 1993 წლიდან.

### სამოქალაქო სამართალი

1. არის → **კერძო სამართლის** ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. იგი არის ყოველდღიური ცხოვრების სამართალი, რომელიც არეგულირებს ადამიანის სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს მის გარე სამყაროსთან. სამართლის იმ დარგებისაგან განსხვავებით, რომლებიც აწესრიგებენ ცხოვრების ცალკეულ სფეროებს (სავაჭრო სამართალი, კორპორაციული სამართალი, შრომის სამართალი), სამოქალაქო სამართალი შეიცავს ზოგადად ინდივიდის სამართლებრივი ურთიერთობის საყოველთაო წესებს.

2. სამოქალაქო სამართლის ძირითადი სფეროები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 6 წიგნად: 1) სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი (მაგალითად, ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, ნების გამოვლენა წარმომადგენლობა, ხანდაზმულობა და ა.შ.); 2) → **საწივითო (ქონებრივი) სამართალი** (საკუთრების მოძრავ და უძრავ ნივთებზე გადაცემა, ასევე, საწივითო უფლებებით საკუთრების დატვირთვა); 3) → **ვალდებულებითი სამართალი** (პირთა სამართლებრივი ურთიერთობები); 4) ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვა); 5) → **საოჯახო სამართალი** (პირის საოჯახო ურთიერთობები) განსაკუთრებით, → **ქორწინება**, → **მეუღლეთა უფლება-მოვალეობები**, მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავების ურთიერთობები, → **შვილება**, → **ალიმენტის გადახ-**

**დვინების წესი** და ა.შ.); 6) → **მემკვიდრეობის სამართალი** (გარდაცვლილი პირის ქონებრივ ურთიერთობები). ამას გარდა, სამოქალაქო სამართალი მოიცავს სხვა კანონებით რეგულირებულ სფეროებს, მაგალითად, → **მენარმეთა სამართალს**, → **საერთაშორისო კერძო სამართალს**.

### სამოხელეო დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, სამოხელეო დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებები: → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება** (სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი), → **სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება** (სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი), **ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება** (სისხლის სამართლის კოდექსის 334-ე მუხლი), **განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება** (სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი), **სამენარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე მუხლი), → **ქრთამის აღება** (სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლი), → **ქრთამის მიცემა** (სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლი), → **ზეგავლენით ვაჭრობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 339<sup>1</sup>-ე მუხლი), → **კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება** (სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლი), **სამსახურებრივი სიყალბე** (სისხლის სამართლის კოდექსის 341-ე მუხლი), → **სამსახურებრივი გულგრილობა** (სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლი), **პატიმრობის ან თავისუფლე-**

ს

## სამსახურებრივი გულგრილობა

ბის აღკვეთის დანესებულებაში სამსახურის დადგენილი წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 342<sup>1</sup>-ე მუხლი).

### სამსახურებრივი გულგრილობა

სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს დასჯად ქმედებას, რომელიც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (მოხელის და მასთან გათანაბრებული პირის ცნების შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**) თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. სამსახურებრივი გულგრილობა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ხოლო თუ მან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება და იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. სამსახურებრივი გულგრილობის დასადგენად განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მოხელის უფლება-მოვალეობათა სამართლებრივ რეგლამენტაციას. როგორც წესი, მოხელის ვალდებულება განისაზღვრება ნორმატიული აქტებით, შრომითი ხელშეკრულებით. თუ მოხელეს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, ეს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს

(მაგალითად, სახელმწიფო დანესებულების ხელმძღვანელს არ გადმოერიცხა თანამშრომლებზე გაცემი ხელფასის თანხა). საკითხის გადაწყვეტა, იყო თუ არა სახეზე უფლებების და ინტერესების „არსებითი დარღვევა“ უნდა ხდებოდეს ყველა კონკრეტული საქმის გარემოებათა შესწავლის საფუძველზე. სამსახურებრივი გულგრილობა მხოლოდ გაუფრთხილებლობაში გამოიხატება. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს, როგორც → **თვითიმედოვნებით**, ისე → **დაუდევრობით**.

### სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საჯარო ინტერესის სანინალმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. საჯარო სამსახურის შესახებ 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დანესებულების სამტა-

ტო (მტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. მოხელესთან გათანაბრებული შეიძლება იყოს პირი, თუ იგი სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ერთჯერად ან მოკლევადიან უფლებამოსილებას. მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ თანამშრომელს, ასევე ნებისმიერ მივლინებულ ან არამივლინებულ პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირს ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს. აღნიშნული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას, არბიტრაჟის წევრები, კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს

კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სავალდებულოა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შედეგად არსებითი ზიანი მოყვეს. არსებითი დარღვევის ცნება შეფასებითია, რომელიც დგინდება კონკრეტული საქმის ყველა გარემოებათა გათვალისწინებით. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ იგი ჩადენილია არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**), ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. დანაშაული აღნიშნულ შემთხვევებში ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება**

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლ-



## სამუშაო ენა

ბის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. მოხელის უფლებამოსილებათა დადგენა ხორციელდება შესაბამისი დებულებების, წესდებების, ბრძანებების ან სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. მოხელის ცნების, არსებითი დარღვევისა და პასუხისმგებლობის დამაძიმებელი გარემოებების შესახებ, → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**.

## სამუშაო ენა

საერთაშორისო ორგანიზაციებში სამუშაო ენის სტატუსი → **ოფიციალური ენის** სტატუსისგან განსხვავებით აქვს ენას, რომელზედაც მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა ამ ორგანიზაციის სტრუქტურებში. მაგ., → **ევროპულ კავშირში**, სადაც 23 ოფიციალური ენაა, სამუშაო ენად გამოიყენება, როგორც წესი, მხოლოდ ინგლისური და ფრანგული.

## სამშვიდობო ხელშეკრულება

მეომარ სახელმწიფოებს შორის დადებული → **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც → **დაზავებისგან** განსხვავებით, საბოლოოდ ასრულებს საომარ მოქ-

მედებებს. მას ასევე დაზავებისგან განასხვავებს ის, რომ იგი შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ მხარეებს შორის, რომლებიც ერთმანეთს სახელმწიფოდ ცნობენ (→ **სახელმწიფოსა და მთავრობის ცნობა**).

## სამხედრო დანაშაული

წარმოადგენს → **საერთაშორისო დანაშაულს**. სამხედრო დანაშაული განმარტებულია → **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს** წესდების მე-8 მუხლში. კერძოდ, სამხედრო დანაშაულს წარმოადგენს: → **ჟენევის კონვენციების** მძიმე დარღვევები, მათ შორის, განზრახ მკვლელობა, წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, საკუთრების განადგურება და მითვისება, რაც არის გამართლებული სამხედრო აუცილებლობით, უკანონო დეპორტაცია, მძევლების აყვანა და სხვ.; იმ კანონებისა და ჩვეულებების მძიმე დარღვევები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გამოიყენება საერთაშორისო შეირაღებული კონფლიქტების დროს, მათ შორის, განზრახ თავდასხმა სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ნებისმიერი საშუალებით იმ დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმა ან მათი დაბომბვა, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს, გაუპატიურება, დანებებული მებრძოლის დაჭრა ან მოკვლა და ა.შ.

## სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

სისხლის სამართლის პროცეს-

ში წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიებას, რომლის დროსაც ბრალდებული, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს განჩინებით გადაეცემა სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში. სარდლობის მეთვალყურეობა გულისხმობს შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევის და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად. ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში ბრალდებული არ შეიძლება დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განწესში. მას ჩამოერთმევა მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება, იგი არ შეიძლება გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ ან განთავისუფლდეს ნაწილიდან, იგი იმყოფება სამხედრო მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლი).

### სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად, რომელიც ენიშნება სამხედრო მოსამსახურეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ჩადენისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ სამხედრო მოსამსახურეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვა-

ლისწინებული გამასწორებელი სამუშაოს ნაცვლად. იგი შეიძლება დაინიშნოს სამი თვიდან ორ წლამდე ვადით. სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის დაწესებისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არა უმეტეს ოცი პროცენტისა. ამ სასჯელის მოხდის დროს არ შეიძლება მსჯავრდებულის დაწინაურება თანამდებობაზე, მისთვის სამხედრო წოდების მომატება. სასჯელის ვადა მას არ ჩაეთვლება ნამსახურობის ვადაში მორიგი სამხედრო წოდების მისანიჭებლად (სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი).

### სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება

სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე და 357-ე მუხლების თანახმად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. სამხედრო სამსახურში მოიაზრება, როგორც წვევამდელის სავალდებულო სამხედრო სამსახური, ისე სამხედრო სარეზერვო სამსახური (სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით იხ. სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ 1997 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი) სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლის თანახმად, წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, ისევეა ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. წვევამდელის მიერ ალტერნატიული შრომითი სამსახურისათვის თავის არიდება კი (აღნიშნულის თაობაზე იხ. არა-სამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ 1997



## სამხედრო ტყვე

წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონი), ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. ხოლო აღნიშნული ქმედება ჩადენილი ომიანობის ან საგანგებო მდგომარეობის დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 357-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს პირს, სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის, რაც ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. აღნიშნული ქმედებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მას უკვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197<sup>3</sup>-ე მუხლის შესაბამისად, სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის თავის არიდების გამო ადმინისტრაციული სახდელი ჰქონდა შეფარდებული.

## სამხედრო ტყვე

სამხედრო ტყვის სამართლებრივი სტატუსი დადგენილია ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციით, ყენევის 1949 წლის კონვენციით სამხედრო ტყვისადმი მოპყრობის შესახებ და 1977 წლის პირველი და მეორე დამატებითი ოქმებით. სამხედრო ტყვის სტატუსი გააჩნია შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ტყვედ ჩავარდნილ → **კომბატანტს**. → **არაკომბატანტი** მართალია სამხედრო ტყვის სტატუსით არ სარგებლობს, თუმცა მისი სამართლებრივი მდგო-

მარეობა სამხედრო ტყვის სამართლებრივ მდგომარეობასთან განაზღვრებულია. სამხედრო ტყვის სტატუსი არ გააჩნია ჯაშუშებს და დაქირავებულ მეომრებს (→ **დაქირავებული მეომარი**). სამხედრო ტყვის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის სახელმწიფოს, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში - მეომარი მხარის სარდლობას. აკრძალულია სამხედრო ტყვეების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. გარდა ამისა, კონვენციებით მოცემულია დებულებები სამხედრო ტყვეების განთავსების, კვების, ჩაცმულობის, მათი დისციპლინარული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

## სანივთო უფლება

→ **სანივთო (ქონებრივი) სამართალი**; → **უფლება**.

## სანივთო (ქონებრივი) სამართალი

1. სანივთო (ქონებრივი) სამართალი არის სამართლის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს პირის ურთიერთობას ნივთთან. → **ვალდებულებითი სამართლისაგან** განსხვავებით, რომელიც შეეხება პირის მოთხოვნას ნივთზე, სანივთო სამართალი აწესრიგებს პირის პირდაპირ ურთიერთობას ნივთზე. მაგალითად, ნასყიდობა, როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, წარმოშობს მხოლოდ გამყიდველის მოვალეობას გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე და არ შეეხება ამ ნივთის სანივთო-სამართლებრივ მდგომარეობას (მაგალითად, საკუთრება). ნივთზე საკუთრების გადასვლა საჭიროებს დამატებით შეთანხმებას მხარეებს შორის. სა-



ნივთო უფლებები, რომელიც მოძრავ და უძრავ ნივთებს შეეხება არის აბსოლუტური, ე.ი., ყველას წინააღმდეგ მოქმედი უფლებები (განსხვავებით ვალდებულებითი სამართლისაგან, რომელიც მხოლოდ კრედიტორი-მოვალეს ურთიერთობას იცნობს; ასე, მაგალითად, საკუთრების გადაცემამდე, ნივთის დაზიანების შემთხვევაში, მხოლოდ გამყიდველს და არა მყიდველს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირის მიმართ). სანივთო უფლებები რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის მეორე ნივთში. სანივთო სამართალში არ არსებობს მხარეთა თავისუფლება, სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი ისევე განსაზღვრონ, როგორც ეს ვალდებულებით სამართალში არის დაშვებული. სანივთო უფლებებია: → **საკუთრება**, როგორც პირის ყოვლისმომცველი და ძირითადად შეუზღუდავი უფლება ნივთზე და შეზღუდული სანივთო უფლებები, როგორიცაა → **იპოთეკა**, → **გირავნობა**, → **უზუფრუქტი**, → **სერვიტუტი**, → **აღნაგობა**.

2. სანივთო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპებია სპეციალურობა, საჯაროობა და კაუზალობა. სპეციალურობის პრინციპი ნიშნავს, რომ ყოველი უფლება მხოლოდ განსაზღვრულ ნივთზე შეიძლება არსებობდეს. საჯაროობის პრინციპის თანახმად კი, სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა უნდა იყოს საჯარო. მოძრავი ნივთების შემთხვევაში ეს გამოიხატება ნივთის მფლობელობით, ხოლო უძრავ ნივთების შემთხვევაში - ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით. კაუზალობის პრინციპი მართალია ერთმანეთისგან განასხვავებს კაუზალურ და აბსტრაქტულ → **გარიგე-**

**ბებს**, მაგრამ საკუთრების გადაცემისათვის საჭიროა ორივე პირობის არსებობა (მაგალითად, მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა ხორციელდება მხოლოდ ნამდვილი უფლების საფუძველზე და ნივთის გადაცემით, სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი). კაუზალობის პრინციპისაგან განასხვავებენ აბსტრაქციის პრინციპს, რომლის თანახმად, აბტრაქტული გარიგების სამართლებრივი მდგომარეობა დამოკიდებული არ არის კაუზალური გარიგების ნამდვილობაზე. აბტრაქციის პრინციპი დამახასიათებელია მხოლოდ გერმანული სამართლისათვის.

### სანქცია

საერთაშორისო ურთიერთობებში სანქციას უწოდებენ იძულებითი ხასიათის ღონისძიებას, რომელსაც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მეორე სუბიექტის მიმართ ახორციელებს. სანქციის მიზანს წარმოადგენს მეორე მხარეზე ზეგავლენის მოხდენა და მისი იძულება შესარულოს ნაკისრი ვალდებულებები. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური (მაგ., → **ემბარგო**), ასევე პოლიტიკური (მაგ., → **დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა**) და სამხედრო ხასიათის. ზოგად-სამართლებრივ მოძღვრებაში სანქცია ნიშნავს ზომების ერთობლიობას, რომელიც გამოხატულია პოზიტიური (ნახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება საზოგადოებაში სოციალური ნორმების დაცვას. სანქცია დეკავშირებულია სამართლის ნორმის ან რეგულაციის სამართლებრივ შედეგთან და ხელს უწყობს მის მოქმედებასა და აღსრულებას.

**საორდერო ფასიანი ქალაქი**

საორდერო ფასიანი ქალაქი არის სავალო დოკუმენტი, რომლითაც → **ემიტენტი** დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება დოკუმენტში დასახელებულ პირს ან იმ პირს, რომელსაც ფასიანი ქალაქი → **ინდოსამენტის** მეშვეობით გადაეცა (სამოქალაქო კოდექსის 922-ე, 923-ე მუხლები). უფლება, რომელსაც საორდერო ფასიანი ქალაქი განსაზღვრავს, გადაეცემა იმ შემთხვევაში, როცა განხორციელდება საკუთრების გადაცემა ფასიან ქალაქზე. შესაბამისად, საორდერო ფასიანი ქალაქით განსაზღვრული უფლება დამოკიდებულია ფასიან ქალაქზე არსებულ საკუთრების უფლებაზე. მოვალე, რომელიც შეასრულებს თავის ვალდებულებას → **ინდოსატარის** წინაშე, ხდება მისთვის გადაცემული დოკუმენტის მესაკუთრე. საორდერო ფასიანი ქალაქი განსხვავდება → **პირადი ფასიანი ქალაქისაგან** იმით, რომ შესაძლებელია მისი ინდოსამენტის მეშვეობით გადაცემა. ბლანკეტური ინდოსამენტი ეწოდება ისეთ საორდერო ფასიან ქალაქს, რომელიც არ საჭიროებს ინდოსატარის აღნიშვნას და შესაძლებელია, რომ იგი შედგებოდეს მხოლოდ ხელმოწერისაგან.

**საოჯახო სამართალი**

საოჯახო სამართალს ქმნიან სამართლის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ → **ქორწინებას**, → **ქორწინების შეწყვეტას**, მეუღლეთა ურთიერთვალდებულებებსა და მათ ურთიერთობას მესამე პირებთან, → **მეუღლეთა თანასაკუთრებას** და სხვა. საოჯახო სამართლის ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში.

**საპატივებელი უკიდურესი აუცილებლობა**

→ უკიდურესი აუცილებლობა.

**საპატიო კონსული**

არის პირი, რომელიც არ იმყოფება სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ წარმგზავნი სახელმწიფოს გადამწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან, ასრულებს ცალკეულ საკონსულო ფუნქციებს. საპატიო კონსულად შეიძლება დაინიშნოს როგორც წარმგზავნი, ასევე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე. საქართველოს საკონსულო დანესებულებათა შესახებ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს საპატიო კონსულად შეიძლება დაინიშნოს პირი თუ მას: ა) აქვს გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა და საჭირო პირადი თვისებები იმისათვის, რომ შეასრულოს მასზე დაკისრებული საკონსულო ფუნქციები; ბ) თავისი საქმიანობით დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე; გ) ეს გამომდინარეობს საქართველოს სხვა სახელმწიფო ინტერესებიდან. მცირე გამოჩენილების გარდა, საკონსულო ურთიერთობების შესახებ 1963 წლის ვენის კონვენცია (58-67 მუხლები) საპატიო კონსულებს იმავე პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს ანიჭებს, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში მყოფ კონსულებს აქვთ (→ **საკონსულო პრივილეგიები და იმუნიტეტები**).

**საპროცესო ვადა**

1. სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს კანონით ან მოსამართლის მიერ გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისთვის დადგენილ დროის

ს

მონაკვეთს. → **საჩივარი**, → **შუამდგომლობა** ან სხვა დოკუმენტი ვადის ამონაწერად უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო ქმედება ბათილია, თუ გაცდენილი ვადა არ იქნება აღდგენილი. სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლობიერ შეზღუდვას. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ იგი გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით. საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები. დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 86-89-ე მუხლები).

2. სამოქალაქო სამართალწარმოებაში საპროცესო ვადა ეწოდება კანონით დადგენილ დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობა-

ში უნდა შესრულდეს → **საპროცესო მოქმედება**. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს საპროცესო ვადის ორ სახეს: სასამართლოს საქმიანობისათვის და მხარეებისათვის, ასევე, საქმეში მონაწილე სხვა პირებისათვის.

ა) სამოქალაქო საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს სარჩელის (განცხადების) მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში, ხოლო განსაკუთრებით რთული საქმეების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ თვეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი). მთელ რიგ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს საქმის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის განსხვავებულ ვადებს. ასე, მაგალითად, სარჩელის უზრუნველსაყოფად წარდგენილი განცხადება სასამართლომ უნდა განიხილოს განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლი); ბ) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე მხარეებს საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად მინიჭებული აქვთ განსაზღვრული საპროცესო ვადები, რომელიც შეიძლება განისაზღვროს კალენდარული თარიღით, რაიმე გარემოებაზე მითითებით ან დროის მონაკვეთით. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე მუხლი). მაგალითად, შეგებებული სარჩელის აღძვრა შეუძლია მოპასუხეს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღი-

## საპროცესო თანამონაწილეობა

დან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, ხოლო ამ ვადის გაშვების შემდეგ სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, თუ საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე შეგებებული სარჩელის წარდგენა ვერ მოხდა საპატიო მიზეზით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლი). გარდა ამისა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, შესაძლებელია მხარეს სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედების შესასრულებლად განესაზღვროს ვადა. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის გადაგზავნილ სარჩელზე მოპასუხემ უნდა წარმოადგინოს შესაგებელი. შესაგებლის წარმოდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს; გ) საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლი). საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა შეიძლება მხარის განცხადების საფუძველზე აღდგენილ იქნეს სასამართლოს მიერ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. კერძოდ, საპატიო მიზეზად ჩაითვლება ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული ავადმყოფობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლი, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

3. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

## საპროცესო თანამონაწილეობა

საპროცესო თანამონაწილეობა მოცემულია, როცა ერთ სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს გათვალისწინებული პირი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი). თანამონაწილეები ეწოდებათ იმ პირებს, რომლებიც ერთ მხარეს წარმოადგენენ. საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში მოცემულია იმდენი სასამართლო საქმის წარმოება, რამდენიც თანამონაწილეა. ეს პროცესები გაერთიანებულია ერთობლივად საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სამოქალაქო საპროცესო სამართალში განასხვავებენ სავალდებულო და არასავალდებულო (ფაკულტატიურ) თანამონაწილეობას. ა) სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში თანამონაწილეთა ურთიერთობა უფრო მჭიდროდ არის ჩამოყალიბებული და, მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა ყველა თანამონაწილეს გარეშე. მაგალითად, თუ სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება. სავალდებულო თანამონაწილეობის დროს ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას; ბ) არასავალდებულო თანამონაწილეობა მოცემულია, როცა სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლიდან ან სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). არასავალდებ-

ბულო თანამონაწილეობის დროს თითოეული თანამონაწილე პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. შესაბამისად, ერთ-ერთი თანამონაწილის გამოცხადება არ ნიშნავს ყველა თანამონაწილის გამოცხადებას; გამოუცხადებელი თანამონაწილის მიმართ სასამართლო გამოიტანს დაუხსნრებელ გადაწყვეტილებას.

**საპროცესო მოქმედება**

ენოდება ყველა იმ კანონით გათვალისწინებულ მოქმედებას, რომელსაც ახორციელებენ სასამართლო, პროცესის მხარეები და სხვა მონაწილეები. საპროცესო მოქმედებას არ წარმოადგენს რეალური აქტები, აგრეთვე, გარიგებები (→ **გარიგება** და → **ნების გამოვლენა**). საპროცესო მოქმედება შეიძლება განხორციელდეს განსაზღვრული პირობით იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობა შიდა პროცესუალურ გარემოებას წარმოადგენს. საპროცესო მოქმედების ნამდვილობა დამოკიდებულია განსაზღვრული საპროცესო წინაპირობების არსებობაზე, როგორც არის, მაგალითად, → **საპროცესო უფლებაუნარიანობა**, → **საპროცესო ქმედუნარიანობა**, → **სასამართლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** (აგრეთვე, → **სასამართლო წარმომადგენლობა**) და ა.შ. სამოქალაქო საპროცესო სამართალში საპროცესო მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს → **ალიარების** შემთხვევაში. → **საპროცესო ვადა**.

**საპროცესო უფლებამონაცვლეობა**

1. საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველი არის არა სასამართლო საქმის წარმოებიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, არამედ საქმის წარმოების მსვლელო-

ბის დროს მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, კერძოდ, მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა და სხვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი). იმისათვის, რომ მოხდეს საპროცესო უფლებამონაცვლეობა, საჭიროა უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში იყოს დასაშვები, მაშასადამე, სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის შეცვლა, ე.ი. ახალი სუბიექტის მიერ მისი წინამორბედის უფლებებისა და მოვალეობების სრულად ან ნაწილობრივ აღება. მოსარჩელის უფლებამონაცვლის სასამართლო პროცესში ჩართვა დამოკიდებულია თვითონ უფლებამონაცვლის გადაწყვეტილებაზე; მოპასუხის უფლებამონაცვლის ჩართვა კი საჭიროებს მოსარჩელის თანხმობას, რადგან, როგორც წესი, მოსარჩელის უფლებამოსილებას განეკუთვნება სარჩელის აღძვრა და მოპასუხის დასახელება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლები). უფლებამონაცვლეობა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ასევე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდე. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეობაზეც; შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობის განსაზღვრა წარმოიშვა აღსრულების სტადიაზე, მაშინ შესაძლებელია იგი სასამართლო განმარტების წესით დადგინდეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 266-ე, მუხლე-



## საპროცესო უფლებაუნარიანობა

ბი; აგრეთვე, სააღსრულებო ნარმოებთა შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი). თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მაშინ სასამართლო ვალდებულება შეაჩეროს საქმის წარმოება გონივრული ვადით უფლებამონაცვლეობის დადგენამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 279-ე, 281-ე მუხლები). უფლებამონაცვლის დადგენის შემდეგ, სასამართლო განაახლებს საქმის წარმოებას. მოქალაქის გარდაცვალების ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლისათვის პროცესში ყველა დაშვებამდე შესასრულებელი ყველა საპროცესო მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. გამომდინარე აქედან, უფლებამონაცვლეს არ შეუძლია მოითხოვოს იმ საპროცესო მოქმედებების განმეორება, რომელიც მისმა წინამორბედმა განახორციელა, მაგალითად, მონმეთა დაკითხვა. შესაბამისად, წინამორბედის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ითვლება უფლებამონაცვლის მიერ შესრულებულად.

## საპროცესო უფლებაუნარიანობა

პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლე-

ბაუნარიანობა), მამასადამე, იყოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტი, წარმოიშობა ფიზიკური პირის დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით, ხოლო იურიდიული პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი). ამით სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა ემთხვევა მატერიალურ სამოქალაქო → **უფლებაუნარიანობის** ცნებას.

## საპროცესო ქმედუნარიანობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე, დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (აგრეთვე, → **საპროცესო მოქმედება**). საპროცესო ქმედუნარიანია ყველა ფიზიკური პირი თვრამეტი წლის ასაკიდან, ხოლო იურიდიული პირი - რეგისტრაციის მომენტიდან. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის ფიზიკური პირები არიან შეზღუდულად ქმედუნარიანი. თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება ან დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, ამ შემთხვევაში, მას აქვს საპროცესო ქმედუნარიანობაც. ყველა სხვა შემთხვევაში, არასრულწლოვანის საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი.

მცირენლოვნები და, ასევე, ქმედუ-  
უნარო პირთა საპროცესო უფლე-  
ბებსა და მოვალეობებს ახორციე-  
ლებენ მათი კანონიერი წარმო-  
მადგენლები. იმ შემთხვევაში, რო-  
ცა სარჩელი შეტანილია ქმედუ-  
უნარო მხარის წინააღმდეგ, რო-  
მელსაც არ ჰყავს კანონიერი წარ-  
მომადგენელი, მოსარჩელის გან-  
ცხადების საფუძველზე მას სასა-  
მართლო უნიშნავს საპროცესო  
წარმომადგენელს და განიხილავს  
საქმეს, თუ სარჩელის განუხილვე-  
ლობა ზიანით ემუქრება მოსარ-  
ჩელის ინტერესებს (სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 82-ე მუხ-  
ლის პირველი ნაწილი). სასამარ-  
თლოს უფლება აქვს არ მიიღოს  
ქმედუუნარო პირის მიერ აღძრუ-  
ლი სარჩელი (სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 186-ე მუხლის  
პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი);  
იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ  
მიიღო ქმედუუნარო პირის სარ-  
ჩელი და მოსარჩელის ქმედუუნა-  
რობა გაირკვევა საქმის წარმოების  
დროს, სასამართლო უნიშნავს საპ-  
როცესო წარმომადგენელს, თუ სა-  
სამართლოს მიზანშეწონილად მი-  
იჩნია საპროცესო წარმომადგენ-  
ლის დანიშვნა. სხვა შემთხვევაში,  
სასამართლო განუხილველად ტო-  
ვებს სარჩელს (სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსის 82-ე მუხლის  
მე-2 ნაწილი, 275-ე მუხლის პირვე-  
ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

### საპროცესო შეთანხმება

სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 209-ე მუხლის პირველი  
წილის შესაბამისად, წარმოად-  
გენს სასამართლოს მიერ საქ-  
მის არსებითი განხილვის გარე-  
შე განაჩენის გამოტანის საფუძ-  
ველს. საპროცესო შეთანხმების  
საფუძველია შეთანხმება ბრალზე  
ან სასჯელზე, რომლის შეთავაზება

შეუძლია როგორც ბრალდებულს  
(მსჯავრდებულს), ისე პროკუ-  
რორს. სასამართლოში საქმის გან-  
ხილვისას სასამართლოს უფლე-  
ბა აქვს მხარეებს შესთავაზოს საპ-  
როცესო შეთანხმების დადება.  
სასჯელზე შეთანხმებისას ბრალ-  
დებული არ ეწინააღმდეგება წაყე-  
ნებულ ბრალს, თუმცა ეთანხმება  
პროკურორის სასჯელის ზომაზე  
ან მისგან სრულად განთავისუფ-  
ლებაზე. სასჯელზე შეთანხმების  
შედეგია პირის ნასამართლობა.  
ბრალზე შეთანხმებისას კი ბრალ-  
დებული აღიარებს დანაშაულს.  
საპროცესო შეთანხმება იდება ზემ-  
დგომ პროკურორთან წინასწარი  
წერილობითი შეთანხმებით. საპ-  
როცესო შეთანხმების საფუძველ-  
ზე პროკურორს უფლება აქვს,  
მოითხოვოს ბრალდებულისათვის  
სასჯელის შემცირება ან დანა-  
შაულთა ერთობლიობისას მიიღოს  
გადანყვეტილება მისთვის ბრალ-  
დების შემსუბუქების ან ნაწილობ-  
რივ მოხსნის თაობაზე, რომლის  
დროსაც პროკურორი ითვალის-  
წინებს საჯარო ინტერესს, ჩადენი-  
ლი დანაშაულისთვის გათვალის-  
წინებული სასჯელის სიმძიმეს,  
ქმედების მართლწინააღმდეგო-  
ბას და ბრალეულობის ხარისხს.  
დაუშვებელია საპროცესო შეთანხ-  
მების დადება ადვოკატის უშუა-  
ლო მონაწილეობისა და მის დად-  
ებაზე ბრალდებულის წინასწარი  
თანხმობის გარეშე. ასევე დაუშ-  
ვებელია ისეთი საპროცესო შე-  
თანხმების დადება, რომელიც უზ-  
ღუდავს ბრალდებულს უფლებას,  
წამების, არაადამიანური ან დამ-  
ამცირებელი მოპყრობის შემ-  
თხვევაში მოითხოვოს შესაბამის  
პირთა მიმართ სისხლისსამარ-  
თლებრივი დევნის განხორციელე-  
ბა (სისხლის სამართლის საპროცე-  
სო კოდექსის 210-ე მუხლი). საპ-

## საპროცესო ხარჯები

როცესო შეთანხმება ფორმდება წერილობით და მტკიცდება სასამართლოს მიერ, რაც აისახება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ იგი დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით და რომ ბრალდებულს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო კვალიფიციური იურიდიული დახმარება. მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 212-ე მუხლი). ბრალდებულს შეუძლია, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია. საპროცესო შეთანხმების განსაკუთრებული ფორმაა ბრალდებულსა/მსჯავრდებულსა და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/ მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები, საქართველოს მთავარ

პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი).

## საპროცესო ხარჯები

1. სისხლის სამართლის საპროცესო ხარჯებია: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი; ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; მონმის გამოცხადების ხარჯი; ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი; ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი; დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის ასლი გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი; მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი. ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს აანაზღაურებს უშუალოდ ბრალდებული, ხოლო თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება – სახელმწიფო ბიუჯეტი. მსჯავრდებულს ეკისრება მის ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მონმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის, წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის, მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარისგან მიღებული ინფორ-



მაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯების გადახდისაგან. რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს საპროცესო ხარჯებს თითოეული მათგანი ბრალის ხარისხისა და დანიშნული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით წილობრივად აანაზღაურებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 90-ე და 91-ე მუხლები).

2. სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. ა) სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია დავის საგნის (სარჩელის საგნის) ღირებულებაზე. დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის მოვალეობა ეკისრება მოსარჩელეს. თუ მოსარჩელე სარჩელში რამდენიმე მოთხოვნას აერთიანებს, მაშინ სასამართლო ამ მოთხოვნებს შეაჯამებს და განსაზღვრავს სადავო საგნის ღირებულებას. როგორც წესი, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება ფულის გადახდეინების შესახებ სარჩელის აღძვრისას – გადასახდელი თანხით, ხოლო ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩე-

ლის შემთხვევაში – ამ ნივთის (ქონების) საბაზრო ღირებულებით (დანვრილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი). თუ სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე, 187-ე მუხლები). თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდეინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 42-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მონმების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები, თარჯიმნად მონვეული პირებისათვის მისაცემი თანხები, ადგილობრივ დათვალეირებებზე განეული ხარჯები, მოპასუხის მოძებნის ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, ადვოკატისათვის სახელმწიფო სალაროდან გადახდილი თანხები და სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტის ჩატარების ხარჯები; ბ) სასამართლო ხარჯები გადახდისაგან მხარეთა განთავისუფლება შესაძლებელია კანონის გათვალისწინებულ შემთხვევებში ან სასამართლოს მიერ. ერთი მხარის განთავისუფლება სასამართლო ხარ-

## სარატიფიკაციო სიგელი

ჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-47-ე მუხლები). გარდა ამისა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს; გ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას პროპორციული მეთოდის საფუძველზე. კერძოდ, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარი თქმის შემთხვევაში, მოპასუხეს არ ეკისრება მოსარჩელის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება, ხოლო თუ მოპასუხე ნებაყოფლობით დააკმაყოფილებს მოსარჩელის მოთხოვნას სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ

განეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო განეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას. მორიგების შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ სასამართლო ხარჯების განაწილების წესზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-54-ე მუხლები). 3. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

## სარატიფიკაციო სიგელი

სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებას (**→ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია**). სარატიფიკაციო სიგელი ეგზავნება საერთაშორისო ხელშეკრულების მეორე მხარეს ან, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შემთხვევაში, დეპოზიტარ სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას (**→ დეპოზიტარი**). საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის (ან მასთან შეერთების) შესახებ მიღებული დადგენილების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცემს სარატიფიკაციო სიგელს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი ან ადასტურებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

## სარჩელი

1. ადმინისტრაციულ სამართალში სარჩელის სახეობა: სარჩელი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე; სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე; აღიარებითი სარჩელი.

ა) სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე: იმისათვის რომ სარჩელი იყოს პერსპექტიული ის უნდა იყოს დასაშვები და დასაბუთებული. სარჩელის დასაშვებობას ანესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი, ხოლო დასაბუთებულობის კრიტერიუმები მოცემულია 32-ე მუხლში. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადანყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვე-

ვაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა. სარჩელის დასაბუთებულობის ელემენტებია: ა) თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადანყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ; ბ) თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადანყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადანყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ; გ) სასამართლო გადანყვეტილების გამოტანამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის კანონიერი ინტერესის არსებობისას და მისი მოთხოვნით, ბათილად ცნოს ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დ) თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემ-

დეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი; ე) სასამართლოს გადაწყვეტილებას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ აქვს სავალდებულო ძალა. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ანდა გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად; ვ) სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი. გამოქვეყნება ხორციელდება ნორმატიული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ხარჯით.

ბ) სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის თაობაზე: იმისათვის რომ სარჩელი იყოს პერსპექტიული ის უნდა იყოს დასაშვები და დასაბუთებული. სარჩელის დასაშვებობას ანეხირგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი, ხოლო დასაბუთებულობის კრიტერიუმები მოცემულია 33-ე მუხლში. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემზე უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში არ დაიშვება შეგებებული სარჩელის წარდგენა. სარჩელის დასაბუთებულობა: ა) თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამომცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მხარის მოთხოვნით სასამართლო ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემის ვადას; ბ) სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოანესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემს და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სასამართლოს მიერ გამოტანილი ამ გადაწყვეტილებაზე არ ვრცელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციული



ციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესი.

გ) სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე იმისათვის რომ სარჩელი იყოს პერსპექტიული ის უნდა იყოს დასაშვები და დასაბუთებული. სარჩელის დასაშვებობას აწესრიგებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი, ხოლო დასაბუთებულობის კრიტერიუმები მოცემულია 33<sup>1</sup>-ე მუხლში. სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. დასაბუთებულობა: თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

დ) აღიარებითი სარჩელი: აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერ-

თობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-24-ე მუხლების საფუძველზე.

ე) სახელშეკრულებო დავები სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

2. სამოქალაქო სამართლის პროცესში სარჩელის ცნება მოდის რომის სამართლიდან (actio). იგი არის → **საპროცესო მოქმედება**, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე სასამართლოსგან მოითხოვოს სადავო უფლების დაცვას ან დარღვეული უფლებების აღდგენას. სარჩელი წარდგენილ უნდა იქნას სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლები; → **სასარჩელო წარმოება**, → **არასათანადო მხარე**). სარჩელი შეიძლება აღძრულ იქნას სხვადასხვა სახით, კერძოდ, რო-

გორც მიკუთვნებითი, აღიარებითი ან გარდაქმნითი სარჩელი (→ **სასარჩელო წარმოება**). სარჩელოში აღინიშნება სასამართლო, რომელსაც იგი წარედგინება, მოპასუხე, → **დავის საგანი**. სარჩელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფორმის ნიმუშს (სამოქალაქო კოდექსის 177-ე, 178-ე მუხლები). სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი). დავის საგნის მიხედვით არსებობს სარჩელის რამდენიმე სახე, ასევე, → **შეგებებული სარჩელი**. სარჩელი შესაძლებელია შეიცვალოს ან გამოხმობილ იქნას. სარჩელი დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საპროცესო წინაპირობებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი საქმის არსებითად გადაწყვეტა. სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, თუ მის საფუძვლად წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას ასაბუთებს. სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელის სახეებია: მიკუთვნებითი, აღიარებითი და გარდაქმნითი სარჩელი. ა) მიკუთვნებითი სარჩელი ეწოდება სარჩელის იმ სახეს, როცა მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისგან რაიმე მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას, მაგალითად, ნივთის გადაცემა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. მიკუთვნებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ, თუ სასარჩელო მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ვალდებულების სამაგიერო შესრულებაზე და მისი შესრულების თარიღი

დაკავშირებულია კალენდარული დღის დადგომასთან ან განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლი); ბ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლები-სა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის პოზიტიურად, ისე ნეგატიურად აღიარების თაობაზე. აღიარებითი სარჩელის საპროცესო წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა. იგი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია მიკუთვნებითი ან გარდაქმნითი სარჩელის აღძვრა, რადგან სარჩელის ხსენებული სახეები უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის დადგენას თავისთავად მოიცავს. აღიარებითი სარჩელი თავისი არსით არ არის აღსრულებაუნარიანი, მაგრამ იგი მოქმედებს → **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალით**; გ) გარდაქმნითი სარჩელის საფუძველზე, მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლა. სარჩელის ეს ფორმა დასაშვებია, თუ იგი კანონით არის მონესრიგებული. ხშირ შემთ-

ხვევებში, გარდაქმნითი სარჩელის მიზანი მდგომარეობს სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტაში (მაგალითად, ქორწინების შეწყვეტა). სარჩელის სამართლებრივი შედეგი დგება სარჩელზე შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით. გარდაქმნითი სარჩელი თავისი არსით არ არის აღსრულებაუნარიანი.

**სარჩელის აღძვრა**  
→ **სასარჩელო წარმოება.**

**სარჩელის საფუძველი**  
→ **სასარჩელო წარმოება.**

**სარჩელის უზრუნველყოფა**  
1. სარჩელის უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს წინასწარ გადაწყვეტილებას, რომლის მიზანია იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს პირის ინდივიდუალური მოთხოვნის უფლება, მაგალითად, ნივთის გადაცემა, და უზრუნველყოფის საფუძველი, კერძოდ, დასაბუთება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი). სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება წარედგინება ამ სარჩელის განმხილველ სასამართლოს; სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულ უნდა იქნას ერთი დღის ვადაში; სასამართლოს მიერ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გან-

მცხადებელი ვალდებულია 10 დღის ვადაში შეიტანოს სარჩელი სასამართლოში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე, 193-ე მუხლები). თუ პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, მაშინ იგი ვალდებულია დაურთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მოპასუხის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნას გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. როგორც წესი, დაუშვებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით სრულად იქნას კრედიტორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული, ვინაიდან აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ მომავალში მხოლოდ მოთხოვნის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. თუ უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი აღმოჩნდა ან არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი).  
2. ადმინისტრაციულ სამართალში → **დროებითი განჩინება.**

**სარჩო**  
→ **სარჩოს გადახდის ვალდებულება.**

**სარჩოს გადახდის ვალდებულება**  
მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას (სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი). ასეთივე ვალდებულება აქვთ შვილებს შრომისუუნარო მშობლებს.



ბის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლი); და-ძმებს არასრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან (სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლი); ურთიერთრჩენის ვალდებულება არსებობს შვილიშვილებს, პაპასა და ბებიას შორის (სამოქალაქო კოდექსის 1224-ე, 1225-ე მუხლები); მამინაცვალს და დედინაცვალსა და გერს შორის (სამოქალაქო კოდექსის 1226-ე, 1227-ე მუხლები). სარჩოს (ალიმენტის) გადახდის მოთხოვნის უფლება განპირობებულია სარჩოს მიმღების დახმარების საჭიროებითა და ვალდებული პირის შესაძლებლობით. სარჩოს მიმღები არის პირი, რომელიც არის ან არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო და საჭიროებს დახმარებას. ალიმენტის გადახდის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე და მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალურ მდგომარეობას (სამოქალაქო კოდექსის 1214-ე, 1219-ე, 1230-ე მუხლები). თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს ალიმენტის ოდენობა (სამოქალაქო კოდექსის 1231-ე მუხლი). ალიმენტის გადახდისაგან განთავისუფლება ან ალიმენტის დაავალიანების შემცირება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (სამოქალაქო კოდექსის 1237-ე მუხლი). ალიმენტის გადახდის ვალდებულება წყდება ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებით ან შე-

თანხმების ვადის გასვლით ან ამ შეთანხმებაში გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

### სასამართლო

→ სასამართლო ხელისუფლება.

### სასამართლო გადაწყვეტილება

1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქმის არსებითად გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს გადაწყვეტილების შემდეგ სახეებს: საბოლოო, ნაწილობრივი და წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. ა) სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც სასამართლომ დაამთავრა საქმის განხილვა ყველა იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც მოსარჩელეს ჰქონდა წამოყენებული. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაშიც, როცა სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული ან იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ; ბ) ნაწილობრივი გადაწყვეტილებით სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნების მხოლოდ ნაწილზე, ხოლო მოთხოვნის სხვა ნაწილზე მიღებული იქნება სხვა გადაწყვეტილება. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად. ნაწილობრივი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს, თუ აღძრულია → შეგებებული სარ-

ს



**ჩელი** (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლი); გ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებს შორის სადავოა როგორც სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი გარემოებები და ამ მოთხოვნის მოცულობა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ. წინასწარი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით გაასწოროს სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობანი და ამკარა არითმეტიკული შეცდომები. გადაწყვეტილების გამოიტანს სასამართლოს უფლება აქვს, აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად, თუ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი). → **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**; → **სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა**; → **სასამართლო განჩინება**.

2. აღმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები. → **დროებითი განჩინება**.

3. სისხლის სამართალში → **განაჩენი**; → **სასამართლო განჩინება**.

**სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება**

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. სამოქალაქო-სამართლებრივი აღსასრულებელი მოთხოვნების იძულებითი აღსრულება იწყება კრედიტორის მიერ → **სააღსრულებო ფურცლისა** და → **სასამართლო გადაწყვეტილების** სააღსრულებო ბიუროში წარდგენით მოვალის ადგილსამყოფლის მიხედვით. სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებისას აღმასრულებელს უფლება აქვს შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსი და მოვალის ქონება და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით უზრუნველყოს გადახდვინება მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ასევე, მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან ან მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან და ა.შ. („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი). მოვალის ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით ჯერ დაიფარება აღსრულების საფასური და სასამართლო ხარჯი, ხოლო დანარჩენი თანხა გაიცემა იმ კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთა სასარგებლოდაც განხორციელდა იძულებითი აღსრულება. თუ თანხა არ არის საკმარისი ყველა კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ შემთხვევა-

ში, იგი ნაწილდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 82<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად. იძულების განხორციელების მიუხედავად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ გაეცნონ აღსრულების მასალებსა და მიმდინარეობას, → **მორიგების** საშუალებით განახორციელონ სააღსრულებო მოქმედებების შეწყვეტა ან გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ განახორციელოს ეს მოქმედება და მოქმედების ხარჯები სასამართლო წესით დაეკისრება მოვალეს. მოვალეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი მოქმედებების არ განხორციელების შემთხვევაში, თუ ამ მოქმედებათა განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე და ისინი არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 86-ე, 87-ე მუხლები). სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით რეგულირებული არ არის ნეგატიურულ ვალდებულებებსა (მაგალითად, გარკვეული გამოწვევებისაგან თავის შეკავება) და ნების გამოვლენასთან (მაგალითად, მოვალის თანხმობა საჯარო რეესტრში კრედიტორის სასარგებლოდ სანივთო უფლების რეგისტრაციის თაობაზე) დაკავშირებული მოთხოვნების აღსრულება.

ამ შემთხვევაში, შესაძლებელია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება. სააღსრულებო კანონმდებლობა იცნობს უძრავ ნივთებზე იძულებითი აღსრულების სამ სახეს. კერძოდ, იძულებით იპოთეკას, იძულებით აუქციონს და სეკვესტრს (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლი). ა) იძულებითი იპოთეკის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განცხადების საფუძველზე; ბ) იძულებითი აუქციონი წარმოადგენს უძულებითი აღსრულების ღონისძიებების ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას. კრედიტორის განცხადების საფუძველზე აღმასრულებელი გასცემს განკარგულებას იძულებითი აუქციონის დანიშნის შესახებ, თუ მოვალე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია უძრავი ქონების მესაკუთრედ. აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს განსაზღვრავს აღმასრულებელი და აქვეყნებს საჯაროდ აუქციონის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე. თუ იძულებითი აუქციონზე უნდა განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია, მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე-309-ე მუხლები გამოიყენება, როგორც სპეციალური ნორმები. პირველ აუქციონზე შემოთავაზებული საბოლოო ფასი არ უნდა იყოს ნივთის სანყისი ღირებულების 50%-ზე ნაკლები და უნდა ფარავდეს გარდამავალ უფლებათა ღირებულებას. აუქციონის ჩატარებიდან ერთი კვირის განმავლობაში ქონების შემქმნმა შესყიდვის ფასი სრულად უნდა შეიტანოს სააღსრულებო ბიუროს სადებოზიტო ანგარიშზე. აღმას-

ს

რულებელი ქონების შემძენს გადასცემს განკავგულებას ქონების შეძენის თაობაზე. აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი შემოთავაზება, მაშინ აღმასრულებელი ერთი თვის ვადაში ატარებს განმეორებით აუქციონს. თუ ნივთის რეალიზაცია განმეორებით აუქციონზედაც არ მოხდება, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ნივთის ნატურით გადაცემა განმეორებითი აუქციონის ჩატარებიდან ორი კვირის განმავლობაში, რის თაობაზეც შესაბამისი განცხადებით მიმართავს სააღსრულებო ბიუროს (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 71-771-ე მუხლები); გ) სექვესტრი (იძულებითი მართვა) ნიშნავს აღსრულებას დაქვემდებარებული ქონების გადაცემის სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველზე. მმართველი ვალდებულია ნახევარ წელიწადში ერთხელ წარუდგინოს აღმასრულებელს ანგარიში ქონების მართვის შესახებ, რომელმაც, თავის მხრივ, ის უნდა წარუდგინოს კრედიტორსა და მოვალეს (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 78-82-ე მუხლები). თუ აღსრულებას დაქვემდებარებული მოვალის მფლობელობაში არსებული ქონება წარმოადგენს მესამე პირის → **საკუთრებას** ან არსებობს აღსრულების საგანზე მესამე პირის → **სანივთო უფლება**, საქართველოს კანონმდებლობით მესამე პირს, უფლების დაც-

ვის მიზნით, შეუძლია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, → **სასარჩელო წარმოების** გზით მიმართოს სასამართლოს კრედიტორისა და მოვალის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, თუ იგი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება. თუ ქონება უკვე რეალიზებულია, სარჩელი წარედგინება აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც ქონება გადაეცათ. აღსრულება შესაძლებელია შეწყდეს კრედიტორის განცხადების საფუძველზე და სააღსრულებო საბუთი დაუბრუნდება კრედიტორს, თუ იგი უარს ამბობს აღსრულებაზე ან კრედიტორმა და მოვალემ მიაღწიეს → **მორიგებას**. აღსრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე ან მოვალის მიერ → **ქმედუნარიანობის** დაკარგვისას – მისი წარმომადგენლის დანიშვნამდე (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე, 36-ე მუხლები). სამოქალაქო სამართალწარმოებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. კერძოდ, თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება: აღიმენტის მიკუთვნებას; პირის დასახიჩრებას ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებას; მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრებას; მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნებას; უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშა-



## სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

კის სამუშაოზე აღდგენას ან თუ გადაწყვეტილება გამოტანილია → **თამასუქისა** და → **ჩეკის** თაობაზე. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლი).

2. სისხლის სამართალში → **სასამართლოს განჩინის აღსრულება**.

3. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალურ წესებს და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ნორმები.

## სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

1. სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება ფორმალურად კანონიერია, თუ იგი არ შეიძლება გასაჩივრდეს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი). გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს მატერიალური კანონიერი ძალის წინაპირობას. მატერიალური კანონიერი ძალა ბოჭავს როგორც სასამართლოს, ისე მხარე-

ებს და მათ უფლებამონაცვლებს (→ **საპროცესო უფლებამონაცვლება**) და მათ არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი). მაშასადამე, გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა ვრცელდება დავის საგანსა და პროცესუალურ მოთხოვნაზე. ეს შესაძლებელია დადგინდეს აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების საფუძველზე. → **სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი**.

2. საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალის საკითხი წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

3. სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს → **განჩინი** კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილი). განჩინის გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

## სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი

1. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საქმის არსებითად გადაწყვეტის შესახებ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილე-

ბა შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან: ა) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანი; ბ) გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილში მიეთითება მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი მტკიცებულებათა უარყოფის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მიხედვით; გ) გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, სამოტივაციო ნაწილი შეიცავს მტკიცებულებათა შეფასებას და სუბსუმფციას. დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება ჩამოყალიბდეს სამოტივაციო ნაწილის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლი); დ) სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოკლედ გადმოსცემს სასამართლოს გადაწყვეტილებას დავის საგანზე და სასამართლო ხარჯებზე. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით (სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის მე-8 მუხლი).

2. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

### სასამართლო განჩინება

1. სისხლის სამართლის პროცესში განჩინება არის სასამართლოს გადაწყვეტილება (→ **განაჩენის** და → **განკარგულების** გარდა) ნებისმიერ საკითხზე. მაგალითად, მოსამართლეს ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოაქვს ჩხრეკისა და ამოღების განჩინება, რომელსაც გააჩნია წერილობითი ფორმა. როგორც წესი, სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს, მაგრამ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება (მაგალითად, არ საჩივრდება განჩინება ექსპერტიზის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

2. სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი). ასე, მაგალითად, თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. მხარეებს, რომლებიც არ ესწრებიან განჩინების გამოცხადებას, ეგზავნებათ განჩინების ასლე-

ს

## სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

ბი საქმის წარმოების შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვებისა თუ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ მისი გამოტანისა და არა უგვიანეს 5 დღისა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლი). → **კერძო საჩივარი**.  
3. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმები. → **დროებითი განჩინება**.

## სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

საქართველოს → **კონსტიტუციის** 42-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ყველას აქვს უფლება თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მთლიანად 42-ე მუხლის სულისკვეთებიდან, ზოგადად (საპროცესო) კანონმდებლობიდან და საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე მოიცავს ასევე პირის მოთხოვნის უფლებას, ნებისმიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხთან მისი პოზიციის მოსმენასა და გათვალისწინებაზე. პრაქტიკულად კი ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ისეთ ფაქტებს, გარემოებებს და მტკიცებულებებს, რომლებზეც მხარეებს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობა, გამოეთქვათ საკუთარი აზრი და გამოეხატათ თავისი სამართლებრივი პოზიცია. პროცესის მონაწილეებისათვის აღნიშნული ითვალისწინებს (შინაარსობრივად) მოულოდნელი და მათთვის უცნობი გარემოებების შემცველი სასამართლო გადაწყვეტილების დაუშვებლობის გარანტიას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე აღნიშნული მოიაზრე-

ბა სასამართლოსადმი მიმართვის კონტექსტში, ეს ძირითადი უფლება ასევე ასახული და დაცულია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რამდენადაც საქმე ეხება მავალზელი აქტის გამოცემას, რომელიც აუარესებს ან ცვლის პირის სამართლებრივ (უფლებრივ) მდგომარეობას.

## სასამართლოს განაჩენის აღსრულება

სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი). განაჩენის აღსასრულებლად მიიქცევა ევალეზა ამ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალეზა მისი აღსრულება. იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუ მსჯავრდებული დაავადებულია მიიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე, ასევე, როდესაც მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი).

**სასამართლოს განკარგულება**

არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი ფორმა (განაჩენის და განჩინების გარდა). მაგალითად, განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი), სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევისას სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებული განკარგულება პროცესის მონაწილის დაჯარიმების ან სასამართლო სხდომის დარღვიდან გაძევების შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი).

**სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)**

სისხლის სამართლის პროცესში არის დაინტერესებული პირი, რომელიც არ წარმოადგენს → მხარეს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, მაგრამ უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. მაგალითად, სასამართლოს თავის მოსაზრება შეუძლია წარუდგინოს კერძო პირმა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, იურისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სტუდენტებმა, ადვოკატებმა, პარლამენტარებმა, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა და ა.შ. ანუ, კვალიფიციურმა პირებმა, რომელთა მოსაზრებებმაც შეიძლება სასამართლოს დახმარება გაუწიოს. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილ-

ველი საკითხი. შესაძლებელია, „სასამართლოს მეგობრის“ რამდენიმე არგუმენტაცია არსებობდეს, მაგრამ, რომელია უფრო მყარი და არგუმენტირებული და რომელს მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას, ეს სასამართლოს პრეროგატივაა. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან/და მხარის და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი).

**სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა**

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო საერთო სასამართლო სისტემაში წარმოადგენს ყველაზე დაბალ რგოლს, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს. სისხლის სამართლის საქმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განიხილება როგორც წესი ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნაფიცი მსაჯულები-სა და მოსამართლის მონაწილეობით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში მოსამართლეებთან ერთად შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლეებიც (საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლი), რომლებიც იღე-



ბენ გადაწყვეტილებას მთელ რიგ პროცესუალურ საკითხებზე სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის გადაცემამდე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან მიჯნავს საგნობრივ და ტერიტორიულ განსჯადობას: ა) თუ პირს ბრალი აქვს წაყენებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, სისხლის სამართლის საქმეს მიეკუთვნება ამ უკანასკნელის საგნობრივ განსჯადობას და შესაბამისად, მას არსებთან განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულის შემადგენლობით. ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე – რვაზე ნაკლები და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებზე – ათზე ნაკლები. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ერთპიროვნულად პირველი ინსტანციით იმ შემთხვევაში განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, თუ მხარეები ერთობლივად უარს განაცხადებენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ან თუ სისხლის სამართლის საქმე არ მიეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას. ცალკეულ შემთხვევებში, თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის ან საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისაა, საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარე უფ-

ლებამოსილია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა, როდესაც შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგისტრატი მოსამართლის საგნობრივ განსჯადობას მიეკუთვნება ისეთი საქმეები, როგორც არის ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა. ამასთან ერთად, მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს საჩივრის გამოძიების ან პროკურორის უკანონო ქმედების გამო და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. მაგისტრატი მოსამართლე განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად; ბ) ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემა იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს. რაიონული (საქალაქო) სასამართლო ვალდებულია შემოსული სისხლის სამართლის საქმე შეამონღოს განსჯადობასთან დაკავშირებით. თუ იგი დაადგენს, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე მისი განსჯადი არ არის, სასამართლო განჩინებით საქმეს გადასცემს იმ სასამართლოს, რომლის ტერიტორიულ განსჯადობასაც მიეკუთვნება მოცე-



მული სისხლის სამართლის საქმე. ვინაიდან, პროცესის მონაწილეთა სასამართლოში გამოცხადება საპროცესო ხარჯებთან არის დაკავშირებული, მხარეებს უფლება აქვთ შუამდგომლობა დააყენონ სისხლის სამართლის საქმის მასში მონაწილე დაზარალებულებისა და მონმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. შუამდგომლობას განიხილავს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე.

2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალური ერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი განსაზღვრავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად საქ-

მეებს: რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა აღნიშნული კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა, რომელიც წარმოადგენს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებს. რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეებია: ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ; ბ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე; გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე; დ) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით; ე) მენარმის საქმიანობის შემონმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე; ვ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ერთმანეთისაგან მიჯნავს უწყებრივ ქვემდებარეობასა და განსჯადობას.



ა) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ: სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის; დავებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის; უდავო წარმოების საქმეებს; რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეუბნით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებს; შვილად აყვანის საქმეებს; ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციების გავრცელების საქმეებს. გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი);

ბ) განსჯადობა ანესრიგებს უწყებრივად სასამართლოსადმი ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეულ სასამართლოებს შორის,

რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს. მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; ასევე, უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს და საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, შშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე; იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე მისი არყოფნის შემთხვევაში, საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ, ხოლო თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13-14 მუხლები). საერთო განსჯადობის მიხედვით სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელი წარდგინება სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იურიდიულ პირს - ადგილსამყოფელის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა

განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება. თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი); გ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული საქმეების განსაკუთრებული განსჯადობის წესს და აღნიშნული ნორმა წარმოადგენს სპეციალურ ნორმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლთან მიმართებაში. განსაკუთრებული განსჯადობით სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ხოლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. განსაკუთრებული განსჯადობით, იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან გამომდინარე სარჩელი, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით. გარდა ამისა, სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მა-

გრამ გარდაცვალების მომენტი-სათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით; დ) სარჩელი, რომელიც შეეხება უძრავ ნივთებს, მიწის ნაკვეთზე უფლებას, ქონების უფლებრივ დატვირთვას ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლებას ან რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის შესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, ასევე, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი); ე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს ოჯახური დავების განსჯადობას. კერძოდ, სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გარდა ამისა, სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარედგინოს იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი აღიშენების გადახდევინების



შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ე) თუ სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მოსარჩელეს აქვს უფლება არჩიოს განსჯადი სასამართლო. ვარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა, რომელიც ფორმდება წერილობით. არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლი). სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს საქმე, თუ სარჩელი განსჯადობის წესების დაცვით იქნა წარმოებაში მიღებული იმ შემთხვევაშიც, თუ ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდა. ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილ საქმეს წარმოებაში განსახილველად იღებს ის სასამართლო, რომელსაც იგი გადაეგზავნა. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი).

## სასამართლო წარმომადგენლობა

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი თანახმად, სამოქალაქო პროცესის მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმე აწარმოონ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. ნებაყოფლობით წარმომადგენლის მეშვეობით საქმის წარმოების საფუძველი არის დავალების ხელშეკრულება. ნებაყოფლობით წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და ორგანიზაციის თანამშრომლები, ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე, ერთ-ერთი თანამონაწილე სხვა თანამონაწილეთა დავალებით და სხვა ქმედუნარიანი პირები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. ა) ადვოკატი არის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელიც განწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი და მე-10 მუხლები); ბ) ორგანიზაციისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები სასამართლო პროცესში მონაწილეობენ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი); გ) საპროცესო თანამონაწილეობის შემთხვევაში, თითოეული თანამონაწილე პროცესში გამოდის დამოუკიდებლად, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მათ აძლევს შესაძლებლობას, საქმის წარმოება მიანდონ ერთ-ერთ თანამონაწილეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე, 94-ე მუხლები); დ) სასამართლო წარმომადგენლო-

ბა პირველი ინსტანციის სასამართლოში შეუძლია განახორციელოს ნებისმიერმა ქმედუნარიანმა პირმა, მაგრამ სასამართლოს შეუძლია არ დაუშვას პირი წარმომადგენლად, თუ მიიჩნევს, რომ მას არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაცვას მისი უფლებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე, 97-ე მუხლები; ე) სამოქალაქო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია მოსამართლის, გამომძიებლისა და პროკურორის სხვა პირის წარმომადგენლად გამოსვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხსენებული პირები ახორციელებენ კანონიერი წარმომადგენლის მოვალეობებს ან წარმოადგენენ შესაბამის ორგანოს.

2. ადმინისტრაციულ პროცესში თუ მხარე სახელმწიფო ან → **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა**, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან → **საჯარო მოხელე**, რომელიც ამ → **ადმინისტრაციულ ორგანოში** მსახურობს. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია თავის წარმომადგენლად დანიშნოს ადვოკატი. თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს ან/და საქმე ფაქტობრი-

ვი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ დაწესებულების წარმომადგენლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოსამსახურის დანიშვნა (გარდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დავისა). ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, უფლებამოსილია, იმავე საქმეზე წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ თანამდებობის პირს ან სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ამ დაწესებულებაში მსახურობს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვის, საქმის მასალების მოძიებისა და წარმომადგენლის დანიშვნის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

### სასამართლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

არის → **საპროცესო მოქმედებაზე** ან → **გარიგებაზე** დამყარებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლოში. იგი არ არის სასამართლო პროცესის წინაპირობა, არამედ → **საპროცესო მოქმედების** განხორციელების წინაპირობა. სასამართლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაცემა მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე და 98-ე მუხ-

ს

## სასამართლო ხელისუფლება

ლებით. ამ მუხლებით განსაზღვრული ყველა ნებადართული საპროცესო მოქმედების განხორციელება საჭიროებს მინდობილობაში სპეციალურად აღნიშვნას. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სასამართლო პროცესზე იწვევს იმას, რომ წარმომადგენლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები წარმოშობს მარწმუნებლის ვალდებულებებს, ხოლო შიდა ურთიერთობაში მოცემულია → **დავალების ხელშეკრულება**. მოქალაქეების მიერ გაცემული მინდობილობა საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი).

### სასამართლო ხელისუფლება

→ **ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან** გამომდინარე სასამართლო ხელისუფლება არის ხელისუფლების მესამე შტო საკანონმდებლო და → **აღმასრულებელ ხელისუფლებასთან** ერთად. საქართველოს → **კონსტიტუციის** 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ მხოლოდ (საერთო და საკონსტიტუციო) სასამართლოები. ასევე დაცულია სასამართლო ხელისუფლების თავისუფლება და დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. დამოუკიდებელი სასამართლო არის → **სამართლებრივი სახელმწიფოს** არსებობის გარანტი და შესაბამისად, მისი აუცილებელი წინაპირობა. სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს კონტროლს სხვა შტოების მიმართ კანონის სწორად გამოყენების და თითოეული მოქალაქის უფლების სათანადოდ დაცვისა და გათვალისწინების კუთხით. სასამართლოს აქტები სავალდე-

ბულოა ყველასათვის, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებისთვის. ამიტომ სასამართლო ხელისუფლებას ხშირად უწოდებენ სადავო, განუსაზღვრელი თუ სახიფათო ნორმების სავალდებულო დაზუსტებას კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დამოუკიდებელი ინსტიტუციის მიერ. მართლაც, ნორმის აქტუალური განმარტება საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის პროცესში არის სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. საქართველოში სასამართლო ხელისუფლება ორგანიზებულია სამ ინსტანციურად. კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ საერთო სასამართლოების სისტემაში შედიან პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციები, რომლებიც განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ დავებს. საპროცესო კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებს თითოეული სასამართლოსადმი მიმართვის, ასევე სასამართლოში საქმის განხილვის პროცედურებსა და წინაპირობებს. სასამართლო ხელისუფლება ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს, რომელსაც ახორციელებს საქართველოს → **საკონსტიტუციო სასამართლო**. → **აპელაცია**; → **კასაცია**.

### სასარჩელო წარმოება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო წარმოება იწყება სარჩელის აღძვრით. სარჩელი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასახელებას, პროცესის მხარეებს, → **დავის საგანს**, მო-

სარჩელის მოთხოვნას, სარჩელის ფასს, მტკიცებულებებს და ა.შ. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი). მოსარჩელის მოთხოვნა არის მითითება იმის თაობაზე, თუ რა სამართლებრივ დაცვას ითხოვს მოსარჩელე (მაგალითად, მოპასუხეს დაეკისროს 1000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ); მოსარჩელის მოთხოვნა უნდა იყოს ცალსახად განსაზღვრული. სარჩელის საფუძველს ქმნიან ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნას ასაბუთებს. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის საფუძველი განსაზღვრავს დავის საგანს და შესაძლებელია პროცესის მსვლელობისას მათი ცვლილება.

1. სარჩელის სასამართლოში წარდგენისას (თუ სარჩელი ფოსტით არ არის გავზავნილი) სასამართლოს კანცელარია ამონიშნებს სარჩელის ფორმალურ მხარეს. კერძოდ, სარჩელის ფორმაში აღნიშნულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილი რეკვიზიტები, მაგალითად, მოპასუხის დასახელება, დავის საგანი ან სარჩელის ფასი, ასევე, ერთვის თუ არა სარჩელს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში მიღებული განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ – ამ ვადის გასვლის შემდეგ. სარჩელის სასამართლო წარმოე-

ბაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. ამასთან, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი). თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეაქვს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ წარდგენილი სარჩელი არ არის ამ სასამართლოს განსჯადი, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ როგორ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სა-

## სასარჩელო წარმოება

სამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან განუხილველად დატოვებს სარჩელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლი).

2. სარჩელის წარმოებაში მიღებისთანავე მოპასუხეს ეგზავნება სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ასლები და სასამართლო დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით პასუხისა (შესაგებლის) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე მოსაზრებების წარმოსადგენად. გარდა ამისა, სასამართლო აფრთხილებს მოპასუხეს პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე, 201-ე მუხლები). მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში. თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მაშინ მან უნდა მიუთითოს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომელზეც ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ, ასევე, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს და ვინ შეიძლება ჩაეხიბას პროცესში თანამონაწილეებად (→ **საპროცესო თანამონაწილეობა**) ან → **შესამე პირებად** და სხვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი). საქმის

მომზადების ეტაპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვება. შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს წარმოადგინონ ყველა ის მტკიცებულებები, რომელიც მათ ხელთაა, დანიშნოს ექსპერტიზა ან ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება და ა. შ. (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლი). მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ სხდომას, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მას აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს. თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე ან მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რაც მხარეებს ართმევს უფლებას მიმართონ სასამართლოს ხელმეორედ იმავე → **დავის საგანზე** და იმავე საფუძვლით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე, 273-ე მუხლები).

3. სასამართლოს მთავარი სხდომა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან: მთავარი სხდომის გახსნა, საქმის არსებითად განხილვის დაწყება, მტკიცებულებათა გამოკვლევა, მხარეთა პაექრობა, სხდომის დახურვა და გადაწყვეტილების გამოტანა. ა) სასამართლო აცხადებს სხდომას გახსნილად და მიუთითებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული ამ სხდომაზე. სასამართლო ადგენს გამოცხადებულ პირთა ვინაობას და განუმარტავს მხ-



არეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ სასამართლოს აცხილება. მთავარი სხდომის ამ ეტაპზე ხდება, ასევე მხარეთა შუამდგომლობების აღძვრა და განხილვა. შუამდგომლობა უნდა იყოს წერილობითი ფორმით წარდგენილი და უნდა შეიცავდეს კონკრეტული მოთხოვნას და არგუმენტაციას. კერძოდ, იგი უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი); ბ) საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მოთხოვნასა და მოპასუხის შესაბამელს. სასამართლო მიუთითებს ასევე იმ ფაქტებზე, რომლებიც მხარეებს შორის არ არის სადავო და ფაქტებზეც, რომლებიც სავადავო, აგრეთვე, მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებიც დაერთვის საქმეს. მოსამართლის მოხსენების შემდეგ პირველად სასამართლო მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, ხოლო შემდეგ მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლი). მხარეებს უფლება არა აქვთ ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესა-

გებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი). მხარეებს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს; გ) მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლო განიხილავს და ამონიშნავს სადავო მტკიცებულებებს და მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არა აქვს მნიშვნელობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი); დ) მხარეთა პაექრობაში მონაწილეობის უფლება აქვთ ასევე მესამე პირებსა და წარმომადგენლებს. მოპაექრეები სხდომაზე განხილული მტკიცებულებების საფუძველზე გამოთქვავენ თავიანთ მოსაზრებებს, ასევე, სარჩელის საფუძვლიანობისა და დასაბუთებულობის თაობაზე, რომელი ფაქტობრივი გარემოება მიაჩნიათ დადასტურებულად და რომელი არა და ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი ამ გარემოებების შესახებ. მოსარჩელის, ხოლო შემდეგ მოპასუხის მიერ წარმოთქმული საპაექრო სიტყვის შემდეგ, მხარეებს უფლება აქვთ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთ-

ს

ვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 227-228-ე მუხლები); ე) მხარეთა პაექრობის შემდეგ სასამართლო გადის გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით, რომელშიც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი. თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ. გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბებს მოსამართლე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე, 245-ე, მუხლები). → **სასამართლო გადაწყვეტილება**; → **სასამართლო განჩინება**; → **გამარტივებული წარმოება**; → **საქმის წარმოების შეწყვეტა**; → **საქმის წარმოების განახლება**.

### სასაქონლო ნიშანი

სასაქონლო ნიშანი არის განსაკუთრებული უფლება და წარმოადგენს მისი მფლობელის ქონების საგანს. სასაქონლო ნიშანი არის როგორც რეგისტრირებული ნიშანი და იგი მიუთითებს საქონლის ან მომსახურების წარმოება-

ზე. სასაქონლო ნიშნის დეფინიცია მოცემულია სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში: სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი სანარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე სანარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან. სიმბოლო შეიძლება იყოს: სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე ადამიანის სახელი; ასოები; ციფრები; ბგერები; გამოსახულება; სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა ან შეფუთვა ისევე, როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით. სასაქონლო ნიშანზე უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში“ რეგისტრაციის საფუძველზე. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა ხორციელდება რეგისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

### სასაწყობო მონუმბო

1. სასაწყობო მონუმბოს საფუძველზე შემნახველი ვალდებულია გადასცეს საქონელი სასაწყობო მონუმბოს მფლობელს. სასაწყობო მონუმბოში უნდა აღინიშნოს შემდეგ მონაცემები: სასაწყობო მონუმბოს გაცემის თარიღი და რეგისტრაციის ნომერი; მხარეთა ვინაობა და მისამართი; შენახვის ადგილი; საქონლის შენახვის წესი; შესანახი საქონლის აღწერა (ოდენობა, ზომა ან წონა) და ხარისხი; საქონლის შეფუთვისას - შეფუთვის აღწერა; შენახვის საზღაურისა და სხვა აუცილებელი ხარჯების

ოდენობა; თუ შესანახი საქონელი დაზღვეულ უნდა იქნეს, მაშინ - სადაზღვევო თანხა; ხელშეკრულების მოქმედების ვადა; შემნახველის ხელმოწერა, დამონმებული შესაბამისი ბეჭდით (სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლი).

2. თუ სასაწყობო მონმობა გაცემულია როგორც საორდერო სასაწყობო მონმობა, მაშინ ეს მონმობა ინდოსამენტის მეშვეობით შეიძლება გადაეცეს მესამე პირს (სამოქალაქო კოდექსის 791-ე მუხლი). ამ შემთხვევაში სასაწყობო მონმობა წარმოადგენს → **საორდერო ფასიან ქალღდს**. სასაწყობო მონმობა წარმოშობს სამართლებრივ საფუძველს შემნახველსა და ამ მონმობით ლეგიტიმირებულ მფლობელს შორის და იგი წარმოადგენს ინდოსირებული სასაწყობო მონმობაში მითითებული პირობების სისწორის პრეზუმფციას. საქონლის მიღების უფლებამოსილება აქვს იმ პირს, რომელიც საორდერო სასაწყობო მონმობაში მითითებულია კანონიერ მფლობელად (სამოქალაქო კოდექსის 793-ე მუხლი). სასაწყობო მონმობის დაკარგვის ან მოსპობის შემთხვევაში მის კანონიერ მფლობელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სამართლოს და მოითხოვოს დაკარგული დოკუმენტის ბათილად ცნობა და მის ნაცვლად ახალი მონმობის გაცემა. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შემნახველი ხელახლა გასცემს სასაწყობო მონმობას (სამოქალაქო კოდექსის 794-ე მუხლი).

3. სასაწყობო მონმობის მფლობელს საგირავნო მონმობის საშუალებით შეუძლია საწყობში შესანახად მიბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ

საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი (ვარანტი, სამოქალაქო კოდექსის 790-ე მუხლი). სასაწყობო საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონლის დასაგირავებლად მესაკუთრემ საგირავნო მონმობაზე უნდა გააკეთოს სპეციალური წარწერა (→ **ინდოსამენტი**), რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მიმბარებლის, კრედიტორის ვინაობასა და ვალდებულების მოცულობას და ისე გადასცეს დაინტერესებულ პირს. კრედიტორისათვის საგირავნო მონმობის გადაცემის თაობაზე უნდა ეცნობოს შემნახველს (სამოქალაქო კოდექსის 795-ე მუხლი).

**სასკოლო სასწავლო გეგმა**

სასწავლო გეგმა, რომელიც კონკრეტული → **ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებისთვის აზუსტებს** → **ეროვნულ სასწავლო გეგმაში** მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

**სასწავლო გეგმა**

- **ეროვნული სასწავლო გეგმა;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა.**

**სასწავლო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტიურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფე-



## სასჯელი

ხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

### სასჯელი

არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს პირს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების (დანაშაულის) ჩადენისთვის (→ **სასჯელის მიზანი**). სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან განსხვავებით, სასჯელი იწვევს განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგს - → **ნასამართლობას**. სასჯელის სახეები: ა) → **ჯარიმა**; ბ) → **თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**; გ) → **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა**; დ) → **გამასწორებელი სამუშაო**; ე) → **სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა**; ვ) → **თავისუფლების შეზღუდვა**; ზ) → **ვადიანი თავისუფლების აღკვეთა**; თ) → **უვალო თავისუფლების აღკვეთა**; ი) → **ქონების ჩამორთმევა**. იურიდიული პირის სასჯელის სახეები: ა) → **ლიკვიდაცია**; ბ) → **საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**; გ) → **ჯარიმა**; დ) → **ქონების ჩამორთმევა**. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელთა ორ ჯგუფს ძირითად და დამატებით სასჯელებს. ძირითადი სასჯელი გამოიყენება დამოუკიდებლად და არ შეიძლება მისი სხვა სასჯელებთან შეერთება. ასეთ სასჯელთა რიცხვს მიეკუთვნება: გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვალო თა-

ვისუფლების აღკვეთა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად; ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დამატებითი სასჯელის დანიშვნა (სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლი). იურიდიული პირის შემთხვევაში ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად; ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ხოლო ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად (სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>3</sup>ე მუხლი).

### სასჯელისაგან გათავისუფლება

წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ნამახალისებელ ღონისძიებას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება (სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი), სასჯელის მოუხდეელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლი), სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო (სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი), სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის ან ქალისათვის, რომელსაც ჰყავს ხუთ წლამდე შვილი (სისხლის

სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი) და სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო (სისხლის სამართლის კოდექსის 76-ე მუხლი). ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელისაგან და მოათავსოს სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო აღმზრდელობით დაწესებულებაში (→ **სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება**). → **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება**; → **ამნისტია**; → **შენწყალება**; → **საპროცესო შეთანხმება**.

### სასჯელის დანიშვნა

დანაშაულის შემადგენლობათა უმეტეს ნაწილს გააჩნია კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები, რაც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, დანიშნოს ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისი სასჯელი (გამონაკლისია აბსოლუტური სასჯელების შემთხვევები: უვადო თავისუფლების აღკვეთა). სასჯელის დანიშვნის ძირითად პრინციპს პიროვნების ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს. ამ დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სა-

ხეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს (სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოსამართლეს შეუძლია სასჯელის დანიშვნის დროს შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიღოს, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუნყო ხელი დანაშაულის გახსნას. ასეთ შემთხვევაში სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამეოთხედს (სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლი). თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელიც. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელი შესაძლებელია დაინიშნოს → **დანაშაულთა ერთობლიობით** და განაჩენთა ერთობლიობით.

### სასჯელის დანიშვნის სხდომა

ინიშნება იმ შემთხვევაში, თუკი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი ვერდიქტი. სასჯელის დანიშვნის სხდომას ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც უნდა გაი-

მართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის მე-8 ნაწილი). სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვეთულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც. სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, სასჯელს ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს, რო-

მელიც კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

### სასჯელის მიზანი

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასჯელის მიზანს წარმოადგენს სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანია აგრეთვე, რომ მსჯავრებული და სხვა პირები განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით (სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაშასადამე, სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის მიზნები განისაზღვრება აბსოლუტურ და პრევენციულ თეორიათა სინთეზის გზით. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო პრევენციული თეორიის მიხედვით კი - ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (ზოგადი პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია). პოზიტიური ზოგადი პრევენციის დებულებას მიეკუთვნება კანონისა და სამართლისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის თავიდან აცილებას.

### სატისფაქცია

საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს მიერ საკუთარ ქმედებაზე მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებაში. სატისფაქცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი არ

არის ზიანის ანაზღაურება კომპენსაციის ან → რესტიტუციის გზით. სატისფაქცია შეიძლება გამოიხატოს ბოდისის მოხდით, სინანულის გამოთქმით, საკუთარი ქმედების უკანონობის აღიარებით და ა.შ.

**სატრანსპორტო დანაშაული**

**1.** სისხლის სამართლის კოდექსის 275-283-ე მუხლები ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სატრანსპორტო დანაშაულისათვის. აღნიშნული დანაშაულის კატეგორიას ძირითადად მიეკუთვნება ისეთი ქმედებები, რომლებიც არღვევენ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესებს, მაგალითად: რკინიგზის, წყლის საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლი), ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი), სატრანსპორტო საშუალების უხარისხო რემონტი, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გამოყენება (სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლი), სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გაუფარგისება (სისხლის სამართლის კოდექსის 278-ე მუხლი), ფრენის საერთაშორისო წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 280-ე მუხლი), ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის წესის დარღვევა (სისხლის სამართლის კოდექსის 281-ე მუხლი), მატარებლის თვითნებური გაჩერება (სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლი). სატრანსპორტო დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხის-

მგებლობის დასაკისრებლად უმეტეს შემთხვევებში აუცილებელია კანონში მითითებული შედეგის დადგომა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირი დაისჯება მხოლოდ მაშინ, თუ მის ქმედებას ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება მოყვა. სატრანსპორტო დანაშაულის ნორმათა უმრავლესობა ბლანკეტურია. მუხლში ზოგადად არის მითითებული ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევაზე. კონკრეტული წესი კი სხვადასხვა სპეციალურ კანონშია მოცემული. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლში მოცემული ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესი განსაზღვრულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონში. სატრანსპორტო დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ძირითად დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ქმედების მთვრალ მდგომარეობაში ჩადენა.

**სატრანსპორტო ექსპედიცია**

თავისი სამართლებრივი არსით, სატრანსპორტო ექსპედიცია არის დავალების ხელშეკრულება, რომლის მიზანია ექსპედიტორის მიერ თავისი სახელით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება შემკვეთის ხარჯზე (სამოქალაქო კოდექსის 730-ე მუხლი). ექსპედიტორის მოქმედებები მოიცავს, ტვირთის გადაზიდვის ორგანიზებას, განსაკუთრებით, სატრანსპორტო საშუალებისა და გზების უზრუნველყოფას. მხარეთა შეთან-

ს

ხმების საფუძველზე, სატრანსპორტო ექსპედიცია შეიძლება ითვალისწინებდეს დაზღვევას; ასევე, ექსპედიტორი ვალდებულია შეაფუთვინოს ტვირთი, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა (სამოქალაქო კოდექსის 732-ე, 734-ე მუხლები). ექსპედიტორს აქვს შეთანხმებული პროვიზიის მოთხოვნის უფლება, როცა იგი ტვირთს გადასცემს სატრანსპორტო ორგანიზაციას (სამოქალაქო კოდექსის 730-ე, 743-ე მუხლები). ექსპედიტორს უფლება აქვს საკუთარი ძალებით გადაზიდოს ტვირთი. ამ შემთხვევაში მას აქვს ტვირთის გადაზიდველის უფლებები და მოვალეობები. შესაბამისად, მას აქვს როგორც ექსპედიტორისათვის შეთანხმებული პროვიზიის, ისე ტვირთის გადაზიდვის საზღაურის მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 739-ე მუხლი; → **გადაზიდვის ხელშეკრულება**). ექსპედიტორის პასუხისმგებლობა, შემკვეთისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დამოკიდებულია მის ბრალეულობაზე და მას არ შეუძლია დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას; იგი პასუხს აგებს, აგრეთვე, იმ პირთა ბრალეულ ქმედებაზე, რომელთაც ექსპედიტორი ტვირთის გადაზიდვის საქმიანობისათვის იყენებს (სამოქალაქო კოდექსის 740-ე, 742-ე მუხლები). ექსპედიტორი მოვალეა გადასცეს შემკვეთს მოთხოვნა მესამე პირის წინააღმდეგ, თუ ზიანი გამოწვეულია მესამე პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 741-ე მუხლი).

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი**

→ **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.**

**საქართველოს კონტროლის პალატა**

→ კონტროლის პალატა.

**საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება განმარტებულია როგორც საქართველოს მიერ უცხო სახელმწიფოსთან (სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, განურჩევლად იმისა, წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება უცხო სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან იდება: ა) საქართველოს სახელით - სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება; ბ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით - მთავრობათაშორისი ხელშეკრულება; გ) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით - უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება. კერძოდ, საქართველოს სახელით იდება საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით ენიჭება სახელმწიფოთაშორისი ხასიათი, აგრეთვე ხელშეკრულება რომელიც ეხება: ა) ტერიტორიულ და ზავის საკითხებს; ბ) ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს; გ) მოქალაქეობას; დ) საქართვე-



ლოს მონანილეობას სახელმწიფოთაშორის კავშირებსა და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებში; ვ) საქართველოს ტერიტორიისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას; ზ) სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემას, სახელმწიფო გარანტიის გაცემას; აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით იღება საერთაშორისო ხელშეკრულება ყველა დანარჩენ საკითხზე ან ხელშეკრულება, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით ენიჭება მთავრობათაშორისი ხასიათი. ხოლო საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით იღება უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება საკითხებზე, რომლებიც მათ კომპეტენციას განეკუთვნება. გარდა ამისა, სასაზღვრო სფეროში უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას. სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი განკარგულების სახით. ხოლო გადაწყვეტილებას უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მისი ხელმოწერის შესახებ, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით, იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანების სახით.

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა**

სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა გულისხმობს როგორც საქართველოდან გასვლას, ისე საქართველოში შემოსვლას სათანადო დოკუმენტებისა და ნებართვის გარეშე (მაგალითად, საზღვრის გადაკვეთა ყალბი დოკუმენტისა და ასეთივე ბეჭდის გამოყენებით, ვადაგასული ან ყალბი პასპორტითა და ვიზით). უკანონოდ ჩაითვლება ასევე სახელმწიფო საზღვრის ყოველგვარი გადალახვა, თუ იგი ჩადენილია კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით აკრძალული წესით (მაგალითად, საზღვრის გადაკვეთა არასათანადო ადგილას). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულისათვის მიძიმდება, თუ მისი ჩადენა ხდება ჯგუფურად (→ **ჯგუფური დანაშაული**), ძალადობით ან ძალადობის მუქარით (მაგალითად მესაზღვრისთვის ან სხვა პირების მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენება). აღნიშნული გარემოებების არსებობისას ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ხუთ წლამდე. ამ დანაშაულისათვის არ აგებს პასუხს საქართველოში გადმოსული უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. ასევე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ პირსაც, თუ



## საქართველოს უზენაესი სასამართლო

აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე (→ ტრეფიკინგი).

## საქართველოს უზენაესი სასამართლო

→ სასამართლო.

### საქველმოქმედო საქმიანობა

საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება: ა) დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ განევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის: ა.ა) იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: ინვალიდებისათვის, მოხუცებულებისათვის, ობოლი ბავშვებისათვის, მარჩენალდაკარგულებისათვის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის – ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი ნევრებისათვის, ომების, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის; ა.ბ) ბავშვთა, მოხუცებულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, მოხუცებულთა სახლებისათვის, უფასო სასა-

დილოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის; ა.გ) საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის; ა.დ) რელიგიური ორგანიზაციებისათვის; ა.ე) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფიზიკური პირებისათვის – მათი ტალანტის განვითარების მიზნით; ა.ვ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის – მათში მოთავსებულ პირთა მოვლის ან სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით; ა.ზ) იმ პირებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას; ბ) ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება. ქველმოქმედებას არ მიეკუთვნება აღნიშნული საქმიანობა: ა) განხორციელებული სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ; ბ) განხორციელებული საწარმოს, პოლიტიკური პარტიის ან არჩევნებში მონაწილე სხვა საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად; გ) განხორციელებული ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ თავისი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებისათვის და მათი ნათესავებისათვის; დ) თუ ის რეკლამის შესახებ საქართველოს კანონით სპონსორობად ითვლება.

**საქვეყნო (საჯარო) სასამართლო სხდომა**

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე და აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. იგივეს ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველას ანიჭებს მისი საქმის საქვეყნო განხილვის უფლებას. ამასთანავე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს უფლება დაესწროს სასამართლოში საქმის საჯარო განხილვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქვეყნობის პრინციპი არ მოქმედებს შეზღუდვად. ვინაიდან, სასამართლოში საქმის საქვეყნო განხილვამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს ბრალდებულის, მონ მისა და პროცესის სხვა მონაწილეების კანონიერ ინტერესებს, სასამართლოს შეუძლია მხრის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე. შესაბამისად, სხდომა ნაწილობრივ ან სრულად დახურება, თუ ამას მოითხოვს პირის პროფესიული ან კომერციული საიდუმლობის დაცვა, ასევე პროცესის მონაწილის პირადი ცხოვრებისა და პირადი უსაფრთხოებს დაცვის ინტერესები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარდა ამისა, დახურულად ტარდება სასამართლოს სხდომა, რომელშიც არასრულწლოვანი ბრალდებული მონაწილეობს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე

მუხლის პირველი პუნქტი) ან როდესაც განიხილება სახელმწიფო საიდუმლობების შემცველი მასალები (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი). საქვეყნო სასამართლო განხილვის შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს წესრიგის დაცვის აუცილებლობით. საქვეყნობის პრინციპის დარღვევას არ ექნება ადგილი, თუ სხდომის თავმჯდომარე სასამართლო დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდვას დამსწრეთა რაოდენობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის პირველი ნაწილი). ასეთ შემთხვევაში სასამართლოს დარბაზს გარეთ დარჩენილ პირებს კანონი არ ანიჭებს იმის მოთხოვნის უფლებას, რომ სასამართლომ შედარებით დიდ დარბაზში გადაინაცვლოს სხდომის ჩასატარებლად. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია აგრეთვე: გააძევოს სასამართლო დარბაზიდან ის პირები, რომლებიც ხელს უშლიან საქმის განხილვას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილი), შეზღუდოს შეიარაღებული და შეუფერებელ ფორმაში გამოცხადებული პირების სხდომის დარბაზში დაშვება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-9 და 10-ე პუნქტები). სასამართლო პროცესის მონაწილეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად, შეზღუდულია სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია. სასამართლო პროცესის აუდიოვიზუალური მედიასაშუალებებით გაშუქების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება შე-

## საქმეთა დროებითი რწმუნებული

დის სასამართლოს დისკრეცი-  
ში (სისხლის სამართლის საპრო-  
ცესო კოდექსის მე-10 მუხლის  
მე-3 ნაწილი; ასევე, საერთო სა-  
სამართლოების შესახებ საქარ-  
თველოს კანონის მე-13 მუხლის  
მე-4 პუნქტი).

**საქმეთა დროებითი რწმუნებული**  
პირი, რომელიც → **დიპლომატი-  
ური წარმომადგენლობის მეთაუ-  
რის** მიერ მოვალეობათა დროებით  
შეუსრულებლობის შემთხვევა-  
ში ხელმძღვანელობს → **დიპლო-  
მატიური წარმომადგენლობის** მუ-  
შაობას. დიპლომატიური სამსა-  
ხურის შესახებ საქართველოს კა-  
ნონის 30-ე მუხლის მიხედვით, შე-  
საბამისი დიპლომატიური თანამ-  
დებობის პირი საქმეთა დროებით  
რწმუნებულად ინიშნება საქარ-  
თველოს საგარეო საქმეთა მინის-  
ტრის მიერ.

**საქმიანობის უფლების ჩამორ-  
თმევა**  
→ **თანამდებობის დაკავების ან**  
**საქმიანობის უფლების ჩამორ-  
თმევა.**

**საქმის არსებითი განხილვა სასა-  
მართლოში**

1. საქმის არსებითი განხილ-  
ვა სასამართლოში არის სისხლის  
სამართლის პროცესის ძირითა-  
დი სტადია, რომლის დროსაც სა-  
სამართლოს გამოაქვს საბოლოო  
გადაწყვეტილება ბრალდებულის  
დამნაშავეობისა თუ უდანაშაულო-  
ბის შესახებ. სისხლის სამართლის  
საქმეს არსებითად განიხილავს →  
**ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**  
ან რაიონული (საქალაქო) სა-  
სამართლოს მოსამართლე. სა-  
სამართლოში სისხლის სამარ-  
თლის საქმე განიხილება საქვეყ-  
ნობის (→ **საქვეყნო (საჯარო) სა-**

**სამართლო სხდომა**) და ზეპირო-  
ბის პრინციპების (→ **ზეპირი სა-  
სამართლო სხდომა**) მოთხოვნათა  
დაცვით. ასევე, საყურადღებოა,  
რომ სასამართლომ საქმე უცვლე-  
ლი შემადგენლობით უნდა განიხი-  
ლოს. თუ რომელიმე მოსამართლეს  
არ შეუძლია სასამართლო სხდო-  
მაში მონაწილეობის მიღება, მას  
ცვლიან იმავე სასამართლოს სხ-  
ვა მოსამართლით და საქმის განხი-  
ლვა ხელახლა იწყება, ცალკეუ-  
ლი გამონაკლისი შემთხვევების  
გარდა (სისხლის სამართლის საპ-  
როცესო კოდექსის 183-ე მუხ-  
ლი). ამასთან ერთად, სასამართ-  
ლო განხილვა მიმდინარეობს უწყ-  
ვეტად, გარდა შესვენებისათე-  
ვის საჭირო დროისა. სასამართ-  
ლოში საქმის განხილვის გადა-  
დება მხარის შუამდგომლობის  
საფუძველზე სასამართლოს გან-  
ჩინებით შესაძლებელია მხოლოდ  
მოსამართლის, ნაფიცი მსაჯუ-  
ლის, მხარის, მოწმის ან თარჯიმ-  
ნის გამოუცხადებლობის ან საგა-  
მოძიებო მოქმედების ჩატარების  
შემთხვევაში. მხარე ვალდებულია  
დადგენილ დროს გამოცხადდეს  
სასამართლო სხდომაზე. ბრალ-  
დებულის დაუსწრებლად საქმის  
განხილვა დასაშვებია, თუ იგი  
თავს არიდებს სასამართლოში გა-  
მოცხადებას. ასეთ შემთხვევა-  
ში, საქმის განხილვაში ბრალდებ-  
ულის ადვოკატის მონაწილეობა  
სავალდებულოა (სისხლის სამარ-  
თლის საპროცესო კოდექსის 189-ე  
მუხლის პირველი ნაწილი). საქ-  
მის არსებითი განხილვის სხდომას  
წარმართავს სხდომის თავმჯდო-  
მარე. სასამართლო სხდომა იწყება  
მოსამართლის მოხსენებით საქმის  
განხილვის დაწყების შესახებ. სა-  
სამართლო სხდომის მდივანი სა-  
სამართლოს მოახსენებს მხარეე-  
ბისა და მოწმეების გამოცხადების

ფაქტს და გამოუცხადებლობის მიზეზებს. ამის შემდეგ მოწმედ დასაკითხი პირები, გარდა ბრალდებულისა, ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადების და პროცესის მონაწილეთა საქმეში მონაწილეობის გამორიცხვის და აცილების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე ადგენს ბრალდებულის ვინაობას განუმარტავს მას უფლებებს. სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ, თუ საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ეს განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობითი სახითაც გადაეცემა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლი). ვიდრე მხარეები გადავლენ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე, ისინი გამოდიან შესავალი სიტყვით, რომლისთვისაც მათ სხდომის თავმჯდომარესგან განესაზღვრებათ გონივრული ვადა. მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ. პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვითონ წარმდგენი მხარე. ბრალდების მხარის

მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხრის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე. მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს მოწმის დაკითხვა ხორციელდება → **პირდაპირი დაკითხვისა** და → **ჯვარედინი დაკითხვის** გზით. სხვა მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება მხარის მიერ მათი დემონსტრირების ან მტკიცებულების შინაარსის საჯაროდ წაკითხვის გზით. მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ მხარეები გადადიან დასკვნითი სიტყვების წარდგენაზე. დასკვნით სიტყვას პირველად წარადგენს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე. მხარეებს უფლება არა აქვთ, გამოსვლებაში დაიმოწმონ მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში არ გამოკვლეულა. თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე ბრალმდებელი, ადვოკატი ან ბრალდებული, მაშინ სხდომის თავმჯდომარე მათ სთავაზობს, შეათანხმონ გამოსვლათა რიგითობა. პროცესის მონაწილეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ტარდება წილისყრა. დასკვნითი სიტყვისათვის სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. დასკვნითი სიტყვის წარდგენის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ, კიდევ ერთხელ, სხდომის თავმჯდომარის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, რეპლიკის სახით, მოკლედ გამოთქვან საწინააღმდეგო აზრი ან/და შენიშვნა. საბოლოო რეპლიკის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში აქვს დაცვის მხარეს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 252-ე მუხლი). მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვების წარდგენისა და რეპ-

## საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

ლიკით გამოსვლის შემდეგ, ბრალდებულს უფლება აქვს გამოვიდეს საბოლოო სიტყვით. სხდომის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ადგილზე თათბირით. თუ საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს კიდევ ერთხელ, რომლის შემდეგაც ნაფიცი მსაჯულები გადაიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად.

2. სამოქალაქო სამართალში → **სასარჩილო წარმოება**; → **გამართლებული წარმოება**; → **უდავო წარმოება**.

## საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად**, → **ადმინისტრაციული ორგანო** ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქ-

მის გადაწყვეტაზე. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპი → **ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია**. ფაქტობრივად, მასშია ასახული → **ადმინისტრაციული წარმოების არსი**. ადმინისტრაციული წარმოება და მის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კარგავს აზრს, თუკი გადაწყვეტილების ადრესატს არ ექნება იმის გარანტია და რწმენა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა მიუკერძოებლად. პრინციპში, რომ არავინ შეიძლება იყოს მოსამართლე თავის საქმეში, უფრო ძველია, ვიდრე ადმინისტრაციული სამართალი. სამართლებრივი სახელმწიფოების (მათ შორის საქართველოს) ადმინისტრაციულ სამართალში ამ პრინციპმა დაიმკვიდრა თავისი ადგილი. სზაკ-ის მე-8 მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის შინაარსის გასარკვევად უნდა დადგინდეს, თუ რას გულისხმობს „პირადი ინტერესი“ და რას წარმოადგენს „სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპის კონკრეტიზაცია და რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ის 92-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა წრეს, რომელსაც ეკრძალება საქმესთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება. აქედან გამომ-

დინარე, აუცილებელია სზაკ-ის მე-8 და 92-ე მუხლების შინაარსის ერთობლივად შეფასება. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა გულისხმობს იმას, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, ან იმ პირს, რომელსაც შეუძლია ზაგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე, არ უნდა გააჩნდეს პირადი ინტერესი, ანუ გადაწყვეტილება არ უნდა იყოს სარგებლის მომტანი მისთვის, ან მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისათვის. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე ზეგავლენის მქონე „სხვა გარემოებაში“ მოიაზრება ის შემთხვევა, როდესაც აშკარაა გადაწყვეტილების მიმღები პირის დაინტერესებული მხარისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე, ტენდენციური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

### საქმის წარმოების განახლება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების ორ სახეს: გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას. თუ ერთი და იგივე განმცხადებელი ან ორივე მხარე მოითხოვენ გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას, ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ

იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

1. დაინტერესებულ პირს განცხადებით შეუძლია მოითხოვოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელია, თუ მხარეს შეეძლო ზემო აღნიშნული საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი).

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა

## საქმის წარმოების განახლება

უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; აღნიშნული საფუძვლებით საქმის წარმოება განახლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სხვა შემთხვევებში დასაშვებია საქმის წარმოების განახლება, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა: ა) გაუქმებული სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას; ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო მხარისათვის ცნობილი და წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. გარდა ამისა, საქმის წარმოების განახლება შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინება) გამო, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. ამ შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს მოსარჩელე მხარისათვის შესაბამისი

კომპენსაციის მიკუთვნების საკითხს, თუ შესაძლებელია მიერ უფლებათა კეთილსინდისიერად მიღების გამო შეუძლებელია გადაწყვეტილების შეცვლა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი). 3. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომი სასამართლოს მიერ განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული, ხოლო თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი). როგორც წესი, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. თუ საქმის წარმოების განახლება შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ



საქმესთან დაკავშირებით, მაშინ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმორჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გამო (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლი).

4. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო განიხილავს განცხადების დასაშვებობას. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლო განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ხოლო თუ განცხადება დასაშვებია, სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი განხილვისათვის. თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით. ხოლო, თუ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით და განიხილავს საქმეს თავიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საქმის განახლების შესახებ განცხადება ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას. სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულე-

ბა. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-432-ე მუხლები).

### საქმის წარმოების დამთავრება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრების ორ ფორმას: საქმის წარმოების შეწყვეტასა და სარჩელის განუხილველად დატოვებას.

1. სასამართლოს განჩინებით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებია: საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის; არ არსებობს დავის საგანი; არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე; მხარეები → **მორიგდნენ**; საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა (→ **საპროცესო უფლებამონაცვლეობა**; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, შემდეგი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში: სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირ-



## საქმის წარმოების შეჩერება

მა; სარჩელი დაინტერესებულ პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება; სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადდა და მოპასუხე თანახმაა, რომ სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული; არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა; იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვება არ იწვევს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას და მხარეებს უფლება აქვთ კვლავ მიმართონ სასამართლოს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე, 278-ე მუხლები). → **სასარჩელო წარმოება**; → **საქმის წარმოების განახლება**; → **საქმის წარმოების შეჩერება**; → **დაუსრულებელი გადანყვეტილება**.

## საქმის წარმოების შეჩერება

სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279- მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მაგალითად, მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს ან მხარის მიერ → **ქმედუნარიანობის** დაკარგვისას; სხვა შემთხვევებში, მაგალითად, თუ

მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან განვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად ან იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში, სასამართლოს, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი). საქმის წარმოების შეჩერების ვადები დამოკიდებულია იმ საფუძველზე, რა საფუძვლითაც არის შეჩერებული საქმის წარმოება. საქმის წარმოება საერთო წესით განახლება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს საქმის წარმოების შეჩერება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი). → **სასარჩელო წარმოება**.

## საქმის წარმოების შეწყვეტა

→ საქმის წარმოების დამთავრება.

## საქონლის თავისუფალი გადაადგილება

საქონლის თავისუფალი გადაადგილება, სხვა ძირითად თავისუფლებებთან ერთად, → **ევროპული კავშირის** → **შიდა ბაზრის** განხორციელების და არსებობის ერთ-ერთ ნინაპირობას წარმოადგენს. საქონლის თავისუფალი გადაადგილება დარეგულირებულია ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 28-37-ე მუხლებით. საქონლის თავისუფალი გადაადგილების საფუძველს წარმოადგენენ ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის არსებული → **საბაჟო კავშირი** და წევრ სახელმწიფოთაშორის ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობითი შეზღუდვების, ასევე რაოდენობითი შეზღუდვების ექვივალენ-

ტური ეფექტის მქონე ღონისძიებების აკრძალვა. → **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს** გადაწყვეტილებების მიხედვით, რაოდენობით შეზღუდვას მიეკუთვნება ყველა ის ღონისძიება, რომელიც საქონლის იმპორტს ან ექსპორტს რაოდენობის ან ღირებულების მიხედვით ზღუდავს. ხოლო რაოდენობითი შეზღუდვების ექვივალენტურ ღონისძიებად ჩაითვლება ნევრი სახელმწიფოს ყველა ის რეგულაცია, რომელიც გამოსადეგია იმისათვის, რომ ირიბად ან უშუალოდ, ფაქტიურად ან პოტენციურად ხელყოს ევროპული კავშირის ფარგლებში ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, ეხება იგი მხოლოდ უცხოურ თუ ადგილობრივ პროდუქციასაც. ამასთან ვაჭრობის შეზღუდვას არ წარმოადგენენ ისეთი, როგორც ფორმალურად ასევე ფაქტიურად არადისკრიმინაციული ხასიათის შიდასახელმწიფოებრივი დებულებები, რომლებიც პროდუქციის გაყიდვის პირობებს ადგენენ (განსხვავებით თვით პროდუქტთან დაკავშირებული პირობებისა). ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 36-ე მუხლში მოცემულია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია რაოდენობრივი შეზღუდვისა და ექვივალენტური ეფექტის მქონე შეზღუდვის გამართლება. კერძოდ, ესენია: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; საზოგადოებრივი მორალი; ადამიანებისა და ცხოველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და მცენარეების დაცვა; ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვა. გარდა ამისა, არადისკრიმინაციული ხასიათის შეზღუდვის

გამართლება შესაძლებელია ასევე ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის ფარგლებში ჩამოყალიბებული საფუძვლებით.

### საქორწინო ხელშეკრულება

მეუღლეებს შეუძლიათ ქონებრივი უფლებები და მოვალეობები მოანქსრიგონ საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი). საქორწინო ხელშეკრულების დადება შესაძლებელია ქორწინების განმავლობაშიც და იგი ნამდვილობისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას და ნოტარიუსის მიერ დადასტურებას. შეზღუდულად ქმედუნარიანი პირის მიერ ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულება ნამდვილობისათვის საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი შეიძლება ცვლიდეს კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ დაუშვებელია ასეთი ხელშეკრულებით შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, ასევე, მათი უფლებამოვალეობანი შვილების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 1179-ე მუხლი). საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრა შეზღუდულია, თუ მისი ცალკეული დებულებები ეწინააღმდეგებიან კანონს ან ზნეობრივ ნორმებს, ასევე, თუ ის ერთ-ერთ მეუღლეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. → **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება.**

### საყოველთაო საერთაშორისო სამართალი

საყოველთაო საერთაშორისო სამართალი, იქნება ეს საერთაშო-



## საშინაო საქმეები

რისო ხელშეკრულების ნორმის თუ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ფორმით, მოქმედებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის მიმართ. შესაბამისად, იგი სავალდებულოა შესასრულებლად საერთაშორისო სამართლის იმ სუბიექტებისთვისაც, რომლებიც მის შექმნაში მონაწილეობას არ იღებდნენ (შეად. → **ლოკალური საერთაშორისო სამართალი**).

## საშინაო საქმეები

სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევა სხვა სახელმწიფოების მიერ. საშინაო საქმეებში ჩარევა არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. ასეთი დარღვევა, მაგალითად, სახეზეა აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ მიმღები სახელმწიფოს საარჩევნო კამპანიაში ჩარევისას, ან რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლების ნაადრევი (ნაჩქარევი) აღიარებისას. აღნიშნული-საგან განსხვავებით (აკრძალულ) ჩარევას არ წარმოადგენს სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭება. სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი (ჩარევის აკრძალვა) სახელმწიფოებს ასევე იცავს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებს. თუმცა ასეთ ორგანიზაციაში განეწინაურებით, სახელმწიფო ნებაყოფლობით, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე თმობს გარკვეულ სამართლებრივ პოზიციებს. ამიტომ, სახეზეა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში (საერთაშორისო სამართლის ნორმებით აკრძალ-

ული) ჩარევა საშინაოს საქმეებში განხილულ უნდა იქნას კონკრეტული საერთაშორისო საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარე.

## საშინაო საქმეებში ჩაურევლობა

საერთაშორისო სამართლის ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის შინაარსი განისაზღვრა გაეროს 1970 წლის დეკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, არცერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ აქვს უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩაერიოს, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში. საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს შეიარაღებული ჩარევა ან ჩარევის ყველა სხვა ფორმა ან ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ. არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე სახელმწიფოს დაქვემდებარებას და მისგან რაიმე უპირატესობის მიღებას. სახელმწიფოებს ეკრძალებათ ძალადობის გზით მეორე სახელმწიფოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისკენ მიმართული ძირგამომთხრელი, ტერორისტული ან შეიარაღებული საქმიანობის ორგანიზება, გაღვივება, ნაქეზება, დაფინანსება, დაშვება ან სხვა სახის მხარდაჭერა, ასევე მეორე სახელმწიფოში შიდა დაპირისპირებაში ჩარევა. გაეროს წესდება სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპიდან გამონაკლისად ადგენს სახელმწიფოს

მიმართ წესდების VII თავით დადგენილი იძულებითი ზომების გამოყენებას (შეად. → **გაეროს უშიშროების საბჭო**). სადავოა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის უგულვებელყოფის პრაქტიკა ე.წ. → **ჰუმანიტარული ინტერვენციის** განხორციელების ფარგლებში.

### საჩივარი

სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია მხარის მიერ შეტანილ იქნეს სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლის ქმედებასთან ან გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (მაგალითად, პროკურორის დადგენლება, მოსამართლის განჩინება). საჩივარს გააჩნია წერილობითი ფორმა. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული, რომელშიც აღინიშნება, თუ რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას. სასამართლოს ქმედების ან გადაწყვეტილების გამო საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში. საჩივრის გადაწყვეტამდე მისი შემტანი მხარე შეზღუდული არ არის, რომ უკან გაითხოვოს იგი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლი). საჩივრის დასამუშავების შემთხვევაში საჩივარს განიხილავს უფლებამოსილი ორგანო ან პირი. საჩივარი არ შეიძლება განიხილოს იმ პირმა, რომლის მოქმედება

ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლი). საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ; საჩივრის უარყოფის შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი). საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლი). → **ადმინისტრაციული საჩივარი**

### საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ეწოდება დოკუმენტს, რომელსაც → **ემიტენტი** გასცემს გადახდის დაპირებით. დოკუმენტის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა (სამოქალაქო კოდექსის 911-ე მუხლი). ემიტენტი ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება, თუ მას გადასცემენ ფასიანი ქაღალდს. მას შეუძლია დოკუმენტის მფლობელს ნაუყენოს ის შესაგებლები, რომლებიც გამომდინარეობს დოკუმენტიდან, მაგრამ მას არა აქვს უფლება დოკუმენტის მფლობელს ნაუყენოს ის შესაგებლები, რომელიც გამომდინარეობს მასსა და ადრინდელ მფლობელს შორის არსებული ურთიერთობიდან გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემდგომი მფლობელი დოკუმენტის შექმნისას შეგნებულად მოქმედებდა ემიტენტის საზიანოდ. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადაფორმება განსაზღვრული პირის სა-

## საწყისი ხაზები

ხელზე შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ემიტენტმა (სამოქალაქო კოდექსის 914-ე, 915-ე, 916-ე მუხლები). ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომიდან (სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლი).

## საწყისი ხაზები

საწყისი ხაზები დგინდება → **ტერიტორიული ზღვის**, → **განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა** და → **კონტინენტური შელვის** სიგანის ათვისების წერტილის განსაზღვრის მიზნით. საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში, საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის დებულებების შესაბამისად, საწყისი ხაზები განმარტებულია, როგორც სანაპირო ზოლი ზღვის მაქსიმალური უკუქცევის დროს ან სწორი ხაზები, რომლებიც აერთებენ ზღვაში ნაპირის ყველაზე დამორებული წერტილებს, ლუზაზე სადგომი რეიდების, ჰიდროტექნიკური და სხვა მუდმივი სანავსადგურო ნაგებობების ჩათვლით.

**სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულება** არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დანესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

## სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზაციად ცნობა

ცნობის ერთ-ერთი სახე, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები ცნობენ და ურთიერთობებს ამყარებენ სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზაციებთან (ეროვნული კომიტეტი, ეროვნული საბჭო). ცნობის ეს სახე თავდაპირველად გამოყენებული იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეების მიერ გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში არსებული წინააღმდეგობების მოძრაობების ხელმძღვანელ ორგანოებთან ურთიერთობების დამყარების მიზნით.

## სახელმწიფო

1. არის პირთა გაერთიანება ერთი პოლიტიკური ორგანიზმის ქვეშ, რომელსაც აქვს შემდეგი კომპონენტები: სახელმწიფო ტერიტორია, ხალხი და ხელისუფლება. სწორედ ხელისუფლებისა და განსაკუთრებული აპარატის მემკვიდრეობით იგი ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რაც უნდა იყოს კანონიერების, მართლწესრიგისა და სამართლებრივი სტაბილურობის გარანტი. არსებობს სახელმწიფოს მოწყობის სხვადასხვა ფორმა და წყობილება. საქართველოს სახელმწიფო ორგანიზებულია → **დემოკრატიის** პრინციპით.

2. სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტს.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური**  
→ **კონტროლის პალატა.**

**სახელმწიფო თანამდებობა**

არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი; აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დანესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

**სახელმწიფოთა უფლებამემკვიდრეობა**

ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ

მეორე სახელმწიფოს ჩანაცვლებას ტერიტორიასთან მიმართებაში უფლებებისა და მოვალეობების მიკუთვნებისა და განხორციელების თვალსაზრისით. უფლებამემკვიდრეობის საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ა) სახელმწიფო არსებობას შეწყვეტს ან ბ) ახალი სახელმწიფო წარმოიქმნება. კერძოდ, ასეთი გარემოებებს წარმოადგენს შემდეგი: ა) სახელმწიფო წყვეტს არსებობას და მის ტერიტორიაზე წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე ახალი სახელმწიფო; ბ) ორი ან მეტი სახელმწიფო ერთიანდება ერთ სახელმწიფოში, რომელიც მათ უფლებამემკვიდრეს წარმოადგენს; გ) ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოსთან შეერთება; დ) სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა და მასზე ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შექმნა; ე) ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილის გადასვლა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ (→ ცესია; → აღიუდიკაცია). სახელმწიფოთა უფლებამემკვიდრეობის საკითხები დარეგულირებულია ხელშეკრულებებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა უფლებამემკვიდრეობის შესახებ ვენის 1978 წლის კონვენციით და სახელმწიფო ქონებასთან, სახელმწიფო არქივებთან და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებით სახელმწიფოთა უფლებამემკვიდრეობის შესახებ ვენის 1983 წლის კონვენციით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კონვენცია სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე რაოდენობის მიერ არის რატიფიცირებული. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ კონვენციების დებულებების საკმაოდ დიდი ნაწილი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორ-

ს

## სახელმწიფოთაშორისი დავა

მებით დარეგულირებული საკითხების ფარგლებს სცილდება. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კონვენციები გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებენ დეკლარაციის პროცესში წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. აღნიშნული სახელმწიფოებისთვის მოქმედებს ე.წ. „ტაბულა რაზას“ (ლათ. „სუფთა დაფა“) პრინციპი, რომლის მიხედვითაც მათ არ ეკისრებათ ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ წინამორბედი სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან. სხვა მხრივ, ძირითადად, მოქმედებს, ე.წ. განგრძობადობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს წინამორბედი სახელმწიფოს ვალდებულებების მემკვიდრე სახელმწიფოსთვის უწყვეტად მოქმედებას.

### სახელმწიფოთაშორისი დავა

→ საერთაშორისო დავები.

სახელმწიფოთაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულება.

→ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება.

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა

→ სახელმწიფო თანამდებობა.

სახელმწიფოსა და მთავრობის ცნობა

სახელმწიფოს ცნობასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში ორი ძირითადი თეორია არსებობს: კონსტიტუციური და დეკლარაციული თეორიები. კონსტიტუციური თეორიის მიხედვით, წარმონაქმნი, რომელსაც სახელმწიფოს ნიშნები გააჩნია, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი

ხდება მხოლოდ მისი ცნობის შედეგად და მხოლოდ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც იგი ცნო. დეკლარაციული თეორიის მიხედვით, რომელიც დღესათვის გაბატონებულ შეხედულებას წარმოადგენს, თუ წარმონაქმნს სახელმწიფოს ნიშნები გააჩნია, ის უკვე არის სახელმწიფო და შესაბამისად საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ცნობის აქტი ამ ფაქტის უბრალო დადასტურებაა. პრინციპში, ცნობის აქტი მოიცავს როგორც კონსტიტუციურ, ისე დეკლარაციულ ელემენტებს. მასში მოცემული განცხადება იმის შესახებ, რომ ახალი სახელმწიფო წარმოიშვა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა, დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, რადგანაც ახალი სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ხდება წამოშობისთანავე. მაგრამ ცნობას გააჩნია ასევე კონსტიტუციური ბუნებაც. ცნობის საშუალებით ხდება ახალ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისათვის მზადყოფნის გამოხატვა. გარდა ოფიციალური განცხადებისა, ცნობა შეიძლება განხორციელდეს ახალ სახელმწიფოსთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით, ასევე ამ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით (მაგ. ელჩის გაგზავნით. საკონსულო ურთიერთობების დამყარება ცნობას არ ნიშნავს). ცნობა შეიძლება იყოს დე ფაქტო და დეიურე. დე იურე ცნობა საბოლოოა, ხოლო დე ფაქტო ცნობა გარკვეულწილად პირობითი ცნობაა და შეიცავს გარკვეულ უნდობლობას ახლადწარმოქმნილ ქვეყანასთან მიმართებაში. სახელმწიფოდ ნაადრევად ცნობა საერთაშორისო



სამართლებრივი დელიქტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ჩაურევლობის პრინციპს (**→ საშინაო საქმეებში ჩაურევლობა**). ნაადრევი ისეთი წარმონაქმნის სახელმწიფოდ ცნობა, რომელიც სახელმწიფოს ცნების წინაპირობებს ვერ აკმაყოფილებს. მთავრობების ცნობა აუცილებელი არ არის. ვიდრე დიპლომატიური ურთიერთობა სახელმწიფოსთან გრძელდება, ამ ურთიერთობების გაგრძელება ახალი მთავრობის ცნობასაც ნიშნავს. თუმცა მესამე სახელმწიფოებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, დაამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას ხელისუფლებაში მოსულ ახალ მთავრობასთან, თუ კვლავინდებურად გააგრძელებენ ურთიერთობას ძველ მთავრობასთან, რომელიც დევნილობაში იმყოფება ან ტერიტორიის მხოლოდ ერთ ნაწილს აკონტროლებს. მთავრობის ცნობის წინაპირობას წარმოადგენს მის მიერ ეფექტიანი ხელისუფლების განხორციელება სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მთავრობის ცნობა მისი ლეგიტიმურობის საკითხთან კავშირში არ არის.

### სახელმწიფო საზღვარი

სახელმწიფოს საზღვრებს წარმოადგენენ წარმოსახვითი თუ ბუნებაში არსებული ხაზები, რომლებიც შემოსაზღვრავენ **→ სახელმწიფოს ტერიტორიას**. თუ არ არსებობენ ბუნებრივი აღნიშვნის გარემოებები (მაგ. მდინარე), ხმელეთზე საზღვრები, როგორც წესი, მოინიშნება სპეციალური სასაზღვრო ნიშნულებით (მაგ. სასაზღვრო ბოძი). მდინარეზე გამავალი საზღვარი, როგორც წესი, გადის მდინარის შუაში, თუ მოცემული მდინარე არ გამოდგება ნაოსნობისათვის. სანაოსნო მდინარეე-

ბზე საზღვარი გადის ფარვატერის შუაში. სასაზღვრო მდინარეზე არსებულ ხიდებზე საზღვარი ყოველთვის ხიდის შუაში გადის. სასაზღვრო ტბები, როგორც წესი, დაყოფილია სანაპირო სახელმწიფოებს შორის (ზღვაზე სახელმწიფო ტერიტორიის საზღვრებთან დაკავშირებით **→ შიდა წყლები; → ტერიტორიული ზღვა**). საზღვრები შეიძლება დადგენილი იქნას, როგორც რელიეფური ნიშანთვისებების მიხედვით (მდინარე, ქედი და ა.შ.), ასევე გეომეტრიული მეთოდით (ნერტილებს შორის გავლებული სწორი ხაზით) და მერიდიანებისა და პარალელების მიხედვით. სახელმწიფო საზღვრების დადგენა ხდება, როგორც წესი, მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა იგი, ასევე, შეიძლება დადგინდეს საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმის, ან კიდევ ხანდაზმულობის საფუძველზე (**→ ტერიტორიის შექმნა ხანდაზმულობით**). საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, ნიაღს, საჰაერო სივრცეს - გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან. ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება: ა) ხმელეთზე - რელიეფის დამახასიათებელი ნერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით; ბ) ზღვაზე

## სახელმწიფო სასწავლო გრანტი

- საქართველოს ტერიტორიული წყლები და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით; გ) სანაოსნო მდინარეზე - მთავარი ფარვატერის ან ტალღევის შუაში; დ) არასანაოსნო მდინარეზე ან ნაკადულზე - შესაბამისად მდინარის ან ნაკადულის ანდა მისი მთავარი ტოტის შუაში; ე) ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე - სწორ ხაზზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე გავლის ნერტილებს ერთმანეთთან აერთებს; ვ) ხელოვნურ წყალსატევზე ან წყალსაცავზე - მისი შევსებამდე არსებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზის შესაბამისად; ზ) სასაზღვრო ზოლში მდებარე სარკინიგზო და ავტოსაგზაო ხიდებზე, კაშხლებსა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე - მათი გეგმის განივი ლერძის ან ნაგებობის შუაში, მიუხედავად იმისა, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი წყალზე.

## სახელმწიფო სასწავლო გრანტი

სახელმწიფოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტისთვის ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული უმაღლესი განათლების მქონე პირისთვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად.

## სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის შექენა

საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის შექენის შემდეგი ძირითადი ფორმები არსებობს: → ცესია, → ტერიტორიის შექენა ხანდაზმულობით, → ოკუპაცია, → ანექსია და → ადიუდიკაცია.

## სახელმწიფოს ტერიტორია

სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი. სახელმწიფო ტერიტორია არის სივრცე, რომელზეც სახელმწიფოს → სუვერენიტეტი ვრცელდება. იგი მოიცავს სახმელეთო ტერიტორიას, ამ ტერიტორიის წიაღს, → შიდა წყლებს, → ტერიტორიულ ზღვას და აღნიშნული სახმელეთო და საწყლო ტერიტორიის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეს. სახელმწიფო ტერიტორია შემოისაზღვრება → სახელმწიფო საზღვრით.

## სახელმწიფო ტერიტორია

არის ტერიტორიული სივრცე, სადაც კონკრეტული სახელმწიფო ახორციელებს ხელისუფლებას, ანუ ტერიტორია, რომელიც იმყოფება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ. შესაბამისად, სახელმწიფო ტერიტორიის ძირითადი ნიშნებია სახელმწიფოსადმი კუთვნილება და მისი უზენაესობა. სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავს, როგორც დედამიწის ზედაპირს კუნძულების ჩათვლით (ხმელეთი), ისევე წყლებსაც (ასევე შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვები), წიაღისეულს, რომელიც მოთავსებულია მისი ხმელეთისა და წყლების ქვეშ. ამასთან, წიაღისეულის სიღრმე არ იზღუდება და თეორიულად დედამიწის ცენტრამდე ვრცელდება. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს

ტერიტორია ასევე მოიცავს დასახლებული სივრცეების (სახმელეთო ზედაპირი და წყლები) თავზე მდებარე საჰაერო სივრცეს, რომელიც ასევე იმყოფება სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის ქვეშ.

**სახელმწიფო ტერიტორიის იჯარა** სახელმწიფოს მიერ მისი ტერიტორიის ნაწილის საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტისთვის დროებით ან განუსაზღვრელი ვადით, გარკვეული საფასურის მიღების საფუძველზე ან უფასოდ, გადაცემა მასზე საერთაშორისო სამართლის ამ სუბიექტის მიერ სრული → **იურისდიქციის** ან იურისდიქციის ნაწილის გავრცელების უფლებამოსილებით (მაგ. 1903 წლის ხელშეკრულების საფუძველზე პანამის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პანამის არხზე იურისდიქციის განხორციელების უფლების გადაცემა). სახელმწიფო ტერიტორიის იჯარით გადაცემა → **ტერიტორიულ სუვერენიტეტზე** ზეგავლენას არ ახდენს.

**საჯარო დაწესებულება** საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-3 თავის მიზნებისათვის განმარტებულია ამავე კოდექსის 27-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, ის მოიცავს → **ადმინისტრაციულ ორგანოს** და კერძო სამართლის პირებს სახელმწიფო ან → **ადგილობრივი თვითმმართველობის** ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსების ფარგლებში. საჯარო დაწესებულების ცნება უფრო ფართოა ვიდრე ადმინისტრაციული ორგანოს ცნება და ის მოიცავს სუბიექტებს, რომლებიც არ ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, მაგრამ რამდენადაც ქმედება ხორ-

ციელდება ბიუჯეტის თანხებიდან დაფინანსების ფარგლებში, ასეთი ქმედების მიმართ საზოგადოების ინტერესი მაღალია. საჯარო დაწესებულების ცნება შესაძლებლობას იძლევა კერძო სუბიექტების მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოექცეს → **საჯარო ინფორმაციის** ცნების ქვეშ და გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი.

**საჯარო ინფორმაცია** ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ → **საჯარო დაწესებულებაში** დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან → **მოსამსახურის** მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

**საჯარო მოსამსახურე** არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც საჯარო მოსამსახურის შესახებ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. საჯარო მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივი ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურის სახეები: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე, დამხმარე



მოსამსახურე, შტატგარეშე მოსამსახურე. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დანესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დანესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე. შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი: ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა; იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში; სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმა-

ყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს; არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა. სამსახურში შესვლისას, აგრეთვე შემდგომ ყოველწლიურად, მოსამსახურე (პრეტენდენტი) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს წარუდგენს თავისი და ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ ცნობას – დეკლარაციას. ქონებრივ მდგომარეობაში ამ კანონით იგულისხმება შენატანი ბანკში, ფასიანი ქაღალდები, სანარმოს დივიდენდები, მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც იმყოფება მოსამსახურის საკუთრებასა და თანასაკუთრებაში. დეკლარაციის წარდგენის, შენახვისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა. საჯარო დანესებულების ხელმძღვანელმა სამსახურში მიღებისას პირს ან შემდგომ საჯარო მოსამსახურეს შეიძლება მოსთხოვოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის წარდგენა, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. მოსამსახურე, რომელიც რეგისტრირებულია კანდიდატად სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, მოვალეა იხელმძღვანელოს საქართველოს საარჩევნო კანონ-

ს

მდებლობით. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 21-ე-36-ე მუხლები არ ვრცელდება პარლამენტის მიერ თანამდებობაზე არჩეულ ან დანიშნულ პირებზე, აგრეთვე პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე დანიშნულ პირებზე. მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშნვით ან არჩევით.

### საჯარო მოხელე

→ საჯარო მოსამსახურე.

### საჯარო რეესტრი

არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრების ერთობლიობა. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი არის ნივთსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნო-

ბის/იპოთეკის უფლების წარმოშობის, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი არის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების და უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი

→ იურიდიული პირი.

### საჯარო სამსახური

არის საქმიანობა სახელმწიფო და → ადგილობრივი თვითმმართველობის → სახაზინო (საბიუჯეტი) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია. საჯარო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად: სახელმწიფო სამსახური და სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში. სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: საქართველოს პარლამენტი, გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა, დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატებისა; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს მთავრო-

ს

## საჰაერო სივრცე

ბის კანცელარია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებები; საქართველოს იუსტიციის საბჭო; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს კონტროლის პალატა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და საავტოტოები; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, გარდა ამ ორგანოების ფრაქციათა აპარატებისა; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: საკრებულო; გამგეობა, მერია; მუნიციპალიტეტი.

## საჰაერო სივრცე

სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის, → შიდა წყლებისა და → ტერიტორიული ზღვის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე. აღნიშნული სივრცეზე მოცემული სახელმწიფოს → სუვერენიტეტი და → იურისდიქცია ვრცელდება. საქართველოს საჰაერო კოდექსის პირველი მუხლის მიხედვით, „საქართველოს საჰაერო სივრცე“ განმარტებულია, როგორც სახ-

მელეთო ტერიტორიისა და მასთან მიმდებარე შიდა ზღვის ტერიტორიული წყლების თავზე არსებული სივრცე. საქართველოს საზღვრის დაცვის შესახებ კანონში კი „საჰაერო სივრცე“ განმარტებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე (ატმოსფერო), რომელზედაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი. საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს სუვერენიტეტის მის საჰაერო სივრცეზე საქართველო ფლობს სრულ და განსაკუთრებულ სუვერენიტეტს საკუთარი ტერიტორიის თავზე არსებული საჰაერო სივრცეზე.

## სეკვესტრი

→ ნივთის იძულებითი მართვა;  
→ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

## სერვიტუტი

სერვიტუტი არის მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების (დატვირთული ან ე.წ. მომსახურე მიწის ნაკვეთი) სხვა მიწის ნაკვეთის ან უძრავი ქონების (ე.წ. გაბატონებული მიწის ნაკვეთი) სასარგებლოდ დატვირთვა. შინაარსობრივად, სერვიტუტი შეიძლება სამი სახით იქნეს გამოყენებული (სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლი):  
1. სხვა მიწის ნაკვეთის ან უძრავი ქონების მესაკუთრეს უფლება აქვს ისარგებლოს დატვირთული ნაკვეთით, (მაგალითად, გამოიყენოს იგი როგორც გზა თავის ნაკვეთთან დასაკავშირებლად);

2. დატვირთულ ნაკვეთზე სხვა მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ აიკრძალოს ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, (მაგალითად, განსაზღვრული სანარმოს მშენებლობა ან ღონისძიებების გამართვა);

3. გამორიცხულ იქნეს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების განხორციელება სხვა ნაკვეთის მიმართ (მაგალითად, საკუთრების ხელშეშლა). სერვიტუტი, როგორც წესი, სარგებლობის შეღავათს უნდა უქმნიდეს სხვა მიწის ნაკვეთს და არა პირადად ამ ნაკვეთის მესაკუთრეს. სამოქალაქო კოდექსის 248-ე მუხლი არ შეიძლება სხვა შინაარსის შემცველი იყოს, ვიდრე 247-ე მუხლი. სერვიტუტის არსი არ შეიძლება მდგომარეობდეს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის მიერ რაიმე პოზიტიური ქმედების განხორციელებაზე ან შეიცავდეს ისეთ კონკურენტულ აკრძალვებს, რომელიც სამართლებრივად განკარგვის თავისუფლებას შეეხება და არა მიწის ნაკვეთზე საკუთრების შინაარსს, მაგალითად, კონკურენტული სანარმოს მიერ განსაზღვრული პროდუქტების წარმოება. სერვიტუტის დატვირთვის, გადაცემის ან გაუქმებისათვის გამოიყენება უძრავი ნივთებისათვის განსაზღვრული წესები. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დასაშვებია, აგრეთვე, მესაკუთრის სერვიტუტიც (ე.ი. სერვიტუტით დატვირთვის შემთხვევაში ორივე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის ერთი და იგივე პირი). სერვიტუტით მოსარგებლეს, უფლების შეზღუდვის ან ხელშეშლის შემთხვევაში, აქვს იგივე უფლებები, რაც მესაკუთრეს; ამასთან, უფლების განხორციელების ხელშეშლის შემ-

თხვევაში, მას აქვს კეთილსინდისიერი მფლობელის უფლებები (სამოქალაქო კოდექსის 252-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლით რეგულირებული პირადი სერვიტუტის შინაარსი შეესაბამება 247-ე მუხლით განსაზღვრული სერვიტუტის ცნებას, მაგრამ იგი უფლებამოსილებას ანიჭებს არა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, არამედ სხვა პირს გამოიყენოს შენობა ან შენობის ნაწილი ბინად. ამიტომ დაუშვებელია პირადი სერვიტუტის სხვა პირისათვის გადაცემა.

## სესხი

1. სესხის ხელშეკრულების ძალით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლის თანახმად, სესხის შეპირება წარმოადგენს წინარე ხელშეკრულებას შემდეგში ნამდვილი სესხის ხელშეკრულების გასაფორმებლად. არსებული სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია ნოვაციის შედეგად გარდაიქმნას სესხის ახალ ხელშეკრულებად (ანუ განხორციელდეს ეგრეთ წოდებული „სესხის გადაფარვა“). სესხის ხელშეკრულება არის მნიშვნელოვანი საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები, როგორცაა → **თავდებობა**, → **გირავნობა**, → **იპოთეკა** და ა.შ. სესხის ხელშეკრულებისათვის მოქმედებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი წესები.

2. სესხი დაბრუნებულ უნდა იქნას შეთანხმებული დროის გას-

## სინდისის თავისუფლება

ვლისთანავე. თუ სესხის დაბრუნების ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ იგი დაბრუნებულ უნდა იქნას კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლით განსაზღვრული სესხის ხელშეკრულების სამი თვის ვადა არ საჭიროებს დაცვას და გამსესხებელს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა და ამის გამო საფრთხე შეექმნა სესხის დაბრუნების მოთხოვნას. გამსესხებლის ეს უფლება არსებობს მაშინაც, როცა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა გამსესხებლისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლი). სესხის ხელშეკრულებისათვის არ არის განსაზღვრული ფორმა დადგენილი და მისი დადება შეიძლება ზეპირადაც. ზეპირი ხელშეკრულების დადების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი).

## სინდისის თავისუფლება

→ **რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.**

### “სისხლის” პრინციპი

*ius sanguinis* - დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიხედვითაც ბავშვს მოქალაქეობა ენიჭება მშობლების მოქალაქეობის მიხედვით და მხედველობაში არ მიიღება დაბადების ადგილი. საპირისპირო მნიშვნელობისაა ე.წ. → „**ნიადაგის“ პრინციპი.** საქარ-

თველოს კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის დაბადებით მოპოვების საფუძვლად, იმ შემთხვევაში თუ ორივე მშობელი საქართველოს მოქალაქეა, „სისხლის“ პრინციპს აღიარებს. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ბავშვის მხოლოდ ერთი მშობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს კანონმდებლობა გარკვეულ წინაპირობებს აყენებს „სისხლის“ პრინციპის გამოყენებისათვის. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, თუკი ბავშვის მხოლოდ ერთი მშობელია საქართველოს მოქალაქე, ბავშვი ასევე ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: ა) დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; ბ) დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; გ) ერთ-ერთი მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის (დაბადების ადგილის მიუხედავად) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე - მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცნობია. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა და ორივე მშობელი ამასთან ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მოქალაქეობის საკითხი ნყდება მშობელთა შეთანხმებით,



მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში - იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც ბავშვი დაიბადა. ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა „სისხლის“ პრინციპის გამოყენების საკითხს მშობლების გადაწყვეტილებას უკავშირებს.

**სისხლის სამართალი**

სისხლის სამართალი მოიცავს იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შინაარსსა და ფარგლებს. სისხლის სამართალი მიეკუთვნება საჯარო სამართლის ნაწილს, რადგან იგი სახელმწიფოსა და ცალკეულ პიროვნებებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. ერთმანეთისგან განასხვავებენ მატერიალურ და ფორმალურ სისხლის სამართალს. მატერიალური სისხლის სამართალი განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს, დანაშაულად გამოცხადებულ ქმედებებს, მათთვის დაწესებულ სასჯელის სახეებსა და ოდენობას, სასჯელის დანიშვნისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. ფორმალური სისხლის სამართალი, იგივე → **სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი** წარმოადგენს სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების შესახებ, რომლის დროსაც გამოყენებას პპოვებს აგრეთვე მატერიალური სისხლის სამართალიც. მოქმედი სისხლის სამართალი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს → **ქმედებას** და არა (კრიმინალს) პიროვნებას; მაშასადამე, სისხლის სამართალი წარმოად-

გენს ქმედების და არა პიროვნების სამართალს. მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულისა და სასჯელისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. ცალკეულ დანაშაულთა და სასჯელთა სპეციფიკა ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში.

**სისხლისსამართლებრივი დევნა**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწყება პირის დაკავებისთანავე (→ **დაკავება**) ან ბრალდებულად ცნობისთანავე (→ **ბრალდებულად ცნობა**) (თუ ის არ დაუკავებიან). სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებათა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-16 და 166-ე მუხლები). პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე სცნოს პირი ბრალდებულად ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რა დროსაც იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან.



**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება**

წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ წამახალისებელ ღონისძიებას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ქმედითი მონაწილის, დაზარალებულთან შერიგების, ვითარების შეცვლის, საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის ან ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში. ა) ქმედითი მონაწილის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას და თუკი იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი (სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი). ქმედითი მონაწილის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა სხვა კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლი (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა). ბ) დაზარალებულთან შერიგების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პირი, რომელმაც პირვე-

ლად ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას და თუკი იგი შეურიგდა დაზარალებულს (სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლი). გ) ვითარების შეცვლის გამო დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია (სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლი). ვითარების შეცვლა გულისხმობს ყოველ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებასთან, ან კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებაში ვითარების შეცვლას. დ) საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ბრალდებულია გათავისუფლება შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობების შექმნა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გათავისუფლოს ბრალდებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან (სისხლის სამართლის კოდექსის 70<sup>1</sup>-ე მუხლი). ე) ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუ-

ს

ხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ → **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა.**

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი**  
→ **ბრალუნარიანობა.**

**სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა** სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლთ დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიცემის შემდეგი ხანდაზმულობის ვადები: ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; თხუთმეტი წელი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე–342<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს; ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. აღნიშნული ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობის მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავეს დაკავების ან ბრალის აღიარებით გა-

მოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება აგრეთვე იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ დაუმეგებელია ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიცემა.

**სისხლის სამართლის კოდექსი**  
→ **სისხლის სამართლის** ძირითადი ნორმები და დებულებები თავმოყრილია სისხლის სამართლის კოდექსში. სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილისაგან. ზოგადი ნაწილი შეიცავს ნორმებს სისხლის სამართლის ისეთი ძირითადი ინსტიტუტების შესახებ, როგორცაა მაგალითად, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები, დანაშაული, დაუმთავრებელი დანაშაული, დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, სასჯელი, სასჯელისაგან გათავისუფლება და ა.შ. ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობები და მათი განხორციელებისათვის გათვალისწინებული სასჯელები ასახულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. დღეს მოქმედებს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსი. საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს რომის სტატუტი (მასში მოცემულია დანაშაულის ისეთი შემად-



## სისხლის სამართლის პროცესი

გენლობები როგორც არის, გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ომის დანაშაული და აგრესია), რომელიც დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ არ არის რატიფიცირებული. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავეს საკუთარი ნორმები და გააფორმეს ბილატერალური ხელშეკრულებები, რათა მათი მოქალაქეები არ დაექვემდებარონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას.

### სისხლის სამართლის პროცესი

არის კანონით მონესრიგებული პროცედურა, რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლოს მიერ პირის დამნაშავეობასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება (გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი). სისხლის სამართლის პროცესის მეშვეობით ხდება მატერიალური სისხლის სამართლის ნორმების რეალიზაცია და დარღვეული სამართლებრივი წესრიგის აღდგენა. სისხლის სამართლის პროცესი მონესრიგებულია ფორმალური სისხლის სამართლის ნორმებით, რომლებიც ქმნიან ე.წ. სისხლის საპროცესო სამართალს. სისხლის სამართლის პროცესი მოიცავს შემდეგ სტადიებს: → **გამოძიება** (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლი), → **წინასასამართლო სხდომა** (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი), → **საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში** (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლი), სასამართლო განაჩენის

დადგენა და აღსრულება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლი), სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება (→ **აპელაცია**, → **კასაცია** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლი) და გამონაკლის შემთხვევებში → **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა** (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი). სისხლის საპროცესო სამართლის ძირითადი წყაროა 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მოქმედებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. გარდა ამისა სისხლის საპროცესო სამართლის ნორმები თავმოყრილია საქართველოს სხვა კანონებში: პატიმრობის კოდექსი (2010 წლის 9 მარტი), არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი (2007 წლის 19 ივნისი), პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონი (2008 წლის 21 ოქტომბერი) და სხვა.

### სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ პროცესს (ვინრო გაგება) და ასევე ის პირებიც, რომლებიც უშუალოდ არ აწარმოებენ პროცესს, მაგრამ კანონით მინიჭებული აქვრ გარკვეული პროცესუალური უფლება-მოვალეობები (ფართო გაგება). ვინრო გაგებით პროცესის მონაწილეები არიან → **სასამართლო**, → **პროკურორი**, → **გამომძიებელი**, → **ბრალდებული** და მისი → **დამცველი**, ხოლო ფართო გაგებით → **მონწე**, → **დაზარალებული**, → **ექსპერტი**, → **თარჯი-**

**მანი, → სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae).**

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო**

მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1998 წლის 17 ივლისს რომის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების“ საფუძველზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წესდება ძალაში შევიდა 2002 წლის პირველ ივლისს. აქტუალური მდგომარეობით, მისი მხარეა 116 სახელმწიფო. სასამართლო შედგება 18 მოსამართლისგან. სასამართლოს წევრები აირჩევიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მხარე სახელმწიფოების ასამბლეის მიერ 9 წლის ვადით. ხელახლა არჩევა შესაძლებელია. მოსამართლეების შერჩევისას ხდება გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის გათვალისწინება. კერძოდ, აქტუალური მდგომარეობით, 3 მოსამართლე არის წარმოდგენილი აფრიკული სახელმწიფოებიდან, 4 - ლათინური ამერიკიდან, 2 აღმოსავლეთ ევროპიდან, 2 - აზიიდან და 7 - დასავლეთ ევროპიდან და სხვა რეგიონებიდან. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გააჩნია იურისდიქცია გამოიძიოს და განახორციელოს დევნა შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სამხედრო დანაშაულები და ასევე - მას შემდეგ, რაც განისაზღვრება შესაბამისი ცნება - აგრესია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოი-

ყენოს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები, როდესაც შესაბამის სახელმწიფოს არ სურს ან არ შესწევს უნარი სათანადოდ წარმართოს გამოძიება ან განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს სახელმწიფოთა უუნარობა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის მთლიანი ან არსებითი მოშლის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ან თუ სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება. საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების რატიფიცირება მოახდინა 2003 წლის 16 ივლისს. 2003 წლის 14 აგვისტოს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ. რომელიც არეგულირებს საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს, განსაზღვრავს საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსა და საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობისას სამართლებრივი ურთიერთდახმარების ფორმებს.

**სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი**  
→ სისხლის სამართლის პროცესი.

**სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება**  
საქართველოს → კონსტიტუციის



## სიცოცხლის მოსპობა

მე-19 მუხლი იცავს სიტყვისა და აზრის თავისუფლებას. კონსტიტუციურ რანგთან ერთად, ჩვეულებრივი კანონის დონეზეც არის დაცული „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, რაც თანმხვედრია კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებისა. აღნიშნული მოიცავს არა მხოლოდ საკუთარი მოსაზრების ქონას, არამედ მის აქტიურ გამოხატვასაც, რასაც კარგად აკონკრეტებს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. ამასთან, დაცულია საკუთარი აზრის, როგორც შეფასების გამოხატვა, აქტიური გავრცელება და პროპაგირება. აზრი, სიტყვა ეს არის დემოკრატიული წყობილების არსებითი შემადგენელი ნაწილი, თუმცა, მისი გამოხატვაც პოვნებს ფარგლებს იქ, სადაც იწყება შემხებლობა სხვა პირთა უფლებებთან (კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი). სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების გამოვლინებაა პრესისა და → **მედიის თავისუფლება**, ინფორმაციის თავისუფლება (24-ე მუხლი), ასევე შემოქმედების თავისუფლება (23-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

## სიცოცხლის მოსპობა

სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია ორი ან მეტი პირის მიმართ, რომლის შემთხვევაშიც იგი ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით. სიცოცხლის მოსპობა, განსხვავებით მკვლელობისა-

გან, შესაძლოა ჩადენილი იქნეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით (გაუფრთხილებლობის შესახებ → **ბრალი**). შესაბამისად, ამ დროს პირი არღვევს წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს (მაგ., ცეცხლთან, ქიმიურ ნივთიერებებთან და ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ საგნებთან დაუდევარი მოპყრობა).

## სკოლის მანდატური

1. შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სკოლის მანდატურის სამსახურს (შემდგომში – სკოლის მანდატურის სამსახური), რომლის ამოცანაა სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. სკოლის მანდატურის სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. სკოლის მანდატურად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 20 წლის ასაკიდან, თუ იგი ფლობს სახელმწიფო ენას, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გავლილი აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინ-

ისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები, რომლებიც სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს და სკოლის მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სკოლის მანდატური ატარებს სამსახურებრივ ფორმას. სკოლის მანდატურის სამსახურებრივ ფორმას ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

3. სკოლის მანდატურის უფლებამოვალეობებია: ა) სკოლის შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლი; ბ) სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა ქმედების შესახებ, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას); გ) სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის ან მასწავლებლის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მათი კონტროლი; დ) მოსწავლეებისთვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან და მათ შედეგებთან

დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება; ე) მოსწავლეთა მშობლებისა და სკოლის დირექციის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ; ვ) საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა, სკოლაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა; ზ) დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება; თ) სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა; ი) სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლი; კ) სკოლაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საჯარო სკოლაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და სკოლის დირექტორისათვის და სკოლის მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა; ლ) სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა; მ) დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება; ნ) სპეციალური საშუალებების გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით პირ-

## სოლიდარული ვალდებულება

დაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. სკოლის მანდატური უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, სააკველაციო კომიტეტის სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები.

## სოლიდარული ვალდებულება

თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს (სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი). სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა → **ხელშეკრულებით** ან კანონით, მაგალითად, რამდენიმე პირის → **დელიქტური პასუხისმგებლობის** შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი). თუ ვალდებულების საგანი არის განუყოფადი, მაშინ ყოველთვის მოცემულია სოლიდარული ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლი). გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სოლიდარული ვალდებულების წინაპირობას ყოველთვის არ წარმოადგენს ერთიანი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, მაგრამ აუცილებელი პირობა არის სხვადასხვა ვალდებულებებს შორის განსაზღვრული შინაგანი კავშირი (ობიექტური მიზნობრიობა). ეს წინაპირობა არ არის მოცემული, თუ რამდენიმე პირი ერთი და იმავე მოვლენასთან დაკავშირებულია (მაგა-

ლითად, ქურდი და ნივთის შემნახველი, რომელმაც დაარღვია შენახვის ვალდებულება), მაშინ მოცემულია ე.წ. მოჩვენებითი სოლიდარული ვალდებულება, რომელზეც სოლიდარული ვალდებულების ნორმები, როგორც წესი, არ გამოიყენება. გაბატონებული შეხედულება, მონაწილეთა შორის სამართლიანი კომპენსაციის გამო, მკაცრად არ იცავს ობიექტური მიზნობრიობის კრიტერიუმს და მოთხოვნების განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლების მიუხედავად, მოცემულად მიიჩნევს, მაგალითად, არქიტექტორისა და მშენებელის სოლიდარულ ვალდებულებას, როდესაც მათი საერთო საქმიანობა მშენებლობის ხარვეზით დასრულდა ან ნივთის ქურდი და პირი, რომელმაც ნაქურდალი ნივთი შეიძინა. ძირითადად, სხვადასხვა სოლიდარული ვალდებულებები არსებობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ფაქტები, რომლებიც მხოლოდ ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებულია, მაგალითად, → **ვალდებულების შეუძლებლობა**, → **მოვალის მიერ ვადის გადაცილება**, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**, → **ხანდაზმულობა** ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილებები, როგორც წესი, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 468-ე, 470-ე მუხლის მეორე ნაწილი, 476-ე მუხლები). ვალდებულების შესრულებამდე ყველა სოლიდარული მოვალე რჩება კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელი. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად → **შესრულება**, ისევე



როგორც, სხვა შესრულების მიღება, → **დეპონირება** ან → **გაქვითვა**, ათავისუფლებს შესრულები-საგან დანარჩენ მოვალეებს (სამოქალაქო კოდექსის 467-ე მუხლი). მაგრამ თითოეულ სოლიდარულ მოვალეს მხოლოდ თავისი მოთხოვნით შეუძლია გაქვითვა. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შედეგები ძალაშია დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც (სამოქალაქო კოდექსის 470-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ხელშეკრულებიდან ან კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, სოლიდარული მოვალეები ერთმანეთთან მიმართებაში ვალდებულების შესასრულებლად თანაბარი წილებით არიან პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარეობს, რომ მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე (სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი). უკუუმოთხოვნის უფლება შეიძლება, ასევე, გამომდინარეობდეს სოლიდარულ მოვალეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით შექმნილ → **ამხანაგობის** ნევრებს შორის. დაბოლოს, სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლი განსაზღვრავს კრედიტორის ვალის დათმობას სოლიდარული მოვალეების მიმართ იმ მოვალესთვის, რომელმაც შეასრულა ვალდებულება. შესაბამისად, მისი უკუუმოთხოვნა ეფუძნება საკუთარ უფლებას.

**სოლიდარული კრედიტორები**

თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულს შეუძლია მთლიანი შესრუ-

ლების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულად უფლებამოსილ პირებს - სოლიდარულ კრედიტორებს (სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლი). მოვალეს მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ერთ-ერთ კრედიტორის მიმართ ათავისუფლებს მას სხვა კრედიტორების წინაშე (სამოქალაქო კოდექსის 458-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, დანარჩენ კრედიტორებს წარმოეშობათ უკუუმოთხოვნა ვალდებულების მიმღები კრედიტორის მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე (სამოქალაქო კოდექსის 462-ე მუხლი). სოლიდარული კრედიტორობის წარმოშობა და შინაარსის განსაზღვრა ხდება იგივე წესით, როგორც ეს → **სოლიდარული ვალდებულების** შემთხვევაშია მოცემული. სოლიდარული კრედიტორობა განსხვავდება საერთო საკუთრებისაგან, რომლის შემთხვევაშიც თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ (სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი); → **თანამემკვიდრეები**.

**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ეწოდება → **იურიდიულ პირს**, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორები) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა → **სამენარმო საქმიანობას** და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვა-

ლები (→ **სოლიდარული ვალდებულება**), მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორი ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევის მიზნით, კრედიტორი ვალდებულია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სააღსრულებო ფურცელთან ერთად მოიპოვოს ასევე სააღსრულებო ფურცელი პარტნიორების მიმართ (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი).

### სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომელიც, განსხვავებით → **ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან**, მხოლოდ ცალკეულ სფეროში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას მოიცავს. სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია შეიძლება იყოს როგორც უნივერსალური, ისე რეგიონალური ხასიათის (შეად. → **უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია**; → **რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია**). უნივერსალური ხასიათის სპეციალიზებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენენ მაგ. → **გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები**. რეგიონალური ხასიათის სპეციალიზებული ორგანიზაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს → **თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია**.

### სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება

არის → **აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების ერთ-ერთი სახე**. სასამართლოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავ-

რდებული არასრულწლოვანი გაათავისუფლოს სასჯელისაგან და იგი მოათავსოს სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო აღმზრდელობით დაწესებულებაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელის მიზნები მიიღწევა არასრულწლოვანის სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსებითაც. ამ დაწესებულებაში ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ვადას (სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი). არასრულწლოვნის სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეიძლება შეწყდეს ვადადღე, თუ სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დასკვნით მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის ამ ღონისძიების შემდგომი გამოყენება. არასრულწლოვნის სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნის ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიული მომზადების დასამთავრებლად (სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

### სპეციალური მისია

კონკრეტული საკითხის მოგვარების მიზნით წარგზავნილი სპეციალური, დროებითი ხასიათის, მისია. → **სპეციალური მისიების შესახებ 1973 წლის კონვენციის** პირველი მუხლის მიხედვით, ტერმინი „სპეციალური მისია“ აღნიშნავს სახელმწიფოს წარმომად-

გენელ დროებით მისიას, რომელიც აღნიშნული სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში ამ უკანასკნელის თანხმობით არის წარგზავნილი კონკრეტულ საკითხებზე მოლაპარაკების საწარმოებლად ან სხვა დავალების შესასრულებლად.

**სპეციალური მისიების შესახებ 1973 წლის კონვენცია**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1969 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1985 წლის წლის 21 ივნისს. აქტუალური მდგომარეობით კონვენცია რატიფიცირებული აქვს 38 სახელმწიფოს. კონვენცია არეგულირებს კონკრეტული საკითხის მოგვარების მიზნით წარგზავნილი სპეციალური, დროებითი ხასიათის, მისიების (→ **სპეციალური მისია**) სამართლებრივ სტატუსს.

**სრული პროფესორი**

→ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების** → **აკადემიური თანამდებობის** მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

**სრულწლოვანება**

პირი სრულწლოვანია, რომელმაც მიიღწია თვრამეტი წლის ასაკს (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნულისგან განსხვავებით, სხვადასხვა ასაკის ადამიანმა შესაძლებელია მოიპოვოს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებები (→ **ჩანასახი**; → **ქმედუნარიანობა**). არასრულწლოვანის ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგების შესახებ მისი ქმედუნარიანად გახდომის შემთხვევაში, → **გარიგება**.

**სტატუტი**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ადგენს საერთაშორისო ორგანოს მიზნებს, ფუნქციას, სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს (მაგ. გაეროს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუსი).

**სტუდენტი**

პირი, რომელიც → **უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა** და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს → **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში** ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

**სუბორდინაციის თეორია**

განპირობებულია და გულისხმობს სუბიექტებს შორის დაქვემდებარებულ ურთიერთობას, რაც დამახასიათებელია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის (გარდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა, სადაც სახელ-



## სუვერენიტეტი

შეკრულებო ურთიერთობები წესრიგდება ერთ საფეხურზე, თანასწორ მხარეებს შორის). სწორედ აღნიშნული თეორიის მიხედვით ხდება საჯარო და კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა და ასევე დებულებათა ურთიერთგამიჯვნა. ე.წ. მოდიფიცირებული სუბორდინაციის თეორიის თანახმად საჯარო-სამართლებრივია ნორმა, თუ ის უფლებებსა და ვალდებულებებს მხოლოდ სახელმწიფოს ან მის წარმომადგენელს ანიჭებს, მაშინ, როდესაც კერძო-სამართლებრივი ნორმა ყველასათვის სავალდებულოა. თუმცა, დავების შემთხვევაში (ადმინისტრაციული და სამოქალაქო სასამართლოების განსჯადობის) გამიჯვნა ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი კანონმდებლობით წყდება სადავო საკითხი.

## სუვერენიტეტი

როგორც სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის ცნება (ფრანგ. souveraineté — უზენაესი ხელისუფლება) უკავშირდება Jean Bodin-ის (ჟან ბოდენი, 1530 – 1596 წწ.) სახელს. სუვერენიტეტი უმთავრესად ნიშნავს სახელმწიფოს ნიშან-თვისებას, რომელიც გულისხმობს მის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, მის უზენაესობას მისსავე ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, სუვერენიტეტის ცნება თავისთავად მოიაზრებს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. ეს არის სახელმწიფოს უზენაესობა მის სამინაო საქმეებში და დამოუკიდებლობა საგარეო ურთიერთობებში. ამასთან, სუვერენიტეტის თანამედროვე მნიშვნელობა არ გულისხმობს შეუზღუდავ, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას. შესაბამისად, სუვერენულია სახელმწიფო, რომელიც საერ-

თაშორისო ურთიერთობებში არ არის დაქვემდებარებული სხვა სახელმწიფოს წებას და არ ექვემდებარება სხვა რომელიმე სამართალწესრიგს, გარდა საერთაშორისო სამართლისა. სახელმწიფოთა → **სუვერენული თანასწორობის** პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

## სუვერენული თანასწორობა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. გაეროს წესდების მე-2 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სწორედ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს ეყრდნობა გაერო. აღნიშნული პრინციპის შინაარსი განსაზღვრულია გაეროს 1970 წლის დეკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ასევე ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტით. კერძოდ, სუვერენული თანასწორობა გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო თანამეგობრობის თანასწორუფლებიან წევრებს წარმოადგენენ, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის მახასიათებლების მიუხედავად. სუვერენული თანასწორობის ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სახელმწიფოები სამართლებრივად თანასწორნი არიან; თითოელი სახელმწიფო სარგებლობს უფლებებით, რომელიც ახასიათებს სრულ სუვერენიტეტს; თითოელი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს სხვა სახელმწიფოების სამართალს უზღუდვას; ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა; თითოელ სახელმწიფოს აქვს უფლება თავისუფლად შეარჩიოს და განავითაროს თავისი

პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემა; თითოეული სახელმწიფო ვალდებულია სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები; მშვიდობიანი თანაარსებობა.

### სუზერენიტეტი

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ფორმა, როდესაც ერთი სახელმწიფო (სუზერენი) მეორე სახელმწიფოს (ვასალი) საგარეო და სამხედრო პოლიტიკას განსაზღვრავს და სანაცვლოდ მას ამ უკანასკნელის დაცვის ვალდებულება გააჩნია. მაგ.: ოსმანთა იმპერია სერბიისა და რუმინეთის სუზერენი იყო 1878 წლამდე, ეგვიპტის კი - 1914 წლამდე; ავსტრო-უნგრეთის იმპერია ლიხტენშტაინის სუზერენი იყო 1918 წლამდე.

### სუროგაცია

განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონი განსაზღვრავს, რომ რაც მიმღებმა უფლებების ან ნივთის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლოდ შეიძინა, შექნილი უშუალოდ ხდება ამ ქონების ნაწილი, ესე იგი, იგი არ საჭიროებს გადაცემის განსაკუთრებულ მოქმედებას. საკუთრების გადაცემის განსაკუთრებული ნორმები, ამ შემთხვევაში, არ გამოიყენება. სუროგაცია მოცემულია მაშინ, როდესაც ნივთი განსაზღვრული ქონების ნაწილია, მაგალითად, დაგირავებული მოთხოვნის ან საგნის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 264-ე მუხლი). სუროგაცია ვრცელდება ვითომ-კრედიტორის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე (სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლი), ასევე, არაუფლებამოსილი პირის მიერ ნივთის

განკარგვაზე, რომელიც უფლებამოსილი პირის მიმართ ნამდვილია (სამოქალაქო კოდექსის 990-ე მუხლი).

### სქესობრივი დანაშაული

სქესობრივ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ისეთი მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ქმედებები, რომელიც ხელყოფს სხვის სქესობრივ თავისუფლებას ან ხელშეუხებლობას, ასევე მოზარდთა ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულთათვის გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით. სქესობრივი დანაშაულებია: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევდნენ, გარყვნილი ქმედება. ა) გაუპატიურება გულისხმობს სქესობრივი კავშირის დამყარებას ძალადობით (ძალადობა შეიძლება განხორციელდეს მაგ., ცემით, ხელფეხის შებორკვით ჯანმრთელობის დაზიანებით და სხვა ხერხით), ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით (უმნეოა მაგ., მოხუცებული, ავადმყოფი, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პირი, ძლიერ მთვრალი და ა.შ.). აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მაგ., პოლიციის

ს

თანამშრომელი აუპატიურებს დაკავებულ ქალს), რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. ხოლო, თუ ქმედება ჩადენილია: არაერთგზის (**→ არაერთგზისი დანაშაული**); იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სხვა სქესობრივი დანაშაული; ჯგუფურად (**→ ჯგუფური დანაშაული**); დამანაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ, ამ შემთხვევაში იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით (განსაკუთრებულ სისასტიკეს აქვს ადგილი მაგ., როცა პირს გაუპატიურებისა მიადგა განსაკუთრებული ფიზიკური ან მორალური ტრავმა), ასევე როცა მან გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა. ამ შემთხვევაში, ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსაკუთრებულად მძიმდება თოთხმეტ წელს მიულწეველი პირის გაუპატიურების შემთხვევაში, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე. ბ) სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება გულისხმობას მამათმავლობას, ლესბოსელობას ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარა-

ლებულის უმწეობის გამოყენებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ოც წლამდე პასუხისმგებლობის დამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით (დამამძიმებელი გარემოებების შესახებ გაუპატიურება). გ) სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება წარმოადგენს სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულებას სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ, ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. დ) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიულწეველთან გულისხმობს სრულწლოვნის სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას, ლესბოსელობას ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიულწეველთან. აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვა-

ს

დით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. ე) სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, გარყვნილი ქმედება ძალადობის გარეშე წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. გარყვნილ ქმედებაში მოიაზრება მაგ., 16 წელს მიუღწეველი მოზარდის თვალწინ სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის ქმედებების განხორციელება სხვა პირთან ან საკუთარ სხეულზე, ასევე მოზარდისათვის პორნოგრაფიული ფილმების, სურათების და პორნოგრაფიული ხასიათის სხვა ნაწარმოებების ჩვენება.

**სწრაფი მართლმსაჯულება**

სისხლის სამართლის საქმის დაჩქარებული განხილვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს. იგი ასახვას ჰპოვებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლში, რომელის მე-2 ნაწილი ბრალდებულს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას ანიჭებს, ხოლო მე-3 ნაწილი კი სასამართლოს იმ სისხლის სამართლის საქმის პრიორიტეტულად განხილვას ავალდებულებს, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტით შესაბამისად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებე-

ბით უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საქმის მოკლე ვადებში განხილვა. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამომძიებელმა გამომძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მიხედვით, გამოძიება უნდა წარიმართოს გონივრულ ვადაში; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან 60 დღის განმავლობაში და ა.შ. სისხლის სამართლის პროცესისთვის დადგენილი გონივრული ვადის ათვლა იწყება, როგორც წესი, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან და მთავრდება სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოცხადებით. მაშასადამე, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს გააჩნია თანაბარი მნიშვნელობა, როგორც გამომძიების ეტაპისთვის, ისე საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის სტადიისთვის. სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა განხორციელდეს უწყვეტად. საქმის სასამართლოში განხილვის პროცესი წარმოადგენს ერთიან და უწყვეტ პროცესს მაშინაც კი, როდესაც იგი რამდენიმე დღე გრძელდება. საქმის განხილვის გადადებას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რათა სასამართლო პროცესმა არ დაკარგოს უწყვეტი ხასიათი. ადამიანის უფლებათა ევროპუ-



## სხვა შესრულება

ლი სასამართლო სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას აფასებს თითოეულ საქმეში მოცემული კონკრეტული გარემოებების მიხედვით, კერძოდ, საქმის სირთულის, განმცხადებლისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ქმედებების გათვალისწინებით. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოების გადატვირთვას საქმეთა დიდი რაოდენობით სამართალწარმოების გაჭიანურების გამამართლებელ გარემოებად არ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონვენცია აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ თავიანთი სამართლებრივი სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასამართლო განხილ-

ვის ჩატარებას „გონივრულ ვადაში“. სახელმწიფოს შეუძლია თავიდან აიცილოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ბრალდებულისათვის სამართალწარმოების გაჭიანურების კომპენსაციის გზით, რომელიც მოითხოვს ორი პირობის დაკმაყოფილებას. პირველი, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა აღიარონ ის ფაქტი, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა იყო არაგონივრული. მეორე, უნდა მოხდეს სასჯელის ადეკვატური შემცირება. თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაადგენს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას, განმცხადებლისათვის ფინანსური კომპენსაციის მინიჭება ხდება კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე.

**სხვა შესრულება**  
→ შესრულება.



## ტ

**ტაბულა რაზა**

→ სახელმწიფოთა უფლებამემკვიდრეობა.

**ტერიტორიის შექმნა ხანდაზმულობით**

წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის შექმნის ერთ-ერთ ფორმას. იგი გამოიხატება სახელმწიფოს მიერ თავისი → **სუვერენიტეტის** იმ ტერიტორიაზე გავრცელებაში, რომელიც ადრე სხვა სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ხანდაზმულობით ტერიტორიის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სახელმწიფო, ხანგრძლივი დროის განმავლობაში და უწყვეტად, უნდა ახორციელებდეს ეფექტიან კონტროლს და მას საკუთარ ტერიტორიად უნდა მიიჩნევდეს. ამასთან აღნიშნული გარემოება არ უნდა იყოს გაპროტესტებული იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის სუვერენიტეტიც ვრცელდებოდა მოცემულ ტერიტორიაზე.

**ტერიტორიული ზღვა**

არის საზღვაო სარტყელი, რომელიც აკრავს სანაპირო სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიას ან შიდა საზღვაო წყლებს. საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის მე-3 მუხლი ტერიტორიული ზღვის სიგანის ლიმიტად ადგენს 12 საზღვაო მილს. აღნიშნული დებულების შესაბამისად, საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული ზღვის სიგანეს 12 მილი შეადგენს. ტერიტორიული ზღ-

ვის სიგანე აითვლება → **საწყისი ხაზებიდან**. ტერიტორიული ზღვა, მისი წიაღი და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე სრულად ექვემდებარება სანაპირო სახელმწიფოს → **სუვერენიტეტს** და მასზე სანაპირო სახელმწიფოს → **იურისდიქცია**, პრინციპში, შეუზღუდავად ვრცელდება. გამონაკლისს წარმოადგენს სანაპირო სახელმწიფოს ვალდებულება, ტერიტორიულ ზღვაში ე.წ. → **„მშვიდობიანი გავლის“ უფლება** მისცეს სხვა სახელმწიფოების სამხედრო და სამოქალაქო გემებს. წყალქვეშა ნაგებს „მშვიდობიანი გავლის“ უფლება გააჩნიათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წყლის ზედაპირზე გადაადგილდებიან. „მშვიდობიანი გავლის“ უფლება არსებობს მხოლოდ ტერიტორიულ ზღვასთან და არა ტერიტორიული ზღვის თავზე მდებარე საჰაერო სივრცესთან მიმართებაში.

**ტერიტორიული მთლიანობა**

საერთაშორისო სამართლის ერთი ძირითადი პრინციპი. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მეოთხე აბზაცის მიხედვით, გაეროს წევრები თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებენ ძალით დამუქრებასა და ძალით გამოყენებაზე, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან არ იქნება შესაბამისობაში გაეროს მიზნებთან. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი დაზუსტებულ იქნა ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნით აქტში. კერ-

## ტერიტორიული სუვერენიტეტი

ძოდ, აღინიშნება, რომ სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას. შესაბამისად, ისინი არ მიმართავენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ძალით დამუქრებას ან ძალის გამოყენებას წარმოადგენენ. ასევე აკრძალულია ერთმანეთის ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციის ობიექტად გადაქცევა. მოცემულ დოკუმენტში ასევე ხაზგასმით აღინიშნება, რომ არანაირი ოკუპაცია ან სხვა ტერიტორიის შეძენის მსგავსი სახის ფორმა არ მიიჩნევა კანონიერად (→ **ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი**).

## ტერიტორიული სუვერენიტეტი

ტერიტორიული სუვერენიტეტი ან, როგორც მას ასევე უწოდებენ, ტერიტორიული უზენაესობა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ → **სახელმწიფო ტერიტორიის** ან მისი ნაწილის საბოლოო და სხვა სუბიექტების ჩარევის გარეშე განკარგვის უფლებას. ტერიტორიული სუვერენიტეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული → **ტერიტორიული მთლიანობის** პრინციპთან. ტერიტორიული სუვერენიტეტი შეიძლება გარკვეულ გარემოებებში იმდენად შეიზღუდოს, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ *nudum ius* წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, იგი გამოიხატება მოცემულ ტერიტორიაზე იურისდიქციის განმხორციელებელი სახელმწიფოსათვის მხოლოდ საბოლოო განკარგვის უფლების გადაცემის ან გადაცემაზე უარის თქმის უფლებაში (მაგ.: გერმანიის რაიხის 1937 წლისათვის არსებულ აღმოსავლეთ საზღვრებსა და ოდერი-ნაისეს ხაზს შორის მდებარე ტერიტორიები; ბოსნია და ჰერცეგოვინა მე-19 საუკუნის ბოლოს).

## ტერიტორიული უზენაესობა

→ ტერიტორიული სუვერენიტეტი.

## ტერორიზმი

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, განიმარტება, როგორც ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის. ტერორისტული საქმიანობისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ტერორისტული საქმიანობა მოიცავს შემდეგ ქმედებებს: → **ტერორისტული აქტი** (სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლი), ტექნოლოგიური ტერორიზმი (სისხლის სამართლის კოდექსის 324-ე მუხლი), კიბერტერორიზმი (სისხლის სამართლის კოდექსის 324<sup>1</sup>ე მუხლი), საქარ-

ზთველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა (სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი), საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა (სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი), ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა ანდა მასში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლი) (→ **ტერორისტული ორგანიზაცია**), უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლი), მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლი), სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე მუხლი), საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისაკენ (სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>1</sup>-ე მუხლი), წვრთნა ტერორისტული მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>2</sup>-ე მუხლი), ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება (სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლი), ტერორიზმის დაფინანსება (სისხლის სამართლის კოდექსის 331<sup>1</sup>-ე მუხლი). ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ტერორიზმთან უშუალოდ ბრძოლას ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში, საქართ-

ველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებია 1977 წლის 27 იანვრის ევროპული კონვენცია „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1998 წლის 12 იანვრის საერთაშორისო კონვენცია „ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 2000 წლის 1 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“.

### ტერორისტული აქტი

გულისხმობს აფეთქებას, ცეცხლის წაკიდებას, იარაღის გამოყენებას ან სხვა ქმედებას, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილ მოსახლეობის დაზინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით. აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში, შეიძლება პირს დაეკისროს უვადო თავისუფლების აღკვეთაც. სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება ტერორისტული აქტის მომ-

## ტერორისტული ორგანიზაცია

ზადებაში მონაწილე პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებას და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

## ტერორისტული ორგანიზაცია

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 2007 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტის მიხედვით, არის ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილი ორგანიზაცია. ორგანიზაცია შეიძლება ცნობილ იქნეს ტერორისტულად, თუ მისი თუნდაც ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი ან თუნდაც ერთი წევრი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის (ხელმძღვანელის) ნებართვით ახორციელებს ტერორისტულ საქმიანობას (→ **ტერორისტულ აქტს**); სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თორმეტ წლამდე.

## ტრაგიკული კოლიზია

არის ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი ზეკანონური გარემოება (→ **ბრალის გამომრიცხველი გარემოებები**). სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელია პირი გათავისუფლდეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ტრაგიკული კოლი-

ზიის შემთხვევაში. ეს ის შემთხვევაა, როცა ადგილი აქვს თანაბარ-მნიშვნელოვან სამართლებრივ ინტერესთა კოლიზიას, რომლის დროსაც წარმოიშობა კონფლიქტი, რომელშიც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ერთი მათგანის სასარგებლოდ მეორე სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში, პირი, მართალია, ახორციელებს ქმედების შემადგენლობის შესაბამის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ შექმნილი სიტუაციის ექსტრემალურობის გამო მას არ შეიძლება მოეთხოვოს ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულება, რის გამოც ბრალის გამორიცხვის გზით უარი უნდა ითქვას მის დასჯაზე. მაგალითად, ტრაგიკულ კოლიზიას ადგილი ექნება მაშინ, თუ პირს იარაღით ხელში თავზე ადგანან ბოროტმოქმედები და უბრძანებენ მას მოკლას კონკრეტული პიროვნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს მოკლავენ.

## ტრანსფორმაცია

წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში → **იმპლემენტაციის** ერთ-ერთი ფორმას, რომლის მიხედვითაც კანონმდებელი საერთაშორისო სამართლის ნორმის ტრანსფორმირებას ახდებს ეროვნულ სამართალში. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებასა ან საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებაში (პირდაპირი ტრანსფორმაცია) ან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის შინაარსის ასახვაში კანონმდებლის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტში (არა-

პირდაპირი ტრასფორმაცია). ამ შემთხვევაში, ორი იდენტური შინაარსის ნორმა არის სახეზე, თუმცა ამასთან ერთი მათგანი საერთაშორისო სამართლის სისტემის, მეორე კი - ეროვნული სამართლის სისტემის ნაწილია. იმპლემენტაციის აღნიშნული ფორმა დუალისტური თეორიის ფარგლებში არსებული შეხედულებების გამოხატულებას წარმოადგენს (→ **საერთაშორისო სამართლის პრინციპი**).

### ტრეფიკინგი

„ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ“ პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირებას, გადაყვანას, გადაცემას, გადაამალვას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან საფასურის მიცემით ან მიღებით იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე. იმავე ოქმის მიხედვით, ადამიანის ექსპლუატაცია გულისხმობს ადამიანის პროსტიტუციის ან სხვა სახის სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობაში ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, სერვიტუტს ან ადამიანის ორგანოთა გადახრევას. სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე, 143<sup>2</sup>-ე, 143<sup>3</sup>-ე მუხლები დეტალურად განსაზღვრავენ ტრეფიკინგის შემადგენლობებს. კერძოდ, 143<sup>1</sup>-ე მუხლი ეძღვნება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), 143<sup>2</sup>-ე მუხლი - არასრულწლოვნით ვაჭრო-

ბას (ტრეფიკინგი), 143<sup>3</sup>-ე მუხლი კი, - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას. ა) სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ტრეფიკინგი განიმარტება, როგორც ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადაამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით. აღნიშნული ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შედიდან თორმეტი წლამდე, თანამედრობის დეკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით. ექსპლუატაციად მიიჩნევა ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების განწევის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, აგრეთვე ადამიანის იძულება სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მის-

თვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმონწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას. პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არა აქვს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მიძიდება, თუ იგი ჩადენილია: დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის (უმწეო მდგომარეობაში იმყოფება პირი, რომელსაც ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო არა აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს სხვისი ნების აღსრულებას ან გააცნობიეროს, თუ რა ხდება მის თავს) ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თოთხმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით. ზემოაღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია აგრეთვე ქმედების ჩადენა არაერთგზის (**→ არაერთგზისი დანაშაული**), ორი ან მეტი პირის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით. თუ ზემოთ აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქმედებას განახორციელებს ორგანიზებული ჯგუფი (**→ ჯგუფური დანაშაული**) ან თუ მას დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოყვება, პირი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით. აღნიშნული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. ბ) სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადაამალვა, დაქორავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ერთი წლის ვადით. ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიძიდება, თუ იგი ჩადენილია: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქ-

მიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით. აღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია აგრეთვე ქმედების ჩადენა: არაერთგზის; იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით; ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ; დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით. თუ ზემოთ აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქმედებას განახორციელებს ორგანიზებული ჯგუფი (→ **ჯგუფური დანაშაული**) ან თუ მას არასრულწლოვანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი მოყვება, პირი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. გ) სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად, წინასწარი შეცნობით ტრეფიკინგის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც წარმოადგენს ექსპლუატაციას, ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ოთხ წლამდე ან თავისუფლების

აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მძიმდება თუ იგი ჩადენილია: არაერთგზის; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდი წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ორი წლის ვადით. აღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია აგრეთვე ქმედების ჩადენა: ორი ან მეტი პირის მიმართ; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით. თუ ზემოთ აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქმედებას განახორციელებს ორგანიზებული ჯგუფი, პირი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამი წლის ვადით.

უ

**უარი ვალდებულების შესრულებაზე**

1. ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში, როგორც წესი, ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის ვალდებული განახორციელოს თავისი შესრულება, თუ იგი ამავედროულად არ მიიღებს სამაგიერო შესრულებას. თითოეულ მხარეს შეუძლია წარადგინოს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის → **შესაგებელი** (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი). ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების წინაპირობა არის, რომ დამდგარია სამაგიერო ვალდებულების შესრულების დრო (საპასუხო მოქმედების განხორციელების დრო) და მხარეთა ვალდებულებები გამომდინარეობს ორმხრივი ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეებმა ერთდროულად უნდა შეასრულონ. ერთ-ერთი მხარის მიერ სარჩელის წარდგენა გამოიწვევს ორივე მხარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ერთდროულად დაკისრებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს შესაბამისი მოთხოვნა არ დაუყენებია (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელიც თავის მხრივ კეთილსინდისიერად მოქმედებს და მზად არის შეასრულოს თავისი ვალდებულება. მხარე, რომელიც აურს ამბობს თავისი ვალდებულების შესრულებაზე,

არ არის უფლებამოსილი წარადგინოს აღნიშნული შესაგებელი, მაგრამ უფლება აქვს უარი თქვა ხელშეკრულებაზე, თუ მოცემულია შესაბამისი წინაპირობები. გარდა ამისა, მხარე ვერ განაცხადებს უარს ვალდებულების შესრულებაზე სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით, თუ მან ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილა (→ **მოვალის მიერ ვადის გადაცილება**; → **კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება**). 2. უარი ვალდებულების შესრულებაზე არ არის მოცემული, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი). ვალდებულების წინასწარ შესრულება შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, გამჭირავებელი ვალდებულია სარგებლობაში გადასცეს დამქირავებელს განსაზღვრული ნივთი; სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 648-ე მუხლების თანახმად, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ) ან ხელშეკრულებიდან. → **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** გამოყენების შემთხვევაში, არ შეიძლება უარი ვალდებულების შესრულებაზე შეთანხმებულ იქნეს ფიზიკური პირის საზიანოდ, რომელიც არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას (სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ერთ-ერთი მხარის წინასწარი შესრულების

უ



ვალდებულება, მაშინ სარჩელის წარდგენა მეორე მხარის მიერ აუცილებლად გამოიწვევს მის დაკმაყოფილებას და არა ორივე მხარისათვის ვალდებულების შესრულების ერთდროულად დაკისრებას.

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-500 მუხლით განსაზღვრული ნივთის დაკავების უფლება არ წარმოადგენს უარს ვალდებულების შესრულებაზე, ვინაიდან მისი წინაპირობა არის მყიდველის მიერ ნივთის ღირებულების გადახდის ან მის მიერ ნივთის მიღების წინასწარ შესასრულებელი ვალდებულების განხორციელება. ისევე როგორც უარი ვალდებულების შესრულებაზე, ნივთის დაკავების უფლებაც არის → **შესაგებელი.**

**უდავო წარმოება**

1. სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს უდავო წარმოება. უდავო წარმოების შემთხვევაში, სასამართლო ადასტურებს იურიდიული ფაქტების არსებობას ან არარსებობას, რომელზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. → **სასარჩელო წარმოებისაგან** განსხვავებით, უდავო წარმოების დროს სასამართლო არ განიხილავს დავას მატერიალურ-სამართლებრივ უფლებაზე და შესაბამისად, პროცესში არ მონაწილეობენ მოდავე მხარეები, მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირები. უდავო წარმოებისას მოცემულია ფაქტების დადგენა და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები. უდავო წარმოებისას სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით და იმ თავისებურებების

გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია უდავო წარმოებისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი შეიცავს იმ საქმეთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც განიხილება უდავო წარმოების წესით. კერძოდ: ა) იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები დადგენა; ბ) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება; გ) მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარება; დ) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა; ე) ქონების უპატრონოდ ცნობა; ვ) შვილად აყვანა; ზ) ბავშვის მიტოვებულად აღიარება.

2. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენისას, განმცხადებელმა ნათლად უნდა მიუთითოს, თუ რა სამართლებრივი შედეგი უკავშირდება ასეთი ფაქტის დადგენას. მაგალითად, პირთა ნათესაური კავშირის დადგენას შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს მემკვიდრეობის მისაღებად. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს სასამართლო ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზოვრციელებული რეგისტრაციისათვის ან გაფორმებისათვის, მაგრამ არ ცვლის მათ მიერ გასაცემ დოკუმენტებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი). სასამართლომ საქმის წარმოებისას თავი-



## უდანაშაულობის პრეზუმფცია

სი ინიციატივით ან განმცხადებლის მოთხოვნით უნდა მოინვიოს დაინტერესებული პირები, ანუ ის პირები, რომელთა უფლებების განხორციელებაზეც შეიძლება აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 314-ე, 317-ე, 322-ე, 328-ე, 337-ე და 349-ე მუხლები ადგენენ უდავო წარმოების საქმეთა განხილვის განსჯადობის განსხვავებულ წესებს.

### უდანაშაულობის პრეზუმფცია

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან ერთად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმძებელს (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი). აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა გასათვალისწინებელია როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის დროს. სასამართლოს მიერ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სისხლის სამართალმწარმოებელმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებ-

ებისგან, რომლებიც ისეთ წარმოდგენას ქმნიან, თითქოს პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია. უდანაშაულობის პრეზუმფცია ადგენს ასევე, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი). აქედან გამომდინარე, ბრალის დამტკიცების გარეშე არავის არ შეიძლება დაედოს მსჯავრი. ბრალდებულს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დარწმუნდება მის ბრალეულობაში. ეჭვის არსებობის შემთხვევაში მიღებულ უნდა იქნეს სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.

### უვადო თავისუფლების აღკვეთა

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. იგი არ დაენიშნებათ მათ, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი (სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლი). უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი). უვადო თავისუფლებათა აღკვეთილი პირი სასჯელის იხდის დახურულ ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლი) საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ

საბჭოს შეუძლია მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან გაათავისუფლოს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ იგი ჩათვლის, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა (სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილი, პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-6 ნაწილი). საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია აგრეთვე მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და თუ იგი მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა (სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

### უზუფრუქტი

1. უზუფრუქტით შეიძლება დაიტვირთოს უძრავი ნივთი ისე, რომ იგი სხვა პირს (უზუფრუქტუარს), სასყიდლით ან უსასყიდლოდ, გადაეცეს სარგებლობაში. უზუფრუქტი, როგორც წესი, არის → **სანივთო უფლება**. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, ფლობდეს უზუფრუქტის საგანს, მიიღოს ამ ნივთის ნაყოფი და სარგებელი და ისევე როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (სამო-

ქალაქო კოდექსის 242-ე მუხლი). უზუფრუქტუარი არ არის უფლებამოსილი მესაკუთრის თანხმობის გარეშე შეცვალოს უძრავი ნივთის სარგებლობის მიზანი (სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იმ ნაყოფზე და სარგებელზე, რომელიც არ არის მიღებული ნივთის ჩვეულებრივი სამეურნეო გამოყენების შედეგად, უზუფრუქტუარი მოიპოვებს საკუთრებას, მაგრამ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ნივთის მესაკუთრეს ნივთის ასეთი გამოყენების შედეგად მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

2. უზუფრუქტის ხელშემშლის შემთხვევაში, უზუფრუქტუარს, მესაკუთრის მსგავსად, შეუძლია მოითხოვოს ხელშემშლის აღკვეთა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი); მას, ასევე, როგორც ნივთის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა და მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლი). ვინაიდან უზუფრუქტი მემკვიდრეობით არ გადადის, იგი უქმდება ფიზიკური პირის გარდაცვალებით და იურიდიული პირის ლიკვიდაციით, აგრეთვე, თუ უზუფრუქტი და უძრავ ნივთზე საკუთრება ერთი პირის ხელში აღმოჩნდება (სამოქალაქო კოდექსის 244-ე, 246-ე მუხლები).

### უკანონო აბორტი

სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის თანახმად ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე. ქმედებისათვის პასუხისმგებლო-



## უკიდურესი აუცილებლობა

ბა მიძიდება თუ ქმედებას ჩადის უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებული პირი, ან თუ ქმედებას შედეგად შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მიძიდე შედეგი მოყვა (მაგ., ჯანმრთელობის მიძიდე დაზიანება, ქრონიკული ავადმყოფობა და ა.შ.). ამ შემთხვევაში პირი ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ უკანონო აბორტმა გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 139-ე მუხლის თანახმად, ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას და ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა. მაშასადამე, აბორტი ჩაითვლება უკანონოდ, როცა ის კედება არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე; განზრახული სამედიცინო ჩარევის მოსალოდნელი შედეგის წინასწარი გასაუბრების გარეშე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით და სხვა.

## უკიდურესი აუცილებლობა

1. სისხლის სამართალში უკიდურესი აუცილებლობა შეიძლება იყოს → **მართლწინააღმდეგობის** ან ბრალის გამომრიცხველი (ზეკანონური) გარემოება. ა) უკიდურესი აუცილებლობა გამომრიცხავს მართლწინააღმდეგობას, როდესაც პირი სხვას დაზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა სამუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე (სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლი). უკიდურესი აუცილებლობის დროს სამართლებრივი სიკეთე უნდა იმყოფებოდეს იმნუთიერ საფრთხეში; საფრთხე მას უშუალოდ უნდა ექმნებოდეს. ასეთ შემთხვევაში, დაცვის ობიექტი შეიძლება იყოს: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება, პატივი, ღირსება და სხვა ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე. უკიდურესი აუცილებლობის პირობაა, რომ დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. ამასთან ერთად, უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული მოქმედება უნდა იყოს აუცილებელი შექმნილი ვითარებაში, რომელიც სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის უკიდურეს საშუალებას წარმოადგენს. უკიდურესი აუცილებლობის მართლზომიერების პირობა ასევე, რომ დამზიანებელი უნდა მოქმედებდეს უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით. ბ) ბრალის გამომრიცხველი, ე.წ. საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა

ბლობის დროს პირი სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას სჩადის და სხვას აზიანებს იმ უშუალო საფრთხის თავიდან ასაცელებლად, რომელიც ემუქრებოდა თვითონ დამზიანებლის ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, სხეულებრივ მთლიანობას ან თავისუფლებას და ეს საფრთხე არ შეიძლებოდა აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით (მაგალითად, გემის კატასტროფის შემდეგ გემის ნამსხვრევეზე აღმოჩნდება ორი ადამიანი, რომელთაც გარდაუვალი დალუპვა ემუქრებათ, რადგან ნამსხვრევს შეუძლია გაუძლოს მხოლოდ ერთს. ერთ-ერთი მათგანი თავს გადაირჩენს მეორის ნყალში გადაგდებით). მამასადაამე, მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობისაგან განსხვავებით, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობისას თანაბარი ღირებულების სამართლებრივ სიკეთეებს ექმნებათ საფრთხე. ამ დროს არსებობს შეზღუდვაც განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთებისა, რომლებიც შეიძლება იქნენ დაცული. ეს სიკეთეებია: სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ თვით დამზიანებლის ან მისი ახლობლის კუთვნილებას. ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას არ შეუძლია საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა მისი ქმედების არაბრალეულობის დასამტკიცებლად გამოიყენოს. მაგალითად, როცა დამზიანებელმა საფრთხე თავად შექმნა; ასევე, ცალკეულ პირებს განსაკუთრებული პროფესიული თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მოეთხოვება მიიღოს საფრთხე თავის თავზე (ჯარისკაცი, პოლიციელი, მეხანძრე და ა.შ.).

2. → **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა** არ ეკისრება პირს, რომელმაც თუმცა ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის ასაცდენად, რაც ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობის დადგენილ წესს, თუ მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა ამ საფრთხის აცდენა სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აცდენილი ზიანი (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-18 მუხლი).

3. სამოქალაქო სამართალში უკიდურესი აუცილებლობის ქმედებას წარმოადგენს პირის მიერ საფრთხის ასაცელებლად განხორციელებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი). „საფრთხე“ სამოქალაქოსამართლებრივად იმავე მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული, როგორც სისხლის სამართალში. როგორც ესეი, უკიდურესი აუცილებლობით განხორციელებული → **ზიანის ანაზღაურება** ეკისრება ზიანის მიმყენებელს, მაგრამ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება იგი დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთ-



## ულტიმატუმი

ვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელი (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი).

## ულტიმატუმი

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში მეორე მხარისთვის კონკრეტული მოთხოვნის წაყენება, რომელიც ასევე მოიცავს დადგენილ ვადაში ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გარკვეული ზომების მიღების მუქარას.

## უმალღესი განათლება

1. სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით. → **აკადემიური უმალღესი განათლება.**

2. აკადემიური უმალღესი განათლება სამსაფეხურიანია. აკადემიური უმალღესი განათლების საფეხურებია: ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; გ) მესამე საფეხური (დოქტორანტიურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

## უმალღესი განათლების შესახებ კანონი

ანწერისა და საქართველოში → **უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და**

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმალღესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე → **ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.**

## უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულება

1. უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმალღესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმალღესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციებს.

2. უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები: ა) → **უნივერსიტეტი**; ბ) → **სასწავლო უნივერსიტეტი**; გ) → **კოლეჯი**. უმალღესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუძნდება საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

## უმოქმედობა

→ **უმოქმედობის დელიქტი.**

## უმოქმედობის დელიქტი

სისხლის სამართალში ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განასხვავებენ მოქმედების (→ **მოქმედების დელიქტი**

ტი) და უმოქმედობის დელიქტებს. უმოქმედობის დელიქტი გვაქვს სახეზე, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია სამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობისთვის. წმინდა უმოქმედობის დელიქტი გულისხმობს თავის შეკავებას ისეთი მოქმედებისაგან, რისთვისაც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცალკეული დანაშაულის შემადგენლობებით სპეციალურად ითვალისწინებენ აღნიშნულისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგალითად, განსაცდელში მიტოვება (სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი), დაუხმარებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე მუხლი), ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი), → **დანაშაულის შეუტყობინებლობა** და ა. შ. შერეული უმოქმედობის დელიქტების დროს დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც როგორც წესი აქტიური მოქმედებით ხორციელდება (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება), გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება განხორციელდეს მოქმედებისგან თავის შეკავებითაც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია ის პირობები, თუ რა შემთხვევაში დაეკისრება პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობისთვის. იმისათვის, რომ უმოქმედობა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, სახეზე უნდა იყოს 3 პირობა: ა) პირს უნდა

ჰქონდეს → **მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა**, ე.წ. სამართლებრივი გარანტის ფუნქცია; ბ) პირს უნდა ჰქონდეს მოქმედების შესაძლებლობა; გ) სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი (რეალობასთან ახლოს მდგომი ალბათობის მაღალი ხარისხით) თავიდან იქნებოდა აცილებული. შერეული უმოქმედობის მაგალითია, როდესაც დედა შვილს საკმარისად არ კვებავს და ამის გამო ბავშვი გარდაიცვლება ან მას ჯანმრთელობა დაუზიანდება. მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს: ა) კანონიდან, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლიდან გამომდინარე მშობლების მოვალეობები შვილების მიმართ; ბ) ხელშეკრულებიდან, მაგალითად, ბავშვის მომვლელი ხელშეკრულებით კისრულობს მოვალეობას, მშობლების სახლში დაბრუნებამდე მოუაროს ბავშვს; გ) წინაურ მოქმედებიდან, მაგალითად, მძღოლმა ავტოავარიის შედეგად დააზიანა ქვეითად მოსიარულე და მას შეუძლია თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან აიცილოს ავტოავარიის მსხვერპლის სიკვდილი. შერეული უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი სამართლებრივი გარანტის ფუნქცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს → **შეცდომას** და იგი არ დაისჯება განზრახვისათვის.

**უმრავლესობა**

ნიშნავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ყველაზე დიდ წილს, მაჩვენებელს, რომელიც არსებითი მნიშ-



## უმწონი

ვნელობისაა არჩევნების თუ კენჭისყრის გზით დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებისას. მისი კონსტრუქციიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან განასხვავებენ უმრავლესობის შემდეგ ფორმებს: ა) ე.წ. მარტივი უმრავლესობა - მიღებულ ხმათ ნახევარზე მეტი, ბ) რელატიური უმრავლესობა სახეზეა, როდესაც ერთ მონაწილეს სხვა ყველა მონაწილეზე მეტი ხმა აქვს, გ) აბსოლუტური უმრავლესობა სახეზეა, როდესაც ერთ მონაწილეს მიღებული აქვს ყველა შესაძლო ხმათა ნახევარზე მეტი, დ) კვალიფიციური უმრავლესობა სახეზეა, როდესაც მიიღწევა გადანწყვეტილების მისაღებად დადგენილი მაჩვენებელი (მაგ. 2/3). გადანწყვეტილების მიღების პროცესში გადანწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე კანონმდებლობით დადგენილია უმრავლესობის სხვადასხვა ფორმა. ასეთი რეგულირებები გვხვდება როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებში და საარჩევნო სამართალში.

## უმწონი

შეირალებული კონფლიქტის მხარის სამოქალაქო მოსახლეობა, აგრეთვე ავადმყოფი, დაჭრილი და ტყვედრავარდნილი სამხედრო მოსამსახურეები; ზოგადად ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ ბრძოლებში ან აღარ შეუძლიათ ბრძოლებში მონაწილეობის მიღება.

## უნაკლო ნივთი

1. ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახ-

მად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ნივთის უნაკლო მდგომარეობა წარმოადგენს გამყიდველის შესრულების ვალდებულების შინაარსს. ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო (სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის პირველი ნაწილი). მაშასადამე, გამყიდველი ვალდებულია, რომ წინასწარ უზრუნველყოს სანივთო უფლებების (მაგალითად, → იპოთეკის) და მესამე პირების მოთხოვნის უფლებების, ასევე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არარსებული უფლების გაუქმება. მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივად არსებობდეს მესამე პირის უფლება და არა მხოლოდ განცხადება ამ უფლების შესახებ. ნივთთან დაკავშირებული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები შესაძლებელია წარმოადგენდეს ნივთობრივ ნაკლს (მაგალითად, განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის შეზღუდვა). გამყიდველის ვალდებულებას არ წარმოადგენს ნივთთან დაკავშირებული გადასახადების ან სხვა უფლების გაყიდვის შემთხვევაში, გამყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნის სამართლებრივ არსებობაზე (Verität) და არა მის განხორციელებაზე (Bonität), განსაკუთრებით, მოვალის გადახდისუნარიანობაზე. ბ) ნივთი ნივთობრივად ნაკლულია, თუ იგი არ არის შეთანხმებული ხარისხის (სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლი). მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ რამდენად ამცირებს ნაკლი ნივთის ხარისხს ან



მის ვარგისიანობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ნივთის განსაზღვრულ ხარისხზე არ შეთანხმებულან (ან ვერ მტკიცდება ასეთი შეთანხმების არსებობა), მაშინ ნივთი ჩაითვლება უნაკლოდ, თუ მას გააჩნია ის ვარგისიანობა, რაც დამახასიათებელია მსგავსი სახეობის ნივთებისათვის და რომელიც შეესაბამება მყიდველი მოლოდინს. ნივთის ასეთ თვისებებსა და გარემოებებს განეკუთვნება გამყიდველის ან დამამზადებლის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, განსაკუთრებით, რეკლამის შემთხვევაში. ნივთის ნაკლი შესაძლებელია მოცემული იყოს როგორც ნივთის ფაქტობრივ ვარგისიანობაში, ისე მის სამართლებრივ ურთიერთობაში (მაგალითად, არარსებული სამშენებლო ნებართვა). ვინაიდან ნივთის უნაკლობა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ნაკლი სახეზეა, თუ მხარეებს შორის შეთანხმებული არის განსაზღვრული თვისება და ეს თვისება არ არის მოცემული, მაგალითად, ნახატის ნამდვილობა. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმებული თვისება და არა გამყიდველის მიერ ცალმხრივად გაცხადებული თვისებების არსებობა, მაგალითად, განსაზღვრული ტექნიკური მახასიათებლების თაობაზე. გარდა ამისა, ნივთის ნაკლი მოცემულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც, ნივთი არ არის ნაკლის მატარებე-

ლი, მაგრამ შეთანხმებული მონეტაჟი გამყიდველის მიერ არაჯეროვნად არის შესრულებული. ნივთის ნაკლს უთანაბრდება, ასევე, თუ გამყიდველი მყიდველს გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს (ე.წ. all-ud), მცირე რაოდენობით ან, თუ ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. გამყიდველის პასუხისმგებლობა ნივთის ნაკლის გამო გამორიცხულია, თუ მყიდველი ნივთს არსებული ნაკლის გათვალისწინებით შეიძენს (მაგალითად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ყიდვა იმ პირობით, რომ საფასურში გათვალისწინებულია მყიდველის მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაფარვა) ან, თუ მყიდველისათვის ნივთის ნაკლი პოზიტიურად ცნობილია (სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლი). ნივთის ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლზე გამყიდველის პასუხისმგებლობა, შესაძლებელია, მხარეებს შორის ხელშეკრულებით გამოირიცხოს ან შეიზღუდოს, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილია, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის გამო (სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლი). პასუხისმგებლობის ასეთი შეზღუდვა, დაშვებულია, განსაკუთრებით, მაგალითად, მეორადი ნივთების გაყიდვის შემთხვევაში. → **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში**, ასეთი შეზღუდვები მიიჩნევა ბათილად (სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი). 2. ნივთის ნაკლის არსებობის შესახებ → **მტკიცების ტვირთი** ეკისრება ნივთის მყიდველს. თუ ნივთი არის ნაკლის მქონე, მა-



შინ გამყიდველი ვალდებულია გამოსასწორეს ეს ნაკლი, ხოლო თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნული მოთხოვნის უფლება არის, ამავე დროს, მყიდველის თავდაპირველი მოთხოვნის უფლება, მიიღოს გამყიდველისაგან ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. როგორც წესი, მყიდველს, თავისი სურვილით, შეუძლია მოითხოვოს როგორც ნაკლის გამოსწორება, ისე სხვა, ნაკლისაგან თავისუფალი ნივთის გადაცემა. ცალკეულ შემთხვევებში, ნივთის ნაკლის გამოსწორება, ტექნიკური ხარვეზებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამორიცხულ იქნას. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება მოიცავს მხოლოდ სხვა, ახალი ნივთის გადაცემას. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნივთის ნაკლის გამოსწორებაზე, ისე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს შეუსაბამოდ დიდ თანხებს მოითხოვს. გამყიდველს ეკისრება, ასევე, ნივთის ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარვეზების ანაზღაურებაც (სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლი). თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა და მყიდველი არ ითხოვს ნივთის გამოსწორებას ან მის შეცვლას, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს → **ხელშეკრულების მოშლა** (სამოქალაქო კოდექსის 491-ე მუხლი). ხელშეკრულების მოშლა ითვალისწინებს იმ წინაპირობების არსებობას, რაც სამოქალაქო კოდექსით დადგენილია → **ხელშეკრულებაზე უარის თქმის** შემთხვევაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის და-

მატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ ნივთის ნაკლის გამოსწორებაზე ან მისი შეცვლაზე გამყიდველმა უარი განაცხადა. თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნივთის ნაკლის გამოსასწორებლად (სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი). დაბოლოს, ნივთის ნაკლით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მიყენებული → **ზიანი** ანაზღაურდება ზოგადი ნესების მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუ ზემოაღნიშნული ნორმებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები ნივთის ნაკლთან დაკავშირებით გამოიყენება, მაშინ იგი წარმოადგენს სპეციალურ ნორმებს → **ვალდებულების დარღვევის** ზოგად ნორმებთან მიმართებაში. გამორიცხულია, ასევე, გაყიდული ნივთის არსებითი თვისებების შესახებ შეცდომის გამო → **ნების შეცვლა**. მაგრამ მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მოვალის მიერ ვადის გადაცილების გამო, თუ იგი არ შეეხება ნივთის ნაკლს. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს მენარმის მიერ ნივთის შექენა. იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი და შესაბამის ვადაში წარუდგინოს პრეტენზია გამყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებას (სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილი). 3. მყიდველის მიერ ზემოაღნიშნული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს

უ

ნივთის გადაცემიდან სამ წელიწადს, ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა - ექვს წელიწადს (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი). თუ ნივთს აქვს უფლებრივი ნაკლი, (მაგალითად, მყიდველმა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს მოპარული ნივთი), მაშინ ასეთი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ათ წელიწადს (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადები არ შეეხება კონკურირებული დელიქტური ვალდებულების ხანდაზმულობის ვადებს (→ მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია).

**უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია**

უნივერსალური ხასიათისაა → საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც განვირინება, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს შეუძლია და არ არის დამყარებული თანამშრომლობის რეგიონალურ პრინციპზე (შეად. → რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია). უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია შეიძლება ზოგად და ყოვლისმომცველ საკითხებში თანამშრომლობას მოიცავდეს (მაგ. → გაერო) ან ცალკეული ასპექტებით შემოიფარგლებოდეს (მაგ. → შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია).

უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოების წარმომადგენლობათა შესახებ 1975 წლის კონვენცია → საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოსანერად

გაიხსნა 1975 წლის 14 მარტს. აქტუალური მდგომარეობით იგი ძალაში არ შესულა. კონვენცია არეგულირებს სახელმწიფოების იმ წარმომადგენლობების სამართლებრივ სტატუსს, რომლებიც წარგზავნილი არიან → უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს. → სასწავლო უნივერსიტეტი.

**უპატრონო მოძრავი ნივთი**

ნივთი არის უპატრონო, როცა მასზე არ არსებობს საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ ნივთი არასოდეს არ ყოფილა პირის საკუთრებაში (მაგალითად, თავისუფლებაში მყოფი გარეული ცხოველები) ან მესაკუთრემ საკუთრებაზე უარის თქმით მიატოვა ნივთზე მფლობელობა (→ საკუთრების მიტოვება; სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლი). კანონით დაშვებულია უპატრონო ნივთის → მითვისება.

**უპირატესი შესყიდვის უფლება**

ნივთის გამყიდველთან (ვალდებული პირი) დადებული → ხელშეკრულების საფუძველზე პირს წარმოეშობა უპირატესი შესყიდვის უფლება, კერძოდ, ამ უფლების განხორციელების შემთხვევაში გახდეს ვალდებულ პირსა და მესამე უფრო შორის დადებული ხელშეკრულების მონაწილე (სამოქალაქო კოდექსის 516-ე და 517-ე მუხლები). ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს იმ ხელშეკ-



## ურთიერთდახმარების ვალდებულება

რულების შინაარსი, რომელსაც იგი დებს მესამე პირთან. უპირატესი შესყიდვის უფლების შემძენი ატყობინებს ვალდებულ პირს ამ უფლების განხორციელების თაობაზე და დებს მასთან ნასყიდობის ხელშეკრულებას იმ პირობებით, რომელიც ვალდებულება პირმა მესამე პირს შესთავაზა. უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება შეეხებოდეს როგორც მოძრავ, ისე უძრავ ნივთებს. ვინაიდან ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ნივთის გაყიდვაზეა დამოკიდებული, როგორც წესი, არ დაიშვება ამ უფლების სხვა პირზე გადაცემა ან მემკვიდრეობით გადასვლა (სამოქალაქო კოდექსის 516-ე, და 517-ე მუხლები). სამოქალაქო კოდექსის 518-ე მუხლის თანახმად, ბათილია შეთანხმება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოუყენებლობის თაობაზე.

## ურთიერთდახმარების ვალდებულება

→ **ადმინისტრაციული ორგანოების** ურთიერთდახმარების საკითხს ანესრიგებს საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-16-მე-19 მუხლები. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება: ზემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება; ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული. ად-

მინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ: არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო; არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო; დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში; მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასანვე ხარჯებს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ: ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს; სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას. თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი

ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებრივი დახმარების განწვეისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს. თუ სავარაუდოა აღნიშნულ ოდენობაზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

### უსაფუძვლო გამდიდრება

ხშირ შემთხვევებში ქონების გადაცემა განხორციელებულია, მაგრამ ასეთ გადაცემას არ ახლავს სამართლებრივი საფუძველი (მაგალითად, კრედიტორმა უარი თქვა ხელშეკრულებაზე). ამ და სხვა მსგავს შემთხვევებში, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები იძლევიან, მხარეთა ინტერესების სამართლიანად გათვალისწინების მიზნით, ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობას, რომ აღდგეს პირვანდელი ან მომავალში განვითარების შესაბამისი მდგომარეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უსაფუძვლო გამდიდრების დებულებებს იმ უამრავი შემთხვევებისათვის, როდესაც სამართლებრივი სტატუსის ცვლილება დგება როგორც კანონის შედეგი ან როდესაც სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესები ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს და ქონებრივი მდგომარეობის განონასწორება

მოხდეს (ასე, მაგალითად, → **მასალის გადამუშავება**, → **მოძრავი ნივთების შერწყმა**). სამოქალაქო კოდექსის 976-ე და შემდგომი მუხლები არ გამოიყენება, თუ კანონის მიერ სამართლებრივი მდგომარეობა საბოლოოდ არის რეგულირებული (მაგალითად, → **ხანდაზმულობა**) ან გამოიყენება განსაკუთრებული ნორმები. ქონების ერთი პირის საკუთრებიდან სხვა პირის საკუთრებაში გადასვლით, უმჯობესდება ვითომ-კრედიტორის ქონებრივი მდგომარეობა, მაგალითად, რაიმე უფლების მოპოვება, მათ შორის, შესაძლებელია, მფლობელობის მოპოვებაც (**condictio possessionis**) ან სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა, მაგალითად, საჯარო რეესტრში ვითომ-კრედიტორის სახელზე საკუთრების რეგისტრაცია, სხვა ვალდებულებისაგან გათავისუფლება და ა.შ. ასეთი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება განხორციელებულ უნდა იქნეს იმ პირის ხარჯზე, ვინც ამ ქონებრივი მდგომარეობას ფლობდა, ე.ი. ქონებრივი სიკეთის გადასვლა უშუალოდ ამ ორ პირს შორის უნდა განხორციელდეს. ერთი და იმავე პროცესმა უნდა გამოიწვიოს ერთ მხარეს ქონებრივი დანაკარგი და მეორე მხარეს სარგებელი. თუ ასეთ კონდიქციების ჯაჭვში ჩართულია მესამე დამოუკიდებელი პირი, მაგალითად, კომისიონერი, მაგრამ არა → **წარმომადგენელი**, მაშინ მოთხოვნა წარმოიშობა ამ პირის მიმართ.

1. ვალდებულების შესრულების კონდიქციები. სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს უსაფუძვლო გამდიდრების ორ ძირითად სახეს. კერძოდ, პირის მიერ ვითომ-კრედიტორისათვის ვალდებულების შესასრულებლად რაიმეს



## უსაფუძვლო გამდიდრება

გადაცემასა (ე.წ. ვალდებულების შესრულების კონდიქცია; *condictio sine causa*) და ვითომ-კრედიტორის სხვა პირის ხარჯზე სხვა საშუალებით (ე.წ. ჩარევის კონდიქცია) უსაფუძვლოდ გამდიდრებას შორის (სამოქალაქო კოდექსის 976-ე და 991-ე მუხლები). ჩარევის კონდიქცია სუბსიდიურია ვალდებულების შესრულების კონდიქციის მიმართ. „რაიმე“ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის თანახმად, არის ქონებრივი სიკეთე, რომელიც გასულია პირის საკუთრებიდან და ამ სიკეთით ხორციელდება ვითომ-კრედიტორის განზრახი და მიზანმიმართული გამდიდრება (მაგალითად, → **საკუთრების გადაცემა**, ასევე, ხელშეკრულებით → **ვალის არსებობის აღიარება**). ა) სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს კონდიქციების რამდენიმე ალტერნატივას. კერძოდ, მოთხოვნა მოცემულია, თუ ვითომ-კრედიტორმა (მიმღებმა) ვალდებულების შესასრულებლად რაიმე მიიღო, მაგრამ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს (*condictio indebiti*, მაგალითად, ხელშეკრულება არის უცილოდ ბათილი). ამ ალტერნატივის გამოყენების წინაპირობა არის, რომ შესრულების მომენტში ვალდებულება არ არსებობს და ამასთან, უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ ვალდებულება თავიდანვე არ არსებობდა თუ იგი შეწყდა შესრულებამდე. ბ) სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მოთხოვნა საფუძვლიანია, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ წარმოიშობა (*condictio causa data causa non secuta, condictio ob rem*). ეს კონდიქ-

ცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გარიგების მონაწილეებმა ვალდებულების შესრულება დაუკავშირეს მომავალში სამართლებრივი ან ფაქტობრივი შედეგის დადგომას (მაგ., ნივთის ჩუქება მოსალოდნელი ქორწინების მიზნით, რომელიც არ შედგება). გ) ვალდებულების შესრულების კონდიქცია მოცემულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი შემდგომში შეწყდა გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო (*condictio ob causam finitam*, მაგალითად, გარიგება დადებულია გაუქმების პირობით და დადგა აღნიშნული მოვლენა). იგი *condictio indebiti*-სგან განსხვავდება იმით, რომ ვალდებულების შესრულების მომენტში არსებობდა სამართლებრივი საფუძველი, რომელიც შემდგომში საბოლოოდ წყდება. დ) სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვითომ-კრედიტორის მიერ ვალდებულების შესასრულებლად მიღებული ექვემდებარება უკან დაბრუნებას, თუ ვალდებულების სანიანაღმდეგოდ ისეთი → **შესაგებელი** იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოორიცხულია მოთხოვნის წარდგენა. ეს კონდიქცია წარმოადგენს *condictio indebiti*-ის განვრცობას. რამდენადაც შესაგებელი ხანმოკლე დროით არ უნდა გამოორიცხავდეს ვალდებულებას, ამიტომ ეს მუხლი მოიცავს სამართლებრივ შესაგებელს. ე) სარგებლის მიმღებმა (ვითომ-კრედიტორმა) უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული უკან უნდა დააბრუნოს, ე.ი. ალაღვინოს პირვანდელი მდგომარეობა (მაგალითად, მფლობელობის უკან დაბრუნება, საკუთრების უკან გადაცემა და ა.შ). გარდა ამისა, სამო-

ქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე, სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება; მიმღებს შეუძლია ის ხარჯები საერთო ღირებულებას გამოაკლოს, რომელიც მან განია ნივთის შენახვისათვის და რომელსაც იგი არ განეცდა უსაფუძვლო გამდიდრების გარეშე. ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-4 ნაწილი) არ არსებობს ორი კონდიქცია, არამედ თავიდანვე მოცემულია მხოლოდ ერთი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა, ვალდებულების ურთიერთშეფარდების შედეგად სხვაობის ოდენობით (ე.წ. საღლოს თეორია). უკან დაბრუნების ან შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა გამოორიცხებულია, თუ ვითომ-კრედიტორი არც საგნით და არც მისი ღირებულებით არ გამდიდრებულა (სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები). სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მეორე ნაწილი გამოორიცხავს უკან დაბრუნების მოთხოვნას, თუ, მაგალითად, შესრულება შესაბამეობა ზნეობრივ მოვალეობებს ან გავიდა ხანდაზმულობის ვადა და ა.შ.

2. ჩარევის კონდიქციები. სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი შეიცავს ე.წ. ჩარევის კონდიქციას, როდესაც ვითომ-კრედი-

ტორმა მიიღო ქონებრივი სარგებელი არა ვალდებულების შესრულების მიზნით, არამედ „სხვა საშუალებით“. ვითომ-კრედიტორის გამდიდრება შესაძლებელია გამონვეული იყოს თვით მიმღების მოქმედებით, მაგალითად, მოძრავი ნივთების შერწყმით. ვალდებულების შესრულების კონდიქციისგან განსხვავებით, 991-ე მუხლის გამოყენების აუცილებელ ნიშანპირობას წარმოადგენს ის, რომ უსაფუძვლოდ გამდიდრება „სხვა პირის ხარჯზე“ განხორციელდა. საკანონმდებლო შემადგენლობის ეს ნიშანი არ გულისხმობს, რომ მოცემული უნდა იყოს სხვა პირის ქონებრივი ზიანი, რადგან უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიზანი არის არა ქონებრივი დანაკლისის აღმოფხვრა, არამედ იმ გამდიდრების უკან დაბრუნება, რომელიც იმ პირს არ ეკუთვნის, ვინც სარგებელი მიიღო. ამ ნიშნის მიზანია, განსაზღვროს უსაფუძვლოდ გამდიდრების კრედიტორი. შესაბამისად, კრედიტორი არის ის პირი, რომელსაც ის სამართლებრივი სიკეთე ეკუთვნის, რომლის ხელყოფაც მოხდა. მაგალითად, თუ A-მ სამოგზაუროდ წასული დამქირავებლის B-ს ბინა საცხოვრებლად გამოიყენა, მაშინ მოცემულია B-ს მოთხოვნა A-ს მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. ჩარევის კონდიქციებს წარმოადგენს შეცდომით ხარჯების განევა სხვა პირის ქონებაზე (სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლი) და სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი). ჩარევის კონდიქციის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის უსასყიდლოდ განკარგვა, რომელიც ნამდვილია



## უფლება

უფლებამოსილი პირის მიმართ, მაგალითად, სხვისი ნივთის მფლობელი გააჩუქებს ნივთს → **საკუთრების კეთილსინდისიერ შემძენზე**, (სამოქალაქო კოდექსის 990-ე მუხლი). მოთხოვნა წარმოიშობა იმ პირის მიმართ, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად მიიღო უშუალო სამართლებრივი სარგებელი და იგი ვალდებულია გადასცეს მიღებული უფლებამოსილი პირს. თუ არაუფლებამოსილი პირის განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ არ არის ნამდვილი, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია მონონებით ეს გარიგება ნამდვილად აქციოს (სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლი).

## უფლება

სამართალი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომელიც შეიცავს გარე სამყაროსთან ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ დებულებებს. უფლება კი არის სამართლის საფუძველზე ინდივიდისათვის თავისი ინტერესების განსახორციელებლად მინიჭებული ძალაუფლება. მაშასადამე, უფლება არის სამართლის სუბიექტისათვის (წინაპირობა: → **უფლებაუნარიანობა**) მინიჭებული სამართლებრივი მდგომარეობა, თავისი სურვილის შესაბამისად განახორციელოს თავისი ინტერესები. თუ პირს ასეთი უფლება არ აქვს მინიჭებული და ის მხოლოდ სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ გამოცემული სამართლის ნორმის საფუძველზე არის სარგებლის მიმღები, ასეთ შემთხვევაში, მოცემული არ არის უფლება, არამედ მხოლოდ ე.წ. უფლების რეფლექსი უფლების ხარისხის გარეშე. მეორე მხრივ, უფლება წარმოშობს პირის ვალდებულებებს საზოგადოების მიმართ (მაგალითად, საკუთრებიდან გამომდინარე სოციალური ვალდებულება). უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო სამართალში (საჯარო-სამართლებრივი უფლება). შინაარსის მიხედვით განასხვავებენ → **აღმჭურველ უფლებასა** და უფლებას ვიწრო გაგებით (ბატონობით უფლებებს). იმპერატიული უფლებები იყოფა აბსოლუტურ, ე.ი. ყველას წინააღმდეგ მოქმედი უფლებები ადამიანებსა (მაგალითად, მშობლების ზრუნვა შვილების მიმართ) და ნივთებზე (მაგალითად, სანივთო უფლებები → **სანივთო სამართალი**), და ფარდობით უფლებებად. ფარდობითი უფლება შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ კონკრეტული პირის წინააღმდეგ (განსაკუთრებით, მოთხოვნა, → **ვალდებულებითი ურთიერთობა**). იმპერატიული უფლების დამახასიათებელი ნიშანია მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის უფლება და უფლება არ არის შინაარსობრივად იდენტური. უფლებიდან, როგორც ზოგადი იმპერატიული ურთიერთობიდან (მაგალითად, → **საკუთრება**) შეიძლება გამომდინარეობდეს განსხვავებული მოთხოვნები, ასე, მაგალითად, → **საკუთრების ხელშეშლის, → ზიანის ანაზღაურების** და ა.შ. მოთხოვნები. ფარდობით უფლებებში კი მოთხოვნა შეესაბამება მოთხოვნის უფლებას (→ **ვალდებულებითი ურთიერთობა**).

უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-5 მუხლი აყალიბებს → **ადმინისტრაციული ორგანოების** საქმიანობის კანონიერების პრინ-

ციპის მიხედვით უფლებების განხორციელება უნდა მოხდეს კანონის საფუძველზე საქართველოს → **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის** მე-5 მუხლი აყალიბებს → **ადმინისტრაციული ორგანოების** საქმიანობის კანონიერების პრინ-



ცივს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების კანონმდებლობის საფუძველზე შებოჭვას. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ → **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ → **საქართველოს კონსტიტუციის** მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული → **კანონქვემდებარე აქტით** მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. სზაკ-ის მე-5 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. → **კანონის უზენაესობის პრინციპი**, რომელიც ჩადებულია ნორმის ამ ნაწილში, ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას. ამასთან ერთად, იგი მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. ად-

მინისტრაციულ ორგანოებს არა აქვთ უფლება, მიმართონ ისეთ ღონისძიებას, რომელიც კანონსაწინააღმდეგო იქნება. კანონის უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფა იწვევს მმართველობითი ღონისძიების მართლწინააღმდეგობას. სზაკ-ის მე-5 მუხლის II ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. ნორმის ეს დებულება გამომდინარეობს კანონისმიერი დათქმის პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა მხოლოდ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით განისაზღვრება. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს შემზღუდავი ხასიათის მმართველობით საქმიანობაზე და მოითხოვს, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს ნორმატიულ საფუძველს. შემზღუდავი ხასიათის მმართველობითი საქმიანობის უფლებამოსილება კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში დეტალურად უნდა იყოს მოწესრიგებული, კერძოდ, მკაცრად უნდა განისაზღვროს შეზღუდვის ობიექტი, მიზანი და მოცულობა. აღმჭურველი ხასიათის მმართველობითი ღონისძიება არ საჭიროებს კონკრეტულ ნორმატიულ საფუძველს, რამდენადაც ის არ ზღუ-



დავს, როგორც ადრესატის, ასევე მესამე პირების უფლებებს. ასეთ შემთხვევაში მმართველობითი ღონისძიება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და მისი განმხორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცდეს თავისი უფლებამოსილების საზღვრებს. → **კანონისმიერი დათქმის პრინციპი** კონსტიტუციაში განმტკიცებული → **დემოკრატიის**, → **სამართლებრივი სახელმწიფოსა** და → **ძირითადი უფლებების** აღიარების პრინციპებიდან გამომდინარეობს. სზაკ-ის მე-5 მუხლის III ნაწილი ადგენს კანონიერების პრინციპის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფლებამოსილების გადამეტებით განხორციელებულ მმართველობით ღონისძიებას არა აქვს იურიდიული ძალა. თუმცა უფლებამოსილების გადამეტება ყოველთვის არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ღონისძიება მივიჩნიოთ იურიდიული ძალის არმქონედ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მისი გამოცემის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად იყოს გადამეტებული. სხვა შემთხვევაში ის შეიძლება გახდეს აქტის უკანონობის და შესაბამისად, → **ბათილად გამოცხადების** საფუძველი.

### უფლებაუნარიანობა

ნიშნავს პირის უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ე.ი. იყოს → **სამართლის სუბიექტი**. უფლებაუნარიანობა აქვს ყველა ფიზიკურ და → **იურიდიულ პირს**. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბა-

დების მომენტიდან, მაშასადამე, როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს, დამოუკიდებლად შეუძლია სუნთქვა და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უწოდებს. უფლებაუნარიანობის წარმოშობა დამოკიდებული არ არის ბავშვის სიცოცხლისუნარიანობაზე. ბავშვის მკვდრად დაბადების შემთხვევაში, უფლებაუნარიანობა არ წარმოიშობა, მაგრამ → **ჩანასახს** – უფლებაუნარიანობის არქონის მიუხედავად – შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული უფლებები. უფლებაუნარიანობა ყოველისმომცველია. პატარა ბავშვი შესაძლებელია იყოს ქონების მფლობელი ან ჰქონდეს სამოქალაქოსამართლებრივი მოთხოვნა სხვა პირის მიმართ. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. უფლებაუნარიანობა განსხვავდება → **ქმედუნარიანობასა** და → **დექლექტუნარიანობისგან**. კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის ფაქტის დასრულების რეგისტრაციის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი). კერძო სამართლის როგორც კომერციული, ისე არაკომერციული იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა შეუზღუდავია და მას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კა-

ნონი, რომლის მიხედვითაც, მისი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევნიდან). ბათილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული გარიგებები, თუ ისინი არ განეკუთვნებიან იურიდიული პირის საქმიანობის სფეროს. → **საპროცესო უფლებაუნარიანობა.**

### უღირსი მემკვიდრე

პირი არ შეიძლება იყოს მემკვიდრე, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გათქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლი). უღირს მემკვიდრედ ჩაითვლება აგრეთვე მშობელი, რომელსაც

ჩამოერთვა მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არის ამ უფლებაში აღდგენილი. უღირს მემკვიდრედ ცნობა დადგენილ უნდა იქნას სასამართლოს მიერ იმ პირის სარჩელით, რომლისთვისაც უღირს მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგს იწვევს. ამ შემთხვევაში, სამკვიდრო ქონება გადადის სხვა მემკვიდრეებზე.

### უცხოელი

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, უცხოელად ჩაითვლება პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და არ არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ასევე პირი, რომელსაც დოკუმენტურად არ უდასტურდება ან/და არ უდგინდება რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობისადმი კუთვნილება და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

**უწყებათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულება**  
→ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება



ფ

**ფალსიფიკაცია**

გულისხმობს მოტყუებით ნივთის თვისობრიობის შეცვლას მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ, ჩადენილი ანგარებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფალსიფიკაციისთვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**), რაც ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ ქმედებას შეეძლო საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ხოლო თუ ქმედებას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასევე, წინასწარი შეცნობით ფალსიფიცირებული ნივთის უკანონო გადაზიდვა ან გასაღებისთვის, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

**ფასიანი ქალაღლი**

→ **საწარმდგენლო ფასიანი ქალაღლი**; → **საორდერო ფასიანი ქალაღლი**; → **პირადი ფასიანი ქალაღლი**.

**ფასი, დაზღვევა, ფრახტი**

არის დათქმა, განსაკუთრებით, სავაჭრო ურთიერთობაში, როცა ნივთის cif-ფასი მოიცავს ნივთის ფასს (cost) მიწოდების ადგილზე, ასევე, ნივთის დაზღვევას (insurance) და ტრანსპორტირებას (freight).

**ფაქტების დადგენა**

→ **საერთაშორისო დავების მწვიდობიანი გადაწყვეტის** ერთი საშუალება, რომელიც მიზნად ისახავს დავის მოგვარების ხელშეწყობას ნეიტრალური მხარის მიერ სადავო საკითხთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის გზით. ფაქტების დადგენის პროცესი მოიცავს: მხარეების მოსმენას, მონმეების დაკითხვას, დოკუმენტაციის ანალიზს და ა.შ. ფაქტების დამდგენი კომისიის შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მოდავე მხარეები. ფაქტების დადგენა შეიძლება ასევე განხორციელ-

ფ

დეს საერთაშორისო ორგანიზაციის, მისი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ. ფაქტების დადგენის შედეგი მხარეებისათვის არ წარმოშობს ვალდებულებას, მის საფუძველზე გადაწყვიტონ დავა.

**ფედერალიზმი**

წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან: „foedus“ - „ფოედუს“ და ნიშნავს „კავშირს“, გაერთიანებას“. იგი აღნიშნავს ტენდენციას, რომელიც სრულყოფს და ავსებს ხელისუფლების ჰორიზონტალურ განაწილებას და რომელიც მიმართულია სახელმწიფოს ერთეულების გაძლიერებისაკენ ფართო კომპეტენციების (კანონმდებლობა, მმართველობა, მართლმსაჯულება) მინიჭების გზით. ამასთან, უფლებამოსილებები, სახელმწიფო მართვის სფეროები და ელემენტები განსაზღვრული და ცენტრალური ხელისუფლებისაგან უმთავრესად გამიჯნულია კონსტიტუციით (ან ფედერალური ხელშეკრულებით). ფედერალიზმის გადაამტკებელი ფორმებია პარტიკულარიზმი და სეპარატიზმი.

**ფიზიკური პირი**  
→ პირი.

**ფორმის დაცვა**  
→ გარიგების ფორმა.

**ფრენშაიზინგი**

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება არის შერეული ტიპის ხელშეკრულება → იჯარის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ელემენტებით. ფრენშაიზის მიმღებს, საკუთარი სახელითა და ხარჯზე, გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე, უფლება აქვს გამოიყენოს ფრენშაიზის მიმცემის არამატერიალური ქონებრივი უფლე-

ბები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შექმნის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია (სამოქალაქო კოდექსის 608-ე მუხლი). ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია განუწყვეტილად განავითაროს მოქმედების ერთიანი სისტემა და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციების მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს. მეორე მხრივ, მას მეტწილად აქვს ფრენშაიზინგის მიმღებისათვის გადაცემულ სისტემაზე განსაზღვრული საკონტროლო უფლებები.

**ფულადი ვალდებულება**  
→ ვალდებულება.

**ფულის გათეთრება**

გულისხმობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვას ან შენიღბვას, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე. უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მი-



## ფულის გათეთრება

სი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. უკანონო შემოსავლის მიღების წყარო შეიძლება იყოს ნარკოტიკებით ვაჭრობა, სათამაშო და პორნოზინესი, მექრთამეობა, უკანონო სამენარმეო და სხვა სახის არალეგალური საქმიანობა, რომლიდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზებასაც ცდილობენ დამნაშავეები. დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი → **ოჯახის წევრს**, → **ახლო ნათესავს** ან → **დაკავშირებულ პირს** არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. ფულის გათეთრების ხერხი შეიძლება იყოს მრავალფეროვანი. მაგ., ნაღდი ფულის გარდაქმნა სხვა ლირებულიებად-საბანკო ანაბრად ან უძრავ ქონებად. უძრავი ქონების რეალიზაცია ხდება და მიღებული შემოსავალი კანონიერად გამოიყურება. ან კიდევ უკანონო შემოსავლის ინტეგრირება ხდება ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში ან

მისი ექსპორტირება ხდება ლიბერალური საფინანსო სისტემის მექონე ქვეყნებში და სამშობლოში ბრუნდება კანონიერი გადარიცხვების ფორმით და სხვა. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია, ჯგუფურად (→ **ჯგუფური დანაშაული**), არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**), თუ მას თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ოცდაათი ათასი ლარიდან ორმოცდაათ ათას ლარამდე), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფულის გათეთრებისთვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**), სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან თუ მას თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის (განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება შემოსავალი ორმოცდაათი ათასი ლარის ზევით) მიღება. აღნიშნულ გარემოებებში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

## ქ

**ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა** → **საერთაშორისო ხასიათის დანაშაული**. → **მონობისა და მონებით ვაჭრობისაგან**, რომელიც ასევე ამ სახის დანაშაულს წარმოადგენს, განსხვავდება იმით, რომ ამ შემთხვევაში ვაჭრობის მიზანს არ წარმოადგენს პირის მონობის მდგომარეობაში ჩაყენება. პირველი კონვენცია, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხებოდა, დადებულ იქნა 1910 წელს და მიზნად ისახავდა ქალებით ვაჭრობის აღკვეთას. 1921 წელს, ჟენევაში, დაიდო კონვენცია ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლეოდა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცათ ის პირები, რომლებიც ეწევიან ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობას. 1949 წლის 2 დეკემბერს ხელმოსაწერად გაიხსნა და 1951 წლის 25 ივლისს ძალაში შევიდა კონვენცია ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ. აღნიშნულმა კონვენციამ ჩაანაცვლა მოცემული საკითხის მარეგულირებელი ყველა იმ დროისათვის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება. 1949 წლის კონვენციაში დადგენილ იქნა ყველა ქმედება, რომლის ჩადენისათვის პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ბავშვის უფლებების 1989 წლის კონვენციის დამატებით ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რომელიც 2002 წელს შევიდა ძალაში, ასევე ცალსახად კრძალავს ბავშვ-

ბით ვაჭრობას. ამასთანავე აღნიშნული ოქმით ბავშვებით ვაჭრობა განმარტებულია, როგორც ქმედება ან გარიგება, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად.

**ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება**

→ **საერთაშორისო ორგანიზაცია**, რომლის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა პარიზში 1951 წლის 18 აპრილს. ხელშეკრულების მხარეებს თავდაპირველად წარმოადგენდნენ საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. შემდგომში ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა ევროპული ინტეგრაციის განვითარების და მასში სხვა სახელმწიფოების მონაწილეობის შესაბამისად იზრდებოდა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1952 წლის 23 ივლისს. მისი მოქმედების ვადა 50 წელს წარმოადგენდა, რომელიც 2002 წლის 24 ივლისს გავიდა. ამ დღიდან აღნიშნული ხელშეკრულებით დარეგულირებული საკითხები → **ევროპული გაერთიანების** დამფუძნებელი ხელშეკრულებით რეგულირდება (2009 წლის 1 დეკემბრიდან - „ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ სახელწოდებით). ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნას. მის მიზანს

ქ

## ქირავნობა

წარმოადგენდა ეკონომიკის განვითარება, დასაქმების გაზრდა, ცხოვრების დონის ამაღლება, რაციონალური წარმოება და დანაწილება.

### ქირავნობა

1. ქირავნობის ხელშეკრულება არის → **ორმხრივი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც, გამქირავებელი, ქირის სანაცვლოდ, ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს ნივთი განსაზღვრული დროით (სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლი). ქირავნობის საგანი შეიძლება იყოს როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთი. თუ გაქირავებული საგნის სარგებლობასთან ერთად პირს ენიჭება ნაყოფის მიღების უფლებაც, მაშინ მოცემულია იჯარის ხელშეკრულება.

2. ა) გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა (სამოქალაქო კოდექსის 532-ე მუხლი). გამქირავებელი არ არის ვალდებული გააუმჯობესოს ნივთის მდგომარეობა, მაგრამ მას ეკისრება პასუხისმგებლობა აღკვეთოს ნივთით სარგებლობისათვის ხელშემშლელი გარემოებები. როგორც წესი, ქირავნობის ხელშეკრულებისათვის არ არის დადგენილი განსაზღვრული ფორმა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის ხელშეკრულება შეეხება მიწის საკვეთის ერთ ნელზე მეტი ვადით სარგებლობას, მაშინ იგი უნდა გაფორმდეს წერილობით (სამოქალაქო კოდექსის 569-ე მუხლი). თუ გაქირავებულ ნივთს ხელშეკრულების დადების მომენტიდან ალმოაჩნდა ნაკ-

ლი, რომელიც მის ვარგისიანობას ამცირებს ან შემდგომში აღმოჩნდება იმ გარემოებათა გამო, რაზედაც გამქირავებელი პასუხს აგებს ან, თუ გამქირავებელი ნაკლის გამოსწორებას დააყოვნებს, დამქირავებელს ქირა შეუმცირდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო და ასევე, მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება; უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება (სამოქალაქო კოდექსის 536-ე, 537-ე მუხლები). აღნიშნული უფლებები აქვს დამქირავებელს მაშინაც, როდესაც გაქირავებულ ნივთს აკლია დათქმული თვისებები. თუ ნივთს აღმოაჩნდა ნაკლი ხელშეკრულების დადებისას და ამისათვის გამქირავებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ან იგი დააყოვნებს ნაკლის გამოსწორებას, მაშინ მოცემულია → **მოვლის მიერ ვადის გადაცილება** და მას ეკისრება → **ზიანის ანაზღაურება**; თუ გამქირავებელი აყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 537-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დავის შემთხვევაში, გამქირავებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნივთის ნაკლის გამოწვევი მიზეზი მისი პასუხისმგებლობის სფეროს არ განეკუთვნება ან მის მიერ არ მომხდარა ნივთის გადაცემა დაგვიანებით ან მის მიერ ნივთის ნაკლის აღმოფხვრის ღონისძიებები დროულად განხორციელდა. თუ იგი ამ გარემოებებს დაამტკიცებს, მაშინ დამქირავებელზე გადადის მტკიცების ტვირთი, რომ მას ნივთის ნაკლის გამო არ ეკისრება პასუხისმგებლობა. თუ ხელშეკრულების დადები-



სას დამქირავებლისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი და იგი არ განაცხადებს პრეტენზიას ამის გამო, მაშინ მას არ წარმოეშობა 536-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება (სამოქალაქო კოდექსის 538-ე მუხლი). ბათილია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც გამქირავებელი გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ან იზღუდება მისი პასუხისმგებლობა, თუკი გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა (სამოქალაქო კოდექსის 539-ე მუხლი). ბ) დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს შეთანხმებული ქირა. ამ ვალდებულებისაგან იგი არ თავისუფლდება მაშინაც კი, როდესაც მას თავისი მიზეზით ეშლება ხელი ნივთის სარგებლობაში (სამოქალაქო კოდექსის 531-ე, 553-ე და 554-ე მუხლები). დამქირავებელს არ ეკისრება ქირის გადახდის ვალდებულება, თუ გამქირავებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთის გადაცემა ან დამქირავებელს წაერთვა ნივთით სარგებლობის უფლება; ამავე დროს, დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 541-ე მუხლი). გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს (სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლი). გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, თუ დამქირავებელი მნიშვნელოვნად აზიანებს ნივთს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას, გამქირავებელს შეუძლია ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება და მნიშვნელოვანი ზიანის შემთხვევაში,

მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 557-ე, 573-ე მუხლები). დამქირავებელს არა აქვს უფლება, გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს (ქვექირავნობა); გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე; გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე განეული აუცილებელი ხარჯები; სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება → **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების** წესების შესაბამისად (სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი). დამქირავებელი უფლებამოსილია დაიტოვოს ის, რითაც მან დაქირავებული ნივთი აღჭურვა. გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლი). ქირის გადახდის შესახებ გამქირავებლის მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა.

3. ა) ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. თუ საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს; თუ ქირავნობის ხელშეკრულება ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ათი წლის შემდეგ სამი თვის ვადის დაცვით

## ქმედება

(სამოქალაქო კოდექსის 561-ე, 570-ე მუხლები). ვადის დაცვის გარეშე შეიძლება მოიშალოს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას (სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი). ბ) ქირავნობის შეწყვეტის შემდეგ დამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო; გამქირავებელს შეუძლია მესამე პირისაგან მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, თუ მესამე პირს დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის გადასცა; თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 564-ე, 566-ე და 567-ე მუხლები).

## ქმედება

სისხლის სამართალში ქმედება გულისხმობს როგორც ადამიანის აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობას. დანაშაული კი წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც შეესაბამება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცალკეული ნორმებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს და ამასთან ერთად, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია. აქტიური მოქმედების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააჩნდა პირს მისი განხორციელების ნება და სურვილი და რამდენად გაცნობიერებულად გამოიწვია მან შედეგი (ამრიგად, უბრალო რეფლექსური

სხეულებრივი მოძრაობები აქ არ მოიაზრება); უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელია პირის მიერ აქტიური მოქმედებისგან თავის შეკავება. ქმედების კაუზალური თეორიიდან განვითარდა ქმედების სოციალური თეორია, რომელიც ქმედების ცნებას უკავშირებს არა ადამიანის მიერ ნების გამოვლენას, არამედ ადამიანის სოციალურად მნიშვნელოვან ქცევას. ამისგან განსხვავებით, ქმედების ფინალური მოძღვრება ქმედებას განმარტავს, როგორც ადამიანის მიერ მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას. ისეთი შემთხვევები, სადაც კონკრეტული ქმედება სოციალურად ადეკვატურ ქმედებად მიიჩნევა, ძირითადად წარმოადგენენ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს (→ მართლწინააღმდეგობა).

**ქმედების კაუზალური თეორია**  
→ ქმედება.

**ქმედების სოციალური თეორია**  
→ ქმედება.

**ქმედების ფინალური თეორია**  
→ ქმედება.

**ქმედითი მონაწილეობა**  
→ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

**ქმედუნარიანობა**  
არის პირის უნარი შეიძინოს სამოქალაქო → უფლებები და მოვალეობები. კანონი განსაზღვრავს, რომ სრული ქმედუნარიანობა წარმოიშობა → სრულწლოვანების

მიღწევითანავე რადგან ქმედუნარიანობა, როგორც წესი, ივარუდება, → **მტიციების ტვირთი** ეკისრება მას, ვინც მის არსებობას სადავოდ ხდის. ნორმები ქმედუნარიანობის შესახებ იმპერატიულია. → **კეთილსინდისიერი შემძენი** ვერ იქნება პირი, თუ მან → **გარიგება** ქმედუნარო პირთან დადო. შეზღუდულად ქმედუნარო პირის სახელით, როგორც წესი, მოქმედებენ მისი → **კანონიერი წარმომადგენლები**. ქმედუნარო არის შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი და პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნა აღიარებული (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი). თუ სულით ავადმყოფს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (*lucidum intervallum*) აქვს ნათელი გონება, მაშინ იგი ამ მომენტში, მიიჩნევა ქმედუნარიანად. ბათილია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირის → **ნების გამოვლენა**. ბათილად მიიჩნევა, აგრეთვე, ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს (სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლი), თუმცა, ეს შემთხვევა, როგორც წესი, ქმედუნარიანობას არ ეხება. შეზღუდულად ქმედუნარიანი არის შვიდიდან თვრამეტე წლამდე ასაკის არასრულწლოვანი. შეზღუდულად ქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ჩაითვლება ნამდვილად, თუ იგი ამ გარიგებით იღებს სარგებელს (სამოქალაქო კოდექსის მე-15 და 63-ე მუხლები). → **საპროცესო ქმედუნარიანობა**.

### ქონებაზე ყადაღის დადება

1. სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მიერ (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი პროკურორის დადგენილების საფუძველზე; მაგალითად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადამაღავენ ან გაანადგურებენ გამოყენებული იქნეს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან → **დაკავშირებული პირის** ქონების მიმართ, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამაღავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი). ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლი). არ შეიძლება ყადაღა დაედოს პირისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარს და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლი).

## ქონების უპატრონოდ ცნობა

ფულად ანაბარზე ყადაღის დადებისას წყდება საანაბრო ოპერაციები. თუ საკუთრება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით არის შექმნილი ან გაზრდილი, ყადაღა შეიძლება დაედოს მთელ ქონებას ან მის მეტ ნილს. ყადაღა ედება ბრალდებულის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, დაკავშირებული პირის ან/და რეკეტული დაჯგუფების ქონებას (მათ შორის, იურიდიული პირისა და მისი შვილობილი კომპანიების ქონებას), მიუხედავად ბრალდებულის ნილისა ამ ქონებაში, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ეს ქონება ან მისი ნაწილი რეკეტულია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.

2. სამოქალაქო სამართალში → **სარჩელის უზრუნველყოფა.**

## ქონების უპატრონოდ ცნობა → უდავო წარმოება.

### ქონების ჩამორთმევა

არის სასჯელის ერთ-ერთი სახე, რომელიც შეიძლება დაენიშნოს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს მხოლოდ დამატებით სასჯელად. იგი გულისხმობს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსაყიდლოდ ჩამორთმევას (სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი). ა) დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა სასამართლოს მიერ

შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველა განზრახი დანაშაულისათვის, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ბ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსაყიდლოდ ჩამორთმევას, რომელიც სასამართლოს მიერ შეიძლება დაინიშნოს ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

### ქორწინება

1. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი). დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. საქორწინო ასაკი შეადგენს თვრამეტ წელს; მა-

გრამ თექვსმეტი წლის ასაკიდან შესაძლებელია დაქორწინება, თუ არსებობს კანონიერი წარმომადგენლების წინასწარ წერილობითი თანხმობა. ქორწინების რეგისტრაციისათვის დასაქორწინებელმა პირებმა განცხადებით უნდა მიმართონ სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. ქორწინება ხორციელდება ორი ან მეტი მოწმის თანდასწრებით.

2. ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლება ყველა ის გარემოება, რომელიც ქორწინების ნამდვილობას გამორიცხავს. სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი განსაზღვრავს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს. კერძოდ, ქორწინება არ დაიშვება იმ პირთა შორის, თუ ერთ-ერთი მათგანი დაქორწინებულია სხვა პირთან; პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის; ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის; მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; თუ ერთ-ერთი პირი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუუნაროდ. ამ გარემოებების არსებობა იწვევს → **ქორწინების ბათილობას**.

3. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას. შესაბამისად, დაუშვებელია ამ მიზნით სასამართლოში სარჩელის წარდგენა. ნიშნობის მოშლის შემთხვევაში, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები (სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლი). → **ქორწინების შეწყვეტა**; → **საქორწინო ხელშეკრულება**.

**ქორწინების ბათილობა**

ქორწინების ბათილად ცნობა მოქმედებს ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (→ **ex tunc**) და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს ამით იგი განსხვავდება → **ქორწინების შეწყვეტისაგან**, რომელიც მეუღლეების მიმართ სამართლებრივ შედეგებს მომავლისთვის (→ **ex nunc**) განსაზღვრავს. შესაბამისად, თუ ქორწინების შეწყვეტა გამოწვეულია იმ გარემოებების საფუძველზე, რომლებიც წარმოიშვა ქორწინების პერიოდში, ქორწინების ბათილობის გარემოებები აუცილებლად უნდა არსებობდეს ქორწინების მომენტიში. ქორწინების ბათილად ცნობა შესაძლებელია მხოლოდ კანონში მითითებული გარემოებების საფუძველზე, კერძოდ, თუ დასაქორწინებელ პირებს არ მიუღწევიათ საქორწინო ასაკისთვის ან არ არსებობს მათი თანხმობა ქორწინების შესახებ, ასევე, თვრამეტ წლამდე მიუღწეველი პირის ქორწინების შემთხვევაში, არ არსებობს კანონიერი წარმომადგენლების წინასწარ წერილობითი თანხმობა (სამოქალაქო კოდექსის 1107-ე, 1108-ე მუხლები); ქორწინება ბათილია, თუ ერთ-ერთი მეუღლე დაქორწინებულია სხვა პირთან; პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავებს შორის; ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის; მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; თუ ერთ-ერთი პირი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუუნაროდ (სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი). გარდა აღნიშნული გარემოებებისა, სამოქალაქო კოდექსით ქორწინების ბათილად ცნობა შესაძლებელია იმ შემთხვევა-



## ქორწინების შეწყვეტა

შიც, როცა ქორწინება შედგა იძულების შედეგად (სამოქალაქო კოდექსის 1144-ე მუხლი), ან მოცემულია ფიქციური ქორწინება, რომელიც არ ისახავდა მიზნად ოჯახის შექმნას (სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლი). ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმაც. ქორწინება ბათილად უნდა იქნას ცნობილი მხოლოდ სასამართლოს მიერ; სასამართლოს მიერ ქორწინების ბათილობის დადგენამდე მოქმედებს ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია და ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება ეწოდება, თუ მეუღლეებმა არ იცოდნენ იმ გარემოების შესახებ, რომელიც ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველია (სამოქალაქო კოდექსის 1141-ე მუხლი). ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების თავდაპირველად არსებობის მიუხედავად, არ შეიძლება ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნა ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ასევე, თუ ფიქციურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს, სასამართლოს განხილვამდე, ფაქტობრივად უკვე შექმნილი აქვთ ოჯახი (სამოქალაქო კოდექსის 1145-ე, 1149-ე მუხლები). გარდა ამისა, სასამართლოს უფლება აქვს იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, მიაკუთვნოს → **სარჩოს** უფლება და შექმნილი ქონების მიმართ გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1171-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები. კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუ-

ძლია მოითხოვოს, ასევე, ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას ქორწინების შედეგად მიადგა (სამოქალაქო კოდექსის 1146-ე, 1147-ე მუხლები).

## ქორწინების შეწყვეტა

1. სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლის თანახმად, ქორწინებაწყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ან ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით და განქორწინებით. თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, მაშინ განქორწინება ხდება სასამართლოს მეშვეობით, სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე. მეუღლეები განქორწინებულად ითვლებიან სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 1123-ე, 1124-ე მუხლები). სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე, რომელიც არ შეიცავს მეორე მეუღლის თანხმობას, განქორწინება შესაძლებელია, თუ მეორე მეუღლე აღიარებულია უგზო-უკვლოდ ან, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო იგი ცნობილია ქმედუუნაროდ ან, სასამართლოს მიერ იგი მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლის ვადით (სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, მეუღლემ, რომელმაც განცხადებით მიმართა სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს განქორწინების თაობაზე, ვალდებულია წარუდგინოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ ან ქმედუუნაროდ

ალიარების ან თავისუფლების აღკვეთის შეფარდების თაობაზე (სამოქალაქო კოდექსის 1139-ე მუხლი).

2. განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს საერთო სასარჩელო წარმოების წესით. შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს განუსაზღვროს ვადა შესარიგებლად, მაგრამ არაუმეტეს ექვსი თვისა (სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლი). მეუღლეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში და ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, ასევე, შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათ სარჩენად გადასახდელი → **სარჩოს** შესახებ. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების საფუძველზე, გადაწყვეტილების გამოტანიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში რეგისტრაციის მეშვეობით (სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლი).

3. განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით ქორწინება შეწყვეტილია მეუღლეებს შორის და მათ შეუძლიათ ხელახლა დაქორწინდნენ. განქორწინების მიუხედავად, მეუღლეებს შეუძლიათ, როგორც მონუმებმა უარი თქვან ჩვენების მიცემაზე განქორწინებული მეუღლის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი).

## ქრთამის ალება

სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (მოხელის და მასთან გათანაბრებული პირების შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**) პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღებას ან მოთხოვნას, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღებას თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. აღნიშნული ქმედება ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. პირმა ქრთამი შეიძლება აიღოს, როგორც პირადად, ისე შუამავლის მეშვეობით. ქრთამის ალებით შეიძლება შესრულდეს, როგორც კანონიერი, ისე უკანონო მოქმედება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არ აქვს ქრთამის ამღებების მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივად განხორციელებას. მთავარია დადგენილ იქნეს, რომ ქრთამი აღებულია გარკვეული მოქმედების შესასრულებლად ან მისი შეუსრულებლობისათვის. აღნიშნული დანაშაულისთვის სისხლის-

## ქრთამის მიცემა

სამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქრთამი აღებულა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ (აღნიშნულის შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**), დიდი ოდენობით (დიდი ოდენობით ქრთამად ითვლება ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ათი ათასი ლარის ზევით); წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**). დანაშაული აღნიშნული გარემოებების არსებობისას ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე. გარდა ამისა, ქრთამის აღების მაკვალიფიცირებელი გარემოებაა მისი აღება მექრთამეობისათვის მსჯავრდებულის მიერ, არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**), გამოძალავით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ორგანიზებული ჯგუფი**) განსაკუთრებით დიდი ოდენობით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამად ითვლება ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების ან ქონებრივი სარგებლის სახით თანხა ოცდაათი ათასი ლარის ზევით). ასეთ შემთხვევებში დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

## ქრთამის მიცემა

სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მიხედვით, გულისხმობს მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის (აღნიშნულის შესახებ → **სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება**) პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქალაქის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე

არამართლზომიერი უპირატესობის დაპირებას, შეთავაზებას ან მინიჭებას მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა. ქრთამის მიცემა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით იმავე ვადით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ქრთამის მიცემა შეიძლება განხორციელდეს, როგორც უშუალოდ ქრთამის მიცემის მიერ, ისე შუამავლის მეშვეობით, რომელიც ამ დანაშაულის თანამონაწილედ გვევლინება დამხმარის სახით (→ **დამხმარე**). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს იმის მიუხედავად, იყო თუ არა შესრულებული მოხელის მიერ ქრთამით განპირობებული მოქმედება. დანაშაული მძიმდება, როდესაც მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს ქრთამი ეძლევა უკანონო მოქმედების ჩასადენად. ამ შემთხვევაში ქრთამის მიცემი პასუხს აგებს არა მარტო ქრთამის მიცემისათვის, არამედ სხვა სამოხელეო დანაშაულის ჩასადენად სახელმწიფო მოხელის ნაქვების სთვისაც. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მძიმდება თუ დანაშაულს ჩადის → **ორგანიზებული ჯგუფი**, რაც სისხ-



ლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ქრთამის მიმცემი, თუ მას ქრთამი გამოსძალეს ან თუ მან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

### ქურდობა

წარმოადგენს სხვისი მოძრავი → ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. ქმედების ქურდობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია მისი ფარული ხასიათი. მისი ჩადენა ობიექტურად (ან დამნაშავის სუბიექტური წარმოდგენით) შეუმჩნეველი უნდა დარჩეს სხვა პირებისათვის. ქურდობა დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ეუფლება სხვის ქონებას და შესაძლებლობა აქვს განკარგოს ეს ქონება თავისი შეხედულებით, იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება (მაგ., პირმა მალაზიაში აიღო ნივთი და თავისი წარმოდგენით ფარულად ჩაიღო ჯიბეში). ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ უნდა იყოს ჩადენილი. მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება, როდესაც ნივთის მესაკუთრე ან მფლობელი თანხმობას განაცხადებს

სხვის მიერ ნივთის დაუფლებასა და მისაკუთრებასთან დაკავშირებით. მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება მაშინაც, როდესაც პირს ნივთთან დაკავშირებით კანონიერი მოთხოვნა გააჩნია. ქურდობა ქმედების განზრახ ჩადენას გულისხმობს. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ნივთს, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედების შედეგად ზიანს აყენებს მესაკუთრეს ან ქონების მფლობელს და მაინც სურს მიაყენოს მას ეს ზიანი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქურდობისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (სადგომში იგულისხმება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გამიზნული, მაგ., ფაბრიკა-ქარხანა, მუზეუმი, მალაზია და ა.შ.), სხვა საცავი კი არის ასევე მატერიალური ფასეულობების მუდმივ ან დროებით შესანახად განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შემოღობილია ან უზრუნველყოფილია მისი სხვაგვარი დაცვა, მაგ., სეიფი, კონტეინერი, რკინის კარადა და ა.შ.), ან თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით). ასეთ შემთხვევაში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე ქურდობა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე-186-ე მუხ-

## ქურდული სამყაროს წევრი

ლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა); ბინაში უკანონო შეღწევით; სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქურდობისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); დიდი ოდენობით (დიდი ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით); იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის; მაგისტრალურ მილსადენში არსებული ნავთობის ან გაზის მიმართ. აღნიშნულ შემთხვევებში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე.

## ქურდული სამყაროს წევრი → ქურდული სამყაროს წევრობა.

**ქურდული სამყაროს წევრობა**  
სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ. ქურდული სამყარო ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით განიმარტება, როგორც პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანა-

შაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება. ქურდული სამყაროს წევრი კი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

## ქცევის შეზღუდვა

არის → **აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების** ერთ-ერთი სახე. იგი გამოიხატება არასრულწლოვანისთვის გარკვეული ქმედების ჩადენის აკძალვაში, ან პირიქით, მისთვის რაიმე ქმედების განხორციელების დავალებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს: განსაზღვრული ადგილის მონახულება (მაგალითად, გარკვეულ კლუბებში მისვლა), დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა (მაგალითად, ღამის საათებში არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს შინიდან გასვლა), სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე სადმე წასვლა (მაგალითად, თუ არასრულწლოვანს სხვა ქალაქში სურს წასვლა, მან შესაბამისი ნებართვა უნდა აიღოს სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოდან), თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება (მაგალითად, შეიძლება არასრულწლოვანს აეკრძალოს თავისუფალ დროს ალკოჰოლური სასმელების მიღება, აზარტული თამაშების თამაში და ა.შ.). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის მე-2

ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს: საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის განახლება (მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანმა მიატოვა სასწავლებელი და არ სურს სწავლის განახლება), ან სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება (არასრულწლოვანი უარს ვერ იტყვის მუშაობის დაწყებაზე იმ მოტივით, რომ ეს სამუშაო მას არ მოსწონს ან არაპრესტიჟულია. სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანოს არა აქვს უფლება არასრულწლოვანი მოაწყოს ისეთ სამუშაოზე, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მის მორალურ და ფიზი-

კურ აღზრდაზე). ზემოაღნიშნული შეზღუდვების გარდა სასამართლოს საკუთარი მიხედვლებისამებრ შეუძლია სხვაგვარად შეზღუდოს არასრულწლოვნის ქცევა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სასამართლო უფლებამოსილია, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ხერხის, საშუალების, არასრულწლოვანი პიროვნული მონაცემებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, დანიშნოს ქცევის შეზღუდვის სრულიად სხვა სახე, რომელიც არასრულწლოვნის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მეტ გარანტიას იძლევა.

**ლია ზღვა**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 86-ე მუხლის მიხედვით, ღია ზღვა მოიცავს ზღვის იმ ნაწილს, რომელიც არ მიეკუთვნება რომელიმე სახელმწიფოს → **განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას**, → **ტერიტორიულ ზღვას** ან → **შიდა წყლებს**, ან კიდევ → **არქიპელაგური სახელმწიფოს** → **არქიპელაგურ წყლებს**. ღია ზღვა ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის, მათ შორის ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებისათვის. ღია ზღვის თავისუფლება მოიცავს ნაოსნობის, ღია ზღვის თავზე მდებარე საჰაერო სივრცეში ფრენის, კაბელებისა და მილსადენების გაყვანის, ხელოვნური კუნძულებისა და საერთაშორისო სამართლით ნებადართული სხვა დანადგარების აგების, სამეცნიერო კვლევებისა და თევზჭერის თავისუფლებას. ღია ზღვაში მცურავ გემზე განსაკუთრებული იურისდიქცია აქვს იმ სახელმწიფოს, რომლის ალმითაც დაცურავს მოცემული გემი. სამხედრო გემებს, ცალკეულ შემთხვევებში, შეუძლიათ გემების შერყევა და დათვალიერება. მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ აღნიშნული გემი მონათვაჭრობით ან მეკობრეობით არის დაკავებული.

**ღია საერთაშორისო ხელშეკრულება**

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც ხელმოსაწერად ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის. ასე-

თი ხელშეკრულება მოიცავს საკითხებს, რომელთა დარეგულირება ყველა სახელმწიფოს ინტერესში შედის (მაგ. → **დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია**).

**ღირსება**

დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით. პიროვნების ღირსება მოიაზრებს პატივისცემისა და ფასეულობის როგორც შინაგან ისე სოციალურ მოთხოვნას, რომლის უფლებაც მინიჭებული აქვს ადამიანს, როგორც სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების უმთავრეს სუბიექტს. ადამიანი თვითონ არის ზნეობრივი ფასეულობა, რომელიც ხელშეუვალი ყველა ნებისმიერი უფლებისა და თუ მოთხოვნის წინაშე. სწორედ ამიტომ პიროვნების ღირსება არის ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საფუძველი. ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ძირითადი უფლებები, მაგალითად, როგორიცაა პირადი ცხოვრებისა და პირადი მიმონერის ხელშეუხებლობა და ასევე ადამიანის ერთადერთი აბსოლუტური უფლება, კერძოდ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა (ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის დარღვევაც წარმოშობს როგორც საერთაშორისო ისე სისხლის-სამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ (მორალური ზიანი) პასუხისმგებლობას.

ყ

**ყალბი დასკვნა**  
→ **ცრუ ჩვენება.**

**ყალბი დოკუმენტის დამზადება, გასაღება ან გამოყენება**

სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. აღნიშნულ ქმედებაში იგულისხმება ყალბი პირადობის მონშობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის (ასეთ დოკუმენტს მიეკუთვნება მაგალითად, მართვის მოწმობა, საპენსიო მოწმობა, სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოწმობა და ა.შ.), ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება (მაგალითად, ტექსტის ნაწილის გადასწორება, რიცხვის, ნომრის შეცვლა და ა.შ.), შექმნა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია არაერთგზის, ან თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მაგალითად, დიდი მატერიალური ზარალი განიცადა სახელმწიფომ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა). 362-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან აღნიშნული ქმედება ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ყოფნის გამო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე (→ **ტრეფიკინგი**).

**ყაჩაღობა**

გულისხმობს თავდასხმას სხვისი

მოძრავი → **ნივთის** მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე. თავდასხმაში მოიაზრება დაზარალებულისათვის დამნაშავეს მოულოდნელი, აგრესიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან. თუ თავდასხმას არ ახლავს ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, იგი არ შეიძლება იყოს დაზარალებულის წინააღმდეგობის გადასალახავად გამოყენებული ქონების დაუფლების საშუალება. ფიზიკური ძალადობა საშიში უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგ., ყაჩაღობად კვალიფიცირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ქმედებას შედეგად მოყვა სხეულის მსუბუქი დაზიანება ან მას საერთოდ არ მოჰყოლია ჯანმრთელობისათვის არავითარი ზიანი, მაგრამ მიყენების მომენტში ქმნიდა საშიშროებას დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის). ძალადობის მუქარა შეიძლება მიმართული იყოს სხვა პირები საკენ, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ დანაშაულის განხორციელებას. მუქარა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, ჟესტიკულაციით, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირებით და ა.შ. ყაჩაღობა დამთავრებულია ყაჩაღური თავდასხმის მო-



მენტიდან, იმისდა მიუხედავად, შეძლო თუ არა დამნაშავემ სხვისი ქონების დაუფლება. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შელწევით (სადგომში იგულისხმება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გამიზნული, მაგ., ფაბრიკა-ქარხანა, მუზეუმი, მალაზია და ა.შ.), სხვა საცავი კი არის ასევე მატერიალური ფასეულობების მუდმივ ან დროებით შესანახად განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შემოღობილია ან უზრუნველყოფილია მისი სხვაგვარი დაცვა, მაგ., სეიფი, კონტეინერი, რკინის კარადა და ა.შ.); ჯგუფურად (ჯგუფური დანაშაული); სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე ყაჩაღობა ჩადენილი: არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე—186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა); ბინაში უკანონო შელწევით; დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით (დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); იმის

მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლელი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის (→ **გამოძალა**). აღნიშნულ შემთხვევებში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე.

### ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი

საერთაშორისო სასამართლო, რომელიც დაარსდა → **გაეროს უშიშროების საბჭოს** 1993 წლის 25 მაისის N827 რეზოლუციის საფუძველზე. ტრიბუნალის ადგილსამყოფელია ჰააგა (ნიდერლანდები). ტრიბუნალი უფლებამოსილია განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირების მიმართ, რომელთა მიერ დაწყებული 1991 წლის 1 იანვრიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზულ დარღვევას წარმოადგენს. კერძოდ, აღნიშნულ დანაშაულებს მიეკუთვნება: ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, წამება, მძევლად აყვანა, არაადამიანური მოპყრობა, უკანონო დეპორტაცია; ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა; გენოციდი; ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ტრიბუნალი შედგება 3 ძირითადი ორგანოსგან. ესენია: პალატები (3 სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 1 სააპელაციო პალატა), ბრალმდებელი და სამდივნო.

## შ

**შეგვებულ სარჩელი**

ენოდება → **სარჩელს**, რომელსაც მოპასუხე აღძრავს იმავე საქმის წარმოების დროს მოსარჩელის სარჩელთან ერთად განსახილველად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლი). შეგვებულ სარჩელი, როგორც წესი, არის ჩვეულებრივი სარჩელი, მაგრამ მოცემული უნდა იყოს მისი აღძვრის რამდენიმე წინაპირობა. კერძოდ, შეგვებულ სარჩელი დასაშვებია და სასამართლო მიიღებს მას წარმოებაში, თუ ა) იგი მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) შეგვებულ სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას და გ) შეგვებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შეგვებულ სარჩელის აღძვრა შესაძლებელია პირვანდელი სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარებიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში კი სასამართლო პაექრობის დანყებამდე. პირვანდელი და შეგვებულ სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის კაპიტალური საზოგადოება. საზოგადოების დაფუძნება შეუძლია განახორციელოს ერთმა პირმაც. კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელია არა საზოგადოების დამფუძნებლები, არამედ თვით საზოგადოება მთელი თავისი ქონებით (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი). საზოგადოება არის მეწარმე სუბიექტი და საზოგადოების მიზანს შესაძლებელია წარმოადგენდეს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის კანონით აკრძალული. საზოგადოების დაფუძნების სარეგისტრაციო განაცხადი უნდა შეიცავდეს სათანადო წესით დამონმებულ პარტნიორთა შეთანხმებას და განაცხადში უნდა მიეთითოს საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, პარტნიორის (პარტნიორების) სახელი, გვარი, მისამართი და პირადი ნომერი და მონაცემები მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ, ხოლო თუ პარტნიორია იურიდიული პირი - მისი საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ და სხვა; ასევე, მმართველობის ორგანო და გადაწყვეტილებების მიღების წესი, საზოგადოების წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი და სხვა (ჩამონათვალი მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონ-

## შეზღუდული შერაცხადობა

ნის მე-5 მუხლში). თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით; იგი დაყოფილია წილებად; წილი არის მიმოქცევადი უფლება და შესაძლებელია პარტნიორების მიერ წილის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა; საზოგადოების პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით (მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი). მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა, საქმიანობის წესი, ასევე, დირექტორის კომპეტენცია განისაზღვრება საზოგადოების წესდებითა და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით. → **იურიდიული პირი**; → **პროკურა**.

## შეზღუდული შერაცხადობა

წარმომადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას. სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შერაცხადობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა პირს ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის. შეზღუდული შერაცხადობისას სრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება. მისი მდგომარეობა გათვალისწინებული იქნე-

ბა მხოლოდ დანაშაულში კვალი-ფიკაციისას ან სასჯელის დანიშვნისას, ხოლო არასრულწლოვანი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან.

## შეთანხმება

→ **საერთაშორისო ხელშეკრულება**.

## შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ

სისხლის სამართლის პროცესში წარმომადგენს აღკვეთის ღონისძიებას, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლის თანახმად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით. შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს მაგალითად, ბრალდებულის ვალდებულებას, დანიშნულ დროს ან გამოცხებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში, არ დატოვოს სათანადო ნებართვის გარეშე გარკვეული ადგილი და ა.შ.

## შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

ეს არის საქართველოს კონსტიტუციით (25-ე მუხლი) ყველა ადამიანისთვის (გარდა ძალოვანი სტრუქტურების ნევრებისა) გარანტირებული ძირითადი უფლება, წინასწარი შეტყობინებისა და ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე ღია ცის ქვეშ. შეკრების უფლება მოიცავს როგორც ასეთი შეკრების ორგანიზებას, ისე მასში მონაწილეობის მიღებას. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება შესაძლოა შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უფლების განხორციელებას და



მასთან დაკავშირებულ საკითხებს დეტალურად აწესრიგებს საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.

**შემაკავებელი ორდერი**

არის → **პოლიციის** უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება → **ოჯახში ძალადობის** შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

**შენგენის შეთანხმება**

შენგენის შეთანხმების სახელწოდებით არის ცნობილი შეთანხმება, რომელსაც 1985 წლის 14 ივნისს საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა ხელი მოაწერეს შენგენში (ლუქსემბურგი). აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეკრულ მხარეებს შორის შიდა საზღვრებზე პირთა სასაზღვრო კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას. 1990 წლის 19 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმების საიმპლემენტაციო კონვენციას. იგი ითვალისწინებდა შეთანხმების მხარეების ტერიტორიაზე შემოსვლის და მოკლევადიანი ყოფნის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციას, თავშესაფრის მინიჭების კომპეტენციის საკითხის დარეგულირებას, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას, პოლიციის თანამშრომლობას და სასამართლოებს შორის თანამშრომლობას. შენგენის შეთანხმებები ძალაში შევიდნენ 1995 წლის 26

მარტს. დღეისათვის, შენგენის შეთანხმებებით გათვალისწინებული დებულებების განხორციელებაში მონაწილეობას ლებულობს → **ევროპული კავშირის** წევრი სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა. ჯერჯერობით შენგენის ზონაში არ არიან კვიპროსი, ბულგარეთი და რუმინეთი. ხოლო ირლანდია და დიდი ბრიტანეთი მხოლოდ ცალკეულ ასპექტებში იღებენ მონაწილეობას შენგენის შეთანხმებებით ინიცირებული თანამშრომლობის ფორმებში. გარდა ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისა, შენგენის რეჟიმი ვრცელდება ასევე შვეიცარიაზე, ისლანდიაზე, მონაკოზე, ნორვეგიაზე, სან მარინოზე, ანდორასა და ვატიკანზე. 1999 წელს შენგენის სისტემა ინტეგრირებულ იქნა → **ევროპული გაერთიანების** სამართლის სისტემაში.

**შესაგებელი**

1. შესაგებელი არის → **უფლება**, რომელიც სხვა პირის უფლების განხორციელებას აბრკოლებს, მაშასადამე, საპირისპირო უფლება. ამ ნეგატიური უფლებით არ ხდება სუბიექტური უფლების განადგურება, არამედ მეტ-ნაკლებად მხოლოდ ხელი ეშლება მის განხორციელებას (უარის უფლება ვალდებულების შესრულებაზე). რამდენადაც სუბიექტური უფლების განხორციელება, როგორც წესი, → **მოთხოვნის** ფორმით გამოიხატება, შესაგებელი არის მოთხოვნის შესრულებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის უფლება. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ სუსპენსიურ, იმპერატიულ, უფლების წარმოშობის გამომრიცხავ და უფლების მომსპობ სამართლებრივ შესაგებლებს. ა) სუსპენსიური



(დილატორული) შესაგებელი არ გამორიცხავს მოთხოვნის წარდგენას დაბრკოლების აღმოფხვრის შემდეგ. იგი იწვევს მხოლოდ სარჩელის დაუსაბუთებლობას მისი წარდგენის მომენტიდან დაწყებული ნივთის დაკავების უფლების განხორციელებისას - ორივე მხარისათვის ვალდებულების ერთდროულად შესრულების დაკისრებას სამოქალაქო კოდექსის 500-ე მუხლი. ბ) იმპერატიული (პერემპტორული) შესაგებელი ფაქტობრივად გამორიცხავს მოთხოვნის განხორციელებას. შესაგებელი შეიძლება მონინაალმდეგე მხარის მიერ რეპლიკით გაბათილდეს, ხოლო რეპლიკა, თავის მხრივ, დუბლიკით. მაგალითად, → **ხანდაზმულობის** შესაგებლის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას შესაგებელი, რომ ხანდაზმულობა გამოწვეულ იქნა ზნეობის ნორმების წინააღმდეგო ქმედებით (→ **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება**).

2. სუსპენსიური და იმპერატიული შესაგებლებისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ასეთი, არ ეხება უფლებას, არამედ ამ უფლების განხორციელებას აბრკოლებს, უფლების წარმოშობის გამომრიცხავი და უფლების მომსპობი შესაგებელი აბათილებს თვით უფლებას და არა მხოლოდ მის განხორციელებას. ა) უფლების წარმოშობის გამომრიცხავი შესაგებელი საერთოდ არ წარმოშობს სადავო უფლებას. მაგალითად, ხელშეკრულება უცილოდ ბათილია → **ქმედუწარმოების** ან ზნეობის ნორმების წინააღმდეგო გარიგების გამო. ბ) უფლების მომსპობი შესაგებლის შემთხვევაში, თავდაპირველად სამართლებრივად ქმედითი უფლება შემდეგში იქნა გაბათილებული, მაგა-

ლითად, → **შესრულების** ან → **ხელშეკრულებაზე უარის თქმის** გამო. განსხვავება სუსპენსიურ და იმპერატიულ შესაგებელთან მდგომარეობს იმაში, რომ უფლების წარმოშობის გამომრიცხავ და უფლების მომსპობ შესაგებელს სამართლო გაითვალისწინებს თავისი ინიციატივით, ხოლო სუსპენსიურ და იმპერატიულ შესაგებელს იმ შემთხვევაში, თუ იგი, როგორც საწინააღმდეგო უფლება, უფლებამოსილი პირის მიერ განცხადებულ იქნა. ასე, მაგალითად, სარჩელს სასამართლო არ დააკმაყოფილებს, თუ ხელშეკრულება ბათილია იმის გამო, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუწარმო იყო. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ხანდაზმულია, სასამართლო არ დააკმაყოფილებს მას, თუ მოვალე ხანდაზმულობის შესაგებელს აღძრავს.

3. ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, სამოქალაქო საპროცესო სამართალი შესაგებელს უწოდებს ყველა იმ გარემოებას, რომლის საფუძველზეც მონინაალმდეგე მხარე უბრალოდ სასარჩელო მოთხოვნას უარყოფს. ამ გაგებით შესაგებელი შეიძლება როგორც პროცესუალურ, ისე მატერიალურ სფეროს განეკუთვნებოდეს. მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლები მოიცავენ როგორც უფლების წარმოშობის გამომრიცხავ და უფლების მომსპობ სამართლებრივ შესაგებელს, ისე სუსპენსიურ და იმპერატიულ შესაგებელს. შესაგებლის შემადგენლობის შესრულების შესახებ → **მტკიცების ტვირთი** ეკისრება მას, ვინც ამ შესაგებელს აღძრავს, თუ, რა თქმა უნდა, მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის სხვაგვარად არ არის განაწილებული.

## შესრულება

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას. ვალდებულების შესრულებას იღებს კრედიტორი ან მისი → **წარმომადგენელი**. იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი იღებს ვალდებულებას შესრულების მიზნით, გამოიყენება ნორმები არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 427-ე, 373-ე, 102-ე მუხლები). სადავო საკითხია, ფაქტობრივი შესრულების ქმედების გარდა, საჭიროა თუ არა შესრულების გარიგებითი ნება და კრედიტორის შესაბამისი მიღების ნება, ასევე, ხელშეკრულების მხარეთა → **ქმედუნარიანობა**. ვალდებულების შესრულების შინაარსის მიხედვით, განასხვავებენ შემდეგნაირად: თუ ვალდებულების მიღება მოქმედების განხორციელებაში ან უმოქმედობაში გამოიხატება (მაგალითად, → **წარდობა**), მაშინ საკმარისია წმინდა ფაქტობრივი მიღება (რეალური მიღების თეორია); სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებით, საქონლის მიწოდებისას ან ფულის გაგზავნისას, მოცემულია შესრულების ხელშეკრულება (ხელშეკრულების თეორია) ან ვალდებულების შესრულებას განსაზღვრავს მოვალე და კრედიტორი უფლებამოსილია მიიღოს იგი. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა ქმედუნარიანობა არის შესრულების მიღების წინაპირობა. თანხის გადახდა ნიშნავს შესრულებას; როგორც წესი, ავანსის სახით თანხის წინასწარ გადახდა წარმოადგენს ვალდებულების

წინაპირობა შესრულებას. თუ მოვალეს კრედიტორის წინაშე რამდენიმე ერთნაირი → **ვალდებულება** აქვს შესასრულებელი, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე ამოირჩევს. თუ მოვალე არ განსაზღვრავს ვალდებულებას, მაშინ დაიფარება ის, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ მოთხოვნები მოვალისათვის თანაბრად ძძიმეა, მაშინ თავდაპირველად დაიფარება ის მოთხოვნა, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (→ **გირავნობა**, → **იპოთეკა**, → **საბანკო გარანტია**; სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი). თუ კრედიტორი შეთავაზებულ შესრულებას, როგორც ასეთი, მიიღებს, მაშინ მას ეკისრება → **მტკიცების ტვირთი**, თუ იგი მას შესრულებად არ თვლის, რადგან ის სხვა შესრულებას წარმოადგენს ან ნაკლულია.

2. როგორც წესი, მოვალის მიერ ვალდებულებითი ურთიერთობით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელება არ წარმოადგენს შესრულებას სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის მიხედვით. მაგრამ თუ კრედიტორი სხვა შესრულებას მიიღებს, მაშინ, სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლის თანახმად, წყდება → **ვალდებულებითი ურთიერთობაც**, (მაგალითად, თუ კრედიტორი ფულის ნაცვლად ნივთს, როგორც შესრულების სუროგატს, მიიღებს). ვალდებულებითი ურთიერთობით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად სხვა შესრულების მიღება არ წარმოადგენს უსასყიდლო გაცვლით ხელშეკრულებას (თავდაპირველი ვალდებულების პატიებას და მის ნაცვლად სხვა ვალდებულების

## შეურაცხადობა

შესრულებას), არამედ მოვალე-სა და კრედიტორის შეთანხმებას, რომელიც შეიძლება მხარეებს შორის კონკლუდენტურად შეთანხმდეს. ვალდებულების შესრულების სამართლებრივ საფუძვლად რჩება თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობა, საიდანაც გამომდინარეობს შესრულების სამართლებრივი შედეგები. თუ არ არსებობს თავდაპირველი ვალდებულება ან იგი შემდგომში შეწყდა, კრედიტორი ვალდებულია მოვალეს სხვა შესრულება უკან დაუბრუნოს.

3. ალტერნატიული ვალდებულების შესრულება მოცემულია, თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (სამოქალაქო კოდექსის 374-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, მოვალეს აქვს არჩევანის უფლება, თუ რომელი ვალდებულება უნდა შესრულდეს და ეს უფლება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით; არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად (სამოქალაქო კოდექსის 376-ე მუხლი).

## შეურაცხადობა

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის ან უმოქმედობის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე.ი. არ შეეძლო ანგარიში გაენია თავისი მოქმედებისათვის ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

## შეურაცხადობა

შეურაცხადობა სისხლის სამართალში არის ბრალის გამომრიცხავი გარემოება. სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობა იცნობს შეურაცხადობის ორ შემთხვევას: შეურაცხადობას ასაკის გამო და შეურაცხადობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო. ა) სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, 14 წლის ასაკამდე პირს ბრალად არ შეურაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაშასადამე, პირი ბრალუნარიანი ხდება 14 წლის ასაკიდან და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება ამ დროიდან. ბ) სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენენ ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვისაც ამ ქმედების ჩადენისას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლსაწინააღმდეგობის შინაარსი, ან შეეძლო გაეცნობიერებინა, მაგრამ არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი, არ შეურაცხება ბრალად მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. შეურაცხადობის მიზეზი აღნიშნულ შემთხვევაში შეიძლება იყოს: ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა, ჭკუასუსტობა ან ასხვა ფსიქიკური დაავადება. აქ მოიაზრება ასევე ფსიქიკის ისეთი გადაღლა, სიმთვრალე, აფექტი ან სხვა ისეთი მდგომარეობა, რომელიც განაპირობებს ფსიქიკის იმგვარ შერყევას, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ფასდება შეურაცხად მდგომარეობად. შეურაცხადობა დგინდება ინტელექტუალურ და ემოციო-

ნალურ მომენტზე დაყრდნობით, ანუ პირი შეურაცხადია არა მარტო მაშინ, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ინტელექტუალურად სწორად არ იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა, არამედ მაშინაც, როცა არ შეეძლო ეხელმძღვანელა მისთვის. თუ ამ ორიდან პირის ერთი უნარი მაინც იქნა დარღვეული, ასეთ შემთხვევაში მას ქმედება ინდივიდუალურად არ შეერაცხება. შეურაცხაობის საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია პირის მდგომარეობა ქმედების ჩადენის დროს, ხოლო მის ფსიქიკურ მდგომარეობას შედეგის დადგომის დროს შეურაცხაობის საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არ აქვს. გ) მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ არ გამოიყენება სასჯელი, რადგან მისი ქმედება არ არის ბრალეული. მის მიმართ გამოიყენება ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## შეცდომა

1. სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი შეცდომა შეიძლება დაკავშირებული იყოს ქმედების შემადგენლობასთან (ე.წ. ფაქტობრივი შეცდომა) და სამართლებრივ საკითხებთან (ე.წ. სამართლებრივი შეცდომა, შეცდომა აკრძალვაში). ფაქტობრივი ხასიათის შეცდომასთან გვაქვს საქმე, როდესაც პირი ქმედების შემადგენლობას ფაქტობრივი გარე-

მოებების ცოდნის გარეშე ახორციელებს (მაგალითად, პირმა რესტორნიდან წასვლისას შეცდომით წაიღო სხვისი ქურთუკი). ფაქტობრივი შეცდომა სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, გამოორიცხავს განზრახი დანაშაულის შემადგენლობას და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის (თუ ამ კონკრეტული ქმედების გაუფრთხილებლად ჩადენა დასჯადია), ხოლო გარკვეული პირობების არსებობისას შეიძლება გამოირიცხოს გაუფრთხილებლობაც. რაც შეეხება პიროვნებაში (ობიექტში) შეცდომას (*error in persona, error in obiecto*), იგი კვალიფიკაციისთვის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელობას მოკლებულია და ზეგავლენას არ ახდენს საბოლოო შეფასებაზე, თუ საქმე გვაქვს თანაბარ სამართლებრივ სიკეთებთან (მაგალითად, პირს უნდოდა ა-ს მოკლა, მაგრამ მან ბ მოკლა, რადგან მას ბ ა-ში შეეშალა). სხვაგვარად წყდება საკითხი ე.წ. *aberratio ictus*-ის დროს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა პირი გადაწყვეტს, ხელყოს მის მიერ ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული სამართლებრივი სიკეთე, მაგრამ ქმედება მიზანს აცდება და სხვა გაუთვალისწინებელ ობიექტს ხელყოფს, რომლის დაზიანება ან განადგურება მას არ განუზრახავს (მაგალითად, ა-მ ესროლა ბ-ს ტყვია, რომელიც შემთხვევით მოხვდა მის გვერდით მდგომ გ-ს. ასეთ შემთხვევაში გვექნება ორმაგი კვალიფიკაცია, ბ-ს მიმართ იქნება განზრახი მკვლელობის მცდელობა, ხოლო გ-ს მიმართ - სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). განსხვავებით ფაქტობრივი შეცდომისაგან, სამართ-

## შეცილება

ლებრივი შეცდომა დაკავშირებულია პირის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებასთან და ასევე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან. თუ პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება აკრძალულია, ე.ი. არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელია (სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე მუხლი). შეცდომა მისატყვებელია მაშინ, თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა ცოდნოდა, რომ სჩადიოდა მართლწინააღმდეგო ქმედებას. თუ შეცდომა არ არის მისატყვებელი, პირი დაისჯება გაუფრთხილებლობისათვის, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედების გაუფრთხილებლად ჩადენა დასჯადია. ანალოგიურად წყდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების შესახებ შეცდომის საკითხი. თუ პირმა არ იცოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება იყო მართლწინააღმდეგო და დაუშვა შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების ვითარების არსებობასთან დაკავშირებით, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელი, ანუ თავიდან აუცილებელია. მისატყვებელია შეცდომა იმ შემთხვევაში, როცა დადგინდება, რომ ინტელექტუალური თუ სხვა მონაცემებით დამნაშავეს დონის სხვა საშუალო ადამიანიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდებოდა (მაგალითად, მოჩვენებითი თავდასხმის დროს ა.-მ მოკლა ვითომ თავდასხმელი ბ., რომელსაც მხოლოდ მისი შემინება უნდოდა).

2. შეცდომა სამოქალაქო სამართალში → შეცილება.

## შეცილება

განსაზღვრული ნების გამოვლენა, ნების ნაკლის გამო, თავდაპირველად ითვლება ნამდვილად, ვიდრე არ მოხდება მისი გაბათილება დაინტერესებული პირის მიერ, კერძოდ:

1. შეცდომის გამო გარიგების შეცილება. შეცდომა არის გაუცნობიერებელი უთანხმოება ნებასა და მის გამოვლენას შორის. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცილების ნორმები არ გამოიყენება მხარეების მიერ დაშვებულ ორმხრივ შეცდომაზე, აგრეთვე, როდესაც მხარეები გარიგების საგანს არასწორად (*falsa demonstratio non noset*) აღნიშნავენ, თუ მხარეთა ნების გამოვლენის შინაარსი ცალსახად შეიძლება დადგინდეს. სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლი გარიგების საცილოდ გახდომის საფუძვლად მხოლოდ არსებით შეცდომას განსაზღვრავს: ა) შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში; ბ) შეცდომა გარიგების შინაარსში სახეზეა მაშინ, როდესაც პირს სურს ნების გამოვლენა, მაგრამ ცდება მის შინაარსობრივ მნიშვნელობაში და შეცდომის ცოდნის შემთხვევაში, ნებას ამ სახით არ გამოავლენდა. შეცდომა გარიგების შინაარსში მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც მხარეთა შეთანხმების შედეგად გარიგების ძირითად ბირთვს წარმოადგენს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შეცდომა მოტივში სამართლებრივად მნიშვნელოვანი იყოს. როგორც წესი, შეცდომა მოტივში და გარიგების ეკონომიკურ წარმატებაში არ წარმოშობს შეცილების უფლებას, ისევე როგორც შეც-

დომა გარიგების სამართლებრივ შედეგში (მაგალითად, ნასყიდობისას ნაკლული ნივთის გამო ზიანის ანაზღაურების მოცულობაში); გ) შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში. საგნის ძირითად თვისებას წარმოადგენს გარიგების საგნის ღირებულების განმსაზღვრელი ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში და ასეთი გარიგება არ არის ბიზნესის ტიპიური რისკი. ამ სახის შეცდომად ითვლება, მაგალითად, ნახატის ავტორობა, მიწის ნაკვეთის მდებარეობა და მისი გამოყენება მშენებლობისათვის, ასევე, გარიგების საგნის შემადგენლობა, სიდიდე, მდგომარეობა. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში პირდაპირ ასახვას ჰპოვებს საგნის ღირებულებაში. საგნის ძირითად თვისებებში შეცდომის გამო შეცვლების უფლება გამორიცხულია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გამყიდველის ვალდებულება გადასცეს მყიდველს ნივთობრივად ან უფლებრივად → **უნაკლო ნივთი**. სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლის მეორე ნაწილის საგნის ცნება მოიცავს არა მხოლოდ ნივთს, არამედ უფლებებს, მოთხოვნებს და ყველა იმ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი; დ) შეცდომა უფლებაში არის ისეთი შეცდომა, რომელიც გარიგების დადების ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო და გარიგების შედეგად სრულიად განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დადგა. მაგალითად, უძრავი ნივთის დატვირთვა იპოთეკით იმ ვარაუდით, რომ პირი იქნებოდა პირველი რიგის იპოთეკარი და სინამდვილეში გახდა მეორე რი-

გის იპოთეკარი. ამის სანინააღმდეგოდ, სამოქალაქო კოდექსის 75-ე მუხლი არ გამოიყენება, თუ გარიგებას, დამატებით, კანონით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები მოჰყვა; ე) შეცდომა გარიგების მოტივში მხოლოდ მაშინ არის არსებითი შეცდომა, თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა (სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლი). არსებით შეცდომად გარიგების მოტივში არ ჩაითვლება, მაგალითად, როდესაც მყიდველი ნივთს ყიდულობს იმ იმედით, რომ ახლო ნათესავი მას მემკვიდრედ დანიშნავს. თუ ასეთ შეცდომებს გარიგების არსებობაზე მნიშვნელობა ექნებოდა, მაშინ საფრთხე შეექმნებოდა ყოველ გარიგებას, რადგან ყოველ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში არსებობს განსაზღვრული მოლოდინი. სამოქალაქო კოდექსის 76-ე მუხლის გამოყენების მაგალითს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც პირი ახორციელებს შემონიროლობას განსაზღვრული მიზნისათვის, მაგრამ შემონიროვლი თანხა სხვა მიზნისთვის გამოიყენება; ვ) შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში წარმოადგენს არსებით შეცდომას და გარიგების ბათილობის საფუძველს, თუ თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებები გარიგების დადების საფუძველია (სამოქალაქო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი). კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომა (error in persona) მოცემულია, როდესაც გარიგების კონტრაჰენტი სხვა პირია და არა ის, ვისაც ნების გამომვლენი გარიგების მეორე მხარედ მოიაზრებდა. პიროვნების პირად თვისებებში შეცდომად აღიარებულია, მაგალითად, საბანკო დანესებულების ნდობა

## შეცილება

მსესხებლის მიმართ და მისი კრედიტუნარიან პიროვნებად მიჩნევა, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა;

2. სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, შეცდომის გამო შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში. შეცილების უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. ორმხრივი გარიგების შემთხვევაში, შეცილება გამოვლენილ უნდა იქნას მეორე მხარის მიმართ, ხოლო ცალმხრივი გარიგებისას იმ პირის მიმართ, რომელმაც გარიგების შედეგად სამართლებრივი სარგებელი მიიღო. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წარმატებით განხორციელებული შეცილება იწვევს გარიგების ბათილობას მისი დადების მომენტიდან. შეცილების უფლების მქონე პირი კარგავს შეცილების უფლებას, თუ იგი ადასტურებს გარიგებას (სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი). შეცილების უფლება არ არის გამოორციხული, თუ გარიგება, ამავე დროს, სხვა გარემოების გამო, (მაგალითად, პირის ქმედუუნარობის გამო), ბათილია.

3. სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შეცდომის გამო გარიგების შეცილების შედეგად, შეცილების უფლების მქონე პირი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ბათილობით გამოწვეული ზიანი იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარემ შეცდომა არ იცოდა ან დაუღვერობით არ შეიძლება ცოდნოდა.

4. მოტყუებით დადებული გარიგებანი. სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენა შეიძლება შეცილებულ იქნას, თუ პირი გარიგების დადების

მიზნით მოატყუეს და მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. მოტყუება ამ ნორმის მიხედვით არის, როდესაც კონტრაპენტის მიერ მეორე მხარეს გარიგების საგნის შესახებ მცდარ ფაქტებს მიაწვდის და ამის გამო მას არასწორ წარმოდგენას შეუქმნის ან არსებული გარემოებების შესახებ დუმს მაშინ, როდესაც მეორე მხარე კეთილსინდისიერად ელოდებოდა ამ ფაქტების გამჟღავნებას. ასეთი ქმედება განხორციელებულ უნდა იქნას → **განზრახვით** და უნდა არსებობდეს → **მიზეზობრივი კავშირი** მოტყუებასა და მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენას შორის. მიზეზობრივი კავშირი არ არის მოცემული, თუ მეორე მხარე, მოტყუების მიუხედავად, სხვა გარემოებების საფუძველზე გამოავლენს ნებას. მიზეზობრიობის → **აშკარა მტკიცებულება** (prima facie) მოცემულია, თუ ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე მოტყუებას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ნების გამოვლენაზე. გარიგების ბათილობისათვის უმნიშვნელოა, სურდა თუ არა კონტრაპენტს მეორე მხარისათვის ზიანის მიყენება ან თვითონ სარგებლის მიღება. გარიგების ბათილობის მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოტყუება მესამე პირის მიერ არის ჩადენილი, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა ცოდნოდა იმ პირს, რომელმაც სარგებელი მიიღო ამ გარიგებით (სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადა შეადგენს ერთ წელიწადს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან (სამოქალაქო კოდექსის 84-ე მუხლი). თუ გარიგების შედეგად მოტყუებულ პირს წარმოეშ-



ვა ზიანი, მას შეუძლია ამ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს → **დელოიქტური ვალდებულების** ნორმებისა და ნასყიდობის შემთხვევაში, (ნივთის ნაკლის მოტყუების გამო), → **უნაკლო ნივთის** ვალდებულების საფუძველზე;

5. იძულებით დადებული გარიგებანი. სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი გარიგების ბათილობის უფლებას ანიჭებს, ასევე, იმ პირს, რომელიც აიძულეს დადოს გარიგება. იძულება (ძალადობა ან მუქარა) არის პირის მიმართ ძალადობის ან მუქარის განხორციელება იმ შემთხვევისათვის, თუ იგი არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას. ამ ნორმის გამოყენების სივრცე არ მოიცავს უშუალოდ განხორციელებული ძალადობის საფუძველზე გამოვლენილ ნებას, რადგან, ასეთ შემთხვევაში, არ არის მოცემული ნების გამოვლენის ფაქტობრივი შემადგენლობა. სამოქალაქო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, იძულებით გარიგებად არ ჩაითვლება ისეთი ქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით. იძულების მართლსაწინააღმდეგობა შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც იძულების საშუალებიდან და მიზნიდან, ისე საშუალებისა და მიზნის შეუსაბამობიდან. იძულება არის ისეთი საშუალებისა და მიზნის გამოყენება, რომლებიც, მართალია, ცალ-ცალკე აღებული არაზნეობრივს არ წარმოადგენს, მაგრამ მათი ურთიერთკავშირი უსამართლო და არამართლზომიერი იქნებოდა. მართლზომიერი კრედიტორის მიერ მოვალეს გაფრთხილება, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სარჩელის წარდგე-

ნის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მართლსაწინააღმდეგოს წარმოადგენს, მაგალითად, კრედიტორის გაფრთხილება, რომ იგი მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს მოვალეს მიერ ჩადენილი დანაშაულის მოკვლევის თაობაზე მაშინაც კი, როდესაც მოვალეს ჩადენილი აქვს ეს დანაშაული. მართლსაწინააღმდეგობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები. ისევე როგორც მოტყუებით დადებული გარიგებისას, იძულებით დადებული გარიგების ფაქტობრივი შემადგენლობა მოიცავს იძულების განმხორციელებელი პირის განზრახვასა და იძულების ქმედებასა და მეორე მხარის მიერ გამოვლენილ ნებას შორის მიზეზობრივ კავშირს.

## შენცალება

არის აქტი, რომელსაც გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად. შეწყალებას საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს ინდივიდუალურად განსაზღვრული პირების მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით, აგრეთვე სასჯელმოხდელს შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა. შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებული პირის მიმართ: რომელსაც მიესაჯა უვადო პატიმრობა, თუ მას ფაქტობრივად არა აქვს მოხდილი თავისუფლების აღკვეთის

## შეჯიბრებითი პროცესი

25 წელი; რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის და მოხდელი არა აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი; რომელსაც მსჯავრი დაედო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით და მოხდელი არა აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი; რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული და არა აქვს მოხდელი დანიშნული სასჯელის ნახევარი; რომელიც პირველადაა მსჯავრდებული ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და მოხდელი არა აქვს დანიშნული სასჯელის 1/3; რომლის მიმართ ადრე გამოყენებულ იქნა ამნისტია ან შეწყალება და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული; რომელიც სასჯელს იხდის პირობითი მსჯავრდებისას სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი განზრახი დანაშაულისათვის; რომელიც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა პირობით ვადამდე და ნასამართლობის გაქარწყლებამდე ან მოხსნამდე კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული; რომელსაც სასამართლოს მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი აქვს უფრო მსუბუქი სასჯელით; რომელიც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად; რომელიც არ ცნობს თავს დამნაშავედ, არ იხანებს ჩადენილ დანაშაულს და არ ითხოვს შეწყალებას. აღნიშნული კატეგორიის მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხი განიხილ-

ბა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან არის რაიმე განსაკუთრებული გარემოება (საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის № 277 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „შენწყალების გამოყენების წესის თაობაზე“ 1 მუხლი).

## შეჯიბრებითი პროცესი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობა მხარეებს შორის გარანტირებულია, როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლი). აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევისა და ანალიზის მხრივ. შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, მონშეთა მოძიება, მათი სასამართლოში დაბარება და მტკიცებულებების სასამართლოში პრეზენტაცია მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარის კომპეტენციაა. გამოძიების სტადიაზე ბრალდების და დაცვის მხარეს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობები მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. ბრალდებულს და მის დამცველს ენიჭებათ უფლებამოსილება პარალელურად და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი

ორგანოსგან დამოუკიდებლად გამოავლინონ და შეაგროვონ ის მონაცემები, რომლებიც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბრალდების გამაქარწყლებელ მტკიცებულებათა სახით. საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის ეტაპზე კი სასამართლომ, რომელსაც ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა ეკრძალება, განაჩენს საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები.

**შეჯიბრობითობის პრინციპი**

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედებს შეჯიბრობითობის პრინციპი, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნას დადასტურებული ეს ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი).

**შვილად აყვანა  
→ შვილება.**

**შვილება**

1. შვილება დასაშვებია, თუ იგი არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და ინტერესებს ემსახურება და მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ისეთივე ურთიერთობა წარმოიშობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 1239-ე მუხლი). ნაშვილები სრულად ხდება მშვილებლის ოჯახის წევრი. ნაშვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობები ბიოლოგიურ მშობლებთან და ნათესავებთან წყდება და იგი მოვალეობებისაგან თავისუფლდება ღვიძლი მშობლებისა და ნათესავების მიმართ (სამოქალაქო კოდექსის 1260-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ჩამორთმეული ან შეზღუდული არა აქვს მშობლის უფლება ან, ავადმყოფობის ან მორალური თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები. როგორც წესი, მშვილებელი შვილად ასაყვანზე უნდა იყოს უფროსი არანაკლებ თექვსმეტი წლით; მეუღლეებს მხოლოდ ერთად შეუძლიათ ბავშვის შვილება; იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი შვილად აპყავს ერთერთ მეუღლეს, მაშინ საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეორე მეუღლე აღიარებულია ქმედუნაროდ ან, მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (სამოქალაქო კოდექსის 1246-ე, 1247-ე მუხლები). ათ წლის ან ათ წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანა საჭიროებს მის თანხმობას (სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლი); გარდა ამისა, შვილად აყვანა საჭიროებს ყველა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

3. შვილად აყვანის, ასევე, შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სა-



## შვილების წარმოშობის დადგენა

სამართლო. შვილება ნამდვილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. დაუშვებელია შვილად აყვანა რაიმე პირობით, ვადაზე მითითებით ან წარმომადგენლის მემკვიდრეობით (სამოქალაქო კოდექსის 1243-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 1272-ე მუხლი განსაზღვრავს შვილების ბათილად ცნობის საფუძვლებს, მაგალითად, როგორცაა შვილად აყვანის ფიქციურობა ან, როცა შვილად აყვანის გადაწყვეტილება ემყარება ყალბ დოკუმენტებს და ა.შ. შვილად აყვანა ბათილად ითვლება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან; საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ → **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა** (სამოქალაქო კოდექსის 1274-ე მუხლი).

4. შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლისა და ნაშვილების თანხმობის გარეშე, თუ მას უკვე შეუსრულდა თვრამეტი წელი, ხოლო ბოილოგიური მშობლების შესახებ, ბოილოგიური მშობლის თანხმობის გარეშე. მშვილებლის თხოვნით, შესაძლებელია შეიცვალოს ნაშვილების დაბადების ადგილი და თარიღი. ნაშვილებს სრულწლოვანების მიღწევისთანავე შეუძლია მოითხოვოს დაბადების ადგილისა და თარიღის გამჟღავნება (სამოქალაქო კოდექსის 1263-ე, 1264-ე მუხლები). → **უდავო წარმოება**.

## შვილების წარმოშობის დადგენა

შვილის დედა არის ის ქალი, რომელმაც ბავშვი დაბადა. ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში, შვილის დედად ითვლება ქალი, რომელმაც ემბრიონი

ატარა და არა გენეტიკური დედა. შვილის მამად ითვლება მამაკაცი, რომელიც ბავშვის დედასთან დაქორწინებული იყო ან, თუ ბავშვი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ათი თვისა (სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლი). სამართლებრივად შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 1189-ე მუხლი). დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენა ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე; ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით (სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი).

## შიდა ბაზარი

→ **ევროპული გაერთიანების** დაფუძნების ერთ-ერთ მთავარ მიზანს საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა, რომელსაც უნდა უზრუნველყო წარმოების ფაქტორების მობილობა. 1987 წელს, ერთიანი ევროპული აქტის ძალაში შესვლის შედეგად კი, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ახალი ტერმინი - „შიდა ბაზარი“, რომელიც შემდეგნაირად იქნა განმარტებული: „შიდა ბაზარი მოიცავს სივრცეს საზღვრების გარეშე, სადაც უზრუნველყოფილია საქონლის, პირების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად“. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „შიდა ბაზარი“ „საერთო ბაზართან“ შედარებით ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მაღალ

ფორმას წარმოადგენს. ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სამართლომ კი 1995 წელს მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლების დადგენისათვის „საერთო ბაზარსა“ და „შიდა ბაზარს“ შორის განსხვავებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. → **ლისაბონის ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შედეგად კი, ტერმინი „საერთო ბაზარი“ ხელშეკრულებებში აღარ გვხვდება. იგი ყველგან ჩაანაცვლა ტერმინმა „შიდა ბაზარი“. შესაბამისად, მათ შორის განსხვავების არსებობის საკითხი არააქტუალური გახდა.

**შიდა წყლები**

საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, შიდა წყლებს მიეკუთვნება → **ტერიტორიული ზღვის** → **საწყისი ხაზებიდან** ხმელეთის მიმართულებით არსებული წყლები. შიდა წყლებს მიეკუთვნებიან: ნავსადგურები; მდინარის შესართავები (ამ შემთხვევაში საწყისი ხაზი მდინარის ორივე ნაპირის უკიდურეს წერტილებს აკავშირებს); ყურეები, რომელიც მთლიანად ერთ სახელმწიფოს ეკუთვნის, იმ ადგილამდე, სადაც ყურის ზღვისკენ მიმართული გაფართოება 24 მილს გადააჭარბებს; ისტორიული ყურეები, ანუ ყურეები, რომელიც ზემოთ მოცემულ წინაპირობას ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შიდა წყლებად ითვლებიან; არქიპელაგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიდა წყლების მსგავსი სამართლებრივი ბუნება აქვს → **არქიპელაგური სახელმწიფოს** უკიდურეს კუნძულებზე გავლე-

ბულ საწყის ხაზებს შორის მოქცეულ წყლის სივრცეს ე.წ. → **არქიპელაგურ წყლებს**. შიდა წყლები სრულად ექვემდებარებიან სანაპირო სახელმწიფოს → **სუვერენიტეტს** და მათზე სანაპირო სახელმწიფოს → **იურისდიქცია** შეუზღუდავად ვრცელდება. შიდა წყლების აღსანიშნავად საქართველოს კანონმდებლობა იყენს ტერმინს „შიდა საზღვაო წყლები“ (შეად.: საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი).

**შრომითი ხელშეკრულება**

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულება. შრომითი ხელშეკრულება არის დავალების ხელშეკრულების განსაკუთრებული ფორმა. იგი არის ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა შრომითი ურთიერთობა.

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დანყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფერო-



## შრომის თავისუფლება

ში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად (საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლი).

2. შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით. წერილობით დადებულ შრომით ხელშეკრულებას უთანაბრდება დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დამსაქმებელი გამოხატავს ნებას პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე. გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულება ბათილია (მაგალითად, შეცილების შედეგად) და სამუშაოს შესრულება დაწყებულია დამსაქმებლის მიერ, მაშინ შრომითი ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგები მოქმედებს მომავლისთვის (ex nunc).

3. შრომითი ხელშეკრულება წარმოშობს დასაქმებულის ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს პირადად. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე. სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ დამსაქმებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაო. გარდა ამისა, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით (საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-2, 31-ე, 32-ე მუხლები). დამსაქმებელი ვალდებ-

ულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნით, გონივრულ ვადაში მიაწოდოს მას ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. დასაქმებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას (საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლი).

4. შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეჩერდეს გაფიცვის, ლოკაუტის ან სხვა შემთხვევებში ან შეწყდეს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაის, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის, ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას და სხვა (საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე, 37-ე მუხლები).

## შრომის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილი ამკვიდრებს და იცავს შრომის თავისუფლების პრინციპს. შრომის თავისუფლება პირველ რიგში მოიაზრებს კონკრეტული შრომითი საქმიანობის განხორციელებას ან მის განხორციელებაზე უარის

თქმის უფლებას. ფართო გაგებით იგი იმავდროულად მოიცავს პროფესიის არჩევის თავისუფლებას, ვინაიდან ამ თავისუფლების გარეშე სრულად ვერ იქნება უზრუნველყოფილი შრომის თავისუფლება, არამედ იგი შეზღუდული იქნებოდა იმ ჩარჩოებით, რომლებშიც მოქცეული იქნებოდა კონკრეტული პირის პროფესიული არჩევანი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ შრომის თავისუფლების წინაპირობაა პროფესიის არჩევის თავისუფლება. აღნიშნული ვრცელდება ყველა სახის პროფესიასა და საქმიანობაზე - დამოუკიდებელსა და თუ დაქვემდებარებულზე და ასევე საჯარო სამსახურზეც, რომელზეც დამატებით სპეციალურ გარანტიებს აწესებს კონსტიტუციის 29-ე მუხლი. პროფესიის არჩევის თავისუფლება ბუნებრივია არ გულისხმობს ამ პროფესიით დასაქმების გარანტიას; აქ საუბარია არჩევანის თავისუფლებასა და მისი დაუფლების შანსების თანასწორობაზე. პროფესიის დაუფლებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დაწესება (განათლება, კვალიფიკაცია, გამოცდილება, პიროვნული უნარ-ჩვევები და ა.შ.) წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას, რომელიც დასაშვებია და მისაღებია მხოლოდ საერთო ღირებულებებისა და სიკეთების დაცვის მიზნით და რეალურად უნდა იყოს კონკრეტული პროფესიისა თუ საქმიანობის მიზნებთან. შრომა, ეს არის საქმიანობა გარკვეული ვადით, რომლის დროსაც ხდება და საჭიროა სამუშაო კადრის (მუშაკის) და სამუშაო დროის გამოყენება. ამასთან, შრომის თავისუფლება ვრცელდება ყველა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და მართლწესრიგით.

**შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დაფუძნდა 1919 წელს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე და თავდაპირველად წარმოადგენდა → **ერთალიგის** ფარგლებში მოქმედ ორგანიზაციას. დღეისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას 183 წევრი სახელმწიფო ჰყავს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია → **გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციას** წარმოადგენს. მისი მთავარი მიზანია ცხოვრების დონისა და შრომის პირობების გაუმჯობესების და სრული დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვა, თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების გარანტირება, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების განხორციელების სტიმულირება, სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე წევრი სახელმწიფოების მთავრობების წარმომადგენლებთან ერთად ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ წევრი სახელმწიფოების პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა გაერთიანებების წარმომადგენლები. ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს შრომის საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენს, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. მის ფარგლებში მიიღება ორგანიზაციის ყველა ძირითადი აქტი (კონვენციები, რეკომენდაციები, გადანყვეტილებები სამოქმედო პროგრამისა და ბიუჯეტის შესახებ). აღმასრულებელი საბჭო წარმოადგენს შრომის საერ-



## შუალობითი ამსრულებელი

თაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს შრომის საერთაშორისო ბიურო კი ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს. საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გახდა 1993 წელს.

## შუალობითი ამსრულებელი

არის ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი). ამრიგად, შუალობითი ამსრულებელი ქმედების განსახორციელებლად აქეზებს ისეთ პირს, რომელიც არ მოქმედებს განზრახ, მართლსაწინააღმდეგოდ ან ბრალეულად და ამიტომ მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თავად შუალობითი ამსრულებელი კი მოქმედებდეს განზრახ, მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად და ე.წ. „ცოცხალი იარაღის“ მეშვეობით ახორციელებს ქმედების შემადგენლობას. მაგალითად: პირი დანაშაულის ჩასადენად წინასწარი შეცნობით აქეზებს არაბრალეულად მოქმედ პირს (მცირენლოვანს ან სულიერად ავადმყოფს), ან განზრახ შეცდომამში შეყავს პირი და ამ გზით ჩაადენინებს დანაშაულს (ა არწმუნებს ბ-ს რომ ბუჩქებში დათვია, სინამდვილეში კი იცის ა-მ რომ ბუჩქებში ადამიანია; ხოლო შეცდომამში შეყვანილი ბ, წინდახედულობის ნორმების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სიცოცხლეს უსპობს ადამიანს, ე.ი. მოქმედებს გაუფრთხილებლობით). იმ შემთხვევაში, თუკი პირს ჰგონია, რომ დანაშაულის ჩასადენად იყენებს

ე.წ. „ცოცხალ იარაღს“, სინამდვილეში კი დანაშაულის უშუალო ამსრულებელს შესაძლებელია დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაშინ პირი არა შუალობითი ამსრულებლობისთვის, არამედ ნაქეზებისთვის აგებს პასუხს. შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია ე.წ. საკუთარი ხელით ჩასადენი დელიქტების ან (მაგალითად, ცრუ ჩვენების მიცემა, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი) წმინდა უმოქმედობის დელიქტების დროს (გადასახადისათვის თავის არიდება, სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი), როდესაც პირმა მოვალეობა პირადად უნდა შეასრულოს; ასევე შეუძლებელია შუალობითი ამსრულებლობა სპეციალური სუბიექტის შემთხვევაში, რადგან არასპეციალურ პირს არ შეუძლია სამოხელეო, სამხედრო ან სხვა მსგავსი დანაშაულის ჩადენა. მსგავს შემთხვევებში პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ნამქეზებელი.

## შუამავლობა

1. შუამავლობის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოცემულია, როცა პირი სხვა პირს დაპირდება გასამრჯელოს განეული მომსახურებისათვის; მაკლერის მიერ განეული მომსახურება შეეხება ან ხელშეკრულების დადებას ან ასეთი ხელშეკრულების შუამავლობას (სამოქალაქო კოდექსის 744-ე, 745-ე მუხლები). მაკლერის მხოლოდ საშუამავლო საქმიანობისათვის შეიძლება მოთხოვნილი იქნას გასამრჯელო, თუ მხარეებს შორის არსებობს ასეთი შეთანხმება. მაკლერის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ საშუამავლო ხელშეკრულება ამას ით-



ვალისწინებს მიუხედავად იმისა, დაიდო თუ არა მაკლერის შუამავლობით ხელშეკრულება. როგორც წესი, შუამავლობის ხელშეკრულება არ ავალდებულებს მაკლერს განიოს საქმიანობა და, შესაბამისად, იგი შეიძლება ვადის დაუცველად ნებისმიერ დროს მოიშალოს, თუ ვადა არ არის განსაზღვრული (სამოქალაქო კოდექსის 747-ე მუხლის პირველი ნაწილი). ეს წესი არ მოქმედებს ექსკლუზიურ დავალებაზე, როცა შემკვეთი განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდას ამბობს სხვა მაკლერის გამოყენებაზე. ექსკლუზიური დავალების ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას და იგი ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება მოიშალოს მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ექსკლუზიური დავალება წარმოშობს მაკლერის ვალდებულებას ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადებას; მეორე მხრივ, შემკვეთის მიერ ექსკლუზიური დავალების სანიანალმდეგო ქმედება გამოიწვევს მის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. შუამავლობის ნორმები გამოიყენება ბინის ქირავნობისა და სასესხო შუამავლობის ხელშეკრულებებზეც, ხოლო სავაჭრო მაკლერზე – მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი (სამოქალაქო კოდექსის 749-ე, 751-ე, 754-ე მუხლები).

2. შუამავლობა საერთაშორისო სამართალში. → **საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება**, რომელიც გულისხმობს მესამე მხარის აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო დავის მხარეებს შორის დავის მოგვარებაში. შუამავალი, → **კეთილი სამსახურის** გამწევისგან განსხვავებით, მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებების

აქტიური მონაწილეა და უფლებამოსილია მათ დავის მოგვარების შესახებ კონკრეტული წინადადებები შეთავაზოს. გაეროს წესდების 36-ე მუხლის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია დავის ნებისმიერ სტადიაზე მხარეებს დავის გადაწყვეტის კონკრეტული პროცედურის ან მეთოდის გამოყენების რეკომენდაციით მიმართოს. უშიშროების საბჭო ასევე უფლებამოსილია მხარეებს, თუკი ისინი მას შესაბამისი თხოვნით მიმართავენ, დავის გადაწყვეტის შესახებ კონკრეტული წინადადებების შემცველი რეკომენდაცია მისცეს (გაეროს წესდების 38-ე მუხლი). გარდა ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს უმოქმედობის შემთხვევაში, გაეროს გენერალურ ასამბლეასაც შეუძლია კონკრეტული საერთაშორისო დავის საკითხის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

### შუამდგომლობა

1. შუამდგომლობა სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს მხარეების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში პროცესის სხვადასხვა სტადიაზე დაყენებულ მოთხოვნას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში. სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობას სასამართლოს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს, მას-



## შუამდგომლობა

ში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან. სასამართლოში შუამდგომლობა განიხილება და გადანყვეტილება მიიღება, როგორც წესი დაუყოვნებლივ, ხოლო გამოძიების სტადიაზე არა უგვიანეს 3 დღისა. შუამდგომლობის გადანყვეტამდე მის დამყენებელ მხარეს უფლება აქვს გაითხოვოს იგი. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე. შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს გადანყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ. იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზედაც უკვე მიღებულია გადანყვეტილება, იმავე სასამართ-

ლოში აღარ განიხილება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე, 94-ე მუხლები).

2. სამოქალაქო სამართალწარმოებაში შუამდგომლობა ეწოდება მხარეთა წერილობით წარმოდგენილ არგუმენტირებულ მოთხოვნას იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს დავის საგანთან. როგორც წესი, შუამდგომლობები მხარეები უნდა წარმოადგინონ სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ეტაპზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე შუამდგომლობა ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლი).

## ჩ

**ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვები**

საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციის 122-ე მუხლის მიხედვით, ჩაკეტილ ან ნახევრად ჩაკეტილ ზღვას წარმოადგენს ზღვის ყურე, წყალსაცავი ან ზღვა, რომელიც გარშემორტყმულია ორი ან მეტი სახელმწიფოთი და სხვა ზღვასთან ან ოკეანესთან ვინაო გასასვლელით არის დაკავშირებული, ან რომელიც მთლიანად ან უმეტესწილად ორი ან მეტი სანაპირო სახელმწიფოს → ტერიტორიული ზღვისა და → განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისგან შედგება. ნახევრად ჩაკეტილი ზღვის მაგალითია შავი ზღვა, ხოლო ჩაკეტილი ზღვის - კასპიის ზღვა. საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენცია ადგენს ჩაკეტილი და ნახევრად ჩაკეტილი ზღვების სანაპირო სახელმწიფოების უფლებებსა და მოვალეობებს. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან ითანამშრომლონ ცოცხალი რესურსების მართვის, შენარჩუნების, გამოკვლევის და ექსპლუატაციის, ზღვის გარემოს დაცვის საკითხებში, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში.

**ჩანასახი**

ჩანასახი (ლათ. nasciturus) არ ფლობს → უფლებაუნარიანობას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში იგი იყოს სამართლებრივი უფლებებისა და უფლების მოთხოვნის მატარებელი. ასე, მაგალითად, → მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, მაგრამ

ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე (სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, სამკვიდროს გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ ჩასახული მემკვიდრის დაბადების შემდეგ (სამოქალაქო კოდექსის 1465-ე მუხლი). სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ჩანასახს უფლება აქვს დაბადების შემდეგ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მას ზიანი მიადგა დედის მუცელში ყოფნის დროს.

**ჩეკი**

1. ჩეკი არის → ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებებისადმი განაღდოს ჩეკში აღნიშნული თანხა; ჩეკში მითითებული უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები: ა) უპირობო დათქმას მითითებული თანხის გადახდის შესახებ; ბ) გადამხდელის დასახელებას; გ) განაღდების ადგილს; დ) ჩეკის გამონერის ადგილსა და თარიღს; ე) ჩეკის გამონერის ხელმოწერას. თუ ჩეკში მითითებული არ არის განაღდების ადგილი, ამ შემთხვევაში განაღდების ადგილად ჩაითვლება გადამხდელის ძირითადი ადგილსამყოფელი (ჩეკის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი). ჩეკი შეიძლება გამოიწეროს ჩეკის გამცემის განკარგულებით. პირი, რომელიც სათანადო უფლებამოსილების გარეშე აწერს ხელს ჩეკს, როგორც სხვისი წარმომადგენელი, თვითონ აგებს პასუხს ჩეკისთვის და ჩეკის განაღ-

## ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

დების შემთხვევაში აქვს ისეთივე უფლებები, როგორც ექნებოდა წარმდგენს. იგივე წესი მოქმედებს წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების გადაჭარბებისას (ჩეკის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). ყოველგვარი პირობა, რომლითაც ჩეკის გამცემი იხსნის პასუხისმგებლობას, ბათილია. ჩეკი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს → **ინდოსამენტის** მეშვეობით. ინდოსამენტი უნდა იყოს უპირობო. მისი შემზღუდავი ნები-მნიერი პირობა ბათილია. ინდოსამენტი შესრულება ჩეკზე ან დანართზე. იგი ხელმოწერილი უნდა იყოს. შესაძლებელია ჩეკის გადაცემა საბლანკო ინდოსამენტის მეშვეობით. ჩეკის კანონიერ მფლობელად ითვლება ის პირი, რომელსაც ხელთ აქვს ინდოსირებული ჩეკი, თუ იგი დაამტკიცებს თავის უფლებას ინდოსამენტთა უწყვეტი რიგით.

2. ჩეკის განაღდება შეიძლება გარანტირებული იყოს თავდებობის (ავალი) საშუალებით ჩეკის მთელ თანხაზე ან თანხის ნაწილზე, რომელიც აღინიშნება ჩეკზე ან მის დანართზე. ჩეკისთვის თავდები ისევე აგებს პასუხს, როგორც ის, ვისაც იგი თავდებად დაუდგა (ჩეკის შესახებ საქართველოს კანონის 21-23-ე მუხლები).

3. ჩეკის მფლობელს შეუძლია პრეტენზია წარუდგინოს ინდოსანტს, ჩეკის გამცემს ან ჩეკით ვალდებულ სხვა პირებს, თუ დროულად წარდგენილი ჩეკი არ განაღდება და განაღდებაზე უარი დადასტურებულია: ოფიციალური აქტით (პროტესტით); გადაამხდელის დათარიღებული წარწერით იმ ჩეკზე, რომელშიც მითითებულია ჩეკის წარდგენის თარიღი ან საანგარიშსწორებო დაწესებულების დათარიღებული

განცხადებით იმის შესახებ, რომ ჩეკი დროულად იყო წარდგენილი, მაგრამ არ განაღდება. ჩეკით ვალდებული ყველა პირი სოლიდარულად აგებს პასუხს ჩეკის მფლობელის წინაშე. მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის ვადა ინდოსანტების, ჩეკის გამომწერის და ჩეკით ვალდებულ სხვა პირთა მიმართ გასულად ითვლება წარდგენის დღიდან ექვსი თვის შემდეგ (ჩეკის შესახებ საქართველოს კანონის 35-ე, 43-ე მუხლები). ჩეკის შესახებ სამართალწარმოება ხორციელდება → **გამართლებული წარმოებით** თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლი).

## ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

→ სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს დაჯჯად ქმედებას, რომელიც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე. სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ, და ადამიანი ვაჭრობის (→ **ტრეფიკინგის**) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში. ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბები, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნა). სისხლის

სამართლის კოდექსის 348-2-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აგრეთვე ადმინისტრაციულ წარმოებაში მონმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თუ ჩვენების მიცემის ვალდებულება განსაზღვრულია კანონით (მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდართვევათა კოდექსის 253-ე და 256-ე მუხლები ითვალისწინებენ დაზარალებულის და მონმის ვალდებულებას, იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოცხებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე, გამოცხადდეს დანიშნულ დროს, აცნობოს რა იცის საქმის შესახებ და უპასუხოს დასმულ კითხვებზე). აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

### ჩვეულებითი სამართალი

არის დაუნერგელი სამართალი (თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვეულებითი დამკვიდრებული ნორმები, ქცევის წესები შესაძლოა აისახოს ფორმალურ კანონში), რომელიც იქმნება და ყალიბდება არა შესაბამისი საკანონმდებლო პროცესის, არამედ მუდმივი ჩვეულებების შედეგად. აღნიშნული ჩვეულებები მიღებული და აღიარებულია საზოგადოდ და მიჩნეულია სავალდებულოდ. აქედან გამომდინარე, ჩვეულებითი სამართალი შედგება ობიექტური, სუბიექტური და ფორმალური ელემენტებისგან. ა) ობიექტური ელემენტი (ლათ. *longa consuetudo*) გულისხმობს ჩვეულების გარკვეულ

ხანგრძლივობას (მრავალწლიანობას) და საზოგადოებას (საერთოობას); ბ) სუბიექტური ელემენტი (ლათ. *opinio necessitatis*) ითვალისწინებს ამ ქმედების მართლებულობის შეგრძნებას; გ) ფორმალური ელემენტი მოიზრებს აღნიშნული ჩვეულებების ნორმად ჩამოყალიბების უნარსა და შესაძლებლობას. ჩვეულებით სამართალს მოქმედების იგივე ძალა აქვს, როგორც კანონს. კანონის მსგავსად, ასევე შესაძლებელია მისი შეცვლა ახალი ჩვეულებითი სამართალით ან კანონით.

### ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომელსაც → **საერთაშორისო ორგანიზაციის** ფორმა აქვს. იგი დაფუძნდა 1949 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა ამავე წლის 24 აგვისტოს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში (ბელგია). დღეისათვის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრია 28 სახელმწიფო. ორგანიზაციის ძირითად პრინციპს წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვის პრინციპი, რომელიც მოცემულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოზე განიხილება როგორც თავდასხმა ყველა მოკავშირეზე. გარდა ამისა, ორგანიზაცია იცავს მოკავშირეების დემოკრატიის საერთო ფასეულობებს, პიროვნების თავისუფლებას, კანონის უზენაესობას და უზრუნველყოფს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას. ჩრდილოატლანტიკური

## ჩუქება

ხელშეკრულების ორგანიზაციის მთავარ ორგანოს წარმომადგენს ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომელშიც შედიან ნევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. საბჭო იკრიბება კვირაში ერთხელ და აქვს ორგანიზაციის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ძალაუფლება. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, რომელიც ამასთან არის ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან საქართველოს თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო გახდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი. 1994 წელს საქართველოს შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. 2004 წელს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, რის შედეგადაც საქართველო გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ე.წ. „მეორე ეტაპზე“. 2006 წელს ნიუ-იორკში გაიმართა ორგანიზაციის ნევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში განევიანების საკითხებზე საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ. ხოლო 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ორგანიზაციის ნევრი სახელმწიფოების მეთაურები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. საქართველო მონაწილეობს ჩრდილო-

ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებაში.

## ჩუქება

ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებაში მისი თანხმობით (სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი). ჩუქების სამართლებრივი საფუძველი უმნიშვნელოა. ქონების გადაცემა უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ, მაშასადამე, სამაგიერო შესრულება არ უნდა იყოს მოცემული. ჩუქებას არ წარმოადგენს, თუ პირი სხვა პირის სასარგებლოდ უარს იტყვის ქონების მიღებაზე, მაგალითად, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა (→ **სამკვიდროს მიღება და უარი მის მიღებაზე**). ხშირ შემთხვევაში, რთულია სხვა სამართლებრივი გარიგებებისგან (მაგალითად, → **ნასყიდობა**, → **გაცვლა**) ჩუქების ხელშეკრულების გამოიჯვანა. ასე, მაგალითად, მეგობრისათვის ნივთის განსაკუთრებით იაფად მიყიდვა. ასეთი შერეული ტიპის ჩუქების (*negotium mixtum cum donatione*) შემთხვევაში, შესაძლებელია გარიგების სასყიდლიან (ნასყიდობა წესების მიხედვით) და უსასყიდლო (ჩუქების წესების მიხედვით) ნაწილებად გაყოფა. ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული პირი შეასრულებს განსაზღვრულ მოქმედებას. ამ შემთხვევაში მჩუქებელს აქვს პირობის შესრულების მოთხოვნა. დასაჩუქრებულის მიერ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლი);

→ ხელშეკრულებაზე უარის თქმა). ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად, მაგრამ მოძრავ ნივთზე ხელშეკრულების ნამდვილობა საჭიროებს ნივთის გადაცემას; საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მომავლისათვის და იგი საჭიროებს ნერილობითი ფორმის დაცვას (სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლი). მჩუქებლის მიერ ქონების ნაკლის ბოროტი განზრახვით დამალვის შემთხვევაში, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს დასაჩუქრებულს მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი). თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება (განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედების გარეშე) და მას არ შეუძლია თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება არ ჩააყენებს მას მძიმე მდგომარეობაში (სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი). ჩუქება შეიძლება გაუქმდეს თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს (სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი).

### ჩხრეკა

წარმოადგენს → **საგამოძიებო მოქმედების** ერთ-ერთ სახეს. იგი როგორც წესი ტარდება სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა-

ში – გამოძიებლის დადგენილების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად. ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება (→ **ამოღება**) ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია მოსამართლის განჩინებაში ან გამოძიებლის დადგენილებაში. ასევე ამოღებულ უნდა იქნეს ინფორმაციის შემცველი ყველა სხვა ობიექტი, რომელსაც შესაძლოა მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისათვის ან რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ძებნა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ჩხრეკის ჩატარებისას გამოძიებელს უფლება აქვს, გააღოს და საკეტილი საცავი, სადგომი და სათავსი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს, ნებაყოფლობით გააღოს ისინი. აგრეთვე დასაშვებია ჩხრეკის ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამა-

## ჩხრეკა

ლა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების და გამომძიებლის დადგენილების გარეშე ძებნა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილი). დიპლომატიური წარმომად-

გენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მის ან/და მისი ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობით ან თხოვნით (სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი).



3

**ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება**

გულისხმობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესის განხორციელების წესებსა (→ პროცესი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე) და → პროცესს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, რომლის დროსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ზოგადი წესის გარდა გამოიყენება აგრეთვე სპეციალური წესები.

**ცალმხრივი აქტი**

საერთაშორისო ურთიერთობებში → საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცალმხრივ აქტებს სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ზოგიერთი მათგანი სამართლებრივ შედეგს შეიძლება იწვევდეს. აღნიშნული ეფექტი ეფუძნება კანონიერი ნდობის პრინციპს. ცალმხრივი აქტის მაგალითებია: ცნობა, უფლებათა უარის თქმა, ნოტიფიცირება (შეტყობინება), ასევე პროტესტი, რომელიც შეტყობინების ერთ-ერთი სახეობაა, რომლითაც საერთაშორისო სამართლის ერთი სუბიექტი მეორეს ატყობინებს, რომ იგი არ თვლის ამ უკანასკნელის ქმედების შედეგად შექმნილ გარემოებებს თავისთვის სავალდებულოდ. ცალმხრივ აქტს ხშირად აქვს დეკლარაციის, ნოტის, განცხადების ფორმა.

**ცალმხრივი გარიგება**

→ გარიგება; → ნების გამოვლენა.

**ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა**

ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემა შედგება → ევროპული ცენტრალური ბანკისა და → ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკებისაგან. იგი შეიქმნა მასტრიხტის ხელშეკრულების (→ ევროპული კავშირის შესახებ ხელშეკრულება) საფუძველზე ევროპული კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სავალუტო კავშირის განხორციელების ფარგლებში 1998 წლის 1 ივნისს. ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის მთავარ მიზანს ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს. მის მიზნებში შედის ასევე ევროპულ კავშირში ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა. ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ევროპული კავშირის სავალუტო პოლიტიკის დადგენა და განხორციელება, ვალუტის გაცვლითი ოპერაციების განხორციელება, წევრი სახელმწიფოების ოფიციალური უცხოური ვალუტის რეზერვების განკარგვა და საგადამხდელო სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების მხარდაჭერა.

**ცესია**

საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მიერ (ცედენტი) საკუთარი ტერიტორიის ნაწილის გადაცემა მეორე სახელმწიფოსთვის (ცესიონე-



## ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება

რი). ცესიის შესახებ ხელშეკრულება, როგორც წესი, ითვალისწინებს დეტალურ დებულებებს იმის შესახებ, თუ რომელი ტერიტორიის გადაცემა ხდება და როგორია გადაცემის პროცედურები და წინაპირობები, ასევე დებულებები მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოქალაქეობის შესახებ. ცესია შეიძლება განხორციელდეს ჩუქების ფორმით (მაგ. საფრანგეთის მიერ ლომბარდიის გადაცემა იტალიისთვის 1859 წელს), ნასყიდობის ფორმით (მაგ. 1867 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთისგან ალიასკის ყიდვა 7,2 მილიონ აშშ დოლარად; 1803 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საფრანგეთისგან ლუიზიანის ყიდვა 80 მილიონ ფრანგულ ფრანკად), ტერიტორიების გაცვლის ფორმით (მაგ. 1890 წლის 1 ივლისის ხელშეკრულება გერმანიის იმპერიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ზანზიბარისა და ჰელგოლანდის გაცვლის შესახებ), ან კიდევ სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე (მაგ. 1947 წლის 10 თებერვლის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებსა და იტალიას შორის).

2. სამოქალაქო სამართალში → მოთხოვნის გადაცემა.

### ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი განიმარტება, როგორც იარა-

ღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენტის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერჯის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის გარკვეული მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება გამოიხატება იარაღთან ერთად გადაადგილებაში, როდესაც პირს ამის კანონიერი უფლება არ აქვს. ეს შეიძლება განხორციელდეს ტანსაცმლით, ჩანთით, მანქანით და ა.შ. იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებასთან გვაქვს ასევე საქმე, როცა ცეცხლსასროლი იარაღს ატარებს ის პირი, ვისაც, მართალია, აქვს მისი შენახვის კანონიერი უფლება, მაგრამ არა აქვს ტარების უფლება. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის აკრძალვა არ ვრცელდება გლუველულიან სანადირო თოფზე. ის, ვინც ნეაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, გათავისუფლდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. → ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა; → ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა.

### ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის

„ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი განიმარტება, როგორც იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენტის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერჯის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა გულისხმობს იარაღისათვის ადგილსამყოფელის მიჩენას იმ პირის მიერ, ვისაც მისი შენახვის კანონიერი უფლება არ აქვს. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის აკრძალვა არ ვრცელდება გლუფლულიან სანადირო თოფზე. ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. → **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა**; → **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება**.

**ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა**

სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი განიმარტება, როგორც იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენტის ან სხვა მუხტის

წვისას გამოყოფილი ენერჯის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად. ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ იგი ხორციელდება იარაღის შესახებ კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა გულისხმობს კანონის დარღვევით მის ყიდვას, სხვა ნივთში გაცვლას, ვალში ჩათვლას და ა.შ. შექმნა დამთავრებულია, როცა პირს მიეცემა ამ იარაღის განკარგვის შესაძლებლობა. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის აკრძალვა არ ვრცელდება გლუფლულიან სანადირო თოფზე. ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილ ცეცხლსასროლ იარაღს, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. → **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა**; → **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება**.

**ცივი იარაღის ტარება**

21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნაწამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის აღმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 238<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**) ან იმის მიერ, ვინც ნაწამართლევით იყო განზრახვი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანა-



## ცნობა

შაულის ჩადენისათვის, რაც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

## ცნობა

ცნობა წარმოადგენს → **ცალმხრივ აქტს**, რომლის საფუძველზეც ცნობის გზით საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იღებს ვალდებულებას, ჩათვალოს კონკრეტული გარემოება მისთვის სამართლებრივად სავალდებულოდ. საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობის არიან ცნობის შემდეგი სახეები: → **სახელმწიფოსა და მთავრობის ცნობა**; → **მეომარ მხარედ ცნობა**.

## ცრუ დასმენა

დანაშაულის ჩადენის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისთვის დამძიმდება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში (→ **დანაშაულის კატეგორიები**), ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო დამძიმდება, თუ ცრუ დასმენა ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან თუ მან გამოიწვია მძიმე შედეგი. ასეთ შემთხვევაში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე.

## ცრუ ჩვენება

მონმის ან დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს ან სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულისთვის მძიმდება, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში (→ **დანაშაულის კატეგორიები**). აღნიშნულ შემთხვევაში დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. ცრუ ჩვენებასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსის ამავე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დაწესებული ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემისთვის და ასევე თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნისთვის. სისხლის სამართლის კოდექსის 348<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას წარმოადგენს აგრეთვე ადმინისტრაციულ წარმოებაში მონმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა და თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნა. აღნიშნული ქმედება ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. მონმე, დაზარა-

ლებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ან ადმინისტრაციული წარმოების დროს

საბოლოო გადანყვეტილების მიღებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის ანდა განზრახ არასწორად თარგმნის შესახებ.



**ძალადობა**

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს. ამ კანონის მიზანია: ა) ოჯახის წევრთა უფლებბრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა; ბ) ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა; გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა; დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა; ე) ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით

სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა; ე) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ფიზიკური ძალადობა – ცემა, ნამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ; ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების,

აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

### ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. გაეროს წესდების მე-2 მუხლის მეოთხე აბზაცის მიხედვით, ყველა წევრი სახელმწიფო თავს იკავებს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისგან, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან არ იქნება შესაბამისობაში გაეროს მიზნებთან. აღნიშნული პრინციპი ემყარება 1928 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილ ბრიან-კელოგის პაქტს, რომლის მხარე იმ პერიოდის ყველა წამყვანი სახელმწიფო იყო და რომელიც ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელების ინსტრუმენტზე უარის თქმას ითვალისწინებდა. ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების პრინციპი არამარტო გაეროს, არამედ ზოგადად საერთაშორისო წესრიგის საფუძვლად იქცა. მან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ბუნება შეიძინა და, შესაბამისად, მისი დაცვა სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც გაეროს წევრები არ არიან. აღნიშნულ პრინციპთან დაკავშირებული დებულებები მოცემულია გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ასევე ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნითი აქტში. კერძოდ, აღინიშნება, რომ ძალით დამუქრება და ძალის გამო-

ყენება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოთა შორის დავების მოგვარების საშუალებად. „ძალის გამოყენების“ ცნების ქვეშ გაგებულ უნდა იქნეს შეიარაღებული ძალის გამოყენება (მაგ., სამხედრო ინტერვენცია, ტერიტორიის დაბომბვა, ასევე მოხალისეთა ან დაქირავებულ მეომართა შეიარაღებული რაზმების, ტერორისტების შეგზავნა მეორე სახელმწიფოში). ეკონომიკური იძულების ხასიათის ღონისძიებებს, ასევე აჯანყებულებისათვის ფინანსური დახმარების განვრცად ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპი არ მოიცავს. ძალის გამოყენება, საერთაშორისო სამართლით ნებადართულია, მხოლოდ → **თავდაცვის უფლების** გამოყენებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებითი ზომების გატარების შემთხვევაში.

### ძარცვა

გულისხმობს სხვისი მოძრავი → **ნივთის** აშკარა დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორიდან სამ წლამდე. ძარცვა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, რა დროსაც ხდება სხვისი მოძრავი ქონების აშკარა მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. ძარცვის აშკარა ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი ქონების დაუფლება ხდება თვალნათლივ, როგორც იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობასა ან სარგებლობაში იმყოფება ნივთი, ასევე სხვა ადამიანებისთვისაც. ძარცვა დამთავრებულად ითვლება იმ მომენ-



## ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

ტიდან, როდესაც პირი ეუფლება სხვის ქონებას და შესაძლებლობა აქვს განკარგოს ეს ქონება თავისი შეხედულებით, იმის მიუხედავად, მოახერხა თუ არა მან ამ შესაძლებლობის რეალიზება. ძარცვა ქმედების განზრახ ჩადენას გულისხმობს. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ ამკარად, სხვათა შესამჩნევლად მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ნივთს, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედების შედეგად ზიანს აყენებს მესაკუთრეს ან ქონების მფლობელს და მაინც სურს მიაყენოს მას ეს ზიანი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძარცვისათვის მძიმდება, თუ იგი ჩადენილია სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით (სადგომში იგულისხმება შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ადამიანთა და ფასეულობათა განსათავსებლად არის გამოიწვეული, მაგ., ფაბრიკა-ქარხანა, მუზეუმი, მალაზია და ა.შ., სხვა საცავი კი არის ასევე მატერიალური ფასეულობების მუდმივ ან დროებით შესანახად განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც შემოღობილია ან უზრუნველყოფილია მისი სხვაგვარი დაცვა, მაგ., სეიფი, კონტეინერი, რკინის კარადა და ა.შ.), ან თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით). ასეთ შემთხვევაში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე ძარცვა ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); არაერთგზის (არაერთგზის ჩადენილად ითვლება ქმედება, თუ მას წინ უსწრებდა სისხლის სამართ-

ლის კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა); ბინაში უკანონო შეღწევით; სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (მაგ., ცემა, ხელის გადაგრება, ფეხის გამოდებით პირის ნაქცევა, საყურის ყურიდან მოგლეჯა და ა.შ.), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძარცვისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ იგი ჩადენილია: ორგანიზებული ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); დიდი ოდენობით (დიდი ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით); იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლელი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალკვისათვის. აღნიშნულ შემთხვევებში ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

## ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

ცალკეული ადამიანის უფლებები, რომლებიც ჩვეულებრივ გარანტირებულია → **კონსტიტუციით**, როგორც ადამიანის ელემენტარული და იმავდროულად კონსტიტუციური რანგის უფლებები. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები უმთავრესად იდენტურია საყოველთაოდ აღიარებული → **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისა**. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისა



ბების დიდი ნაწილი მიმართული ყველა ადამიანზე, თუმცა, ზოგიერთი მათგანი უფლების სუბიექტად მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მოიაზრებს (მაგალითად, რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობა და ა.შ.). ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საქართველოს კონსტიტუციაში დასაწესიანია ასახული, რაც მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობას კონსტიტუციისა და მთელი → **სახელმწიფო აპარატისათვის**. ძირითადი უფლებები სავალდებულოა ხელისუფლების ყველა შტოსათვის, მთელი სახელმწიფოსთვის, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. თუ წარსულში ძირითადი უფლებები განიხილებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევებისაგან დამცავი უფლებებად, ახლა ისინი დამცავი ფუნქციის გარდა მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, იზრუნოს მათ განხორციელებასა და დაცვაზე. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები არ არის აბსოლუტური. ერთადერთი გამონაკლისია ადამიანის → **ღირსება**, საიდანაც გამომდინარეობს ყველა → **დემოკრატიული** სახელმწიფოში აბსოლუტური ძალით მოქმედი ნამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა (როგორც ადამიანის ღირსების შემლახველი ქმედებისა). სხვა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა შესაძლებელია ან პირდაპირ (ფორმალური, ანუ პარლამენტის მიერ გამოცემული) კანონით ან კანონის საფუძველზე (ალმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში გამოცემული აქტით). აღნიშნულს კონსტიტუციურ სამართალში კანონისმიერ დათქმას

უნოდებენ. ძირითადი უფლებების განმსაზღვრელი კონსტიტუციური ნორმები თავადვე განსაზღვრავს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ზღუდეებს. ეს არის, როგორც უკვე აღნიშნა, კანონისმიერი დათქმა და ასევე სხვა პირთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რაც შეიძლება გახდეს მათი შეზღუდვის საფუძველი. რიგი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მაგალითად, როგორცაა → **სიტყვისა და აზრის თავისუფლება**, → **სივლითის თავისუფლება**, → **საკუთრების უფლება** და ა.შ., ადრესატები არიან არა მხოლოდ → **ფიზიკური პირები**, არამედ ასევე → **იურიდიული პირებიც**.

**ძირითადი უფლებების ევროპული ქარტია**

ძირითადი უფლებების ევროპული ქარტია ადგენს → **ევროპული კავშირის** მოქალაქეების ძირითად უფლებებს. ქარტიის ტექსტი შემუშავებულ იქნა → **ევროპული საბჭოს** კოლონის 1999 წლის 3-4 ივნისისა და დამპერეს 1999 წლის 15-16 ოქტომბრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი კონვენციის მიერ. ქარტიის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენენ → **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია** და მისი ოქმები, 1961 წლის ევროპული სოციალური ქარტია, 1989 წლის ევროპული გაერთიანების ქარტია სოციალური უფლებების შესახებ და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებები კავშირის მოქალაქეობის, ძირითადი თავისუფლებებისა და სოციალური უფლებების შესახებ. ევროპული კავ-



## ძირითადი უფლებების ევროპული ქარტია

შირის ძირითადი უფლებების ქარტიის პრეზენტაცია ევროპული საბჭოს ნიცის სამიტზე 2000 წლის 7-9 დეკემბერს მოხდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ → **ლისაბონის ხელშეკრულების** ძალაში შესვლამდე ქარტიას სამართლებრივად სავალდებულო ძალა არ გააჩნდა. დღეისათვის კი ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტია სამართლებრივად სავალდე-

ბულო დოკუმენტს და ევროპული კავშირის პირველადი სამართლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მისი დებულებები სავალდებულოა შესასრულებლად როგორც ევროპული კავშირის ორგანოებისთვის, ასევე წევრი სახელმწიფოებისთვის (ცალკეული გამონაკლისები არის დადგენილი დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთთან მიმართებაში).

## 6

**წამების აკრძალვა**

არის საყოველთაოდ აღიარებული ერთადერთი აბსოლუტური უფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი გარანტირებულია ყველა ადამიანისათვის და ყველა ვითარებაში. დაუშვებელია რაიმე სახის გამოწვევის. წამების აკრძალვა გამომდინარეობს ადამიანის ღირსებიდან, ასევე და დამოუკიდებლადაც პოვეს ასახვას წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი) თუ არაადამიანური მოპყრობის (ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი) აკრძალვის კუთხით. ასევე განსაკუთრებით გათვალისწინებული და დაცულია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებამეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ხელშეუხებლობა (იძულების აკრძალვა; საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 ნაწილი), რაც დამატებით სპეციალურად უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

**წამებზე**

არის დანაშაულის → **თანამონაწილე**, რომელმაც განზრახ დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად (სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დანაშაულის ჩადენაზე დაყოლება ნიშნავს სავარაუდო ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის გადანეცილების გამოწვევას, რაც შესაძლებელია სხვადასხვა ხერხით განხორ-

ციელდეს, მაგალითად, თხოვნით, მოსყიდვით, მუქარით, შანტაჟით და ა.შ. წამებზე გულისხმობს კონკრეტული პირის (ინდივიდუალურად განსაზღვრული პირისთვის ან პირებისთვის და არა ინდივიდუალურად განუსაზღვრელი პირთა წრისათვის) კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ წინადადების მიცემას და არა ზოგად მონოდებას. მაშასადამე, წამებზელისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სავალდებულო პირობაა, რომ მან განზრახ დაიყოლიოს სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად, რადგან გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში წამებზეელი არ არსებობს. წამებზელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის არ არის სავალდებულო ამსრულებელის მიერ დანაშაულის დამთავრება. თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, წამებზეელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. წამებზეელს დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მაშინაც, თუ მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად (სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი). ლიმიტირებული → **აქცესობის** პრინციპიდან გამომდინარე, წამებზელის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია, ამსრულებლის

## წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან გარიგების დადება

მიერ ჩადენილ განზრახ მართლ-საწინააღმდეგო ქმედებაზე, რომელიც სავალდებულო არ არის, რომ ბრალეულად იყოს ჩადენილი. თუ წამქეზებელმა იცის, რომ ამსრულებელი არაბრალეულად მოქმედებს, მაშინ მას არა დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, არამედ → **შუალობითი ამსრულებლობისთვის** დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. წამქეზებელი მხოლოდ იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის აგებს პასუხს, რასაც მისი განზრახვა მოიცავდა. ამსრულებლის ექსცესისთვის მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი). წამქეზებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, იხილეთ აგრეთვე → **დანაშაულში თანამონაწილეობა**. წამქეზებლისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება მისი ფაქტობრივი მონაწილეობის ხასიათი და ხარისხი, ამ მონაწილეობის მნიშვნელობა დანაშაულის მიზნის მისაღწევად, მისი გავლენა გამონეწეული ან შესაძლებელი ზიანის ხასიათსა და ხარისხზე (სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი).

## წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან გარიგების დადება

→ საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა.

## წარმომადგენელი

→ წარმომადგენლობა.

## წარმომადგენლობა

წარმომადგენლობა მოცემულია წარმოდგენილი პირის სახელით → **ნების გამოვლენის** (აქტიური

წარმომადგენლობა) ან **ნების მიღების დროს** (პასიური წარმომადგენლობა). წინაპირობას წარმოადგენს წარმომადგენლის უშუალო მოქმედება სხვა პირის სახელით და შესაბამისი უფლებამოსილება. წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ან მიღებული ნების შედეგად წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები წარმოემობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს (სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი). წარმომადგენლობის ქვეშ არ მოიზრება ქმედება, რომელიც პირმა საკუთარი სახელით და სხვა პირის ინტერესებისათვის განხორციელა. ამ შემთხვევაში, გარიგების სამართლებრივი შედეგები შეეხება უშუალოდ მოქმედ პირს, რომელმაც თავისი უფლებები გარიგებით დაინტერესებულ პირს უნდა გადასცეს. სადავოა კურიერის მიერ განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შედეგები, რომელიც მხოლოდ სხვა პირის ნებას გადასცემს, ასევე, მუშაკის ქმედების შედეგები. წარმომადგენლობა ნებადართულია, როგორც წესი, ყველა სახის → **გარიგების დადებისას** და ასევე, გარიგების მსგავსი მოქმედების (მაგალითად, თანხმობა გარიგებაში), მაგრამ არა წმინდა ფაქტობრივი მოქმედებისა (მაგალითად, → **მფლობელობის** მოპოვება) და → **დელიქტური ქმედების** განხორციელებისას. წარმომადგენლობის განხორციელება არ არის ნებადართული → **საოჯახო** და → **მემკვიდრეობის სამართალში**, ვინაიდან ასეთი გარიგებები პირად განხორციელებას მოითხოვენ, განსაკუთრებით, → **ქორწინება**, → **შვილად აყვანა**, → **ანდერძის შედგენა** და ა. შ. გარდა ამისა, წარმომადგენლობა არ დაიშვება, თუ პი-

რი გარიგების დადებისას ორივე მხარის წარმომადგენელია (→ **წარმომადგენელი პირის სახელით საკუთარ თავთან გარიგების დადება**). წარმომადგენელი შეიძლება იყოს შეზღუდულად ქმედუნარიანი, მაგრამ არა ქმედუნარო (სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლი). ნამდვილი წარმომადგენლობისათვის აუცილებელი წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა განვასხვავოთ წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულებებისაგან, რომელიც შეიძლება იყოს → **დავალება** ან → **შრომითი ხელშეკრულება**. წარმომადგენლობის უფლებამოსილება შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც კანონს (კანონისმიერი წარმომადგენლობა), ასევე გარიგებას (ნებაყოფლობითი წარმომადგენლობა). გარიგების საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების წინაპირობების შესახებ → **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**. კანონის საფუძველზე გაცემული უფლებამოსილების მოცულობა გამომდინარეობს თვით კანონიდან. კანონიერ წარმომადგენლობას საჭიროებენ პირები, რომლებიც არიან → **ქმედუნარო**. ამ შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლები არიან მშობლები და → **მეურვე**. ამასთან, კანონიერი წარმომადგენელი არის, ასევე, მზრუნველი, → **იურიდიული პირის** სათანადოდ უფლებამოსილი პირი. იურიდიული პირის ორგანოები, მაგალითად, გამგეობა, არ არის ნამდვილი წარმომადგენელი, რადგან იგი იურიდიული პირისთვის მოქმედებს და არა მისი წარმომადგენლობით. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, სხვა კანონიერი მმართველები, მაგალითად, გაკოტრების მმართველი და → **სამკვიდროს მმართველი**, არ

არიან კანონიერი წარმომადგენლები, არამედ ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას და მათი პასუხისმგებლობა უთანაბრდება დამხმარის პასუხისმგებლობას (სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი). თუ წარმომადგენელს არ აქვს უფლებამოსილება ან გადააჭარბებს იგი თავის უფლებამოსილებას, მაშინ მოცემულია → **გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე**. მაგრამ თუ წარმომადგენელი მოქმედებდა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მაშინ სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა უშუალოდ მესამე პირსა და წარმომადგენელ პირს შორის ისე, რომ ეს ურთიერთობა არ ეხება წარმომადგენელს (ე.წ. წარმომადგენლობის თეორია). → **სასამართლო წარმომადგენლობა**.

**წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიცემა ხდება წარმომადგენლის ან იმ მესამე პირის მიმართ → **ნების გამოვლენით**, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა (სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილი). უფლებამოსილება შეეხება წარმომადგენელი პირის სახელით მესამე პირთან ურთიერთობას, მაშასადამე, გარე ურთიერთობას; იგი მკაცრად უნდა გაიმიჯნოს მისი სამართლებრივი საფუძვლისგან, შიდა ურთიერთობისაგან, რომელიც ეფუძნება წარმომადგენელ პირსა და წარმომადგენელს შორის დადებულ დავალებას ან შრომით ხელშეკრულებას. უფლებამოსილება გამოიხატება წარმომადგენლის (შიდა ურთიერთობა) ან მესამე პირის მიმართ (გარე ურთიერთობა) ცალმხრივი ნების გამოვლენით.



ნით. როგორც წესი, ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადასტურებლად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება (სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან გამომდინარე, უფლებამოსილება შეიძლება გაიცეს ნების კონკლუდენტური გამოვლენის საფუძველზეც. უფლებამოსილების მინიჭება არის ცალმხრივი ნების გამოვლენა და შესაბამისად, მასზე ვრცელდება ცალმხრივი გარიგებების მარეგულირებელი სამართლის ნორმები, განსაკუთრებით, წარმოდგენილი პირის ქმედუნარიანობისა და ნების გამოვლენის შეცდომების თაობაზე. წინაპირობას არ წარმოადგენს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ უფლებამოსილების შემდეგ სახეებს: ა) უფლებამოსილების მოცულობის მიხედვით, სპეციალურ (მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული გარიგებისათვის ან გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის) და გენერალურ (ყველანაირი სახის გარიგებისათვის) უფლებამოსილებას; ბ) ერთი პირისა და საერთო უფლებამოსილებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ორი ან რამდენიმე პირი მხოლოდ ერთობლივად წარმოადგენენ უფლებამოსილების მიმნიჭებელ პირს; გ) სამართლებრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს → **პროკურა**; დ) მოჩვენებითი და თმენის საფუძველზე გაცემული უფლებამოსილება. ასეთი უფლებამოსილება განსხვავდება კონკლუდენტურად გაცემული უფლებამოსილებისგან და მკაცრი გაგებით, იგი არ არის სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხ-

ლით გათვალისწინებული უფლებამოსილება. კერძოდ, თუ წარმოდგენილი პირისათვის ცნობილია, რომ სხვა პირი მისი სახელით როგორც მისი წარმომადგენელი მოქმედებს და იგი ასეთ მოქმედებას არ აპროტესტებს, მაშინ გარიგების მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინების მიზნით, რომელსაც უფლება ჰქონდა ევარაუდა, რომ ვითომ-წარმომადგენელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, წარმოდგენილ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა გარიგების სამართლებრივი შედეგისათვის (თმენის საფუძველზე გაცემული უფლებამოსილება). ამ შემთხვევების გარდა, სასამართლო პრაქტიკა, ზოგადად, სამართლებრივ ბრუნვაში მოქმედი დოკუმენტის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პირის მიერ უფლებამოსილების მინიჭებად განიხილავს ყველა ისეთ ქმედებას, როდესაც მან არ იცოდა ვითომ-წარმომადგენლის მოქმედების შესახებ, მაგრამ, სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი გულმოდგინების გამოჩენის შემთხვევაში, შეეძლო სცოდნოდა და თავიდან აეცილებინა, რომ გარიგების მეორე მხარე ენდობოდა უფლებამოსილების გაცემას (მოჩვენებითი უფლებამოსილება). წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია ცალმხრივად ნებისმიერ დროს. გარდა ამისა, იგი ქარწყლდება: ა) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება; ბ) უფლებამოსილი პირის უარით; გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით; დ) უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუნარიანობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა

რამ არ არის გათვალისწინებული და → **შესრულებით** (სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლი). გარდა ამისა, უფლებამოსილება წყდება, თუ აღარ არსებობს უფლებამოსილების გაცემის სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად, რწმუნებულის მიერ დავალების ხელშეკრულებაზე უარის თქმით ქარწყლება ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული უფლებამოსილება. ასევე, რწმუნებულის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ან სხვა რამ არ გამომდინარეობს მინდობილობის შინაარსიდან (სამოქალაქო კოდექსის 722-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც წესი, მარწმუნებლის გარდაცვალება არ იწვევს დავალების ხელშეკრულების გაუქმებას და შესაბამისად, უფლებამოსილებაც ჩაითვლება გაგრძელებულად, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს (სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლი). წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების მიუხედავად, ეს გარემოება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, თუ მხარეებმა ეს გაუფრთხილებლობით არ იცოდნენ (სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი). უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს. საბუთის გამოყენების შემთხვევაში, მოცემულია → **გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე**. → **სასამართლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება**.

**წერილობითი მტკიცებულება**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. წერილობითი მტკიცებულებისათვის დამახასიათებელია, რომ იგი შეიცავს შინაარსის შემცველ წერილობით ნიშნებს და შესაძლებელია მისი ნაკითხვა. ამით იგი განსხვავდება → **ნივთიერი მტკიცებულებისაგან**, რომლის მტკიცებულებითი თვისება მდგომარეობს მის ხარისხს, თვისებასა და არსებობაში. წერილობით მტკიცებულებად მიიჩნევა როგორც ოფიციალური საბუთები, ისე კერძო ხასიათის წერილები. სამოქალაქო პროცესში წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ვერ წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულება იმის გამო, რომ მტკიცებულება იმყოფება სხვა პირთან, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე; ასეთი შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დასაბუთება უნდა მოხდეს გამოთხოვილი მტკიცებულების საფუძველზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლი). როგორც წესი, წერილობითი მტკიცებულება სასამართლოს წარედგინება დედნის სახით; იმ შემთხვევაში, როცა წერილობით მტკიცებულებად წარედგინილია დედნის ასლი, სასამართლოს თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით შეუ-

ძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა; დედნის წარდგენისაგან თავისუფლდება მხარე, თუ ეს გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია და სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლი). წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმებას ახდენს სასამართლო; მხარის განცხადების შემთხვევაში, რომ წერილობითი მტკიცებულება ყალბია, სასამართლო ამონიშნავს მას და ამ მიზნით მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წერილობითი მტკიცებულება ყალბია, იგი განჩინებით ამორიცხავს მას მტკიცებულებებიდან და მას სიყალბის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლი). სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით შესაძლებელია განხორციელდეს იმ წერილობით მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლი).

### წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1863 წელს დაფუძნდა ჟენევაში (შვეიცარია). მისი მიზნები მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებენ და ეფუძნება მიუკერძოებლობის, ნეიტრალურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს, ასევე საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა სი-

ცოცხლისა და ღირსების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციას არ წარმოადგენს, მას → **საერთაშორისო სამართალსუბიექტობა** გააჩნია. კომიტეტი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც → **ჟენევის კონვენციებით** მაკონტროლებელ ორგანოდ სახელდება. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ასამბლეა, რომელიც დღეისათვის შვეიცარიის მოქალაქეობის მქონე 16 პირისგან შედგება. ასამბლეს ექვემდებარება სუბსიდიური ხასიათის ორგანო - ასამბლეს საბჭო და აღმასრულებელი ორგანო - დირექტორატი. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებთან ერთად წარმოადგენს საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის ნაწილს.

### წინასასამართლო სხდომა

წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ სტადიას, რომელიც ტარდება გამოძიების დასრულების შემდეგ. წინასასამართლო სხდომის ძირითადი მიზანია პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა და საქმის არსებითი განხილვისათვის მომზადება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე და 220-ე მუხლები). გარდა ამისა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა და-



საშვებობის თაობაზე, ასევე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამასთან ერთად, იგი განსაზღვრავს საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყების თარიღს; საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსაწვევ პირებს უგზავნის სასამართლო უწყებებს; ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. არსებითი განხილვისათვის საქმე გადაეცემა სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართ-

ლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.

### წინდახედულობა → ბრალი.

#### წმინდა საყდარი

წარმოადგენს რომის პაპის, როგორც → **საერთაშორისო სამართლის სუბიექტის**, სახელწოდებას. იგი საერთაშორისო სამართლის სპეციფიკური სუბიექტია, ვინაიდან სახეზეა სამართალსუბიექტობის მინიჭება ფიზიკური პირისთვის, მის მიერ კონკრეტული თანამდებობის დაკავების საფუძველზე და ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდით. წმინდა საყდარს აქვს აქტიური და პასიური დიპლომატიური წარმომადგენლობის უფლება. მას შეუძლია იყოს საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. წმინდა საყდარს გაეროში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი გააჩნია. წმინდა საყდრისგან განსხვავებულუნდა იქნეს → **ვატიკანი**.

ბ

**ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი**

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდების პირველივე მუხლში არის ნახსენები „ხალხთა თანასწორ-უფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება“, რომლის პატივისცემასაც უნდა ემყარებოდეს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობები, ამ დროისათვის თვითგამორკვევის უფლება არ წარმოადგენდა საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმას. სავალდებულო ხასიათი მან შეიძინა 1966 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოქვეყნებული და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტსა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტებში ასახვის შემდეგ. უფლების შინაარსის დაკონკრეტება კი მოხდა გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ეუთოს 1975 წლის 1 აგვისტოს დასკვნით აქტში. კერძოდ, უფლების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ისინი თავისუფლად, გარეშე ძალების ჩარევის გარეშე, განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ახორციელებენ თავის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. თვითგამორკვევის უფლების განხორციელების ფორმებს წარმოადგენს: სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა; მიერთება დამოუკიდებელ სახელ-

მწიფოსთან ან მასთან გაერთიანება; ნებისმიერი სხვა პოლიტიკური სტატუსი, რომელიც ხალხის მიერ იქნება განსაზღვრული. ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, პრაქტიკაში, შეიძლება დაუპირისპირდეს → **ტერიტორიული მთლიანობისა** და → **საზღვრების ურღვევობის** პრინციპებს. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ფორმად არსებული სახელმწიფოდან გამოყოფის ფორმა იქნება არჩეული. ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მიმართ უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სახელმწიფო არ იცავს ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, ანუ ატარებს დისკრიმინაციულ პოლიტიკას და პირობებს არ ქმნის ეროვნული უმცირესობების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის.

**ხანდაზმულობა**

1. სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა (სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილი). ხანდაზმულობა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებსა და მენაბრეთა მოთხოვნის უფლებებზე ბანკსა და საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო. ხანდაზმულობა არ იწვევს მოთხოვნის გაუქმებას, მაშასადამე, მოთხოვნის ნატურალურ ვალდებულებად გარდაქმნას, არამედ იგი ვალდებულ პირს აძლევს ვალდებუ-

ლების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, რომელიც იურიდიულ ძალას იძენს, თუ იგი ვალდებული პირის მიერ წარმოდგენილია როგორც → **შესაგებელი**. რამდენადაც ხანდაზმული მოთხოვნა ისევ არსებობს, შესაძლებელია მისი შესრულება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ თუ ვალდებულმა პირმა ვალდებულება შეასრულა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც ვალდებულების შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო (სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი). მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა არ გამოიციხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნის უფლება იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა (სამოქალაქო კოდექსის 443-ე მუხლი). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯერონად შესრულების გამო → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა** დაუშვებელია, თუ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ხანდაზმულია და მოვალე ხანდაზმულობის შესაგებელს წარმოადგენს. ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულია (სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლი). დაუშვებელია ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით (სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლი). ხანდაზმუ-

ლობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელიწადს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი შეიცავს განსაკუთრებულ ნორმებს ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელიწადს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნათა ვადა არის ექვსი წელიწადი (→ **მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია**). ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). წინაპირობას წარმოადგენს ობიექტური შეზღვევნილობა, კერძოდ, უფლების დარღვევა. ვალდებულების შესრულების ვადა, როგორც ასეთი, არ არის მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობა, მაგრამ ვალდებულების ვადის დადგომის გარეშე, შეჩერებულია ხანდაზმულობის ვადის დენაც. ხანდაზმულობის დაწყება დამოკიდებულია პირის ცოდნაზე უფლების დარღვევის შესახებ, მაგალითად, ვალდებულების დარღვევის ან წარმოშობილი ზიანის ცოდნაზე და ა.შ. აუცილებელ წინაპირობას არ წარმოადგენს, მაგალითად, წარმოშობილი ზიანის შესახებ დეტალური ცოდნა. პასუხისმგებელ მესამე პირთა, მაგალითად, კანონიერი წარმომადგენლის, ცოდნა უფლების დარღვევის შესახებ, ჩაითვლება კრედიტორის ცოდნად. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ათ წელიწადს მაშინაც კი, როცა

## ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

ხანდაზმულობის ვადის დენაზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სხვადასხვა გარემოებებმა. განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებასა და შეწყვეტას.

ა) დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება (სამოქალაქო კოდექსის 135-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შემთხვევები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 132-133-ე მუხლებში. განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს ქმედუნარიო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის პირის მოთხოვნა ან ასეთი პირის მიმართ მოთხოვნა, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება კანონიერი წარმომადგენელი (სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების შეწყვეტის დღიდან, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია - ხანდაზმულობის ვადამდე (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ბ) თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან (სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლი). ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, → **გარანტიის** მიცემით ან სხვაგვარად აღი-

არებს მოთხოვნის არსებობას, აგრეთვე, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს → **სარჩელს** მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად ან შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ ან აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული (სამოქალაქო კოდექსის 137-140-ე მუხლები).

2. სისხლის სამართალში → **სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა**.

3. საგადასახადო მოთხოვნის და გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულების დარიცხვის ხანდაზმულობის ვადაა 6 წელი, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

მომდინარეობს მონტესკიეს მოძღვრებიდან და არის ყველა თანამედროვე → **დემოკრატიული** → **სახელმწიფოს** ორგანიზების მნიშვნელოვანი ელემენტი, ასევე → **სამართლებრივი სახელმწიფოს** არსებითი განმაპირობებელი ფაქტორი. ამ პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოს პოლიტიკური ძალაუფლება დაყოფილია სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებად. ამ სფეროების, ხელისუფლების შტოების ურთიერთკონტროლით

მიღწეულ უნდა იქნეს სახელმწიფო ძალაუფლების ბალანსი. ჩვეულებრივ დანაწილება შემდეგნაირად ხდება: → **საკანონმდებლო ხელისუფლება**, → **აღმასრულებელი ხელისუფლება** და → **სასამართლო ხელისუფლება**. თუმცა, რეალობაში შეუძლებელი აღმოჩნდა მკაცრი ურთიერთგამიჯვნა და განსაკუთრებით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხშირია გადაკვეთები, რაც სავსებით თავსებადია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, თუ და სანამ შენარჩუნებული და გათვალისწინებულია მისი ძირითადი დანიშნულება.

### ხელშეკრულება

1. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობა ხდება მონაწილეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება არის ორმხრივი → **გარიგება**, რომელიც ითვალისწინებს მინიმუმ ორი ურთიერთთანხვედრი → **ნების გამოვლენის** საფუძველზე სამართლებრივი შედეგის მიღწევას. ხელშეკრულების დადება ხორციელდება ერთი მხარის მიერ წინადადების (ოფერტის) შეთავაზებით და მეორე მხარის მიერ ამ წინადადებაზე თანხმობის (აქცეპტის) გამოხატვით. ოფერტა სახეზეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთი მხარის წინადადება შეიცავს საკმარისად განსაზღვრული → **ვალდებულების** შეთავაზებას, რომელსაც საფუძველად უდევს აუცილებელი სამართლებრივი ბოჭვის ნება. მისგან განსხვავებულ მოწოდებას პირის მიმართ, თავის მხრივ გააკეთოს ოფერტა (მაგალითად, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება), ე.წ. *invitatio ad offerendum*, რომ-

ლის დროსაც მხარის წინადადება არ შეიცავს სამართლებრივი ბოჭვის ნებით გამოხატულ შეთავაზებას. ოფერტზე გაკეთებული თანხმობა (აქცეპტი), როგორც წესი, განხორციელებულ უნდა იქნეს ოფერენტის მიმართ. ეს შეიძლება კონკლუდენტურად განხორციელდეს. გამონაკლის შემთხვევებში, ხელშეკრულების დადება ხდება ასევე, მეორე მხარის მიერ პირდაპირ გამოხატული თანხმობის გარეშეც, თუ ასეთი ნების გამოვლენა, სამოქალაქო ურთიერთობაში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად, მოსალოდნელი არ არის. დუმილი, როგორც წესი, არ წარმოადგენს თანხმობას ოფერტაზე. სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, მენარმე, რომელიც მიიღებს ოფერტს საქმიანი ოპერაციების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იგი იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს შეთავაზებულ წინადადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. პირის შეცდომა დუმილის შესახებ არ აძლევს მას შეცილების უფლებას. თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში (სამოქალაქო კოდექსის 331-ე მუხლი). როგორც წესი, თანმყოფი პირის მიმართ გაკეთებული ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული, ხოლო არათანმყოფი პირისათვის იმ დრომდე, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს (სამოქალაქო კოდექსის 330-ე მუხლი). ოფერტზე დაგვიანებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად, ხოლო აქცეპტი სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ით-

## ხელშეკრულება

ვალისწინებდა, ჩაითვლება უარად ოფერტზე და ამავე დროს ახალ წინადადებად (სამოქალაქო კოდექსის 333-ე მუხლი). ორივე მხარის მიერ გამოვლენილი ნება შინაარსობრივად ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს (კონსენსუსი). სანამ მხარეები ხელშეკრულების ყოველ პირობაზე არ შეთანხმებულან ან, მაგალითად, ხელშეკრულების აუცილებელი ნოტარიული დამოწმება არ განხორციელებულა, მაშინ საექსპოზიტისას ხელშეკრულება დადებულიად არ ჩაითვლება (ე.წ. „შეთანხმების ღია ნაკლი“). თუ, ამის სანაღამდეგოდ, მოცემულია „შეთანხმების ფარული ნაკლი“, მაგალითად, მხარეებს მხედველობიდან გამორჩათ ერთ-ერთი პირობა, ან ხელშეკრულებაში გამოიყენეს ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები, მაშინ, დასაშვებია, რომ ხელშეკრულება მიჩნეულ იქნეს დადებულიად, თუ მხარეებს შორის შეთანხმება ასეთი პირობის მიუხედავად მაინც შედგებოდა. „შეთანხმების ფარული ნაკლი“ უნდა განვასხვავოთ ხელშეკრულების საგნის არასწორი დასახელებისაგან (ე.წ. „falsa demonstratio“, მაგალითად, მხარეები გულისხმობენ ერთი და იმავე მიწის ნაკვეთს, მაგრამ მას სხვაგვარად აღნიშნავენ). ეს უკანასკნელი განსხვავდება პირის → **შეცდომისაგან** გამოვლენილი ნების შინაარსში, რომელიც მას → **შეცდომის** უფლებას აძლევს.

2. ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობა ექვემდებარება ხელშემკვერელი მხარეების უფლებას, თავისუფლად განსაზღვრონ როგორც ხელშეკრულების დადება, ისე მისი შინაარსი. ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში რეგულირე-

ბული სამართლებრივი ურთიერთობები (მაგალითად, ნასყიდობა, ქირავნობა და ა.შ.) წარმოადგენენ მხოლოდ ტიპიურ მაგალითებს. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ ურთიერთობების შინაარსი თავისუფლად განსაზღვრონ და კანონით დადგენილი ნორმებიდან გადაუხვიონ ან მოახდინონ კომბინირება სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების ნაწილებისაგან (ე.წ. „ატიპიური ხელშეკრულება“ ან „შერეული ხელშეკრულება“). „შერეული ხელშეკრულებისას“ სამართლის ნორმების გამოყენება დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების შინაარსში რამდენად დომინირებს ამა თუ იმ ხელშეკრულების ტიპი (ე.წ. „აბსორპციის პრინციპი“). სხვა შემთხვევაში, → **ანალოგიის** გზით, გამოყენებულ უნდა იქნეს სამართლის ის ნორმები, რომლებიც ხელშეკრულების ტიპს ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება (ე.წ. „კომბინაციის პრინციპი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 340-ე მუხლი). ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპის ზღვარს ქმნიან სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები (განსაკუთრებით, → **სანივთო და → მემკვიდრეობის სამართალში**), მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი → **მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების** თაობაზე.

3. ვალდებულებითი სამართლის გარდა, ხელშეკრულება დიდ როლს ასრულებს, ასევე, საოჯახო, მემკვიდრეობის და ადმინისტრაციულ სამართალში. ვალდებულებითი ხელშეკრულება, როგორც წესი, არ ექვემდებარება განსაკუთრებულ ფორმის დაცვას. ზეპირი შეთანხმება საკმარისია ვალდებულების წარმოშობისათვის. მხოლოდ გან-

საზღვრული ტიპის ხელშეკრულებებისათვის საჭიროა წერილობითი ფორმის დაცვა, მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენის ან განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას. გარდა ამისა, ხელშეკრულების მომზადებისა და მოლაპარაკებების პერიოდშიც, შესაძლებელია, რომ მხარეებს შორის წარმოიშვას ხელშეკრულების მსგავსი ურთიერთობა, რომელიც მათ ავალდებულებს გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება მეორე მხარის უფლებებისა და ქონების მიმართ. ასეთი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას. ხელშეკრულების მომზადებისაგან უნდა განვასხვავოთ წინარე ხელშეკრულება. იგი წარმოადგენს ნამდვილ ხელშეკრულებას, რომლიდანაც გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. როგორც წესი, წინარე ხელშეკრულება საჭიროებს იმავე ფორმის დაცვას, რაც გათვალისწინებულია ძირითადი ხელშეკრულებისათვის.

4. ხელშეკრულება, როგორც წესი, არის ეგრეთ წოდებული კონსენსუალური ხელშეკრულება, რომელიც ორმხრივი ურთიერთთანხვედრი ნების გამოვლენის შედეგად იდება. ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებას თანახმად ფაქტობრივი ქმედების განხორციელებაც, მაგალითად, ნივთის შესანახად გადაცემა. ბე, როგორც ასეთი, არ არის ხელშეკრულების დადების წინაპირობა, მაგრამ მისი გადაცემა ადასტურებს ხელშეკრულების დადების ფაქტს (სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი). თუ ბე არ ითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, მაშინ იგი ხელშეკრულების შეს-

რულების შემდეგ უკან უნდა დაბრუნდეს. ბეს მიმცემის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბე რჩება მის მიმღებს და იგი ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში (სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლი). თავისი არსით, ხელშეკრულება შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ ნაცვალგებით დამოკიდებულებაში არიან, მაშინ სახეზეა → **ორმხრივი (ნაცვალგებით) ხელშეკრულება** (მაგალითად, → **ნასყიდობა**, → **ქირავნობა**). იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება ბათილია, შესაძლებელია, რომ მან წარმოშვას ხელშეკრულების მსგავსი ფაქტობრივი შედეგები, როგორც ეს სამართლებრივად ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. ხელშეკრულების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს → **მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება**.

5. გარკვეულმა გარემოებებმა შესაძლებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გაართულოს. ვალდებულებების შეცვლა, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (მაგალითად, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა**) ან თუ არ არსებობს მხარეთა სხვა შეთანხმება, (მაგრამ არა → **ხელშეკრულების სტანდარტული პირობების** გამოყენების შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლი „დ“ ქვეპუნქტი), საჭიროებს ხელშეკრულების გაფორმებას. მხარეებს უფლება აქვთ, არსებული ვალდებულების ნაცვლად შეთანხმდნენ ახალი ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობაზე. ასეთი შეთანხმება გამოიწვევს პირ-

## ხელშეკრულებაზე უარის თქმა

ვანდელი ვალდებულების უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული ყველა ღონისძიების, მაგალითად, → **თავდებობის**, → **გირავნობის** შეწყვეტას. → **ადმინისტრაციული ხელშეკრულება**.

## ხელშეკრულებაზე უარის თქმა

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმა არის → **აღმჭურველი უფლება** და იგი შეიძლება გამომდინარეობდეს თვით ხელშეკრულებიდან. დაუშვებელია მისი განხორციელება გამორიცხულ იქნეს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), ან სამართლებრივი ნორმების საფუძველზე (→ **ორმხრივი (ნაცვალგებითი) ხელშეკრულება**). ხელშეკრულებაზე უარის თქმა არის ცალმხრივი → **უფლება**, რომელიც ხორციელდება გამოვლენილების მიღებით (სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი).

2. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა სამართლებრივად სწორად იქნა განხორციელებული, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად, მაშასადამე, მხარეებს უზრუნველბათ მიღებული შესრულება და ასევე, სარგებელი (ნატურით დაბრუნება; სამოქალაქო კოდექსის 353-ე და 354-ე მუხლები). ნივთები და უფლებები მხარეებმა ნატურით უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს, ხოლო ფულადი ვალდებულების შესრულება ხდება შესაბამისი ექვივალენტური თანხის და არა ინდივიდუალურად განსაზღვრული ფულადი ბანკნოტების მეშვეობით. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად წარმოშობილი ორმხრივი ვალდებულებების შესრულების

ადგილი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მიხედვით. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურების ვალდებულება, თუ შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება (მაგალითად, ფიზიკურად შესრულებული სამუშაო) ან მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს ან თუ მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა (სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება). ფულადი ანაზღაურების დაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამაგიერო შესრულება. ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ საგნის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა ან საგნის გაფუჭება ან დაიღუპა კრედიტორის ბრალით მოხდა (→ **ბრალეულობა**) ან კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან და იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს (სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი). ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინაც, როდესაც მოვალე არ იღებს სარგებელს საგნის სათანადო გამოყენების წესების დარღვევის გამო, თუმცა მას სარგებლის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალეს უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი დანახარჯები.



ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გავსვამდე არ იქნება გაცხადებული (სამოქალაქო კოდექსის 356-ე მუხლი).

### ხელშეკრულების მოშლა

→ ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

#### ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ არის მოცემული, თუ ხელშეკრულების პირობები მხარეებს შორის დეტალურად არის განსაზღვრული; ამასთან, მხარეთა უშუალოდ შეთანხმებულ პირობებს ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან შედარებით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით განსაზღვრულია, რომ მხარეთა შორის ზეპირად შეთანხმებულ პირობებს არა აქვთ სავალდებულო ძალა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, თუ შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირო-

ბებზე და მეორე მხარეს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პირობების შინაარსს და თანახმაა ამ პირობების გამოყენებაზე (სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლი). ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანება განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

2. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების რეგულირების საგანი არის კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა, განსაკუთრებით, ვალდებულების ვადების დარღვევის, წინადადებათა მიღებისა და შესრულების ვადების, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ და ა.შ. თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, მაშინ ისინი არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად (სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილია, მაშინ მათი ბათილობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას და იგი ძალაში რჩება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ერთ-ერთი ან ორივე მხარისათვის მიუღებელი პირობებით რჩება ძალაში. ბათილად ცნობილი დებულებების ადგილს დაიკავენ კანონით დადგენილი შესაბამისი წესები. თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულება მხოლოდ ნაწილობრივ არ შეესაბამება კანონს, მაშინ, გაბატონებული სხედულების თანახმად, დებულება მთლიანად ბათილია და დაუშვებელია მისი შეცვლა კანონით განსაზღვრული შინაარსით.

3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ექვემდებარება სასამარ-

## ხულიგნობა

თლოების მიერ მათ შინაარსობრივ კონტროლს. სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის, როგორც გენერალური კლაუზულის თანახმად, ბათილია ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხრისათვის. საექსპოზისას ივარაუდება, რომ მეორე მხრისათვის საზიანოა ის დებულება, რომლის არსებითი შინაარსი არ შეესაბამება იმ კანონის მიზანს, რომლისგანაც იგი განსხვავებულ შინაარსს ადგენს ან მეორე მხრის მნიშვნელოვანი უფლებები, რომელიც ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს, იმდენად შეზღუდულია, რომ შეუძლებელია ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევა. გენერალური კლაუზულის გარდა, სამოქალაქო კოდექსის 347-ე, 348-ე მუხლებში შეიცავს აკრძალულ დებულებათა კატალოგს, რომელთა მოცემულობაც ყოველთვის იწვევს პირობების ბათილობას, მაგალითად, განეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება, → **ხელშეკრულებაზე უარის თქმა** და ა.შ.

## ხულიგნობა

გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან-

და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. როგორც წესი, ხულიგნობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ადგილი აქვს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას (ქუჩაში, სტადიონზე, კინოში, თეატრში, წვეულებებზე და სხვაგან, სადაც იმყოფებიან საზოგადოების წევრები). საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ექნება უხეში ხასიათი, თუ მაგ., ქმედების შედეგად ჩაიშალა თეატრალური წარმოდგენა, წვეულება, ქუჩაში შეჩერდა მოძრაობა და ა.შ. საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა გამოიხატება შემდეგში: ა) ხულიგნობის ჩამდენს სურს დაუპირისპიროს თავი საზოგადოებას, დაანახოს ყველას, რომ იგი არაფრად აგდებს საზოგადოებაში გაბატონებულ ზნეობრივ ნორმებს, რომ იგი ყოველთვის იქცევა ისე, როგორც სურს; ბ) მისი ამ განწყობის დემონსტრირებისათვის პირი სჩადის ისეთ ქმედებას, რითაც გარშემომყოფთათვის აშკარაა, რომ ეს პიროვნება იგნორირებას უკეთებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს. ხულიგნობის დროს გამოყენებულ ძალადობაში იგულისხმება ისეთი აგრესიული ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება (მაგ., ცემა). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის მიძიმდება, თუ იგი ჩადენილია: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (→ **ჯგუფური დანაშაული**); ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ; ხულიგნობისათვის მსჯავრდებულის მიერ, რაც ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით

ას ოთხმოციდან ორას საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის კიდევ უფრო მძიმდება, თუ მას პირი ჩაიდენს ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. განსხვავებით ხულიგნობისაგან, წვრილმანი ხულიგნობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, გამოი-

წვევს მხოლოდ დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. წვრილმანი ხულიგნობა გამოიხატება ისეთ ქმედებაში, როგორიც არის საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

ჰ

**ჯანმრთელობის დაზიანება**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-124-ე მუხლებით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაზიანებისათვის. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთმანეთისაგან ანსხვავებს ჯანმრთელობის დაზიანების შემდეგ შემთხვევებს: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით. ა) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად, ისევეა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ცამეტ წლამდე (დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით). ასეთ ქმედებად კვალიფიცირდება სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის ნარეულელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებ-

ულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან. დამამძიმებელ გარემოებას ექნება ადგილი თუ ქმედება ჩადენილია: მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით (მაგ. მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის აღკვეთა, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩადენილი დანაშაულის შეტყობინება და სხვა); მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას (მაგ., აფეთქებით, ცეცხლის ნაკიდებით, ადამიანების თავშეყრის ადგილას სროლა და სხვა); სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ; ხულიგნური ქვენა გრძნობით (ხულიგნური ქვენა გრძნობითაა ჩადენილი ქმედება, თუ იგი მცირე საბავის საფუძველზე აღმოცენდა, მაგ., დამნაშავეისათვის შენიშვნის მიცემის, სიგარეტის მოთხოვნაზე უარის მიღების შემთხვევაში და სხვა); რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; ჯგუფურად (→ **ჯგუფური დანაშაული**); ორი ან მეტი პირის მიმართ; განსა-



კუთრებული სისასტიკით (მაგ., ნამებით, ცეცხლის ნაკიდებით და სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც პიროვნებას აუტანელ ფიზიკურ ან სულიერ ტკივილს აყენებს); ანგარებით ან შეკვეთით (მაგ., ფულის, ქონების ან ქონებაზე უფლების მიღება და სხვა); მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით; არაერთგზის (→ **არაერთგზისი დანაშაული**); იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა. დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ასევე, თუ ქმედებამ გამოიწვია → **სიცოცხლის მოსპობა**. ბ) ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის შესაბამისად, რაც ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თვრამეტ თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ექვს წლამდე (დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით). ასეთ ქმედებად კვალიფიცირდება ჯანმრთელობის დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან (ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა სახეზეა მაშინ, როცა ადამიანის რომელიმე ორგანოს ავადმყოფური მდგომარეობა 21 დღეს აჭარბებს) ან საერთო შრომის-

უნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან. დამამძიმებელი გარემოებების შესახებ → **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება**. გ) ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. ასეთ ქმედებად კვალიფიცირდება ჯანმრთელობის დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა (ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანის ორგანიზმის რომელიმე ორგანოს პათოლოგიური მდგომარეობისთვის საჭირო მეურნალობა გრძელდება 6 დღიდან 21 დღემდე) ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია. დ) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი ალელეების მდგომარეობაში სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლის მიხედვით, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ორას ორმოცსაათამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. მოცემული დანაშაული წარმოადგენს პრივილეგირებულ შემადგენლობას, ვინაიდან პირი ქმედებას უეცარი, ძლიერი სულიერი ალელეების მდგომარეობაში ჩადის. უეცარი, ძლიერი სულიერი ალელეების მდგომარეობა უნდა გამოიწვიოს დამნაშავეს ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაზარალებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე



## ჯარიმა

ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე დაზარალებულის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.

ე) ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით წარმოადგენს ასევე ჯანმრთელობის დაზიანების პრივილეგირებულ შემადგენლობას და იგი სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. → **აუცილებელი მოგერიება.** ვ) ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, რომელიც მიეკუთვნება აგრეთვე ჯანმრთელობის დაზიანების პრივილეგირებულ შემადგენლობას, სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

→ **დამნაშავეს შეპყრობა.** ზ) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის თანახმად, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე. ვინაიდან პირი ქმედებას ჩადის გაუფრთხილებლობით, იგი ამ დროს არღვევს წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს (მაგ., ცეცხლთან, ქიმიურ ნივთიერებებთან და ადამიანის ჯანმრთელო-

ბისათვის საფრთხის შემცველ საგნებთან დაუდევარი მოპყრობა). გაუფრთხილებლობის შესახებ → **ბრალი.**

## ჯარიმა

1. არის ფულადი გადასახდელი, რომელიც შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. პირისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. იურიდიული პირისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეესაბამება ფიზიკური პირისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ორმოცდაათმაგ ოდენობას. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ჯარიმას,

ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით (სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლი). თუ იურიდიული პირისათვის ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით (სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>6</sup>-ე მუხლი). თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლოს შეუძლია მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა დააკისროს მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. ჯარიმა, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების საშუალება → **აღსრულება**.

2. ჯარიმა, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. მოქალაქეებისათვის და თანამდებობის პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო და-

კისრებული ჯარიმა არ შეიძლება იყოს შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები.

### ჯაშუშობა

სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის შესაბამისად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე. ჯაშუშობა გულისხმობს უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის (სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ → **სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა**) ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვებას, შენახვას ან გადაცემას ანდა გამოძალვას ან გატაცებას მათთვის გადაცემის მიზნით. ჯაშუშობაში მოიაზრება აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა სისხლის სამართლის კოდექსის 313-ე მუხლის თანახმად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ხოლო, იგივე ქმედება, ჩადენილი ომიანობის დროს, ან რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან

ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ 1996 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, სახელმწიფო საიდუმლოებას განმარტავს, როგორც ინფორმაციის სახეობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა მოცემულია სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N 42 ბრძანებულებაში. სახელმწიფო საიდუმლოების გაცემაში იგულისხმება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების მინოდება ან მისი საჯაროდ გამჟღავნება, აგრეთვე ამავე მიზნით სხვა ქმედება, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას გარეშესათვის ხელმისაწვდომს ხდის. აღნიშნულ დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება იყოს ის, ვინც ასეთი საიდუმლოე-

ბა იცოდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისთვის, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქმედებამ გამოიწვია საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების დროს სახეზე არ არის სისხლის სამართლის კოდექსის 313-ე ან 314-ე (ჯაშუშობა) მუხლით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები. პირს დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესის დარღვევისათვის, თუ ქმედებამ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის ან საგნის დაზიანება, განადგურება ან დაკარგვა გამოიწვია. ქმედება შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით და იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ხოლო, თუ აღნიშნულს გაუფრთხილებლობით მოყვა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება ან სხვა მძიმე შედეგი, იგი ისჯება თავისუფლების აღკვე-



თით ვადით ორიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი დამტკიცებულია სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N 42 ბრძანებულებით.

**ჯგუფური დანაშაული**

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, არის სამი სახის: ა) წინასწარ შეუთანხმებლად ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დანაშაულის განხორციელებაში წინასწარი შეთანხმების გარეშე ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ამ დროს რამდენიმე პირი, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, უეცრად აღძრული განზრახვის შედეგად ერთობლივად ჩადიან დანაშაულს. ბ) წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. აღნიშნული გულისხმობს, რომ დანაშაულის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ (შეთანხმდნენ) დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. გ) → **ორგანიზებული ჯგუფის** მიერ ჩადენილი დანაშაული. ჯგუფური დანაშაული განსხვავდება → **თანამონაწილეობისაგან**. ჯგუფურ დანაშაულში ყველა თანამსრულებელია, გამონაკლისია მხოლოდ ორგანიზებული ჯგუფი, რადგან მასში ამსრულებელთან ერთად იგულისხმება ორგანიზებული ჯგუფის ყველა წევრი, მათ შორის

თანამონაწილე, რომელიც ორგანიზებული ჯგუფის წევრია. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობებში ჯგუფური დანაშაული წარმოადგენს მაკვალიფიცირებელ გარემოებას.

**ჯენტლმენური შეთანხმება**  
ზეპირი ფორმით დადებული → **საერთაშორისო ხელშეკრულება**, რომელიც მხარეებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა.

**ჯვარედინი დაკითხვა**  
სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოში მოწმის დაკითხვის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მონემ არ გამოუძახებია. როგორც წესი, მონემ ჯვარედინ დაკითხვას ადგილი აქვს → **პირდაპირი დაკითხვის** შემდეგ. შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მონემს) განუხაზვლერავს გონივრულ ვადას. განსხვავებით პირდაპირი დაკითხვისაგან, ჯვარედინი დაკითხვისას დასაშვებია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელახალი პირდაპირი დაკითხვის შემდეგ, მხარეს უფლება აქვს, აწარმოოს მონემის ხელახალი ჯვარედინი დაკითხვა. ხელახალი ჯვარედინი დაკითხვისას მხარე შეზღუდულია ხელახალი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებით.



**ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები**

1899 და 1907 წელს ჰააგაში (ნიდერლანდები) ჩატარდა კონფერენციები, რომელთა მიზანი იყო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის პრინციპების შემუშავება. აღნიშნული კონფერენციების ფარგლებში მიღებულ იქნა კონვენციები, რომლებმაც მოახდინეს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების კოდიფიცირება და განვითარება. გარდა ამისა, დავების მშვიდობიანად მოგვარების მიზნით შეიქმნა → **მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო**. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის ფარგლებში მიღებული კონვენციების ნორმათა ერთობლიობას ხშირად „ჰააგის სამართალს“ უწოდებენ.

**ჰააგის სასამართლო**  
→ **მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო**.

**ჰუმანიტარული ინტერვენცია**

ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებების გატარება, რომელიც მიზნად ისახავს ამ უკანასკნელის მოსახლეობის დაცვას ადამიანის უფლებების უხეში და მასობრივი დარღვევებისგან ან გენოციდისგან. ჰუმანიტარული ინტერვენცია, თავისი ბუნებით ჩაურევლობის პრინციპს ეწინააღმდეგება (→ **საშინაო საქმეებში ჩაურევლობა**). შესაბამისად, ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით ხორციელდება, სადავო საკითხს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოების უმრავლესობის პრაქტიკა ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგიტიმურობას უარყოფს, იგი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად ვერ ჩაითვლება.

